

780/2
1988/2

ISSN 0134-9848

საზოგადოებრივი

საქართველოს
საზოგადოებრივი

1988/2

მარტი-აპრილი



پروں آئندہ و کسر در قدم حضرت مولانا آباد و حضرت مولانا

باشی تبال او شده در میان طبع این غزل شده

کلی گوی روی که از دکان کوی زسی سرت زسی زنی غالی



شیخ صلاح الدین مشهور که در کازراخا که فاند و از دکان آزاد شده و مدت ده

سال آن عشق بازی ابو بیک حال انده بوده غزلیات در عشق او بسیار واقع شده و این غزل از کجا

کی تو سر آردم طافت سیوم پرا	کی تو سر آردم طافت سیوم پرا	ریو او شتم و رخ و زلف آن تبار
حال همه در باشن جهان بکنند	کی ما بودم منتنه سیوم غرنا	کی تبال دوم جره و سیوم سیا
کی دسم و دسم چید و سیوم پرا	دادم چید و سر جاز عشق او شده دم	ملا و منتنه و غوغای کی ز فو کت

საუნჯე

1988/2

მარტი
აკრილი

(83)

საქართველოს
საბჭოთაო სოციალისტური
რესპუბლიკის



შინაარსი

პროზა და პოეზია


ერნსტ თომოდორ ამადაუს კოფმანი, ოპროს კოტანი, გერმანულიდან თარგმნა ლია თაკვარელიამ	8
მიხაილ ლერმონტოვი, ლექსები, თარგმნა ანზორ აბუანდაძემ	87
რასულ გამზათოვი, მსოგლიური ენა, ლექსი, თარგმნა შალვა რეხვიაშვილმა	71
ალექსი ჯონუა, ლექსები, აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ	72
ჯეიმზ ჯოისი, ულისე, ინგლისურიდან თარგმნა, წინახიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა	78
ალექსანდრე ფუხაევი, ლექსები, ოსურიდან თარგმნა გ. კამურელმა	117
ნიკოლოზ ფონ აიხენდორფი, ლექსები, გერმანულიდან თარგმნა გიორგი გოგოჭურმა	120
ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმნა მაღნაჯ კვინიკაძემ	124
პენრიკ იბსენი, კეისარი და ბალილეველი, პიესა, გაგრძელება, თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	128
ბერძნული ეპიგრამები, ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მიმინოშვილმა	177
მარინა ცვეტაევა, სული კურობილი, თარგმნა რუსუდან ქებულაძემ	187
ბერძნული ექსპრესიონისტული ლირიკა, გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ	288
ოსიპ მანდელშტამი, ლექსები, თარგმნეს ნინო გულუამ და ვაჟა ოთარაშვილმა	288
ვლადიმერ ირიოშენკო, ლექსები, თარგმნა მაყვალა გონაშვილმა	289
ილია კავკაზაბი, ლექსები, ოსურიდან თარგმნა ელდარ კერძევაძემ	291

წერილები

მუხრან მაზაპარიანი, რამდენიმე სიტყვა	248
ელზირა იხმაილოვა, შუა აღმოსავლური მინიატურა, თარგმნა ლია შერვაშიძემ	215

საქართველოს მშვიდობისა და
მსოფლიო ლიტერატურის მრთველი ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



ქართული
ლიტერატურა

მთავარი რედაქტორი:

გუსრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ულუა ახვლედიანი
ჯამალ ახიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
გონა ბაქრაძე
გარანა ბრეგვაძე
გურამ გოგიშვილი

ნანა დარჩია (პ. მ. შვიციანი).

მაგალი თოდუა
ნოდარ ქაქაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კობახიძე
როვან შიშიშვილი
გიორგი ნიშინაძე
ოთარ ნოდია
დალი ზანგიძე
რუსუდან ქეზულაძე
ილიკა ქვეციანი
ნიკო ყიასაშვილი
გივი შანაზარი

გივი ქვეციანი (მთ. რედ. მოადგილე)

დავით შარაძიანი
ნუგზარ წარსული
თამაზ წიფიძე
რაფო ჭიჭიანი

გარეკანზე: გრიგორი შვიციანი. დახვეწილობის ხელი. XVI ს.
I ნახევარი. ნაკვეთი „გაგაგორის საოცრებანი“.

მხატვარი ა. თოდუა, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი
გამომცემი ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დიდუბის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეობები — 72-26-30

გად. წარმ. 8. 02. 88 წ. ხელმოწ. დასაბუქლად 7. 05. 88 წ. ქალაქის ზომა 70x108/16
საღრ. თ. 26,66 სსტ. თ. 25. საღრ. ზომა 28,7 ტირ. 10 000, შეკვ. № 325.
ფასი 1 მან. 40 კპპ.

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14

ერნსტ თეოდორ ამაღეუს ჰოფმანი

ოქროს ქოთანნი



გერმანულიდან

მარგინა ლია თაკვარელიძე

18867

გერმანული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის — ერნსტ თეოდორ ამაღეუს ჰოფმანის (1776-1822) რთულ და მრავალნიშნა შემოქმედებაში ზღაპარი „ოქროს ქოთანნი“ (1814) საინტერესო და მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის. ამ ნაწარმოებში ცხოვრებისეული, რეალური მომენტები ფანტასტიკურ-გროტესკული კუთხით არის წარმოსახული, სრულქმნილად არის წარმოჩენილი მწერლის ესთეტიკური მრწამსი, მისი წერის მანერა, მისი პოეტიკის ძირითადი პრინციპი — რეალურისა და ფანტასტიკურის, ნამდვილისა და ზღაპრულის ურთიერთშერწყმა. ირონიის, გროტესკისა და ფანტასტიკის მიღმა აშკარად ჩანს მთავარი გმირის განთავისუფლება ფილისტერული შეზღუდულობისაგან და პოეზიის ამაღლებულ სამყაროსთან მისი ზიარება.

ახალი დროის ზღაპარი

პირველი პიზილია

ტუდენტ ანსელმუხის ფათერაქები კონრექტორ² პაულმანის ჩანზე მომყვანი წევო და მომწვანო-მოოქროსფრო გველები.

ამაღლების დღეს, ნაშუადღევის დაახლოებით სამ საათზე შავი ტიშკრის გავლით დრეზდენისაკენ სწრაფად მიმავალმა ჭაბუკმა უცაბედად ფეხი წამოჭრა ვაშლებითა და ნამცხვრებით სავსე კალათას, გზისპირას გასაყიდად რომ გამოედგა ვიღაც უგლიმ დედაბერს, თანაც ეგ ისე ჩაუქად გამოუვიდა ჭაბუკს, რომ ვაშლები და ნამცხვარი თითქმის სულ დაიჭყლიტა, ძირს დაცვენილი კი ფივილ-ხივილით აკრიფეს ქუჩის ბიჭებმა, რომლებსაც მარჯვე ყმაწვილის წყალობით ერგოთ ამისთანა ნადავლი. როკაპმა დედაკაცმა ისეთი ვაიუშველებელი ატეხა, რომ იქვე ტკბილღვეზელათი და არყით მოვაჭრე დედაკაცებმა დახლი მიატოვეს, ახალგაზრდა კაცს შემოეხვივნენ და უშვერი სიტყვების კორიანტელი დააყარეს, რის გამოც ჯავრისა და სირცხვილისაგან ხმაჩავარდნილმა ჭაბუკმა დედაბერს თავისი მომცრო, არცთუ მთლად სავსე საფულე მიუგდო. დედაბერმა ხარბად დასტაცა ხელი საფულეს და ჯიბეში იკრა. ის იყო ჭაბუკმა მოვაჭრე დედაკაცთა მჭიდროდ შეკრული წრე გაარღვია და თავი სამშვიდობოს დაიგულა, რომ დედაბერმა მიაძახა: „აქედან მოუსვი, შე ეშმაკის კერძო! დამანში მოხვდები, დამანში!“. დედაკაცის ყურის წამლები, მჩხავანა ხმა ისე შემა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სტუდენტ ანსელმუსს კინალამ სუნთქვა შეეკრა, როცა ღეივანი ჩაათავა და ლინკეს აბაზანებისაკენ მიმავალ გზას დაადგა. მისდა უნებურად ნაბიჯი შეანელა. თვალებს უაზროდ აცეცებდა, რადგან ჯერაც თავის გარშემო მოცეკვავე ვაშლები და ნამცხვრები ელანდებოდა, ხოლო მოსეირნე გოგონების თბილი შემთხედვა შავ ჭიშკართან ატეხილი ღვარძლიანი ხარხარის გამოძახილი ეგონა, ასე აფორიაქებული მიადგა ლინკეს აბაზანებს. სადღესასწაულოდ მორთული ადამიანები უწყვეტ ნაკადად შედიოდნენ შიგ. იქიდან ისმოდა სასულე ორკესტრის მუსიკა. შეზარხოშებულ სტუმართა ხორხოციც სულ უფრო მატულობდა. საწყალმა ანსელმუსმა ლამის იტირა, რადგან ამალღების ამ დიდებულ დღეს, რომელსაც იგი არაჩვეულებრივ დღესასწაულად აღიქვამდა, მასაც უნდოდა თავისი წილი რგებოდა ლინკეს სამოთხის განსაცხრომელში. დიახ, ამ დღეს მას სურდა ნახევარი ულუფა რომგარეული ყავა და ერთი ბოთლი მაგარი ლუდი დაეღია, ჩვეულებრივზე მეტი ფული დაეხარჯა და გემრიელად მოეღბინა. და აი, ვაშლებით სავსე კალათისაკენ გადადგმულმა საბედისწერო ნაბიჯმა ანსელმუსს ეს ბედნიერება წარსტაცა ახლა გულშიაც კი ველარ ინატრებდა მაგარ ლუდს, მუსიკის საამო ჰანგებს, გამოპრანჭული გოგონების ჭვრეტას და საერთოდ ნეტარ და საოცნებო მოღბენას. მან წყნარად აუარა გვერდი ლინკეს სამოთხეს და ელბის ნაპირებისაკენ გაუყვა გზას. ძელყორზე ამოსულ ანწლის ბუჩქთან მყუდრო ადგილი მოძებნა, მოღზე ფეხი მოირთხა და თავისი მეგობრის — კონრექტორ პაულმანის ნაჩუქარი ჯანისმოყვანი წეკო გააბოლა. იქვე სულ ახლოს ისმოდა ლამაზი ელბის მწვანე-ოქროსფერი ტალღების დგაფუნე. მშვენიერ დრუზდენს გამჭვირვალე ზეცაში აეტყორცნა თავისი თეთრი კოშკები, გვეგონებოდა, ზეცა აყვავილებულ მდელოებზე და მწვანედ მოხასხასე ტყეებში ეშვებო. კუწუბიანი მთების იქით ქუფრ ბინდბუნდში შორეული ბოჰემია მოჩანდა. ანსელმუსი დიდხანს ეწეოდა თამბაქოს და კვამლს ჰაერში ბოლქვებად უშვებდა. ბოლოს ხმამაღლა ამოთქვა თავისი გულის ვარამი: „მხოლოდღა ტანჯვა-წუხილისათვის ვარ გაჩენილი ამქვეყნად, აბა, რა არის ამდენი ვაი-ვაგლახი. ამას რომ ვამბობ, წვრილმან ნავსიან შემთხვევებს კი არ ვგულისხმობ, ბანქოს თამაშისას რომ ჯვრის ტუზი ჩემს დღეში არ მომსვლია ანდა კენტისა

და ლუწის გამოცნობა რომ დღენიადაგ მეშლება ან კიდევ ბუტერბროდი რომ ყოველთვის კარაქწასმული მხრიდან მივარდება ძირს; განა უბედურ ვარსკვლავზე დაბადებას არ ნიშნავს, ეშმაკის ჯიბრზე სტუდენტი ვახდენდა მთელი სიცოცხლე მაინც პროვინციელ საფრთხობელად დარჩე? მომხდარი რღესმე, ახალი სერთუკი ჩამეცვას და იმწამსვე ქონით არ გამეთხუპნეს, რე უფლებით ჩარჭობილ ლურსმანზე არ გამომეგლიჯოს? ან ის თუ ყოფილიყო წინასწარმეტყველის მრჩეველ ბატონს ანდა ქალბატონს მივესალმო და ქუდი თავიდან არ წამძვრეს და სადღაც ჯანდაბაში არ გადავარდეს, ხოლო თავად კი მოკრიალებულ იატაკზე ფეხი არ დამიცდეს და ჩემდა სამარცხვინოდ ზღართანი არ მოვადინო. განა ჩვეულებრივი ამბავი არ არის ჩემთვის ყოველ ბაზრობის დღეს ქალეში სამი-ოთხი გროშის გადახდა უნებლიეთ გატეხილი ქოთნის გამო, რადგან ამ დროს ყოველთვის ეშმაკი შემიჩნდება ხოლმე და ჩემდა უნებურად მაინცდა-მაინც თბასავით იმ ქოთნებს მიმახეთქებს კისრისტეხით. სიცოცხლეში ერთხელ მაინც თუ მივსულვარ თავის დროზე კოლეჯში ან სხვაგან სადმე? მერე რა, რომ ნახევარი საათით აღრე გამოვდივარ სახლიდან? საკმარისია სადარბაზო კარის წინ აღმოვჩნდე, ზარს ხელი ჩამოვკრა, რომ საიდანღაც ეშმაკი გამოხტება და საპნიან წყალს თავზე გადამასხამს ანდა მთელი ძალით დავეჯახები ვინმე სახლიდან გამოსულ ბატონს და ათას ხათაბალასაც გადავეყრები ამის გამო, თორემ დაგვიანებას ვინდა ჩივის. ო, ღმერთო ჩემო, სად გაქრა იმ წუთების ნეტარი ოცნებები მომავალ კეთილსევობაზე, როცა ამპარტავნულად მჯეროდა, საიდუმლო მდივნის ადგილი მეღირსება-მეთქი, მაგრამ ჩემმა ყუყურობამ მოკეთენიც კი გადამკიდა. კარგად ვიცოდი, საიდუმლო მრჩეველი, რომელთანაც რეკომენდაცია გამიწიეს, დასანახავად ვერ იტანდა შეკრეჭილ თმას. და აი რის ვაი-ვაგლაბით მიამაგრა დალაქმა ჩემს კეფას პაწაწკინტელა ნაწნავი, მაგრამ პირველი მისალმებისთანავე ის დაწყევლილი ზონარი, რითაც ნაწნავი იყო კეფაზე მიბმული, გაწყდა, ხოლო მკვირცხლმა მოპსმა, რომელიც იქვე იდგა და მსუნავდა, საზეიმოდ მიართვა ნაწნავი საიდუმლო მრჩეველს. შეცბუნებული წამოვვარდი და ვეტაკე მაგიდას, რომელზეც საიდუმლო მრჩეველი მუშაობისას საუზმობდა ხოლმე. ფინჯნები, თეფშები, სამელნე და ქვიშიანი კოლოფი წკრიალ-წკრიალით მიეხალა ერთმანეთს და მეღანში აგლესილი შოკოლადი გადაესხა ახალდაწერილ მოხსენებას. „თქვენ, ბატონო, ხომ არ გადაირიეთ!“ — ღრიალებს განრისხებული საიდუმლო მრჩეველი და გარეთ მისვრის. მერე რა, რომ კონრექტორი პაულმანი გამამწერის ადგილს მპირდება. ჩემი ბედუქუღმართობა, რომელიც ყველგან თან მღევს, ამის უფლებას მას არ მისცემს. აი, თუნდაც დღეს, როგორ მინდოდა წყნარად, ჩემთვის მექეიფა ამალლების წმინდა დღეს. სხვებზე ნაკლები რიხით როდი დავიძახებდი ლინკეს აბაზანებში ყოფნისას: „შენ ეი, ოფიციანტო, ერთი ბოთლი მაგარი ლუდი მომართვი, თანაც საუკეთესო!“ გვიან ღამემდე დავყოფდი იქ და ბრწყინვალედ ჩაცმულ-დაბურულ გოგონებს გულისყურს არ მოვაკლებდი. გაბედულება შემასხამდა ფრთას და სულ სხვა კაცი გავხდებოდი. ის კი არადა, თუ ვინმე გოგო მკითხავდა, რომელი საათია ანდა ნეტა რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასრულებენო, ზრდილობიანად ფეხე წამოვდგებოდი და ერთ ჭიქასაც არ წავაქცევდი, არც სკამს დავეჯახებოდი, წელში თავაზიანად მოვიხრებოდი, ორ ნაბიჯს წინ გადავდგამდი და ასე მოვახსენებდი: „ნება მიბოძეთ, მადმუაზელ, გითხრათ — ეს არის უვერტიურა ოპერისა „დუნაის ქალწული“, ანდა — მალე ექვსი საათა შესრულება-მეთქი. ერთი მიფხარით, განა შეიძლება ამისათვის დასცინო ადამიანს?

მაგრამ გოგონები მაინც ეშმაკური ღიმილით ჩაიციებდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, თითქოს ძალიან გამოვიდე თავი და ყველას გამოძწევად დავანახე, რომ ძალიან საზოგადოების წესები სულაც არ მესმება და მანდილოსნებთან თავის დაჭერა მეც ვიცი. მაგრამ ახლა რაღა იქნება განგებამ გამლებით სავსე იმ დაწყველილ კალათაზე ფეხი წამომაკვრევინა და, რას იზამ, მარტომმარტომ უნდა ვაბოლო ჩემი თუთუნი“.

მოულოდნელად სტუდენტ ანსელმუსის მონოლოგი შეწყვიტა უცხაურმა შრიალმა და შარიშურმა, მასთან სულ ახლოს, გვერდზე, ბალახებში რომ გაისმა, მერე ეს უჩვეულო ხმა ანწლის ტოტებსა და ფოთლებზე ასრიალდა და ანსელმუსის თავს ზემოთ შეჰკრა კამარა. იფიქრებდი, საღამოს ქარი არხევს ფოთლებსო, ან კიდევ ჩიტუნები აჟივჟივდნენ და ანწლის ტოტებში ანცად ააფრთხილეს პაწაწა ფრთებიო. უცებ გაისმა ჩურჩული და შრიალი და თითქოს ზარებივით აელერდნენ ყვავილები. ანსელმუსი სმენად იქცა და თვითონაც არ იცოდა, როგორ გარდაიქმნა ეს შრიალი, ჩურჩული თუ აივჟივი წყნარ, ძლივს გასაგონ სიტყვებად:

„შიგ შუაგულში, შუა ალაგას, ტოტებსა და ტოტებს შორის, სურნელოვან ყვავილებში ვირხევით, ვირწევით, ვიგრიხებით, დაიკო, დაიკო! ილივლივე ნათელში! ჩქარა, ჩქარა! ზემოთ და ქვემოთ! მწუხრის მზე სხივებს გვფენს, ჩურჩულებს მწუხრის ქარი. ბზინავს ცვარ-ნამი, ყვავილები გალობენ. ენა ამოვიდგათ, ვიმღეროთ ყვავილებთან და ტოტებთან ერთად! მალე გაბრწყინდებიან ვარსკვლავები. უნდა ავფრინდეთ ზემოთ და დავეშვათ ქვემოთ. შიგ შუაგულში, შუა ალაგას, ვირხევით, ვირწევით, ვიგრიხებით“.

და ასე გრძელდებოდა ერთხანს ჭკუისდამკარგავი ლაპარაკი. სტუდენტმა ანსელმუსმა გაიფიქრა: „ეს ხომ მწუხრის ქარია და სხვა არაფერი, ოღონდ დღეს რატომღაც მეტიმეტად გასაგებად მეჩურჩულება რაღაცას!“ მაგრამ სწორედ ამის გაფიქრებისთანავე მის თავს ზემოთ გაისმა თეთრი ბროლის ზანზალაკთა ყლრიალი. ანსელმუსმა აიხედა და დაინახა სამი მომწვანო-მოოქროსფრო ქოდქოდა. ისინი ტოტებს შემოხვეოდნენ და ჩამავალ მზისკენ მიეშვირათ თავები. ისინი კვლავ ჩურჩულდნენ და სისინებდნენ, გველები სრიალებდნენ და სხმარტალებდნენ, ზემოდან და ქვემოდან აღერსით ეკვროდნენ ფოთლებს და ტოტებს და მათ სწრაფ მოძრაობაში ანწლის ბუჩქი თითქოს დაბინდულ ფოთლებიდან მოციმციმე ზურმუხტის სხივებს მიმოაბნევდა გარშემო. „ეს ხომ ანწლის ბუჩქებში მოთამაშე ჩამავალი მზის სხივია“, — ერთი კი გაიფიქრა სტუდენტმა ანსელმუსმა, მაგრამ ზარები კვლავ აელერდნენ და ჭაბუკმა ცხადად დაინახა, როგორ წამოჰყო თავი ერთმა გველმა და მომწვანო-მოოქროლი მზერა მიაპყრო ანსელმუსს. თითქოს მთელ სხეულში დენმა დაუარაო, გული შეუთრთოლდა, თვალი ვედარ მოსწყვიტა ქოდქოდას და როცა იხილა, რა გამოუთქმელი ნდობით შესცქეროდნენ მშვენიერი მუქლურჯი თვალები, უზენაესი ნეტარებისა და უძირო სევდის დღემდე გამოუცნობმა გრძნობამ ლამის მკერდი გაუპო. რაც უფრო დიდხანს უმზერდა ანსელმუსი მხურვალე გულისთქმით მხიბლავ თვალებს, მით უფრო ძლიერად რეკდნენ ბროლს ზართა მშვენიერი აკორდები, ხოლო ირგვლივ დაფრქვეული მბრწყინავი ზურმუხტები მოელვარე ძაფებივით შემოგვირისტებოდნენ მას, ათასფერი ნაპერწკლების დარად ენთებოდნენ და როკავდნენ მის გარშემო. ანწლის ბუჩქი შეირხა და თქვა: „ჩემს ჩრდილში წევხარ. მე ვარ ის სურნელი, ხელი რომ შემოგხვია, მაგრამ ვერ კი გაიგე. იცი, ეს სურნელი ტრფობით გულდამწვარის ნაუბარია“. სა-

ლამოს ქარმა გვერდით ჩაუჭროლა და უჩურჩულა: „მე ვარ ის სუნთქვა, საფეთქლებზე რომ შეგებო, მაგრამ ვერ კი გაიგე. იცი, ეს სუნთქვა ტრფობით გულდამწვარის ნაუბარია“. მზის სხივებმა ღრუბლები გაარღვიეს და მათი ნათელი სიტყვებად გაცისკროვნდა: „მე ვარ ის ავარვარებული ოქრო, ზედ რომ დაგეფრქვა, მაგრამ ვერ კი გაიგე. იცი, ეს მხურვალე ტრფობითუ გულდამწვარის ნაუბარია“.

მზის სხივები

რაც უფრო ღრმად იძირებოდა ანსელმუსი მშვენიერ თვალთა მზერაში, მით უფრო დაუთკებელი იყო მისი ღტოლვა და მწველი სურვილი. და აი, ამოძრავდა და ამღელვარდა სიცოცხლის წყურვილით გაღვიძებული ყოველი არსი. ყვავილები სურნელს აფრქვევდნენ ირგვლივ. ეს სურნელი ფლეიტის ათასნაირი მშვენიერ სიმღერას ჰგავდა, ყვავილთა სიმღერის ექოს შორეულ ქვეყნებში მიაქანებდნენ მწუხრის ოქროსფერი ღრუბლები. მაგრამ როს მზის უქანასკნელი სხივი მთების მიღმა ჩაიკარგა და დედამიწაზე ბინდმა დაისადგურა, შორიდან როხრობა, ხრინწიანი ხმა გაისმა: „ჰეი, ჰეი, ეს რა მითქმა-მოთქმა და ჩურჩულ-ეურკურია. ეს ვინ დაეძებს სხივს მთებს გადაღმა? საქმარისად გათბით და სიმღერითაც გული იჯერეთ. ჰეი, ჰეი, ბუჩქებში და ბალახებში. ბალახებსა და მდინარეში! ჰეი, ჰეი, ქვემოთ ჩამოდით! ქვემოთ ჩამოდით!“

ეს ხმა თითქოს შორეული გრუხუნის ექოში ჩაიკარგა, ხოლო ბროლის ზანზალაკები მკვეთრ დისონანსებში ჩაიმსხვრნენ. ყველაფერი მიჩუმდა, ანსელმუსმა დაინახა, როგორ შესრიალდა ბალახში სამი ბრჭყვიალა და ციმციმა ქოლქოდა და მდინარეში შეცურა. შრიალითა და შარიშურით ეკვეთნენ ისინი ელბას და მის ტალღებს აჰყვნენ. მერე კი ტალღებშივე გაუჩინარდნენ. ტალღებზე კი მწვანე ცეცხლი დაენთო, მან მრუდე გუზი ქალაქისკენ აიღო და გაუჩინარდა.

მორა ვივილია

როგორ ეგონათ სტუდენტი ანსელმუსი გიჟი და ნაბახურევი. ელბაზე გასეირნება. კაპელმაისტერ გრაუნის მხიარული არია. კონრადის ლიქიორი და ვაშლებით მოვაჭრე ბრინჯაოს დედაბერი.

„ეს კაცი ჭკუაზე არ უნდა იყოს!“ — ჩუმად ჩაილაპარაკა ერთი პატივცემული ბიურგერის ცოლმა, რომელიც თავის ქმარ-შვილთან ერთად სეირნობიდან შინ ბრუნდებოდა. წამით შედგა, გულზე მიიღო ხელი და გაოცებით დაუწყო ყურება სტუდენტ ანსელმუსის ახირებულ ქცევას. ანსელმუსი ანწლის ბუჩქს ჩახვეოდა და კვლავ და კვლავ ჩასძახოდა მის ტოტებსა და ფოთლებს: „ო, ერთხელ კიდევ აბრწყინდით და აციმციმდით, საყვარელო ოქროსფერო პაწია ქოლქოდებო, ერთხელ კიდევ შემხედეთ მაგ მშვენიერი ლურჯი თვლებით. ო, ერთხელ კიდევ, თორემ მომკლავს წუხილი და მხურვალე წადილი თქვენი“. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ანსელმუსს ღრმა ოხვრა და საწყალობელი გმინვა აღმოხდა გულიდან, მოუთმენლად, ნდომით შეანჯღრია ანწლის ბუჩქი, რომელიც პასუხის ნაცვლად ყრუდ და მღუშარედ აშრიალეებდა ფოთლებს, თითქოსდა სტუდენტ ანსელმუსის სატკივარს არაფრად აგდებოდა. „ეს კაცი ჭკუაზე არ უნდა იყოს“, — კიდევ გაიმეორა ბიურგერის ცოლმა და ანსელმუსიც ერთბაშად გონს მოეგო, თითქოს ვილაცამ ღრმა ძილიდან გამოაფხიზლა და ცივი წყალი გადაასხა. მერე კი ანაზდად ისიც ცხადად დაინახა, სად იყო, რას სჩადიოდა, მიხვდა, რა უცნაურად ჩაითრია უცხო ზმანებამ და სრულაად მარტომ თავის თავთან ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყო. შემცბარმა შეხედა ბიურგერის ცოლს, მე-

რე ძირს დაგდებული თავისი ქუდი აიღო, რომ რაც შეიძლება ჩქარა აეკრა გულ-
და-ნაბადი. ამასობაში ოჯახის მამაც მიუახლოვდა ანსელმუსს, ხელში აყვანი-
ლი ჩვილი ბავშვი ბალახზე დასვა, თავის ჯოხს დაეყრდნო, სტუდენტს ჩაჩერ-
და და ყური მიუგდო მის ლაპარაკს, მერე ძირს დავარდნილი ყალიონი და სა-
თუთუნე აიღო, სტუდენტს გაუწოდა, თან უთხრა:

უჩინეულო!

„რა არის, ასე საზარლად რომ მოთქვამთ ამ ღამეში და დღეს-უფროსებთ
ადამიანებს, ბატონო ჩემო? განა რა გჭირთ საამისო? ზედმეტი მოგსვლიათ და
დამთვრალხართ, სხვა ხომ არაფერი. ასე იცის ღვინომ, მაგრამ არა უშავს რა,
წადით შინ, ჩაწექით ლოგინში და გამოიძინეთ.“ სტუდენტ ანსელმუსს ძალიან
შერცხვა და გულსაკლავად ამოიკვნესა, ბიურგერმა კი განაგრძო: „მაგრამ მაგა-
ში ცუდი არაფერია, ყველას მოსდის ასეთი რამ. ამაღლების დღესასწაულზე
კაცს გინდა გული გაიხარო და ზომაზე მეტი დალიო, აქ რაა გასაკვირი, ღვთის
კაცსაც ემართება ეს, და თქვენც ხომ თეოლოგიის კანდიდატი ბრძანდებით!
თუ შეიძლება ყალიონს მომაკიდებინეთ, თორემ ჩემი აგერ რახანია ჩაქრა“. —
ეს იმ დროს უთხრა, როცა ანსელმუსი ყალიონისა და სათუთუნის უბეში შენა-
ხვას აპირებდა, ბიურგერმა კი თითქოს ჯიბრზე, აუჩქარებლად, ნელა გამოწმინ-
და თავისი ყალიონი და მშვიდად მოუკიდა. ამ დროს ანსელმუსს რამდენიმე
გოგონა მიუახლოვდა. მათ ბიურგერის ცოლს ჩუმად რაღაც უთხრეს და ხით-
ხითი დაიწყეს, თან ანსელმუსს თვალს არ აშორებდნენ. ანსელმუსი კი ერთ
ადგილზე იდგა გაქვავებული, თითქოს ლურსმნებით დაეჭედებინა ვინმეს.
მერე კი მან ბიურგერის მიერ დაბრუნებულ ყალიონსა და სათუთუნეს ხელი
დაავლო და თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა. ერთბაშად გაუქრა და მიავიწყდა
ცოტა ხნის წინათ ზმანებული უცნაურობები და სწრაფად მოეგო გონს. მიხვდა,
რომ ანწლის ბუჩქთან ათასნაირ სისულელეს ჩმახავდა ხმამაღლა. ეს ამბავი კი
უფრო იმიტომაც იყო შემადრწუნებელი, რომ ბავშვობიდანვე შინაგან სიძულ-
ვილს გრძნობდა თავის თავთან მოლაპარაკე ადამიანების მიმართ. თვით ეშმაკი
ლაპარაკობს ეგეთების პირითო, ამბობდა რექტორი და ანსელმუსსაც ასე სჯე-
როდა. ამაღლების დღესასწაულზე დამთხვეულ თეოლოგიის კანდიდატად რომ
სცნეს, ამაზე ფიქრიც კი აუტანლად ეჩვენებოდა. ის იყო კოზელის ბაღში, ჩი-
ნარების ხეივანში უნდა შეეხვია, რომ ზურგს უკან მოესმა ძახილი:

„ბატონო ანსელმუს! ბატონო ანსელმუს! ღვთის გულისათვის, მითხარით,
სად მიიჩქარით ასე თავ-პირის მტვრევით?!“ სტუდენტი შიშით ლამის მიწაში
ჩაძვრა, ეგონა, უბედურება დამატყდა თავსო. მას კვლავ მოესმა ხმა: „ბატონო
ანსელმუს, მოიხედეთ, აგერ მდინარესთან გელოდებით!“

ახლა კი მიხვდა სტუდენტი, რომ მისი მეგობარი — კონრექტორი პაულმანი
ეძახდა. ანსელმუსი მდინარე ელბის ნაპირას გავიდა. აქ მას კონრექტორი პაულ-
მანი დახვდა თავისი ორი ასულით, აქვე იყო რეგისტრატორი პეებრანდიც,
ისინი ელბაზე ნავით გასეირნებას აპირებდნენ. კონრექტორმა პაულმანმა სტუ-
დენტ ანსელმუსს ჯერ ნავით ელბაზე გასეირნება შესთავაზა, შემდეგ კი პირ-
ნას გარეუბანში მდებარე თავის საცხოვრებელში მიიწვია. ანსელმუსს სიხარუ-
ლი მოჰგვარა ამ მიპატიებებამ. იქნებ ამით დღეს თავსდატეხილი ავი ბედისწე-
რა განვირიდოთ, სწორედ მაშინ, როცა მდინარეში შესცურეს ნავით, მოულო-
დნელად გაღმა ნაპირზე, ანტონის ბაღთან შუშხუნები აუშვეს. ტყრციალითა
და ზრიალით აფრინდნენ ცაში რაკეტები, მოციმციმე ვარსკვლავები ჰაერში
დაიმსხვრნენ და სხივები და ნაპერწკლები მოაფრქვიეს ირგვლივ. სტუდენტი
ანსელმუსი მენიჩბის გვერდით იჯდა ფიქრებში წასული და როცა წყალში ჩა-

იხედა, ჰაერში დაფრქვეული ნაპერწკლების ანარეკლი დაინახა. მოეჩვენა, თითქოს თქროსფერი გველები მისრიალებდნენ მდინარეზე და რაც კი საოცრება იხილა ანწლის ბუჩქთან, ყველა ხელახლა გაცოცხლდა მის თიქრებში. მას ისევ და ისევ მოეძალა გამოუთქმელი ლტოლვა და მგზნებაც სურვილი, რამაც გული ტანჯვით აღსავსე მთრთოლვარე ალტყინებით აუქვეყნებდა ისევ თქვენა ხართ, თქროს ქოდქოდებო, მიმღერეთ რა, მიმღერეთ რა, მიმღერეთ რა კვლავ მახილვინებს მშვენიერ და საყვარელ მუქლურჯ თვალებს. ო, აქ არა ხართ განა, ტალღებში? — ისეთნაირად გაპყვიროდა სტუდენტი ანსელმუსი და ისე იგრიხებოდა, გეგონებოდა, ნავიდან მდინარეში უნდა გადაეშვასო.

„თქვენ, ბატონო, ხომ არ შეიშალეთ!“ — იყვირა მენიჩბემ და სერთუკში ჩაავლო ხელი. მის გვერდით მჯდომ გოგონებს შიშისაგან ელდა ეცათ, გულგახეთქილებმა ყვირილი მორთეს და ნავის მეორე მხარეს მიაწყდნენ დამფრთხალი...

რეგისტრატორმა კონრექტორ პაულმანს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, იმანაც უბასუხა. სტუდენტმა ანსელმუსმა მარტო ეს სიტყვები გაიგონა:

„მსგავსი გამოხდომები სხვა დროს არასოდეს შემინიშნავს“. ამის შემდეგ კონრექტორი პაულმანი წამოდგა, სტუდენტ ანსელმუსს გვერდით მიუჯდა, მისი ხელი ხელში აიღო და ოფიციალურ, დარბაისლურ კილოზე უთხრა: „თავს როგორა გრძნობთ, ბატონო ანსელმუს?“ სტუდენტი ანსელმუსი ლამის შეიშალა, რადგან ვერა და ვერ შესძლო მორეოდა თავის სულში გაჩენილ გიჟურ გაორებას. მან სრულიად ცხადად დაინახა, რომ თქროს გველუკებად ზმანებული შუქი ანტონის ბალთან აშვებული ფოიერვერკის მხოლოდ ანარეკლი იყო, მაგრამ მას გულს უტოკებდა ენით უთქმელი გრძნობა, რომლისთვისაც თვითონაც ვერ დაერქმია სახელი, არ იცოდა, რა იყო ეს: ნეტარება თუ წუხილი. და როცა მენავე ნიჩბით წყალს მიაპობდა, ხოლო წყალი თითქოს განრისხდაო, ჭავლებად აგორდა, აიგრიხა, აჩუხჩუხდა, აშხაპუნდა, მას შემოესმა იდუმალი ჩურჩული და შრიალი: „ანსელმუს! ანსელმუს! ვერა ხედავ განა, როგორ დაეცურავ შენ წინ? დაიკო გიყურებს და გჯეროდეს, გჯეროდეს, გჯეროდეს ჩვენი“... და ანსელმუსს სხივთა ათინათში სამი მწვანედ მოგიზგიზე ზოლი მოეღანდა. სახემწუხხარმა ჩაიხედა წყალში, ეგებ მშვენიერმა თვალებმა მდინარიდან შემომინათონო და კარგად გაარჩია, რომ ეს შუქი სანაპიროზე ჩამწკრივებული სახლების გაჩირადდნებული ფანჯრებიდან მოდიოდა. დაღვრემილი იჭდა იგი და საკუთარ თავს ებრძოდა.

კონრექტორმა პაულმანმა მკაცრად ჰკითხა:

„რა დაგემართათ, ბატონო ანსელმუს?“

მთლად დათრგუნვილმა სტუდენტმა კი უბასუხა:

„ო, ძვირფასო ბატონო კონრექტორო, რომ იცოდეთ, რა მეზმანა ცხადში, თვალგახელალს, ანწლის ბუჩქის ძირას, ლინკეს ბალნარის კედელთან, მაშინ არ გაიკვირებდით, რატომ ვარ ასე“.

„ო, ბატონო ანსელმუს, — სიტყვა შეაწყვეტინა კონრექტორმა პაულმანმა: — „მე დარბაისელ ყმაწვილ კაცად გიცნობდით, ეს ოცნება-სიზმარი კი რაღაა, თანაც ცხადში, მერე კი ერთბაშად წყალში ჩახტამის სურვილიც მიგეძალათ. მომიტევეთ, მაგრამ ეს მარტო გიჟებს ემართებათ ანდა სულელებს“. მეგობრის სასტიკმა ნათქვამმა მთლად წაახდინა სტუდენტი ანსელმუსი, ამ დროს კი ვერონიკამ, პაულმანის უფროსმა ქალიშვილმა, თექვსმეტი წლის ლამაზმა, აკოკრებულმა გოგონამ მამას ასეთი რამ უთხრა:

„ხომ შეიძლება მოხდეს, მაშინ, ბატონ ანსელმუსს უცნაურობა დასჩემდეს, და მოეჩვენოს, რომ ეს მართლა ხდება, სინამდვილეში კი უბრალოდ ანწლის ბუჩქის ძირში ეძინოს და რაღაც სისულელე დაესიზმროს, რისი ვერებოდან ამოგდება ვერაფრით ვერ შესძლოს“.



საუბარში რეგისტრატორი ჰეებრანდი ჩაერია.

ერსტ თეოდორ

„ძვირფასო გოგონა, ბატონო კონრექტორო, მღვიძარესაც მღვიძარესავე გემართოს მსგავსი რამ, ერთბაშად ჩაიძირო მთელმარე ყოფაში, ასეთი შემთხვევა შეც მჭონდა ერთხელ შეადლით, ნასადილევის, ყავის სმის დროს, საჭმლის მონელებას ხომ, ჩვეულებრივ, ფიზიკური და სულიერი მოღუწება მოჰყვება ხოლმე, პოდა, სწორედ იმხანად მომაგონდა, სად უნდა ყოფილიყო ერთი ჩემი დაკარგული საბუთი, ხოლო გუშინ ამნაირადვე ჩემ წინ აცეკვდა მშვენიერი ლათინური ხელნაწერი“.

„ო, პატივცემულო ბატონო რეგისტრატორო, — უთხრა კონრექტორმა პაულმანმა, — თქვენ ხომ ყოველთვის გჭონდათ რაღაც განსაკუთრებული ლტოლვა პოეზიისადმი, თქვენნაირები ადვილად ვარდებიან ხოლმე ფანტასტიკურ და რომანტიკულ სიტუაციებში“. ანსელმუსს როგორღაც გულზე მოეშვა, რაკი ნაბახურევად და გიყად არ შერაცხეს, რაკი ამ მეტიხმეტად უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანეს და სრულიად მოულოდნელად, ჩამოწოლილი წყვილიდის მიუხედავად, თავის სიცოცხლეში პირველად დაინახა მან ვერონიკას მშვენიერი მუქლურჯი თვალები, სწორედ ისეთი, ანწლის ბუჩქის ძირას რომ ეზმანა. სტუდენტ ანსელმუსს უცბად დაავიწყდა მოღანდება ანწლის ბუჩქთან და ახლა თავს ერთობ მსუბუქად და ლალად გრძნობდა. ნავიდან გადმოსვლისას თავის მფარველ ანგელოზს — ვერონიკას ხელიც კი შეაშველა, მერე ხელკავი გამოსდო და ბედნიერებით აღსავსემ ისე მოხდენილად მიაცილა სახლამდე, რომ მხოლოდ ერთადერთხელ დაუცდა ფეხი და აპიც იძიტომ, რომ გზაზე წუმპე შეხვდა, ოღონდ ის კი იყო, ვერონიკას თოვლივით ქათქათა კაბას ერთი წინწკალი მიეშხეფა. კონრექტორ პაულმანს არ გამოპარვია სტუდენტ ანსელმუსის გასახარელი ფერიცვალება, იგი კვლავ კეთილად განეწყო მის მიმართ და წელანდელი მკვანე სიტყვებისთვის პატივბაც კი სთხოვა.

„ღიან, — დაუმატა მან, — ბევრი ვიცით იმის მაგალითი, რომ კაცს ხილვები აეკვიატება, რაც დიდად აწუხებს და ტანჯავს, მაგრამ ეს ფიზიკური დაავადება უფროა და ძალიან შველის წურბლები, რომლებიც, თუ ნებას მომცემთ, გეტყვით, რომ უკანალზე უნდა დაისვათ, როგორც ამას ერთი ცნობილი აწ განსვენებული მეცნიერი ამტკიცებდა“.

კაცმა რომ თქვას, სტუდენტმა ანსელმუსმა თვითონაც არ იცოდა, მთვრალი იყო, გიყი თუ ავადმყოფი, ყოველ შემთხვევაში წურბლების დასმა სრულიად ზედმეტად მიიჩნია, რადგან წელანდელი ხილვები უკვალოდ გამქრალიყვნენ, ახლა ხალისიანადაც გამოიყურებოდა, ხალისი კი მშვენიერი ვერონიკასათვის ათასნაირი ქათინაურების თქმასთან ერთად უსკვეცდებოდა. მცირე ვახშამს მუსიკა მოჰყვა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. სტუდენტი ანსელმუსი ფორტეპიანოს მიუჯდა, ხოლო ვერონიკამ იმღერა თავისი წკრიალა, სუფთა ხმით.

„ძვირფასო მადმუაზელ, — უთხრა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა, — თქვენ ბროლის ზარივით ხმა გაქვთ“.

„ო, სულაც არა, — აღმოხდა მოულოდნელად ანსელმუსს და ვერა და ვერ მიხვდა, რატომ უყურებდა ყველა გაოცებული და შეცბუნებული. — ბროლის

ზარები ანწლის ბუჩქის ძირას ეღერდნენ საოცრად, საოცრად, — ძლივსგა-
საგონად წამოიღულულულა მან ვერონიკამ ამ დროს მხარზე ხელი დაადო და
უთხრა:

„რას ამბობთ, ბატონო ანსელმუს?“ — და სტუდენტი უცებ ავლავ გამო-
ფხიზლდა, მერე ფორტეპიანოს მიუბრუნდა. კონრექტორმა კონრექტორმა კი
შეუბღვირა მას, ხოლო რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ნოტები შეიკრიბა და დალა-
გა და დიდის აღმაფრენით იმღერა კაპელმაისტერ გრაუნის⁶ მხიარული არია.
სტუდენტმა ანსელმუსმა კიდეც მრავალჯერ დაუკრა მისთვის, ხოლო ვერონი-
კასთან ერთად შესრულებულმა ფუგარებულმა დუეტმა კონრექტორ პაულმა-
ნის მიერ დაწერილი მუსიკის მიხედვით, ყველა მხიარულ გუნებაზე დააყენა.
უკვე კარგა შეღამებული იყო, როცა რეგისტრატორმა მოჰკიდა ხელი თავის
ქუდსა და ჯოხს და წასვლა დააპირა. ამ დროს მასთან უმაღლესი გაჩნდა კონრექ-
ტორი პაულმანი და ყურში ჩუმად, სხვებისაგან ფარულად უთხრა:

„ხომ არ სჯობია, პატივცემულო რეგისტრატორო, თვითონ მოახსენოთ
ბატონ ანსელმუსს, აი, იმაზე, ადრე რომ გეჭონდა ლაპარაკი“.

„დიდი სიამოვნებით“, — მიუგო რეგისტრატორმა ჰეებრანდმა და როგ-
ორც კი თავის გარშემო ყველა შემოიკრიბა, გულახდილი საუბარი გააბა მათ-
თან.

ჩვენს მხარეში ერთი უცნაური, ხანში შესული კაცი ცხოვრობს. ამბობენ,
რადაც იღუმალ მეცნიერებებს მისდევსო და რაკი ეგეთმა რამეებმა უკვე კარ-
გა ხანია დრო მოჭამა, მე მას უფრო მკვლევარ ანტიკვარს დავუძახებდი ანდა
ექსპერიმენტატორ ჭიმიკოსს. ამას რომ ვამბობ, სხვას არავის ვგულისხმობ, თუ
არა ჩვენს საიდუმლო ბურუსით მოცულ არქივარიუს ლინდჰორტს, კარგად
მოგეხსენებათ, რომ იგი განმარტობით ცხოვრობს ქალაქგარეთ თავის ძველ
სახლში. სამსახურიდან თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში ანდა ჭიმიურ ლაბო-
რატორიაში ატარებს, სადაც არავის აჭაჭანებს. ბევრი უიშვიათესი წიგნის გა-
რდა, იგი არაბული, კობტური, აგრეთვე დღემდე უცნობ ენებზე საოცარი იე-
როგლიფებით შედგენილი ხელნაწერების მფლობელიცაა. სწორედ ამათი გადა-
წერა ნებაგს მას უნატიფესად და საამისოდ კაცი სჭირდება, კალმით ხატვის
მცოდნე და ოსტატი, რომელიც სასოებით, უაღრესი სიზუსტითა და სისათუ-
თით გადაუტანს ტუშით პერგამენტზე ამ ხელნაწერებს. გადამწერი ლინდჰორს-
ტის მიერ საგანგებოდ მიჩენილ ოთახში იმუშავენ მისივე მკაცრი მეთვალყუ-
რების ქვეშ და სანამ ხელნაწერების გადაწერას დაასრულებდეს, სასაუზმო-
დაც იქვე დარჩება ხოლმე, თან დღეში თითო შპეციესტალერს⁶ მიიღებს, ხოლო
თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, საკმაოდ დიდი თანხის საბოძვარსაც, გა-
დამწერი იმუშავენს ყოველდღე დილის თერთმეტი საათიდან სადამოს ექვს
საათამდე. სამიდან ოთხამდე შესვენება ექნება საუზმისათვის. რაკი ახალგაზრ-
და გადამწერს ხელი მოეცარა, მე მთხოვა ოსტატი კალიგრაფი მეპოვა მის-
თვის. არჩევანი თქვენზე შევარჩეე, საყვარელო ბატონო ანსელმუს, რადგან
ვიცი, რომ სუფთადაც წერო და კალმითაც წმინდად და ნატიფად გამოგყავო
ხაზი. თუ გინდათ ამ ჩვენს მძიმე დროებაში მუდმივი სამსახურის დაწყებამდე
ყოველდღიურად თითო შპეციესტალერი იშოვოთ, თანაც საჩუქარიც მიიღოთ,
ნუ დაიზარებთ და ხვალ ზუსტად თორმეტ საათზე ეწვიეთ ბატონ არქივარიუსს,
რომლის ადგილსამყოფელის ცნობა არ გაგიჭირდებათ. მაგრამ გაფრთხილებოთ,
არაფრით მელნის ლაქა არ მოხვდეს თქვენს ნამუშევარს. ერთი ბეწო მელანიც
რომ წაეცხოს, არ შეგიბრალებთ ბატონი არქივარიუსი. თავიდან გადაგაწერი-

ძარღვებიდან სისხლმა ამოასხა და გველის გამჭვირვალე ტანი ერთბაშად წითლად შეიღება. „მომკალი, მომკალი ბარემ და ის იქნება“, — თავზარდაცემულს ეწადა ყვირილი, მაგრამ ყვირილის ნაცვლად მკერდიდან ხრტინა აღმოსვდა. გველმა თავი წამოაჭყო, გავარვარებული ლითონის გრძელი, წვეტიანი ენა ანსელმუსს გულზე დაადო, და აუტანელმა ტკივილმა ერთბაშად ჩაქრეს მის სიცოცხლის მაჯისცემა და გრძნობა დაკარგა. როცა გონს მოუკვებოდა, მისი კიბეები საწოლში აწვა, თავზე კონრექტორი პაულმანი ადგა და ეკითხებოდა: „ღვთის გულისათვის, მითხარით, საყვარელო ბატონო ანსელმუს, რა მოგივიდათ ასეთი, რა დაგემართათ?“.

მესამე ვიკილია

ცნობები არქივარიუსის ლინდჰორტის ოჯახზე: ვერონიკას ლურჯი თვალები. რეგისტრატორი შეებრანდი.

„სულმა წყალში ჩაიხედა. წყალი ამოძრავდა, აქაფებული ტალღები აბობოქრდნენ, ზათქით ეკვეთნენ უფსკრულებს, რომელთაც დაეღოთ შავი ხაზები, რათა ხარბად შთაენთქათ წყალი. გრანიტის კლდეებს მოზეიმე ტრიუმფატორებივით მალლა აღემართათ ქონგურებიანი გვირგვინებით შემკული თავები და მეციხოვნეებად ქცეულნი გარს შემოხვეოდნენ ველ-მინდორს, ვიდრე მზე დედისეულ წიაღში არ მიიბარებდა, გზნებით გულში არ ჩაიკონებდა, თავისი ვარვარა სხივებით არ მიუალურსებდა, არ გაათბობდა. მერე ღრმა ძილისაგან გაიღვიძა ათასობით ყლორტმა, ხრიოკ ქვიშაში რომ ჩაეთვლინათ და თავისი ზურმუხტისფერა ფოთლები და ღეროები დედის ბედნიერი პირისახისაკენ გაეწვდინათ. მწვანე აკვანში მოციანარე ჩვილი ბავშვებევით იწვნენ ყვავილები აკოკრებულ კვირტებად, ვიდრე დედამ არ გააღვიძა და მზის სხივებით მოქსოვილი სამოსით არ მოართო, ათასნაირი ჭრელი ფერებით რომ დაეხატა პატარების გულგასახარად. მინდვრის შუაგულში შავი ბორცვი იდგა, რომელიც მგზნებარე გულისთქმით შეპყრობილი ადამიანის ამღელვარებული მკერდივით ადი-ჩადიოდა. უფსკრულებიდან ნისლები აგორდნენ, უზარმაზარ მასებად შეიკვრნენ და ლამობდნენ მხაკვრულად ჩამოეფარებინათ პირბადე დედის პირისახეზე. მერე ქარიშხალი ამორგდა, უფსკრულებში ჩაიფანტა და როცა სპეტაკად მანათობელი სხივები ავლავ შეებო შავ ბორცვს, იქიდან უსახლვრო ალტყინებით იფეთქა მშვენიერმა ცეცხლის შროშანმა, რომელსაც ლამაზი ტუჩებივით გადაეშალა ფურცლები, რათა მშობლის ტკბილი კოცნა ეგრძნო. ახლა ველზე დიდებულა სინათლე დააბიჯებდა. ეს იყო ჭაბუკი ფოსფორუსი, რომელსაც ვნებით შესცქერდა ცეცხლის შროშანი და მტანჯველი ტრფობით დამწვარი ემუდარებოდა: „იყავი მარად ჩემი, ო, მშვენიერო ჭაბუკო, რადგანაც მიყვარხარ და უმალ მოვკვდები, როგორც კი მიმატოვებ“. ჭაბუკმა ფოსფორუსმა კი ასე უპასუხა ცეცხლის შროშანს: „მეც ძალიან მინდა შენი ვიყო, ლამაზო ყვავილო, მაგრამ ამისათვის უმადური შვილივით მოვიწევს დედ-მამას შიტოვება, მეგობარი ქალების დავიწყება და აღმატებული და ძალოვანი შეიქმნები ყველაფერზე, ახლა რომ შენს სწორფრად ხარობს შენთან ერთად. სატრფიალო ლტოლვა, რაიც ამჟამად მთელს შენს არსებას კეთილისმყოფლად ათბობს, ნაირნაირ სხივებად დაიფრქვევა და ვაგტანჯავს, შეგაწუხებს, რადგანაც გრძნობა ახალ გრძნობას ბადებს და უზენაესი ნეტარება — ჩემგნით გაჩენილ ტრფო-

ბის ნაპერწკალს რომ აღანთებს შენს გულში — უიმედო ტკივილია, რაც მოგ-
კლავს, რათა ხელახლა იშვე. სწორედ ეს ნაპერწკალია აზრი“.

„ო, — მოთქვამდა შროშანი, — ნუთუ გამიქრება ამჟამინდელი გზნება
შენდამი, ნუთუ დღეს რომ მიყვარხარ, იმ სიყვარულით არ მეყვარები/სულ?
მაგრამ როგორღა შემოგხედო ამნაირი ტრფობით მას შემდეგ, რაც შენს გულს
მონიშნობს?“ ჭაბუკმა ფოსფორუსმა აკოცა შროშანს და სწრაფად დაეპყრო-
ლმა ცეცხლად იფეთქა. მერე მისგან უცხო არსება იშვა, მან ველ-მინდორს გა-
დაუქროლა. უჭასრულო სივრცეს ოცნებით შემოუარა, აღარც სიყმაწვილის და-
ქალებზე ნაღვლობდა. აღარც საყვარელ ჭაბუკზე. მწარედ დალონდა ფოსფო-
რუსი დაკარგული სატრფოს გამო, რადგან ამ უდაბურ ველზე იგი მშვენიერი
შროშანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა მოიყვანა და გრანიტის კლდეებიც
თანაგრძნობით თავს უხრიდნენ ჭაბუკის უზომო მწუხარებას, ერთმა კლდემ თავ-
ვისი წიაღი გახსნა და იქიდან ხმაურით ამოფრთხილდა შავი ფრთოსანი ურ-
ჩხული, რომელმაც ასე უთხრა ჭაბუკს: „ჩემი ძმები — ლითონები შიგნით
არიან და თვლემენ, მე ყოველთვის ხალისიანი ვარ და მღვიძარე. მინდა მოგეშ-
ველო“. ბოლოს და ბოლოს ტანის გრება-გრებით ურჩხულმა დაიჭირა ეს არსე-
ბა, შროშანმა რომ შვა, მერე იგი ბორცვზე აიყვანა და ფრთები შემოკხვია. იგი
კვლავ შროშანად იქცა, მაგრამ გულში ღრმად ჩარჩენილმა ფიქრმა გრანობა
დაუწიწა და ჭაბუკ ფოსფორუსისადმი სიყვარული მტანჯველ ტკივილად ექ-
ცა, რისგანაც ყვავილები, ადრე რომ მისი შემოხედვით ხარობდნენ, შხამიანი
ანაორთქლის შესუნთქვისაგან დაჭკნენ. ჭაბუკი ფოსფორუსი აღიჭურვა ბრწყინ-
ვალე საჭურვლით, ზედ ათასფერადი სხივები რომ დასთამაშებდნენ და შეე-
რკინა ურჩხულს, რომელმაც თავისი ყორნისფერი ფრთა გაჰკრა ჭავშანს და ჯა-
ვშანმაც მჭახედ გაიყვლია. ამ მძლავრ ელრიალში კვლავ გაცოცხლდნენ ყვა-
ვილები და ქრელი ფრთოსნებივით შემოაფრინდნენ ურჩხულს, რომლის ძა-
ლები მიიღია და ძლეული დედამიწის სიღრმეში ჩაიკარგა. შროშანი განთა-
ვისუფლდა, ჭაბუკი ფოსფორუსი ზეციური ტრფობის მგზნებარე ნდომით მოე-
ხვია მას და ყვავილებმა, ფრინველებმა, თვალუწვდენელი გრანიტის კლდეებ-
მაც კი საზეიმო ჰიმნის თანხლებით მოწიწებით შერაცხეს შროშანი ველის დე-
დოფლად“.

„ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ძვირფასო ბატონო არქივარიუსო, რომ ამ
თქვენს ნაამბობში აღმოსავლური მალაღფარდოვნება სჭარბობს, — თქვა რე-
გისტრატორმა ჰეებრანდმა, — ჩვენ გვინდოდა გეამბნათ, როგორც ეს ხანდახან
იცით ხოლმე, რაიმე თავგადასავალი თქვენი დიდად ღირსშესანიშნავი ცხოვ-
რებიდან, თუნდაც მოგზაურობის ამბები, თანაც ნამდვილი და არა გამოგო-
ნილი“.

„მაშ, ეგ რა გგონიათ, — მიუგო არქივარიუსმა ლინდორსტმა, — რაც გი-
ამბეთ, სწორედ ნამდვილი ამბავია. ეს ზღაპარი, ჩემო კარგებო, ახლახანს რომ
მოისმინეთ, ჩემი ცხოვრებიდანაა აღებული. მე სწორედ იმ ველიდან ვარ წარ-
მოშობით, ხოლო ცეცხლის შროშანი, რომელიც ბოლოს დედოფალი გახდა,
არის ჩემი ბებუის ბებუის ბებუის ბებუის ბებია. ასე რომ, მე თვითონ, კაცმა რომ
თქვას, პრინცი გახლავარ“.

ყველას ხმამალალი სიცილი წასკდა.

„იცინეთ, ჰო, იცინეთ, — განაგრძო არქივარიუსმა ლინდპორსტმა, — ოლ-
ონდ კარგად იცოდეთ, რაც ამ წუთას მოკლედ მოგახსენეთ, იქნებ აბდაუბლად
და სისულელედ კი გეჩვენოთ, მაგრამ ეს სულაც არ არის უაზრობა, მით უმე-

ტეს არც ალფგორიაა, იგი სრული, ნაღდი სიმართლეა ნეტა, ადრე მცოდნოდა, გულს რომ არ მოგეფონებოდათ ამ მშვენიერი სიყვარულის ისტორია, რასაც ჩემს ამქვეყნად მოსვლას ვუმაღლი, თორემ სულ სხვა ახალ ამბავს ვეტყვოდით, ჩემმა ძმამ რომ მიამბო გუშინ“.

„რას ბრძანებთ, ბატონო არქივარიუსო, განა თქვენ ძმაც ვინმეს იმყოფება იგი? სად ცხოვრობს? მეფის სამსახურში დგას თუ სხვა სახის მსახურში? შეცნიერებას მისდევს?“ — დააყარეს კითხვები არქივარიუსს ყოველი მხრიდან.

„არა, — სავსებით გულგრილად მიუგო არქივარიუსმა და მშვიდად შეიწინა ბურნუთი. — ცუდ გზას დაადგა და ურჩხულებთან წავიდა“.

„რა ბრძანეთ, ძვირფასო არქივარიუსო?“ — ხმა ამოიღო რეგისტრატორმა ჰეებრანდმა.

„ურჩხულებთან წავიდა“, — ექოსავით გაისმა ყოველი მხრიდან.

„ჰო, ურჩხულებთან, — განაგრძო არქივარიუსმა ლინდჰორსტმა. — იცით თუ არა, ჩემო ბატონებო, რომ მამაჩემი დიდი ხანი არც არის, რაც გარდაიცვალა, ასე 385 წლის წინათ აღესრულა, ამიტომაც არ გამოიხდია ჯერ კიდევ სამგლოვიარო ტანსაცმელი. მან მიანდერბა მე, მის გამორჩეულად საყვარელ შვილს, დიდებული ონიქსი, რომელზეც სული ელევოდა ჩემს ძმას. ამის გამო ჩვენ ისე უხამსად ვიჩხუბეთ მამის ცხედართან, რომ ცხოვრებულმა მოთმინება დაკარგა, კუბოდან ამოხტა და გულბილწი ჩემი ძმა კიბეზე დააგორა, რის გამოც ძალზე გააფრთდა ჩემი ძმა და უმაღლ ურჩხულებთან წავიდა. ახლა იგი კვიპაროსების ტყეში ცხოვრობს ტუნისთან ახლოს, იქ დარაჯობს განთქმულ მისტიკურ ბადახშის თვალს, რომელიც ლაბლანდიის საზაფხულო აგარაკზე მცხოვრებ ვილაც ნეკრომანტის? საკუთრებაა. მას უფლება აქვს მხოლოდ თხუთმეტი წუთით მიატოვოს სადარაჯო. ამ დროს ნეკრომანტი თავის ბაღში სალამანდრათა კვლებს აკეთებს, ძმა კი ჩემთან ჩამოდის, რათა სეტყვასავით მომაყაროს ნილოსის შესართავთან მომხდარი ახალი ამბები“.

ახლა მეორედ აუტყდათ იქ მყოფებს ხმამაღალი სიცილი, მაგრამ სტუდენტმა ანსელმუსმა თავი რატომღაც ძალიან ცუდად იგრძნო, მას არ შეეძლო თვალი გაესწორებინა არქივარიუსს ლინდჰორსტის გაქვავებული, უაღრესად დარბაისლური მხერისათვის. იგი ენით უთქმელ რაღაც განცდას აღძრავდა მის სულში, გაუგებარ ყრყოლას გვრიდა. არქივარიუსს ლინდჰორსტის როზროხა, მაგრამ უჩვეულო, ლიტონისებრად მელერი, რაღაც იდუმალებით აღსავსე ხმა შიგ გულში სწვდებოდა და ეროიანად აცახცახებდა. ის, რისთვისაც რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ყავახანაში წაიყვანა ანსელმუსი, ამჯერად მიუღწევ მიზნად ჩანდა. მას შემდეგ, რაც არქივარიუსს ლინდჰორსტის სახლთან ის ამბავი შეემთხვა, სტუდენტ ანსელმუსს ვერა და ვერ გაეგებდა მეორედ მისვლა. მასთან, რადგან მისი ღრმა რწმენით მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა იგი თუ სიკვდილისაგან არა, ჰკუიდან შეშლის აშკარა საფრთხისაგან მაინც. კონრექტორმა პაულმანმა სწორედ მაშინ გაიარა იმ ქუჩაზე, როცა გონიხდილი ანსელმუსი არქივარიუსის სახლის კართან ეგდო და ვილაც მოხუცი ქალი ნამცხვრებითა და ვაშლებით ავსებული კალათით ხელში იქვე შორიახლო დაფუსფუსებდა. ამ ამბის ხილვისთანავე კონრექტორმა პაულმანმა მეკურტნეს დაუძახა და ანსელმუსი თავის სახლში გადააყვანინა.

„რაც გინდათ, ის იფიქრეთ, გინდ გიყად ჩამთვალეთ, გინდ არა, სულერთია, — თქვა სტუდენტმა ანსელმუსმა, მაგრამ კარგად ვიცი, რომ კარის ზღურბლთან მდგარს შავ ჭიშკართან ნანახი როკაპის წყეული პირისახე მიღრექდა“.

შემდეგ რაც მოხდა, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა, ოღონდ ის კი არის, გონს მოსულს რომ კვლავ მომეკრა თვალი ვაშლებიანი დედაბრისათვის (აბა, სხვა ვინ იქნებოდა ჩემს შორიახლო მოფუთფუთე ბებრუცანა), ან ტვინში სისხლს ჩამეჭეოდა ანდა ჭკუაზე შევიშლებოდი“.

ვერ გასჭრა ვერც კონრექტორ პაულმანის ვერანაირმა დარწმუნებამ, ვერანაირმა გონივრულმა შეგონებამ, ვერც რეგისტრატორი გახდა რამეს, ვერც ლურჯთვალა ვერონიკამ შესძლო ღრმა ფიქრებიდან გამოეყვანა ანსელმუსი, რომელიც მართლა სულით ავადმყოფად მიიჩნიეს და მის გართობა-გამხიარულებას ცდილობდნენ, ხოლო რეგისტრატორ ჰეებრანდის აზრით, ანსელმუსისათვის არაფერი იმაზე უფრო სასარგებლო არ იქნებოდა, თუ არა არქივარიუს ლინდჰორსტის სამსახურში ჩადგომა, სახელდობრ, მისი მანუსკრიპტების გადაწერა. მხოლოდ ეგ არის, საჭირო იყო წესიერად გაეცნოთ ისინი ერთმანეთისათვის. რაკი რეგისტრატორმა ჰეებრანდმა კარგად იცოდა, რომელ განთქმულ ყავახანაში დადიოდა არქივარიუსი თითქმის ყოველ საღამოს, სტუდენტ ანსელმუსს შესთავაზა თვითონაც იქ ევლოთ კათხა ლუდის დასალევად და ერთი მწიკვი თუთუნის მოსაწევად, რათა როგორმე მოეხერხებინა მისი არქივარიუსისათვის წარდგენა და მანუსკრიპტის გადაწერის თაობაზე მოლაპარაკება. მე დაგპატიებთო, დასძინა. სტუდენტი ანსელმუსი დიდი მადლიერებით დაეთანხმა რეგისტრატორს.

„ღვთის წყალობა არ მოგაკლდებათ, ძვირფასო რეგისტრატორო, თუ ამ ახალგაზრდა კაცს ჭკუაზე მოიყვანთ და გზაზე დააყენებთ“, — უთხრა მას კონრექტორმა პაულმანმა.

„ღვთის წყალობა არ მოგაკლდებათ“, — გაიმეორა ვერონიკამ და თავისი სათნო თვალეზი ზეცას მიაპყრო. მერე თავში მკვირცხლად გაუელვა აზრმა, ეს სტუდენტი ანსელმუსი ახლაც, უჭკუოდაც რა დიდებული ყმაწვილია და ჭკუაზე რომ მოვა, მაშინ რაღა იქნებაო.

და აი, როცა არქივარიუსმა ლინდჰორსტმა თავის ქუდსა და ჯოხს ხელი დაავლო და კარისკენ გაემართა, რეგისტრატორმა ჰეებრანდმა სტაცა ხელი სტუდენტ ანსელმუსს და მასთან ერთად გზა გადაულობა არქივარიუსს, თან უთხრა:

„ღრმად პატივცემულო ბატონო საიდუმლო არქივარიუსო, ეს გახლავთ სტუდენტი ანსელმუსი, საოცრად დაოსტატებული კალიგრაფიასა და ხატვაში, მას თქვენი იშვიათი ხელნაწერების გადაწერა სურს“.

„ჩემთვის ეს ერთობ საკვირველი და სასიამოვნო ამბავია, — სწრაფად მიუგო არქივარიუსმა ლინდჰორსტმა, მერე თავისი სამკუთხა ჯარისკაცული ქუდი დაიხურა, რეგისტრატორი ჰეებრანდი და სტუდენტი ანსელმუსი ხელისკვრით გვერდზე მისწია და ფიცხლად დაეშვა კიბეზე. ორივენი რეტდასხმულები იდგნენ და გაოცებულები შეჰყურებდნენ კარს, რომელიც არქივარიუსმა ცხვირწინ ისე მაგრად მიუჯახუნათ, რომ ანჯამები აჩხარუნდნენ.

„უცნაური მოხუცია“, — თქვა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა.

„უცნაური მოხუცი“. — ენის ბორძიკით გაიმეორა სტუდენტმა ანსელმუსმა და იგრძნო, როგორ დაუარა ძარღვებში ყინულივით ცივმა ნაკადმა და კინალამ უსიცოცხლო ქანდაკებად არ იქცა. სტუმრებმა კი გაიცინეს და თქვეს:

„არქივარიუსი დღეს კვლავ განსაკუთრებულ გუნებაზეა. მოიცა, აი, ხვალ ნახავთ, რა წყნარი და თვინიერი გახდება ისევ, ხმასაც არ ამოიღებს, თავისი

ჩიბუხიდან ამონაბოლქვ კვამლს მიაშტერდება ანდა გაზეთებში ჩარგავს თავს. ამეებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს კაცმა“.

18867

„ეს მართალია, — გაიფიქრა სტუდენტმა ანსელმუსმა. — აბა ვინ მიაქცევს ამეებს ყურადღებას“. განა არქივარიუსმა არა თქვა, ჩემი მანუსკრიპტების გადაწერა რომ სურს, ერთობ საკვირველი და სასიამოვნო თქვათ? რაღა მანცდამაინც იმ დროს გადაეღობა მას ვზახე რეგისტრატორის განცხადებით, როცა არქივარიუსი შინ აპირებდა წასვლას? არა, არა, მართალი ვითხრათ, უთუოდ სასიამოვნო კაცია ეს ბატონი საიდუმლო არქივარიუსი ლინდჰორსტი, მხოლოდ ეს არის, მისი მეტიმეტად უჩვეულო გამოთქმები იწვევს გაოცებას, მაგრამ მე რას დავეძებ: გადაწყდა, ხვალ ზუსტად თორმეტ საათზე მასთან ვიქნები, თუნდაც ბინჯაოს ვაშლებიანი ათასი დედაბერი აღუდგეს წინ ჩემს ნება-სურვილს“.

გამოთხე ვივილია

სტუდენტ ანსელმუსის მელანქოლია. ზურმუხტის ხარკე, როგორ გაფრინდა ძერად ქცეული არქივარიუსი ლინდჰორსტი და როგორ არ შეხვედრია ძებორციელი სტუდენტ ანსელმუსს.

ო, როგორ მინდა ვიცოდე, მოწყალეო მკითხველო, გქონია თუ არა ცხოვრებაში ისეთი წუთები, დღეები, იქნებ კვირებიც, როცა ყოველდღიური ყოფის დამქანცველი ფაციფუცა გულს მტანჯველი და უამური განცდით გივსებს და ყველაფერი, რაც კი წინათ ღირსსაცნობი და საგულისხმო გგონებია, ახლა უხამსი და უმაქნისი გეჩვენება. ამ დროს თვითონაც არ იცი, რა გააკეთო, ვის მიმართო, იმის ბუნდოვანი შეგრძნებაც გკლავს, რომ სადმე, ოდესმე უნდა აღსრულდეს შენი მაღალი, ყველანაირ მიწიერ სიამეზე აღმატებული გულის-თქმა, რისი გამოხატვაც ვერა და ვერ გაუზედავს სულს, ვითარცა მოშიშარ, მკაცრად აღზრდილ ბავშვს და ეს ლტოლვა რაღაც იდუმალისადმი კეთილსურნელი ოცნების დარად თავს დაგტრიალებს გამჭვირვალე, მახვილი თვალისათვის შეუმჩნეველი ბუნდოვანი სახეებით და ამ ყოველისმომცველი ლტოლვის მიმართ როგორღაც უტყვი და ჩლუნგი ხდები, უიმედო მიჯნურივით დაეხეტები ამ ქვეყანაზე გულდამწვარი და თვალცრემლიანი და შენს ირგვლივ გამეფებული ფუსფუსი და ორომტრიალი არც ტკივილს გაყენებს, არც სიხარულს განიჭებს, თითქოსდა სულაც არ იყო ამ ქვეყანაზე.

თუკი ოდესმე, მოწყალეო მკითხველო, ასეთ გუნებაზე დამდგარხარ, მაშინ საკუთარი გამოცდილების კვალად შეუძლებელია არ თანაუგრძნო სტუდენტ ანსელმუსს, ვისთვისაც ახლა სწორედ ამნაირ განცდას დაურევია ხელი. ისე კი, გულით მინდოდა, ცოცხლად დამეხატა შენთვის სტუდენტი ანსელმუსი. მართალი ვითხრა, მე ხომ დამეული ძილფხიზლობის ქამს ვწერ ამ ეგზომ უცნაურ ამბებზე და კვლავაც იმდენ საოცრებასა თუ ზმანებაზე მინდა გიამბო, რომ ასეთი რამ ყოველდღიურობაში გართულ სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებს მიუწვდომელ შორეთში გადაისვრის და, ცოტა არ იყოს, სადღაც შიშიც კი მიბყრობს, რა ვიცი, ბოლოს და ბოლოს ეგებ აღარც კი დაიჯერო სტუდენტ ანსელმუსის ანდა არქივარიუს ლინდჰორსტის არსებობა ან კიდევ სრულიად უმართებულოდ ეჭვიც კი გაგიჩნდეს კონრექტორ პაულმანისა და რეგისტრატორ ჰეებრანდის მიმართ, თუმცა, რა დასამალია და, ეს პატივსაცემი ადამიანები დღესაც კი ცხოვრობენ დრეზდენში. აბა, სინჯე, მოწყალეო მკითხველო,

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

და შეპრძანდი ეგზომ მშვენიერ საოცრებათა ზღაპრულ სამეფოში, რომელიც სამიხსელი გვემით მოგაგებს ერთდროულად უზენაეს ნეტარებასაცა და უღრმეს ძრწოლასაც, ამ დროს დარბაისელი ღმერთქალი საბურველს ჩამოიხსნის, რათა შეგიქმნას ილუზია მისი პირისახის ხილვისა. მაგრამ ხშირად ღმერთქალის მკაცრ გამოხედვაში ღიმილიც გამოკრთება და ეს გახლავს ლაყვარებულმა, რალაცნაირად დამათრობელი ხიბლით რომ გელაციცება და ბეჭტსაქრისაქრისა ბიერებს. ჰო, ამ სამეფოში უნდა მოიხილო და კვლავ შეიციხო, მოწყალეო მკითხველო, ის ნაცნობი სახეები, რომლებიც ასე მალიშალ, უფრო კი სიზმარულ ხილვებად გეცხადება ხოლმე და სულ მუდამ, ასე ვთქვათ, გაცვეთილ ერთფეროვან ყოფაში დარიალობენ შენს ირგვლივ, და აი. ყველაფერ ამის შემდეგ ნამდვილად ირწმუნებ, რომ ის მშვენიერი სამყარო ბევრად უფრო აბლოა შენთან, ვიდრე ამას თვითონვე წარმოიდგენდი და რისი სულითა და გულით მოსურნეცა ვარ, სტუდენტ ანსელმუსის უჩვეულო ფათერაკებიც ხომ ამასვე მიანიშნებს და მეც ხომ ამიტომ მინდა გაამბო მათ შესახებ.

ჰოდა, სტუდენტი ანსელმუსი, როგორც უკვე ითქვა, მას შემდეგ, რაც იმ საღამოს არქივარიუსი ლინდპორსტი იხილა, მეოცნებურმა მოვლემარებამ მოიცვა და ჩვეულებრივი ცხოვრების ყველანაირი გარეგნული შეხების მიმართ მთლად გახურჩვეული გახდა, გრძნობდა, როგორ ირბეოდა მის სულში შეუცნობელი გამოუცნობი რაღაც, რასაც სახელად ლტოლვა ჰქვია, კაცს რომ უნეტარეს არსებობას აღუთქვამს, და ეს გრძნობა სიხარულით პირთამდე სავსე ტკივილს ანიჭებდა. ყველაზე უკეთ იგი თავს მაშინ გრძნობდა, როცა მარტოდმარტი ხეტილობდა ტყესა და ღრეწი, დახსნილი და თავისუფალი უღიმღამო ყოველდღიურობისაგან, რასაც თითქოსდა იგი ძალუშად მიეჯაჭვა. მას ქვშმარტად ძალა შესწევდა თავის ფიქრსა თუ წარმოსახვაში მოეხილა ის ნაირნაირი ხატება, რომელიც მისი სულის უღრმესი შრეებიდან წამომართულიყო. ამნაირი განწყობით ჩაუარა გვერდით ერთხელ ხანგრძლივი სეირნობიდან შინშიმავალმა იმ უცნაურ ანწლის ბუჩქს, რომლის ძირასაც ცოტა ხნის წინ ათასნაირი საოცრება ნახა და ფანტასტიკურმა ხილვებმა შეიპყრო. მან საოცარი განცდით შეიციხო მიზიდულობის ძალა მშობლიური მდელოსადმი და როგორც კი ზედ ფეხი მოირთხა, უმაღ ცინცხალი ფერებით წამოიმართა მის წინაშე და ხელმეორედ აგიზგიზდა ყველაფერი, რაც კი ოდესღაც ზეციურ ექსტაზში იხილა და უცხო რამ ძალამ როგორღაც გულიდან ამოჰგლიჯა. დიახ, ამჯერად მას განუზომელი სიციხადითა და ნათელით ეზმანა, თანაც უწინდელზე უფრო მეტი ძალმოსილებით, რომ ის მომზიბვლელი ლურჯი თვალები მწვანე-ოქროსფერი გველისა იყო, მარდად რომ ააცოცდა ანწლის ბუჩქს და ზემოთ, ზემოთ მიიწევდა, მის მოხდენილ ტანის სხმარტალში გამოკრთა ბროლის ზართა მშვენიერი ბგერები, რაც ანსელმუსს ნეტარებითა და აღტაცებით ავსებდა.

როგორც მაშინ, იმ ნეტარ ამალლების დღეს, ჩაეხვია იგი ანწლის ბუჩქს და მის ტოტებსა და ფოთლებს ჩასძახა: „ო, ერთხელ კიდევ აღმობრწყინდი, ტანი დაარწიე ტოტებზე, საყვარელო მწვანე ქოდქოდავ, რომ კარგად დაგინახო, ო, ერთხელ კიდევ შემხედე, რა, შენი მშვენიერი თვალებით! ო, მე მიყვარხარ და მინდა ტანჯვასა და წუხილში დავინთქე, თუ არ დამიბრუნდები!“ ირგვლივ ყველაფერი მაინც ისევ მდუმარე იყო და წყნარი, მხოლოდ ანწლის ბუჩქი მაშინდელივით გაურკვევლად აწრიალებდა ტოტებსა და ფოთლებს. მაგრამ სტუდენტმა ანსელმუსმა თითქოს იცოდა, რა შეირხა და ამოდრავდა მის სულში. დიახ, რა იყო ეს, გულს რომ უბობდა უსასრულო სევდის სატკივართ.

„ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ის, რომ მთელი არსებით მიყვარხარ სამარის კარამდე, მშვენიერო ოქროს ქოლქოდავ“, ამბობდა იგი, „უშენოდ სიცოცხლე მიმძიმს და უსასოთ შეჭირვებაში ვავექრები, თუ შენ არ მნახავ. მინდა ჩემი გულს მიჯნური იყო. აი, როცა ჩემი გახდები, მჯერა, ყველაფერი ხმისრულდება, რასაც კი მშვენიერი ოცნებები აღმითქვამენ, ჩემი ღრმა რწმენე ქრისტე მაზიარებს სხვა, ამაღლებულ სამყაროს“. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტე ანსელმუსი ყოველ საღამოთი, როცა მზე ხეთა კენწეროებში ჩააბნევდა თავის ბრჭყვიალა ოქროს ფერებს, მოდიოდა ანწლის ბუჩქთან, ჩამოჯდებოდა მის ძირას და მკერდიდან აღმომსკდარი ვულსაკლავი ხმით ჩასძახოდა თითქოსდა ტოტებსა და ფოთლებში მოსრიალუ თავის სანატრელ მიჯნურს — მწვანე-ოქროსფერ ქოლქოდას. და ერთხელაც, როცა ანსელმუსი ჩვეულებისამებრ თავის ამ ღრტვინვასა და ვიშვიშს მოჰყოლოდა, ანაზღად მის წინაშე წამოიმართა გრძელი, აწოწილი, კაფანდარა, განიერ, ღია ნაცრისფერ სერთუეში გამოწყობილი მამაკაცი, რომელმაც ანსელმუსს თავისი დიდრონი, ახლებული თვალები შიაპყრო და შესძახა:

„ეპეი ეს ვინ მოთქვამს და წკმუის აქ? ბიჭოს, ეს ხომ სტუდენტი ანსელმუსია, ჩემი მანუსკრიბტების გადაწერა რომ უნდოდა?“

სტუდენტი ანსელმუსი გვარიანად დააფეთა ამ დევგმირულმა შეძახილმა. ეს ხომ აშკარად ის ხმა იყო, ამაღლების დღეს რომ შემოესმა: ჰეი, ჰეი, ეს რა მითქმა-მოთქმა და ჩურჩულ-კურკურიაო. შიშისა და გაოცებისაგან ანსელმუსმა ენა ვერ დაძრა. „რა დაგემართათ, ბატონო ანსელმუს? — განაგრძო არქივარიუსმა ლინდჰორსტი (ეს ღია ნაცრისფერსერთუეიანი კაცი, აბა, სხვა ვინ იქნებოდა, თუ არ არქივარიუსი ლინდჰორსტი). — რას ჩასციებხარ შავ ანწლის ბუჩქს? შენ ეს მითხარი, რატომ არ მოხვედი ჩემთან მუშაობის დასაწყებად?“

ნამდვილად ძალა არ ეყო სტუდენტ ანსელმუსს იმისათვის, რომ ხელმეორედ სწვეოდა შინ არქივარიუსს ლინდჰორსტს, თუმცა იმ საღამოს ყავახანაში საკუთარ თავს ვაეკაცური სიტყვა მისცა, უსათუოდ ენახულებინა არქივარიუსი, მაგრამ მაშინ ხომ დაიმსხვრა მისი მშვენიერი ოცნებები, როცა იმ მუხანათურმა შეძახილმა გულისსწორი წარსტაცა და ყველაფერ ამის ელვისებურად გაფიქრებისთანავე იგი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, თან რისხვამ და მძვინვარებამ აიტანა:

„იცი, რას გეტყვით, ბატონო არქივარიუსო, გნებავთ გიყად ჩამთვალეთ, გნებავთ არა, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ იცოდეთ კი, რომ სწორედ აქ, ამ ხეზე ამაღლების დღეს მე დავინახე მწვანე-ოქროსფერი გველუკა — ჩემი გულის მარადიული სატრფო, ჰო, ნამდვილად ის მეტლურტულეზოდა მშვენიერი, ბოლოვიტ წკრიალა ხმით, მაგრამ თქვენ, ღიახ, თქვენ, ბატონო არქივარიუსო, ისე შემზარავად იღრიალეთ წყალს ზემოთ, ლამის სოდომ-გომორი დაატრიალეთ“.

„რას მეტბნები, ჩემო ძვირფასო“, — შეაწყვეტინა მას სიტყვა არქივარიუსმა ლინდჰორსტი და სრულად განსაკუთრებული ღიმილით დაყნოსა თუთუნი. ანსელმუსმა იგრძნო, როგორ მოეშვა გულზე, შესაძლებლობა რომ მიეცა თავისი უცნაური თავგადასავლის შესახებ სიტყვის ჩამოგდებისა. სავსებით ბუნებრივად და სამართლიანად ეჩვენა, არქივარიუსს ასე ერთბაშად რომ დასდო ბრალი, ეს შენ იყავი. სატრფოსთან უოფნის ტკბილი წუთები რომ

ჩამიშხამე და შორეული, იდუმალი მზრიდან რისხვით დაიჭეკეო. მან ძალა მოიკრიბა და არქივარიუსს უთხრა:

„ახლა მე წვრილად გიამბობთ, რა საბედისწერო ამბავიც შემეძინა ამალლების იმ საღამოს, მერე თვითონ ჩაუკვირდით მომხდარს და როგორც გეგებოთ, ისე განსაჯეთ და მომეჭევით“.

და მართლაც ანსელმუსმა თავიდან ბოლომდე უამბო არქივარიუსს თავისი საოცარი თავგადასავალი დაწყებული იქიდან, ვაშლებით სავსე კალათას რომ წამოჰკრა საუბედუროდ ფეხი, და დამთავრებული სამი მომწვანო-მოოქროსფრო გველუკას წყალში შეცურებოდა და იდუმალი გაუჩინარებით, არც ის დაუშალავს, დამთხვეული თუ ნაბახურევი რომ ეგონათ.

„და ეს ყველაფერი, — დაასრულა ანსელმუსმა, — მართლა ვიხილე და ჩემი სულის სიღრმეში კვლავ ეღერენ ნათელ ეჭოებად საყვარელი ხმები. ეს არამც და არამც არ იყო სიზმარი და ვიდრე სიყვარულითა და დაუოკებელი ლტოლვით არ მოვეცდები, მანამდე მექნება რწმენა მომწვანო-მოოქროსფრო ქოდქოდსადმი, თუმცა თქვენს სახეზე მოფენილი ღიმილი მაფიქრებინებს, ბატონო არქივარიუსო, ეს ქოდქოდები ჩემი მგზნებარე და მწველი ფანტაზიის ნაყოფი გგონიათ მხოლოდ და სხვა არაფერი“.

„სულაც არა, — მიუგო არქივარიუსმა აღუშფოთვლად და უზომო სიმშვიდით. — ის მომწვანო-მოოქროსფრო გველუკები, თქვენ რომ ანწლის ბუჩქებში გინახავთ, ბოტონო ანსელმუს, ჩემი სამი ასულია და ისიც აშკარაა, რომ იმ სამთავან თქვენ ნამეტნავად უმცროსი გოგონას — სერპენტინას ლურჯი თვალები ჩაგვარდნით გულში. სხვათა შორის ამის შესახებ ამალლების დღეს მე უკვე ვიცოდი, ამიტომაც იყო, როცა შინ, საწერ მაგიდასთან მუშაობით გართულს ყურთასმენა წამართვა მათმა ყვირილ-ხივილმა, იქ ცელქებსა და გიჟმაყვებს დავუცაცხანე, დროა შინისკენ იქპართ-მეთქი, რადგან მზე უკვე ჩასვლას აპირებდა და გოგონებმაც საკმაოდ იჯერეს გული ცეკვა-თამაშითა და მზის აბაზანებით“.

სტუდენტ ანსელმუსს თავის სიცოცხლეში თითქოს პირველად დაეღამა-რაკნენო გასაგები სიტყვებით ყველაფერ იმაზე, რასაც იგი გუმანით გრძნობდა. უეცრად დაინახა, როგორ დატრიალდა მის, გარშემო ნელ-ნელა ყველაფერი: ანწლის ბუჩქი, კედელი, მწვანე მდელო... მერე ძალა მოიკრიბა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არქივარიუსმა ხმის ამოდებაც არ აცალა, მარცხენა ხელიდან ხელთათმანი წაიძრო და სტუდენტ ანსელმუსს ზედ თვალებთან მიუტანა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბეჭედი, რომელიც უცნაურ წინწყლებსა და ნაპერწკლებს ისროდა.

„შეხედეთ ამას, ძვირფასო ბატონო ანსელმუს და, იცოდეთ, რასაც მანდ ნახავთ, გულს გაგიხარებთ“.

სტუდენტმა ანსელმუსმა შეხედა ბეჭედს და ჰოი, საკვირველებავ! ბეჭედის ძვირფასი ქვა გავარვარებული გულიდან თითქოს ყოველი მზრივ ისროდა სხივებს, მერე ეს სხივები ერთმანეთში აირივნენ და ერთბაშად გარდაიქმნენ ბრწყინავ, კაშკაშა ბროლის სარკედ, რომელშიც გრეხა-გრეხითა და ცეკვა-ცეკვით ხან ერთმანეთს განელტვოდნენ, ხანაც ერთურთს მიელტვოდნენ მომწვანო-მოოქროსფრო გველუკები. ისინი სწორედ სამნი იყვნენ. და როცა ათასფერად აბრწყინებული მათი მოხდენილი სხეულები ერთმანეთს შეეხებოდნენ, ბროლის ზართა მშვენიერი აკორდები გაიფრიალებდა ხოლმე. ერთ-ერთმა სარკისაკენ გაიშვირა სევდითა და ნდომით აღსავსე ლამაზი თავი, თითქოსდა მი-

სი მუქლურჯი თვალები ამბობდნენ: „ხომ მიცნობ, ხომ გწამს ჩემი, ანსელმუსს მარტოოდენ რწმენაა სიყვარული და სხვა არაფერი, ძალგის კი სიყვარული?“

„სერპენტინა, სერპენტინა“, — რაღაც გიჟური აღტაცებით ადილობდა ანსელმუსს. მაგრამ არქივარიუსმა ლინდპორსტმა სწრაფად შეუბერა სული სარკეს და სხივები უმაღელვარესი ტყაცანით ჩაცვივდნენ მისი სიყვარული, სოღა არქივარიუსს ლინდპორსტს კვლავ მოეღვარე პაწაწა ბეჭედი ეჭირა ხელში, რომელზედაც მან სწრაფად საფუხარი ჩამოიცვა.

„ხომ ნახეთ ოქროს გველუკები, ბატონო ანსელმუს?“ — ჰკითხა მას არქივარიუსმა ლინდპორსტმა.

„ო, ღმერთო, ვნახე, — მიუგო ანსელმუსმა, — და კიდევ იცით, ვინ ვნახე? ჩემი ძვირფასი, სანუკვარი სერპენტინა“.

„წყნარად, — განაგრძო არქივარიუსმა ლინდპორსტმა, — დღეისათვის გეყოფათ. ისე სხვათა შორის, ჩემთან თუ იმუშავეთ, ხშირ-ხშირად მოგიწევთ გოგონების ხალვა ანდა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ თვითონ ვიზრუნებ თქვენთვის ამ ნეტარების მოსანიჭებლად. თუკი სამუშაოს ყოჩაღად გაართმევთ თავს, ე. ი უდიდესი სიზუსტითა და სიფაქიზით გადახატავთ ყოველნიშანს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან თქვენ ერთხელაც არ მოსულხართ ჩემსა, თუკი რეგისტრატორი ჰეებრანდი კი მარწმუნებდა, მალე გეახლებაო, მე კი რამდენიმე დღეა ამოდ გელით“.

როგორც კი არქივარიუსმა ლინდპორსტმა ჰეებრანდის სახელი ახსენა, სტუდენტმა ანსელმუსმა კვლავ იგრძნო, რომ ამ ქვეყანას იყო და ორივე ფეხით მიწაზე მაგრად იდგა, სახელდობრ ის, რომ იგი ნამდვილად სტუდენტი ანსელმუსი გახლდათ, ხოლო მის წინაშე მდგარი კაცი — არქივარიუსი ლინდპორსტი. ის მშვიდი კილო, როგორითაც იგი ლაპარაკობდა, სულ არ შეეხამებოდა უცნაურ მოვლენებს, რომელთა გამოწვევაც მას ჭეშმარიტი ნეკრომანტივით შეეძლო. ლინდპორსტში იყო რაღაც შემზარავი და ამას კიდევ უფრო აძლიერებდა გამგმირავი, სულში ჩამწვდომი მზერა მისი მოეღვარე თვალებისა, რომლებიც ფოსოებიდან ნიჟარებივით ანათებდნენ გამხდარსა და დანაოქვებულ სახეზე. სტუდენტი ანსელმუსი შემაძრწუნებელმა გრძნობამ მოიცილა, რამაც მას ჯერ კიდევ ყავახანაში დარია ხელი, როცა არქივარიუსი თავის და თავის წინაპართა თავგადასავალს უამბობდათ. და როცა არქივარიუსმა ხელმეორედ ჰკითხა, რატომ არ მოხვედდი ჩემთანო, მან თავს ძალა დაატანა, რომ ეამბნა ყველაფერი, რაც კი მისი სახლის კართან შეემთხვა.

„საყვარელო ბატონო ანსელმუს, — წარმოთქვა არქივარიუსმა, როცა სტუდენტმა თავისი სათქმელი დაამთავრა, — საყვარელო ბატონო ანსელმუს, მე ძალიან კარგად ვიცნობ მაგ ვაშლის გამყიდველ დედაკაცს, იგი ფატალური არსებაა, რომელიც ათასნაირ ფარსს მიწყობს ხოლმე, მაგრამ მისი ბრინჯაოდ გარდასახვა საიმისოდ, რომ ვითარცა კარის ზანზალაკმა ჩამიშალოს ჩემთვის სასიამოვნო ადამიანის სტუმრობა, ეგ უკვე, კაცმა რომ თქვას, მეტიმეტი სიბილწვა და ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ძვირფასო ბატონო ანსელმუს, ხომ არ ისურვებდით გეთაყვა, ხვალ, როცა საათის თორმეტზე ჩემთან მობრძანდებით და კვლავ ოდნავ მაინც თუ შენიშნავთ ღრეჭასა და ღრიღს, ცხვირ-პირში მიგესხათ იმ ღმერთგამწყრალისათვის აი, ეს სითხე და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ახლა კი Adieu, საყვარელო ბატონო ანსელმუს! მე ძალიან ჩქარა დავდივარ ხოლმე და ამიტომ ვერ გთავაზობთ ჩემთან ერთად დაბრუნდეთ ქა-

ლაქს. Adieu ნახვამდის, ძვირფასო. ხვალ დილით თორმეტ საათზე გელოდებო, იცოდეთ“.

არქივარიუსმა სტუდენტ ანსელმუსს გადასცა ოქროსფერ-უვითი სითხით ავსებული ფლაკონი და ისე სწრაფად მოსწყდა ადგილს და გაქანდა ველზე თანდათანობით ჩამოწოლილ ბინდბუნდში, გეგონებოდა, ყუჩუქუნდულს მიფრინავსო. ის იყო კოზელის ბაღს მიუახლოვდა, რომ უცაბეოდ წამოხატინა ღმა ქარმა მისი განიერი სერთუკის კალოები ისე ააფრიალა, იფიქრებდი, ორი უზარმაზარი ფრთა არისო და სტუდენტ ანსელმუსს, რომელიც გაოცებული ადევნებდა თვალყურს არქივარიუსს, მოეჩვენა, თითქოს ვეება ფრინველი ცაში გასანავარდებლად ფრთებს შლიდა. როცა სტუდენტი ანსელმუსი წყვილიადს ჩააშტერდა, ანაზღად ჰაერში ჩხავილით აფრთხილდა მოთეთრო-მონაცრისფრო ძერა. ანსელმუსმა კარგად შეამჩნია, ის თეთრად მოფარფატე სხეული, ადრე რომ შორს წასული არქივარიუსი ეგონა, მოულოდნელად მის თვალწინ ძერად იქცა. თუმცა ვერც ის გაერკვია, სად უნდა გამქრალიყო არქივარიუსი.

„მაგრამ იქნებ ეგ არქივარიუსი ლანდჰორსტი თვითონ არის განსაკუთრებული ვინმე და ძერად გარდაქმნა შეუძლია“, — თავისთვის ჩაილაპარაკა სტუდენტმა ანსელმუსმა.

„რალაც ასე მგონია, რადგან კარგად ვხედავ და ვგრძნობ შორეული, საოცარი სამყაროს უცხო სახეებს, რომელთაც ადრე მარტოოდენ უჩვეულო მშვენიერ სიზმრებში ვხედავდი, ახლა კი ცხადშიაც, ჩემს ყოველდღიურ ცოცრებაშიც შემოიჭრნენ და ჩემთან ერთად როკავენ. რაც არ უნდა მოხდეს, მთავარი მაინც ის არის, რომ გულიდან ვერ გიშორებ, ჩემს სულში ცოცხლობ და იწვი, მშვენიერო, სანუკვარო სერპენტინა. მხოლოდ შენ ერთს ქაღვიძს დააცხრო ჩემი უსაზღვრო ლტოლვა, ასე რომ მაფორიაქებს“, — ხმამაღლა გაიძახოდა სტუდენტი ანსელმუსი.

„ო, ეს გულისმომწყვლეული, არაქრისტიანული სახელი“, — ბოზი ხმით ჩაიბუზღუნა ვილაც შინ მიმავალმა მოსეირნემ. სტუდენტი ანსელმუსი დროზე მოეგო ვონს და გაახსენდა, სადაც იმყოფებოდა, შერე ჩქარი ნაბიჯით გაემართა შინისაკენ, გულში კი ფიქრობდა, სეირი მაშინ ნახე, ახლა რომ კონრექტორ პაულმანს ანდა რეგისტრატორ ჰეებრანდს შევეჩუბო. მაგრამ საბედნიეროდ გზაში არც ერთი მათგანი არ შეხვედრია.

მეხუთე ვივილია

ქალბატონი სასახლის მრჩეველი ანსელმუსი. ანთარები და სხვა ვივინდარები. მოხუცი ლიზა. შემოდგომის ბუნიობა.

„ამ ანსელმუსთან ხომ ვერაფერს ვააწყობს კაცი“, — თქვა კონრექტორმა პაულმანმა.

„ჩემი კეთილი რჩევები და შეგონებები უნაყოფო აღმოჩნდა. რატომღაც სულ ვერ დაუდო გული მეცადინეობას, არადა, მენანება ის ღმერთგამწყრალი, დიდ ნიჭიერებას იჩენს სწავლაში, რაც ყოველთვის საწინდარი და საფუძველია კარგისა“.

ამაზე რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ეშმაკური და იდუმალი ღიმილით მიუგო:

„აბა, მიეცი ანსელმუსს დრო, სიურცე და ასპარეზი, ძვირფასო კონრექტორო, და აი, მაშინ ნახავთ. ისე, ერთის შეხედვით, თითქოს უცნაური არსე-

ბაა, მაგრამ მისგან რომ დიდი ვინმე დადგება, ეს აშკარაა. დიდი ვინმე-მეთქი, რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს, არც მეტი, არც ნაკლები, საიდუმლო მდივანი ან თუნდაც სასახლის მრჩეველი“.

„სასახლის?“ — უზომო განცვიფრებით დაიწყო კონრექტორმა, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა.

„ჩვენ მშვიდად ვიყოთ, — განაგრძო რეგისტრატორმა ჰეებრანდი, — მშვიდად ვიყოთ და ენახავთ, რაც იქნება. მე ვიცი, თუ ვიცი, ორი დღეა, რაც იგი არქივარაქს ლინდჰორსტის სახლში ზის და მისი ხელნაწერების გადაწერას შესდგომია. თვითონ არქივარაქსმა მითხრა გუშინ საღამოს ყავახანაში: თქვენ, პატივცემულო, ჩინებულ ყმაწვილს გაუწიეთ ჩემთან რეკომენდაცია, მისგან დიდი კაცი გამოვაო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ხალხში ტრიალებს არქივარაქსი, ჩვენ მშვიდად ვიყოთ და ამაზე უფრო დაბეჯითებით ერთი წლის შემდეგ ვილაპარაკოთ“.

ეს თქვა და რეგისტრატორი ჰეებრანდი ოთახიდან ისე გავიდა, რომ ცბიერი ღიმილი პირისახიდან არ მოსცილებია, გაოცებული და ცნობის წადილისაგან ენაჩაგდებული კონრექტორი კი ოთახში დატოვა. იგი ისე იყო რეტდასხმული, სკამიდან წამოდგომა ვერ შესძლო.

მაგრამ ვერონიკაზე ამ საუბარმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. „განა მე ყოველთვის არ ვიციოდი, — ფიქრობდა იგი, — ანსელმუსი რომ ჰკვიანი და სასიამოვნო ახალგაზრდაა, ვისგანაც დიდი კაცი დადგება, მაგრამ ერთი ეს გამაგებინა, ნამდვილად აქვს თუ არა ჩემზე გული შევარდნილი? იმ საღამოს ხომ იორჯერ მომიჭირა ხელზე ხელი, როცა ელბაზე ვსეირნობდით. განა დუეტის შესრულებისას რაღაც სულ სხვანაირად, გულისშემქცრელად არ მიმზერდა? არა, ნამდვილად ვუყვარვარ და მეც მიყვარს იგი“.

ვერონიკა მთელი არსებით გაიტაცა ტკბილმა ოცნებამ ნათელ მომავალზე. როგორც ეს ყმაწვილ ქალებს სჩვევიათ ხოლმე, და თავი წარმოიდგინა ქალბატონ სასახლის მრჩეველად. აი, იგი ბრწყინვალე ბინაში ცხოვრობს სასახლის ქუჩაზე ან ახალ ბაზართან ან კიდევ მორიცშტრასეზე. თავზე მოდური ქუდი ახურავს, როგორ შეენის ახალთახალი თურქული მოსახხამი, იგი ფანჯარასთან ახლოს ზის, ელფგანტური ნეგლიჟე ჩაუცვამს და საუზმობს, თან საჭირო მითითებებს აძლევს მხარეულ ქალს.

„ეს კერძი უთუოდ კარგი უნდა გამოგივიდეს, ხომ იცი, როგორ უყვარს ბატონ მრჩეველს“.

ფანჯრიდან ხედავს, როგორ ვერ ამორებენ თვალს ფანჯრის წინ ჩავლილი ფრანტები და მკაფიოდ ესმის მათი ქათინაურები:

„რა ღვთაებრივი ქალია ეს სასახლის მრჩეველის მეუღლე, რა განსაკუთრებულად უბდება ეგ პაწაწა თავსაბურავი“.

ქალბატონი საიდუმლო მრჩეველი იპსილონი ვერონიკასთან მსახურს აგზავნის, ლინკეს აბაზანებში ხომ არ ინებებ ღღეს წამობრძანებასო.

„დიდი მოკითხვა და მადლობა გადაეცით ჩემგან ქალბატონს, მაგრამ ღღეს, სამწუხაროდ, არა მცალია, რადგან პრეზიდენტის მეუღლემ მიმიწვია ჩაიზე“...

აი, შინ ბრუნდება სასახლის მრჩეველი ანსელმუსი, რომელიც დილაადრიან წასულიყო საქმეებზე. იგი უკანასკნელ მოდაზეა ჩაცმული.

„ხუსტად თორმეტი საათია, — ამბობს იგი, გაჩერებულ საათს მომაროავს და კვლავ იამუშავებს, შემდეგ კი თავის ახალგაზრდა ცოლის მოეხვევა. — როგორ გიკითხო, ჩემო საყვარელო მეუღლე, იცი, რა მოგიტანე?“ — ამბობს

იგი და ემპირიკური ღიმილით ჯიბიდან ამოიღებს ძმვენიერ, მოდურ საყურეებს, ცოდეს უბრალო, ძველ საყურეებს ყურებიდან ჩამოხსნის და მათ ნაცვლად აღებს დაუბნევს.

„ო, რა კარგი, ძვირფასი საყურეებია“, — გახარებული ყვიროს ვერონიკა, საქმეს თავს მიანებებს და სკამიდან წამოხტება, სარკასტულ მტკიცე რათა საყურეები ვარგად შეათვალიეროს.

„რა ხდება, რა ამბავია, — ბუზღუნებს კონრეტორი პაულმანი, რომელიც cicero de officiis⁸ კითხვით იყო გართული და კინალამ წიგნი ძირს არ დაუვარდა. — შენც ანსელმუსისნაირი გამოხდომები ხომ არ დაგწყებია, ნეტა!“

სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა სტუდენტი ანსელმუსი, რომელიც ეს რამდენიმე დღეა არც გამოჩენილა, რაც მეტად უჩვეულო ამბავი იყო და ვერონიკამ შიშითა და გაოცებით შეამჩნია, რომ იგი სულერთიან გამოცვლილიყო. ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა, სულ სხვა გზით მიემართება, რაც ჩემ წინაშე გადაშლილმა მშვენიერმა პერსპექტივებმა გახადა ნათელი, რომლებიც ყველასათვის როდია მისაწვდომიო, მისთვის უცხო, მტკიცე, თავდაჯერებულ კილოზე წარმოთქვა მან. კონრეტორ პაულმანს მოულოდნელად გაახსენდა რეგისტრატორ ჰეებრანდის საიდუმლოდ ნათქვამი და მთლად გაოგნებულმა ხმაც ვერ ამოიღო, როცა სტუდენტმა ანსელმუსმა ორიოდ სიტყვით მოახსენა არქივარიუს ლინდჰორსტთან სასწრაფოდ მუშაობის დაწყებაზე, მერე ვერონიკას მოხდენილად ემთხვია ხელზე და კიბეზე მკვირცხლად დაეშვა.

„მართლაც ზედგამოჭრილი სასახლის მრჩეველია, — თავისთვის წაილულულა ვერონიკამ, — ხელზე ისეთნაირად მემთხვია, არც წაბორძიკებულა და არც ფეხზე დაუდგამს ფეხი, როგორც ეს სხვა დროს მომხდარა, თანაც რა ნაზად შემომხედა, ო, მას ნამდვილად ვუყვარვარ“.

და ვერონიკა ხელახლა გაიტაცეს ოცნებებმა. უნდა ითქვას, რომ მომავალი ოჯახური ცხოვრების სასიამოვნო ზმანებებს შორის ქალბატონ საიდუმლო მრჩეველს ამაზრზენი სახედაც გამოეცხადა, იგი გესლიანი ხარხარით ეუბნებოდა გოგონას:

„ყველაფერი ეს უგვანობაა და სისულელე, თანაც რაც მთავარია — მტკნარი სიცრუეა, რადგანაც ანსელმუსი თავის დღეში ვერ გახდება სასახლის მრჩეველი და ვერც შენ გელირსება მისი ცოლობა. ჰოდა, კარგად იცოდე, რომ არ უყვარხარ, თუმცა ლურჯი თვალები, მოხდენილი აღნაგობა და ნაზი ხელები კი გაქვს, ვხედავ“.

ვერონიკას მთელ სხეულში დაუარა ყინულივით ცივმა ნაკადმა და ჩაუშხამა ის სასიამოვნო განწყობილება, რითაც იგი აღივსო, როცა თავი ლამაზი ჩაჩითა და საუცხოო საყურეებით წარმოიდგინა. მას ცრემლი ყელში მოებჯინა:

„რა თქმა უნდა, მართალია. არ ვუყვარვარ და მეც არასოდეს არ გავხდები ქალბატონი სასახლის მრჩეველი“.

„კიდევ არ გამაგონო რომანული ბოდვები და ჩმახვები!“, — იყვირა კონრეტორმა პაულმანმა, მერე ქუდსა და ჯოხს ხელი დაავლო და განრისხებული ქუჩაში გავარდა.

„ესღა მაკლდა“, — ამოიბრა ვერონიკამ და გული მოუვიდა თავის უმცროს თორმეტი წლის დაიკოზე, რომელსაც მისი ჯავრი არა ჰქონდა, თავის ჯალდას მისჯდომოდა და ქარგვით იყო გართული.

ამასობაში ავერ სამი საათიც მოახლოვდა, ამ დროისათვის ვერონიკას და-

ქალები, მადმუაზელ ოსტერები უნდა სწვეოდნენ სტუმრად და საჭირო იყო ოთახის სასწრაფოდ დალაგება, ყავისათვის თადარიგის დაჭერა და მაგიდის გაშლა. მაგრამ განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ყოველი კარადის უკან, ოთახის გადაადგილებაც უხდებოდა ვერონიკას, ფორტიპიანოზე მოფენილ ყოველ სანოტო წიგნიდან, ყოველი ფინჯნიდან და ყავადანიდან, ხელს ჭეჭმე უჭყდებდა, გამოხტებოდა ხოლმე რაღაც ამაზრზენი, მაჩხიბისებური სახვეუტლიეფრესა ღვარძლიანად ქირქილებდა, ბეწვისოდენა ბაბაჭუას საცეცებით ფორთხავდა, თან ხაოდა: „ის არ გახდება შენი ქმარი! ის არ გახდება შენი ქმარი!“ მერე კი, როცა შეძრწუნებულმა ვერონიკამ საქმეს თავი მიაწება და შუა ოთახში რეტ-დასხმული იდგა, ამ საზარელმა არსებამ ლუმელიდან გამოჰყო გრძელი ცხვირი და კვლავ ღრენითა და ზმუილით ამოიხრიალა: „ის არ გახდება შენი ქმარი“.

„ნუთუ არაფერი გესმის? ნუთუ არაფერს ხედავ, დაო?“ — იყვირა ვერონიკამ, რომელიც შიშმა და ძრწოლამ აიტანა და სინამდვილის შეგრძნება სულერთიანად დაჰკარგა. ფრენცჰენი სრულიად წყნარად და არხეინად წამოდგა, თავისი ჯალდა მიატოვა და ვერონიკას შიმართა:

„ეს რა მოგდის, დაო, დღეს, ყველაფერი ხელიდან გივარდება, თანაც რასაც ხელს შეახებ, ერთობ ჩხარუნობს და ტკაცუნობს. მოდი, მოგეხმარები“.

ამ დროს ოთახში სიცილ-კისკისით შემოიჭრნენ გიჟმაყი გოგონები და სულ ერთი წამით ვერონიკამ ნათლად დაინახა, ლუმელის კარი იყო, საზარელ სახედ რომ ეზმანა, ხოლო დაუდევრად მიხურული კარის ქრიალი შხამიან ნათქვამად მიიჩნია. ვერონიკა სულმთლად, მთელი ძალით მოიკცა შინაგანმა ძრწოლამ და, ბუნებრივია, იგი იმზომ ვერ მოიკრებდა ძალას, ვერც თვალში გამოიხედავდა, რომ გოგონებს შეუმჩნეველი დარჩენოდათ მისი უჩვეულო დაძაბულობა, რასაც ფერმიხდილობა და შეშლილი გამომეტყველება გათქვამდა. გოგონები მხიარული ამბების თბრობას აპირებდნენ, მაგრამ გადაიფიქრეს, მეგობარ ქალს მისცვივდნენ და სხაპასხუპით მიაყარეს, ღვთის გულისათვის, გვითხარი, რა მოგივიდაო, და სხვა გზა აღარ იყო, ვერონიკასაც უნდა გაემზილა, როგორ აიყოლიეს ყოვლად უცნაურმა ფიქრებმა და ანაზდად, დღისით და მზისით ლანდებისადმი უჩვეულო შიშმა შეიპყრო და დაიმორჩილა, რაც სხვა დროს მას არასოდეს არ დამართნია. შემდეგ ვერონიკამ ისე ცოცხლად ჩამოურაკრაკა მეგობარ ქალებს, როგორ გამოტყვრა ოთახის ყველა კუთხიდან ვიღაც პატარა ნაცრისფერი კაცუნა, რომელიც ბოღმით ხეთქავდა გულზე და აპამბულებდა, რომ დამფრთხალმა დებმა ოსტერებმა ოთახის ყველა კუნჭული მოათვალიერეს და თვითონაც ანაზდად მძიმე, საშინელ გუნებაზე დადგნენ. ამ დროს ოთახში შემოვიდა ფრენცჰენი, რომელმაც ცხელი ყავა შემოიტანა. სამივენი სწრაფად მოეგნენ გონს და სიცილ-ხარხარი ატეხეს, ეს რა სისულელეს ეჩმახავთო. ანუელიკა, ასე ეძახდნენ უფროს ოსტერს, დანიშნული იყო ერთ ოფიცერზე, რომელიც ამჯერად ჯარში მსახურობდა. მის შესახებ კარგა ხანია არა იცოდა რა. ამბის ასე დიდხანს უცოდინარობა ჯარიკაცის ან სიკვდილს მოასწავებს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, იფიქრებ, ალბათ მძიმედ არისო დაჭრილი, ამან ანუელიკა ძლიერ დაამწუხრა, მაგრამ დღეს რატომღაც ველარ მოეთოკა მოზღვა-ვებუელი სიზარული, თითქოს სამოთხის კარი გახსნოდა, რაც ვერონიკას ძალიან გაუკვირდა, ვერ მოითმინა და გულახდილად გამოხატა მეგობარი ქალის წინაშე თავისი გაოცება ამ ამბის გამო.

„ჩემო ძვირფასო, — მიუგო ანუელიკამ, — არ გეგონოს, რომ ჩემი საქმრო დამავიწყდა, რომ მუდამ გულში არ მყავდეს. სწორედ იმიტომ ვარ ასე მხიარ-

რული და ბუღნიერი, რომ ვიქტორი ჯანმრთელადაა, ცოტა ხანში როტმისტრი გახდება და ორდენებით მკერდს დაიმშვენებს, რაც უსაზღვრო სტამბაციით დაიმსაფრთხილებს. მარჯვენა მკლავზე ღრმა, მაგრამ არცთუ ისე საშიში ჩრდილობა აქვს. ვილაც ავკაც ჰუსარს დაუჭრია ხმლით და ეს წერილის წერაში იღებს უშლის, თან ადგილსამყოფელსაც ხშირად იცვლის, რადგან თავისი მხიტილობა არ უნდა. ეს ყველაფერი კი შეუძლებელს ხდის მაუწყებლობის დასრულებას, მაგრამ დღეს საღამოს იგი შვებულებას იღებს, რომ თავს მიხედოს და საცხებით გამოკეთდეს, ხვალ კი გამომგზავრებას აპირებს აქეთ და ვაგონში ჩაჯდომისთანავე შეიტყობს, რომ როტმისტრობა მიუციათ“.

„კი მაგრამ, ძვირფასო ანჟელიკა, საიდან იცი ეს ყველაფერი?“ — სიტყვა შეაწყვეტინა მას ვერონიკამ.

„არ დამცინო, საყვარელო, — განაგრძო ანჟელიკამ, — თორემ, იცოდეთ, გამოიქყიტავს სარკეში ის შენი პატარა ნაცრისფერი კაცუნა და აი, მაშინ ნახავ სეირს. ხუმრობა იქით იყოს და მე მართლა მჯერა იდუმალებით აღსავსე საგნების არსებობა და მათგან თავი ვერაფრით დამილწევია. ნაღდად ასეა, უფრო და უფრო ხშირად ხდება, რომ ეს საგნები ერთობ ხილულად და ხელშესახებად იჭრებიან ჩემს ცხოვრებაში. განსაკუთრებით კი იმის აღნიშვნა მინდა, რომ მე არასოდეს არ მიმაჩნდა ზოგიერთებივით დაუჯერებელ და საკვირველ მოვლენად იმნაირი ადამიანების არსებობა, ნათელხილვის უიშვიათესი ნიჭი რომ აქვთ. მათ შესანიშნავად იციან, როგორ ამოქმედონ ეს ნიჭი უტყუარი საშუალებით. ჩვენს მხარეში ცხოვრობს ერთი ქალი, რომელიც ყოველად ბრწყინვალედ ფლობს ამ ნიჭს. მკითხავთა ჩვეულებრივ ხროვას იგი არ განეკუთვნება და კარტზე, გამდნარ ტყვიანზე ანდა ყავაზე კი არ მარჩიელობს, არამედ სულ სხვაგვარად. გარკვეული სამზადისის შემდეგ, რომელშიც დაინტერესებული პირიც იღებს მონაწილეობას, სუფთად გაპრიალებულ სარკეში გამოჩნდება საოცარი დომხალი ათასნაირი ფიგურებისა და სახეებისა, რომელთა ახსნა-განმარტებას თვით დედაბერი იძლევა და ჩვენს შეკითხვებზე ამომწურავად პასუხობს. გუშინ საღამოს მასთან ვიყავი და ეს ამბავი ჩემი საქმროს შესახებ სწორედ მისგან გავიგე, რის ჭეშმარიტებაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი“.

ანჟელიკას მონაყოლმა ვერონიკას იმედის ნაპერწკალა გაუღვივა და იმის სურვილიც აღუძრა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა. მოხუცისაგან გაეგო ანსელმუსისა და მისი ნაცნობ-მეგობრების ამბავი, გაეგო, რას ფიქრობდა მასზე ანსელმუსი. მან შეიტყო, რომ მოხუცს ფრაუ რაუერიანი ერქვა, რომ იგი შორს, ტბის ჭიშკართან მდებარე ქუჩაზე ცხოვრობდა, რომ მასთან შეხვედრა მხოლოდ სამშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით შეიძლებოდა საღამოს შვიდი საათიდან მთელი ღამის განმავლობაში ვიდრე მზის ამოსვლამდე, რომ ძალიან უყვარდა, როცა კლიენტი მარტო, ვინმეს თანხლების გარეშე ესტუმრებოდა. რაკი ოთხშაბათი დღე იყო, ვერონიკამ გადაწყვიტა, ოსტერების გაცილება მოემიზებებინა, და იმ დღესვე მოენახულებინა დედაბერი, რაც მოახერხა კიდევაც. როგორც კი ელბის ხიდან გამოემშვიდობა მეგობარ ქალებს, რომლებიც ახალ ქალაქში ცხოვრობდნენ, უმაღლეს ფრენა-ფრენით გასწია ტბის ჭიშკრისაკენ და ჩქარა თავი ამოჰყო იმ ვიწრო ქუჩაზე, რომლის ბოლოში პაწია წითელი სახლი დაინახა, სადაც როგორც მიახწავლეს, ფრაუ რაუერიანს უნდა ეცხოვრა.

მან ვერაფრით ვერ მოიშორა ერთობ საშინელი განცდა, რადაც შინაგანი თრთოლა, როცა ამ სახლის კარს მიუახლოვდა. ბო-

ლოს და ბოლოს როგორღაც დაიოჯა თავი და თუმცა გული ეურჩებოდა, მაინც ჩამოჰკრა ზარს ხელი, კარი გაიღო და გოგონამ ხელისცეცებით გაიკვლია გზა ბნელ ტალანში კიბისაკენ, რომელმაც იგი ზემო სართულზე აიყვანა ზუსტად იმ ადგილას, ანუ ელიკამ რომ მიასწავლა.

„აქ ცხოვრობს ფრაუ რაუერინი? — დაიძახა მან უკანა კარისკენ დაღმარების დერეფანში. პასუხის ნაცვლად გაისმა ხანგრძლივი კნავილი ბეჭ — „ქაქაქაქა უზარმაზარმა შავმა კატამ ამოზნექილი ზურგითა და კუდის ტალღისებური ქიციანით, მერე იგი მედიდური ფხორვით გაემართა ოთახის კარისაკენ, რომელიც მეორედ დაკნავლებისთანავე გაიღო.“

„ამას ვის ეხედავ? შენ უკვე აქა ხარ, გოგონავ? შემოდი, შემოდი!“ — შეჰყვირა კართან შემომხვდარმა და ისეთნაირი მზერით შეხედა ვერონიკას, რომ ლამის გააქრო და მიწაში ჩააძვრინა. ქალწულის წინაშე იდგა აკვლანჭული, გაძვალტყავებული, შავი ძონძებით მოსილი დედაბერი. ლაპარაკისას წინ გაშვერილი, წვეტიანი ნიკაპი უცახცახებდა, ხოლო მოკაუჭებული ქორისებური ცხვირი უკბილო გაღმეჭილ პირს უჩრდილავდა. დიდი სათვალისგან კი ნაპერწკლებს ისროდნენ კატის ტყიატა თვალები. თავზე შემოხვეული ჭრელი ხილაბანდიდან უშნოდ ამოსჩროდა შავი, ჯაგარივით თმა. მის ისედაც საზიზღარ სახეს კიდევ უფრო ამაზრზენს ხდიდა სიღამწვრე, მარცხენა ყბიდან ცხვირამდე რომ მიჰყვებოდა. ვერონიკას სუნთქვა შეეკრა და მკერდიდან ამომსკდარი კივილი ღრმა ამოოხვრად შეეცვალა, როცა გრძნეულმა გამხმარი ხელი სტაცა და ოთახში შეათრია. შიგნით ყველაფერი ბრუნავდა, ტრიალებდა. წივილი, კნავილი, ხრილი, ზმუილი ერთმანეთში არეულიყო, დედაბერმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ამოიხავლა:

„ჩუმად, თქვე სალახანებო!“ — და ანთარები წკმუტუნით აფორთხდნენ მაღალ ბალდახინიან საწოლზე, ზღვის ღორები ლუმელში შეძვრნენ, ყვავი მრგვალ სარკეზე აფარფატდა. მხოლოდ შავი კატა იწვა არხეინად და გაუნძრევლად დიდ რბილ სკამზე, რომელზეც შემოსვლისთანავე მოიკალათა, თითქოსდა დედაბრის სალანძღავი სიტყვები მას სულაც არ შეეხებოდა, როცა ყველაფერი მიწყნარდა, ვერონიკა გამხნევდა. ახლა ისე საშიში აღარ ეჩვენა ყოველივე, როგორც გარეთ, დერეფანში. თვით დედაბერიც თითქოს აღარ იყო წედანდელივით საზიზღარი. მხოლოდ ახლა მოავლო მან თვალი ოთახს. ჭერზე ცხოველების უთვალავი საზარელი ფიტული ეკიდა, იატაკზე უწესრიგოდ ეყარა რაღაც უცხო, განსაკუთრებული ჭურჭელი, ბუხარში ოდნავ გიზგიზებდა ლურჯი ცეცხლი, რომლის ნასროლ ყვითელ ნაპერწკლებს ხანდახან ტკაცატკაცი გაჰქონდა. ამ დროს ზემოდან რაღაც ხმაური გაისმა — აქეთ-იქით აწყდებოდნენ უხამსი ლამურები და ადამიანივით იღმიჭებოდნენ. ზოგჯერ კიდევ ცეცხლის ალი გამოვარდებოდა ბუხრიდან, გამურულ კედელს ლოკავდა, აი, სწორედ მაშინ მოისმოდა მოთქმა-ღრიალი. ვერონიკა კვლავ შიშმა და ძრწოლამ აიტანა.

„თქვენის ნებართვით, შევუდგეთ საქმეს. მადმუაზელ!“ — თქვა დედაბერმა და ჩაიციინა, მერე ხელი დასტაცა უზარმაზარ ცოცხს, სპილენძის ქვაბში სტუცა, იქიდან სწრაფად ამოიღო და ბუხარს მიაბერტყა. ცეცხლი ჩაქრა და ოთახში კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა, თითქოსდა სქელი კვამლით აივსოო. მაგრამ ერთი წამით სხვა ოთახში გასული დედაბერი უმალ გამოჩნდა ანთებული სანთლით ხელში და ვერონიკას თვალთაგან ერთბაშად გაქრა ყველაფერი, რაც ადრე იხილა. აღარც ერთი მხეცი იქ აღარ იყო. ვეღარც ის უცნაური ჭურჭლე-

ულობა დაინახა — ეს იყო ჩვეულებრივი, ღარიბულად მოართული ოთახი, მოხუცი ქალი მიუახლოვდა მას და დუდღუნა ხმით უთხრა:

„ვიცი, რაც გინდა ჩემგან შეიტყო, ჩემო გოგონავ, ~~რა გაეწყობა~~, გაიგებ კიდევ, შეგირთავს თუ არა ცოლად ანსელმუსი, როცა იგი სასახლის მრჩეველი გახდება“.

ვერონიკა შეშისა და გოცებისაგან გაშტერდა, მაგრამ ~~დედაბერმა~~ განაგრძო:

„ამის შესახებ შენ თვითონ არ მითხარი განა მამისეულ სახლში? რად ვერ მიცანი? გოგონა, ყური დამიგდე! თავი დაანებე, დაანებე თავი მაგ ანსელმუსს, დიდი არამზადა ვინმეა, აი, ერთხელ ჩემს ბიჭუკელას შეეფეთა, ჩემს საყვარელ ბიჭუნას და ვაშლები დაუბნია, წითელლოყება ვაშლები, რაწამს მყოღველი ამ ვაშლებს იყიდდა, უმაღლ მისი ჯიბიდან კვლავ ჩემს კალათში იყრებოდა ბოლმე. მას ნაცნობობა აქვს ერთ ბეხრეკ კაცთან და გუშინწინ სწორედ მისგან გაქვ-ზებულმა რალაც დაწყევლილი სითხე სახეში შემასხურა და დამწვა, თან კინა-დამ არ დამაბრმავა! აი, ხომ ხედავ ლაქებს ჩემს ლოყაზე, გოგონა! თავი დაანებე, თავი დაანებე მაგ კაცს! არ უყვარხარ, იმიტომ რომ სხვა უყვარს — მწვანე-ოქროსფერი გველი. იგი თავის დღეში არ გახდება სასახლის მრჩეველი, იგი სალამანდრათა ქვეყანას ემსახურება და მალე მწვანე გველზე ~~ქორწინებს~~, თავი დაანებე, თავი დაანებე მას!“

მართალი ვითხრათ, ვერონიკას ურყევი და შეუვალი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ მას ქალწულებრივი შეშის დაძლევაც ადვილად შეეძლო. როცა დედაბრის ეს სიტყვები მოისმინა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და მტკიცედ, სერიოზულად უთხრა:

„თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭის შესახებ მსმენია და ამიტომაც გაეხელრთ აქ. ეგებ, ჩემი საქციელი ზედმეტ ცნობისმოყვარეობად და სულსწრაფობად მიიჩნიოთ, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდეთ, გახდება თუ არა ოდესმე ჩემი ქმარი ანსელმუსი, ვინც მიყვარს და ვისაც პატივსაც ვცემ. თუკი ამ სურვილს არ შემისრულებთ და უაზრო, სულელური ლაყბობით კიდევ დიდხანს დამანელებთ, იცოდეთ, ბოროტება იქნება. მე ხომ თქვენგან სხვა არა მინდა რა, გარდა იმისა, რომ მითხრათ ის, რასაც სხვებს ეუბნებით. ჩემი უიდუმალესი ზრახვებიც კი ვცოდნიათ და ნუთუ ის გაგიჭირდებათ, რომ ზოგ-ზოგ რამეებს, რაც ასე მტანჯავს და მალონებს, საბურველი ჩამოხსნათ. მაგრამ თქვენგან კეთილ ანსელმუსზე საზიზლარი ჭორების მეტი ვერაფერი შევიტყვე და უკეთესს აღარას ველი. რა გაეწყობა, დამე ნებისა“.

ვერონიკა უკან გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ მოხუცი დედაკაცი კვნი-სითა და ტირილით დაეცა მის წინ მუხლებზე, კაბაში ხელი ჩაავლო და მუდარით შეჰბლაღლა:

„ვერონიკა, ვერ მიცანი განა? მოხუცი ლიზა ვარ, ბავშვობაში რომ ხელით დაგატარებდი, გივლიდი და გეალერსებოდი“.

ვერონიკა თვალს არ უჭერებდა, ძლივს იცნო ღრმა სიბერისაგან, უფრო კი დამწვრობის ლაქებისაგან დამაზინჯებული თავისი გამდელი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ უგზოუკვლოდ გადაიკარგა კონრეტორ პაულმანის სა-ლბიდან. ახლა მოხუცი ქალი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. წელანდელი ჭრელი ხილაბანდის ნაცვლად მოხდენილი თავსაბურავი ეხურა და შავი ძონ-ძების მაგივრად დიდრონი ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა, როგორსაც უწინ

იცვამდა ხოლმე. მუხლებზე დამხობილი დედაკაცი წამოდგა, ვერონიკას მოეხვია და განაგრძო:

„ყველაფერი, რაც კი ვითხარი, იქნებ სიგიჟედ გეჩვენოს, მაგრამ ამწუხაროდ, მართალია. ანსელმუსმა ბევრ დავიდარებას გადამკიდა, თუმცა მას და უნებურად და არა ბოროტი განზრახვით. იგი ხელში ჩაუვარდა არქივარიუს ლინდპორსტსა და ამიერიდან მისი საქმე წასულია, უეჭველად თავს ამსუქნის და პორწინებს, ამას წყალი არ ვაუვა. არქივარიუსი ჩემი მოსისხლე მტერია, ყველაფერს, კიდევ რომ გიამბო, ვერ გაიგებ, ან თუ გაიგებ, ძალიან შეშფოთდები და რად ვინდა, იგი ბრძენკაცია, მაგრამ არც მე ვარ უჭკუო ქალი, პირიქით. მეც ბრძენი ვარ და ამიტომაც არ გვიყვარს ერთმანეთი. მსგავსი მსგავსს მტრობს, იცოდე, ვხედავ, რომ ანსელმუსი გულში ჩაგვარდნია. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბედნიერი იყო და როგორც წესი და რიგია, ისე იქორწინო და სურვილი აიხდინო“.

„ღვთის გულისათვის, მითხარი, ლიზა“... — იყვირა ვერონიკამ.

„წყნარად, შვილო ჩემო, წყნარად, — გააწყვეტინა სიტყვა დედაბერმა. — ვიცი, რისი თქმაც ვინდა, მე ის გავხდი, რაცა ვარ და სხვაგვარად არ შემეძლო. ასე რომ, მომეპოვება საშუალება, რომელიც ანსელმუსს მწვანე გველისადმი უაზრო ტრფიალს გულიდან ამოუგდებს და სასახლის მრჩევლად ჩაგიგორებს ლოგინში. ოღონდ ამ საქმეში შენც უნდა დამეხმარო“.

„მითხარი, რა გქნა? ყველაფერს გავაკეთებ, რადგან ანსელმუსი ძალიან მიყვარს“.

„ყოჩალი გოგო რომ ხარ, ადრეც ვიცოდი, — განაგრძო დედაბერმა, — ბავშვობაში ტყუილად გაშინებდი ძაღლის ღმუილით, მაინც არ მიჯერებდი და თვალებს დაატყუებდი ხოლმე, გინდოდა ჩემი გამოკონილი ძაღლი საკუთარი თვალით დაგენახა. უკანა ოთახში უსანთლოდ ბედავდი გასვლას და მამისეული მოსასხამით მეზობლის ბავშვებს აფრთხობდი. თუკი სერიოზულად ფიქრობ ჩემი ხელოვნების მეშვეობით დაამარცხო არქივარიუს ლინდპორსტი და მწვანე გველი, ანდა ნამდვილად ვინდა ანსელმუსი სასახლის მრჩეველი და შენი ქმარი გახდეს, გამოეპარე მამას სახლიდან ბუნიაობისას ღამის თერთმეტ საათზე და მოდა ჩემთან! მერჯ ერთად წავიდეთ მინდორში, გზაჯვარედინთან გავჩერდეთ და მოვამზადოთ, რაც კი საჭირო არის. შენ ათასნაირ საოცრებას იხილავ, მაგრამ, ნუ გეშინია, ეს არაფერს გავნებუ. ახლა კი, დამე ნებისა, გოგონავ, მამა ვახშმად გელოდება“.

ვერონიკა სასწრაფოდ გაქანდა შინისაკენ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ბუნიაობის დღეს არავითარ შემთხვევაში არ დაეგვიანებინა. „მართლაც რომ ასეა, — ფიქრობდა იგი, — ლიზა აშკარად სიმართლეს ამბობს, ანსელმუსი იდუმალ ქსელშია გახლართული, მაგრამ მე გავათავისუფლებ მას და სამართლად ჩემად ვიგულებ. ჰო, ჩემია იგი, ახლაც და მაშინაც ჩემი იქნება, როცა სასახლის მრჩეველი გახდება“.

მეექვსე ვიზილია

არქივარიუს ლინდპორსტის კაჟკაჟებით სავსე წალკოტი. ოქროს ქოთანი. ინგლისური ხელნაწერი. წყეული მელნის ლაქები. სულთა თავადი.

„ეგებ ისიც იყოს, — თავისთვის ამბობდა სტუდენტი ანსელმუსი. — სწორედ იმ მაგარმა ლიქიორმა, მუსიო კონრადის დუქანში რომ ლოთიანად გა-

დაეკარა, გამოიწვია ის გიჟური ზმანებები, რამაც არქივარიუსს ლინდპორსტის სახლთან, ზუსტად მისი კარის წინ გული გამიხეთქა. ამიტომაც დღეს სრულიად ფხიზელი შივალ მასთან, იქნებ ამაღნი მიშველოს და მამაცურად შევერკინები ყველანაირ გასაჭირს, რაც კი მოსალოდნელია თავს დამატყდეს“.

როგორც მაშინ, როცა პირველად მიდიოდა არქივარიუსს ლინდპორსტთან, ახლაც ხელი დაავლო კალმებს, კალიგრაფიული ოსტატობის მქონე მსუქან ტუშსა და კარგად წვერწათლილ ფანქრებს და ის იყო კარის ზღურბლზე უნდა გადაეხეებინა, რომ თვალში მოხვდა ყვითელი სითხით ავსებული ბოთლი, რომელიც არქივარიუსმა ლინდპორსტმა მისცა. და მის სულში ელვარე ფერებით წამოტივტივდა ის საოცარი თავგადასავლები, რომლებიც კი ოდესმე განუცდია, ნეტარებისა და ტკივილის გამოუთქმელმა გრძნობამ კი ლამის გული ორად გაუბო და უნებლიეთ საწყალობლად აღმოხდა:

„არქივარიუსი ლინდპორსტი რა შუაშია, მასთან კი არ მივდივარ, შენი ნახვა მინდა, ჩემო ძვირფასო, საყვარელო სერპენტინა“.

წამით მოეჩვენა, თითქოს სერპენტინასადმი ტრფობა იყო უძვირფასესი საზღაური მძიმე და საფრთხილო შრომისა, რომელიც ელოდა. ეს შრომა კი სხვას არას გულისხმობდა, თუ არ ლინდპორსტის მანუსკრიპტთა გადაწერას. და რომ ამ სახლში შესვლისას ანდა იქნებ მანამდეც ათასნაირ საოცრებას წააწყდებოდა, ამაში სრულიად დარწმუნებული იყო, რადგან ამას წინათაც ასე მოხდა.

კონრადის ლიქიორი აღარც გახსენებია, ხოლო ყვითელი სითხით ავსებული ბოთლი ქილეტის ჯიბეში ჩაიდო, რათა არქივარიუსს ლინდპორსტის მითითებისამებრ დროულად გამოეყენებინა იგი, თუკი ბრინჯაოს ვაშლებიანი დედაბერი კვლავ კბილთა ღრქენას მოჰყვებოდა და როცა საათმა თორმეტი ჩამოჰკრა და ანსელმუსმა კარის სახელურს ხელი წაატანა, მოხდა ის, რასაც მოელოდა. მის წინაშე გამოეჩინა წვეტიანი ცხვირი, ხოლო კატის თვალები კარის სახელურზე აჭიატდა. არც დაფიქრებულა, ისე შეასხა ყვითელი სითხე ამ ფატალურ პირისახეს, რომელიც მისწორ-მოსწორდა, მიბრტყელდ-მიბრტყელდა და თვალის დახამხამებაში ბურთივით მრგვალ მოლაპლაპე კარის ჩაქუჩად იქცა. კარი გაიღო. მთელ სახლში საამოდ რეკდნენ ზარები: ძინ-ძინ-ძინ, მარდად, ჭაბუკო, გამოადგი ფეხი და შემოინავარდე. ძინ-ძინ-ძინ. ანსელმუსი მშვიდად აუყვა ვანიერ, კოხტა კიბეს, თან კვამლის იშვიათი სურნელით ტკბებოდა. მთელს სახლში რომ აგრეტიგად მოფრქვეულიყო. უნებურად ტალანში შეჩერდა, რადგან არ იცოდა, რომელ კარზე დაეკაკუნებინა. ამ დროს შემოვიდა არქივარიუსი ლინდპორსტი. მას ვანიერი ქამხის შლაფროკი ეცვა და შესძახა:

„ძალიან მიხარია, ბატონო ანსელმუს, რომ ბოლოს და ბოლოს სიტყვა არ გატეხეთ და მოხვედით. გამომყევით, ჯერ ლაბორატორია მინდა გზივინოთ“.

ამის თქმისთანავე მან დერეფანი სულმოუთქმელად გაიარა და პაწაწა გვერდითი კარი გააღო. ანსელმუსი წყნარად მიჰყვა არქივარიუსს. დერეფნის ვავლით ორივენი დარბაზში შევიდნენ, უფრო სწორად, ორანჟერეაში, რადგან ორივე მხარეს გაყოლებაზე ჩამწკრივებულიყვნენ ნაირ-ნაირი საოცარი ყვავილები, აგრეთვე უზარმაზარი ხეებიც, რომელთაც ჰერამდე აეწვდიანათ თავები და უცნაური ფორმის ფოთლები და ყვავილები გამოესხათ. ირგვლივ ყოველივეს მაგიური კაშკაშა სინათლე მოჰფენოდა, მაგრამ საიდან მოდიოდა ეს სინათლე, ვერ გაიგებდი. ფანჯრის მსგავსსაც ვერაფერს დაინახავდი ახლომახლო. როცა სტუდენტმა ანსელმუსმა ბუჩქებსა და ყვავილებს დახედა, თითქოს შორს მიმა-

ვალი გრძელი დერეფნები დაინახა. ხშირ კვიპაროსთა წყვდიადში ცამციმებდნენ მარმარილოს აუზები, საიდანაც ამომართულიყვნენ ბროლის სხვათა მფრქვეველი განსაცვიფრებელი არსებები, რომლებიც დგაფუნით ეჩვენებოდნენ შროშანებით ავსებულ ბრჭყვიალა თასებში. უცნაური ხმები გაისმოდა, უცნაური ჩურჩული ამ საოცარ ტყეში და ყველგან დიდებული მწიქნებლები ეჩვენებოდნენ. როცა არქივარიუსი გაუჩინარდა, ანსელმუსმა ცხვირწიშ დაწინააღმდეგობა ცეცხლის შროშანთა უზარმაზარი ბუჩქი. ამ ჯადოსნური ტყის ტბილ კეთილსურნელებას იგი მონუსხულივით მიეჭაჭვა ერთ ადგილზე. მერე კი ყოველი მზრიდან მოესმა სიცილი და ხითხითი, ნაზი ხმები დასცინოდნენ და აღიზიანებდნენ.

„ბატონო სტუდენტო! ბატონო სტუდენტო! აქ საიდან მოსულხარ? ასე რად გამოწყვებულხარო, ბატონო ანსელმუს! ჩვენთან ერთად ხომ არ იყბედებდით იმაზე, როგორ დაამსხვრია კვერცხები ბეზიამ უკანალით ანდა როგორ დაილაქა იუნკერმა საზაფხულო სერთუკი? დაისწავლეთ თუ არა ზეპირად ახალი არია, პაპა შოშიამ რომ გასწავლათ? ბატონო ანსელმუს, თქვენ ერთობ სასაცილოდ გამოიყურებით მინის პარიკსა და საფოსტო ქალაღდის ჩექმებში!“ — ასე ეძახდნენ, აპამპულეზდნენ, აგულისებდნენ ანსელმუსს ყოველი კუთხიდან. სტუდენტმა ანსელმუსმა ახლალა შეამჩნია, როგორ დაფარფატებდნენ მასთან სულ ახლოს ათასნაირი ჭრელ-ჭრელი ფრინველები. ისინი სიცილით იგუდებოდნენ და მასხრად იგდებდნენ. სწორედ ამ დროს ცეცხლის შროშანთა ბუჩქი მისკენ დაიძრა და მან დაინახა, რომ ეს არქივარიუსი ლინდპორსტი იყო, რომლის ყვავილებით მოხატულმა, წითელ-ყვითელ ფერებად მოელვარე შლაფროკმა შეიყვანა შეცდომაში.

„მომიტევეთ, ძვირფასო ბატონო ანსელმუს, — თქვა მან, — ამდენხანს რომ გალოდინეთ, მაგრამ გულგრილად ვერ ჩავუვლიდი გვერდს მშვენიერ კაქტუსს, უთუოდ უნდა მენახა იგი, რადგან სწორედ ამალამ უნდა გაშალოს კოკრები, თქვენ ეს მითხარით, როგორ მოგწონთ ჩემი სახლის პატარა ბაღი?“

„ო, ღმერთო, უსაზღვროდ ლამაზია აქ ყველაფერი, ძვირფასო ბატონო არქივარიუსო, ოღონდ ეს ჭრელი ფრინველები არ მაძლევენ საშველს. რა ძალიან დასცინიან ისინი ჩემს არარაობას“.

„ეს რა ენის ტარტარი მესმის!“ — მრისხანედ შეპყვირა არქივარიუსმა ბუჩქებში. მაშინვე გამოფარფატდა დიდი, ნაცრისფერი თუთიყუში და არქივარიუსსაა გვერდით მურტის ტოტზე დასკუპდა, უჩვეულო თავდაჭერიითა და ბლენძვით ამოიხედა სათვალიდან, რომელიც მოლუნულ ნისკარტზე დაეკოსებინა და ჩაიბურტყუნა:

„ნუ გაბრაზდებით, ბატონო არქივარიუსო, ეს ჩემი ანცი ბიჭუნები არიან, თავი რომ აიწყვიტეს, მაგრამ ამაში თვით ბატონი ანსელმუსია დამნაშავე“.

„შენ მანდ წყნარად იყავი, პო, წყნარად! — სიტყვა გააწყვეტინა თუთიყუმს არქივარიუსმა. — ვიცნობ მაგ არანზადებს, მაგრამ შენ თავაზიანობა უნდა გესწავლებინა მათთვის, ჩემო მეგობარო! გზა განვაგრძოთ, ბატონო ანსელმუს“.

არქივარიუსმა ლინდპორსტმა ისე ხელდახელ გაიარა რამდენიმე უცხო მორთული ოთახი, რომ სტუდენტი ანსელმუსი ძლივს ეწეოდა მას და მხოლოდ ნაჩქარევად თუ მოავლებდა თვალს ბრწყინვალე, უჩვეულოდ ნაკეთებ ავეჯსა და სხვა უცნობ საგნებს, რითაც ავსებული იყო იქაურობა. ზოლოს არქივარიუსი ერთ დიდ ოთახში შეჩერდა. თვალის შემოთკენ მიაპყრო და ანსელმუსსაც დრო

ინელთა, გული გაეხარებინა უმშვენიერესი დარბაზის ბილვით. ლაევარდისფერ-მტრედისფერი კედლებიდან გამოწვდილიყვნენ მაღალი პალმის ხეების ოქროსფერ-ბრინჯაოსფერი ტოტები, რომელთაც თავისი კოლოსალური ზურმუხტისფრად მოელვარე ფოთლები ჭერამდე აეწვდინათ; ოთახის შუაგულში სამ მუქ ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ ლომზე იდო პორფირის დაფარაბული ჩვეულებრივი ოქროს ქოთანის დაედგათ და რისთვისაც ანსელმუსს დაალოცვეს მოეწყვიტა. ათასფრად მოციმციმე ათინათებად აელვარებულ ოქროზე თითქოს ნაირფერი სახეები დათამაშობდნენ, ზოგჯერ თვითონაც მოსჩანდა მასში ანსელმუსი ნდომით გაწვდილი მკლავებით და პოი, საოცრებაე, ანწლის ბუჩქთან სერპენტინა მთარწევდა ტანს და ნეტარებით შესცქეროდა მას. გიჟურმა ალტყინებამ ანსელმუსს გონი დააკარგვინა.

„სერპენტინა, სერპენტინა!“ — ხმამალლა დაიძახა მან და არქივარიუსი ლინდჰორსტი მყისვე მობრუნდა მისკენ, თან უთხრა:

„რა თქვით, ძვირფასო ბატონო ანსელმუს? მგონი, ჩემი ასული ახსენეთ. მაგრამ იგი ახლა სახლის მეორე ბოლოშია, თავის ოთახში ზის და მუსიკაში მეცადინეობს, განვაგრძოთ გზა!“

ანსელმუსი ლამის ცნობამიხდილი მიჰყვა არქივარიუსს. ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, ვიდრე არქივარიუსმა მაგრად არ ჩაავლო ხელი და არ უთხრა: „აი, ახლა კი მოვედით დანიშნულ ადგილზე!“

ანსელმუსი თითქოსდა სიზმრისაგან გამოერკვა და შეამჩნია, რომ წიგნების კარადებით სავსე ჭერმაღალ ოთახში აღმოჩნდა, რომელსაც ჩვეულებრივი ბიბლიოთეკისა თუ სასწავლო კაბინეტისაგან ვერაფრით გამოარჩევდი. შუაში დიდი სამუშაო მაგიდა იდგა, მის წინ კი რბილი სავარძელი.

„აი, ჭერხნობით ეს იქნება თქვენი ოთახი, სადაც უნდა იმუშაოთ, — უთხრა მას არქივარიუსმა ლინდჰორსტმა, — ხოლო მოგიწევთ თუ არა საერთოდ იმ ცისფერ დარბაზში დაჯდომა და მუშაობა, სადაც უნებლიეთ ჩემი ასულის სახელი წარმოთქვით, ამაზე ჭერჯერობით ვერაფერს გეტყვი. მე ზომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავრწმუნდე, ნამდვილად შეგიძლიათ თუ არა ჩემი სურვილებისა და მოთხოვნების შესაბამისად შეასრულოთ სამუშაო.“

სტუდენტი ანსელმუსი ერთობ გამხნევდა, ერთგვარი შინაგანი კმაყოფილებით ამოიღო ჯიბიდან თავისი ჩანახატები და კალიგრაფიული სამუშაოები. დარწმუნებული იყო, რომ არქივარიუსს ფრიად გაახარებდა მისი უჩვეულო ტალანტის გამობრწყინება. როგორც კი არქივარიუსმა შეავლო თვალი პირველსავე ფურცელზე ნატიფ ინგლისურ ხელწერას, უცნაურად გაიღიმა და უკმაყოფილების ნიშნად თავი გადააქნია. ასევე მოიქცა მეორე ფურცლის გადათვალიერებისას, ხოლო როცა მისი ღიმილი აშკარად დამცინავი და აბუჩად ამგდები გახდა, სტუდენტ ანსელმუსს ლამის სისხლი აუვარდა ტვინში და სულერთიან აღშფოთებულმა იყვირა:

„როგორც ჩანს, ჩემი მცირე ტალანტით კმაყოფილი არ უნდა იყოთ!“

„საყვარელო ბატონო ანსელმუს, — უთხრა მას არქივარიუსმა ლინდჰორსტმა, — თქვენ უდავოდ ბრწყინვალე ნიჭს ამუღავნებთ კალიგრაფიის ხელოვნებაში, მაგრამ ჭერჯერობით ეს ნამუშევარი თქვენს სიბეჯითესა და კეთილ სურვილს უფრო წარმოაჩენს, ვიდრე ოსტატობას. რასაკვირველია, ძალიან ვნებს საქმეს თქვენ მიერ გამოყენებული დაბალი ხარისხის მასალაც.“

სტუდენტი ანსელმუსი ენად გაიკრიფა, აქო და აქო საკუთარი ოსტატობა, რომელსაც ყველა აღიარებდა, ჩინური ტუში და სულ დარჩეული საუცხოო

ყოჩნის ფრთები. არქივარიუსმა ლინდჰორსტმა ამის საპასუხოდ გაუწოდა ინგლისური ხელნაწერი და უთხრა:

„აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ!“ — სტუდენტ ანსელმუსს თითქოს თავზე მუხი დაეცაო, ისე შეცბუნდა თავისი ხელნაწერის უბადრუკობით. არქივარიუსი სიმრგვალე ბაზებში, არც ერთი სწორი გამსხვილება, არაფითაფრე, კუქნუქნუაობა მთავრულსა და ნუსხურს შორის. დიახ, ანსელმუსის წინაშე ტერორი დასრულდა. მელნის ლაქებით დადღაბნილი არცთუ წარუმატებლად მოხაზული სტრიქონები.

„თან ისიცაა, — განაგრძო არქივარიუსმა ლინდჰორსტმა, — რომ არც ტუში გქონიათ გამძლე“, — ამის დასადასტურებლად მან თითი ჩასტუცა წყლით სავსე ტიქაში და როცა სველი თითით ოდნავ შეეხო ასოებს, ყველაფერი უკვალოდ გაქრა.

სტუდენტმა ანსელმუსმა ხმის ამოღება ვერ შესძლო, თითქოს უჩხულო ახრჩობსო. ასე იდგა იგი გაოგნებული თავისი ბედუკულობართი ქალაქებით ხელში, მაგრამ ამ დროს არქივარიუსმა ლინდჰორსტმა ხმამაღლა გაიცინა და თქვა:

„ამის გამო ნუ შეშფოთდებით, ძვირფასო ბატონო ანსელმუს! იქნებ ჩემთან უკეთ დაეუფლოთ იმას, რასაც აქამდე ვერ დაუფლებიხართ, გარდა ამისა. ჩვენ უკეთესი საწერი მასალა მოგვეპოვება. მხოლოდ ეს არის, გაბედულად უნდა მიჰყვეთ საქმეს!“

არქივარიუსმა ლინდჰორსტმა ჩაკეტილი კარადიდან გამოიღო რაღაც შავი ფერის სითხე, ირგვლივ რომ განსაკუთრებულ სურნელს აფრქვევდა, აგრეთვე უცნაური ფერის, ფაქიზად წვერწათლილი ფანქრები, უჩვეულოდ თეთრი და გლუვი ქალაქის ფურცლები, მერე კიდევ არაბული მანუსკრიპტი და როგორც კი ანსელმუსი მუშაობას შეუდგა, იგი ოთახიდან გავიდა.

სტუდენტ ანსელმუსს უთვალაფჯერ გადაუწერია არაბული ხელნაწერები და ამიტომაც ეს პირველი დავალება მისთვის ძნელად შესასრულებელი არ უნდა ყოფილიყო.

„მაგრამ როგორ მოხვდა მელნის ლაქები ჩემს მშვენიერ ინგლისურ ხელნაწერზე, ეს მართო ღმერთმა თუ იცის ანდა არქივარიუსმა ლინდჰორსტმა, — ჩუმად თავისთვის ამბობდა იგი, — იმაზე კი თავს დავდებ, რომ ჩემი დალაქული არ არის“.

პერგამენტზე ერთობ წარმატებულად მოხაზული თითოეულ სიტყვასთან ერთად ასკეცდებოდა მისი სითამამე და ამასთან ოსტატობაც. მართალი გითხრათ, ახალი კალმით იგი ერთობ დიდებულად წერდა, ეს იღუმალებით აღსავსე კუბრივით შავი მელანი რომ გასაოცარი სიმსუბუქით მიწანწკარებდა თვალის დამაბრმავებლად თეთრ პერგამენტზე და რაც უფრო ბეჯითად და უდიდესი ყურადღებით მუშაობდა იგი, მით უფრო მოსწონდა თავისი განმარტოებული ადგილსამყოფელი. ახლა იგი სრულყოფილად დაეუფლა სამუშაოს, რომლის ბედნიერი დასასრულის იმედიც მიეცა, ამ დროს საათმა სამი ჩამოჰკრა და გვერდითი ოთახიდან არქივარიუსმა ლინდჰორსტმა სადილად მიიპატიჟა. სადილობისას, სუფრასთან არქივარიუსი ლინდჰორსტი უჩვეულოდ კარგ გუნებაზე იყო. ანსელმუსს გამოჰკითხა თავისი მეგობრების — კონრეკტორ პაულმანისა და რეგისტრატორ ჰეებრანდის ამბები, თვითონაც ბევრი სასააცილო რამ უამბობო მათზე, განსაკუთრებით რეგისტრატორ ჰეებრანდზე.

ანსელმუსს განსაკუთრებით ეგემრიელა ძველი შესანიშნავი რაინვაინი და

ჩვეულებრივზე მეტად ალაპარაკდა. როგორც კი ოთხი საათი გახდა, იგი უმაღლესზე წამოხტა და საქმეს შეუდგა. არქივარიუსს ლინდჰორსტს ეტყობა, ძალიან მოეწონა მისი ესოდენი პუნქტუალობა.

თუ სადილის წინ ანსელმუსს ბედმა გაუღიმა და არაბული ნიშნების წარმატებით გადატვა შესძლო, ახლა მით უფრო უკეთ წარიმართა მუშაობა. თვითონაც ვერ გარკვეულიყო, ისეთი სისწრაფითა და სიმსუბუქითა დაიჭრა ცუხო ხელნაწერთა ჩახუჭუჭებული ხაზები. თან ისიც იყო, რომ თითქოს სულის სიღრმიდან იღუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა სრულიად გასაგები სიტყვებით:

„განა ძალგაძდა ამის გაკეთება, დღენიადაგ რომ ჩემს ფიქრებსა და გრძობებში არ სახლობდეს იგი, ვინც მიყვარს და ვისი რწმენაცა მაქვს“. მერე კი წყნარად, წყნარად მოეფინა მთელს ოთახს ბროლის ზართა ხმები.

„მე სულ ახლოსა ვარ შენთან, სულ ახლოს. მე ვარ შენი შემწე, იყავი მხნე და ძლიერი, ძვირფასო ანსელმუს! შენთან ერთად მეც ვიღწვი, რათა ჩემი გახდე!“

ანსელმუსმა ალტაცებით მოისმინა ეს სიტყვები და წინათ მისთვის სრულიად გაუგებარი ნიშნები ახლა სულ უფრო და უფრო გასაგები გახდა, ისე გასაგები, რომ ორიგინალში თითქმის აღარც სჭირდებოდა ჩახედვა. ისიც კი მოეჩვენა, რომ ეს ნიშნები მკრთალად იყო გამოყვანილი პერგამენტზე, ხოლო თვითონ ისღა დარჩენოდა, რომ ხელგაწაფულს ზემოდან მოეხაზა შავი მელნით. განაგრძო მან მუშაობა ტკბილი, ნაზ სუნთქვასავით ძვირფასი, სიმშვიდის მომტანი ბგერებით მოცულმა, ვიდრე საათის ისარმა ექვსი არ აუწყა და ოთახში არქივარიუსი ლინდჰორსტი არ შემოვიდა. იგი უცნაური ღიმილით მიუახლოვდა მაგიდას. ანსელმუსი მდუმარედ წამოდგა ზეზე, არქივარიუსი ჯერ თითქოს კვლავ დამცინავად უცქერდა მას, მაგრამ როგორც კი ახლოდან შეხედა ნამუშევარს, ეს დამცინავი ღიმილი შეეცვალა ღრმა, სერიოზული, საზეიმო გამომეტყველებით. ამჯერად იგი სულ სხვანაირი იყო. მისი ცეცხლისმფრქვეველი თვალები ახლა გამოუთქმელი ღმობიერებით შეჰყურებდნენ ანსელმუსს, ფერმკრთალ ლოყებს ოდნავი სიწითლე მოსდებოდა, ხოლო ბაგეს, წედან ირონიულმა ღიმილმა რომ მოუღრიცა, ახლა ეტყობოდა, სასიამოვნო ამბავი უნდა ეუწყებინა და ბრძნული, სულისჩამდგმელი სიტყვები ეთქვა. მთელი მისი გარეგნობა და იერი ამალღებული იყო და ღირსებით სავსე. განიერი შლაფროკი სამეფო მანტიასავით მოესხა მხრებზე. თეთრი კულულები მაღალ ფართო შუბლს რომ უფარავდა, ოქროს დიადემად დაჰფენოდა თავზე.

„ჭაბუკო! — საზეიმო ხმით დაიწყო არქივარიუსმა. — ჭაბუკო, სანამ თქვენ გონს მოხვიდოდით, მანამ მე უკვე ვიცოდი ის იღუმალი ურთიერთობები, რომლებიც ყველაზე ძვირფასი და წმინდაა ჩემთვის. სერპენტინას უყვარხართ და იმ უცნაურ ხვედრს, რასაც საბედისწერო ძაფებით ქსოვს მტრული ძალა, ჩანს, ვერ ასცდებით, როცა იგი თქვენი გახდება და როცა უეჭველად მიიღებთ მზითევად ოქროს ქოთანს — მის განძს, მაგრამ მარტოოდენ ბრძოლით თუ მიალწევთ ბედნიერებას და ამალღებულ ყოფას. ავი საწყისი აგიჯანყდებით და უნდა შეებრძოლოთ. მხოლოდ შინაგანი სიმტკიცე თუ გიხსნით სირცხვილისა და წაბდენისაგან. რაკი ჩემთან მუშაობთ, განსწავლის წლებსაც ჩემთანვე გაატარებთ, რწმენა და შეცნობა მიგიყვანთ უახლოეს მიზანთან, თუ მტკიცედ მიჰყვებით დაწყებულ საქმეს. ერთგული იყავით იმისა, ვისაც უვარხართ და ოქროს ქოთანის მშვენიერ საოცრებას იხილავთ და სამარადყამოდ ბედნიერი იქნებით. ნახვამდის!“

არქივარიუსი ლინდპორსტი ხვალ დილის თორმეტ საათზე გელოდებათ კაბინეტში, ნახვამდის!“

არქივარიუსმა წყნარად უბიძგა ანსელმუსს ზღურბლისაკენ და კარი ზურგსუკან მიუხურა, ხოლო ანსელმუსი იმ ოთახში აღმოჩნდა, სადაც ჩვეულებრივ სადილობდა ხოლმე არქივარიუსი და რომლის ერთადერთი კარგად შესტრუბიულში გადიოდა. უცნაური ხილვებით სულერთიან დამუნჯებულ ანსელმუსს სახლის პარშალთან შეჩერდა. მერე ზემოთ ფანჯარა გაიღო და მან არქივარიუსი ლინდპორსტი დაინახა. იგი მთლად დაბერებულყო, თეთრ-მონაცრისფრო სერთუკი ეცვა. ადრე რომ ენახა ანსელმუსს, სწორედ ისეთი. არქივარიუსმა ლინდპორსტმა იქიდან გადმოსძახა:

„ო, ძვირფასო ბატონო ანსელმუს, ასე რამ ჩაგაფიქრათ, იქნებ არაბული ანბანი თავიდან ვერ ამოიგდეთ. მოკითხვა გადაეცით ბატონ კონრექტორ პაულმანს, თუ ნახოთ სადმე, ხვალ კი სრულ თორმეტ საათზე ჩემთან იყავით. დღევანდელი ჰონორარი სერთუკის მარჯვენა ჯიბეში ჩაგიდევით“.

ანსელმუსმა შარტლაც იპოვა მოლაპლაპე შპეციესტალერები ჯიბეში, მაგრამ ეს სულ არ გახარებია.

„აბა, მე რა ვიცი, რა გამოვა აქედან! — თავისთვის ამბობდა იგი. — მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გიჟური ოცნებებითა და ზმანებებით შეპყრობილს მუდამ თვალწინ მიდგას ძვირფასი სერპენტინას ხატება და უმალ მოვკვდები, ვიდრე იმას თავს დავანებებ, რადგან ვიცი, რომ ჩემს არსებაში მიწვივ ცოცხლობს მხოლოდ ერთი ფიქრი, რისი მოსპობაც არანაირ მტრულ ძალას არ შეუძლია და სხვა რა უნდა იყოს ეს ფიქრი, თუ არა სერპენტინასადმი სიყვარული“.

მეზვიდე ვიგილია

როგორ გამობერტყა კონრექტორმა პაულმანმა ჩიბუხი და წავიდა დასაძინებლად. რემბრანდტი და ჯოჯოხეთის ბროიგჰელი.⁹ ჯაღოსნური სარკე და ექიმ ეკშტაინის რეცეპტი გამოუცნობი ავადმყოფობის განსაკურნავად.

ბოლოს კონრექტორმა პაულმანმა თავისი ჩიბუხი გამობერტყა და თქვა: „უკვე ძილის დროც მოსულა, უნდა მოვისვენო!“

„რა თქმა უნდა, — მიუგო ვერონიკამ, შეწუხებულმა, რომ ათი საათი კარგა ხანია შესრულებულიყო, მამამისი კი აყოვნებდა. თვითონ მოსაჩვენებლად ჩაწვა ლოგინში, მაგრამ როგორც კი მამა თავის საძინებელ ოთახში შევიდა, რომელიც კაბინეტის მოვალეობასაც ასრულებდა, ხოლო ფრენცკენის ღრმა და თანაბარმა სუნთქვამ აუწყა, რომ დამ ნამდვილად დაიძინა, ფრთხილად წამოდგა ლოგინიდან, ტანზე ჩაიცვა, პალტო მოიხურა და ქუჩაში გავიდა. იმ დღიდან მოყოლებული, რაც მოხუცი ლიზა იხილა, ვერონიკას ყოველ წამს თვალწინ ანსელმუსი ედგა და ერთთავად რაღაც უცხო ხმა ჩასძახოდა, რომ რომელიღაც მტრულად განწყობილი არსება ელობებოდა, ვისაც უბედური გოგონა თავის გავლენის ქვეშ მოექცია, და ვისი მოსპობაც ვერონიკას მაგიური ხელოვნების იდუმალეებით აღსავსე ფანდით ძალუძდა: დღითი დღე იზრდებოდა ვერონიკას ნდობა მოხუცი ლიზასადმი. თანდათან გაუქრა შიში და ძრწოლვა, დედაბერი რომ ჰგვრიდა, თანაც ყველაფერი უცნაურის, არაჩვეულებრივის, რომანტიკულის შუქით შეიბურა, რამაც ვერონიკა კარგა ლაზათიანადაც მოა-

ჯადოვა, ამიტომაც ბუნობა ღამეს თავის განზრახვაზე კვლავ მტკიცედ იდგა, თუნდაც სერიოზული საფრთხე დამუქრებოდა, ათასნაირი უსიამოვნება შეხვედროდა, თუკი გამოემყლაფნებოდა, რომ შინ არ იყო, უსიკვდილოდ უნდა დასრულებოდა ბუნობას. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დადგა ეს აღთქმული ღამეც, როცა მოხუცი ღიზა ნუგეშსა და შემწეობას ჰპირდებოდა გოგონას, და ვერონიკამაც, რომელიც რა ხანია ინუგეშებდა თავს ამ ღამეზე, თქვა: „უფო, უფო მხნედ იგრძნო. შურდულივით მიჰქროდა იგი უკაცრიელ ქუჩებში. ყურადღებას არ აქცევდა მობობოქრე ქარიშხალს, წვიმის მსხვილ წვეთებს რომ ესროდა სახეში. ყრუ, გაბმული ხმით ჩამოჰკრა სამრეკლოზე ზარმა თერთმეტი საათი, როცა შთლად გალუმპული ვერონიკა მოხუცის სახლთან აიტუზა.“

„მოხვედი ხომ უკვე, ვენაცვალე? მომიცადე, მომიცადე! — ჩამოსძახა ზემოდან მოხუცმა და წამსვე გამოვიდა სახლიდან კალათით ხელში, თან კატა მოჰყვებოდა. — ასე, ახლა ჩვენ წავალთ და იმას გავაკეთებთ, რაც საჭიროა. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს ამ წკვარამ ღამეში, რადგან სწორედ ღამეა ზედგამოჭრილი ასეთნაირი საქმეების საკეთებლად“, — ეს თქვა და აკანკალებულ ვერონიკას სიცივისაგან გათოშილი ხელებით ჩაებლაუჭა, მერე მძიმე კალათა ზურგზე აჰკიდა, თვითონ კი იქიდან ქვაბი, სამფეხი და ნიჩაბი ამოალაგა წასაღებლად.

როცა მინდორში გავიდნენ, უკვე აღარ წვიმდა, მაგრამ ქარიშხალი ერთობ გაძლიერდა. ყურთასმენა აღარ იყო, პაერში ბრდღვინვა გაისმოდა ამაზრზენი, გულის გამგმირავი მოთქმა აღწევდა შავი ღრუბლებიდან, სწრაფად რომ მისდევდნენ ერთმანეთს და გარშემო ყველაფერს წყვდიადით ფარავდნენ. დედაბერი კი დაოთხილა დააბოტებდა, თან გამკივანი ხმით იძახდა: „გაანათე, გაანათე, ჩემო ბიჭო!“ მერე მათ წინ დაიგრიხნენ და ვადაიხლართნენ ცისფერი ელვები და ვერონიკამ უმაღლ შენიშნა, რომ ეს კატა დასტუნებდა მათ გარშემო მოტყაცანე ნაპერწყლების ფრქვევით. სწორედ მისი დამფრთხალი, საზარი კნავილი მოესმა, როცა ქარიშხალი სულ ერთი წამით მიწყნარდა. თითქოს სუნთქვა შეეკრა, ყინულივით ცივი კლანჭებით სწვდნენ ყელში და გაგუდეს, მაგრამ გოგონამ ღონე მოიკრიბა, დედაბერს მაგრად ჩაებლაუჭა და ჩაილაპარაკა:

„ყველაფერი უნდა აღსრულდეს. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია!“

„ოღონდაც, ჩემო გოგონა! — მიუგო მოხუცმა, — იყავ სალ კლდესავით უდრეკი და მე გიბოძებ რაღაც მშვენიერს და კიდევ ანსელმუსს“.

ბოლოს დედაბერი შედგა და თქვა:

„აი, უკვე მოვედით დანიშნულ ადგილზე“.

მიწაში ორმო ამოთხარა, მერე ორმოში ნახშირი ჩაყარა და ზედ სამფეხი დადგა, სამფეხზე კიდევ ქვაბი. ყველაფერ ამას იგი უცნაური მიხვრა-მოხვრით აკეთებდა, ხოლო კატა მის გარშემო წრეს უვლიდა. კატის კუდი აფრქვევდა ნაპერწყლებს, რომლებიც ცეცხლის რკალს გამოსახავდნენ. მალე ნახშირი აენტო და სამფეხის ქვეშ ცისფერი ცეცხლი გაჩაღდა. ვერონიკამ პალტო გაიხადა, თავსაბურავი მოიხსნა და ჩაცუცქდა დედაბერთან ერთად, რომელსაც მაგრად ჩაებლუჭა გოგონას ხელები და თან ანთებული თვლებით მიშტერებოდა. მერე დედაბერმა კალათიდან უცნაური საგნები ამოალაგა, ვერ გაიგებდი რა იყო: ყვავილები, ლითონები, მცენარეები თუ ცხოველები. მერე ეს საგნები ქვაბში ჩაყარა, აადულა და მოხარშა. მოხუცმა ვერონიკას ხელი გაუშვა, ხელში რკინის კოვზი აიღო, ათუხთუხებულ მასაში ჩასტუცა და მოურიცა. ამასობაში კი ვერონიკას, როგორც დედაბერმა დაარჩია, ქვაბისათვის თვალი არ უნდა მო-

ეშორებინა და ანსელმუსზე ეფიქრა. მერე დედაბერმა ხელმეორედ ჩაყარა ქვა-
ბში ლაპლაპა ლითონები. თმის კულულები, რომელიც ვერონიკას საფეთქელ-
თან შეექრა, აგრეთვე პაწია ბეჭედიც, თითზე რომ წამოეცვა და დიდი ხანია,
რაც ატარებდა. ამის შემდეგ დედაბერმა გამოსცა გაუგებარი, სიბნელეში სა-
ხარლად გამკივარი ბგერები, ხოლო კატა კნავილით შეუწყვეტოდა
მის გარშემო.

სიბნელეში

ძალიან მინდოდა, მოწყალეო მკითხველო, მაინცდამაინც ოცდასამ სექ-
ტემბერს დრეზდენისაკენ მიმავალ გზაზე მოხვედრილიყავ. აი, გვიანი საღამო
როცა დაღვა, ამოდ შეეცადნენ ბოლო სადგურზე შენს დაყოვნებას. კეთილგან-
წყობილ სასტუმროს მეპატრონე გიხსნის, გარეთ ისე საშინლად წვიმს და ქუხს,
უაზრობაა ასეთ თავსხმასა და უკუჩემში ბუნიობაზე წასვლაო. შენ კიდევ
შენსას არ იშლი, ყურს არ ათხოვებ მის რჩევას, რადგან გგონია, და ეს სწო-
რიცაა, მეეტლეს სასმელის ფულს — მთელ ტალერს გადავუხდი და არა უგ-
ვიანეს ერთი საათისა თავს დრეზდენში ამოვეყოფო, სადაც „ოქროს ანგელოზ-
ში“ ანდა „მუზარადში“ ან კიდევ „ქალაქ ნაუმბურგში“ გემრიელ ვაბშამს მი-
ვირთმევ და თბილი საწოლიც მექნებაო.

აი, მიდინხარ სიბნელეში და უცებ შორს მეტად უცნაურად მბუუტავ სი-
ნათლეს დაინახავ. უახლოვდები და ხედავ ცეცხლის რკალს, რომლის შუაგუ-
ლში, იქვე ქვაბთან, სქელ კვამლს, მოელვარე წითელ სხივებსა და ნაპერწკლებს
რომ ისვრის, ორი არსება ჩამჯდარა. სწორედ იმ ცეცხლზე გადის გზა და ამი-
ტომ ცხენებიც აფრუტუნდნენ, ყალყზე შედგნენ. მეეტლე მათ ხან წყევლა-
კრულვით იკლებს, ხანაც ლოცვა-მუდარით შესთხოვს ადგილიდან დაძვრას,
ბოლოს, როცა ვერაფერს გააწყობს, მათრახსაც გადაუჭეოს, მაგრამ ცხენები
უჯიათად დგანან ერთ ადგილზე. უნებლიეთ ეტლიდან ჩამოხტები და რამდე-
ნიმე ნაბიჯს გაირბენ თუ არა, ცხადად დაინახავ მოხდენილ, ტანად გოგონას,
რომელიც თეთრი ღამის ხალათით ქვაბთან დაჩოქილა, ქარიშხალს ნაწნავები
დაუშლია და გრძელი წაბლისფერი თმა პაერში უფრიალებს. მის ანგელოზებ-
რივ, მაგრამ ფერმიხდილ, გაქვავებულ სახეს დამაბრმავებელი ცეცხლი ანათებს,
რომელიც სამფეხიდან ვარვარით ამოინთქმება, მაგრამ საშინელებას დაუსა-
დგურებია მის სახეზე, თითქოს ყინულის ნიაღვარს გადაუვლიაო ზედ. აშკა-
რად ხედავ, როგორ აღბეჭდილა შიში და ძრწოლა მის გაოგნებულ თვალებში,
აზიდულ წარბებში და ღამაზ ბაგეზე, რომელიც სიკვდილის ელდას გაუბია,
მაგრამ ვერა და ვერ აღმოხდენია ყვირილი აუხსნელი ტანჯვით შეკუმშულ
მკერდს. პაწია, ათრთოლებული ხელები მალლა აღუბყრია გოგონას, თითქოსდა
თავის მფარველ ანგელოზს ლოცვით მოუხმობს, ჯოჯოხეთის ურჩხულებისაგან
მიხსენიო, რომლებიც მძლე გრძნეულების წყალობით საცაა უნდა გამოჩენი-
ლიყვნენ. მუხლებზე დაცემულა გოგონა — მარშარილოს ქანდაკების სადარი,
მის გვერდით კი მიწაზე ჩაცუცქულა მაღალი, ხმელი, სპილენძისფერ-ყვითელი
დედაბერი, წვეტიანი, ძერასებური ცხვირითა და კატის ჭიატა თვალებით. ბებ-
რუხანა შავ პალტოში გამოხვეულა, იქიდან შიშველი, გაქვალტყავებული ხე-
ლები გამოუჩრია და კოვზით ურევს ჯოჯოხეთის შეჭამადს, თან ხითხითებს და
მჩხავანა ხმით გასძახის მბორგავ, მძვინვარე ქარიშხალს, რარივ უშიშარი და გუ-
ლმავარიც არ უნდა იყო, მოწყალეო მკითხველო, მაინც მგონია, რომ რემბრან-
დტისა თუ ჯოჯოხეთის ბროიგპელის ამ გაცოცხლებული ფერწერული ტილოს
ხილვისას შიშით თმა ყალყზე დაგიდგება: თვალს ვერ მოსწყვეტ ჯადოქრო-
ბით გართულ გოგონას და უეცრად, თითქოს დენმა დაგიარაო, ძარღვები აგი-

თრთოლდება და გაბედული აზრი შეგიბყრობს, შეებრძოლო ცეცხლოვანი რკალის იდუმალ ძალებს. ამ აზრმა გააქარვა შენი შიში, ღიახ, სწორედ ამ შიშსა და ძრწოლაში აღმოცენდა, იშვა ეს აზრი. თითქოსდა თვითონ შენ იყო ეს მღვრველი ანგელოზი, ვისაც სიკვდილის შიშით ანადრწოლი გოგონა მგელას/შესთხოვს, და შენც მოვალეობის გრძნობა შეგიბყრობს, უმაღლესი სიკვდილის-ტოლექტი და უბოდიშოდ, დაუფიქრებლად გამოასაღმო სიკვდილს შენსაგანა. მაგრამ ვიდრემდე ყველაფერ ამას ცოცხლად განსჯიდე, ხმამაღლა გაჰყვირი: „ჰეი, მანდ რა ხდება?“ ანდა „მანდ რას აკეთებთ?“. შეეტლე მაგრად ჩაჰბერს საყვირს და დედაბერი ზედ დაასკდება შეჭამანდიან ქვაბს და ყველაფერი ერთბაშად გაუჩინარდება სქელ კვამლში. შე არ ვიცი, მოწყალეო მკითხველო, იპოვე თუ არა გოგონა, რომელსაც წრფელი სურვილით დაექებდი წყვილადში, ოღონდ ის კია, რომ ნამდვილად შწამს — დედაბრის აჩრდილს უსიკვდილოდ აღგვიდი პირისაგან მიწისა, თანაც გამოიცინობდი მაგიური ძალის გრძნეულებას, რამაც ვერონიკა ყოვლად ქარაფშუტულად ჩაითრია. მაგრამ არც შენ, მოწყალეო მკითხველო, და არც სხვა ვინმე არ გამოჩენილა ოცდასამი სექტემბრის იმ ქარიშხლიან დამეს, რომელიც ერთობ ხელსაყრელი იყო ჯადოქართა ხელოვნებისათვის და ვერონიკაც მოთმინებით, სიკვდილის მტანჯველი შიშით შებყრობილი ელოდა ქვაბთან საქმის დაბოლოებას. კარგად ესმოდა, როგორ ბრდღვინავდა, ბობოქრობდა ირგვლივ ყველაფერი, როგორ ბლაოდნენ და ტყარკალებდნენ ერთმანეთში არეული ათასნაირი საზარხ ხმები, მაგრამ ოგოთვალეებს არ ახელდა, რადგან გრძნობდა, რომ მის გარშემო მოფუსფუსე შემადრწუნებელი აჩრდილები სამარადისო სიგიჟეს უქადდნენ, რისგანაც ველარასოდეს განიკურნებოდა. ბოლოს და ბოლოს დედაბერმა ქვაბში ჩასხმული რალაც მასის მორევეს თავი ანება, რის გამოც ბოლი სულ უფრო და უფრო შესუსტდა, მხოლოდ სპირტის მკრთალი ალილა ბუუტავდა ქვაბის ფსკერზე. დედაბერმა დაიძახა:

„ვერონიკა, შეილო ჩემო, ძვირფასო! ჩაიხედე ქვაბში და ფსკერს დააკვირდი, აბა, თქვი, რას ხედავ მანდ, რას ხედავ მანდ?“

მაგრამ ვერონიკას ხმის ამოღება არ შეეძლო, მარტო იმას ხედავდა, როგორ ტრიალებდნენ ქვაბის ფსკერზე ერთმანეთში არეული სხვადასხვანაირი ფიგურები.

მაგრამ აი რა მოხდა, თანდათანობით გამოიკვეთა სახეები და მოულოდნელად ქვაბის სიღრმეში გამოჩნდა სტუდენტი ანსელმუსი, რომელიც კეთილგანწყობით უმზერდა მას და ხელს უწვდიდა. ვერონიკამ ხმამაღლა წამოიძახა:

„ო, ანსელმუს! ანსელმუს!“

დედაბერმა სწრაფად გახსნა ქვაბზე მიმაგრებული ონკანი და ანთებული ლითონი შიშინითა და ტკაცუნით დადნა და დაპატარავდა, მომცრო ფორმად იქცა. იგი დედაბერმა გოგონას გვერდით დაუდო. მერე დედაკაცი ადგილიდან წამოხტა და სხეულის ველური, საზიზღარი რხევით და გრეხით დაიქყვილა:

„საქმე დასრულდა. მადლობა შენ, ჩემო ბიჭო! კარგად იდარაჯე, ფუი, ფუი, იგი მოდის! უკბინე, უკბინე მას!“

მაგრამ ზუსტად ამ დროს იმზომ ძლიერ აგრიალდა პაერში რალაც ხმა, თითქოს უზარმაზარი არწივი ფრთების ტლაშუნით ძირს ჩამოფრინდაო, და საზარლად იღრიალა: „ეჰეი, ეჰეი, ნაძირალებო! წაეთრიეთ, წაეთრიეთ შინ!“

დედაბერი ღმუილით დაეცა მიწაზე, ხოლო ვერონიკამ გრძნობა დაჰკარგა. როცა გონს მოეგო, ნათელი დღე იდგა, თავის საწოლში იწვა და თავზე

ფრენცენი დასდგომოდა ხელში ჩაის ფინჯნით, რომელსაც ორთქლი ასდიოდა.

„მითხარი, დაო, რა დაგემართა? საათზე მეტია, აქ ვდგავარ და ვეყურებ, შენ კი უგონოდ წევხარ, თითქოს ციებ-ცხელებას შეუპყრიხარ და ისე ობრავე და კვნესი, ლამის შიშისაგან გულები დაგვისკდეს, შენს გამო მამამ დღეს გაკვეთილი გააცდინა და საცაა გაჩნდება ექიმის თანხლებით“.

ვერონიკა ხმისამოუღებლად სვამდა ჩაის და კვლავ თვალწინ ედგა წუნანდელი შემადრწუნებელი სურათები.

„ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ საშინელი სიზმარი იყო, ასე რომ გამტანჯა და გამაწვალა! მაგრამ ხომ ნამდვილად წავედი წუხელ მოხუც ქალთან? გუშინ ოცდასამი სექტემბერი არ იყო? იქნებ სწორედ გუშინ გავხდი ავად და ეს ყველაფერი მესიზმრა მხოლოდ და სხვა არაფერი, ავად კი გამხდა დღენიადაგ ანსელმუსზე, აგრეთვე უცნაურ დედაბერზე ფიქრმა, რომელმაც თავი ღიზად გამოაცხადა, ხოლო მე კი განსაცდელში ჩამაგდო“.

ვერონიკა ამ ფიქრებში იყო გართული, როცა ოთახში კვლავ შემოვიდა ფრენცენი, რომელსაც ხელში წვიმისაგან მთლად გალუმბული პალტო ეჭირა.

„ხედავ, დაო“, — თქვა მან, — რა დღეშია პალტო, ლამით ქარიშხალმა ფანჯარა შემოგლიჯა, სკამი, რომელზედაც პალტო იდო, გადმოაყირავა და აი, პალტოც სულ სველია“.

ახლა კი, როგორც იქნა, ვერონიკა გონს მოეგო და გაახსენდა, რომ სიზმარი კი არ იყო მისი დამტანჯველი, არამედ სინამდვილე. იგი ხომ ნამდვილად ეახლა ლამით დედაბერს, კვლავ შიშმა და ძრწოლამ აიტანა და ციებ-ცხელებამ მთელი სხეული აუძაგძაგა. წელში მოიკაკვა და ათრთოლებული გამოეხვია საბანში. უეცრად მკერდთან იგრძნო რაღაც მაგარი სხეული, ხელით შეეხო და ნახა მედალიონი. როცა ფრენცენმა პალტო გარეთ გაიტანა, ვერონიკამ ფრთხილად ამოაცოცა მედალიონი, რომელიც პაწია, მრგვალ, პრიალა ლითონის სარკეს წარმოადგენდა.

„ეს ხომ დედაბრის საჩუქარია“, — მკვირცხლად იაზრა და წამოიყვირა კიდევ უნებლიეთ. სარკემ კი თითქოს ცეცხლოვანი სხივები ამოისროლა. რამაც გოგონას სულში შეაღწია და კეთილისმყოფლად გაუთბო გული. ციებ-ცხელება ჯერ გაუნელდა, მერე გაუქრა და უეცრად იგი სიმშვიდისა და სინამდვილის შეგრძნებამ მოიცვა. მისდა უნებურად ანსელმუსზე დაიწყო ფიქრი, რაც უფრო და უფრო ეძალებოდა მასზე ფიქრი, მით უფრო იკვეთებოდა ანსელმუსის სახე სარკეში, ხედავდა, ვაჟი სიყვარულით უღიმოდა, ეს იყო ანსელმუსის ცოცხალი მინიატურული პორტრეტი. უეცრად მოეჩვენა, რომ უცნაურად არა ანსელმუსის გამოსახულებას, არამედ ცოცხალ სტუდენტ ანსელმუსს, აი, იგი ზის ჭერმაღალ, უცნაური ავეჯით გაწყობილ ოთახში და რაღაცას გულმოდგინეთ წერს. ვერონიკა უნდა ახლოს მიეიდეს, მხარზე ხელი მოუთათუნოს და უთხრას: „ბატონო ანსელმუს! შემხედეთ, ეს მე ვარ!“ — მაგრამ ვერ მოუხერხებია, თითქოს გარს შემოხვევია მანათობელი ცეცხლის ნაკადი, რომელიც ვერონიკამ დაკვირვებით დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ ეს ცეცხლის ნაკადი კი არა, წიგნების ვეება ოქროვარაყიანი ყუები იყო. ბოლოს და ბოლოს ვერონიკამ თვალებში ჩახედა ანსელმუსს, რომელიც თითქოს გონს მოეგო, მხოლოდ ამ წუთში იცნო და გაახსენდა იგი, გაუღიმა და უთხრა:

„ო, ეს თქვენ ხართ, საყვარელო მადმუაზელ პაულმან! მაგრამ რად ხდებოხლმე, ხანდახან რომ გველივით იგრიხებით?“

ამ უცნაურ სიტყვებზე ვერონიკამ ხმაშიაღლა გაიციინა, მერე კი, როცა კარი

გაიღო და ოთახში კონრექტორი პაულმანი შემოვიდა ექამ ეკსტაინთან ერთად, ვერონიკა თითქოს ღრმა ძილისაგან გამოფხიზლდა.

ექიმი ეკსტაინი უმაღ საწოლთან მივიდა. ღრმა ფიქრებში ჩასული ვერონიკას მაჯა გაუსინჯა და თქვა: „ოპ, ოპ,“ — რეცეპტი გამოუწერა. მერე კი ისევ მაჯისცემას მიუგდო უფრო და კვლავ წამოიძახა: „ოპ, ოპ,“ — და შექაბილით დატოვა მან ავადმყოფი. ექიმი ეკსტაინის ამ ქცევით კონრექტორი პაულმანმა ბევრი ვერაფერი გაიგო, ვერ გაარკვია, რა სჭირდა მის ასულს.

მეგრე ვიზილია

პალმის ხეებიანი ბიბლიოთეკა. ერთი უდიდესი სალამანდრას ბელი. როგორ მოეფერა ქარხალს შავი კალამი და რა ძლიერ გამოთვრა რეგისტრატორი ჰეებრანდი.

სტუდენტი ანსელმუსი უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც არქივარიუს ლინდპორსტთან მუშაობდა. ეს პერიოდი მას თავისი ცხოვრების უბედნიერეს ხანად მიაჩნდა, რადგან მუდამ ესმოდა სერპენტინას საამო ხმა, მისი ნუგეშისმცემელი სიტყვები. ხშირად მისი ტკბილად მონაბერი სუნთქვაც შეჰხებია წყნარად. ეს სუნთქვა დღემდე სიმშვიდეს ჰგვრიდა, ნეტარების უმაღლეს მწვერვალზე აჰყავდა. გონებიდან გაუქრა თავისი საცოდავი არსებობის ყველანაირი შეჭირვება, ყველანაირი წვრილმანი საზრუნავი. ახალმა ცხოვრებამ, ნათელი მზის ბრწყინვალეობასავით რომ შემოიჭრა მის სულში, აშკარად შეაცნობინა ათასწერადი საოცრება უმწვერვალესი სამყაროსი, რამაც იგი ჯერ გაოცებით, მერე ჯი შიშითაც აღავსო.

მანუსკრიპტების გადაწერა ძალიან სწრაფად ხდებოდა, რადგან სულ ეგონა, დიდი ხნის წინათ ნასწავლი რაღაც უცხო იეროგლიფები გამოჰყავდა პერგამენტზე და ორიგინალში ჩახედვა აღარც კი სჭირდებოდა საიმისოდ, რომ ყველაფერი უდიდესი სიზუსტით გადაეხატა. სადილობის საათს გარდა არქივარიუსი ლინდპორსტი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ანსელმუსის ოთახში, მაგრამ უსათუოდ იმ წუთს, როცა ანსელმუსს ხელნაწერის ბოლო ნიშანი გამოჰყავდა. არქივარიუსი მეორე ხელნაწერს გადასცემდა და უმაღ დუმილით გაეცლებოდა იქაურობას; თანაც შავი პაწია ჯობით მელანს მოურევდა ხოლმე და გაცვეთილ კალმებს ახალი, წვერწამახული კალმებით ცვლიდა.

ერთ დღეს, ზარებმა რომ თორმეტი საათი ჩამოჰკრეს, ანსელმუსი ჩვეულებრივ აუყვა კიბეებს და ოთახში შემავალი კარი დაკეტილი დაუხვდა. კიბის მეორე მხარეს დაინახა არქივარიუსი ლინდპორსტი უცნაურად მოციმციმე ყვავილებით მოხატული შლაფროკით. მან ხმამაღლა შესძახა ანსელმუსს:

„დღეს ამ ოთახში შემოხვალ, ძვირფასო ანსელმუს, აქ ბჰაგავატგიტას ბრძენკაცები გველოდებიან“.

მან დერეფანი გაიარა და ანსელმუსს ისევ იმ ოთახებსა და დარბაზებში შეუძღვა, სადაც სულ პირველად მოსვლისას გაატარა. სტუდენტი ანსელმუსი ხელახლა გააოცა ბაღის საკვირველმა მშვენიერებამ, მაგრამ ამჯერად მან აშკარად დაინახა, რომ წყვილიდით მოცულ ბუჩქებზე ჩამოკონწილებული ის იშვიათი ყვავილები, ბრჭყვიალა ფერებით მბრწყინავი მწერები იყვნენ მხოლოდ და სხვა არაფერი. ისინი პაწაწა ფრთებს ერთმანეთს უტლამუნებდნენ, თან ცეკვით და ბზრიალ-ტრიალით ერთერთს ხორთუმებით ელამუნებოდნენ.

სამაგიეროდ ვარდისფერი და ცისფერი ფრინველები სურნელოვანი ყვა-

ვილები გეგონებოდა, მუშკ-ამბრი კი, რასაც ისინი გარშემო აფრქვევდნენ. წყნარ, საამო ბგერებად ქცეულიყო და ზეცისაკენ ატყორცნილიყო. ხოლო ბგერები თრთოლვით შერეოდა შორეულ შადრევნების დგაფუნს და მათად ხეთა და ბუჩქთა შოშრიალე, ღრმა სევდისა და ლტოლვის გამოწხატვად, მალეებით აღსავსე აკორდებს. ენატარტარა ფრინველები, ასე რუქი-რუქი და გააწვალეს პირველად ანსელმუსი, კვლავ დაფარფატებდნენ მისი „განსაკუთრებული“ ნარნარი ხმით განუწყვეტლივ ჩასძახოდნენ:

„ბატონო სტუდენტო, ბატონო სტუდენტო! ასე სად მიგეჩქარებათ? ასე ჩაცივებით ნუ იჭყიტებით ღრუბლებში, თორემ შეიძლება რამეს ფეხი წამოჭკრათ და ცხვირი გაიტეხოს. ჰო, იცით, უთუოდ ცხვირს გაიტეხთ. ჰა! ჰა! ბატონო სტუდენტო! მოიხტოვო ეგ თქვენი პუდერმანტილი! ნათლიამა შუპუტუპესი“ დაფივარცხნით!“ — და მანამ გაგრძელდა ეს სულელური ლაქლაქი, სანამ ანსელმუსმა ბაღი არ დატოვა. ბოლოს არქივარიუსი ლინდჰორსტი ლაქვარდისფერ ოთახში შევიდა. პორფირზე დადებული ოქროს ქოთანს გამჭრალიყო, მის ნაცვლად კი ოთახის შუაგულში იდგა იისფერი ხავერდით დაფარული მაგიდა, რაზეც ანსელმუსის ფრიად ნაცნობი საწერკალმები და ფურცლები ეწყო, მაგიდის წინ კი ხავერდგადაკრული სავარძელი იდგა.

„ძვირფასო ბატონო ანსელმუს! — უთხრა მას არქივარიუსმა ლინდჰორსტმა. — რამდენიმე მანუსკრიპტი თქვენ უკვე სწორად და სწორად გადაწერეთ, რითაც დიდი კმაყოფილება და სიხარული მომანიჭეთ და ამით უთუოდ მოიპოვეთ ჩემი ნდობა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე წინა გაქვთ. ეს არის გადაწერა ან უფრო ზუსტად, გადახატვა განსაკუთრებული და უჩვეულო იეროვლიანებით დაწერილი წიგნისა, რომლებიც სწორედ ამ ოთახში მაქვს სათუთად შენახული და რომელთა გადაღება მხოლოდ აქვე თუ შეიძლება. ამიტომაც სამუშაოდ აქ დაჯდებით. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ: განსაკუთრებული წინდახედულებითა და გულისყურით მოეკიდეთ ორიგინალს. არც ერთი ყალბი ხაზი არ იყოს გადაწერილში და მეღნის წვეთი — ორიგინალში. ღმერთმა დაგიფაროს და მეღნის წვეთი თუ დაეცა ორიგინალს, ეს დიდ ფათერაკს შეგამთხვევთ“.

ანსელმუსმა დაინახა, რომ პალმის ხეთა ოქროს ტანები პაწია მწვანე-ზურმუხტისფერ ფოთლებს აშრიალებდნენ. არქივარიუსმა ხელი წაატანა ერთ ფოთოლს და ანსელმუსმა ცხადად დაინახა, როგორ იქცა ეს ფოთოლი პერგამენტის გრაგნილად, რომელიც ლინდჰორსტმა გაშალა და ანსელმუსს წინ დაუდო მაგიდაზე. ანსელმუსი განაცვიფრა აურაცხელმა უცნაურად მოხაზულმა ნიშანმა და როცა აუარება წერტილი, ხაზი, კვეთილი და კაუჭი იხილა, თითოეული ან მცენარეს, ან ხავსს ან კიდევ ცხოველს რომ გამოსახავდა, სულ დაკარგა იმედი მათი სწორად და უშეცდომოდ გადახატვისა. ამიტომ სავიწმინდებლში ჩავარდა.

„გულს ნუ გაიტეხ, ყმაწვილო! — ამ შეძახილით გაამხნევა იგი არქივარიუსმა, — სერპენტინა დავეხმარება, თუკი ჭეშმარიტი სიყვარულით გიყვარს და ნაღდად გწამს მისი“.

არქივარიუსის ხმას მოულოდნელად წყნარი, ლითონისებრი ელერა დაეტყო და როცა ანსელმუსმა შიშით დააჭყიტა თვალები, მის წინაშე მეფურად იდგა არქივარიუსი ლინდჰორსტი, სწორედ ისეთი, პირველი ვიზიტის დროს რომ გამოჩნდა თავის ბიბლიოთეკაში. ის იყო მოწიწებით აღვსილ სტუდენტ ანსელმუსს მუხლი უნდა მოეყარა ამ დიდებული კაცის წინაშე, რომ ანაზღად

არქივარიუსი ლინდჰორსტი პალმის ხეში შთაინთქა, მის მწვანე-ზურმუხტისფერ ფოთლებში ჩაიკარგა. სტუდენტი ანსელმუსი მიხვდა, რომ მასთან სულთა მეუფე ლაპარაკობდა, რომელიც თავის კაბინეტში განმარტოვდა, რათა მასთან ელჩად წარმოგზავნილ პლანეტის სხივებთან საუბარი გაეხა იმპზე, თუ რა ბედით ეწერა მისა და მის მშვენიერ ასულს — სერპენტინას.

„ან იქნებ ისიცაა, — განაგრძობდა ფიქრს ანსელმუსი, — მან ჩაქნა კადებიდან რაღაც ახალ ამბავს ელოდება ანდა კიდევ ლაპლანდიელი მაგიკოსი უნდა ეახლოს სტუმრად. ჩემთვის კი ყველაფერს ისა სჯობს — ბეჭითად მივყვე საქმეს“.

და აი, იგი შეუდგა პერგამენტთა გრაგნილების უცხო ნიშნების შესწავლას. წალკოტის საოცარი მუსიკა მშვენიერ პანგებად იღვრებოდა მის გარშემო და ტკბილი, საამო სურნელით ავსებდა. შორიდან ენაქარტალა ფრინველების ხითხითიც მოესმოდა, მაგრამ მათი სიტყვების გარჩევა არ შეიძლებოდა, რაც ძალიანაც უხაროდა. ხან თითქოს პალმის ხეთა ზურმუხტისფერი ფოთლები შრიალებდნენ, თითქოს ოთახში იღვრებოდნენ და ციმციმებდნენ საამური ბროლის ხმება, ანსელმუსმა რომ ამალლების იმ საბედისწერო დღეს გაიგონა ანწლის ბუჩქთან. სტუდენტი ანსელმუსი უცნაურად შესძრა ამ ბგერებმა და შექმა და აი, მან ძალა დაატანა გონებას, დაეინებით მიაბყრო აზრი და ფიქრი პერგამენტის გრაგნილის სათაურს და უეცრად გუჟანით მიხვდა, რომ ეს ნიშანი სხვა არა იყო რა, თუ არა სიტყვები: „სალამანდრას ქორწინება მწვანე გველზე“. მოულოდნელად თეთრი ბროლის ზართა უღერა გაისმა სამგზის.

„ანსელმუსს! საყვარელო ანსელმუსს!“ — ფოთლებიდან თითქოს ნიავმა დაუხერა და ჰოი, საოცრებავ! პალმის ხეს მწვანე გველი შემოხვეოდა.

„სერპენტინა! ძვირფასო სერპენტინა!“ — გიჟური აღტყინებით შესძახა ანსელმუსმა და როცა იგი დაეინებით შეათვალიერა, დაინახა, რომ მისკენ მოემართებოდა მომხიბლავი, მშვენიერი გოგონა, რომელსაც მუქლურჯი თვალები ჰქონდა, თვალები, მარადეამ რომ უფორიაქებდა სულს და გამოუთქმელი ნეტარებით ავსებდა. ფოთლები თითქოს დაბლა დაეშვნენ და გაფართოვდნენ, ტოტებზე ჩხვლეტია ეკლებმა ამოპყვეს თავები, მაგრამ სერპენტინა ისე მოარხევდა მოქნილ ტანს, ხოლო შრიალა, ერთმანეთში გარდამავალი ფერებით მოელვარე კაბა ისეთნაირად ემოსა მოხდენილი აღნაგობის სხეულზე, რომ პალმის ხეთა ჭაცვებსა და ეკლებს არც ერთხელ არ გამოსდებია. იგი ანსელმუსის გვერდით დაჯდა სკამზე, ცალი მკლავი შემოჰხვია და თავისკენ იმნაირად მიიზიდა, რომ სერპენტინა ბაგეებიდან მონაბერმა სუნთქვამ ანსელმუსს სული ელექტრონისებური სიბოთი აღუესო.

„ძვირფასო ანსელმუსს! — დაიწყო სერპენტინამ. — ჩქარა სულით ხორცამდე ჩემი იქნები, რადგან ჩემდამი უებრო რწმენითა და მიმნდობი სიყვარულით გაიტანე ლელო და ჩემი თავიც ხომ ამ სიყვარულმა გაპოვნინა. ამის საბადლოდ გიბოძებ თქროს ქოთანს, რომელიც მიწყევ ბედნიერს გაგვხდის ორივეს“.

„ო, ძვირფასო, საყვარელო სერპენტინა! — წარმოთქვა ანსელმუსმა. — თუ ჩემი გახდები, სხვა რაღა გვინდა, სხვას რას დავეძებთ, თუკი ჩემი იქნები, მზად ვარ ცოცხლად გადავეშვა და დავინთქე იმ საოცრებებსა და სასწაულებში, რაიც შენი პირველი ხილვისთანავე თავს დამტყდომია და რამაც სულერთიან მომიცვა და შემმუსრა.“

„კარგად ვიცი, — განაგრძო სერპენტინამ. — ის გამოუცნობი და უცნაუ-

რი გამოხდომები, რასაც მამაჩემის უხიჯობის წყალობით გადაპყრობარ და რაც შენში შიშსა და ძრწოლას აღძრავს, მაგრამ ამიერიდან, იმედი მაქვს, ასეთი რამ აღარ მოხდება. საყვარელო ანსელმუს, შენთან ახლა იმიტომ მოველა, რომ ყველაფერი მამაჩემის შესახებ წერილად გიამბო, რისი ცოდნაც შენთვის უთუოდ საჭიროა, რათა სწორად და ნათლად ჩასწვდე ჩემსა და მემკვიდრეულსა თლეს“.

გინგლინიუსი

ანსელმუსს მოეჩვენა, ისე ჩაჰხვეოდა, შენივთებოდა ძვირფას არსებას, თითქოს მასში დანთქმულიყო და მის სულში ირხეოდა, თითქოსდა ვაჟის გულის ცემა სერპენტინას ძარღვებსა და ნერვებში თრთოდა. ანსელმუსი ყურს მიუგდებდა ქალის ყოველ ნათქვამს, შინაგანი თრთოლვით რომ გამოსცემდა საოცარი ელერადობის ხმას და სულში ზეციური ნეტარების მანათობელ სხივს ანთებდა. ანსელმუსმა ხელი მოჰხვია ქალის წერწეტა ტანს, მაგრამ მისი კაბიშ ლაბლაბა, ბრჭყვიალა ნაჭერი ისე ლიბი და კრიალა იყო, რომ ეგონა აგერ-აგერ ხელიდან დამისხლტება და უმწეოდ მომატოვებს მარტოდმარტოსო. როგორც კი ეს გაიფიქრა, უმალ ცახცახმა აიტანა.

„არ დამტოვო რა, ძვირფასო სერპენტინა, — უნებლიეთ აღმოხდა მას. — უშენოდ ვერ გავძლებ“.

„დღეს არ დაგტოვებ. — მიუგო სერპენტინამ, — მანამ არ დაგტოვებ. სანამ ყველაფერს არ გავიგებ, რისი გაგებაც კი შეიძლება, რომ ჩემი საყვარელო დაგიდასტურო. მაშ ასე, ძვირფასო, ამიერიდან იცოდე, რომ მამაჩემი სალამანდრათა უცნაური მოდგმისაა და ჩემს ამქვეყნად მოსვლას ვუმადლი მის საყვარელს მწვანე გველისადმი. უხანჯარ დროში ატლანტიდის ჯადოსნურ ქვეყანაში მეფობდა სულთა ძღვევამოსილი თავადი — ფოსტორუსი, რომელსაც სტიქიათა სულები მსახურობდნენ. ერთხელ სალამანდრამ (ეს გახლდათ მამაჩემი), რომელიც უზომოდ უყვარდა ფოსტორუსს, მშვენიერ ბაღში სეირნობისას, თავისი უზადო ნიჭიერების წყალობით კეკლუცად რომ მოერთო ფოსტორუსის დედას, გაიგონა, რა ნაზი ხმით მღეროდა ტანკენარი შროშანი: „თვალები მინაბე მხოლოდ და მანამ იძინე, ვიდრე ჩემი სატრფო — დილის ქარი არ გაგაღვიძებს“. სალამანდრა მიუახლოვდა შროშანს, მან ყვავილის ჯამში იხილა მთვლემარე მისი ასული — მწვანე გველი. სალამანდრას ტრფობის აღმური მოედო მშვენიერი ქოლქოდასადმი და მან წარსტაცა იგი შროშანს, რომელიც ერთობ ააღელვა პირმშოს დაკარგვამ, მაგრამ ამოდ მოეფინა მისი სურნელი მთელ ბაღს, იგი უმწეოდ დრტვინავდა, საყვარელ ასულს უხმობდა. სალამანდრამ სატრფო ფოსტორუსის ციხე-დარბაზში მიიყვანა და შესთხოვა: „ნება დამრთე ვიქორწინო ჩემს სატრფოზე, რადგან სამარადისოდ ჩემად მინდა ვიგულო“. „ჰკუაზე მოდი, სულელო! იცი თუ არა, რას მოითხოვ? — უთხრა სულთა თავადმა. — იცოდე, ოდესღაც შროშანი ჩემი მიჯნური იყო და ჩემთან ერთად განაგებდა სამეფოს, მაგრამ ნაპერწკალი, რომელიც მის წიაღში მოხვდა, სიკვდილის საფრთხეს უქადდა მას და მხოლოდ გამარჯვებამ შავ ურჩხულზე, რომელიც ამჯერად მიწის სულებს შეუპყროთ, შეუნარჩუნა სიცოცხლე და მისი ფოთლებიც გვარიანად გადიდნენ და მომძლავრდნენ და ახლა კარგად შეუძლიათ ნაპერწკალს თავშესაფარი მისცენ და სათუთად შეინახონ იგი. მაგრამ თუ არ დამიჯერებ და მაინც მოეხვევი მწვანე გველს, შენი მხურვალე შთანთქავს მის სხეულს და ახალი არსება, რომელიც თვალისდახამხამებაში წარმოიშობა, უმალ ხელიდან გაგისხლტება, გაგიფრინდება“. სალამანდრამ ყური არ ათხოვა სულთა თავადის გაფრთხილებას, იგი მხურვალე ნდო-

მით მაინც მოეხვია მწვანე გველს, რომელიც მოხვევისთანავე ელვისებურად ფერფლად იქცა, ხოლო ფერფლისაგან იშვა ფრთოსანი არსება, რომელიც ხმაურით აფრინდა ზეცაში. სალამანდრას სასო წარეკვეთა. ზალში შექცეულა, მერე ცეცხლისა და გვენის ფრქვევით ველური გამძვინვარებით ისეთნაირად მოარბია იგი, რომ გადამწვარ-გადაბუგული ტურფა ყვავილებზე დაეყრდნობოდა. გამზადებული კოკრები მიწაზე დაცვივდნენ, მათი გმინვებიც დაეწყნებებოდა ზეცას ესმოდა. გააღმასებულმა სულთა მეუფემ ხელი სტაცა სალამანდრას და უთხრა: „ჩაქრა შენი ლამპარი, ჩაიფერფლა შენი სანთელი, დაიშრიტა შენი თვალის სინათლე! ძირს დაემხე მიწის სულეების წინაშე! დე, აბუჩად აგივდონ და გტანჯონ იმათ, ვიდრემდე ცეცხლის მატერია კვლავ არ აენთება და შენგან ახალ არსებას არ შექმნის მიწის ძალთაგან აღმობრწყინებულს“. ბედშავი სალამანდრა ჩამქრალი დაემხო მიწას, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ნაბიჯი წინ წადგა. ეს იყო ბუზლუნა მოხუცი, მიწის სული, ფოსფორუსის მეზაღე და მან თქვა: „მეუფეო! ჩემზე უფრო მეტად, ნეტა კიდევ ვის ეთქმის სამღურავი სალამანდრაზე? განა მე არ გავამშვენებო რე მი ლითონებით ეს ყვავილები, მან რომ ეგრე ხელალებით, უაზროდ აღგავა პირისაგან მიწისა? განა მე არ ვეველებოდი თავს, არ ვესათუთებოდი, არ ვდარაჯობდი ბალის ყვავილთა ყლორტებს? მინდოდა მშვენებოდა მშვენებოდა ფერებით შემემკო ისინი. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვჭომაგობ, ვესარჩლები ბედშავ სალამანდრას, რამეთუ სიყვარულმა ჩააგდო იგი ამ დღეში. შენც ხომ არა ერთხელ შეუბუროხარ, მეუფეო, სიყვარულის წამლეკავ ძალას. დიახ, სიყვარულის მიზეზით გააჩინაგა მან ეს ბალი. იხსენი, მეუფეო, იგი მძიმე სასჯელისაგან!“

„ამჟამად მისი ცეცხლი ჩამქრალია, — თქვა სულთა მეუფემ, — იმ ბედშავულმართ ეამს, როცა ბუნების ენა ადამიანთა გადაგვარებული მოდგმისათვის უკვე გასაგები აღარ იქნება, როცა თავ-თავიანთ საბრძანებელში ჩაკეტილი სტიქიის სულეები მხოლოდ შორიდან თუ გააბამენ მუსაიდს ყრუ ნახმევით ადამიანებთან, როცა ადამიანს, პარმონიულ წრეს მოწყვეტილს, მხოლოდ უსასრულო სევდა უბოძებს ბუნდოვან გავებას საოცრებებით აღსავსე სამყაროსას, რომლის ბინადარიც იყო იგი ოდესღაც, როცა რწმენა და სიყვარული ჯერაც სუფევდა მის სულში. — სწორედ ამ ბედკრულ ხანაში აღინთება ხელმეორედ სალამანდრათა ცეცხლის მატერია, ოღონდ ამჯერად მას მარტოდენ ადამიანი წარმოშობს და ადამიანისვე წყალობით ცხოვრების ჭირსა და სატკივარს ზიდავს. მაგრამ იგი ოდენ თავისი წინარეწარსულის მოგონებებით კი არ უნდა იკვებებოდეს, არამედ მთელ ბუნებასთან უცოდველ პარმონიაში უნდა ცხოვრობდეს. იგი შეიცნობს მის საოცრებას და ნათესაური სულეების ცხოველი ძალაც თავის განკარგულებაში ეყოლება, შრომანის ბუჩქში იგი კვლავ იბოვის მწვანე გველს და მასთან ჭორწინების შედეგად გაჩნდება სამი ასული, რომლებიც კაცთა მოდგმას ქალის ხატებად მოეველინებიან. გაზაფხულობით ისინი დაბურულ ახწლის ბუჩქს დაეფინებიან და შეარბევენ, მერე გულში ჩამწვდომ ბროლის ხმებს ააქლერებენ. და თუ კი შინაგანი გაუხეშებისა და სისასტიკის ამ ბედკრულ, უბადრუკ ხანაში მოიძებნება ჭაბუკი, ვინც მათ სიმღერას გაიგონებს და ერთ-ერთი გველთაგანი ამ ჭაბუკს მშვენებრი, მომაჯადოებელი თვალეებით შეხედავს და ეს მზერა მას ამ შორეული, საოცარი ქვეყნისაკენ ლტოლვას აღუძრავს, რისკენ უძრწუნველ ამალღებასაც იგი ესწრაფვის, როცა მოიხსნის წვრილმანი, გაცვეთილი ცხოვრების ტვირთს, თუკი გველისადმი ტრფობა მასში აღმოაცენებს ბუნების საოცრებებს-სადმი ცხოველ და მზურვალე

რწმენას, თანაც მის მკვიდრ არსებობას ამ საოცრებებში, აი, მაშინ კი გახდება გველი მისი საუნჯე, მაგრამ მანამ კი არა, ვიდრე დარჩენილი ორი დაც არ იპოვის თავის გულისსწორს, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ხელწიფენ სალამანდრას თავისი მძიმე ტვირთის მოხსნა და ძმებთან წასვლა! — ნება მომეც, მეუფეო, — წარმოთქვა მიწის სულმა, — თქვენს სამ ასულს საბუქარე უფროთვა, რაც მათ ცხოვრებას გაუმწვენიერებს თავიანთ ახალშეძენბუქარეებთან ერთად. თითოეული მათგანი ჩემგან ძღვნად მიიღებს ლითონის ქოთანს, რაიც ჩემი განძია და რასაც მე აღმასის სხივებით ვფენ ნათელს, ოქროს ქოთანის ბრწყინვა დამაბრმავებლად მშვენიერი სხივებით არეკლავს ჩვენს საოცრებებით: აღსაგსე ქვეყანას, რომელიც ბუნების ძახილს შეხმატკბილებულად აჰყვება, ბუნებისვე თანახმად მყოფობს, ხოლო ქოთანსა შიგან დაე შათი დაქორწინების პირველი წუთისთანავე იზრდებოდეს და ხარობდეს ცეცხლის შროშანი, რომლის უკვდავი კვირტის ტკბილი სურნელი სასოებით აღუვსებს სულს ჭაბუკს. მაღე იგი ჩვენს ენას, ჩვენი სამეფოს საოცრებასაც ისწავლის და სატრფოსთან ერთად განცხრომით იცხოვრებს ატლანტიდაში. შენ უკვე იცი, ძვირფასო ანსელმუს, რომ მამაჩემი გახლავს სწორედ ის სალამანდრა, რომლის შესახებაც ახლა გიამბუ. იგი იძულებული გახდა, თავისი მაღალი ბუნების მიუხედავად, მიჰყოლოდა ჩვეულებრივი ყოფის წვრილმანებს და აი, ეს არის მიზეზი იმ ღვარძლიანი აბირებებისა, რითაც იგი ბევრ ვინმეს გულს უწყალებს. მამას არაერთხელ უთქვამს, რომ ახლა საგანგებო გამოთქმით მოიხსენებენ იმ სულიერ თვისებას, რაც ჩემზე და ჩემს დებზე დაქორწინების აუცილებელ პირობად ითვლება, ამ გამოთქმას ძალიან ხშირად არასწორად, უადგილო ადგილას ხმარობენ ხოლმე, საბედობრ, მას ბავშვურად პოეტური სული ჰქვია. ხშირად ასეთი სულის პატრონი ის ჭაბუკები არიან, რომელთაც ბრბო დასცინის და აბუჩად იგდებს. ადამ-ჩვეულებათა მეტისმეტი სიმარტივისა და ავრეთვე ე. წ. საერთო განათლების სრულიად არქონის გამო. ო, ძვირფასო ანსელმუს! შენ ხომ გაიგონე ანწლის ბუჩქთან ჩემი სიმღერა, ხომ იგრძენი და იბილე ჩემი შემოხედვა, შენ გიყვარს მწვანე ქოლქოდა, შენ გჭერა ჩემი და ამიტომაც სამარადისოდ ჩემი იქნება, მშვენიერი შროშანი კვლავ აღორძინდება ოქროს ქოთანში და ჩვენ უბედნიერესი ვიქნებით ერთად, ნეტარად განვლევთ ცხოვრების დღეება ატლანტიდაში. ვერც იმას დაგიმაღავ, კარგო, რომ სალამანდრებისა და მიწის სულების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში შავმა ურჩხულმა ბორკილება აიხსნა და ახლა ზეცაში დამძვინვარებს. თუმც ფოსფორუსმა მას კვლავ დაადო ხუნდი, მაგრამ მისი შავი ბუმბულისაგან, რომელიც ბრძოლისას მიწას მოეფინა, მტრული ძალები აღმოცენდნენ და ყველგან ეომებიან სალამანდრებს და მიწის სულებს, აი, ის დედაბერიც, შენ რომ ეგზომ კრიქაში ჩაგდგომია, ძვირფასო ანსელმუს, და რაც მამაჩემმაც საკმაოდ კარგად უწყის, სულ იქითკენ ისწრაფვს — ოქროს ქოთანის მფლობელი გახდეს, თავის არსებობას იგი უნდა უმაღლოდეს ურჩხულის ფრთიდან ჩამოვარდნილი ბუმბულის სიყვარულს რომელიღაც ჭარხლისადში. იგი შეიცნობს თავის წარმომავლობასა და მისგან გაშომდინარე ძალას, რადგან შეპყრობილი ურჩხულის კენესასა და კანკალში მისთვის საცნაური გახდება საოცრებებით აღსაგსე ვარსკვლავთა მდგომარეობის ილუმალებები და იგი ყველანაირ ხერხსა და ილეთს იქითკენ წარმართავს, რათა ვარედან შიგნით იმოქმედოს, მამაჩემი კი, პირიქით, შიგნიდან გარეთ ქმედებს. მას ებრაქვის ელვებით, რომლებიც სალამანდრათა შინაგანი არსებიდან გამოიქცორცნებიან ერთმანეთთან ყოველად დაპირისპირებულ

საწყისებს, რაც კი მავნებელ ბალახებსა და შხამიან ცხოველებში სუფევს, დედაბერი თავს ერთად უყრის და ამოდრავებს, ხოლო შემდეგ ვარსკვლავთა სასურველი მდებარეობის მომენტში ერთმანეთში აურევს, მერე კი ზღუბობს ბოროტ აჩრდილებს, რომელთაც შინაითა და ძრწოლვით უვსებს ვულვას და უმორჩილებს იმ დემონურ ძალას, დამარცხებულმა ურჩხულმა რომ ბრწყინ-სას წარმოშვა. უფროხილდი შავ დედაბერს, ძვირფასო ანსელმუსი შენი მტერია და დუშმანი, რადგან შენმა ბავშვურად უცოდველმა სულმა მისი ბო-როტი ჯადო-გრძნეულება უკვე რამდენჯერმე გაანადგურა. იყავ სულ მუდამ ასე მისანდობელი, კარგო, და საცაა ფონსაც გაზვალ“.

„ო, ჩემო კარგო სერპენტინა! — წარმოთქვა სტუდენტმა ანსელმუსმა. ვით შემოძლია დაგშორდე? ვით შემოძლია კუბოს კარამდე არ მოყვარდე?“ მის ბა-გვზე კოცნა აგიზგიზდა. თითქოს ღრმა ძილისაგან გამოფხიზლდა. სერპენტინა გაუჩინარებულყო. ექვსი საათი შესრულდამ — აუწყა ხარას რეკვამ და ვულზე ჯავრი შემოაწვა, ეს რა მომივიდა, სტრიქონიც რომ არ გადამიწერიო. შეწუხებულმა დახედა ქალაღს. რას იტყვის არქივარიუსიო, თავს იმტვრევდა ამაზე ფიქრით ანსელმუსი და პოი, საოცრებავ! ვიღაცას იღუშალი მანუსკრიპ-ტის ასლი წარმატებით დაესრულებინა და როცა დაეინებათ ჩაათვალიერა იე-როგლიფები, აშკარად ირწმუნა, რომ სერპენტინას ნაუბარი მამაზე — სულთა მეუფე ფოსფორუსის ფავორიტზე ატლანტიდას საოცრებათა ქვეყანაში უხი-ლაგ ხელს თავიდან ბოლომდე გადაუხატავს. აი, ახლა ოთახში არქივარიუსი ლინდპორსტი შემოდის მოთეთრო-მონაცრისფრო სერთუკით, თავზე ქუდითა და ხელში ჯოხით. მან ყურადღებით დაათვალიერა ანსელმუსის მიერ გადაწე-რილი პერგამენტი, მერე ბლომად ამოიღო თუთუნი და ღიმილით მიმართა:

„ასეც ვფიქრობდი! აგერ შენი შპეციესტალერები, ბატონო ანსელმუს! ახ-ლა ჩვენ ერთად გავწევთ ლინკეს აბაზანებში“.

არქივარიუსი შურდულივით გაქანდა ანსელმუსთან ერთად იქითკენ, გზად ბალი გამოიარეს, სადაც იმოდენა აურზაური და ხმაური იყო, სიმღერა, სტვენა, ლაპარაკი ერთმანეთში ისე დომნალივით არეულოყო, რომ სტუდენტმა ანსელ-მუსმა ლამის ყურთასმენა დაკარგა და ღმერთს მადლობა შესწირა, როცა ქუჩა-ში მშვიდობით გამოვიდნენ. ორიოდ ნაბიჯი გადადგეს და რეგისტრატორი პე-ებრანდი შემოხვდათ, რომელიც მეგობრულად შეუერთდა მათ. ქალაქის კარი-ბჭესთან მეგობრებმა ჩიბუხის გაბოლება ინდომეს. რეგისტრატორი პეებრანდი შეწუხდა, სანთებელა თან არ წამომიღიაო. მაგდამ ამაზე არქივარიუსმა უკმა-ყოფილოდ შესძახა:

„რა სანთებელა აგიტყდა. აგერ ცეცხლი და მოუკიდე რამდენიც გენებოს“.

მან თითები დაატკაცუნა და იქიდან იმხმისხო ნაპერწკლები წამოსცივდა, რომ ჩიბუხებს წამსვე მოუკიდეს.

„ხელავ ამ არქივარიუს ლინდპორსტს, რა ქიმიური ფოკუსი მოგვიწყო?“ — თქვა რეგისტრატორმა პეებრანდმა, მაგრამ სტუდენტ ანსელმუსს მისთვის არ ცხელოდა, შინაგანი ძრწოლა იბყრობდა. როცა სალამანდრა ანსუნდებოდა. ლინ-კეს აბაზანებში რეგისტრატორი პეებრანდი — ეს წყნარი, მშვიდობიანი კაცი, ბუხს რომ არ გააღვიძებდა, ერთი ლაზათიანად გამოთერა მაგარი ლუდით, მე-რე წრიპინა ტენორით სტუდენტური სიმღერები შემოსძახა. თან ყველა შემ-ხვედრს აგზნებული ეკითხებოდა, ხარ რე არა ჩემი მეგობარიო. არქივარიუს ლინდპორსტს რა ხანი იყო უკვე გუდა-ნაბადი აგერა. როცა სტუდენტმა ანსელ-მუსმა პეებრანდი შინ გააცილა.

მეცხრა ვიზილია

როგორ ჩავარდა სტუდენტი ანსელმუსი ჭკუაში. პუნშის სმა როგორ მიიჩნია სტუდენტმა ანსელმუსმა კონრექტორი პაულმანი ჭრტად და რა ძლიერ განარისხა იგი. მელნის ლაქა და მისი შედეგები

უცნაურობებმა და საოცრებებმა, ყოველდღე რომ თავს ატყუებოდა ანსელმუსს, იგი ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდო. აღარცერთ თავის შეგობარს აღარ ხვდებოდა, სამაგიეროდ ყოველ ცისმარე დღეს მისი სული მწარედ ელოდა თორმეტი საათის შესრულებას, რადგან ეს ის დრო და საათი იყო, როცა მას სამოთხის კარი ეხსნებოდა, მაგრამ იაიც აშკარაა, თუმცა სულითა და გულით მისცემოდა სანუკვარ სერპენტინასა და არქივარიუს ლინდჰორსტის ჯადოსნური სამეფოს სასწაულებს, ხანდახან მისდაუნებურად ვერონიკაზეც ფიქრობდა. ერთხელ ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ვერონიკა გზაზე შემთხვევით გადაეყარა და სახეზე აღმურმოდებულმა გოგონამ თავისი ხვამიანი გაანდო, სახელდობრ ის, თუ რაოდენ გულწრფელად უყვარს და სულ მუდამ იმაზე ფიქრობს, როგორ მოაშოროს თავიდან უცნაური ხილვები, რომლებიც ეგრერიგად ტანჯავენ და სასაცილოს ხდიან. ხან ისიც იყო, თითქოს მოულოდნელად თავს დატეხილი უცხო რამ ძალა ეწეოდა მივიწყებული ვერონიკასაკენ, სურდა მის კვალს მიჰყოლოდა და ის ეკეოებინა, რაც ქალს ეწადა, წითლმც მიჯაჭვული ყოფილიყო ამ გოგოზე. აი, სწორედ იმ ღამის შემდეგ, როცა პირველად იხილა სერპენტინა საოცრად მომზიბღელი ქალწულის სახით, როცა მან პირველად გაუმხილა ჭაბუკს უცნაური საიდუმლო სალამანდრას მწვანე გველზე ქორწინებისა, ანსელმუსს ვერონიკა ისე უჩვეულო, მჩქეფარე და სიცოცხლით აღსავსე გამოეცხადა, როგორიც თავის დღეში არ ენახა, პოდა როცა გაიღიმა, ცხადად შეიტყო, რომ ეს საზმარი ყოფილა მხოლოდ და სხვა არაფერი, თორემ ღამის მართლა დაიჭერა, ვერონიკა იყო ჩემსაო, თან თავისი ტკივილი და გულისნადები გამანდო და სული ამიღელვავო. ჩემი წრფელი სიყვარული ხომ ფანტასტიკურ ხილვებს შესწირე მსხვერპლად, სულის სიმშოდეც მაგან დაგაკარგვინა და სამარის კარამდეც ეგ მიგიყვანს ადრე და მალეო, ეუბნებოდა გოგონა. მას ისე მოეჩატრა და მოესურვა ვერონიკა, როგორც არასდროს. ეს ფიქრი ვერაფრით თავიდან ვერ ამოიგდო და ისე დატანჯა, რომ იფიქრა, ეგებ დილის გასეირნებამ დარდი გამინელოსო. იდუმალმა მაგიურმა ძალამ პირნეს ჭიშკართან მიიყვანა და ის იყო გვერდით ქუჩაზე უნდა შეეხვია, რომ ზურგს უკან კონრექტორ პაულმანის ხმაქალი ძახილი შემოესმა.

„ჰეი, პეი! ძვირფასო ბატონო ანსელმუს! ღვთის გულისათვის, მითხარით, სად გადაიკარგებით ხოლმე ამდენი ხნით? რახანია თვალთ არ გვინახიხართ. იცით, ვერონიკას სული ელევა თქვენს ნატვრასა და სურვილში. იძახის, ნეტა კვლავ როდის ვიმღერებ მასთან ერთადო! აი, წავიდეთ, ხომ ისედაც მოდიოდით ჩვენსა!“

სტუდენტი ანსელმუსი ანგარიშმიუცემლად მიჰყვა კონრექტორ პაულმანს. როცა ისინი სახლში შევიდნენ, საგულდაგულოდ მორთულ-მოკაშხული ვერონიკა შემოხვდათ, რაც კონრექტორ პაულმანს ძალიან გაუკვირდა. მან იკითხა:

„ასე რატომ გამოპრანჭულხარ? სტუმრებს ხომ არ ელოდი? აი, ბატონი ანსელმუსი მოგიყვანე“.

როცა სტუდენტი ანსელმუსი მოწიწებით და პატივისცემით ემთხვია ხელ-

ზე ვერონიკას, იგრძნო, რა ნაზად მოუჭირა გოგონამ ხელი და ამან ცეცხლის ნაკადივით დაუარა ძარღვებში. ვერონიკა თვით იყო ღებნა და სინარჩარე და როცა პაულმანი თავის კაბინეტში შევიდა, ისე ცელქად და გიჟმანად ამოძრავა მან თავისი ქალური ძალა, მოკრძალებული ანსელმუსი იზნაირად დააბზრიალა, რომ ყმაწვილს აღარც ახსოვდა თავისი შებოჭილობა და სემეფრეფრეფლე და ანუ გოგონასთან ერთად აქეთ-იქით დარბოდა ოთახში. მაგრამ ცრტზხმის მშველვე ერთბაშად კვლავ მოუქნელობის დემონი წასწვდა ყელში, მაგიდას დაეჯახა და ვერონიკას ხელსაქმის ზარდახშმა გადააგდო. ანსელმუსი მის ასაღებად დაიხარა და ხელში აიღო, მერე უცებ ზარდახშას საბურავი აეხადა და იქიდან გადმოცურდა ლითონის პაწია მრგვალი სარკე, რომელშიც მან დიდი ხალისით ჩაიხედა. ვერონიკა ჩუმად მიეპარა უკანიდან, ხელი მხარზე დაადო, მაგრად მიეხუტა და მის მხარზემოდან ჩაიხედა სარკეში. ანსელმუსის არსებაში თითქოს ბრძოლა დაიწყო. ერთმანეთში არეული ფიქრები და სახეები ამოტივტივდნენ: არქივარიუსი ლინდჰორსტი, სერპენტინა თუ მწვანე გველი. მერე ისინი კვლავ გაქრნენ. ბოლოს სიმშვიდემ დაისადგურა გარშემო. ყოველივე ბუნდოვანი და არეულ-დარეული დალაგდა და მკაფიო სახე მიიღო. ანსელმუსს მოეჩვენა, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოდ და მხოლოდ ვერონიკაზე ფიქრობდა გამუდმებით. დიახ, გუშინ ცისფერ ოთახში ხილული ხატება სწორედ ვერონიკა იყო, ხოლო რაც შეეხება ფანტასტიკურ თქმულებას სალამანდრას მწვანე გველზე ქორწინების შესახებ, ეს არავის არ უამბნია მისთვის, თვითონ მან დაწერა. მერე ანსელმუსი ძალიან გააოცა საკუთარმა მეოცნებეობამ და ყოველივე ამის მიზეზად ვერონიკას სიყვარულით გამოწვეული აღზნება მიიჩნია. ამ სიყვარულის ბრალი იყო, მისი აზრით, მუშაობა რომ დაიწყო არქივარიუს ლინდჰორსტთან, რომლის მშვენიერ წალკოტში უცნაურად დამათრობელი სურნელი იფრქვეოდა. მას გულწრფელად გაეცინა თავის გიჟურ წარმოსახვებზე, სახელდობო იმაზე, რომ იგი პაწაწა გველზეა შეყვარებული, იმაზეც, სამეფო კარის საიდუმლო მტრეველი სალამანდრა რომ ჰგონია.

„დიახ, დიახ, იგი ვერონიკაა!“ — ხმამაღლა დაიძახა მან და თავი რომ მოაბრუნა, ვერონიკას ლურჯ თვალებს შეეფეთა, ტრფიალითა და გულისტკმით რომ უციმციმებდნენ. ყრუ „ო“ აღმოხდა ვაჟის ბაგეებს და მალე მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ.

„რა ბედნიერი ვარ, — აღტაცებით ამოიკვნესა სტუდენტმა, — გუშინ რაც ოცნება მეგონა, დღეს ამიხდა“.

„ხომ იქორწინებ ჩემზე, როცა საიდუმლო მრჩეველი გახდები?“ — ჰკითხა მას ვერონიკამ.

„რა თქმა უნდა“, — მიუგო სტუდენტმა ანსელმუსმა. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში კონრექტორი პაულმანი შემოვიდა ლაპარაკ-ლაპარაკით:

„დღეს, ძვირფასო ბატონო ანსელმუს, ვერსად გაგიშვებთ, ჩვენთან ერთად უნდა ისადილოთ! მერე კი ვერონიკა დიდებულ ყავას მოგვიმზადებს. ყავაზე რეგისტრატორი ჰეებრანდიც გვესტუმრება“.

„ოცით, ძვირფასო ბატონო კონრექტორო, — უპასუხა სტუდენტმა ანსელმუსმა, — მე არქივარიუს ლინდჰორსტთან უნდა წავიდე მანუსკრიპტების გადასაწერად“.

„შეხედე, რა დროა, მეგობარო“, — უთხრა მას კონრექტორმა პაულმანმა და ჯიბის საათი დაანახა, რომელიც პირველის ნახევარს უჩვენებდა. სტუდენტი ანსელმუსი დარწმუნდა, რომ არქივარიუს ლინდჰორსტთან წასვლა შეტის-

მეტად გვიან იყო და მით უფრო ხალისით დაჰყვა კონრექტორ პაულმანის ნება-სურვილს, რადგან მათთან შინ თუ დარჩებოდა, შესაძლებლობა ექნებოდა მთელი დღის განმავლობაში ეცქირა ვერონიკასთვის. თან იმედი ჰქონდა, იგი არა ერთ მალულ აღერსიან შემოხედვასაც აჩუქებდა, ხელს ხელზე ნახად მოუჭერდა და იქნებ, ვინ იცის, ეკოცნა კიდევ. ვულისთქმამ ანსელმუსს, რომ როლა ცაში, რომ თავს სრულიად უშფოთველად გრძნობდა. ახლა კი უნდა სჯეროდა იმ ფანტასტიკური ოცნებებისაგან თავის დაღწევისა, რასაც იგი შეშლილობის საზღვრამდე მიჰყავდა.

სადილის შემდეგ მართლაც გამოჩნდა რეგისტრატორი ჰეებრანდი და როცა ყავა დალიეს და ბინდიც ჩამოწვა, მან ღიმილითა და ხელების მხიარული სრესით ამცნო იქ მყოფებს, რომ თან ისეთი რამერუმეები წამოელო, რაც ვერონიკას მშვენიერი ხელებით შეზავებული ოქტომბრის ამ გრილ საღამოს ყველას დიდ სიხარულს მოჰგვრიდა.

„აბა, პატივცემულო რეგისტრატორო, ამოალაგეთ ერთი ვგ იდუმალი რამერუმეები, აქ რომ მოგიტანიათ!“ დაიძახა კონრექტორმა პაულმანმა და რეგისტრატორმა ჰეებრანდმაც ხელი ღრმად ჩაჰყო თავისი სერთუკის ჯიბეში და აქიდან რიგ-რიგობით ამოიღო ერთი ბოთლი არაყი, რამდენიმე ცალი ლიმონი და შაქარი. რაღაც ნახევარი საათის შემდეგ პაულმანის მაგიდაზე უკვე ორთქლი ასდიოდა დიდებულ პუნშს. ვერონიკამ სასმელი ჩამოასხა და მალე მეგობართა შორის გულთბილი, ხალისიანი საუბარი გაიმართა. როგორც კი სტუდენტ ანსელმუსს სასმელი მოეკიდა, უმალ გაახსენდა უკანასკნელ ხანს განცდილი სასწაულები და საოცრებები, მან დაინახა არქივარიუსი ლინდპორსტი თავის ქამრის შლაფროკში, რომელიც მოელვარე ფოსფორს წააგავდა. მან დაინახა ლაქვარდოვანი ოთახი, ოქროს პალმის ხეები და ისეთი გრძნობა გაუჩნდა, ყოველ წუთს რომ შთააგონებდა, სულ ერთია, მაინც სერპენტინასი უნდა გწამდესო. მის სულში რაღაც დუღდა, ბობოქრობდა. ვერონიკამ ჭიქა პუნში მიაწოდა, ანსელმუსმა გამოართვა და ჩუმად მის ხელსაც შეეხო.

„სერპენტინა! ვერონიკა!“ — ამოიოხრა მან. მერე ღრმა ფიქრებს გაჰყვა. ამ დროს რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ხმაშალა დაიყვირა:

„უცნაური მოხუცია ეს არქივარიუსი ლინდპორსტი, ვერაფერს გაუგებ კაცი. აი, იმას გაუმარჯოს! ჭიქა მომიჭახუნეთ, ბატონო ანსელმუს!“

უცბად სტუდენტი ანსელმუსი სიზმარეული ხილვებისაგან გამოერკვა, რეგისტრატორ ჰეებრანდს ჭიქა მიუჭახუნა და თქვა:

„თუ მართალი გნებავთ, ბატონი არქივარიუს ლინდპორსტი ასეთი იმიტომ არის, ღრმად პატივცემულო რეგისტრატორო, რომ იგი სალამანდრაა და გამძვინვარების ყამს ნაცარტუტად აქცია სულთა თავადის — ფოსფორუსის წალკოტი, რადგან მას მწვანე გველი გაეჭკა“.

„როგორ, რას ამბობ?“ — ჰკითხა მას კონრექტორმა პაულმანმა.

„ღიახ, — განაგრძო სტუდენტმა ანსელმუსმა, — ამიტომაც სახლობს იგი დღეს ჩვენს ქალაქში, ღრეზდენში. ამჯერად მეფერი სახის არქივარიუსი ლინდპორსტი ცხოვრობს აქ, თავის სამ ქალიშვილთან ერთად, ესენი სხვა არავინ არიან, თუ არ მწვანე-ოქროსფერი გველები, რომლებიც ანწლის ბუჩქებთან მზეს ეფიცებიან, მომმაჯადოებლად მღერაინ და თავიანთი სიმღერით სირინოზებივით აცთუნებენ ყმაწვილკაცებს“.

„ბატონო ანსელმუს, ბატონო ანსელმუს, — დაიყვირა კონრექტორმა პა-

ულმანმა, — თქვენ ხომ არ გაგიყლით? ღმერთმა მაპატიოს და სისულელეს ჩმახკო!

ანსელმუსი მართალია, — ჩაერია საუბარში რეგისტრატორი ჰეებრანდი. — არქივარიუსი პირწავარდნილი სალამანდრაა, რომელიც თითების ტკაცუნით აჩებს ცეცხლს, სერთუკზე ნასვრეტები აქვს, რაც ცეცხლის ღმერთს შიშგავს. დიახ, დიახ, შენ მართალი ხარ, ძამიკო ანსელმუს, და ვისაც უნდა შეგიყვირო, ჩემი მოსისხლე მტერია“, — ეს თქვა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა და მაგიდას ისე მაგრად დააკრა მუშტი, რომ მინები აზრილდნენ.

„რეგისტრატორო! თქვენც აღარა ხართ ჭკუაზე!“ — იყვირა გააფთრებულმა კონრექტორმა.

„ბატონო სტუდენტო, ბატონო სტუდენტო, თქვენ ისევ თქვენებურად აურაეთ“.

„ო, ბატონო კონრექტორო, — თქვა სტუდენტმა, — თქვენ სხვა არავინა ხართ, თუ არ ფრინველი, კოტი, რომელიც ტუპეს ახვევს“.

„რაო? მე კოტი ვარ და ტუპეს ეაკეთებ? — იჭექა მოთმინებიდან გამოსულმა კონრექტორმა. — თქვენ, ბატონო, თავში მწყერები ხომ არ გყავთ, კო, მწყერები?“

„მაგრამ დედაბერი უჩვენებს მას სეირს, როცა კვლავ დააჯდება კისერზე“, — დაიძახა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა.

„დიახაც, მოხუცი ქალი ძლიერია, — დაუმატა სტუდენტმა ანსელმუსმა. თუმცა დაბალი წარმოშობისა კი არის, მამამისი ხომ სხვა არავინაა, თუ არ მოგლეჯილი ფრთა, დედა კი მურტალი ქარხალი, მაგრამ უმეტესწილად თავის აღიერებას იგი უმადლის სხვადასხვა ბოროტ პირუტყვს, შხამიან მამაძაღლებს, რომლებიც ვარს ახვევიან“.

„ეს საძაგელი ცილისწამებაა, — იყვირა ვერონიკამ და თვალები რისხვით აყნთო, — მოხუცი ლიზა ბრძენი ქალია, ხოლო შავი კატა სულაც არ არის ბოროტი პირუტყვი, არამედ განათლებული ახალგაზრდა კაცია, რომელსაც ნატიფი მანერები აქვს. იგი მოხუცას უსაყვარლესი ბიძაშვილია“.

„აბა, მითხარით, შეიძლება განა მოხდეს ასეთი რამე, სალამანდრა საჭმელს თქვეფდეს და წვერები ცეცხლმა არ შეუტრუსოს, თან სული არ განუტეოს?“ — ბრძნულ შეკითხვებს იძლეოდა რეგისტრატორი ჰეებრანდი.

„არა, არა, — ყვიროდა სტუდენტი ანსელმუსი, — ეს არასოდეს არ მოხდება და არც შეიძლება მოხდეს, მწვანე გველს ვუყვარვარ, იმიტომ რომ ბავშვურად მიამიტი სული მაქვს და კიდევ იმიტომაც, რომ მე სერპენტინას თვალების ხილვა შეეძელი“.

„კიდევაც ამოუკორტნის კატა მაგ თვალებს“, — ისივლა ვერონიკამ.

„სალამანდრა, სალამანდრა ყველას დაგიყენებთ თვალებს, — უეცრად დადრილა კოფმორეულმა კონრექტორმა პაულმანმა, — კი მაგრამ, საგიფეში ვარ თუ რა ამბავია? ჭკუაზე ხომ არ შევიშალე, ნეტა, ეს რა სისულელე წამოვროსე აბლაბან. დიახ, მეც ვავგიყდი, ვავგიყდი და ეს არის“, თქვა კონრექტორმა პაულმანმა და წაპოხტა, პარიკი თავიდან ჩამოიგლიჯა, მოქმუჭნა და ჭერში აიაროლა, დასრესილ-დაჭმუჭვნილმა ლოკონებმა დაიჭრაჭუნეს და გარშემო პუდრი მოიფრქვა. მერე სტუდენტმა ანსელმუსმა და რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ხელი დაავლეს პუნშის გრაფინს და ტიქებს მხიარული ზარ-ზეიპითა და ღრიანცელით ჭერს სტუორცნეს და ისე მიაფშვნეს, რომ ნამსახვრეები წკრიალით მიმოიბნა გარშემო.

„გაუმარჯოს სალამანდრას! ძარს დედაბერი! ძარს დედაბერი! დაიხსნეს ლითონის სარკე, ამოგვორტნოთ თვალები კატას! აი, ფრინველი, ფრინველი დაძრწის ჰერში! სალამანდრა, სალამანდრა!“

ასე გაჰყვიროდნენ და ღრიალებდნენ გიგებივით სამივენი. ახლად დაწყებული ფრენკენი მეორე ოთახში გაეარდა, ხოლო მწუხარებისა და სისხლისმომცემი სასომიხდილი ვერონიკა საგარძელზე მიესვენა. ამ დროს კარზე დაკრძალებული აურზაური ერთბაშად მიწყნარდა. ოთახში ნაცრისფერ მოსასხამიანი ქონდრისკაცი შემოვიდა. საოცრად დარბაისლური სახე ჰქონდა, განსაკუთრებით თვალში გვეცემოდათ მოკაუჭებული ცხვირი, რაზეც დიდი სათვალე დაეკოსებინა. თავზე რაღაც უჩვეულო პარიკი ედო, უფრო ბუწის ქუდს მოგავგონებდათ.

„სალამო მშვიდობისა, დაიწრობინა სასაცილო ქონდრისკაცმა. — შეიძლება აქ ბატონი ანსელმუსის ნახვა? არქივარიუსი ლინდპორსტი უმორჩილესად გითვლით სალამს. იგი დღეა ამაოდ ელოდა სტუდენტ ანსელმუსს, ხვალ კი, ძალიან გთხოვთ, დანიშნულ დროზე მიხვიდეთ მასთან, არ დააგვიანოთ!“ ესა თქვა და კარს უკან გაუჩინარდა. ყველამ ამკარად დაინახა, რომ ეს დარბაისელი ქონდრისკაცი ნაცრისფერი თუთიყუშში იყო.

კონრეტორმა პაულმანმა და რეგისტრატორმა ჰეებრანდმა ხმამაღალი სიცილი ატეხეს, რამაც მთელი ოთახი შეაზანზარა. უსაზღვრო იყო ვერონიკას ოხვრა და წუხილი რაღაც გამოუთქმელი სატკივარის გამო, ხოლო სტუდენტ ანსელმუსს სიგიჟემ დარია ხელი და უგონოდ გამოეარდა ქუჩაში. გუმანით მიავგნო თავის ბინას, თავის მყუდრო ოთახს. მალე მასთან წყნარი და სათნო ვერონიკა გაჩნდა. ჰკითხა, ასე დიდი ხნით სად დაიკარგე და გამტანჯეო, თან გააფრთხილა მორიდებოდა ახალ და ახალ ფანტაზიებს, რაც კვლავ ელოდა არქივარიუსს ლინდპორსტის სახლში მუშაობისას.

„ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო მეგობარო“, — კრძალებით უჩუჩრჩულა ვერონიკამ და ნაზად აკოცა ტუჩებში. ანსელმუსს უნდოდა, მოხვეოდა, მაგრამ სიზმარეული სახე უეცრად გაქრა და მანაც ლაღმა და ჯანღონით სავსემ გაიღვიძა, მერე თვითონვე გააოცა პუნშის ამნაირმა ხემოქმედებამ, მაგრამ ის კი იყო, ვერონიკაზე როცა ფიქრობდა, სასიამოვნო გაცდა ეუფლებოდა. „მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობით. დავაღწიე თავი ჩემს გიჟურ ზმანებებს, — თავისთვის ფიქრობდა ანსელმუსი. — მართალი რომ ვთქვა, იმ შესლილივითა ვარ, მუშისა რომ ჰგონია თავი ანდა იმას ვგავარ, ვისაც ოთახიდან გარეთ გამოსვლა ვერ გაუბედავს იმის შიშით, ქათმებმა არ ამკენკონო, აქაოდა, ქერის მარცვალი ვარო. ოღონდ გავზდები თუ არა სასახლის მრჩეველი, უსათუოდ ვიქორწინებ მადმუაზელ პაულმანზე და ბედნიერიც ვიქნები“.

როცა შუადღით ანსელმუსი არქივარიუსს ლინდპორსტის წალკოტში შევიდა, ძლიერ გაოცდა, რომ ადრე აქ ყველაფერი უჩვეულოდ საოცარი ეჩვენებოდა. ახლა იგი აქ სხვას არას ჰბედაუდა, თუ არ თიხის ქოთნებში ჩარგულ ჩვეულებრივ მცენარეებს: ნემსიწვერას, მურტას და სხვა ამგვართ. ჭრელ-ჭრელი ფრინველების მაგივრად, რომლებიც ადრე გამკილავი ლაპარაკით ერთობ დიდ სატანჯველში აგდებდნენ, ახლა აქეთ-იქით დაფარფატებდნენ პაწია ბელურები, რომლებმაც ანსელმუსის დანახვაზე რაღაც სრულიად გაუგებარი დაიჭივრეს უსიამოდ. ლურჯი ოთახი ახლა სულ სხვანაირი მოეჩვენა და ვერაფრით გაეგო, რატომ მოსწონდა ეს ჭყეტელა ლურჯი ფერი და პალმის ხეთა არა. ბუნებრივი ოქროს ტანები თავისი უფორმო ბრჭყვიალა ფოთლებით. არქივა-

რიუსმა მისთვის ჩვეული ირონიული ღიმილით შეხედა ანსელმუსს და ჰკითხა: „აბა მითხარი, ძვირფასო ანსელმუს, როგორ მოგეწონა წუხელო პუნში?“

„თქვენ ალბათ ამის შესახებ თუთიყუშმა გიამბოთ“, — ერობო ღარცხვე-
ნით მიუგო სტუდენტმა ანსელმუსმა, თან ენა დაება, რადგან გაიფიქრა, ეგებ
თუთიყუშის ბილვა სულაც მირაჟი იყო.

„ჰეი, ძმობილო, მე თვითონ გახლდით თქვენს სუფრასთან. — არქი-
ვარიუსმა, — განა ვერ დამინახეთ? თუმცა რას დამინახავდით იმ გაყურ ალია-
ქოთში, შეშლილებივით იქცეოდით, მე კიდევ გრაფინში ვიყავ მოყურებულები
და კინალამ თავი არ წავაგე, როცა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა მას ხელი დას-
ტაცა ჭერში ასასროლად და თვალის დახამხამებაში კონრექტორის ჩიბუხს შე-
ვაფარე თავი. ახლა კი ნახვამდის, ბატონო ანსელმუს, ბეჯითად და მუყაი-
თად იმუშავე, ხოლო გუშინდელი გაცდენილი დღისათვის მაინც გაბდი შეეცდეს-
ტალერს, რაკი აქამდე კარგად მუშაობდი“.

„ეს რა სისულელე მოჩმება არქივარიუსმა“, — გაიფიქრა სტუდენტმა ან-
სელმუსმა. მერე საწერ მაგიდას მიუჯდა, რათა იმ მანუსკრიპტთა ასლის გადა-
ლებას შესდგომოდა, რომლებიც ჩვეულებისამებრ არქივარიუსმა დაუწყო წინ.
მაგრამ პერგამენტის გრაფნილზე იმდენი ერთმანეთში არეული უცნაური ხვეუ-
ლი და ხლართი იხილა, რომ თავგზა აებნა, თვალი ვერც ერთ ნიშანზე ვერ შე-
აჩერა და მთლად დაკარგა იმედი, რომ მათ გადახატვას შესძლებდა. თვალის ერ-
თი მოვლებით პერგამენტი ჭრელად დაძარღვულ მარმარილოდ თუ ხავსით
დაფარულ ქვად მოეჩვენა. და მაინც ყოველ ღონეს ხმარობდა, გასაჭირიდან გა-
მოსულიყო: კალამი მელანში თავდაჯერებით ჩააწო, მაგრამ კალმის წვერი ფუ-
რცელზე არ გასრიალდა, რის გამოც მოთმინებადაკარგულმა ანსელმუსმა ღო-
ნივრად დაბერტყა და ო, ღმერთო! გადაშლილ ორიგინალს მელნის დიდი წვე-
თი დაეცა. სტვენითა და გრილით გამოიკლაკნა ლაქიდან ცისფერი ელვა, რო-
მელიც ტარციალით დაიგრიხა მთელს ოთახში და ჭერამდე ააღწია. კედლები-
დან სქელი კვამლი ამობოლდა, თითქოს ქარიშხლისაგან შერხეული ფოთლები
ამრიალდნენ და იქიდან ლაპლაპა ცეცხლის ენებად ამოიგრიხნენ თვალისმომ-
ჭრელად ელვარე ბასილისკოები, ორთქლი აენთო და ცეცხლი ტკაცანით შე-
მოეხვია ანსელმუსს. პალმის ხეცა თქროს ტანები ვეებერთელა გველეშაპებად
იქცნენ, რომლებმაც ლითონისებრი ზრიალით მიახალეს ერთმანეთს ამაზრზენი
თავეები და ჭერცლიანი სხეულებით ანსელმუსის ტანს შემოეგრაგნენ. „გიყო!
მიიღე სასჯელი თავხედობისათვის!“ — შემაძრწუნებელი ხმით იყვირა გვარ-
გვინოსანმა სალამანდრამ, რომელიც გვეშელაპთა ზემოთ თვალისმომჭრელი სნი-
ვივით გამოჩნდა ცეცხლში, მერე კი ანსელმუსს ჭრჩხულებმა ცეცხლის შად-
რევნები შემოაფრქვიეს, ხოლო ცეცხლის ნაყადები სქლად რომ მოედო მის სხე-
ულს და ყინულივით ცივ მკვრივ მასად იქცა, ანსელმუსის სხეულის ყოველი
ასო ერთბაშად შეიკუმშა, გაქვავდა, მერე კი ანსელმუსმა გრძნობა დაჰკარგა.
როცა კვლავ გონს მოეგო, განძრევა აღარ შეეძლო, თითიც ვერ გაეტოკებინა.
თითქოს დამაბრმავებელი შუქი შემობურვოდა, როგორც კა შეეცდებოდა ხე-
ლის ოდნავ აწევას, რაღაც შუშას აწყდებოდა. ო, იგი მაგრად თავდაცობილ
ბროლის ბოთლში მოხვედრილიყო, არქივარიუს ლინდჰორსტის ბიბლიოთეკაში
რომ იდო წიგნის თაროზე.

მეათე ვიზილია

სტუდენტ ანსელმუსის გვემა მინის ბოთლში. შეგირდებისა და პრაქ-
ტიკანტების საამური ცხოვრება. შეხლა-შემოხდა არქივარიუს ლინდ-

პარსტის ბიბლიოთეკაში. სალამანდრათა გამარჯვება და სტუდენტ ანსელმუსის განთავისუფლება.



ძალიან მეუბნება და ეს ეჭვი სამართლიანია, მოწყალეო, რომ თდესლაც შუშის ბოთლში გამომწყვდეული ყოფილიყავ, ღღობდ ეს კი შეიძლება მოხდეს, რომ ამგვარმა ფანტასტიკურმა ზმანებამ ზმანება კი ზმანება ცხადად მიიჩნიო. თუკი ასეთი რამ ოდესმე შეგმთხვევია, მაინც საკმაოდ ცხოვლად იგრძნობ სტუდენტ ანსელმუსის ტანჯვა-განსაცდელს. მაგრამ თუ მსგავსი რამ შენს სიცოცხლეში არც დაგსიზმრებია, მაშინ მოდი, ჩემი და ანსელმუსის გულისათვის გასწირე თავი და შენი ცოცხალი წარმოსახვის ძალით რამდენსამე წუთს მაინც დაჰყავ ბოთლის ბოთლში. აი, მაშინ კი ცხადად დაინახავ, რა თვალის დამაბრმავებელი სიკაშკაშე შემოგებხვევა, თითქოს ყველა საგანი შენს გარშემო ცისარტყელას ფერებით იყოს განათებული და გარემოცული. ყველაფერი შენში თრთოდეს, ირხეოდეს, ზანზარებდეს, შენ კი მაინც უმოძრაოდ და უმოქმედოდ დაცურავდე მაგრად გალიგვულ ეთერში, რომელიც გაბრჩობს და სული ამოდ ეშურება გვამს უბრძანოს, გაანძერიო. ერთობ ძალუმად აწვება მკერდს მძიმე კირთი და ყოველი ამოსუნთქვა სულ უფრო და უფრო შთანთქავს ჰაერის მცირე ნაკადს ვიწრო სივრცეში. ძარღვები გებერება, შიშატანილი თრთი სიკვდილთან, ორთაბრძოლაში და სისხლისგან იცლები. შეიცოდდე, მოწყალეო მკითხველო. სტუდენტი ანსელმუსი, თუმცა იგი გრძნობს, რომ სიკვდილიც ვერას უშველია. ვერ გადაარჩენს, რადგან ესოდენი ტანჯვა-წამებით ცნობამიხდილი მსწრაფლ გამოერკვა, როგორც კი დილის მზემ ოთახი სინათლითა და სითბოთი აავსო, და ახლა თავიდან უნდა დაიწყოს მისი გვემა. ვერც ერთი ასო სხეულისა ვერ შეატოკა, მერე ფიქრით მინას მიაწყდა, რამაც უსიამო ხმებით ყურთასმენა დაუბნო და სულის სალბუნე ბგერების ნაცვლად, აღრე რომ ხშირად სმენია მისგან, ახლა მხოლოდ ყრუ დრტვინვა და ბობოქარი ხმა გაიგონა. სასომიხდილმა ხმამალლა შესძახა: „ო, სერპენტინა, სერპენტინა! მიხსენი ამ ჯოჯოხეთური სიტანჯველისაგან“. და თითქოს ნაზი სუნთქვა მისწვდა, ნაზი სუნთქვა შემოევლო ბოთლს მწვანე, გამჭვირვალე ფოთლებივით. უსიამო ხმები მიწყდა, თვალისმომჭრელი, გამაბრუებელი სინათლე გაქრა და მან თავისუფლად ამოსუნთქა. „ეგებ. ამ ტანჯვა-ვაების თავი და თავი მიზეზს ვარ მხოლოდ. ეგებ შევცოდე შენს წინაშე, ძვირფასო სერპენტინა? ეგებ შენდამი ბნელი ეჭვის ჭია შემიჩნდა? იქნებ სულაც დავკარგე რწმენა და იმასთან ერთად ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი მაღალ ნეტარებას მაზიარებდა? ო, აღარასოდეს ჩემი აღარ იქნები, დავკარგე ოქროს ქოთანი, ჩემს დღეში ველარ ვიხილავ მის საოცრებებს. ნეტა, ერთხელ მაინც შემაბედა შენთვის, მხოლოდ ერთხელ და მერე მომკლა“. ასე დრტვინავდა სტუდენტი ანსელმუსი გულის დამკოდი ტკივლით შეძრული, რომ უეცრად მის გვერდით ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

„ვერაფრით ვერ გამიგია, რა გინდათ, ბატონო სტუდენტო, რას მოთქვამთ ასე სასომიხდილი?“ — სტუდენტმა ანსელმუსმა შეამჩნია, რომ მის გვერდით, იმავე წიგნის თაროზე კიდევ ხუთი ბოთლი იდგა, რომლიდანაც სამი შევირდი და ორი პრაქტიკანტი იტყობოდა.

„ო, ჩემო ბატონებო, ჩემი ჭირის თანაზიარებო! — აღმოხდა მას. — როგორ შეიძლება ასე უზრუნველი და კმაყოფილი იყოთ, ეგ რა მზიარულნი გამომეცხადეთ! რა დროს სიხარულია, თქვე ურჯულოებო! თქვენც ხონ ჩემს დღეში ხართ, მინის ბოთლში გამომწყვდეული, და არც შერხევა ძალგიდით და არც რაიმე ჭკვიანურის მოფიქრება, როგორც კი რამეს მოიწადინებთ. უმაღ

ყურების გამჭედი ხმაური ატყდება, თქვენსავე ტეინში რაღაც საშინლად შხუ-
ის და ბობოქრობს, მაგრამ, ეტყობა, მართლა არ გჯერათ სალამანდრასი და
მწვანე გველისა“.

„რას მიედ-მოედებით, ჩემო ბატონო, უბედურო სტუდიოსესო! — მიუ-
გო ერთ-ერთმა შეგირდმა, — სიცოცხლეში არ ვყოფილხარან შწყქარგად,
როგორც ახლა ვართ და შენ რას ამბობ. ეს შპეციესტალერები ვაიფსამსა-
ხურს გვიწევს, ხომ იცით, ჩვენი გიყი არქივარიუსი რომ თავის სულელურ ხე-
ლნაწერთა გადაწერის საზღაურად გვაძლევს. ამით შესაძლებლობა გვეძლევს
ყოველდღე ვიაროთ იოსების დუქანსა თუ კიდევ სხვა სამიკიტნოებში, მაგარი
ლუდით გამოვთვრეთ, ლამაზ გოგონებს ვუჭვრიტოთ, ნაღდი სტუდენტური სიმ-
ღერა შემოვძახოთ: „Gageamus igitur“¹¹ და ხოშიანად ვიყოთ, უაზროდ კი
არ ვიზუთხოთ იტალიური საგუნდო სიმღერები“.

„ეს ბატონები მართალი არიან, — ჩაერია საუბარში პრაქტიკანტიც, —
მეც უზვად მაბობეს შპეციესტალერები ჩემი ძვირფასი კოლეგებისა არ იყოს
და ახლა ლოთიანად ექეიფობ ღვინის სარდაფებში. იმის მაგივრად, რომ სხვა-
დასხვა გულისგამაწვრილებელი აქტები გადავწერო და ოთხ კედელშუა ამო-
ვიხუთო“.

„კი მაგრამ, ჩემო ძვირფასებო, — თქვა სტუდენტმა ანსელმუსმა, — ნუთუ
ვერა გრძნობთ, რომ ყველანი შუშის ბოთლში ვართ გამომწვვდეული, ბოთლში
ვზივართ, ოდნავი განძრევაც კი არ ძალგვიძს და ეს ქუჩაში სეირნობა საიდან
მოიგონეთ?“.

ამაზე შეგირდებმა და პრაქტიკანტებმა ხმამაღალი სიცილი ატეხეს და იყ-
ვირეს: „სტუდენტი ჭკუაზე შეიშალა, ხომ იცით. ამას ჰგონია შუშის ბოთლში
ზის, სინამდვილეში კი ელბის ზიდზე დგას და წყლისთვის თვალი გაუშტერებია.
წავიდეთ, ჩვენი გზა ვნახოთ, ამას რას ვუყურებთ“.

„ოჰ, — ამოიოხრა სტუდენტმა, — ამათ ხომ თავის დღეში არ უხილავთ
მშვენიერი სერპენტინა და რა იციან, თავისუფლებისა და თავანკარა ცხოვრე-
ბის არსი რომ რწმენა და სიყვარულია. ამიტომაც ვერ გრძნობენ საპყრობილის
სულისშემხუთველ სივიწროვეს, რაშიც ისინი სალამანდრამ სულელური და
გაცვეთილი აზრებისა გამო ჩააგდო, მე უბედური კი აგერ-აგერ გავჭრები ტან-
ჯვა-წუხილში, თუკი არ მიშველის სერპენტინა, ვინც ასე გამოუთქმელი გრძნო-
ბით მიყვარს“.

ამ დროს მთელ ოთახში დაიჩხა სერპენტინას ხმა: „ანსელმუს, გწამდეს,
გიყვარდეს, გჯეროდეს!“ — და ყველა ბგერამ ანსელმუსის ბნელეთში ჩამოაღ-
წია, ჩამოანათა და ბროლის შუშა დამორჩილდა სინათლის ძალმოსილებას.
იგი ისეთნაირად გაფართოვდა, ისე გაგანიერდა, რომ ანსელმუსის გულმა ძვე-
რა დაიწყო და ლამის ბუდიდან ამოვარდა. თან ისიც აშკარა იყო, რომ მისი
ჭირი და სატკივარი თანდათან შენელდა. მან ნათლად იგრძნო, სერპენტინას
კვლავაც ვუყვარვარო, თან ისიც აშკარა იყო, რომ ბროლის შუშაში ყოფნა მი-
სთვის ამ სიყვარულის გამო როგორღაც ასატანი გახდა. ახლმ იგი აღარ ნაღე-
ლობდა მის ბედში მყოფ ქარაფშუტა შეგირდებზე და სული და გული სერპენ-
ტინასაკენ მიეპყრო. მოულოდნელად ყრუ, ამაზრზენი ბუზლუნი შემოესმა. მა-
ლე მიხვდა, რომ ეს ბუზლუნი იმ ძველი ხუფგატეხილი ყავადანიდან მოდიოდა,
რომელიც მოპირდაპირე მხარეს მდებარე პატარა კარადაში იდგა. ყურადღებით
ჩახედა ყავადანს და ნახა, როგორ იქცა იგი თანდათან მოხუცი ქალის საზიზღარ
დაღმეჭილ სახედ და უეცრად წიგნის თაროზე აიტუზა შავ ქიშკართან ზმანე-

ბული ვაშლის გამყიდველი დედაბერი. იგი ღმეჭითა და ქირჭილით შეპყურებდა ანსელმუსს, თან ჟღერიალა ხმით ეუბნებოდა:

„ჰეი, ჰეი, ბიჭუნა! იჯექი და უცადე! დამანში მოხვდები-მეთქი, ხომ ვითხარი დიდი ხნის წინათ! აი, ახლა იჯექი და უცადე!“

„დამცინე, გამამასხრე რამდენიც გინდა, შე წყეულო ალქაჯი, ყველაფერში შენა ხარ დამანაშაქი, — მსგავსებას ლამანდრა გიჩვენებს სეირს, შე საძაგელო ჭარხალო!“

„ჰო, ჰო, — განაგრძო დედაბერმა, — არ გინდა ბაჭიაობა! ჩემს ბიჭუნას ხომ პირისპირ შეეყარე, მე კიდევ ცხვირი დამიწვი, მაგრამ არა უშავს, მაინც კეთილი თვალით გიყურებ, შე ცუდლუტო, და რა გინდა! ვიცი, ადრე წესიერი კაცი იყავი, თან კიდევ ჩემს გოგოს გული აქვს შენზე შევარდნილი, ამ დამანდან ეგრე ადვილად ვერ გამოხვალ, რომ იცოდე, მაგრამ ნათლიდედა ვირთხა გიშველის, ის ხომ დაბლა, მიწაზე ცხოვრობს. აი, მან უნდა გამოლრდნას ფიცარი, რაზეც დგახარ, გამოლრდნის და მერე ისევ ძირს დაეშვები, მე კიდევ წინსაფრით დაგიჭერ, რომ გადმოხტომისას ცხვირი არ გაიტეხო, თორემ ეს ლამანი პირისახე დაგიშავდება, გაგიბრტყელდება, მერე თვალისდაბამხამებაში მამხელ ვერონიკას მიგვკრი. იგი ცოლად უნდა წაიყვანო მას შემდეგ, როცა სასახლის მრჩეველი გახდები.“

„თავი დამანებე, უშმაკის კერძო! — გააფთრებით დაუცაცხანა სტუდენტმა ანსელმუსმა. — მაგ შენი ჯოჯობეთური მანქანების ბრალია, ასე რომ შეეცოდე და ახლა ამას მწარედ ვინანიებ. მაგრამ ყველაფერს ავიტან მოთმინებით, რადგან მხოლოდღა იქ მინდა ვიყო. სადაც ძვირფასი სერპენტინა იქნება და სიყვარულსა და სიმშვიდეს მომაგებს. გაიგე, ბებრუხანავ, ჩემი იმედი ნუ გექნება. არ დავმორჩილდები შენს ნებას, მე მარტოდენ სერპენტინა მიყვარს და საუკუნოდაც მეყვარება, ჩემს სიცოცხლეში არ ვიქნები სასახლის მრჩეველი, არასოდეს არ შევხედავ მაგ ვერონიკას, რომელიც შენი შემწეობით ავცთუნებას მიმზადებს. თუ მწვანე გველი ჩემი არ გახდება, თავს არ ვიცოცხლებ, იცოდე, სევდასა და წუხილში დავლევ სულს! დაიკარგე აქედან, შე ჯოჯობეთის მამხალავ!“

ამ სიტყვების გაგონებისთანავე დედაბერმა ისეთნაირად გადაიხარხარა, რომ ოთახი შეზანზარდა, მერე დაიჩხავლა:

„იჯექი მანდ, თავში ჭვა ვიხლია! მე კიდევ საქმეს უნდა ვეწიო, უკვე დროა. შენს გარდა სხვა სადარდებელიც მაქვს, სულ სხვა მისია მაკისრია“.

მან მოიძრო შავი მოსასხამი და ამაზრზენი სიწიშვლით წარდგა ანსელმუსის წინაშე. მერე ისე ღონივრად დაბზრიალდა, რომ ვეება ფოლიანტები კარადიდან ძირს ჩამოცვივდნენ, იქიდან პერგამენტის ფურცლები ამოვლიჯა და ისე სწრაფად, მარჯვედ შეიწება ტანზე, რომ სრულიად მოულოდნელად საოცრად ტრელი ქერცლის ჯავშნით შეიმოსა და ამნაირად გამოეცხადა ანსელმუსს. მაგიდაზე დადგმული სამელნიდან ცეცხლის ფრქვევით ამოხტა შავი კატა და დედაბერს შეჰქნავლა, ამან კი მხიარული ყიფინა დასძახა და კატასთან ერთად კარს უკან გაუჩინარდა, ანსელმუსმა შეამჩნია, რომ იგი ცისფერ ოთახში შეიჭრა და იქიდან მალე საშინელი სისინი და ბრაბუნნი მოესმა. ბაღში ფრინველები აჟივვივდნენ, თუთიყუში აჰყიპინდა:

„იხსენი, იხსენი! უაჩაღური თავდასხმაა, თავდასხმა!“

ერთ წუთში დედაბერი კვლავ შემოხტა ოთახში, ხელში ოპროს ქოთანი ეჭირა და საზარელი გრუნა-მანჭვითა და ველური ხმით შესძახა სივრცეს:

„ხელი მოგეშაროს! ხელი მოგეშაროს! ბიჭუნა, მოჰკალ მწვანე გველი, ჩქარა, ბიჭიკო, ჩქარა!“

ანსელმუსს თითქოს კვნესა მოესმა, რაღაც სერპენტინას ხმას ჰგავდა. იგი სასოწარკვეთილებამ და ძრწოლამ მოიცვა. ძალა მოიკრიბა, ძარღვები და კუნთები დასკდომამზე ჰქონდა, მაგრამ მაინც ეკვეთა შუშის კედლებში გამჭოლი ჟღერიალი გაისმა. კარებში არქივარიუსი ლინდჰორსტის მოვლვარე ქამხის შლაფროკით.

„ჰეი, ჰეი, ვიგინდარები, ეს იმ ალქაჯის ოინებია. ჯანდაბას მაგისი თავი. ჰეი, აქეთკენ, აქეთკენ!“ — იჭექა მან.

დედაბერს შავი თმა ჯავარივით გაუხდა, აეძაგრა, სისხლივით წითელი თვალელები ჯოჯოხეთის ცეცხლით აუგინგინდა, ხახა დაადო, წვეტიანი კბილები და აკაწკაწა და ისივლა:

„ჩქარა, ჩქარა, ეცი, დასჭყვილე, დასჭყვილე!“

იგა ხარხარითა და დამცინავი ბლავილით დაბობლავდა გარშემო, ოქროს ქოთანს გულში მაგრად იკრავდა, მერე იქიდან მიწის ბრჭყვიალა გორახებს ესროდა არქივარიუსს, მაგრამ როგორც კი გორახები შლაფროკს შეეხებოდა, უმაღლეს ვიწროებად იქცეოდა, ყვავილები კი იატაკზე ცვიოდნენ. შლაფროკზე შროშნები ენთნენ და აკიაფდნენ და არქივარიუსი ახლა შროშნების აბრიალებულ ალს ესროდა ჯადოქარს, რომელიც ტკივილისაგან აღრიალდა, მაგრამ როგორც კი მალლა შეხტა და თავისი პერგამენტის ჯავშანი შეანჯღრია, შროშნები ჩაქრნენ და ფერფლად იქცნენ.

„ჩქარა, ეცი, ჩემო ბიჭო!“ — დასჭყვილა დედაბერმა და კატა ჰაერში შეხტა, კართან მდგარ არქივარიუსს ეკვეთა, მაგრამ მის ცხვირწინ ნაცრისფერი თუთიყუში აფრთხილდა, მოკაუჭებული ნისკარტით კატას ისე ღონივრად ჩააფრინდა ქეჩოში, რომ იქიდან სისხლი თქრიალით გადმოსკდა. მდროს მას სერპენტინას ხმა შემოესმა.

„გადარჩა! გადარჩა!..“

დედაბერს ოქროს ქოთანი ხელიდან გაუვარდა, მძვინვარებით მოცულად გრძელი, გამხმარი თითებით მხრებში ჩაფრენოდა, მაგრამ ლინდჰორსტმა სწრაფად მოიხსნა შლაფროკი და სახეში მიაფერთხა ბებრუცანას. და აი, აშიშინდნენ, დაიფრქვნენ და ამობოქრდნენ ცისფრად ატკაცუნებული ცეცხლის ენები პერგამენტის ფურცლებიდან და დედაბერა ღრიალითა და ვაიფრით ძირს დაგორდა, თან კვლავ ცდილობდა ქოთნიდან გორახები ამოეყარა, ხოლო წიგნებიდან პერგამენტის აალებულ ფურცლებს გლეჯდა, რათა ცეცხლი ჩაეჭრო და ჩააქრო კიდევ, მაგრამ თითქოს არქივარიუსს სხეულში ჰქონდაო შენახული, ისე ამოვარდნენ და ეკვეთნენ მოხუცს დაკლავნილი მოსისინე ცეცხლის ენები.

„ჰეი, ჰეი! თავს დავესხათ და ბოლომდე მივდივით მას! გამარჯვება საღამონდრას უნდა დარჩეს!“ — მთელს ოთახში ბობოქრობდა არქივარიუსის ბოხი ხმა, ათასი ელვა დაიკლავნა ცეცხლის წრეებად სასოწარკვეთილ აჭყიბინებულ დედაბერის გარშემო. ზათქითა და ხმაურით ეკვეთნენ ერთმანეთს გააფთრებულ ორთაბრძოლაში კატა და თუთიყუში, მაგრამ საბოლოოდ თუთიყუშმა გაიმარჯვა, მან თავისი ძლიერი ფრთებით კატა იატაკს დაანარცხა და მისი ბრჭყალები ისე ამოთუთქა და მიწას დააჭყლიტა, რომ მომაკვდინებელი ტკივილისაგან კატას საზარელი კნავილი აღმოხდა, მერე ბასრი ნისკარტით თუთიყუშმა კატას ჭყი-ატა თვალელები ამოუკორტნა, საიდანაც ათახთახებული ქაფი გადმოინთხა. იმ ად-

გილას. სადაც შლაფროკის ქვეშ მოხვედრილი დედაბერი მიწას დაენარცხა, სქელი კვამლი ამოვარდა. დედაბრის ღრიალი და საშინელი ველური კიშვიში შორს გაისმა. მყრალი კვამლი სწრაფად გაიფანტა. არქივარიუსმა თავისი შლაფროკი მალლა ასწია, მის ქვეშ საზარელი ჭარხალი ეგდო.

„პატივცემულო ბატონო არქივარიუსო, დამარცხებული მტერენეგო-ყვანეთ“, — უთხრა მას თუთიყუშმა და ნისკარტში გაყრილი შხუტ-შხუტისა თვა.

„ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო, — მიუგო არქივარიუსმა, — აგერ გდია ჩემს მიერ დამარცხებული მტერიც. სხვა რამეებს თქვენვე მოუარეთ, გეთაყვა! პატარა საჩუქარი შინდა მოგცეთ საზღაურად: ექვსი ქოქოსის კაკალი და ახალი სათვალე, ძველსა, ხომ ვნახე, რა უნამუსოდ ჩაუმსხვრია კატამ შინები!“

„საუკუნოდ თქვენს ერთგულად მიგულეთ, ღრმად პატივცემულო მეგობარო და მფარველო!“ — მიუგო კმაყოფილმა თუთიყუშმა, ნისკარტში ჭარხალი გაიჩარა და იმ ფანჯრიდან გაფრინდა, არქივარიუსს რომ მისთვის გამოეღო, არქივარიუსმა ოქროს ქოთანს ხელი დასტაცა და დაიჭუხა:

„სერპენტინა, სერპენტინა!“

როცა ბორბოტ და საძაგელ დედაბერზე არქივარიუსის გამარჯვებით გახარებულმა სტუდენტმა ანსელმუსმა ძლევამოსილ არქივარიუსს მზერა მიაპყრო, ისევ ის დიდებული, მაღალი ტანის სულთა თავადი დაინახა, გამოუთქმელი სიხარულითა და ღირსებით რომ შესცქეროდა მას.

„ანსელმუს! — მიმართა სტუდენტს სულთა თავადმა. — შენი ბრალი როდია, ურწმუნოება რომ გაგიჩნდა ამ რამდენიმე ხნის წინ, ამაში დამნაშავეა ის მტრული ძალა, რომელიც გამანადგურებლად შემოგეჭრა სულში და შენს გაორებას ცდილობდა, მაგრამ რაკი ბოლომდე სიტყვის კაცი გამოდექი, მაგ გაუტეხელი ნების გამო ღირსი ხარ თავისუფლებისა და ბედნიერებისა. იყავ ლალი და ჭუბღედიანი უკუნითი უკუნისამდე!“

ანსელმუსის სული შესძრა ელვამ, რომელმაც მთელ სხეულში დაუარა. მძლავრად და ღონივრად აედერდა ბროლის ზართა დიდებული სამხმოვანება, რის გაგონებისთანავეც ანსელმუსს ძარღვები აუთრთოლდა. ტკბილი, საამური აკორდები სულ უფრო მომძლავრდნენ და მთელს ოთახში აგრილდნენ და აი, მინა, რომელშიც ანსელმუსი იყო ჩამწყვდეული, თანდათან გალღვა და მან თავისი სათაყვანო მზეთუნახავის — სერპენტინას მკლავებს შეაფარა თავი.

მთავრდება ვიზილია +

კონრექტორ პაულმანის აღშფოთება თავის ოჯახში ამტყდარი სიგიჟეების გამო. როგორ გახდა რეგისტრატორი ჰეებრანდი სასახლის მრჩეველი და როგორ დადიოდა იგი მაშიებითა და აბრეშუმის წინდებით სუსხიან ამინდში. ვერონიკას საიდუმლოებათა გამხელა.

„მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ძვირფასო რეგისტრატორო, რა უბედურება იყო ის დაწყევლილი პუნში, გუშინ რომ თავში აგვივარდა, აგვაწრილა და ათასნაირი სისულელე ჩავვადენინა?“ — ჰკითხა კონრექტორმა პაულმანმა რეგისტრატორ ჰეებრანდს, როცა მეორე დილით სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც მთლად ნამსხვრევებად ქცეული ჭიქები ეყარა, ხოლო შუა ოთახში საბრალო დაშლილი პარიკი პუნშიში ცურავდა.

გუშინ საღამოს სტუდენტი ანსელმუსი გარეთ რომ გავარდა, კონრექტორი

პაულმანი და რეგისტრატორი ჰეებრანდი აქოთქოთდნენ და ერთი ამბავი ატეხეს, თან გიყებვიით ბლოდნენ და თავებს ერთმანეთს მანამ ურახუნებდნენ, ვიდრე ფრენცჰენმა ილაჯგაწყვეტალი და რეტდასხმული მამიკა რეგისტრატორი-ვაგლანით საწოლთან არ მიათრია, ხოლო რეგისტრატორი ჰეებრანდი კანცერლუული არ მიესვენა იმ დივანზე. სადაც ვერონიკას მოერთხა ფეხი. ფეხი მსოფლიო გონა ელდანაკრავივით ფეხზე წამობტა და საძინებელ ოწყახლევეთუტარეგისტრატორმა ჰეებრანდმა თავი ცხვირსახოციო წაიკრა და კვნესას მოჰყვა ფერმიხდილი და ნაღვლიანი.

„ო, ძვირფასო კონრექტორო, პუნში აქ არაფერ შუაშია, იგი ხომ დიდებულად შეამზადა მადმუაზელ ვერონიკამ, მხოლოდ და მხოლოდ ის წვეული სტუდენტია ამ ალიაქოთის თავი და თავი, ის არის ყველაფერში დამნაშავე და სხვა არავინ. განა ვერ ამჩნევდით ამდენ ხანს მის გიყურ გამოხდომებს? იგი ხომ კარგა ხანია mente captus-ად¹² ითვლება. განა არც ის იცით, რომ სიგიჟე გადამდებია? ერთი გიყი ხუმრობა არ გეგონოთ, მას ძალუძს ყველა დააგიჟოს, ხომ გაგიგონიათ, ერთი გიყი ათასებს ამრავლებსო. მომიტევეთ ამ მოძველებული ანდაზისათვის, მეტადრე რომ იგი აბლოა სინამდვილესთან. თუ ჭიქა არაყსაც გადაჰკრავ დამთხვეულთან ერთად, აი, მაშინ კი სულ ადვილად მიხებდები სიგიჟეს. თავადაც არ იცი, რას სჩადიხარ, ჰბაძაე და მიჰყვები ჭკუაზე შერყეულის ჩვეულ იღეთებს. დამიჯერეთ, კონრექტორო, ახლაც თავბრუ მესხმის, ის ნაცრისფერი თუთიყუში რომ მახსენდება“.

„რას ამბობთ, — უპასუხა კონრექტორმა, — ხუმრობთ თუ რა მოგივიდათ? ეგ ბებერი ქონდრისკაცი ხომ არქივარიუს ლინდჰორსტის საჭურველთ-ქვირთველია, რომელსაც ნაცრისფერი პალტო მოესხა და სტუდენტ ანსელმუსს ეძებდა!“

„შეიძლება ასეც იყოს, — თქვა რეგისტრატორმა ჰეებრანდმა, — მაგრამ ის კი უნდა ვაღიარო, რომ თავს ძალიან უგუნებოდ ვვრძნობ. მთელი ღამე ჩემს ტვინში რაღაც სასწაულად სტვენდა და გალობდა“.

„ეს ალბათ ჩემი ხვრინვა თუ მოგესმათ ძილში. ხანდახან ვიცი ხოლმე ხვრინვის ამოშვება“, მიუგო კონრექტორმა.

„ადვილი შესაძლებელია, ასეც იყოს, — განაგრძო რეგისტრატორმა, — მაგრამ, კონრექტორო, კონრექტორო, იცით, გუშინდელი ჩემი ვიზიტი უმიზნო არ ყოფილა — გუშინ ნაღდად მიხდოდა თქვენი გახარება, მაგრამ სად დამაცალა ანსელმუსმა, მთლად არ ჩამაშხამა ეს სიხარული! ო, კონრექტორო, კონრექტორო, თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა მოხდა!“

ეს თქვა და რეგისტრატორი ჰეებრანდი ფეხზე წამოვარდა, ცხვირსახოცი თავიდან ჩამოიგლიჯა, კონრექტორს გადაეხვია და გულიდან ამონაბეთქი ხმით შესძახა:

„ო, კონრექტორო, კონრექტორო!“

მერე სწრაფად ქუდსა და ჯოხს დაავლო ხელი და თავპირისმტვრევით გავარდა გარეთ.

„დღეიდან ანსელმუსს ფეხს აღარ შემოვადგმევიანებ ჩემს ოჯახში, — თავისთვის ამბობდა კონრექტორი პაულმანი — იმიტომ რომ აშკარად ვხედავ, რა ხიფათის მოტანა შეუძლია მას კაცისათვის, იგი ჭკუის ნატამალსაც აღარ უტოვებს საუკეთესო ადამიანებს. აჰი რეგისტრატორიც მის მიერ დაგებულ ხაფანგში გაება, მე ჯერ კიდევ ვიცავ წონასწორობას, მაგრამ ხვალ რა დამემართება, ვინ იცის. აი, ნახავ, ის სატანა, წუხელი ლოთობისას ატეხილ ღრიანცე-

ლში რომ კარზე მაგრად მოგვიბრახუნა, ბოლოს და ბოლოს თავს დაგვადგება და მისეულ ფანდებს მოჰყვება: ასე, რომ *apage satanas.*¹³ მოისპოს ანსელმუსის სახელ-სახსენებელი“.

ვერონიკა ღრმა ფიქრებში წასულიყო, ხმა ვერ ამოეღო, მხოლოდ ხანდახან თუ მოეფინებოდა სახეზე ერთობ უცნაური ღიმილი.

„ანსელმუსს გული აქვს შევარდნილი ვერონიკაზე, — სრულად გაბრაზებულით თქვა კონრექტორმა, — ეს კი კარგია, სათოფეზე რომ არ გვეკარება. ვიცი, ჩემი შიში აქვს, ამიტომაც ვერ მოუბედავს აქ მოსვლა“. — ეს უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა კონრექტორმა პაულმანმა, რაც იქ მყოფმა ვერონიკამაც მკაფიოდ გაიგონა, თვალები ცრემლებით აევსო და ამოიოხრა:

„აქ როგორღა შოვა ანსელმუსი? იგი რა ხანია მინის ბოთლშია გამოძწყვდიული“.

„როგორ? რა თქვი? — იყვირა კონრექტორმა პაულმანმა. — ო, ღმერთო, ო, ღმერთო, ესეც რაღაცებს როტავს, რეგისტრატორისა არ იყოს. მალე ჰქეპაქუხილიც ატყდება, ამასაც მოვესწრებით ალბათ, ო, შე წყეულო, საზიზღარო ანსელმუს!“

იგი სასწრაფოდ გაიქცა ექიმ ეკშტაინთან, რომელიც კი ავიწვიშდა, ვაი, ვაიო, მაგრამ ამჯერად წამალი არ გამოუწერია, მხოლოდ წასვლისას მისთვის ჩვეულ მოკლე შორისდებულებს ეს სიტყვებიც დააყოლა:

„ნერვული შეტევაა! თავისთავად გაივლის. ჰაერზე იაროს, გაერთოს, თეატრში წავიდეს, „კვირის ბავშვი“, „პრადელი დები“¹⁴ ნახოს და ავადმყოფობაც გაუვლის“.

ასეთი მჭევრმეტყველი ეს ექიმი ეკშტაინი თავის დღეში არ ყოფილა, — გაიფიქრა კონრექტორმა პაულმანმა, — თუმცა მჭევრმეტყველი კი არა, მოლაყბე ჰქვია ამას“.

გავიდა რამდენიმე დღე, კვირა, თვე და ანსელმუსის ხსენებაც კი აღარ ყოფილა პაულმანების ოჯახში. არც რეგისტრატორი ჰეებრანდი გამოჩენილა ამ ხნის მანძილზე. მაგრამ აი, დადგა ოთხი თებერვალი. ამ დღეს, შუადღის სრულ თორმეტ საათზე შემოიჩვიმა რეგისტრატორი ჰეებრანდი კონრექტორ პაულმანის ბინაში ახალი ძვირფასი ნაჭრისაგან შეკერილი მოდური სამოსით, მაშინებითა და აბრეშუმის წინდებით, თუმცა გარეთ გვარიანი თოში იყო. ხელში უზარმაზარი თაიგული ეჭირა. ასე მორთულ-მოკაზმული მეგობარი რომ იხილა, კონრექტორი პაულმანი ძლიერ გაოცდა. რეგისტრატორი ჰეებრანდი საზეიმო იერით, პეწით და ნატიფი მანერებით მიუახლოვდა კონრექტორ პაულმანს, გადაეხვია და უთხრა:

„აი ახლა, თქვენი უსაყვარლესი და უძვირფასესი ასულის ვერონიკას დაბალების დღეს უნდა მოგახსენოთ ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა მაშინ, იმ ბედნიერ საღამოს ჩემი სერთუკის ჯიბიდან რომ პუნშის მოსამზადებლად არაყი და ღიმონი ამოვიღე და გავიფიქრე, აი, ახლა კი ვეტყვი მეგობრებს სასიხარულო ამბავს და ამ იღბლიან დღეს მზიარულებაში გავატარებთ-მეთქი, რადგან სწორედ იმ დღეს შევიტყვე სასახლის მრჩეველად ჩემი დანიშვნის ამბავი, ახლა კი მოვიტანე ხელისუფლების მიერ დადასტურებული სიგელ-გუჯარი, რომელიც ჯიბეში მიდევს“.

„ო, ო! ბატონო რეგისტრ... ბატონო სასახლის მრჩეველო-მეთქი, მინდოდა ბეთქვა“, — ენა დაება კონრექტორს.

„მაგრამ მხოლოდ თქვენ, ღრმად პატივცემულო კონრექტორო, — განა-

გრძო ახლა უკვე სასახლის მრჩეველმა ჰეებრანდმა, — თქვენ და მხოლოდ თქვენ ძალგიდგით სრულყოთ ჩემი ბედნიერება. უკვე კარგა ხანია, რაც ჩემად მიყვარს თქვენი ასული — ვერონიკა და ზოგჯერ მას ალერსიანი შემოხედვაც უჩუქნია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩემდამი თვითონაც არ არის მთლად გულგრილი. ერთი სიტყვით, პატივცემულ კონრექტორს უკვე უნდა შეეწყოს მრჩეველი ჰეებრანდი, გთხოვთ თქვენი უსაყვარლესი და სახუკვარი ასულის — მადმუაზელ ვერონიკას ხელს. სულ მოკლე ხანში კანონიერი ქორწინება მაქვს ვანზრახული, თუკი თქვენი ნებაც იქნება“.

ერთობ გაოცებულმა კონრექტორმა პაულმანმა ტაში შემოჰკრა და თქვა: „ჰეი, ჰეი, ჰეი, ბატონო რეგისტრ... ბატონო სასახლის მრჩეველო, მინდოდა მეთქვა, ვინ იფიქრებდა ამას! კი ბატონო, თუ ვერონიკას ხამდვილად უყვარხართ, მე, ჩემის მხრივ, წინააღმდეგი არ ვიქნები. ეგებ მისი ამჟამინდელი შენაღვლიანობა თქვენდამი ფარული სიყვარულის მიზეზით იყოს გამოწვეული, პატივცემულო სასახლის მრჩეველო, გაგვიგონია მსგავსი ამბებიც“.

სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ვერონიკა, ფერმიხდილი, და უგუნებო, რაც ამ ბოლო ხანებში მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. მასთან ცქვიტად მიიჭრა სასახლის მრჩეველი ჰეებრანდი, დიდის ამბით მიულოცა დაბადების დღე და საამისოდ არ დაზოგა მჭევრმეტყველება, თან მოწინებით გადასცა სურნელოვანი ვარდების თაიგული პატარა შეხვეულთან ერთად. შეჩვეული ვერონიკა იმწამსვე გახსნა და იქიდან მოციმციმე საყურეებმა გამოანათეს. ქალიშვილის ლოყებს უმაღ სიწითლე მოედო, თვალეებში ნაპერწყლები აუციმციმდა და იყვირა:

„ო, ღმერთო ჩემო! ეს ხომ ის საყურეებია, რამდენიმე კვირის წინ რომ გავიკეთე და გულით გავიხარე?“.

„ეს როგორ? — თქვა განცვიფრებულმა, თანაც ცოტა განაწყენებულმა სასახლის მრჩეველმა. — ეს სამკაული ხომ სულ ამ ერთი საათის წინ შევიძინე ციხე-სიმაგრის ქუჩაზე ცოდვილი ფულით?“

მაგრამ ვერონიკა მას ყურს როდე უგდებდა, სარკის წინ ტრიალებდა, რათა კარგად მოერგო საყურეები, თან ისიც შეემოწმებინა, რანაირად ჰშვენოდა ეს სამკაული მის პაწია ყურებს. კონრექტორმა პაულმანმა ფრიად სერიოზული გამომეტყველებითა და დარბაისლური კილოთი მოახსენა თავის ასულს მეგობარ ჰეებრანდის სამსახურში დაწინაურების ამბავი. ისიც უთხრა, შენს ხელს მთხოვსო. ვერონიკამ სასახლის მრჩეველს გულში ჩამწვდომი მზერით შეხედა:

„ჩემი ცოლობა რომ გინდოდათ, მე ეს დიდი ხანია ვიცოდი. რას იზამ, იყოს ნება თქვენი. ეს გული თქვენთვის მომიძღვნია, მაგრამ ჯერ მინდა ორივეს — მამასაც და საქმროსაც მოგახსენოთ ჩემი გულის ნადები, რაც მძიმე ტვირთად მაწევს და აზრსა და ფიქრს მიმღვრევს, თანაც ახლავე, ამ წუთში, დე გაცივდეს წვნიანი, არ დავეძებ, სულ ახლახან რომ შემოიტანა ფრენცჰენმა და მაგიდაზე დადგა“. მას არ დაუცდია კონრექტორისა და სასახლის მრჩეველის პასუხისმართვის, თუმცა ამათ უმაღ დააღეს პირი რაღაცის სათქმელად, ვერონიკამ კი სულმოუთქმელად განაგრძო:

„დამიჯერეთ, ძვირფასო მამა, რომ მე ანსელმუსი მართლა მიყვარდა. მას შემდეგ, რაც რეგისტრატორმა ჰეებრანდმა დამარწმუნა (ახლა რომ თვითონ გახდა სასახლის მრჩეველი), ანსელმუსი მალე მიაღწევს ამ მაღალ თანამდებობასო, მტკიცედ გადავწყვიტე მხოლოდ ის გამხდარიყო ჩემი ქმარი და არავინ სხვა. მაგრამ იმასაც აშკარად ვხედავდი, რომ ბოროტი ძალები ლამობდნენ წა-

რეტაცათ იგი ჩემთვის, შე კი დახმარებისათვის მივმართე მოხუც ლიზას, რომელიც ბავშვობაში ჩემი გამზრდელი იყო. ახლა იგი ბრძენქალი და დიდი ჯადოქარი გამხდარიყო. დამპირდა, გიშველი, ანსელმუსი შენი იქნებაო, და შენ მოდგომის ბუნობისას შუალამით ჩვენ ვზაჯვარედინზე გავედით. მან შევლოცა ჯოჯოხეთის სულელებს და შავი კატის შემწეობით მოვიპოვეთ პაწეჯ, ლეფეფუფიქს სარკე, რაში ჩახედვაც ჩემთვის საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მოეტყუა ~~სელმუსს~~ სელმუსზე მეფიქრა და მის აზრებსა და გრძნობებს დავპატრონებოდი. ახლა კი გულწრფელად ვინანიებ ჩემს საქციელს, ზურგს ვაქცევ ყველა ჯურის სატანისეულ ხელოვნებას. სალამანდრამ დაამარცხა დედაბერი, მისი მოთქმა და ყვირილი კი გავიგონე, მაგრამ სად შემედლო შემწეობა აღმოვეჩინა მისთვის. როგორც კი იგი თუთიყუშმა ჭარხლის სახით გადაყლაპა, უმაღ ჯახანით გატყდა ჩემი ლითონის სარკეც“.

ვერონიკამ ხელსაქმის ყუთიდან ამოიღო გატეხილი სარკე და საკუთარი თმის კულუღი და ესენი სასახლის მრჩეველს გაუწოდა, თან უთხრა:

„ინებეთ, ძვირფასო სასახლის მრჩეველო, სარკის ნამსხვრევები და დღესვე ღამის თორმეტ საათზე ელბის ხიდიდან გადაყარეთ, სახელდობრ, იმ ადგილიდან, სადაც ჯვარი დგას. შორს ისროლეთ, ზუსტად ყინულჭრილში ჩაყარეთ, კულუღი კი თქვენთვის შეინახეთ, გულთან ახლოს გქონდეთ. დღეიდან ზურგს ვაქცევ სატანისეულ ფანდებს, ანსელმუსს კი გულწრფელად ვუსურვებ ბედნიერებას, მან ხომ დღეს იქორწინა მწვანე გველზე, რომელიც ჩემზე ლამაზიცაა და მდიდარიც. თქვენ კი, ძვირფასო სასახლის მრჩეველო, მარადყამს მეყვარეობით და პატივს მოგაგებთ, სიკვდილამდე თქვენი ერთგული ცოლი ვიქნები“.

„ო, ღმერთო, ო, ღმერთო! — იყვირა მწუხარებისაგან გულგახეთქილმა კონრეტორმა პაულმანმა. ნამდვილად გაგიყდა, გაგიყდა, აბა რა ვერც ეღიროსება თავის დღეში სასახლის მრჩეველის ცოლობას. გაგიყდა და ეს არის“.

„არამც და არამც. — თქვა სასახლის მრჩეველმა ჰეებრანდმა. — კარგად ვიცი, რომ მადმუაზელ ვერონიკას ჰქონდა რალაცნაირი ლტოლვა შეშლილი ანსელმუსისადმი და იქნებ მისი ამ უზომო გატაცების გამო იყო, ბრძენ ქალს რომ შეველა სთხოვა. ეს ქალი კი როგორც ვატყობ, სხვა არავინაა, თუ არ ტბის ჭიშკართან მცხოვრები რაუერინი, კარტსა და ყავაზე რომ მკითხაობს. ვერც იმას უარვეყოფთ, რომ არსებობს იდუმალი ხელოვნება, რომელსაც ძალუძს ფარულად მოახდინოს ბოროტი ზემოქმედება ადამიანზე, რის შესახებაც ძველ წიგნებაში წაგვიკითხავს, ხოლო რაც შეეხება ვერონიკას ნაამბობს სალამანდრას გამარჯვებასა თუ ანსელმუსის მწვანე გველთან ქორწინებაზე, ჩემის აზრით, ეს პოეტური ალეგორიაა, რალაც ლექსის შინამსგავსი პოეტური ნაწარმოები, რომელიც ვერონიკამ სტუდენტი ანსელმუსისადმი თავის დაკარგულ სიყვარულს უძღვნა“.

„როგორც გინდათ, ისე ვაიგეთ, ძვირფასო სასახლის მრჩეველო, — სიტყვა შეაწუვეტინა მას ვერონიკამ, — თუ გინდათ, უაზრო სიზმარი დაარქვით ამას, არ მეწყინება“.

„არაფრის გულისათვის ამას არ ვიზამ, — შეეპასუხა სასახლის მრჩეველმა ჰეებრანდი. — არ ვიზამ, იმიტომ რომ კარგად მესმის ანსელმუსის მდგომარეობა. ისიც ვერონიკასავით შეიბყრო იდუმალმა ძალებმა, რომლებიც ათასნაირი გიჟური ფანდებით დევნიან და ტანჯავენ ჭაბუკს“.

კონრეტორმა პაულმანმა ბოლოს და ბოლოს თავი ველარ შეიკავა:

„კარგით რა, თუ ღმერთი გწამთ! გაჩერდით ერთი, ძალიან გთხოვთ. ისევ

ის ოხერი პუნში დავლიეთ თუ კვლავ ანსელმუსის სიგიჟეებმა წამოგვიარა და
 ეერა და ვერ მოვიცილეთ თავიდან? ბატონო სასახლის მრჩეველო, ეს რა სი-
 სულელებს ჩმახავთ მართლა და მართლა? მე კიდევ სულ სხვა რამე მინია და
 დროა ჭკუაზე მოხვიდეთ: იცით, რა? თქვენ ყველას სიყვარული გიბრელებთ
 გონებას და გარეტყანებთ, მეტი არაფერი, ქორწინების შემდეგ ვგეგმე ჩქარა
 გაივლის ხოლმე, თორემ აგერ შიშოც კი გამიჩნდა, შთამოგვლტყვევება დაუ-
 ცეს ეს სიგიჟე და არ დამღუპოს-მეთქი. მე კი, ჩემის მხრივ, მამის ლოცვით
 გლოცავთ, შეილებო, ბედნიერი იყოს თქვენი შეუღლება, და ნებას გრთავთ
 ცოლ-ქმარავით აკოცოთ ერთმანეთს.“

რაც ითქვა, უმალ შესრულდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ქალბატონი სა-
 სახლის მრჩეველი ჰეებრანდი მართლაც იჭდა თავისი ლამაზი სახლის პარმალზე
 ახალ ბაზართან, ხოლო იქვე ავლილ-ჩავლილი, მის სახილველად ლორნეტმომა-
 რჯვებული პეწენიკები ღიმილით უჭვრეტდნენ და ნეტარებით ამბობდნენ:

„რა ღვთაებრივი ქალია ეს სასახლის მრჩეველი ქალბატონი ჰეებრანდი!“

მეთორმეტე ვიჯილია

ამბავი არქივარიუს ლინდჰორსტის მიერ თავის საგვარეულო ადგილ-
 მამულის ბოძებისა სიძისათვის — ანსელმუსისათვის და ანსელმუსის
 განცხრომით ცხოვრებისა სერპენტინასთან ერთად. დასახრული.

რა ძლიერად, სულის სიღრმეში ვგრძნობ სტუდენტ ანსელმუსის უზენაეს
 ნეტარებას, ვინც ქორწინების ჯაჭვებით მტკიცედ დაუკავშირდა მშვენიერ სერ-
 პენტინას და იღუმალებით აღსავსე საოცარ ჭვეყანაში დასახლდა, რომელიც
 სამშობლოდ ცნო, საითკენაც რა ხანია, რაც მიიღტვოდა მისი უცნაური წინათ-
 გრძნობებით აღსავსე გული. მაგრამ ამაოდ დაშვრები, მოწყალეო მკითხველო,
 თუ შეეცდები საკადრისი სიტყვებით გამოხატო, თუნდაც უბრალოდ მიანიშ-
 ნო ის მშვენიერებანი, რითაც ანსელმუსი იყო გარემოცული. გულაცრუებულმა
 შევნიშნე, რაოდენ უფერულია და მკრთალი ყოველი გამონათქვამი სიტყვა.
 თავს წვრილმანი ყოველდღიურობის უბადრუკობაში ჩაფლულად ვგრძნობდი.
 უსიამო განცდებმა ავად გამხადეს, მთვარეულივით დავებეტებოდი აქეთ-იქით,
 ერთი სიტყვით, სტუდენტი ანსელმუსივით იმ დღეში ჩავვარდი, მეოთხე ვიჯი-
 ლიაში რომ ავიწერეთ, მოწყალეო მკითხველო.

მართლაცდა შევწუხდი, ბედნაერად დასრულებული ოერთმეტი ვიჯილია
 საჩქაროდ რომ გადავიკითხე, და აზრადაც აღარ მომივიდოდა მეთორმეტე —
 დამამთავრებელი ვიჯილია მიმემატებინა, რომ ყოველ ღამით სამუშაო მაგიდას
 მივუჭდებოდი თუ არა, გამუდმებით არ გამომცხადებოდნენ ცბიერი, მზაკვარი
 სულები (ალბათ ისინი მოკლულა ჯადოჭრის ნათესავები, იქნებ სულაც ალალი
 ბიძაშვილები იყვნენ). ლაბლაბა ლითონს დამიდებდნენ ხოლმე წინ, რაშიც ჩე-
 ში საკუთარი „მე“ აირეკლებოდა, ფერმკრთალი, ღამენათევი, შავნალვლიანი,
 ვითარცა რეგისტრატორი ჰეებრანდი პუნშით ღრეობის დროს, კალამს ხელიდან
 გავაგდებდი ხოლმე და საწოლისკენ გავეჩქარებოდი, რათა ცოტათი მაინც მე-
 ოცნება სვებედნიერ ანსელმუსსა და მშვენიერ სერპენტინაზე. ასე გავიდა რამ-
 დენიმე დღე და ღამე, ვიდრე სრულიად მოულოდნელად არ მივიღე არქივარი-
 უს ლინდჰორსტის ბარათი, რომელშიც ეწერა:

„თქვენო კეთილშობილებავ, როგორც გავიგე, თერთმეტ ვიჯილიაში გიამ-
 ბნიათ ჩემი ძვირფასი სიძის, წარსულში სტუდენტისა და ამჟამად კი პოეტის —

ანსელმუსის უცნაური ბედის ამბავი და ახლა ძალიან გაწუხებით, მეთორმეტე და უკანასკნელ ვიგლიაში როგორ იტყვით სათქმელს მისი ბედნიერი ცხოვრების დღეებზე ატლანტიდაში, სადაც იგი ჩემს ასულთან ერთად დასახლდა, ამ დიდებულ საგვარეულო ადგილ-მამულში, რომელიც ჩემს პირად საკუთრებას შეადგენს. თუმცა ისიც მინდა ვთქვა, არც ისე სასიამოვნო ამბავი ჩემთვის მთელს ქვეყნიერებას რომ გააცანით ჩემი ნამდვილი ბუნება. ამგვარად ვთქვამ, ათასი უსიამოვნება შემახვედროს სამსახურში, და საქმე იქამდეც კი მივიდეს, რომ სადავო საკითხი აღიძრას სახელმწიფო საბჭოში: აქვს თუ არა სალამანდრას იურიდიული უფლება სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდეს და საერთოდ მიენდობა კი სოლიდური საქმეები, რაკილა გაბალისისა და სვედენბორგის¹⁶ მიხედვით, სტიქიათა სულებს სულაც არაფერი დაეჭვრებათ? ჩემი უახლოესი მეგობრებიც ალბათ, თავს შეიკავებენ და არ გადამეხვევიან იმის შიშით, რომ, შესაძლოა მოულოდნელ სიცელქეს მცირედი გაელვება მოჰყვეს და ამან ის შედეგი გამოიღოს, რომ პარიკი თუ სადღესასწაულო ფრაკი ცეცხლით შეეტრუსოს. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მე მაინც აღმოგიჩენთ შემწეობას, თქვენო კეთილშობილებავე, ნაწარმოების დასამთავრებლად, რადგან მასში ბევრი კარგი რამაა ნათქვამი ჩემზე და ჩემს ძვირფას გათხოვილ ასულზე (ო, როგორ მინდა მისი ორი დაც ჩავაბარო პატრონს). თუ გინდათ მეთორმეტე ვიგლია დაწეროთ, დატოვეთ თქვენი სენაკი, დაეშვიტ მაგ დაწყევლილი მეხუთე სართულიდან და მოდით ჩემთან. პალმის ხეთა ცისფერ ოთახში, რომელსაც ისედაც კარგად იცნობთ, იპოვით თქვენთვის საჭირო კალამსა და ფურცლებს და შესაძლებლობა გექნებათ მოკლედ უამბოთ მკითხველთა სამყაროს იმის შესახებ, რასაც საკუთარი თვალით ნახავთ და ეს ბევრად უკეთესი იქნება, ვიდრე ვრცლად, მრავალსიტყვაობით აღწეროთ ცხოვრება, რომელსაც მხოლოდ ყურმოკვრით თუ იცნობთ.

პატივისცემით, თქვენი კეთილისმყოფელი და მონა-მოჩილი სალამანდრა ლინდჰორსტი, ამჟამინდელი სამეფო საიდუმლო არქივარიუსი“.

არქივარიუს ლინდჰორსტის ამ რამდენადმე გაურანდავმა, მაგრამ მეგობრული სულისკვეთებით გამთბარმა ბარათმა უდიდესი სიამე მომანიჭა. თუმცა ამ უცნაურმა მოხუცმა კარგად იცოდა, რა სასწაულით იყო ჩემთვის ცნობილი მისი სიძის თავგადასავალი, რაც ჩემს საიდუმლოებას წარმოადგენს და რასაც ძეხორციელს არ ვუმეღავენებ, მათ შორის არც შენ, მოწყალეო მკითხველო, მაგრამ როგორც ჩანს, იგი ამ ამბებს ცუდი თვალით არ უყურებს, რისიც ცოტათი მეშინოდა კიდევ. მან თვითონვე გამომიწოდა დახმარების ხელი ჩემი ნაწარმოების ბოლომდე მისაყვანად, საიდანაც შემიძლია ის დასკვნა გამოვიტანო, რომ ძირითადად იგი თანახმაა გამოქვეყნებული წიგნის საშუალებით ცნობილი გახდეს ამბავი სულების ქვეყანაში მისი საოცარი არსებობის შესახებ. ჩემის ფიქრით, მას იქნებ იმის იმედიც გაუჩნდა, რომ ამით თავის დანარჩენ ასულებსაც უშოვნის ჭმრებს, რადგან, ვინ იცის, ეგებ ვინმე უმაწვილკაცს ინტერესი აღიძრას მწვანე გველისადმი, ვისაც იგი ამალლების დღეს ანწლის ბუჩქთან ეძიებს და ჰპოვებს კიდევ. ბოლო ის დავიდარება, რაც ანსელმუსს გადახდა თავს, როცა მინის ბოთლში კინალამ ამოიხუთა, გამაფრთხილებელ მაგალითად ექცევა მას, რათა სერიოზულად მოერიდოს ყველანაირ ექვსა და ურწმუნოებას. ზუსტად თერთმეტ საათზე ჩავაქრე მაგიდის ნათურა და არქივარიუს ლინდჰორსტისაკენ გავსწიე, რომელიც ტალანში მიცდიდა.

„ო, ეს თქვენა ხართ, დიდად პატივცემულო! მოხარული ვარ, რომ ჩემი

კეთილი რჩევა ყურად იღეთ და მობრძანდით. წამობრძანდით ჩემთან! — და მან წამიყვანა თვალისმომჭრელი სინათლით ავსებულა ბაღის ჩავლით ლავ-ვარდისფერ ოთახში, სადაც იისფერი საწერი მაგიდა დგინდა. რომელზეც ოდესღაც ანსელმუსი მუშაობდა. არქივარიუსი ლინდპორსტი წამით გაუჩინარდა, მერე კვლავ გამოჩნდა ხელში მშვენიერი თქროსკრის რაშიც ტყრცილით ირბოდა ლურჯი ცეცხლი.

„აი, თქვენი მეგობრის — კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერის საყვარელი სასმელი მოგართვით. ეს არის ანთებული არაყი, შიგ კოტაოდენი შაქარი ჩაეაგდე. მოსვით ყლუბ-ყლუბით ბოკალიდან. მე ახლავე გავიხდი შლაფროკს და ჩემდა გასახარად და აგრეთვე თქვენი ღირსსაგნობი საზოგადოების თავის შესაქცევად. ვიდრემდე თქვენ მანდ ზიხართ და სასმისში იყურებით, თანაც წერთ, ამ ბოკალში ავივლ-ჩავივლი“.

„როგორც გავიხარდეთ, ისე მოიქეცით, პატივცემულო ბატონო არქივარიუსო, — მივუგე მე, — ოღონდ ერთი. ეს მითხარით, რა ვქნა, თუ სასმელის დაღვევა მომინდა, თქვენც რომ გადაგაყოლოთ“.

„ამაზე ნუ სწუხხართ, ჩემო ძვირფასო!“ — დაიძახა არქივარიუსმა, სწრაფად მოიძრო შლაფროკი და ჩემდა გასაოცრად შევიდა ბოკალში და ცეცხლში გაუჩინარდა. ცეცხლის ალი გულმშვიდად აქეთ-იქით მივსწი-მოვსწიე და უშიშრად გავსინჯე სასმელი. იგი ჩინებული გამოდგა.

წყნარი შრიალითა და შარიშურით ირბევინ პალმის ხეთა ზურმუხტისფერი ფოთლები, თითქოს რივრაფზე ქარის სუნთქვა მიეფერათო. გამოფხიზლებული ფოთლები ამოძრავდნენ, იღუმალი ჩურჩული ატეხეს იმ საოცრებებზე, რასაც შორეული მხარის ჩანგთა სანეტარო ბგერები აუწყებდნენ. აი, ლავვარდი ჩამოეცლება კედლებს და სურნელოვან ნისლად ეშვება ქვემოთ და ზემოთაც აცურდება, მაგრამ თვალისმომჭრელი სხივები გაარღვევენ ნისლს, რომელიც ბავშვური აღტაცებით ბრუნავს და ტრიალებს და პალმის ხეთა მიერ მოგუმბათებულ თვალუწვდენელ სივრცეში აიტყორცნება, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო დამაბრმავებელი სინათლის გაელვებით შემატება სხივი სხივს, ვიდრე შეუქმოსილ მზის ბრწყინვალეობად არ გაიშლება თვალუწვდენელ მინდორში, სადაც ანსელმუსს მოგკარი თვალი. ბრდღვილა იაგუნდებს, ტიტებსა და ვარდებს მალლა აეშვირათ ლამაზი თავები. მათ მიერ მოფრქვეული მუშკ-ამბარი ალერსიანი ხმით ჩასძახოდა განცხრომაში მყოფს: „ვიაროთ, ვიაროთ ერთად, ძვირფასო, შენ წვდები ჩვენს სულს, ჩვენი სურნელი სიყვარულის ლტოლვაა ჩვენ გეტრფით და სამარადისოდ შენი ვართ! ოქროს სხივები აბრიალებულ ბგერებად გიზგიზებენ: „ჩვენ ცეცხლი ვართ, ტრფობით ანთებული, სურნელი ლტოლვაა, ხოლო ცეცხლი — სურვილი და განა შენს გულში არ ჩავსახლდებით? ჩვენ ხომ შენი სკუთარი სურვილი ვართ“. ამრიგადნენ, ახმაურდნენ დაბურული ბუჩქები, მალალი ხეები: „მოდე ჩვენთან, ნეტარო და სანუკვარო! ეს სურვილი ცეცხლია, ხოლო იმედი — ჩვენი გრილი ჩრდილი! ჩვენ სიყვარულით ვიშრილებთ შენ გარშემო, რადგან სულს სწვდები, რადგან ტრფობას დაუსადგურებია შენს გულში“. ჩქეფენ, ჩუხჩუხებენ წყაროები და ნაკადულები: „ძვირფასო, ასე ჩქარა გვერდს ნუ ჩავვივლი, ჩამოიხედე ჩვენს სულში, იქ შენი ხატება ბინადრობს, შეფრფინვით რომ ვინახავთ, რადგან შენ გესმის ჩვენი“. მოზეიმე ქოროებად მღერიან და ჭიკჭიკებენ ქრელი ფრინველები: „გვისმინე, გვისმინე, ჩვენ ლხენა ვართ, ნეტარება, სიყვარულის თავდავიწყება!“ „მაგრამ ანსელმუსი წყნარი სევდით შეჰყურებს სადღაც შორეთში აღმართულ ტა-

ძარს, ხელით ნათალი სვეტები თითქოს ხეებიანო, ხოლო კაპიტულები და ლავ-
გარდანები, რომელთა განსაცვიფრებელ ჩუქურთმაშიც ფოთლებია ჩაწნული-ჩა-
ხლართული, დიდებულად ამკობენ შენობას, ანსელმუსი უახლოვდება ტაძარს,
იდუმალი ნეტარებით ათვალიერებს ჭრელ მარმარილოს, მის სასწაულსა და
მოხავესულ საფეხურებს.

„ო, არა! — ყვირის იგი უზომო აღტაცებით, — იგი უკვე ჩემთან“.
ტაძრის სიღრმიდან ნარნარით გამოდის უმშვენიერესი სერპენტინა,
ხელთ ოქროს კოთანი უბურია, რაშიც მშვენიერი შროშანი ხართს უსასრულო
ლტოლვის გამოუთქმელი ნეტარება ციმციმებს მის ლამაზ თვალებში, იგი ან-
სელმუსს შესცქერის და ეუბნება: „ო, ჩემო სულისდგამე, შროშანმა უკვე გა-
შალა კვირტები და უზენაესის ნებაც აღსრულდა. შეედრება განა ახლა რამე
ამქვეყნად ჩვენს ნეტარ ყოფას?“ ანსელმუსი წრფელი გზნებით, ვნებიანად მო-
ეხვია თავის გულის სწორს, მის ზემოთ ანთებული შროშანი გაზგიზებს. მღელ-
ვარებას ვერ იოკებენ ხეები და ბუჩქები, დიდი ხარ-ზეიმი აქვთ წყაროებს, ფრი-
ნველებს, ათასნაირ ჭრელ მწერს ცეკვა-თამაში გაუმართავს, ისინი ციბრუტივით
ტრიალებენ ჰაერში, სიყვარულის დღესასწაულს ზეიმობენ ცაში, წყალსა თუ
ხმელეთზე მხიარული, გიჟმაჟი, მოზარზეიმე ადამიანები, ელვები კრთიან ბუჩ-
ქებში, აღმასები მოციმციმე თვალებივით ანათებენ დედამიწაზე. მაღალი შა-
დრეენები მოსჩქეფენ წყაროებიდან და ბრწყინავენ. ფრთათა შრიალი აქეთ-იქ-
ით უცნაურ სურნელს აფრქვევს. ეს სტიქიათა სულები არიან, შროშანს რომ
თაყვანს სცემენ და ანსელმუსის ბედნიერებას გვაუწყებენ. სხივთა ელვარებით
ნათელმოსილ ანსელმუსს თავი მაღლა აუშვევრია, და ვერ გაიგებ რას გამოხა-
ტავს, მზერაა ეს, სიტყვები თუ სიმღერა, გარკვევით კი ისმის შემდეგი: „სერ-
პენტინა! შენდამი რწმენამ და სიყვარულმა ბუნების სიღრმეებში ჩამახედა.
ხომ მიბოძე შროშანი, რომელიც ოქროსგან, დედამიწის ამ პირველქმნილი ძა-
ლისაგან აღმოცენდა უფრო ადრე, ვიდრე ფოსფორუსი აზრს დაანთებდა. იგი
არის ყველანაირ არსთა წმინდა ჰარმონიის ცნობიერი ხილვა, აი, სწორედ ამ
ცნობიერ ხილვაში ვმყოფობ მე უზენაესი ნეტარებით სავსე და საუკუნოდ
ასეთი ვრჩები. დიახ, მე, ბედის ნებიერმა შევიცან უზენაესი და მეყვარები შენ,
სერპენტინავ, უკუნითი უკუნისამდე. მიწყევ იცოცხლებს და არასოდეს ფერს
არ შეიცვლის შროშანის ოქროს სხივები, რადგან მარადიულია ცნობიერი ხილ-
ვა, ვითარცა რწმენა და სიყვარული“.

ანსელმუსი რომ ცოცხლად მეზმანა ატლანტიდის ადგილ-მამულში, ამას
მე ვუმაღლი სალამანდრას ჯადოსნურ ხელოვნებას და რა დიდებული იყო ის
წამი, როცა ყველაფერი ნისლივით გაიფანტა და ჩემს ქალაღზე, რომელიც
იისფერ მაგიდაზე იდო, სუფთად და ნათლად აღიბეჭდა თითქოსდა ჩემ მიერ
ხატოვნად თქმული ამბავი. მაგრამ მოულოდნელად რაღაც უცნაურმა ტკივილ-
მა შემძრა და შემაშფოთა: „ო, ბედნიერ ვარსკვლავზე შობილო ანსელმუს!
ნეტავი შენ, ყოველდღიური ცხოვრების ტვირთი რომ განიშორე და მშვენიერ
სერპენტინასთან ერთად სიყვარულის მეცხრე ცას ეწიე, ბუკითა და ნალარით
ცხოვრობ უზრუნველად ატლანტიდის ადგილ-მამულში და განცხრომა-ნეტარე-
ბას ეძლევი. მე საწყალი კი აგერ რამდენიმე წუთში დავტოვებ ამ დიდებულ
დარბაზს, რომელიც სულაც არ არის ატლანტიდის ადგილ-მამული, ჩემს სე-
ნაკში შევიკეტები და უღიმღამო ყოფის დინებას მივუნდობი, ხოლო ჩემს
თვალებს სქელი ნისლივით ჩამოვფარება ათასნაირი ჭირი და სატკივარი და ვე-

რასოდეს ველარ ვიხილავ შრომანს“. როგორც კი ეს სიტყვები წარმოვეთქვი, არქივარიუსმა ლინდპორსტმა წყნარად დამკრა მხარზე ხელი და მითხრა:

„ჩუმაღ, ჩუმაღ, ჩემო ბატონო. ღმერთს ნუ სცოდავთ და ბევრს ნუ შესჩი-
ვით! განა თქვენ თვითონ არ იყავით სულ ახლახან ატლანტიდაში და არ იხი-
ლეთ იქ ერთი რიგიანი სავანე, ვითარცა თქვენი სულის პოეტური სამკვიდრე-
ბელი? და განა საერთოდ ანსელმუსის ნეტარი ყოფა სხვა რაღაცაა, თუ
არ ცხოვრება პოეზიაში, რომელიც ბუნების ყველანაირ არსთა წმინდა წარმო-
ნის უღრმეს იდუმალებას ამხელს?“.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი

1. **ვიგილია** — ლათ. *Vigilie* ღამეული სიფხიზლე, რაც იმას მიანიშნებს, რომ ნაწარმოები ღამით იწერებოდა.
2. **კონსერვატორი** — რექტორის მოადგილე ძველი დროის გერმანულ სკოლაში.
3. **„დუნაის ძალწული“** — ავსტრიელი კომპოზიტორისა და ღირაქორის — ფერდინანდ კაუერის (1751—1831) რომანტიკულ-კომიკური ოპერა, რომელიც 1796 წელს დაიდგა ვენაში.
4. „როგორც ამას ერთი ცნობილი აწ განსვენებული მეცნიერი ამტკიცებდა“ — აქ იგულის-
ხმება გერმანელი მწერალი და გამომცემელი ქრისტოფ ფრიდრიხ ნიკოლაი (1733-1811), რომე-
ლიც თავის წიგნში „ზოგიერთი ფანტაზმის გამოვლენის ნიმუში“ (*Beispiel einer Erscheinung
mehrerer Fantasmen*“, 1799), გამოდის ფილისტერულად გაგებული ე. წ. „ჯანსაღი აზრის“ და-
საცავად და სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყველანაირ ფანტასტიკურს. მისი აზრით, ფანტაზიების
დაძლევა შეუძლებელია უკანალზე წურბლების დასმით. ვთუთე თავის „ფაუსტში“ დასცინის
ნიკოლაის შეზღუდულ, ფილისტერულ გამოსვლებს. უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ
ნიკოლაისადმი გერმანელი რომანტიკოსებიც. პოფმანიც ასეთსავე დამოკიდებულებას გამოხატავს
ამ ნაწარმოებში ნიკოლაის მიმართ.
5. **კაპელმანისტერი ბრაუნე** — კარლ ჰაინრიხ გრაუნი (1701—1759), გერმანელი კომპოზი-
ტორი და ღირაქორი ფრიდრიხ II კარზე.
6. **შაიციესტალერი** — ძველებური გერმანული ვერცხლის ფული.
7. **ნაპრომანტი** — მიცვალებულთა სულების შემლოცველი შუასაუკუნეებში. ნეკრომანტია
იწოდებოდა იმ ხანად მკითხაობას გარდაცვლილთა სულების გამოხმობით, რასაც თან ახლდა მა-
გიური რიტუალები.
8. **Cicero de Officiis** (ლათ.) — ციცერონის მოვალეობათა შესახებ.
9. **ჯოჯოხეთის ბროიგპელი** — პიტერ ბროიგპელი ან ბრუეგპელ უმცროსი (დაახლ.
1564—1637), ნიდერლანდელი მხატვარი, ვისაც ჯოჯოხეთის ბროიგპელს ეძახდნენ. განსხვავებით
მამისაგან, რომელიც გლეხების ბროიგპელად იწოდებოდა, ჯოჯოხეთისად იწოდებოდა, რადგან
თავის ბევრ ფერწერულ ტილოში ჯოჯოხეთს ასახავდა.
10. **ტუპი** — ნახევარპარიკი, შუბლზე ჩამოშლილი დახვეული თმა.
11. **Gaugeamus igitur** (ლათ.) — ამიტომაც ვინჩიარულოთ (ძველი სტუდენტური სიმღერის
დასაწყისი).
12. **mente captus** — გიჟი (ლათ.).
13. **apage satanas!** — მოერიდეთ სატანას (ლათ.).
14. **„პვირის ბავშვი“**, **„პრადელი დევი“** — გერმანელი კომპოზიტორისა და ღირაქო-
რის — ვენცელ მიულერის (1767—1835) კომიკურ-ფანტასტიკური ოპერები, რომლებიც 1793—94
წლებში იდგმებოდა ვენაში. „პრადელ-დევს“ პოფმანი „ღვთაებრივ, გაფურ სისულელეს“
ეძახდა.
15. **ბაბალისი** — მოკლე სახელწოდება ცნობილი ფრანგი მკვლევარისა — აბატ ვილარ დე
მონფოკონის (1635—1673) ნაწარმოებისა. 1670 წელს მან პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „გრაფი
გაბალისი ანუ საუბრები იდუმალი მეცნიერების შესახებ“, რომელშიც ლაპარაკია ადამიანებსა
და სტიქიურ სულებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამ წიგნის გერმანული თარგმანი
გამოქვეყნდა 1784 წელს ბერლინში. სწორედ ამ თარგმანით იცნობდა მას პოფმანი.
16. **სვიდენბორგი** — ემანუელ სვედენბორგი (1688—1772) შვედი ბუნებისმეტყველი და
ფილოსოფოსი. გატაცებული იყო მისტიკითა და თეოსოფიით, ცდილობდა ბიბლიისათვის მიეცა
ალეგორიული ინტერპრეტაცია, თავს თვლიდა სულთამხილველად, ვისაც თითქოს შეეძლო სუ-
ლებთან ურთიერთობა.



თარგმნა ანზორ აბუანაძემ

ფიქრი

დაქმუნვებული ვაკვირდები თაობას ჩემსას! —
ოჰ, როგორ გვაქცნობს ფუჭი სწავლა და იმედები!
ბნელში გაგვიქრა სიყმაწვილე, ბნელში ვართ ღლესაც,
და უმოქმედოდ ბნელშივ ვბერდებით.
ჩვენ ვართ მდიდარნი, აკვნიდანვე ჩვენ ვართ მდიდარნი
მამათა ჩვენთა შეცდომებით, ჩლუნგი აზრებით,
გვლლის და გვაოსებს ცხოვრების გზა მდორედ მდინარე,
და წინ უმიზნოდ მივიზღაზნებით.
ბრძოლა არ ძალგვიძს, ვერც ასპარეზს ვიპყრობთ გონებით,
ბოროტს და კეთილს ველარ ვარჩევთ, ველარ ვერკვევით,
საშიშროებას გავურბივართ, როგორც მონები,
დამმონებლებს კი ფეხთქვეშ ვეგებით.
გინახავთ ხილი, ნაადრევად მწიფობს რომელიც?
უფერ-უგემო — ის ხატია ჩვენი მომავლის! —
ირგვლივ ბრწყინავენ ყვავალები, ხარობს ყოველი,
ის კი ვარდება გულგამომპაღი...

ფუჭით, ურგებით გამოვიშრეთ ტვინი განსწავლით,
შორს განვირიდეთ, მოვიშორეთ ვნებანი ლალი!
გაგაუხამსეთ, გაგამასხრეთ წრფელნი განცდანი,
ურწმუნოების დავასვით დალი.
ყმაწვილკაცური სიტკბოება — ასე ნეტარი,
ოდნავ ვიგემეთ, — დაბერებას ვერ ავცდით მაინც!
ყოველ სიამეს ამოვწუწუნეთ მხოლოდ ნექტარი,
მოგვბეზრდა რაიც!

არც პოეზია, ხელოვნება აღარც მაღალი
აღარ გვადეღვებს, ღვთაებრივით არ გვაგებს განცდით,
ჩავგმანეთ გულში გრძნობის ნაშთი და ნატამალი,
ყოველად ურგები ვითარცა განძი.
თუ გვიყვარს — გვიყვარს სხვათა შორის! გვძულს — სხვათაშორის!
არ შეგვიწირავს არცერთისთვის გრძნობა რამ მწველი,

და სუფევს სულში სიცივე და თოში საზარი,
 თუმცა ძარღვებში სისხლი ჩქეფს ცხელი.
 აღარ გვიზიდავს არც განცხრომა მამაპაპური,
 მოგვწყინდა ხილვა წინაპართა ბავშვური ლხენის...
 მწარედ ვიცინით: წინ სამარე ჩანს განახვნილი,
 უკან — უნდილად განვლილი დღენი...



და, ჰა, სულ მალე დავიწყებას შევერთვით შავბნელს!
 გავქრებით ქვეყნად, როგორც ჰქრება ბრბო უსახური...
 ვაგლახ, არც აზრი არ დავკრჩება, არც რამე საქმე,
 უკვდავ გენიის ნიშნით დაღუღი...
 და მოვა იგი! — მომავალი! — მსაჯული მკაცრი!
 ჩვენს სივაგლახეს იგი იტყვის მსახვრალ ლექსებად;
 და გულგამწყრალი, გულგამტყდარი შვილების ღვარძლი
 თვით საფლავებში შთამოგვეგზნება.

1838

კოეტიის სიკვდილი

მოჰკლეს პოეტი! — ჭეშმარიტი მონა ღირსების!..
 ცილისწამების სდაგეს სახმილით...
 წაჰყვა წყურვილი მიუზღველი შურისძიების,
 და ტყვია, ამაყ გულში დაბლილი...
 ვერ აიტანა, ვერ იგუა პოეტის სულმა
 წვრილმანი, ბილწი მიეთმოეთი,
 და უგუნურთა უგულობას შეება უმაღ.
 მარტოდ შეება, როგორც ყოველთვის...
 და მოჰკლესს.. მოჰკლესს.. რალას გვარგებს აწ მწუხარება?
 ფუჭი გოდება გლოვის ჰანგების?
 ან უგუნური, უსუსური თავისმართლება? —
 ოჰ, გვიანია მდურვა განგების!
 ხომ თქვენ იყავით, რომ სიავის სუსხით დააზრეთ
 მისი ღიადი, ელვარე ნიჭი!
 ხომ თქვენ იყავით, მის სულში რომ ხანძრად დააგზნეთ
 ნაპერწკალივით ნამცეცა იჭვი!
 მაშ გაიხარეთ! ამ წამებას ვერ მოერიდა...
 აღსრულდა, გკლავდათ სურვილი რისიც:
 ჩაჰქრა ლამპარი დიდებული უკვდავ გენის,
 დაჰქნა გვირგვინი დიდების ღირსი.

ო, რა გულგრილად დაახალა ტყვია ჯალათმა!
 არ სჩანს სამველი! თმედიც მწირი!..
 თუ ჰქონდა გული მკვლელს ქცეული ალბათ მჩვარადა,
 რომ არც უთრთოდა დამბაჩა ცივი!

მაგრამ რად გვიყვირს? ის ხომ ჩვენში მოხეტიალდა,
 ვით ათასობით მოდიან სხვანიც. —
 ბედის საცდელად, თუ საძებრად ჩინთა ტიალთა...
 ალბათ განგების ერია ძალიც...
 ის კადნიერად დაგვეცინოდა, და ამაყობდა
 თვით უცხოობით; ცხოვრობდა ლხენით,
 რომ სპობდა ჩვენსას ის დიდებას, როდი ნაღვლობდა, —
 როს სისხლიანი აღმართა ხელი.



მტკლეს პოეტი, — აწ მკვიდრია ცივის სამარის, —
 ექვს შეეწირა, ვით ის მგოსანი,
 ვის აღსასრულსაც თვით გვითხრობდა, ძნელს და საზარელს,
 დიდი პოეტი შუბლსხივოსანი...

ვაგლახ! რად დასთმო მეგობარნი მან საკუთარი!
 რად ამჯობინა მაღალი წრე, ცრუ და მუხთალი!
 იქ რას ჰპოვებდა მისი გული უმხურვალესი?
 რად მიიკარა, რად ირწმუნა ყალბი ალერსი?
 რად მისცა ხელი მათ, რომელთაც დასწამეს ცილი? —
 კაცთა აგვარგი ხომ სიყრმითვე ჰქონდა განცდილი!

ძველი წაართვეს, თავს ახალი დასდგეს გვირგვინი,
 დაფნის რტოებით, ოქროს კიანთით, —
 მაგრამ ეკლებმა, მის ფოთლებში დამალულებმა,
 დაუიარეს შუბლი დიადი.
 მოშხამეს მისი ამოსუნთქვა უკანასკნელი
 ენით მჭირდავით, გესლად დაღვრილით,
 და მოკვდა იგი შურისგებით გულანაგზნები
 და იმედების მსხვერვეთ დაღლილი.
 მისწყდნენ ბგერები საოცარის მისი ჰანგების,
 წყარო ანკარა უკვე არა დის,
 ბინა პოეტის მიწაშია უკვე ნაგები,
 ბაგეც შეკვრია აწ და მარადის.

თქვენ კი, ო, თქვენ კი, მზვობარო მემკვიდრეებო,
 ღვარძლით, სიბილწით განთქმულ მამების,
 მონური ქუსლით რომ დასწიხლეთ, რომ გადასთელეთ
 აწ დაჩაგრულნი მსხვერპლნი განგების;
 თქვენ, ჯალათებო ნიჭისა და თავისუფლების,
 ურცხვად რომ დაძრწით ტახტის გარშემო,
 დღეს სამართალიც და სამსჯავროც თქვენთვის სუფევენ
 და არვინ არის, რომ შეგაჩვენოთ;
 მაგრამ უწყოდეთ: ზეციური გელით სამსჯავრო! —
 იქ მიგეგებათ მისაგებელი!
 ფუჭად ეცდებით, ოქროებით რომ გადასძალოთ
 იგი, — ზენარი შურისმგებელი!

ფუჭად ეცდებით! — ვერა! თავი ვერ დაიძვრინოთ
ბილწთა ენათა ავად სზმარტალით! —
მურდალი სისხლით ვერ წარხოცოთ, ვერ გადასწონოთ
დიდი პოეტის სისხლი მართალი!



პირველი იანვარი

როცა ლხინის თავბრუდამხვევ გნიასში,
გარს ჭრელი ბრბო მახვევია რიოში,
და საბეებს, ვით ზმახებებს, ვხვდები;
როცა ცივი, უსულგულო ნიღბები
რიალებენ, და ჩემს ირგვლივ იღვრება
უნდილი და უმაქნისი წმებები;

როს ეკვრიან ჩემს ცივ ხელებს
ხელები, —
მომჩვარულნი, გაცვეთილნი,
ცხელები, —
ბანოვანთა, ლამაზმანთა წყების, —
მათთანა ვარ, მაგრამ გული და სული
სავსე არის ოცნებებით წარსულით
და ხილვებით დაღუპული წლების.

ოჰ, ოლონდაც განემართოვდე
წამითაც! —
მყისვე ფრთები ოცნებების წარმიტანს,
ჭფრენს ოცნება, ვით ფრინველი ლაღი.
აჰა, ვხედავ: უზრუნველი ბავშვი ვარ,
ირგვლივ მხარე მშობლიური გაშლილა,
ჩანს მაღალი სასახლე და ბაღი.

მოსდებია ბალახები გუბურას,
კვამლს სოფლისას ზეცა გადაუბურავს,

მინდვრებს ლურჯი დასწოლია ნისლი,
მე დაბურულ ხეივანში მივდივარ, —
ხშირ ტოტებში სალამოის ბინდია,
ძირს ფოთლებით შარიშური ისმის.

უცნაური გულს ნაღველი მაწვება:
მე სატრფოზე მეუფლება ოცნება, —
მასზე ვსტირი, მასთან ყოფნას ვნატრობ,
მის თვალეში ცეცხლი არის გიზგიზა,
ჰგავს ღიმილით დაბადებას ცისკრისას,
ვარდისფერად რომ ედება ტატნობს.

ამ საოცარ სამეუფოს სტუმარი,
საათობით დავრჩენილვარ მდუმარი,
ცოცხლობს მისი მოგონება ახლაც,
ეჭვითა და ვნებით გარემოცული,
ზღვით — ვითარცა მშვენიერი
კუნძული, —
ის ყოველთვის გულს ნუგეშად ახლავს...

მაგრამ როცა უამი ჰჭრება ნეტარი,
და ოცნება გამშორდება, შემკრთალი
ბრბოს ხმაურით, უცხო ლხინში
ყოფნით, —
ვუცქერ ზეიმს, და სურვილით ვეგზნები,
რომ ბრბოს რკინის მივახალო ლექსები,
ავსებული რისხვითა და ბოლმით!..



რასულ გამგათოვი

ლექსი



თარგმნა შალვა რახვიაშვილმა

მზოგლიური ენა

ენაზე საზარი, სიზმარი გუშინ,
სამგლოვიარო კენესოდა ქნარი,
დუშმანის ტყვიით დაქრილი გულში
დაღესტნის ველზე ვეგდევი მკვდარი.

მოჰყეფს მდინარე, აყრუებს მთა-ხევს
გამებებული, ხმაშემართული,
შავი სიკვდილი სუდარას მახვევს,
ვარ შამბნარებში გადაშლართული.

და ვწუხვარ, მაგრამ ამის შესახებ
არავინ იცის, უჩინრად ვრჩები,
არწივთა ყეფა ცის ტატნობს არხევს,
ტირიან სადღაც ჩვილი არჩვები.

რომ დამიტორონ ბედკრული მკვდარი
და ცრემლით მნამონ ყვავილობისას, —
არა ჩანს დედა, არც მეგობარი,
არც გულის სატრფო, ვუყვარდი ვისაც.

ვქრებოდი ასე საკვდილით მკაცრით,
როს ყური მოგვარ კილოს უნაზესს,
მოსაუბრობდა ორი ვაყვაცი
ჩემთვის საყვარელ ლეკურ ენაზე.

დაღესტნის ველზე, შუადღის ბულში,
ყვებოდნენ ძმები მოსაყოლს მართალს,
მაცდურ პასანას რაც ჰქონდა გულში
და ვილაც ალის რაც დაემართა.

ჩამესმა ყურში ხმა სანუკვარი,
უცხო რამ ძალით განმკურნა ლხენამ

და კვლავ სიცოცხლის გამილო კარი
მკურნალმა ჩემმა, ლეკურმა ენამ.

ჩაჰქრეს გულის ხმა, როგორ იქნება?
სხვის ჩანგზე მღერა მე არ მჩვევია...
და თუ ხვალ ჩემი ენა გაჰქრება,
მოვკვდე დღესავე, ის მიჩვენია.

დეე, თქვან — ენა გვაქვს უსუსური, —
ის მშობელ ხალხთან ტრფობის ხილია...
და თუ არა ჟღერს, ვით ინგლისური,
ის მაინც ჩემთვის სხვაზე დიდია.

ნუთუ თარგმანით უნდა გაიგოს
მემკვიდრემ ჩემმა მაჰმუდის ლექსი?!
ნუთუ ჩემს შემდეგ ზღუდე აიგოს
და გაჰქრეს ჩემი სიმღერის ფესვი?!

მიყვარს მსოფლიოს ყოველი კუთხე,
უფრო კი მეტად, ვინც ჩემს გულს ეძმო,
იმ დლიდან, რაც მე მგოსნად ვეკურთხე,
მასზე ვმღეროდი, როგორც შემეძლო.

მიყვარს სამშობლო ვარდნაკოკრები
და ვსურს ნიადაგ მლიმარი ვნახო,
ასი სიკვდილით მისთვის მოვკვდეები,
ოლონდ მამებთან აქ დავიმარხო.

როს ჩემს სამარეს ძაძა შემოსავს, —
მომიგონებენ შორი გზით წასულს —
ავარულ ენით, ავარელ მგოსანს,
ცადის მემკვიდრეს, გამზათოვ რასულს!

აფხაზურიდან

თარგმნა ჯანო ჯანელიძე



... და არა ჩემთვის

... და არა ჩემთვის, — გაუვალ ტყიდან
მე მომაქვს ნერგი ტოტებნაყარი
და, ვით მებაღე, წყნარად და მშვიდად
ვრგავ და შეხარის ზეცა მაღალი.

... და არა ჩემთვის, — მე ვასუფთავებ
ნაკადულს,
მშობელ მთებს მინდობილი,
რომ აწკრილდეს მისი სათავე
და დასცქეროდეს მთვარე — დობილი.

... და არა ჩემთვის, — მე ვაგე ხიდი
და ზედ გავდივარ გარჯით დაღლილი,

ხიდი, რომელიც ძმობისკენ მიდის
და ყვაფილივით ზედ ვაბნევ ღიმილს.

... და არა ჩემთვის, — დამიწნავს ფაცხა
და ვაგიზგიზე მზე და კოცონი
და სიძულვილის და მტრობის ნაცვლად
ვიცი, ყველა გულს ტრფობა მოწონის.

... და არა ჩემთვის, — ქედდადრეკილი
მე ერთგულება შევფიცე ღმერთებს
და მგალობელი, ვითარც მზე დილის,
ლამაზ ღიმილად ეს შენთვის ვენტე.

ოღონდაც ხელის განძრევა ერთი
და მოსახდენი მოხდება, ვიცი...
მღუმარ ტბას ჩიტი რომ უზის ფერხთით,
როგორ გულმშვიდად ნებივრობს გზის
წინ?!

მაგრამ გასროლა ერთი და...

მიზანს

თუ მოხვდა,

ჩიტიც არ იყო,

იყო...

აახმიანებს ტყვიებით მზის ზარს
და აამღერებს ტყვიების სტრიქონს.

მაგრამ მადლობა უფალს და იღბალს, —
მოულოდნელად გაფრინდა ჩიტი,
გადაიფრინა მდინარის მიღმა
და ლაყვარლისკენ ილტვის და ილტვის.

და ახლა ვფიქრობ,

ვზივარ და ვფიქრობ,

ასეთი ჩვევა რად დაგვყვა კაცთა, —
სიმაართლისათვის თავსა ვდებთ თითქოს
და მაინც ვებრძვით სუსტსა და
მართალს.

ჩვენც მიწისათვის გამჩენი გვბადებს,
ფესვებით ასე რომ ჩავეღვენთეთ
და რატომ ვცდილობთ ავიჭრათ ცამდე
და გავუტოლდეთ ყოველისმძლე
ღმერთებს.

შენ, გამგებლო ძალთა ყოველო,
მე შენი მუდამ მწამდა ძალიან, —
ქვემძრომმა უნდა იქვემძრომელოს
და ფრთები კიდევ — ცის ზიარია.

ამომაქვს ჭაბიდან ჩხარა-ჩხურით
ფოლადის კლიტეთა აცმა,
კლიტე კარადის და კლიტე ყუთის
და მარცვლებივით ვმარცვლავ.

კლიტე სასახლეთა, კარიბჭეთა,
კლიტე ცხრაკლიტულთა მთვარის,
რამდენს უკვდავებას ანიჭებდა,
რამდენს დაუბრძავა თვალის!..

მიყვარს მე წვრილი გასაოცარი,
ოდნავ შემპარავი, წყნარე,
როგორც საოცნებო ამფიქიონური
ფართოდ გაღებულ კაპიტონურს.

კლიტე გარდასახვას, განახლების
ყველა საიდუმლოს უვლის,
მაგრამ ვერსად ვნახე გასაღები
შენი ჩარახული გულის.

ერთი ფურცელიც დააკლდა უკვე
ჩემი ცხოვრების დღეთა კალენდარს,
ერთი ფურცელი მეც გადავფურცლე
და ქარის ჰქროლვა მესმის გარედან.

ასე ნელ-ნელა,
ასე თანდათან
მცირდება ჟამი ჩემი ცხოვრების,
ასე გადვიტეც დღეთა კამათლად
ვარჯით.

ლიმილით,
შიაოებით.

მაგრამ ვინ არის, რომ შეაჩეროს,
ო, დღეთა ჩემთა დინება მალი?!.

განუკითხავო ჩემო გამჩენო,
რალას მიქადის ფურცელი ხვალის?!

მაგრამ თუ დარჩა (და დარჩეს უნდა!)
დღე გარდასული ლექსის ბწკალებში, —
არ მიცხოვრია მე მაშინ მრუდად
და არ ვყოფილვარ მონა კაეშნის.

და ჩაფიქრებით გავცქერ კალენდარს,
ჰა, ყრმობაც როგორ ჩათავდა უცებ
და ქარის ჰქროლვა მესმის გარედან
და ნელა ვფურცლავ დარჩენილ
ფურცლებს.

თვალეზი

თვალეზო ჩემო, თქვენში იმსხვრევა
სონათლე და კვალს ტოვებს მარადისს,
შიგ მთათა ჩემთა მოსჩანს ღირსება,
ღრუბელთა რემა ზედ რომ გადადის,
შიგ ჩანს ზამთარიც, გამაისებაც,
ის, რაც გვაქვს და, რაც არ
გვეღირსება.

თვალეზო ჩემო, სარკე ხართ სულის
და ანარეკლი ჩემდა წუხილთა,
ფესვი გაუდგამს თქვენში ჩემს სურვილს

და წილნაყარი თქვენ ხართ ქუხილთან,
თქვენში თვლემს ხვალის მზე —
აღსასრული,
მე თქვენში ვეძებ ხილულს, უხილავს.

თვალეზო ჩემო, ვარ მადლობელი,
იმით, რაც თქვენით მე განვიცადე,
თქვენით რამდენი ვიხილე მტერი,
რამდენი ცრემლი კუბოს ფიცარზე
დაეცა თქვენით ისე, ვით მტვერი,
თქვენით რამდენი მე მზე ვაწამე.

თვალეზო ჩემო, მადლი თქვენს გამჩენს
ორივე სარკით, ორივე გუგით,
ყოველს რომ ხედავთ და ყოველს
ამჩნევთ,

დაე ყოველი — ნათელით, მრუდით
თქვენს ხსოვნის ფსკერზე დაეცეს,
და ბარტყებივით ^{დარჩეს} ~~ატარეთ~~ უბით.

ქართული
სიბავშვობა

არა და არა!..

— გაქალარავდი? დაჩაჩანაკდი?
— არა და არა!..
— მოხუცს გეწვია სევდა და დარდი?
— არა და არა!..

ჩემი მზე ისევ აღმართზე აღის
და მწიფობისთვის შრიალებს ყანა
და ისევ ვმღერი გამჩენის მადლით.

— ჩავლილი არის დრო აღტაცების?
— არა და არა!..
— დამწუხრებულა მზე აღმაცერი?
— არა და არა!..

ისევ მე მიცქერს ქვეყანა ვრცელი,
ისევ დაკოცნა სამყურა ცვარმა,
ისევ მზე ადგას სამხრობის კარავს.

ღიმილი ჩემი ისევ სავსეა
ყრმობის ფერებით.

ყრმობის სურნელით,
ქალარა ჩემი სიკვასკასეა,
ისევ და ისევ ბევრის მსურველი.

თუმც ნაკადული ჩემი ანკარა
ნელა დაეშვა დაღმართისაკენ,
გასაკვალავი მაინც გაკვალა
და ეზიარა მზეს და მზის საკენკს.

შენ სიყვარულო — ძალავ დიადო! —
აფხაზეთია ასული შენი,
ასე ამაყი და გულზევიადი
ტანთ მიმოტანა მიტომაც შვენის.

თქვენ მაპატიეთ ეს აღსარება,
წინ ისევ გზაა გარჯის და შრომის,
რა ცოტა არის აქ განსხვავება
გაზაფხულსა და ზამთრისპირს შორის?!

იხავ ღირსეული..

ო, მთებო, მთებო, მშობელო მთებო,
დამშვენებულნო თეთრი ნაბდებით,
უერთგულესო დებო და ძმებო,
თქვენი სიმაღლით მეც დღეს
ვმაღლდები.

სადაც კი ვიყავ,
სადაც კი წაველ,
თქვენი დუმილი თან მდევდა გვერდით,
თქვენი აჩრდილი თეთრი და მწვანე
თან დამყვა, როგორც მარადი ბედი.

ისე, ვით შვილი საყვარელ მშობელს,
მე თქვენს ნაკვალევს თან ვდევ მარადის
და მწვერვალები — ეს მე მიხმობენ
და ჩქერალები მკერდზე გადამდის.

არავითარი ტრამალი, სიერცე
ვერ დააბრმავებს მზერას ჩემს თვალთა,
თქვენი სიმაღლით მეც მაღლა ვიწევ
და თქვენზე ვმღერი სიმღერას მართალს.

მეზალე

ჰა, ბალნარში ეს მეზალე დასტრიალებს ვარდებს,
ვარდს და ყვავილს, მზეს და ღიმილს ვინ დაიტევს ამდენს?!
სიტყვითა და აზრით სრულით, მგალობელო ფერთა,



ქართული
ბიბლიოთეკა

თუ კვდომაა, დაე, მოვკვდე გაზაფხულთან ერთად,
 თქვით, მოხუცი როგორ ვარქვა, ვინც ჭაბუკურ ფერებს
 ასე ძერწავს, ასე ქარგავს და უკვდავყოფს შერე?!
 ეს ცხოვრებაც ვარდობაა, სულიც ჰყვავის, ვარდობს,
 ამდენ ფერში თუ გახუნდი, არც კი დაიდარდო.
 ჰა, ვარდები ათასფერი — ლურჯი, მწვანე, თეთრი,
 ძოწისფერი, იისფერი და მეც ფერებს ვერთვი.
 ვერთვი უკვე წარსულ ყმობას, წარსულ დღეთა დღეებს,
 ამდენ ფერში ჭალარაც კი ყრმობას შეიფერებს.
 ო, ვარდებო, მოციქულნო, მარადიულ გულთა,
 თქვენ ფერებით იგალობეთ, რაც სხვებს სიტყვით უთქვამთ.
 თუ ცოცხალხარ, ეს ფერები ცოცხლად უკვდავყოფენ,
 თუ მკვდარი ხარ, შიგ საფლავში ნათელ-მირონს გოგფენს.
 ო, მებაღეც, დასაბამო ფერთა უთვალავთა,
 შენი ფერით თვით უკუნეთს ანათებ და ნათლავ.
 ხანდაზმულთა და მოხუცთა უკვდავყოფო ფერთა,
 თუ კვდომაა, დაე მოვკვდე გაზაფხულთან ერთად.

ჭასთან

მე მოვდიოდი ჭასთან
 და შიგ ვეძებდი მთვარეს,
 მაგრამ შიგ მთვარის ნაცვლად
 ვხედავდი მე შენს თვალებს.

ო, ნეტავ ეს ჭა ჰკრთოდა,
 თუ თვალთა შუქი შენი?!
 და უამი ასე რბოდა
 და ცა, იმ დღეთა მშვენი.

ჭაში ჰკრთოდა და ჰკრთოდა,
 ვარსკვლავიც კენტი ენთო,
 იქვე პატარა ოდა,
 იქვე პატარა ერდო.

დღეს კვლავ მივდივარ ჭასთან,
 ოდნავ ბინდი რომ ახლავს,
 მთვარე ნათლით რომ ნათლავს
 და ვარსკვლავები მალლა.

გალობენ ლამაზ იგავს
 უკვე გარდასულ დღეთა,
 თავი ერცახუს გვიგავს
 და ჭას ჩავცქერით ერთად.

ასე დავშორდით დღეებს ონავარს,
 დამბედებია ტკივილი ასე
 და ალავერდად ვუძღვნი მომავალს
 თასს ღიმილით და ცრემლებით სავსე.



ინგლისურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო ნიკო ყინასაშვილმა

ჯოისის სამუშაო ვარიანტში ამ ეპიზოდს „სირინოზები“ ერქვა და, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, სპეციალურ ლიტერატურაში რომანის ამ თავსაც ჰომეროსისეული სათაურით მოიხსენიებენ, თუმცადა „ულისეს“ ეპიზოდებს საბოლოოდ სათაურები აღარ შერჩათ.

როგორც აღრეც არა ერთხელ აღვნიშნე, ჰომეროსის „ოდისეას“ სიუჟეტურ პარალელებს მეტად პირობითი მნიშვნელობა აქვთ ჯოისის რომანში.

ჰომეროსის ეპოსის მე-12 თავში („სცილასა და ქარიბდას შორის“) მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გააფრთხილა ქალღმერთმა კირკემ ჰადესის სამეფოდან დაბრუნებული ოდისეესა:

„შენს გზაზე პირველად სირინოზებს შეხვდები. სირინოზები ტკბილი გალობით აჯადოვებენ ყველას, ვინც მათ ნაპირს მიუახლოვდება. მოხიბლულებს ავიწყდებათ სამშობლო მხარე და ცოლ-შვილი. ამწვანებულ მდელოზე სხედან სირინოზები და გონის წამლები გალობით მოუხმობენ გზად ჩამვლელთ. ხოლო იქვე მთად არის დაზვინული დაღუპულთა ტყავმომპალი ზონჩხები. სწრაფად ჩაუარე ამ ნაწილს, თანამგზავრებს ცვილით ამოუღესე ყურები, რომ მათ სმენას არ მისწვდეს სირინოზების ხმა. შენ კი, თუ ინებებ მათი გალობით გულის დატკობას, ანდაზე მიაბმევიანე თავი ამხანაგებს და დაარიგე: რაც უფრო მეტს შეგვხვეწებით — ამხსენით-მეთქი, მით უფრო მაგრად მიმაკარით ანდაზე-თქო.“ (თარგმანი ზურაბ კეკელიძის და თამაზ ჩხენკელის).

მეთერთმეტე ეპიზოდში სირინოზებს ოდნავ მეტი სიუჟეტური დატვირთვა აქვთ, ვიდრე კალიფსოს — მეოთხე ეპიზოდში, აქ სირინოზები ორმოდ ოტელის ბარის ოფიციანტები არიან — მისს ლილია დუსი (ბრინჯაო) და მისს მაინა კენედი (ოქრო). მაგრამ ისინი არ აჯადოვებენ „გონის წამლები გალობით“ ბლუმ-ოდისეესს, თუმცა კი ჰომეროსისეული სირინოზთა მომავადოვებელი გალობის მოტივი, ჯოისისებურად პაროდირებული, მთელი ეპიზოდის „მუსიკალურ სტრუქტურაშია“ რეალიზებული. თუ პირველი ეპიზოდის „ხელოვნება“ თეოლოგიაა, მეორისა — ისტორია, მესამის — ფილოლოგია, მეოთხის — ეკონომიკა, მეხუთის — ბოტანიკა და ქიმიკა, მეექვსის — რელიგია, მეშვიდის — რიტორიკა, მერვის — არქიტექტურა, მეცხრის — ლიტერატურა, მეათის — მექანიკა, სირინოზების ეპიზოდის „ხელოვნება“ მუსიკაა. მაგრამ, როგორც ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, ისე აქაც ლიტერატურული მასალის ორგანიზაციისათვის საჭირო სფეროდ თუ დარგად (რომლის გამოხატვის „ტიქნიკას“ ჯოისი პირობითად „ხელოვნების“ უწოდებდა) მხოლოდ მეტად ზოგადი ფონი, ატმოსფერო თუ მოტივი გამოყენებული. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოჩნდნენ მკვლევარები, რომელთაც სრულიად სერიოზულად ააგეს კონცეფციები ჯოისის შექსპირისადმი დამოკიდებულებაზე („სცილა და ქარიბდა“) თუ მუსიკალური სტრუქტურის როლზე ჯოისის რომანში („სირინოზები). მაგალითად, ლორენს ლევიუს, ვერნონ პოლს, ზეკ ბაუენს და სხვებს სპეციალურად აქვთ შესწავლილი სირინოზთა ეპიზოდის მუსიკალური სტრუქტურა და მისი მიმართება სიუჟეტურ მოტივებთან. ასეთი გამოკვლევები უთუოდ უწყობენ ხელს მეთერთმეტე ეპიზოდის რთულ, შინაგან, ღრმად ჩამალულ ასოციაციითა გარკვევას, მაგრამ, ვიმეორებ, ზედმეტი გატაცება ამ მიმართულებით ისევე სახიფათოა, როგორც ფსიქოანალიტიკური მოძღვრების, ენაბატისტა ვიკოს კულტურ-ფილოსოფიისა თუ ანშტაინის ფარდობითობის თეორიის ორგანული დაკავშირება „ულისეს“ მხატვრულ ქსოვილთან.

მუსიკა ჯოისის „სირინოზების“ ლაიტმოტივია და მისი რიტმისა და აკუსტიკური ფაქტურის მორგანიზებელი ელემენტი.

(ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მუსიკალური ესთეტიკის მხატვრულ ლიტერატურასთან ზოგადი მიმართების თვორიული ასპექტების კვლევის საჭიროებასა და მართებულობას საერთოდ. მაგალითისათვის იხ. ზურაბ ქარუმიძის წერილი «Мифопоэзия и музыкальное формирование», «Литературная Грузия», № 4, 1986).

„მუსიკალური ეპიზოდის მოთავსება დუბლინში ადვილი იყო, რადგან დუბლინი არის, ან იყო, მუსიკალური ქალაქი. რომლისათვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული, სიყვარული ვოკალური ხელოვნებისადმი. ძველი თაობის დუბლინელები იკრიბებიან ოტელის ოტელის დარბაზში და ორიოდ სიმღერა დროს ატარებინებს მათ... ვერც ერთი მწერალი, რომელსაც რეალობის რაიმე გრძნობა მაინც გააჩნია, ვერ გაბუდავდა წარმოედგინა, რომ ასეთი რამ შეიძლება ლონდონში მომხდარიყო“.

არა მარტო „ულისეს“ დაწერის პერიოდში ანდა სამოციან წლებში, როცა ჯოისის მკვლევარი ბაჭენი ამ სიტყვებს წერდა, არამედ დღესაც ზუსტად ასეთივე სიტუაციაა დუბლინში. ბარებში თითქმის ყველგან მღერიან. თავის წრეში საყვარელი „ვოკალისტებიც“ ჰყავთ, რომლებიც დღესაც მღერიან სერიოზულ და სახუმარო ბალადებს და, მართლაც, ასეთი რამ ლონდონში სრულიად წარმოუდგენელია (ჩემმა დუბლინელმა მასპინძლებმა სპეციალურად მომასმენინეს ასეთი კონცერტი — იმპროვიზაცია, რომელშიც, სხვათა შორის, „რამდენიმე ძველი თაობის დუბლინელი“ კი არა, საკმაოდ ბევრი ახალგაზრდაც იყო ჩაბმული).

პერიეტ უიგერისადმი მიწერილ წერილში (1919 წლის 20 ივლისი) ჯოისი არ ეთანხმება თავის ადრესატს და ეზრა პაუნდს იმაში, რომ თითქოს ახლად დამთავრებული სირინოზების ეპიზოდი ნაკლებ საინტერესო თუ მნიშვნელოვანი გამოვიდა წინა ეპიზოდებთან შედარებით. „...თითოეული ეპიზოდი, — წერს ჯოისი, — ხელოვნების რომელიმე სფეროს ეხმიანება (რიტორიკას ან მუსიკას ან დიალექტიკას) და თავის შემდეგ გადაბუგულ მინდორს სტოვებს. რაც „სირინოზები“ დაეწერე, ვგრძნობ, რომ ვერავითარ მუსიკას ველარ ვუსმენ...“

ჯოისის ამ სიტყვებს უთუოდ უნდა ჩამოეცილოთ მისი პოლემიკური სტილისათვის დამახასიათებელი გაზვიადება: არაკომპეტენტურთა კრიტიკას მუდამ იუმორისტულად აღიქვამდა, მაგრამ მეგობართა ვიწრო წრისგან მიღებულ შენიშვნებზე ლიზიანდებოდა. ამის გამო ხშირად მისი პოლემიკა გაზვიადებულ შეფასებებსაც შეიცავდა („ვერავითარ მუსიკას ველარ ვუსმენ“).

ეპიზოდის დასაწყისში აბზაცებად გამოყოფილ უჩვეულო შესავალს ზოგნი კონცერტის დაწყების წინ ორკესტრანტების მიერ ინსტრუმენტების აწყობის ეფექტს ამგვანებენ. დიდი დაკვირვება არ დასჭირვებიათ იმის დასადგენად, რომ ამ უცნაურ ფრაზებში მთელი ეპიზოდის ძირითადი თემატური მომენტებია ასახული და რაკილა ჯოისი აცხადებს — ფუგის პრინციპზე ავადგე ეპიზოდო, მაშინ ეს შესავალი ფუგის პრელუდიის ფუნქციის ლიტერატურულ პარალელს უნდა წარმოადგენდეს. მასში 57 თემაა მინიშნებული, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ მუსიკალური ალუზიის შემცველია.

ეპიზოდში გამოყენებულ მუსიკალურ საშუალებათაგან ასახელებენ მცირე ფუგებისა და ფრაზების სტრუქტურულ განვითარებას, გამოკვეთილი თემების სიმფონიურ მანიპულაციას, ემფატიკურ რიტმულ ფიგურათა გამოყენებას, ტონალური კონტრასტების ვარირებას, სიტყვიერ ორკესტრაციას, რომელიც სიმებიან, სპილენძისა და ხის სასულე ინსტრუმენტების შერწყმის ეფექტს გამოხატავს, გამეორებას და ნაწილობრივ გამეორებას, ექოსა და ნახევარექოს, ფრაზების კონტრაბუნქტულ შეხამებას, დასარტყამი საკრავების უეცარ აფეთქებებს და სხვ.

მაგრამ ისევ და ისევ ყოველათფერი ეს პაროდირების საშუალებაა და აქ პირდაპირი მნიშვნელობით მუსიკალურ ფენომენთან საქმე, რა თქმა უნდა, არა გვაქვს. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ენობრივი საშუალებებით მუსიკალურობის ეფექტის მიღწევაზე და სიტყვის, ფრაზის, პასაჟის, მთელი ეპიზოდის იმ გასაოცარ, განუმეორებელ რიტმულ გააზრება-გაგებაზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჯოისის, როგორც მოდერნისტული პროზის დიდოსტატის კომპეტენციას შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, „ძირითადი სირინოზები“ — მისს დუსი და მისს კენედი საერთოდ არც კი მღერიან. მათი მეტად ზოგადი „სირინოზული ფუნქცია“ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მთელი ეპიზოდის მანძილზე ბარში მყოფ მამაკაცებს ეკვალუცებიან (თუშვალა, სწორედ არა ბლუმ-ოდისევს!). მხოლოდ ერთხელ გამოიხატება მათი სირინოზული ქაღალდო აკუსტიკურად, როცა ორმონდ ოტელის ერთ-ერთი სირინოზი მამაკაცების დაეინებული თხოვნით თავის საუკეთესო ნომერს წარმოადგენს — ლექვერტხს გამონწყვეთად დაიტყლაშუნებს მაცდურ ბარძაყზე. ასეთა პაროდირებულ პარალელი როგორც პომეროსის პომის ლიტერატურულ სქემასთან, ისე მუსიკალური კომპოზიციის რაიმე ელემენტთან, რა თქმა უნდა, მხოლოდ მეტად პირობითი შეიძლება იყოს.

ამავე დროს, „სირინოზების“ აღქმის სირთულე არა მარტო ან, უფრო სწორედ, არა იმ-

დენად საკუთრივ მუსიკალური სქემის და მუსიკალური ეფექტების გამოყენებაში, რამდენადაც თვით ცნობიერების ნაკადის ტექნიკის გართულებაში, მისი ენობრივი რეალიზაციის ახალ ფორმათა წარმოჩენაში მდგომარეობს.

ამ ეპიზოდის ენა იმდენად უცნაური და უჩვეულოა, რომ როდესაც ჟონი მისი უკლნაწერი პირველი მსოფლიო ომის დროს შევიცარიიდან ინგლისში გაგზავნა, ცენზორმა რგი გაახერა — რაღაც საიდუმლო შიფრი ხომ არ არისო. ბოლოს ლიტერატურულმა კომისიამ გადასცენა, რომ ეს ჯაშუშური კოდი კი არაა, რაღაც ექსცენტრიკული მწერლობის ნაშრომია.

ხოლო როცა ჟონის უთხრეს — შენი შინაგანი მონოლოგის, როგორც ძირითადი მხატვრული საშუალების ღირებულება კრიტიკოსებმა ექვის ქვეშ დააყენესო, მან უბასუხა: „ჩემო აზრით, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, ეს ტექნიკა „მართებულია“ თუ არა; მან მე სამსახური ვამიწია როგორც ხიდმა, რომელზეც ჩემი თვრამეტი ეპიზოდი მარშით უნდა გადამეტარებინა და რაკი ჯარი გადავიყვანე — აღარ მენადვლება, თუ მოწინააღმდეგე ძალები ხიდს მთლიანად გადაბუგავენ“.

რაც დრო გადის და რაც უფრო ფართოვდება „ულისეს“ მკითხველთა წრე, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ბევრი დუბლინური თუ სხვა რეალია უცილობლად დაიკარგება უკომენტაროდ. იგივე ითქმის მუსიკალურ ალუზიებზეც. რა თქმა უნდა, ძნელია დაბეწილი მუსიკალური ერუდიციის მქონე ავტორმა (თავად მუსიკოსმა და მისი ახალგაზრდობის პერიოდის დუბლინში თავმოყრილი ევროპის საუკეთესო საოპერო-ვოკალური ნიმუშებით ვანებივრებულმა) მოგეთხოვოს, რომ ზედმიწევნით კარგად გეახსოვდეს ლეზლი სტიუარტის ოპერეტა „ფლორიდორა“, მაიკლ რელფის ოპერა „კასტილიის ვარდი“, ფლოტოვის ოპერა „მართა“ და მით უფრო ირლანდიური ბალადა „გაკრეკილი ბიჭუნას“ შესახებ. არადა ამ, და ბევრი სხვა მუსიკალური ნაწარმოების სიუჟეტი და ცალკეული სიტყვიერი მასალა უშუალოდ არის დაკავშირებული სირინოზების ეპიზოდთან.

სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან, თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ მთელ ეპიზოდში უმნიშვნელო, ძირითადად დაუქავშირებელი არც ერთი ალუზია, ფრაზა თუ სიტყვა არ მოიძებნება.

მეთერთმეტე ეპიზოდს ლაიტმოტივად გასდევს სიმღერა ოპერეტიდან „ფლორიდორა“, რომლის რეფრენი (გუნდის პარტია) „ოო, აიდოლორეს, აღმოსავლეთის ზღვების დედოფალი!“ — უშუალოდ უკავშირდება კიდევ ერთი სირინოზის, მოლი ბლუმის თემას. სწორედ მოლია დოლორესი, რადგან მის ესპანურ წარმომავლობასა და აღმოსავლურ გარეგნობას რამდენჯერმე ესმება ხაზი რომანში: მისი ჯადო იზიდავს როგორც საყვარელს, შმაგ ბოილანს, ისე ფიქტიურ ქმარს, ლეოპოლდ ბლუმს, რომელიც ცოტადენი ყოყმანის შემდეგ კვლავ გადაწყვეტს ხელი არ შეუშალოს ოთხ საათზე დანიშნულ შეხვედრას. ამ თვალსაზრისით მოლი-კალიფსო, მოლი-სირინოზი და ბოლოს მოლი-პენელოპე ერთ-ერთ ძირითად მოტივად გასდევს მთელ „ულისეს“.

კიდევ უფრო მჭიდრო ასოციაციური კავშირია მოლი ბლუმისა და ოპერა „კასტილიის ვარდის“ გმირ ელვირას შორის, მაგრამ ეს პარალელი რომანში მთლიანად მაინც „ვერ მუშაობს“, რადგან მკითხველთაგან ალბათ უმცირესმა ნაწილმა თუ შეიძლება იცოდეს ოპერის შინაარსი, ახსოვდეს ელვირას სახე, მისი მანუელისადმი დამოკიდებულება, რომელშიც მოლის მიმართ ბლუმის დაქვემდებარებული მდგომარეობის ამოკითხვა მოხერხდებოდა და სხვ. ამავე დროს, აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, მუსიკალური ნაწარმოებიდან მოტივილი ცალკეული სიტყვები და ფრაზები რაღაც ზოგად ასოციაციებს, სიტუაციის შესაფერის, მარტოსული ბლუმის შეჭირვების მიმნიშნებელ განწყობილებას ქმნის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პატრიოტულ ბალადას „გაკრეკილი ბიჭუნას“ შესახებ. მისი სიუჟეტის არ ცოდნა უთუოდ გაართულებს, როგორც ეპიზოდის სიუჟეტური ხაზის აღქმას, ისე თვით ჟონის ამბივალენტური დამოკიდებულების გაგებას პატრიოტული მოტივებისადმი. „გაკრეკილებს“ აჯანყებულ პატრიოტ ირლანდიელებს ეძახდნენ. ერთ-ერთ ასეთ „გაკრეკილ“ ახალგაზრდას გადაცმულ პასტორთან, ვითომდა მამა გრინთან, აღსარების სათქმელად შეიტყუებენ. იგი ბიჭისაგან მოისმენს აღსარებას იმის შესახებ, რომ მამამისი და ძმები ბრძოლაში დაიღუპნენ, რომ მთელი მისი გვარიდან მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი და უექსფორდში აპირებს წასვლას მათი ადგილის დასაკავებლად, რომ სამშობლო მეფეზე მეტად უყვარს. ეს სევდიანი ბალადა ახალგაზრდა პატრიოტის სიკვდილით დასჯით მთავრდება. სხვათა შორის, აღსარების დროს „გაკრეკილი ბიჭუნა“ იხსენებს — ერთხელ ეკლესიას ისე ჩაუარა, რომ დაავიწყდა გარდაცვლილი დედის სულის მოსახსენიებლად ელოცა. ცნობილი ბალადის ეს კონკრეტული მოტივი უშუალოდ არ ეხმიანება ამ ეპიზოდს, მაგრამ ჟონი, რა თქმა

უნდა. ვერავითარ შემთხვევაში „ხელიდან ვერ გაუშვებდა“ შესაძლებლობას კიდევ ერთხელ მიე-
ნიშნებინა თითქოსდა საკუთრივ ბლუმისეულ შინაგან მონოლოგში მთელი „ულისეს“ ამ ერთ-
ერთ ძირეულ ასოციაციაზე — სტივენის პერმანენტულ სინდისის ქენჭნაზე.

და ეპიზოდის პაროდულ-გროტესკული ფინალი, რომელიც თვით ჯოისის თანამოკავშირეა და თანამოაზრეს, ვირჯინია ვულფსაც კი ეჩითირა, რა თქმა უნდა, უბრალო ლიტერატურული ფრივოლურობის ნიმუში კი არ არის, არამედ მთელი „ულისეს“ ძირითადი ტრადიციული ირონიული სტილური გასაღების კიდევ ერთი „მოძრაობა“, რომლის წყალობითაც უკვე ფარსულ ფორმაში იხსნება მტკივნეული და ჯოისისათვის სრულიადაც არა უმნიშვნელო და „სასაცილო“ ეროვნული ტრადიციის საიდუმლო: ირლანდიის განთავისუფლებისათვის მებრძო-
ლი გმირის, ემეტის გამოსვლა სასამართლოში მას შემდეგ, რაც სიკვდილი მიუსაჯეს, „დაუნ-
დობლად“ არის დამიწებული უთვისტომო, უმიწაწყლო აღასთერი-ბლუმის სხეულში „მიმდინარე
ფიზიოლოგიური პროცესის“ დასრულების გამოხატველი იმავე სიტყვით („გაგაკეთე“), რომელიც
ირლანდიელი პატრიოტის ნათქვამისაგან სრულიად განსხვავებულ, გროტესკულ, ტრაგი-ირონიულ
კონოტაციას იძენს. და კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ, ჯერ ერთი, მუსიკალურობა, ისევე
როგორც ყველა სხვა ხერხი, ჯოისის გრანდიოზული გროტესკული ფანტასმაგორიის მხოლოდ
ელემენტია და, მეორეც, ამ გროტესკულ ფინალში ავტორის გულისტკივილის დაუნახავობა და
მისთვის ანტიპატრიოტული გრძნობის დაწამება — მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების ენის
სრული უკოდინარობისა თუ უგულვებელყოფის შედეგი შეიძლება იყოს.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ (მეთერთმეტე) ეპიზოდიდან მოყოლებული ვთარგმნი
„ულისეს“ უახლესი აკადემიური გამოცემიდან, რომელშიც ბევრი კორექტურული (ხშირად
ფრიად მნიშვნელოვანი) შეცდომაა გასწორებული. ამ გამოცემის შესახებ იხ. ჩემი წერილი „კო-
რექტურა კორექტურას გააჩნია“ („ლიტერატურული საქართველო“, 19 ივლისი, 1985).

მეთერთმეტე ეპიზოდი

ბრინჯაომ და ოქრომ გაიგონეს რკინანალის ფოლადწკარუნი.¹

თავნდურარ დრრრ.²

ანატკლეცებს, ცერის გახვევებული ფრჩხილის ანატკლეცებს იცლიდა, ანატ-
კლეცებს.³

საძაგელო! და ოქრო გაწითლდა.⁴

ხრინწიანი სალამურნოტი ჩაჰბერა.⁵

ბლუ ბლუმი აყვავებულ ჭვავის.⁶

ოქროს თმის.⁷

სატინიან სატინის მკერდზე მოხტუნავე ვარდი, კასტილიის ვარდი.⁸

რაკრრაკ რაკრრაკ; აიდოლორეს.⁹

ჭიტა! დაგინახე... ოქროსჭიტა?¹⁰

წკარუნმა უხმო ბრინჯაოს მოწყალედ.¹¹

და ხმა, წმინდა, დიდხანს მთრთოლავი, დიდხანსნელარომწყდებოდა ხმა.¹²

მაცდური შეტყუება. რბილი სიტყვა. მაგრამ შეხედეთ: ჩაჰქრნენ კაშკაშა
ვარსკვლავნი, ნოტების მოჭიკჭიკე პასუხი.¹³

ოო, ვარდო! კასტილია. როს ირიყრაყა.¹⁴

ელარუნ-ელარუნ მიელარუნდა.¹⁵

მონეტამ დაიჩხარუნა. საათმა დაიწკარუნა.¹⁶

ფიცი. Sonnex. შემეძლო, ლეკვერთხის დაშვება. შენი მიტოვება.¹⁷ ტულაშ.

La cloche! ტულაშ. ფიცი. თბალი. მშვიდობით, ძვირფასო.

ელრ. ბლუ.¹⁸

გრუხუნით აღებული აკორდები. როს სიყვარული მოიცავს. ომი! ომი!
ყურის აპკს.¹⁹



აფრა! ზვირთებზე მოვდებულნი პირბადე.²⁰
 დაილუპა. შაშვი მგალობელი. ყველაფერი დაილუპა.²¹
 იდგა. რქადგა.²²
 როცა პირველად მომხიბლავი ნახა. ვაი!²³
 დაგრილება. ფეთქვა.²⁴
 მოყლურტულე. აჰ, ხიბლი! მაცდუნებს.²⁵
 მართა! მოდი!²⁶
 ტაშტაში. ტაშიტაში. ტაშტაშიტაშ.²⁷
 ღმერთო არასო დესმოუსმე ნიაასეფ.²⁸
 ყრუ მელოტ პეტმა მოიტანა საშრობი აილო დანა.²⁹
 მთვარის შუქის ძახილი ღამეში: შორს: შორს.³⁰
 ძალიან მოწყენილი ვარ დღეს. P. S. მარტოხელა ყვავილობა.³¹
 უსმინეთ.³²
 წოწოლა დახვეული ზღვისსაყვირა. თუ რა მოგივიდა? თვითეულ მათგანს
 ტყლაშუნი და ჩუმი ღრიანცელი.³³
 მარგალიტები: როცა ის. ლისტის რაფსოდები. ჰიის.³⁴
 თქვენ ასე ნუ.³⁵
 გჯერა: არა, არა: არ ჯეროდა: ლიდლიდ. სამალით. ყიყლიყოთი.³⁶
 შავი.³⁷
 ღრმადმელერადი. მიდი, ბენ, მიდი.³⁸
 მოიტანს მოსატანს თუ მოატანიანე. ჰი. ჰი. მოიტანს თუ ჰი.³⁹
 მაგრამ მოიცა! ⁴⁰
 სიღრმეში ბნელ მიწისგულში. ღრმად ჩაწოლილი ძვირფასი მადანი.⁴¹
 ნამინდამინე. ყველა წავიდა. ყველა დამარცხდა.⁴²
 პაწია. მისი ქალწული თმის მთრთოლვარე გვიმრისფოთლები.⁴³
 ამინს კბილებს აკრაჭუნებდა გაცოფებული.⁴⁴
 აქეთ. ზქით, აქეთ. ლილაკი ცივი გამოჩრილიყო.⁴⁵
 ბრინჯაოლიდია და მაინაოქრო.⁴⁶
 ბრინჯაოს გვერდით, ოქროს გვერდით, ლურჯზღვისსიღრმეში. ბლუმი. ხან-
 შიშესული ბლუმი.⁴⁷
 მავანი აბაკუნებდა, მავანი აკაკუნებდა მამალი სამალით.⁴⁸
 შეავედრეთ სული მისი! ილოცეთ, კეთილო ხალხო!⁴⁹
 ნიკრისიანი თითებით ატკაცუნებდა.⁵⁰
 დიდი ბენაბენ. ბიგ ბენბენ.⁵¹
 ზაფხულის უკანასკნელი კასტილიის ვარდი ბლუმი გავიდა მოწყენილი ვარ
 სულ მარტო.⁵²
 ფფფუ! მაწაწუნა ქარუკანა პაწა. პრაწა.⁵³
 კაცური კაცები. ლიდ კერ კაუ დე და დოლ. ჰეი, ჰეი. თქვენსავით. ასწევთ
 თქვენს ქახსა და ჭუხს.⁵⁴
 ფფფ! უუ!⁵⁵
 სად ბრინჯაოს ახლოდან? სად ოქროს შორიდან? სად ფლოქვეები?⁵⁶
 პრაწ. ძინგგ. ძინგპრრ.⁵⁷
 მაშინ, მხოლოდ მაშინ. დაიწეროს, ჩემი ეპიტიტაფრია.⁵⁸
 გავაკეთე.⁵⁹
 დავიწყით!⁶⁰

ბრინჯაომ და ოქრომ, მისს ღუსის თავმა და მისს კენედის თავმა, ორმონდ ბარის ფარდებს ზემოდან გაიგონეს, როგორ ჩაითქარუნეს მეფის ნაცვლის კორტეჟის ფლოქვებმა, ფოლადის წკარუნით.

— ის ქალია? იკითხა მისს კენედიმ.

მისს ღუსმა თქვა ხო, მისი უდიდებულესობის გვერდით რომ ჰქცეს სულადი ფისფერი და eau de Nil.⁶¹



— გასაოცარი კონტრასტი, თქვა მისს კენედიმ.

ცნობისმოყვარეობით ატანილმა მისს ღუსმა მოუთმენლად თქვა:

— შეხედე იმ ცილინდრიანს.⁶²

— რომელი? სად? კიდევ უფრო მოუთმენლად იკითხა ოქრომ.

— მეორე ეტლში, წარმოთქვეს მისს ღუსის სველმა ტუჩებმა, მზეში რომ იცინოდნენ. აქეთ იყურება, მიხედვ იქაურობას, სანამ შეეხედავ.

ეცა, ბრინჯაო, უშორეს კუთხეს და სანე შუშას აჩქარებული სუნთქვის შარავანდში მიაჭეჭყა.

მისმა სველმა ტუჩებმა ჩაიხითხითეს:

— უკან მოხედვამ მოკლა.⁶³

გაიცინა:

— ღმერთო ჩემო! ეს კაცები საშინელი იდიოტები არ არიან?

სევდიანად.

მისს კენედი სევდიანი სიზანტით დაბრუნდა კაშკაშა სინათლიდან, თან ჩამოშლილ თმას ყურსუკან იხვევდა. სევდიანი სიზანტით ოქროჩამქრალი, თმას კულულად იხვევდა. ოქროს თმას ყურსუკან ზანტად იხვევდა სევდიანი.

— ეგენია რომ კარგ დროს ატარებენ, სევდიანად თქვა მან.

კაცი.

ბლუფინმა ჩაუარა მულანგის ჩიბუხებს, მკერდთან ცოდვათა სიამენი ედო. უაინის ანტიკვარულ მაღაზიას, მეხსიერებაში ტკბილი ცოდვის სიტყვები შემოენახა, კეროლის მტვრიან გაცრეცილ გრაფიურას, რაულისათვის.⁶⁴

ჭურჭლის ამლაგებელი მათთან, მათთან ბარში, ბარის ოფიციანტებთან მივიდა. მათი ყურადღება რომ ვერ მიიქცია, დახლზე დაახალა მოჩხარუნე ჭურჭლის ლანგარი, და

— ინებეთ თქვენი ჩაი, თქვა მან.

მისს კენედიმ გრაციოზულად გადადგა ჩაის ლანგარი ანკარა წყაროს წყლის ამოტრიალებული დაწნული ბოთლისკენ, თვალიდან მოფარებით, დაბლა.

— რა არი? უკმეხად იკითხა ჭურჭლის როყიო ამლაგებელმა.

— აბა თუ მიხედები, მიუგო მისს ღუსმა და სათვალთვალო პუნქტი მიატოვა.

— შენი beau,⁶⁵ არა?

ამპარტავანმა ბრინჯაომ უპასუხა:

— ჭ-ნ დე მესისთან⁶⁶ გიჩივლებ ერთხელ კიდევ რომ გავიგო რამე შენ თავხედურ კადნიერებაზე.

— თავხედურრ დრრრ, უკმეხად დაისრუტუნა ბარმენდრუნჩამ, როცა უკან დაიხია როცა ის დაემუქრა როცა შემოვიდა.

ბლუმში.

მისს ღუსმა თავის ყვავილს დაუყვავა და თქვა:

— დიდი მომბეზრებელი ვინმეა ეგ ყმაწვილი. წესიერად თუ არ მოიქცევა, ყურებს ავახვე.

არისტოკრატიული თავისი ნატიფი კონტრასტულობით



— ყურადღებას ნუ მოაქცევ, შეეხმიანა მისს კენედი.

ჩაის ფინჯანში ჩაასხა ჩაი, მერე უკანვე ჩაიდანში ჩამაჩხმს წყებებზე მოიკრუნჩხნენ დახლთან და ელოდნენ, ამოყირავებული დაწნული ბოთლები. ჩაის დაყენებას ელოდნენ, ხელს უთათუნებდნენ თავის შავი ატლასის ბლუზებს, ორი შილინგი და ცხრა პენი იარდი, ჩაის დაყენებას ელოდნენ, და ორი შილინგი და შვიდი პენი.

დიახ, ბრინჯაოს ახლოდან, და ოქროს შორიდან, ესმოდათ ფოლადი ახლოდან, ფლოქვეების წკარუნი შორიდან, და ესმოდათ ფოლადფლოქვეების წკარუნფლოქვეური ფოლადწკარუნი.

— საშინლად ვარ მზისგან დამწვარი, არა?

მისს ბრინჯაომ ბლუზა შეიხსნა ყელზე.

— არა, თქვა მისს კენედიმ, მერე გაშავდება ხოლმე. ბორაქსი თუ გიცდია წყავის ნაყენით?

მისს ღუსმა წამომდგარმჯადარმა გვერდულად გახედა საკუთარ კანს ბარის სარკეში სადაც თეთრი რაინისა და ბორდოს ჭიქები თვალისმომკრელად ბრჭყვიალებდნენ და მათ შუაგულში კი ნიყარა იდო.

— ეგ მე მომანდე, თქვა მან.

— გლიცერინიანი სცადე, ურჩია მისს კენედიმ.

მისს ღუსი თავის ყელსა და ხელებს გამოეთხოვა და

— მაგ რალაცეებმა მხოლოდ გამონაყარი იცის, უბასუხა, ისევ დაჯდა. იმ ბებრუხანას ბოილის აფთიაქში ვთხოვე რამე მომეცი ჩემი კანისათვის-მეთქი. მისს კენედი, უკვე კარგა დაყენებულ ჩაის ასხამდა, დაიმანჭა და შეევედრა:

— აჰ, ღვთის გულიათვის, იმას ნუ გამაზსენებ!

— მოიცა, მათქმევიწე. შეეხვეწა მისს ღუსი.

ტყბილი რძიანი ჩაი რომ დაასხა, მისს კენედიმ ორივე ყური ნეკი თითებით დაიცო.

— არა, ნუ, წამოიძახა მან.

— ყურს არ დაგიგდებ, წამოიძახა მან.

მაგრამ ბლუმი?

მისს ღუსმა სრუტუნა ბებრუხანას ხმით ჩაბურტყუნა:

— თქვენი რისთვის? ამბობს ის.

მისს კენედიმ ყურები გაინთავისუფლა მოსასმენად, სათქმელად: მაგრამ თქვა, მაგრამ კვლავ შეევედრა:

— ნუ გამაზსენებ თორემ აქვე გავთავდები. აუტანელი ბებრუხანა! იმ საღამოს იქ, ენშიენტ კონსერტ რუმზ.⁶⁷

უგემურად მოწრუბა ნაყენი, ცხელი ჩაი, წრუპ, წრუპავდა ტყბილ ჩაის.

— არ ასეთი იყო, თქვა მისს ღუსმა, ბრინჯაოს თავი გვერდულად წამოსწია და ნესტოები დაინაოჭა. უჰ! უჰ!

ცივი გამკვივანი სიცილი წასკდა მისს კენედის ხორხს. მისს ღუსმა უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა და უტიფრად ააცახცახა ნესტოები თითქოს რალაცის თბოთულობსო.

— ოო! გამკვივანი ხმით წამოიძახა მისს კენედიმ, ოდესმე თუ დაგავიწყდება მისი გადმოკარკლული თვალი?

მისს ღუსმა ხმამალალი სიცილით აუბა ბრინჯაოს მხარი და დაიძახა:

— თვალი დაუდგა!

ბლუმრომელის შავმა თვალმა არონ შინდკროფის სახელი და გვარი წაიკითხა, რატომ მგონია ყოველთვის შინდკროფი? ალბათ შინდკროფიას თუ მგონებს. და პროსპერ ლორეს⁶⁸ ჰუგენოტური გვარი. აურელით ბაქტერიული ასულთ ჩაუარა ბლუმის ორმა შავმა თვალმა. ცისფერკაბიანი, გვირგვინიანი, მოდი ჩემთან.⁷⁰ ღმერთიო, სჯერათ: ანდა ქალღმერთი, დღეს იქ რომ ვნახე. ვერ შევამჩნიე. ის ყმაწვილი დამელაპარაკა. სტუდენტი. მერე დედალოსის ვაყთან ერთად. მალიგანი იქნებოდა. მოხდენილი ქალწულები. ამის გამო დადიან აქ ეს დარდიმანდი ყმაწვილები: ქათქათა თეთრი.

თვალეზი გვერდზე გაეპარა. ცოდვათა სიამენი. საამოა სიამენი. ცოდვათა.

ახალგაზრდული ოქრობრინჯაო ხმები ზარების მოხითხითე რეკვად შეერწყნენ ერთმანეთს, ღუსი და კენედი, თვალი დაუდგა. ახალგაზრდა თავები უკან გადაიგდეს, ბრინჯაო ხითხითოქრო, სიცილი რომ თავისუფლად წასკდომოდათ, წიოდნენ, დაგიდგა, ერთმანეთს ანიშნებდნენ, მალალი გამკვივანი ნოტები.

აჰ, იხრჩობიან, ოხრავენ, აჰ, ქანცგაწყვეტილებს სიმზიარულე ჩაუცხრათ.

მისს კენედიმ კვლავ მოსვა ფინჯნიდან, ასწია, მოსვა ყლუპი და ჩაიხითხითა. მისს ღუსი კვლავ ჩაის ლანგარზე წაიხარა, ნესტოები მოჭმუჭნა და მასხრულად გადააბრილა სიმსუქნისგან მოჭუტული თვალეზი, კვლავ კენიხითხითამ ქერა თმის აპრეხილი ბოლოები დახარა, დაიხარა, თმის დასამაგრებელი კუს სავარცხელი გამოუჩნდა, პირიდან ჩაის შხეფები დასკდა, ჩაისაგან და სიცილისაგან სუნთქვაშეკრული ახველებდა, თან წამოიძახა:

— მურდალი თვალეზი! წარმოიდგინე ასეთ კაცზე რომ იყო გათხოვილი! მაგ მეჩხერ წვერზე!

ღუსმა ერთი გემრიელი კივილი ამოუშვა, გემრიელი ქალის გემრიელი კივილი, სიამოვნება, სიხარული, აღშფოთება.

— გათხოვილი მურდალ ცხვირზე! იკვილა მან.

გამკვივანი, გულიანი სიცილით, ბრინჯაო და ოქრო, ერთმანეთს აქეზებდნენ ჩამორეკვიდან ჩამორეკვამდე, ჯერჯერით, ბრინჯაოოქრო, ოქრობრინჯაო, მკვივანგულიანი, კისკისიდან კისკისამდე. და უფრო გულიანად გაიციინეს. მურდალი, მაშ. ქანცგაწყვეტილი, სუნთქვაშეკრული, მოცახცახე თავები, აპრეხილ კიკინებად დაწული და მბზინავი, დახლის თაროზე მიასვენეს. მთლად ალუწილნი (ოჰ!), იხრჩობიან, ოფლში იხვითქებიან (ოჰ!), სუნთქვაშეკრულნი.

ბლუმზე გათხოვილი, ბლუმმურდალზე.

— ო ძალნო ზეციერნო! თქვა მისს ღუსმა და ადიჩამოდი ვარდის ზემოდან ამოიოხრა. ნეტა ამდენი არ მეცინა. მთლად დაესველდი.

— ო, მისს ღუს! უსაყვედურა მისს კენედიმ. შე საძაგელო!

და კიდევ უფრო გაწითლდა (შე საძაგელო!), უფრო ოქროსფრად.

კენტუელის კონტორას ჩაუარა ბლუმმურდალმა, პიტერ კეპის ვიტრინაში ზეთის საღებავით გალაქლაქებულ ღვთისმშობლებს. ნანეტის მამა ასაღებდა ამ საქონელს, ჩემსავით კარდაკარ დადიოდა. რელიგია მომგებიანი რამაა. კლიტის რეკლამის თაობაზე უნდა ვნახო. ჯერ შევჭამო რამე. მიინდა. ჯერ არა. ოთხზეო, თქვა. დრო კი მიდის. საათის ისრები ბრუნავენ. ბრუნავენ. სად ვჭამო? კლე-

რენსში, დოლფინში. ბრუნავენ. რაულისათვის. ვჭამო, სუფთა ხუთი გინეა თუ გავაკეთე იმ განცხადებებით. იისფერი აბრეშუმის საცვლები ჯერ არა. ცოდვათა სიამენი.

ნაკლებად გაწითლებული, უფრო ნაკლებად, ოქროსფრად ფერმიხდილი. ბარში ბატონმა დედალოსმა შემოიარა. ანატკლეცებს ცერის გახვეებული ფრჩხილის ანატკლეცებს იცვლიდა. ანატკლეცებს შემოიარა.

— კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, მისს დუს.

ხელზე მოჰკიდა ხელი. როგორ ისიამოვნა შვებულებით?

— გვარიანად,

იმედია კარგი ამინდი დახვდა როსტრეგორში.⁷¹

— შესანიშნავი, თქვა მან. ერთი შემხედეთ რა ღმერთივით გამოვიყურე-ბი. მთელი დღე ნაპირზე ვეგდე.

ბრინჯაომოკიდებული სითეთრე.

— მეტისმეტად ცუდად მოქცეულხართ. უთხრა ბატონმა დედალოსმა და ხელზე ხელი მოუჭირა. საბრალო მიამიტ მამრებს აცდუნებდით.

ატლასის მისს დუსმა მის ხელს ნაზად გამოაცალა ხელი.

— თავი გამანებეთ თქვა მან. ძალიან მიამიტი ბრძანდებით, არკი მგონია. არა და, იყო.

— დიახაც გახლავართ. ჩაიბურტყუნა მან. ისე მიამიტად გამოვიყურებოდი აკვანში, რომ მიამიტი საიმონი შემარქვეს.⁷²

— საყვარელი ბავშვი იქნებოდით, უპასუხა მისს დუსმა. აბა რა გამოგიწერათ დღეს ექიმმა?

— რა ვიცი, ჩაიბურტყუნა მან, რასაც შემომთავაზებთ. მე მგონი ერთ ჭიქა სუფთა წყალზე და ნახევარჭიქა ვისკიზე შეგაწუხებთ. ელარუნი.

— მზად ვარ გემსახუროთ, დაეთანხმა მისს დუსი.

გრაციოზული მზადვარგემსახუროთი კენტრელის და კოკრინის იარლიყების გაკრიალებული ვარაყისკენ მიტრიალდა. ბროლის პატარა კასრიდან გრაციოზულად ჩამოასხა ოქროს ვისკის ულუფა. ბატონმა დედალოსმა პალტოს ჭიბიდან თამბაქოს ქისა და ჩიბუხი ამოაძვრინა. ქალი მზადყოფნით მოემსახურა. დედალოსმა სალამურს ორი ხრინწიანი ნოტი ჩაბერა.

— ღმერთმანი, ჩაიბურტყუნა მან. ხშირად მდომებია მორნის მთების ნახვა. მაცოცხლებელი ჰაერია ალბათ იქ. მაგრამ ამბობენ ბოლოს საშიშიც არისო. დიახ. დიახ.

დიახ. მან ჩიბუხში თმის კულულები, ქალწული თმა, სირინოზისა, თითებით. ჩატენა. ანატკლეცები. კულულები. ჩაფიქრება. დუმილი.

არავის არ უთქვამს არაფერი. დიახ.

მხიარულმა მისს დუსმა ღვინის ჭიქა გააკრიალა, თან რ-ს არაკრრაკებდა:

— ოო, აიდოლორეს, აღმოსავლეთის ზღვების დედოფალი!

— ბატონი ლიდუელი⁷³ თუ იყო დღეს?


შემოვიდა ლენეჰანი. გარშემო მიმოიხედა ლენეჰანმა. ბატონმა ბლუმმა ესიქსის ხიდს⁷⁴ მიაღწია. დიახ, ბატონმა ბლუმმა ესიქსის დიახიდი გადაჭრა. მართას უნდა მივწერო. ქალაქი ვიყიდო. დეილისას. თავაზიანი გოგო. ბლუმში. ზებერი ბლუმი. ბლუ ბლუმი აყვავებულ ჭვავის ყანაში.

— ლანჩის დროს იყო აქ, თქვა მისს დუსმა.

ლენეჰენი წინ წამოიწია.

— ბატონი ბოილანი თუ მეძებდა?

იკითხა მან. დუსმა უპასუხა:

— მისს კენედი, ბატონ ბოილანს ხომ არ შემოუვლია სანამ  ბემოლით ვიყავი?

იკითხა დუსმა, კენედის მისს ხმამ უპასუხა, ჩაის მეორე ფინჯანს მიწოდებდა. მა. წიგნის გვერდს ჩაშტერებულმა.

— არა. არ ყოფილა.

კენედის მისს მზერამ, გაიგონა, არ დაუნახავს, კითხვა განაგრძო. ლენეპანმა სენდვიჩების გამჭვირვალე თავსახურავს თავისი მომრგვალებული სხეული გარშემო შემოავლო.

— ჭიტა! დაგინახე, დაგინახე!

თუმცა კენედის შემოხედვას არ წაუხალისებია, საცდელი არ დაუკლია. ფრთხილად უნდა იკითხოს. მხოლოდ წერტილებსა და კითხვის ნიშნებს უნდა მიაქციოს ყურადღება.

ელარუნ-ელარუნა ელარუნი.

გოგოოქრო კითხულობდა და არ შეუხედავს, ყურადღებას ნუ მიაქცევს. ყურადღება არ მიუქცევია თუ როგორ უმარცვლავდა ბემოლით დადაბლებულ მაჯორულ გამა-არაკს.

— ერთი მელა შეხვდა ერთ წეროს. უთხრა იმ მელამ იმ წეროს: ჩამჩარე, გეთაყვა, ყელში შენი მაშა და ამომამრე ძვალი.⁷⁵

ამაოდ ბურღუნებდა. მისს დუსი თავის ჩაის მიუბრუნდა, მრჩებაო ოხრად. ლენეპანმა ამოოხვრით გული მოიოხა.

— ვაი მე! ვაპ მე!

ბატონ დედალოსს მიესალმა და პასუხად თავი დაუქნიეს.

— სალამი სახელგანთქმული მამის სახელგანთქმული შვილისაგან.

— ეს ვილა იქნება? იკითხა დედალოსმა.

ლენეპანმა გულლია მკლავები გაშალა. ვინ?

— ეს ვილა იქნება? იკითხა მან. რა საკითხავია? სტივენი, ყმაწვილი მგოსანი. მშრალი.

ბატონმა დედალოსმა, სახელგანთქმულმა მამამ, გვერდზე გადადო მშრალი გატენილი ჩიბუხი.

— მესმის, თქვა მან. უცებ ვერ მივხვდი. მითხრეს მეტად რჩეულ საზოგადოებაში ტრიალებსო. ამ ბოლო ხანებში თუ გინახავთ?

კი, ნახა.

— სწორედ იდღეს გეახელით ერთად ნექტარით სავსე თასი, თქვა ლენეპანმა. მუნის ბარში *en ville* და მუნის ბარში *suz mer*.⁷⁶ ნაღდი ფული აიღო თავისი მუზის გარჯაში.

გაუღიმა ბრინჯაოს ჩაიში განბანილ ტუჩებს, მიყურადებულ ტუჩებსა და თვალებს:

— ერინის *élite* ეკერა პირზე. ბლენძია პიუ, მაკპიუ, დუბლინის უბრწყინვალესი კალმოსანი და გამომცემელი და ველური ნოტიო დასავლეთის ყრმა მენესტრელი,⁷⁷ რომელიც ცნობილია თავისი ხმიერი სახელით ოშედენ ბერკი.

ცოტაოდენი დაყოვნების შემდეგ ბატონმა დედალოსმა გროგის ჭიქა ასწია და

— ალბათ გვარიანად შეიქცით თავი, თქვა მან. მესმის.

ესმის. დალია. ქალაქის ხედებს მირჩევნია შორეული მთების კალთება. დადგა ქიქა.

სალონის კარისაკენ გაიხედა.

— ფორტეპიანო გადაგიდგამთ.

— ამწყობი იყო დღეს, უბასუხა მისს ღუსმა, სალონის კარისაკენ დასრულდა. ააწყო, არასოდეს არ მსმენია ასეთი ჩინებული დამკვეთი.

— ნუთუ მართლა?

— ხომ კი, მისს კენედი? იცით, ჭეშმარიტად კლასიკური, თანაც ბრმა, საბრალო ყმაწვილი. დარწმუნებული ვარ ოცისაც არ იყო.

— ნუთუ მართლა? თქვა ბატონმა დედალოსმა.

დალია და გაეცალა.

— კაცი დალონდები მაგის სახის შემყურე, თანაგრძნობა გამოხატა მისს ღუსმა.

ღვთის რისხვა ძაღლის ვაგდებულს.⁷⁸

სადილის ზარმა მის მოწყალე გულს წკარუნით უხმო. სასადილოს კარს მელოტი პეტი მოადგა, შეურვებული პეტი, ორმონდის მიმტანი, ლუდი სადილისათვის. ქალი უხალისოდ მოემსახურა.

ლენეპანი მოთმინებით ელოდა ბოილანს მოუთმენლად, ჟღარუნ ჟღარუნა შმაგ ბიჭუნას.

მან (ვინ?) ასწიასახურავი და კუბოში (კუბოში?)⁷⁹ ირიბად დაჭიმულ (ფორტეპიანო!) სამმაგ სიმებს ჩახედა. მან (იმავემ, ქალის ხელს ფაქიზი დატუქსვით რომ მოუჭირა ხელი) დააჭირა მარცხენა პედალს, რათა დაენახა წამოწეული მაუდის ფენების სისქე, გაეგონა როგორ მუშაობდა დაყუჩებული ჩაქუჩი.

ორი კრემისფერი პერგამენტის ქალაღდი, ერთი მარქაფად, ორი კონვერტი უიზდომ პილისას რომ ვმუშაობდი ბრძენმა ბლუმმა ჰენრი ფლაუერმა იყიდა დეილისთან. ოჯახში ბედნიერი არა ხართ?⁸⁰ ყვავილი რომელიც მანუგეშებს და ქინძისთავი ამბობენ აღარ ეყვარ⁸¹. რაღაცას ნიშნავს, ყვავილების ენა. ზიზილა არ იყო? ესე იგი უმანკოება. პატიოსანი ქალიშვილი შეგხვედროდით წირვის შემდეგ. ჩვენ გმადლობთ საშინლად დიდად. ბრძენმა ბლუმმა კარზე თვალი შეავლო რეკლამას, ტანშერხეული სირინოზი სიგარეტს ეწევა ტურფა ტალღათა შორის. მოწიეთ სირინოზი, უნეტარესი ნაფაზი. დაშლილი თმა: სიყვარულით გულდათუთქული: მავანისათვის. რაულისათვის. გაიხედა და ესიქსის ხიდზე მხიარულ ქუდს მოჰკრა თვალი დაბალ ეტლში. ეს არის. მესამედ. დამთხვევა.

რბილ საბურავებზე ჟღარუნით ჩაისეირნა ხიდიდან ორმონდის სანაპიროზე. მიყვები. გარისკე. ჩქარა. ოთხზე. სრულდება. გადი.

— ორი პენი, სერ, გაბედა თქმა ნოქარმა გოგომ.

— აჰა... მავიწყდებოდა... ბოდიში...

— და ოთხი.

ოთხზე მოლი. მომაჯადოვებლად გაულიმა ლუვინცმას. ბლუ გაიღ ჩქა წა. შუადღევს. თავი წითელი კოჭი არ გეგონოს. ყველას ასე უღიმის. კაცებს.

მთვლემარე სიჩუმეში ოქრო წიგნის ფურცელზე წაიხარა.

სალონიდან ხმა მოისმა, დიდხანს რომ წყდებოდა. ეს ამწყობის კამერტონი იყო მაშინ რომ დაავიწყდა ახლა რომ ააჟღერა. ისევ ხმა. ახლა რომ ზემოთ ასწია ახლა რომ თრთოდა. გესმის? თრთოდა, წმინდა; კიდევ უფრო წმინდა.

რბილად და კიდევ უფრო რბილად, მისი ჩანგლის ზუზუნი. კიდევ უფრო დიდ-
ხანს რომ წყდებოდა.

პეტმა მოსადილის ბათქასაცობიანი ბოთლის საფასური გადაიხადა და
ვიდრე წავიდოდა ღვინისტიქებიან და ბათქასაცობბოთლიან ლანგარზე წახრილ-
მა მისს ღუსთან ერთად წაიჩურჩულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩაპქრენ, კაშკაშა ვარსკვლავნი და...⁸²

უხმო სიმღერამ სადღაც შიგნით მღერა-მღერით წაიმღერა:

— ... როს ირიურაჲ.⁸²

ჩიტნოტების თორმეტმა წყებამ მოცახცახე კაშკაშა პასუხი მგრძნობიარე
ხელბქვეშ ჩაიჭიკჭიკა. კაშკაშა კლავიატურა, მთლად მოციმციმე, შეხმატკბილ-
და და გაკლავისინდა, მოუხმო ხმას ეგალობა ცვრიანი აისის შეჭირვება, სი-
ჭაბუკესთან, სიყვარულთან გამოთხოვება, სიცოცხლის, სიყვარულის აისი.

— ნამმა მოკირწყლა...⁸²

ლენეპანის ტუჩებმა დაბლთან ჩაიჩურჩულეს შეტყუების მაცდური სტვენა.

— იქნებ მაინც მოგვხედოთ, თქვა მან, კასტილიის ვარდო.⁸³

ლაგამმა ქლარუნი ალაგმა და შეწყვიტა.

მისს კენედი წამოვარდა და წიგნი გადადო, კასტილიის ვარდი: გაცრე-
ცილი და ფოთოლგაცლილი, ცარიელი ღარდი წამოვარდა.

— წაიქცა თუ წააქციეს? ჰკითხა კაცმა ქალს.

მან უპასუხა, აგდებით:

— შეკითხვებს ნუ დასვამ და ტყუილებსაც არ გაიგონებ.⁸⁴

ვით ქალი, ქალივით.

შმაგი ბოილანის კობტა მოყვითალო ფეხსაცმელებმა ბარის იატაკზე გა-
იჭრაჭუნეს, დიახ, თქრო ახლოდან და ბრინჯაო შორით. ლენეპანმა გაიგონა და
იცნო და მიესალმა მას:

— შეხეთ, მოდის გამარჯვებული გმირი.⁸⁵

ეტლსა და ვიტრინას შორის, ფრთხილი ნაბიჯით, გამოიარა ბატონმა ბლუმ-
მა, დაუმარცხებელმა გმირმა, იქნებ მხედავს, რაზეც იჯდა: თბილი, შავი
ფრთხილი ხვადი კატა რიჩი გულდინგის მისალმების ნიშნად მალლა აწეული
პორტფელისაკენ მიემართებოდა.

— და მე კი შენ...⁸²

— გავიგე სადღაც აქა ხარ, თქვა შმაგმა ბოილანმა.

მისალმების ნიშნად ჩალის ქუდის დახრილ ფარფლს შეეხო. ქერა მისს
კენედიმ გაუღიმა, მაგრამ ბრინჯაომ გადააჭარბლიმილა თავის დაიკოს და თვალი
მოჭრა უფრო მოხდენილი თმით, მკერდითა და ვარდით.

ბოილანმა სასმელი დაუკვეთა.

— რას ინებებთ? კახთა ლუდი? კათხა ლუდი, გეთაყვა, და ქლიავის არა-
ყი ჩემთვის. დეპეშა ჯერ არ მოსულა?

ჯერ არა, ოთხზე ის ვინ თქვა ოთხზე?

კაულის წითელი ყურები და ადამის ვაშლი შერიფის კონტორის კარში,
აიცილე გულდინგი მისწრებაა. ორმონდში რა უნდა? ეტლი ელოდება, დაე-
ლოდე.

გაუმარჯოს, საით? წასახემსებლად? მეც სწორედ ახლა ვაპირებდი, აქვე.
რაო, ორმონდში? ყველაზე იაფი და პირიანი მთელს დუბლინში, მართლა? სა-
სადილო ოთახი, მიყუჩდი, ხედავდე და ვერ გხედავდნენ, ალბათ შემოგიერთ-

დებიოთ. აბა, პა. რიჩი გაუძღვა. ბლუმი პორტფელს მიჰყვა. უფლისწულის საკადრისი სადილი.

მისს დუსი შუშის ბოთლის ასაღებად აიწია, ატლასის მკლავზე დაიწოდა. მკერდი, ლამის ზედ შემოასკდეს, ისე მალლა.

— ოპ! ოპ! ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიგმინა ლენეჰანმა. მკლავზე გაჭიმვაზე სულს ძლივს ითქვამდა. ოპ!

მაგრამ მისს დუსი იოლად მისწვდა ნადავლს და გამარჯვებულმა ძირს ჩამოიღო.

— რატომ არ იზრდებით? იკითხა ბლეიზის ბოილანმა.

ქალბრინჯაო, თავის დოქიდან სქელ სიროფოვან სითხეს უწილადებდა კაცის ტუჩ-ბაგეს და თან შეჰყურებდა როგორ მიედინებოდა (სერთუკში ყვავილი: ვისგან?), და ამოშაქრა თავისი ტკბილხმოვანი ხმით:

— მცირე ფუთებში საუკეთესო საქონელი.

ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, თვითონ. მარჯვედ ასხამდა მდორესიროფოვან სითხეს.

— ეს თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბლეიზისმა თქვა.

დიდი მონეტა დადო. მონეტამ დაიჩხარუნა.

— მოიცა, თქვა ლენეჰანმა, სანამ მე...

— გაუმარჯოს, დაილოცა და შუშხუნა ლუდი ასწია.

— სკიპტრა გაიმარჯვებს ნელი ოთხით, თქვა მან.

— ცოტათი შევეტოპე თამაშში, თქვა ბოილანმა. თან თვალს აპატუნებდა და სვამდა. მხოლოდ, იცით, ჩემთვის კი არა. ჩემი მეგობრის გატაცებაა.

ლენეჰანი სმას განაგრძობდა, თან მოყუდებულ ლუდის კათხას და მისს დუსის ტუჩებს უღიმოდა, ოდნავ გახსნილნი ოკეანესიმღერას რომ ღიღინებდნენ. აიღოლერეს. აღმოსავლეთის ზღვები.

საათმა დაიჩხაკუნა. მისს კენედიმ ჩაუარა მათ (ყვავილი, ნეტა ვისგან), ჩაის ლანგარით ხელში. საათმა დაიწკარუნა.

მისს დუსმა აიღო ბოილანის მონეტა, გაბედულად ჩამოჰკრა ხელი სალაროს. დაეღარუნდა. საათმა დაიწკარუნა. ეგვიპტელმა ქერამ გადაქექა, დაახარისხა სალაროს უჯრაში, წაიღიღინა და ხურდა დააბრუნა. დასავლეთისკენ გაიხედე⁸⁶. წკარუნი. ჩემთვის.

— რა ღროა? იკითხა ბლეიზის ბოილანმა. ოთხი?

საათია.

ლენეჰანმა, პაწაწინა თვალებით მისს დუსის ღიღინსა და მკერდს დაწაფებულმა, ბლეიზის ბოილანის სახელო მოქაჩა.

— გავიგოთ რა ღროა, თქვა მან.

გულდინგის, კოლისა და უორდის პორტფელმა ლეოპოლდი აყვავებულ მაგიდებს შორის გაატარბლუმა. აღგზნებულად გამიზნულმა უმიზნოდ აირჩია, მელოტი პეტე კართან ემსახურებოდა მაგიდას. ახლოს მიდი. ოთხზე. დაავრწყდა? იქნებ ოინი, არ მივიდეს: მადის გაღვიძება. მე ვერ გავაკეთებდი. მოიცა, მოიცა. პეტეც იცდის, მომტანი მოიტანს.

ლაყვარდმა ბრინჯაომ ნაზად დაღანდა ხარბი ბლეიზვარდის ლამაზი თვალწარბი.

— მიდი, დაყინებით მოითხოვდა ლენეჰანი. არავეინაა, ამას არასოდეს გაუჯგონია.

— ... ფლორას ბაგენი იზიდავდნენ.⁸⁷

მაღალი, მაღალი ნოტი, კანკალით გაისმა, სუფთა.
ბრინჯაოდუსი თავისი ჩამოვარდნილი ვარდისაყენ დაიხარა და ბლუზის
ბოილანის ყვავილსა და თვალებს ახედა.



ქართული
საქმიანობა

— მიდი რა, მიდი.

ფიცის სიტყვებს უკან უბრუნებდა.

— არ შემეძლო შენი მიტოვება...⁸²

— როგორმე შეგე, მორცხვად შეჰპირდა მისს დუსი.

— არა, ახლა, ჩააჯინდა ლენეჰანი. *Sonnez la cloche!*⁸⁷ მბდი არაგინაა.

მისს დუსმა მიიხედა. ჩქარა. მისს კენი შორს იყო, არ ესმოდა. უეცარი
წახრა, ორი აღგზნებული სახე მის დახრას დაჰყურებდა.

მოცანცახე აკორდები ჰაერში მიიკარგა, კვლავ გაისმა, დაკარგული აკორ-
დი, დაკარგული და ნაპოვნი, ენააბორძიკებული.

— მიდი! მიდი! *Sonnez!*

თან იხრებოდა თან ქვედატანის ბოლო მუხლის ზემოთ დაიმაგრა. შეუოვ-
ნდა. აღიზიანებდა მათ, იხრებოდა, აყოვნებდა, ეჩინანი გამოხედვით.

— *Sonnez!*

ტყლაშ. უცებ დაჭიმული ელასტური ლეკვერთხი თბილტყლაშუნით ქა-
ლის თბილადჩაწინდულ სატყლაშუნო ბარძაყზე დაუშვა.

— *la cloche!* წამოიძახა გახარებულმა ლენეჰანმა. პატრონის გაწრთვნილი.
წყალი არ გაუვა.

ქალმა ქედმაღლურსულელურად ჩაილიმჩაიციანა (ღმერთო! ეს მამაკაცები
რანი არიან!), თან სინათლისაყენ წავიდა ნარნარი ლივლივით ღიმილით რომ
შეეხედა ბოილანისათვის.

— ვულგარულობის განსახიერება ხართ, თქვა მან ნარნარად.

ბოილანმა ახედა, დახედა. მსუქან ტუჩებთან კათხა მიიტანა. თავისი
პაწია კათხა მიიყუდა, უკანასკნელი ნოყიერი იისფერი ბადაგის წვეთები მოწ-
რუბა. მოჯადოვებული მზერა გააყოლა მისს დუსის თავის კედელ-კედელ
ნარნარა სრიალს ბარის სარკეების გასწვრივ, რომლებშიც აქაფებული ლუდის,
რაინის ღვინის და კლარეს ჭიქების ოქროთი მოვარაყებული თალი ციმციმებ-
და, დაკბილული ნიჟარა, სადაც ბრინჯაო კიდევ უფრო მზიან ბრინჯაოს ეხა-
მებოდა და არეკლავდა.

— ... მშვიდობით, ძვირფასო!⁸²

— წავედი, მოუთმენლად თქვა ბოილანმა.

სწრაფად მიაცურა კათხა, ზელი დასტაცა ხურდას.

— ერთ წამს მოიცათ, შეეხვეწა ლენეჰანი და სწრაფად მოსვა. მინდოდა-
მეთქვა თქვენთვის. ტომ როჩფორდი...

— თავი დამანებე, გაშმაგდა შმაგი ბოილანი და წავიდა.

ლენეჰანმა სწრაფად გადახუბა და გაჰყვა.

— აგიდგა თუ რა მოგივიდა? თქვა მან. მოიცა. მოვდივარ.

გაჰყვა აჩქარებულ ჭრაჭუნა ფეხსაცმელს, მაგრამ ცქვიტად განზე მიდგა
გასასვლელში, ორ სილუეტს მიესალმა ზორბასა და გაჩხიკინებულს.

— გამარჯობათ, ბატონო დოლარდ.

— ეჰ, გაუ, გაუ, უპასუხა ბენ დოლარდის დაბნეულმა ბანმა და წამით
დაივიწყა მამა კაულის გასაჭირი. ვერაფერს დაგაკლებს, ბობ. ელფ ბერგანი
დაელაპარაკება წოპეს. ამჯერად მშრალზე დავსვამთ მაგ იუდა ისკარიოტელს.⁸⁸

თხვრა-თხვრით, ბატონმა დედალოსმა სალონში გამოიარა, თითო ქუთუთოს ისრესდა.

— აბა, აბა, დავსვამთ, მაშ, მხიარულად წაუკრიმანქვლა ბენ დოლარდმა. მოდიოთ, საიმონ, გვიმღერეთ რამე, გვესმოდა ფორტეპიანოზე რომ უკრავდით.

მელოტი პეტი, მიაძიტი მიძტანი მოთმინებით ელოდა, რა უკვეთავდნენ სასმელებს. პაუერის ვისკი რჩიასათვის, ბლუმენგარტენის, ორჯერ ნუ გავატარებ, კოფრები, უკვე ოთხი, როგორი ცხელია ეს შავი, ცოტა ნერვების მომშლელია. გარდატეხავს (ასეა?) სითბოს, მოვიფიქრო, სიდრი, დიახ, ერთი ბოთლი სიდრი.

— რას ამბობთ? თქვა ბატონმა დედალოსმა, უბრალოდ იმპროვიზაცია იყო.

— კარგი ერთი, დაიძახა ბენ დოლარდმა, მომცილდი გულის ვარამო.⁵⁹ მიდი, ბობ.

ცუნცულით წაუძღვა დოლარდს, შარვლის ჩაფართხუნებულ ტოტებს, წინ (ჩაავლეთ მაგ ვაჟბატონს, არ გაუშვათ) სალონში, დოლარდი სკამზე ბრახუნით დააბერტყა. ნიკრისისაგან გასიებული თითებით აკორდი ბრახუნით აიღო, თათებმა ბრახუნი ერთბაშად შეწყვიტეს.

მელოტი პეტი უჩაიოდ დაბრუნებულ ოქროს მეტს არავის შეხვდა. მიაძიტი მიძტანი პაუერის ვისკისა და სიდრის მისატანად მიდიოდა, ბრინჯაო ფანჯრიდან იმზირებოდა, ბრინჯაო შორით.

ელარა-ელური გაელარუნდა.

ბლუმმა გააგონა ელრ, ოდნავი გაელარუნება. წავიდა, ბლუმის სუსტი თხვრა მდუმარე ცისფერ ყვავილებს მიეფრქვია, ელარუნით, წავიდა, ელარუნი, მესმის.

— სიუვარული და ომი!⁶⁰ ბენ, თქვა ბატონმა დედალოსმა, დაილოცოს ძველი დროება.

მისს დუსმა გმირულნი თვალნი, მიუსაფარნი, მზის შუქით დაბრმავებულნი, სარკმლის რიდეს აარიდა, წავიდა, სევდიანად (ვინ იცის?) დაბრმავებულმა (დამაბრმავებელი შუქი) ფარდა დაუშვა სლიკინა თოკით, დაუშვა სევდიანმა (რატომ წავიდა ასე მალე როცა მე?) თავისი ბრინჯაო თმის გამო, ბართან, სადაც მელოტი იდგა დაიკო ოქროს გვერდით, ულაზათო კონტრასტი, კონტრასტი ულაზათო, არალაზათიანი, ნელი გრილი დაბინდული მწვანეზღვისფერი მოლიპული წყვილიადი, eau de nil.⁶¹

— საბრალო ბებერი გუდვინი უკრავდა ფორტეპიანოზე იმ სალამოს, შეახსენა მათ მამა კაულიმ, აზრთა პატარა სხვადასხვაობა იგრძნობოდა მასსა და კოლარდ გრანდის ფორტეპიანოს შორის.

ნამდვილად.

— საკუთარ თავთან კამათი, თქვა ბატონმა დედალოსმა, ეშმაკიც ველარ გააჩერებდა, სიმთვრალის საწყის სტადიაში მყოფი შერეკილი ბერიკაცი.

— ღმერთო დიდებულო, გახსოვთ? თქვა ბენ დონდლო დოლარდმა და დასჯილ კვალიატურას მოწყდა, და ქრისტეს მადლმა, საქორწინოდ არ ვიყავი გამოწყობილი.

სამივემ გაიცინა, საქორწინოდ არ იყო გამოწ, მთელმა ტრიომ გაიცინა, საქორწინოდ გამოწყობილი.

— ჩვენი მეგობარი ბლუმი გაჩნდა ბედზე იმ სალამოს, თქვა ბატონმა დედალოსმა, სხვათა შორის, ჩემი ჩიბუხი სადღაა?

უკან მიბრუნდა ბარისაყენ აკორდდაკარგული⁹⁰ სალამურა-ჩიბუხის მოსაძებნად. მელოტ პეტს ორი დაკვეთილი სასმელი მიჰქონდა, რიჩისა და პოლდის. და მამა კაულიმ კვლავ გაიცინა.

— მე მგონი, ბენ, მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ.

— ნამდვილად, დაადასტურა ბენ დოლარდმა. ის შემოტკლავდა მამას ლიც მახსოვს. ბრწყინვალე იდეა იყო, ბობ.

მამა კაული ყურის ბიბილომდე გაბრწყინდა. გამოიყვანა მდგომარ. შემოტკლავილი შარ. ბრწყინვალე იდე.

— ვიცოდი რომ ჯიბეგაფხეკილი იყო, თქვა მან. ცოლი შაბათობით ფორტეპიანოზე უკრავდა კაფეში, სულ უმნიშვნელო გასამრჯელოს ლებულობდა. და აღარ მახსოვს ვინ მითხრა, სხვა საქმიანობასაც ეწევაო.⁹¹ გახსოვთ? მთელი პოლზ სტრიტის შემოვლა დაგვეჭირდა იმათ მოსაძებნად სანამ კიოუს საბაყლოში ბიჭმა მისამართი არ მოგვცა. გახსოვთ?

ბენს ახსოვდა, ფართესახეგაკვირვებულს.

— ღმერთმანი, ძვირფას საოპერო კოსტუმებს და რალაცეებს ყიდდა.

ბატონი დედალოსი უკან მობრუნდა, ჩიბუხით ხელში.

— მერიონ სკვერის სტილში.⁹² სამეჯლისო და, ღმერთმანი, სამეფო კარის შესაფერი კაბები. ფულიც არ გამოგვართვა. ეგრე არ იყო? უთვალავი სამკუთხა ქუდი და მოკლე სერთუკი-ბოლეროები და მეთექვსმეტე საუკუნის დროინდელი მოკლე შარვლები. არა?

— მაშ, მაშ, თავი დაუქნია ბატონმა დედალოსმა. ქ-ნი მერიონ ბლუმის მრავალფეროვანი გარდერობი.

ქლარუნა სანაპიროებით ჩაყდარუნდა. ზამბარიან საბურავებზე გამზლართული ბლეჩისი.

ღვიძლი და ბეკონი. სტეიკი და თირკმელის ღვეზელი. კეთილი, სერ. კეთილი, პეტ.

ქ-ნი მერიონი. მეტემფსიქოზის. ნეტა ვის კოცნის. დამწვრის სუნი. პოლ დე კოკი.⁹³ რა კარგი სახელი და გვარი...

— რა ერქვა? დიდმკერდა ლამაზმანს. მერიონ...

— ტუიდი.

— დიახ. ცოცხალია?

— მერედა როგორ.

— აი იმის ქალიშვილი არ იყო...

— ლეგიონის ქალიშვილი.⁹⁴

— დიახ, დიახ. მახსოვს ბებერი ტამბურმაყორი.

ბატონმა დედალოსმა დაჰკრა, ჩაჰბერა, ანთო, გემრიელი ნაფაზი დაარტყა.

— ირლანდიელია? ღმერთმანი, არ ვიცი, ირლანდიელია, საიმონ?

ნაფაზი, გარინდება, ისევ ნაფაზი. მაგარი, გემრიელი, ხმაურიანი.

— ლოყის კუნთი ცოტა... რა?.. დაყანგულა... ოო, ის... ჩემი ირლანდიელი მოლი, ოო.⁹⁵

მწვანე დაკლავნილი კვამლი ჩაისუნთქა.

— გიბრალტარის კლდიდან... იმ სიშორიდან.

ისინი ოკეანის წყვდიადის უფსკრულში იტანჯებოდნენ, ოქრო ლუდის-ყლუპთან, ბრინჯაო მარასკინის ლიქიორთან, ორივენი ჩაფიქრებულნი. მაინა კენედი, ლისმორ ტერას № 4, დრამკონდრა და აიდოლორესი, დედოფალი, დოლორესი, დადუმებულნი.

პეტმა მიართვა თავახდილი თეფშები. ლეობოლდმა ღვიძლის დაჭრა დაიწყო თხლად. როგორც ადრეც ითქვა, იგი დიდი სიამოვნებით შეგვტყუოდა შიგნულს, თხილით დატენილ ჩიჩახვებს, შემწვარი ვირთუვზას ქვირითს, სანამ რიჩი გულდინგი, კოლისი, უორდი სტეიქსა და თირკმელს მიირთმევდნენ, ჯერ სტეიქს მერე თირკმელს, ლუკმა-ლუკმა ღვეზელი ბლუმმა, ~~ქვირითს~~ ტამეს.

ბლუმი და გულდინგი, ღუმილით შეუღლებულნი, ~~ქვირითს~~ უფლასწულთა საკადრისი ტრაპეზი.

ბერბიჭას შესახვევთან ჩაგვავით ჩაიყლარუნა შმაგმა ბერბიჭა ბოილანმა, მზეში, პაპანებაში, ფაშატის გლუვი გავის ჩაქჩაქით, მათრახის ტკაცუნით, ზამბარებიან საბურავებზე: გაშხლართული, ჩათბუნებული, შმაგი სულწასული ბოილანი, შემართული. რქა. თქვენ გაქვთ რქე? რქა. თქვენ გაქვთ რქე? რქა. რქადგა.

დოლარდმა მათი ხმები ბანით გადაფარა და აკორდები დაბომბა:

— როს სიყვარული ჩემს სულს მოიცავს...¹⁹

ბენსულბენჯამინის ტალღამ ტრფობამთრთოლვარე შემინულ საბურავებს ცახცახით გადაუარა.

— ომი! ომი!¹⁹ წამოიძახა მამა კაულიმ. თქვენ მეომარი ხართ.

— დიახ, გახლავართ, გაიცინა ბენ მეომარმა. თქვენს პატრონზე²⁰ ვფიქრობდი. არც სიყვარულისთვის და არც ფულისთვის.

გაჩერდა. უზარმაზარი წვერი შეარბია, უზარმაზარი სახე უაზრო უზარმაზარის ზემოდან.

— ნაღდად ყურის აპკს გაუხვრეტდი, ადამიანო. თქვა სურნელოვან კვამლში გახვეულმა ბატონმა დედალოსმა, მაგისტანა ორგანოს პატრონი.²¹

კლავიშებზე წახრილი დოლარდი გულიანმა სიცილმა წვერიანად შეარბია, გაუხვრეტავდა, მაშ არა.

— მეორე აპკზე რომ არაფერი ვთქვათ, დასძინა მამა კაულიმ. პაუზა, ბენ. *Amoroso ma non troppo.*²² ეგ ჩემი საქმეა.

მისს კენედიმ ორ ჯენტლმენს გრილი ლუდით სავსე კათხები მიართვა. თან სიტყვა ჩართო. მართლაც, თქვა პირველმა ჯენტლმენმა, შესანიშნავი ამინდი იყო. გრილი ლუდი დალიეს. ხომ არ იცოდა მისს კენედიმ სად მიდიოდა ლორდ-ლეიტენანტი? და გაიგონა ფოლადფლოქვების თქარუნფლოქვური თქარათქური. არა, არ იცოდა. მაგრამ ალბათ გაზეთში იქნებოდა. ოო, არა უშავს, ნუ შეწუხდება. რა შეწუხებაა. ხელის ერთი გაქნევით გადმოშალა ინდებენდენტი, ძებნა დაუწყო, ლორდ-ლეიტენანტი, თმის გაფშევილ ბოლოებს ოდნავ ატოკებდა, ლორდ-ლეიტენ. მეტიანეტად შეგაწუხეთ, თქვა პირველმა ჯენტლმენმა. არა, როგორ გეკადრებათ. როგორ იყურებოდა. ლორდ-ლეიტენანტი. ოქრომ და ბრინჯაომ გაიგონეს რკინა ფოლადი.

— . . . ჩემს სულს მოიცავს

დღე ხვალინდელი აღარ მადარდებს.¹⁹

ღვიძლის წვენიში ბლუმმა კარტოფილის პიურე აურიო. სიყვარული და ომი¹⁹ ვილაც. ბენ დოლარდის ცნობილი. იმ საღამოს ჩვენთან რომ მოირბინა კოსტუმის სათხოვნელად კონცერტისათვის. შარვალი დოლივით ჰქონდა შემოტკლევცილი. მუსიკალური გოჭუნები. რომ გავიდა, მოლი სიცილისაგან ჩაბვირდა. საწოლზე გადავარდა, წითდა, ტლინკებს ყრიდა. მთელი ავლადიდება გამოფენილი აქვს. ოპ, ღმერთო! მაღალო, ჩავისველე! ოო, ქალები, პირველ რიგში რომ ისხდებიან! ოო, ამდენი არასოდეს მიცინია! არა, რა თქმა უნდა,

ამის გამოა, რომ ბას კასრიტონი აქვს. მაგალითად საჭურისები. ნეტა ვინ უკრავს. მშვენიერი ტუშეა. კაული იქნება. კარგი სმენა აქვს. ნებისმიერ ნოტს ცნობს. პირში სუნი აქვს საბრალოს. გაჩერდა.

მისს დუსი, მომზიბლავი, ლიდია დუსი თავის დაკვრით მიესალმა თავაზიან ვეჭილს, ჯორჯ ლიდუელს, ჯენტლმენს, კარებში. შუადღე მშვენიერია. მან თავისი ნოტიო (ქალის) ხელი მაგარ ჩამორთმევას გაუწოდებდა და დაიჭრებოდა. მისს დუსი დაუბრუნდა. ძველ ულიმლამო სადაგ დღეებს, კვლავ.

— თქვენი მეგობრები აქ არიან, ბატონო ლიდუელ.

ჯორჯ ლიდუელს, ზრდილსა და თავაზიანს ხელთ ლიდიახელი ეპყრა. ელარუნი.

როგორც ადრე ითქვა, ბლუმი ჭამდა ღვიძ. სისუფთავე მაინცაა. ის ყმაწვილი ბერტონთან, ხრტილით პირგამოვსებული. აქ არავინაა: მე და გულდინგი. სუფთა მაგიდები, ყვავილები, ხელსახოცების მიტრები. პეტი ბოლთას სცემს. მელოტი პეტი. საქმე არა აქვს. ყველაზე იაფი და პირიანი მთელ დუბლინში.

ისევ ფორტეპიანო. ეს კაულია. როგორ მიაჯდება ხოლმე, თითქოს ერთიანი არიან, ურთიერთგაგება. გულისგამაწვრილებელი დურგლები ჭიანურს ფხოჭნიან, ხემისბოლოს თვალს არ აშორებენ, ვიოლონჩელს ხერხავენ, კბილის ტკივილი გაგახსენდება. მოლის ხმამაღალი გაბმული ხვრინვა. იმ საღამოს ლოქაში რომ ვისხედით. ტრომბონი მძიმედ ხვნეშის, მოქმედებებს შორის, მეორე ტრომბონისტი ყმაწვილი გამოაძრობს და ნაპურჭყალს გამოასუფთავენს. დირიჟორის ფეხებიც, ჩაფართხუნებული შარვალი, ბუქნაობა. სწორეა რომ ფეხებს მალავს.

ბუქნა ბუქნა ძაგძაგი და ელარუნ ელარუნა ჩაქჩაქი.

მხოლოდ ქნარი. ოქროს სიმების საამო სინათლე. გოგონა სიმებს შეეხო. წმინდა ოქროსი საამო ბოლო. ღვიძლის წვენი ძალიან უხდება... ოქროს ხომალდი ელავდა წყალზედ.⁹⁹ ერინი. ქნარი, რომელმაც ჩვენ შიმშილი გვარგუნა. ცივი ხელის მიკარებაზე. ბენ ჰოუთი, გვიმრები. ჩვენ მათთვის უქნარა ირლანდიელები ვართ. მე. ის. ბებერი. ხხალგაზრდა.

— აჰ, ვერ შევძლებდი, ადამიანო, თქვა ბატონმა დედალოსმა, მორცხვმა, გულგრილმა.

ენერგიულად.

— მიდი, შე ოხერო, დაიბრდღვინა ბენ დოლარდმა. ნაწილ-ნაწილ ამოდერდე.

— M'appari, საიმონ, თქვა მამა კაულიმ.

შემალღებაზე წადგა რამდენიმე ნაბიჯი, მჭმუნვარემ, მწუხარებით ამალღებულმა. გრძელმკლავებგაწვდილმა. მისმა ხვანჩმა ხმაწასული ხრინწით ხმადაბლა ჩაიხრინწინა. ხმადაბლა მიუმღერა ზღვის მტვრიან პეიზაჟს. უკანასკნელი გამოთხოვება.¹⁰⁰ კონცხი, ხომალდი, აფრა ზვირთებზე, გამოთხოვება. კობტა გოგონა, კონცხის თავზე მქროლავი ქარის ფრთებზე მოგდებული მისი პირბადე, გოგონა ქარით გარსშემოქროლილი.

კაული მღეროდა:

— M'appari tutt'amor:

Il mio sguardo l'incontr...¹⁰¹

გოგონა უქნევდა, კაულის ხმა არ ესმოდა, თავის პირბადეს მას ვისაც განშორდა, სატრფოს, ქარს, მიჯნურს, მქროლავ იალქანს, დამიბრუნდი.

— მიდი, საიმონ.

— ეჰ, ჩემი ცუნდრუკობის ხანა რა ხანია წარსულს ჩაბარდა, ბენ... რა ვიცი...

ბატონმა დედამისმა თავისი ჩიბუხი კამერტონს მიუხვეწა, დაჯდა და დამჯერ კლავიშებს შეეხო.

— არა, საიმონ, მიუბრუნდა მამა კაული. დაუკარგა ~~მეტი~~ ^{სხვა} წესია. სიბემოლ მაყორი.

დამჯერმა კლავიშებმა თავი ასწიეს, დაიძახეს, შეკრთნენ, აღიარეს, აღრიეს. მამა კაულიმ შემალღებამდე შედგა ფეხი.

— აბა, საიმონ, მე გაგიწევ აკომპანიატორობას, თქვა მან. ადექი.

ჩაუარა გრემ ლემონის ანანასის შაქარყინულს, ელვერის მაღაზიას ულარუნ-ულარუნით.

სტეიკს, თირკმელს, ღვიძლს, ხორცსა და პიურეს, პრინცები რომ არ იუარებენ, უსხედან პრინცები ბლუმში და გულდინგი, ხორცსშექცეული პრინცები პაუერის ვისკისა და სიდრს ასწევდნენ და დალევდნენ.

ტენორის ულამაზესი არია, რაც კი ოდესმე დაწერილა, თქვა რიჩიმ: *Sonnambula*²¹. ამას მოუსმენია როგორ შესრულა იგი ჯოუ მაასმა ერთ საღამოს. აჰ, მაკგუკინს¹⁰² დიახ. თავისებურად. ბიჭების გუნდის სტილში. მაასი ბიჭი ჟო. მესაბიჭი. ლირიკული ტენორი, თუ გნებავთ. არასოდეს დამავიწყდება. რასოდეს.

ბლუმმა უღვიძლო ბეკონის ზემოდან შეწუხებულ დაძაბულ ნაკვთებს შეხედა თანაგრძნობით. წელკავი. კრიალა თვალები, ნეფრიტის ნიშნები. პროგრამის შემდეგი ნომერი. ცეკვა თუ გიყვარს, მესტვირეს ფულიც უნდა აძლიო. აბები, ცარიელი პურის ნამცეცები. კოლოფი ერთი გენეა, ცოტა ხნით აირიდებ. მაინც რომ მღერის. დავლიოთ, სული სანამ გვიდგას. ზუსტად ეგრეა. თირკმელის ღვეზელი. სიმშვენიერის მშვენიერი ხარკი.¹⁰³ ვერაფერი ხეირია. იაფი და. დამახასიათებელია მისთვის. პაუერის ვისკი. იცის რა დალიოს. ოდნავ გაბზარული ჭიქა, ვარტრის სუფთა წყალი.¹⁰⁴ დახლებიდან ასანთის კოლოფების აწაპვნა ეკონომიის მიზნით. შემდეგ ნამცეცებში მთელი სოვერინის გაფლანგვა. და როცა კაცს დასჭირდება, არც ერთი ფართინგი. გამოთვრება და გადახდაზე კი უარზეა. უცნაური ხალხია.

არასოდეს დამავიწყდება რიჩის ის საღამო. სანამ ცოცხალია, არასოდეს. უიაფეს ქანდარაზე პატარა პიკთან ერთად.¹⁰⁵ და როცა პირველი ნოტი.

რიჩის სიტყვა ტუჩებზე შეაშრა.

ახლა განსაცვიფრებელ ტყუილს იტყვის. ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი ამაზე და იმაზე. საკუთარი ტყუილების სჯერა. ნამდვილად. გასაოცარი მატყუარა. კაი მეხსიერება კი სჭირდება.

— რა მოტივზეა? იკითხა ლეოპოლდ ბლუმმა.

— ყველაფერი დაიღუპა.²¹

რიჩიმ ტუჩები მოპრუწა. დაბალი ახლადშობილი ნოტი, ტკბილბმოვანი ფერია აჩურჩულდა: ყველაფერი. შაშვი. შაშვი მგალობელი. მისი სუნთქვა, ჩიტტკბილა, კარგი კბილები ეამაყება, სევდიანი წუხილით გამოიფშვინება. დაიღუპა. ზღაპრული ხმა. ორი ნოტი ერთად. შაშვს რომ ვუსმენდი კუნელის ველზე. პანგს ჩამომართმევდა ჩახლართავდა და ჩაახვევდა. ყოველი ძახილის უახლესი გამოძახილი ყველაფერში იღუპება. ექო. რა საამოა გამოძახილი.¹⁰⁶ როგორ ხდება? ყველაფერი დაიღუპა. დამწუხრებული უსტვენდა. დაცემა, დამარცხება, დაღუპვა.

ბლუმმა ლეოპოლდური ყური მიაბყრო, ბროლის ვაზის ქვეშ ხელსახოცის არშია შეაცურა. კარგია. ხო, მახსოვს. მშვენიერი არიან. ქალი მძინარე მივიდა მასთან.²¹ უმანკოება მთვარის შუქზე. გულადნი არიან. საფრთხეს ვერ გრძნობენ. მაინც უნდა გააჩერო. სახელი დაუძახე. წყალს მიაკარე.¹⁰⁷ ედარუნ-ედარუნი. გვიანლაა. წასვლა სწყუროდა.¹⁰⁸ ამიტომაც. ქალი. გინდა... ჩვენი ქვეყნის ქვეყნის გაგიჩერებია. დიახ: ყველაფერი დაიღუპა.

— მშვენიერი არიან, თქვა ბლუმმა, დაღუპულმა ლეოპოლდმა. კარგად ვიცნობ.

თავის დღეში რიჩი გულდინგს არასოდეს.

კარგად ცნობს. ანუ გრძნობს. კიდევ თავის ქალიშვილს გადასწვდა.¹⁰⁹ ბრძენი ბავშვი, რომელიც საკუთარ მამას ცნობს,¹¹⁰ თქვა დედალოსმა. მე?

ბლუმმა უღვიძლოს აღმაცერად გახედა. სახე ყოვლისა დაღუპულია. ერთდროს გაემაფი რიჩი. ოხუნჯობები დაუმყაყდა. ყურს აპარტყუნებს. თვალში ხელსახოცის რგოლი მონოკლივით. ახლა კიდევ ფულის თხოვნის წერილები თავისი შვილის ხელით რომ უნდა დააგზავნოს. ელამი უოლტერი სერ დიახ სერ¹¹¹. არ შეგაწუხებდით მხოლოდ ცოტაოდენ ფულს ველოდი. დიდი ბოდიში.

ისევ ფორტეპიანო. უკეთ ჟღერს ვიდრე უკანასკნელად რომ მოვისმინე. ალბათ თუ ააწყეს. ისევ შეწყდა.

დოლარდი და კაული კვლავ ცდილობდნენ ზანტ მომღერალს ამოეღერდა.

— ამოღერდე, საიმონ.

— მიდი, საიმონ.

— ქალბატონებო და ბატონებო, დიდ პატივს მდებთ თქვენი თხოვნით.

— მიდი, საიმონ.

— მე ფული არა მაქვს, მაგრამ თუ პატივს დამდებთ და მომისმენთ, შევეცდები გიმღეროთ დამონებული ჭულის შესახებ.¹¹²

სენდვიჩის სახურავთან ჩრდილს მოფარებული, ლიდია თავის ბრინჯაოს და ვარდს, გრან დამას ეშხს, თან გასცემდა და თან იკავებდა: როგორც გრილ რუხ-ვარდისფერ eau de Nil⁶¹-ში მაინა თავის ოქროს თმის აპრეხილ ბოლოებს ორ კათხაში.

პრელუდიის აკორდები მიწყდა. გრძელი, გრძელი აკორდები და ვისგანაც ელოდნენ, ხმა გამოიღო.

— როცა პირველად მომხიბლავი ვნახე ქმნილება...²³

რიჩი შემობრუნდა.

— საი დედალოსის ხმა, თქვა მან.

ტვინალტკინებულნი, აღმოდებული დაწვეებით, უსმენდნენ და გრძნობდნენ როგორ ეფინებოდა საამისოდ მომხიბლავი ტალღა კანს კიდურებს ადამიანის გულს სულს ხერხემალს. ბლუმმა პეტს ანიშნა, მელოტი პეტი მიმტანია ყურს რომ აკლია, ბარის კარი ღია დაეგდო. ბარის კარი. ასე, კარგია. პეტი, მიმტანი, მოთმინებით რომ იტანდა სიყრუეს, ელოდა კართან, რადგან ყურს აკლდა.

— თითქოს წუხილი გამიქრა სრულად.²³

გარინდულ პაერში ხმა უმღერდა მათ, დაბალი, არა წვიმა, არა მოჩურჩულე ფოთოლნი, არცა ხმა სიმთა, სალამურთა თუ რასვძახიან წინწილათა, სიტყვები ჩაესმოდა მათ მშვიდ ყურთ და მათ მშვიდ გულებს საკუთარი ცხოვრების მოგონებებს აღუძრავდა. საამო, სასმენად საამო: წუხილი თითქოს სრულად გაუქრათ როცა პირველად მოისმინეს. როცა პირველად იხილეს, დაღუპული რიჩი, პოლდი, სილამაზის წყალობა, იმისგან რომ მიიღებ ყველაზე

ნაკლებად რომ მოელი, მისი პირველი მოწყალე ტკბილსატრფიალო სატრფო-ტკბილი სიტყვა.

სიყვარული, რომელიც მღერის: ძველი სატრფიალო, ბლუმმა ნუღა შეხსნა თავისი პაკეტის ელასტიური შესაკრავი ჯიბეში. ძველი სატრფიალო ოქრო. ბლუმმა ოთხ განტოტებულ თითზე შემოივლო ნართი, გატრიალა მოკლე, მოადუნა, ზედ ორმაგად, ოთხმაგად, ოქტავად მოახვია და მაგრად შეკრა.¹¹³

— იმედით სავსე, გახარებული...²³

ტენორები ქალებს დასტა-დასტა შოულობენ. მათ ვოკალურ შესაძლებლობებს ზრდის. მიართვი მომღერალს თაიგული და პაემანიც დაიგულე. მშვიდად ვერ ვუყურებ. მიყლარუნობს გახარებული. ცილინდრებისათვის ვერ იმღერებს. კაცი მშვიდად ვერ უყურებს.¹¹⁴ სუნამოს დაისხამს მისთვის. რა სუნამოს ხმარობს თქვენი ცოლი?¹¹⁵ მინდა ვიცოდე.¹¹⁵ ძინგ. გაჩერდა. კაკუნი. ყოველთვის უკანასკნელი ჩახედვა სარკეში სანამ უპასუხებს. პოლი. იქ? როგორა ხარ? რა მიჭირს. იქ? რა? თუ? პირის გამაგრილებელი ტკბილუეულობა, მის ჩანთაში. ხო? ქელები შეიგრძნობდნენ ცოდვის სიამეთ.¹¹⁶

ვაი! ხმამ უმატა, ოხვრით, შეიცვალა: ხმამაღალი, სრული, გაბრწყინებული, ამაყი.

— მაგრამ ვაი რომ ფუჭი იყო ოცნება იგი²³...

კვლავინდებურად დიდებულად ეღერს. კორკის ჰავა უფრო რბილია, მათი კილოკავიც. სულელი! ჩეჩქად შეეძლო ჰქონოდა ფული. სიტყვებს სწორად არ მღერის.¹¹⁷ ცოლს სული ამოხადა: ახლა მღერის. თუმცა ძნელი სათქმელია. მარტო თვითონ ორმა. თუ არ მოტყდა. მტრის ჯინაზე არ უნდა შეიმჩნიო. მისი ხელფებიც მღერის. სმა. ნერვები დაძაბული აქვს. თავშეკავება მართებს რომ იმღეროს. ჯენი ლინდის წვნიანი¹¹⁸ ხორცის ბულიონი, სალბი, უმი კვერცხები, ნახევარი პინტა ნალები. დიეტა მოგვის ტკბილ სიზმრებს მოჰგვრის.

სინაზე ავსებდა: თანდათან სივდებოდა, ფეთქავდა. აი ეს მეშმის. პა, მომეცი! გაძღვე! ფეთქვა, ფეთქვა, მფეთქავი, ამაყად, ზეზე!

სიტყვები? მუსიკა? არა: ის რაც ამის წილმაა.

ბლუმმა გადახლართა, გადმოხლართა, გადანასკვა, გადმონასკვა.

ბლუმი. თბილი ფრუოლვის იდუმალემა დაიღვარა ჰანგებში, წადილში, ბნელი, ყოვლისმომცველი. მიუდექი, დაეუღლე, დაეწყვილე, დააგრილე. ფორები გასასიებლის გასასიებლად. დაგრილება. ხალისი შეგრძნება სითბო. დაგრილება. რაბებზე გადმოხეთქილის გადმონთხევა. ნიაღვარი, მოხეთქილი, მომდინარე, ხალისმოხეთქილი. გრილფეთქვა. ახლა! სიყვარულის ენა.

— ...იმედის სხივი...²³

სახეგაბრწყინებულს. ლიდიას, ლიდუელს რომ ჭყიპინით მიეგება, ძლივს თუ ესწავდა ასეთი გრანდამშუზა როგორ არჭყიპინებდა იმედის სხივს.

ეს მართაა. დამთხვევა. სწორედ ახლა ვაპირებდი მიმეწერა. ლაიონელის სიმღერა. თქვენი ლამაზი სახელი. ვერ დამიწერია. მიიღეთ ჩემი მცირედი საჩუქ. დაუკარი მის გულისსიმებზე ქისისსიმებზეც. ის.. ცუდი ბიჭი გიწოდეთ. მაინც სახელი: მართა. საოცარი! დღეს.

ლაიონელის ხმა დაბრუნდა, უფრო სუსტი მაგრამ გაუცვეთავი. იგი კვლავ უმღერდა რიჩის პოლდის ლიდიას ლიდუელს უმღერდა აგრეთვე პეტს პირდაფრენილ ყურდაცქვეტილ ოფიციანტს. როგორ ნახა პირველად მომხიბლავი ქმნილება, როგორ გაუქრა წუხილი სრულად, როგორ ხიბლავდა შემოხედვა, სხეული, სიტყვა მას გულდ ლიდუელს, როგორ მოინადირა პეტ ბლუმის გული.

ნეტა მის სახეს მაინც ვხედავდე. იქნებ განმარტო. რატომ მიყურებდა დრეგოს დალაქი მუდამ სახეში, როცა მის სახეს ველაპარაკებოდი სარკეში. მაინც აქ უკეთ ისმის ვიდრე ბარში თუმცა შორსაა.

— და ნაწი მწერა²³...

პირველ საღამოს რომ ვნახე მეტ დილონისას ტერენურში. ყველაფერი, ყველაფერი არშიანი კაბა ეცვა. მუსიკალური სკამები. ჩვენ ორნი ბოლოში. ბედნიერი, მისი ყველაფერი ბედი. გარშემო და გარშემო ნელა. სწრაფი წრე. ჩვენ ორნი. ყველა გვიყურებდა. შევჩერდით. დაჯდა. თამაშიდან გავარდნილები გვიყურებდნენ. ტუჩები უცი-
ნოდა. ყვითელი მუხლისთავები.

— თვალს რომ ხიბლავდა²³...

მღეროდა. მოლოდინს¹¹⁹ მღეროდა. ნოტები გადავუფურცლე. სუნამოს სრული ხმით რა სუნამოს ხმარობს თქვენი იასამნის ბუჩქები. მკერდს ვუყურებდი, სავსეს, მოქალაქეულე ყელს. პირველად ვნახე. მადლობა გადა-
მიხადა. რატომ მაინცდამაინც მე? ბედი. ესპანური თვალეები. მარტო მსხლის ხის ქვეშ პატიო ასე გვიან ძველ მადრიდში¹²⁰ ცალი მხარე ჩრდილში დოლორეს ისდოლორეს. მე. მნიბლავს. აჰ, მაცდუნებს.

— მართა! აჰ, მართა!²³

მოთენთილობა მთლიანად რომ მოიშორა, ლაიონელმა მწუხარებაში შეჰ-
კივლა, სატრფოს დაბრუნებას შეჰკივლა ღრმა და თანაც ზეაწეული ტკბილ-
პანგოვანი აკორდებით, ლაიონელის მარტოობის კივილით, მართას რომ უნდა ეს-
მოდეს, მართამ რომ უნდა შეიგრძნოს. რადგან მხოლოდ მას მოელის. სად?
აქ იქ ეცადე იქ აქ ყველგან ეცადე სად სადმე.

— მო-დი, დაკარგულო!

მო-დი, გენაცვალე!²¹

მარტო. ერთადერთი სიყვარული. ერთადერთი იმედი ჩემი. ერთადერთი
ნუგეში. მართა, დაბალი ლულუნა ნოტი, დაბრუნდი!

— მოდი!²³

დალივლივებდა, ფრინველი, მალლა ცაში, სწრაფი წმინდა კივილი, ლივ-
ლივა ვერცხლის ორბიტაში შეცურდა მშვიდად, აუჩქარა, გაჭიმა ნოტი, მობ-
რუნება, ძალიან გრძლად ნუ ჩაახვევ გრძელი სუნთქვა მან გრძელი ცხოვრება
ჩაისუნთქა, მალლა ლივლივით, მალლით მბრწყინავი, აალებული, დაგვირგვინე-
ბული, მალლა სიმბოლისტური გაციისკროვნებით, მალლა, ეთეროვან მკერდზე,
მალლა, მაღალი ფართო გასხივოსნება ყველგან ყველაფერი ლივლივებს ყველ-
გან გარშემო ყველაფრის ირგვლივ, უსაზღვრზღვრზღვროება.....

— ჩემთან!²³

სიოპოლდ!

ხმები მიწყდა.

მოდი. კარგი შესრულება იყო. ყველამ ტაში დაუკრა. იმან უნდა. მოდი.
ჩემთან, მასთან, შენც, მეც, ჩვენც.

— ბრავო! ტაშტაში. ყოჩაღ. საიმონ. ტაშტაშტაში. ბის! ტაშიტაში. ზა-
რივით წკრიალა ხმა. ბრავო, საიმონ! ტაშტაშიტაშ. ბის, ბისაიმონ, თქვა, წა-
მოიყვირა, ტაში დასცხო, ყველამ, ბენ დოლარდმა, ლიდია დუსმა, ჯორჯ ლი-
დუელმა, პეტმა, მაინამ, ორმა ჯენტლმენმა ორი ზორბა კათხით, კაულიმ, პირ-
ველმა ჯენტლმენმა კათხით და ბრინჯაო მისს დუსმა და ოქრო მისს მაინამ.

ბლეიზის ბოილანის კოპწია მოყვითალო ფეხსაცმელებმა ბარის იატაკზე
გაიჭრაჭუნეს, ადრე ითქვა. სერ ჯონ გრეის, ჰორეიშიო ცალსახელურა ნელსო-

ნის, ღირსი მამა თიობაღდ მეთიუს ქანდაკებებს, როგორც ადრე ითქვა, სწორედ ახლა ქლარუნით ჩაუარა. ჩორთით, სიცხეში; ჩამთბარი. Cloche. Sonnez la. Cloche. Sonnez. La.¹⁷ ფაშატმა როტუნდას აღმართში ნაბიჯი შეანეღი. რატლენდ სკვერი. მეტისმეტად ნელა ბოილანისათვის, შმაგი ბოილანი, სულწასული ბოილანი ფაშატს აჩქარებდა.

კაულის აკორდების გამოძახილი მიწყდა, გაბოხიერებული კაიერს დააკვდა. და რიჩი გულდინგმა მოსვა თავისი პაუერის ვისკი და ლეოპოლდ ბლუმმა თავისი სიდრი, ლიდუელმა თავისი გინესის ლუდი, მეორე ჯენტლმენმა თქვა ისინი ორ კათხას გასინჯავდნენ თუ მისს კენედის არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო. მისს კენედიმ სულელურად გადაუხსნა, თან მაგიდას ალაგებდა, მარჯნის ტუჩები, პირველს, მეორეს. არა, არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო.

— შვიდი დღე ციხეში, თქვა ბენ დოლარდმა, წყალზე და პურზე. მერე იგალობდი, საიმონ, ბალის შაშვივით.

ლაიონელ საიმონმა, მომღერალმა, გაიცინა. მამა ბობ კაული უყრავდა. მაინა კენედი ემსახურებოდათ. მეორე ჯენტლმენმა ფული გადაიხადა. ტონ კერნანმა თავმომწონედ შემოალაჯა. ლიდია, აღფრთოვანდა, აღფრთოვანდა. მხოლოდ ბლუმში მღეროდა უხმოდ.

აღფრთოვანებული.

რიჩი, აღფრთოვანებული, კრინს აყოლებდა იმ კაცის ბრწყინვალე ხმას. მას გაახსენდა ერთი საღამო დიდი ხნის წინათ. არასოდეს დავიწყებია ის საღამო. საი მღეროდა ცდუნება იყო სახელი და პატივი დიდი: ეს ნედ ლემბერტისას იყო. ღმერთია მოწმე არასოდეს მოუსმენია ასეთი ნოტი ცხოვრებაში არასოდეს და თუ უაღბია, ჯობს რომ დავშორდეთ ღმერთო არასოდეს მოუსმენია ასეთი სუფთა ნათელი რადგანაც ტრფობა არ გიძევს გულში¹²¹ მქლერი ხმა ჰკითხეთ ლემბერტს დაგიმოწმებთ.

გულდინგმა, სიწითლემ რომ გადაუარა მის ფერმკრთალ, უთხრა ბატონ ბლუმს, სახეს იმ საღამოს შესახებ ნედ ლემბერტისას, საი დედალოსმა რომ იმღერა ცდუნება იყო სახელი და პატივი დიდი.

ის, ბატონი ბლუმი, უსმენდა სანამ ის, რიჩი გულდინგი, უყვებოდა მას, ბატონ ბლუმს, იმ საღამოს შესახებ როცა მან, რიჩიმ, მოისმინა როგორ იმღერა მან, საი დედალოსმა, ცდუნება იყო სახელი და პატივი დიდი მის ნედ ლემბერტის, სახლში.

სახლიკაცები: ნათესავები. არაფერს ვამბობთ როს ჩავივლით.¹²² ჩანგი თუ გაიბზარა, ვფიქრობ.¹²³ აბუჩად იგდებს. მაგრამ ნახეთ. მით უფრო მეტად აღმერთებს. იმ საღამოს საი რომ მღეროდა. ადამიანის ხმა, ორი პაწაწინა აბრეშუმის სიმი, გასაოცარი, ყველაზე უფრო მეტად.

ის ხმა გოდება იყო. ახლა უფრო ჩაწყნარებული. სიჩუმეში რომ გრძნობ მესმისო. რხევები. მდუმარე ჰაერი.

ბლუმმა გაინთავისუფლა გადაჯაჭვული ხელები და დუნე თითები თხელ ძალს გამოსდო. გასწია და ჩამოჰკრა. დაიყლარუნა, დაწყარუნდა. სანამ გულდინგი ბერაკლაფის¹²⁴ ხმის მონაცემებზე ლაპარაკობდა, სანამ ტომ კერნანი კვლავ უბრუნდებოდა თავისებური რეტროსპექტული არანჯირებით იმაზე ლაპარაკს თუ როგორ უსმენდნენ მამა კაულის, რომელიც იმპროვიზირებისას თავს აქანცარებდა. სანამ ბიგ ბენ დოლარდი ელაპარაკებოდა საიმონ დედალოსს, რომელიც ჩიბუხს უკიდებდა, რომელიც წევის დროს თავს აქნევდა, რომელიც ეწეოდა.

დაკარგულა. ყველა სიმღერა ამ თემაზეა. ბლუმში კი კვლავ ჭიმავედა თავის სიმს. ულმობელი კია. ჯერ ერთმანეთი შეაყვარე: აცდუნე. მერე გააცალკევე. სიკვდილი. აფეთქ. მეხი თავზე. ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხედისკენ. ადამიანის სიცოცხლე. დიგნამი. უპ, იმ ვირთხას სლიკინა კუდი! ხუთი შილინგი შივეცი. **Corpus paradisum.**¹²⁵ ავისმომასწავებელი ჩხავილი: მუცელი მოწმულს ლეკვს მიუგავს. წავიდა. გალობენ. დაივიწყეს. მეც. და ერთ მშვენიერ დღეს ის მასთან. შიატოვებს: მობეზრდება. მერე ტანჯვა. სლუკუნის. დიდრონი ესპანური თვალეზი სიცარიელეს მიშტერებიან. მისი დაკულულაფუშფუშდაშლილი თმა დაუ ვარცხ: ელი.

და მაინც ძალიან ბევრი ბედნიერი მოწყენილი: უფრო და უფრო დაჭიმა. ოჯახში ბედნიერი არა ხართ? ძინგ. გაწყდა.

დორსეტის ქუჩაზე მიქლარუნდა.

მისს ღუსმა გამოაცალა თავისი ატლასის მკლავი საყვედურით, ნასიამოვნებმა.

— ასე ნუ გათამამდებით, თქვა მან, სანამ უკეთ გავიცნობდეთ ერთმანეთს. ჯორჯ ლიდუელმა უთხრა ნამდვილად და გულწრფელად: მაგრამ მისს ღუსს არ სჯეროდა.

პირველმა ჯენტლმენმა უთხრა მაინას ასეაო. მაინამ იკითხა ასე კიაო. და მეორე კათხამ უთხრა ასე. რომ ეს ასე იყო.

მისს ღუსს, მისს ლიდის არ სჯეროდა: მისს კენედის, მაინას, არ სჯეროდა: ჯორჯ ლიდუელს, არა: მისს ღუ არ იჯერებდა: პირველი, პირველი: ჯენტ. კათხით: გჯერა, არა, არა: არ ჯეროდა, მისს კენს: ლიდლიდიაეპ: კათხა.

აქ აჯობებდა დამეწერა. კალმისტრები ფოსტაში დაღეჭილი და დაღრეცილია.

ანიშნეს, მელოტი პეტი იქვე გაჩნდა. საწერ-კალამი. წავიდა. საშრობი. წავიდა. ჭასაშრობად. გაიგონა, ყრუ პეტმა.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა, თან დაგრეხილი ძალის სიმს აწვალეზდა. რა თქმა უნდა. რამდენიმე სტრიქონი საკმარისი იქნება. ჩემი საჩუქარი. მთელი ეს მაღალფარდოვანი იტალიური მუსიკა... ვისი დაწერილია? რა ქვია თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. ნოტების ფურცელი აიღე, კონვერტი: სუფთა. მეტად დამახასიათებელია.

— საუკეთესო ნომერი მთელს ოპერაში, თქვა გულდინგმა.

— ნამდვილად, თქვა ბლუმმა.

ნომრებია აბა რა. მთელი ეს ნოტები კაცი რომ დაუფიქრდეს. ორჯერ ორი გაყოფილი ნახევარზე ორჯერ ერთია. ვიბრაცია: აკორდებია. ერთს მივუმატოთ ექვსი შვიდია. რიცხვების ეონგლიორობით რასაც ვინდა იმას მიიღებ. მუდამ აღმჩინდება ეს უდრის იმას, მსხალი გალავნის ძირას.¹²⁶ ჩემს შავებს ვერ ამჩნევს. უსულგულა: მარტო საკუთარ ფაშვზე ფიქრობს. მუსიკო მათემატიკა. შენ კი გგონია რალაც ეფემერულს უსმენ. მაგრამ წარმოიდგინე ასეთნაირად რომ გეთქვა: მართა, შვიდჯერ ცხრას გამოვაკლოთ x უდრის ოცდათხუთმეტ ათასს. არ გამომივიდა. ხმოვანებით მიიღწევა.

თუნდაც ახლა რომ უკრავს. იმპროვიზაცია. ნებისმიერი რამ შეიძლება წარმოიდგინო, სანამ სიტყვებს არ გაიგონებ. მახვილი ყურით უნდა უსმინო ძნელია. დასაწყისს არა უშავს: ამის შემდეგ რამდენიმე აკორდი ტაქტიდან ამოვარდნილი: ცოტა დაბნეულად გრძნობ თავს. კასრებზე გადაგორებულ ტომარაში, მავთულბლართებში, რბენა დაბრკოლებებით. დრო ქმნის სიმღერას. გა-

აჩნია რა გუნებაზე ხარ. მაინც მუდამ სასიამოვნოა მოსმენა. გარდა გამებინა, გოგონები რომ სწავლობენ. ორი ერთად კარის მეზობლები. მილის გემოვნება აკლია. უცნაურია რადგან ჩვენ ორივეს მეთქი. *Blumenlied*¹²⁷ რომ ვუყიდე. სახელი. ნელა უკრავდა, გოგონა, იმ საღამოს შინ რომ დავბრუნდი, გოგონა. საჩინბოს კარი სესილია სტრიტზე. ბუტაფორიული ფორტეპიანოები უნდა გამოიგონონ ამისათვის.

ყრუ ტლუ მელოტ პეტმა თან თლა გლუ საშრობი მოიტანა. ყრუ უსმა პეტმა გლუ საშრობი თლა გდუდ დადო. უსმა პეტმა წესი იცის. პეტი მეტი აღარ დარჩა.

ეს ერთადერთი ენა იყო უთხრა ბენს ბატონმა დედალოსმა. მან იგი ბავშვობაში მოისმინა რინგაბელაში, ზეციურ კროსპეივანში, რინგაბელაში, ბარკაროლებს რომ მღეროდნენ. კუინსტაუნის ნავსადგური იტალიური გემებით სავსე. მივსერილობდით, იცით, ბენ, მთვარის შუქზე იმ ქარაფშუტა შლაპებით. ხმებს როგორ უხამებდნენ ერთმანეთს. ღმერთო, ასეთი მუსიკა, ბენ. ბავშვობაში მომისმენია. კროს რინგაბელა ზეციური ბარკაროლა მთვარის სრბოლა.

მყრალი ჩიბუხი მოიცილა, ხელი ტუჩებს გვერდიდან მიაფარა და მთვარის შუქის ძახილი დამეში ჩაიღულუნა, მკაფიო, ახლოდან, ძახილი შორიდან, პასუხად.

ფრიმენის გრაგნილის ბოლო მოსინჯა, ბლუმის სხვა თვალმა თვალი გადაავლო სად ვნახე კელანი, კოულმანი. დიგნამ პეტრიკ. ჰეი! ჰეი! ფოსეტი.¹²⁸ აჰა! სწორედ ახლა ვათვალთვლებდი...

იმედია არ მითვალთვლებს, ვირთხასავით ცნობისმოყვარე. გაშლილი **ფრიმენი** აიფარა. ველარ დაინახავს. არ დამავიწყდეს ბერძნული ე ვიხმარო. ბლუმმა ჩააწო, ბლუმ ჩაიბურტ: ძვირფასო სერ. ძვირფასმა ჰენრიმ დაწერა: ძვირფასო მედი. მივიღე თქვენი წერ და ყვავ. ნეტა სად ჯანდაბაში ჩავდე? ჯიბ ან სხვაგ. ეს სრულ შეუძ. ხაზი გაუსვი შეუძ. დაიწეროს დღეს.

მოსაწყენია. მოწყენილი ბლუმი ნელა უტყაპუნებდა ჩემთვის ვფიქრობ თითებით მიტანი პეტის მიტანილ საშრობს.

განაგრძე. გესმით რისი თქმა მინდა. არა, შეცვალე ეგ ე. მიიღეთ ჩემი უმნიშვნელო ღარიბული საჩუქ. პასუხს ნუ მოსთხ. მოიცა. ხუთი დიგ.¹²⁹ და ახლოებით ორი ამაში. პენი თოლიები. ელია მოდ. შვიდი დეივი ბირნი. და ახლოებით რვაა. ვთქვათ ნახევარი კრაუნი. ჩემი ღარიბული საჩუქ: საფოსტო ჩეკი ორნახევარი. მომწერეთ გრძელი. გეზიზღებათ? ელარუნი, ხომ არ გაქვთ? ისე აგზნებული. რატომ მეძახით ცუდს? თქვენც ცუდი ხართ? მარიამ იცის ნიფხვის ტოტების.¹³⁰ დღეისთვის იყიდე. დიახ, დიახ, გეტყვით. მინდა. რომ არ ჩავარდეს იგი. ის მეორე მიწოდეთ. სხვა ქვეყანა რომ დაწერა. მოთმინების ფიალა ამევსო. რომ არ ჩავარდეს იგი. უნდა დამიჯეროთ. დამიჯერეთ. ლუდის კათხა. დიახ. სწორედ. ნამდვილად.

სისულელეს ვწერ? ქმრები არა. ეს ქორწინებაა რომ, მათი ცოლები. იმიტომ რომ არ ვცხოვრობ. შესაძლოა. მაგრამ როგორ? ის უნდა. ახალგაზრდა დარჩეს. თუ გამიგო. ბარათი, ჩემი უმალლესი ხარისხის ქუდ. არა, ყველაფრის თქმა არ არის საჭირო. უაზრო ტკივილი. თუ ვერ ამჩნევენ ქალები. კაცების საკმაზი.

სამგზავრო ეტლი, ნომერი სამას ოცდაოთხი, მეეტლე ბარტონი, ჯეიმზი. პარმონი ავენიუ, ნომერი პირველი, დონიბრუკი, ცეცხლი რომ გაუჩნდა, ახალგაზრდა ჯენტლმენი, ინდიგოსფერ სარჯის კოსტუმში გამოწყობილი, ჯორჯ რობერტ მესიას მიერ შეკერილი, თერძი, დერციკი, იდენის სანაპირო ნომერი

ხუთი, და მოდური ჩაღის ქუდით, ნაყიდი ჯონ პლასტოსთან, გრეიტ ბრანზუ-
იკ სტრიტი, ნომერი პირველი, ჭონი. ჰა? ეს ის ქლარუნაა რომელიც ქლარუნ-
ქლარუნით მიქლარუნობდა. გავასრულმა ფაშატმა დლუგაჩის ღღრის ზორცის
დუქანთან აგუდათის სარეკლამო გრაგნილებს ჩორთით ჩაუარა.

— რეკლამის შესახებ წერთ? კითხეს ბლუმს რიჩის ბასრმა თვალებმა.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა. კომივოიაჟორი. არაფერიც — მაქნისცქქქე
მგონი.

ბლუმმა ჩაიბურტ: საუკეთესო რეკომენდაციები. ჰენრი კი წერდა: ეს
ამაღელვებს. ახლა თქვენ იცით. სიჩქარეში. ჰენრი. ბერძნული ე. აჯობებს
პოსტ სკრიპტუმი მივაწერო. ახლა რას უკრავს? ინტერმეცოს იმპროვიზაცია.
P. S. რამ ტამ ტამ. როგორ დამსჯ? დამსჯით? დაბრეცილი ქვედატანი უფრია-
ლებს, ეტყლაშუნება. შემატყობინეთ მინდა. ვიცოდე. რა თქმა უნდა, თუ არა
არც ვიკითხავდი. ლა ლა ლა რე. ფრაზის სევდიანი ბოლო მინორში. რატომ
სევდიანი მინორი? ხელი შოაწერე ჰ. სევდიანი დაბოლოვება უყვართ. P. P. S.
ლა ლა ლა რე. ძალიან მოწყენილი ვარ დღეს. ლა რე. ძალიან მარტოხელა.
ღო.

სწრაფად დააშრო პეტის საშრობით. კონვერ. მისამართი. პირდაპირ გაზე-
თიდან გადმოწერე. ჩაიბურტყუნა: ბატონები კელანი, კოულმანი და კომპანია.¹²⁸
ჰენრიმ დაწერა:

მისს მართა კლიფორდს
მოთხოვნამდე.
დოლფინ ბარნ ლეინი
დუბლინი.

მეორეთი დააშრე რომ ვერ წაიკითხოს. ასე. კარგი იქნებოდა საკონკურსო
მოთხრობისათვის. რაიმე დეტექტივი, ამოკითხვა საშრობიდან. ჰონორარი გინეა
სვეტში. მეჩემი ხშირად ფიქრობს მომცინარი ჯადოქარი.¹³¹ საბრალო ქალბა-
ტონი პიურფოი. ჭ. ჭ.: ჭოჭი.

მეტად პოეტური ნათქვამია სევდაზე. მუსიკამ ქნა ეს. მუსიკას აქვს გრძნე-
ულება. თქვა შექსპირმა.¹³² ციტატები წლის ყოველი დღისთვის.¹³³ ყოფნა არ
ყოფნა. სიბრძნე დროის მოსაკლავად.

ჯერარდის ფეტერ ლეინის ვარდნარში დასეირნობს, ჭალარაწითურთმიანი.¹³⁴
ერთხელ ვცხოვრობთ. ერთი სხეული გვაქვს. მაშ მიდი. გააკეთე.

მაინც გაკეთდა. ფულადი გზავნილის მარკა. ფოსტა აქგეა. წადი. გეყო.
მათ ბარნი კირნანისას¹³⁵ დავპირდი შეხვედრას. მეჯავრება ეგ საქმიანობა.

გლოვის სასახლე. წადი. პეტ! არ ესმის. ყრუ ხოჭოა ეგ ჩემი ცოდვით სავსე.

ეტლი ახლა უკვე მიუახლოვდა. ილაპარაკე. ილაპარაკე. პეტ! არ ესმის.
ხელსახოცებს ალაგებს. კაი დიდი მანძილი უნდა დაფაროს დღის განმავლო-
ბაში. დაახატე სახე უკანიდან და ორი იქნება. ნეტა კიდევ ემღერათ. აღარ ვი-
ფიქრებდი.

მელოტი პეტი ხელსახოცების ხელგრაგნილად გაწყობაშია გართული. პე-
ტი მიმტანია ყურს რომ აკლია. პეტი მიმტანია რომელიც მიიტანს რაც მისა-
ტანია. ჰი ჰი ჰი ჰი. ის მიიტანს რაც მისატანია. ჰი ჰი. ის მიმტანია. ჰა
ჰა ჰა ჰა. ის მიიტანს რაც მისატანია. თუ მოატანიხე რასაც მოატანიხე ის
მოიტანს რაც მოსატანია. ჰი ჰი ჰი ჰი. უჰ. მოიტანს მოსატანს თუ მოატანიხე.

ახლა დუსი. ლიდია დუსი. ბრინჯაო და ვარდი.

შესანიშნავი, ჭეშმარიტად შესანიშნავი, დრო ატარა. ერთი შეხედვით როგორი კობტა ნიჟარა ჩამოიტანა.

ბარის ბოლოს მსუბუქად მიიტანა მასთან წოწოლა დახვეული ზღვისსაყვირა რათა მას, ჯორჯ ლიდუელს, ვეჭილს, მოესმინა.

— უსმინეთ! უბრძანა მან.

ტომ კერნანის ჯინით შეხურებულ სიტყვებს აკომპანირებდა ჩაახვია მუსიკა. ნამდვილი ამბავი. როგორ დაკარგა უოლტერ ბებტიმ¹³⁶ ხმა. დიახ, სერ, ქმარი სწვდა ყრონტში. არამზადავ, თქვა მან, ველარასოდეს დაამღერებ სატრფიალოს. ასე მოიქცა, სერ ტომ. ბობ კაულიმ ჩაახვია. ტენორები ჩანგლავენ ქალ. კაული უკან გადაიხარა.

აჰ, ახლა ესმის, მისს დუსმა ზედ ყურთან რომ მიუტანა. მესმის! გაიგონა. შესანიშნავია. მისს დუსმა საკუთარ ყურთან მიიტანა და გაბნეულ სხივებში მკრთალი ოქრო კონტრასტულად შეცურდა. მოსასმენად.

კაკ-კუკ.

ბლუმში ბარის კარიდან ხედავდა მათ ყურებთან მიტანილ ნიჟარას. მას უფრო სუსტად ესმოდა ის რაც ესმოდათ მათ, თითოეულ მათგანს მხოლოდ თავისთვის, შემდეგ თითოეულ მათგანს სხვისთვის, ესმოდათ ტალღათა ტყლაშუნი, ხმამალლა, ჩუმი ღრიანცელი.

ბრინჯაო მიმქრალი ოქროს გვერდით, იქვე, შორიახლოს, უსმენდნენ.

მისი ყურიც ნიჟარაა, გამოშვერილი ბიბილოთი. ზღვაზე იყო. კობტა ზღვისპირა გოგონები. შებრაწული კანი. ჯერ სახის კრემი უნდა წაესვა ყავისფრად რომ მოკიდებოდა. კარაქწასმული შებრაწული პური. პო, ის ლოსიონი არ დამავიწყდეს. თრთოლვა მის ტუჩებთან. თავი გიბრუს. ბაფთაშეკრული თმა; ზღვისმცენარეებიანი ნიჟარა. რატომ მაღავენ ყურებს ზღვისმცენარეებათმით? თურქები კი პირებს, რატომ? მისი თვალები ზეწრის ზემოდან, ჩადრი. თუ შეაღწევ? გამოქვაბული. კერძო პირთა შესვლა აკრძალულია.

ზღვა, რომ ჰგონიათ რომ ესმით. მღერის. ღრიანცელი. სისხლი ხომ არაა. ზოგჯერ ყურში წყალი რომ ჩაგივა. არადა, ზღვაა. მოლეკულების კუნძულები.¹³⁷

მართლა შესანიშნავია. გარკვევით ისმის. ისევ. ჯორჯ ლიდუელმა ყურზე მიიკრა მისი ჩურჩული, უსმენდა: მერე გადასდო, ფრთხილად.

— რას ამბობენ ველური ტალღები?¹³⁸ ჰკითხა მან ლიდიას, ღიმილით.

მომხიბლვმა, ზღვამღიმარმა და უსიტყვო ლიდამ ლიდუელს გაუღიმა.

კაკ-კუკ.

ღერი ო რურკისტან, ღერისტან, მამაცი ღერი ოზოილანი დაირწა და ბოილანმა შეუხვია.

მიტოვებული ნიჟარიდან მისს მაინა ლუდის მომლოდინე კათხებისაკენ გაღივლივდა. არა, ის არც ისე მარტოხელა იყო, კეკლუცად აგრძნობინა მისს დუსის თავმა ბატონ ლიდუელს. მთვარის შუქზე სეირნობს ზღვისპირას. არა, მარტო არა. ვისთან? მან ამაყად უპასუხა: მეგობარ ჯენტლმენტან ერთად.

ბობ კაულის ცქვიტი თითები კვლავ დისკანტურ გასაღებში უკრავდნენ. სახლის პატრონს უპირატესობა გააჩნია. ცოტა დრო. წოპე ჯონი. ბიგ ბენი. მსუბუქად დაუკრა მსუბუქი ნათელი ელერადი ტაქტი მსწრაფლფეხა კეკლუცა მცინარ ქალბატონებისათვის. და მათი კავალერებისთვის, ჯენტლმენი მეგობრებისთვის. ერთი: ერთი, ერთი, ერთი, ერთი ერთი: ორი, ერთი, სამი, ოთხი.

ზღვა, ქარი, ფოთლები, ქუხილი, წყლები, ძროხების ბღავილი, საქონლის ბაზარი, მამლები, დედლები არ ყოვიან, გველები სისსინებენ. მუსიკაა ყველგან. რატლეჯის კარი: ჭრიალებს იი. არა, ეს ხმაურია. დონ უჟანის მენუეტს უკრავს ახლა. ციხე-კოშკის დარბაზებში ყველა ჯურის სამეფო კარის კაბები ცეკვებენ. ღატაკობა. გარეთ გლებები. ჩამწვანებული მშიერი სახეები მკაუნას ღებავენ. მშვენიერია. შეხეთ: შეხეთ, შეხეთ, შეხეთ, შეხეთ, შეხეთ. შეხეთ-შეხეთ-შეხეთ-შეხეთ-შეხეთ.

ვგრძნობ რომ სასიამოვნოა. არასოდეს დამიწერია. რატომ? ჩემი სიამოვნება სხვა სიამოვნებაა. ორივე კი სიამოვნებაა. კი, სასიამოვნო იქნება. თვით ის რომ ეს მუსიკაა ნიშნავს რომ შენ. ხშირად მიფიქრია, დარდიანი იყო ხოლმე სანამ სიმღერას დაიწყებდა. და აი ახლა.

მაკკოის ჩემოდანი. ჩემი ცოლი და თქვენი ცოლი. მჩხავანა კატა. თითქოს აბრეშუმს ფხრეწავსო. სამჭედლოს საბერველის ჭრიალივით რომ გააბამს ლაპარაკს. მამაკაცებივით ვერ ეხერხებათ პაუზა. რალაც სიცარიელეც არის მათ ხმაში. ამავესე. თბილი ვარ, ბნელი, ღია. მოლი *quis est homo: Mercadante-ში*.¹³⁹ კედელს მიყურადებული ჩემი ყური. გვესაჭიროება ქალი საყიდლების ბინაზე მისატანად.

ჯახ ჯუხ ჯახაჯუხით გაჩერდა. დენდი ბოილანის დარდიმანდი ფეხსაცმელები ცისფერისრიანი წინდებით მსუბუქად გადმოვიდნენ მიწაზე.

ოო, შეგვხედეთ ჩვენ როგორი კამერული მუსიკა. შეიძლება რალაც სიტყვის თამაშით გამომივიდეს. ეს ისეთი მუსიკაა რომელზეც ხშირად მიფიქრია, როცა მოლი. აკუსტიკაა. ჩხარუნი. ცარიელი ჭურჭელია რომ უფრო მეტად ხმაურობს. აკუსტიკის გამო, რეზონანსი შესატყვისად იცვლება ისევე როგორც წყლის წონა ვარდნილი წყლის კანონს რომ უდრის. ლისტის უნგრული რაფსოდებივით, ბოშათვალება. მარგალიტები. წვეთები. წვიმა. ტაპ ტაპ ტიპ ტიპ ტოპ ტოპ. პიის. ახლა. იქნებ ახლა. იქამდე.

მავანმა კარზე რაკუნით დაარაკუნა, რაკარუკით აკაკუნებს პოლ დე კოკი ხმამალალი ამაყი საკაკუნებლით, მამლის ყიყლიყოთი, ლოთიანი მამალი სამალლით.

კაკ-კუკ.

— *Qui sdegno*,¹⁴⁰ ბენ, თქვა მამა კაულიმ.

— არა, ბენ, ჩაერია ტომ კერნანი, გაკრეჭილი ბიჭუნა. ჩვენი მშობლიური დორიული დიალექტი.¹⁴¹

— ჰა, მიდი, ბენ, თქვა ბატონმა დედალოსმა. კეთილო და მართალო ადამიანებო.¹⁴²

— მიდი, მიდი, შესთხოვეს ერთხმად.

წავალ. აქეთ, პეტ, მობრუნდი. მოდი, მოვიდა, მოვიდა, არ დარჩა. ჩემთან. რამდენი?

— რა ტონალობაში? ექვსი დიეზი?

— ფა დიეზ მაჟორი, თქვა ბენ დოლარდმა.

ბობ კაულის გაშვერილმა თითებმა შავი ღრმადმეღერი აკორდები აიღო.

უნდა წავიდე უთხრა თავადმა ბლუმმა რიჩი თავადს. არა, თქვა რიჩიმ. კი, უნდა წავიდე. სადღაც ფული იშოვნა. წელმოსაწყვეტ ქეიფს იწყებს. ბევრი? ყურთხედავს ტუჩსიტყვას. ერთი და ცხრა. პენი შენთვის დაიტოვე. აი. ორი პენი აჩუქე. ყრუ, მელოტი. მაგრამ იქნებ ცოლ-შვილი ჰყავს მიტანას რომ

უცდიან, მიმტანო პეტი მოდი შინ. ჰი ჰი ჰი ჰი. ყრუ ვინც აქ იცდის იმას მიუტანს სანამ ისინი მიტანას უცდიან.

მაგრამ მოიცა. უსმინე. ბნელი აკორდები. სევდისევდასევდიანი. სორმეში. ბნელი მიწის გულის გამოქვაბულში. ღრმად ჩაწოლილი ძვირფასი მადანი.⁴¹ თვითნაბადი მუსიკა.

ხმა ბნელი საუკუნისა, უმიჯნურობისა, მიწის გამოთქმული მადლი უახლოვდებოდა, და დაქანცული, შორით მოსული, ჭალარა მთებიდან, მოუწოდებდა კეთილ და მართალ ადამიანებს. მოძღვარს ეძებდა, სიტყვა ჰქონდა მასთან სათქმელი.¹⁴³

კაკ-ქუქ-

ბენ დოლარდის ხმა კასრიტონი. ცდილობს რაც ძალი აქვს. დიდი უკაცური უმთვარო უქალმთვარო ჭაობის ბუყბუყი. კიდევ ერთი მარცხი. ერთ დროს დიდად საქმიანობდა გემების სავაჭროში. მახსოვს: გაპოხილი თოკები, გემების ფარნები. ათი ათასი ვირვანქის ზარალი ნახა. ახლა აივას საქველმოქმედი საცხოვრებელშია.¹⁴⁴ ოთახი ნომერი ესა და ეს. ბასის მაგარმა ლუღმა უყო ეს.

მოძღვარი შინაა. ცრუმოძღვარის მსახურმა შეიპატიჟა. შევიდა. წმინდა მამაო. სალამ-სალამით მოლალატე მსახურმა. ხუჭუჭხმიანი აკორდები.

დააქციე. დაღუბე. მერე თავშესაფრის ოთახები აუშენე, შიგ რომ დალიონ თავისი დღენი. ნანა ცუგო. ნანინა. მოკვდი, შე პაწაწინა.

გაფრთხილების ხმამ, პირუქმმა ხმამ ამცნო მათ, რომ ყმაწვილი ცარიელ დარბაზში შევიდა, ამცნო მათ თუ როგორ პირქუშად მიაბიჯებდა, ამცნო მათ პირუქ ოთახზე, აღსარების მოსასმენად მომზადებულ შემოსილ მოძღვარზე.

წესიერი სული. ცოტა დაჩლუნგდა ახლა. ჰგონია პოეტების სურათ-გამოცანას მოიგებს პასუხებში.¹⁴⁵ ხუთგირვანქიან ტკაცუნა ასიგნაციას მოგართმევთ. ჩიტი ბუდეში კვერცხებზე ზის. იფიქრა უკანასკნელი მენესტრელის სიმღერააო.¹⁴⁶ კანი ტირე ანი რომელი შინაური ცხოველი? ტარი ტირე რაე ყველაზე მამაცი ზღვაოსანი. კარგი ხმა შემორჩა. ჯერ კიდევ საჭურისი არ გამხდარა მთელი თავისი ავლადიდებით.

უსმინე. ბლუმში უსმენდა. რიჩი გულდინგი უსმენდა. და კართან ყრუ პეტი, მელოტი პეტი, მიმტანი პეტი, უსმენდა.

აკორდებმა ჟღერა შეანელეს.

მონანიებისა და მწუხარების ხმა შენელდა, მორთოლვარე, შემკული. ბენის მომნანიებელი წვერი აღსარებას ამბობდა: *in nomine Domini*, სახელითა უფლისათა. დაიჩოქა. გულში მუშტს იცემდა, აღსარებას ამბობდა: *mea culpa*.¹⁴⁷

კვლავ ლათინური. ჩიტების საჭერი წებოსავით აკავებს მათ. მოძღვარი ზიარების ნაწილებით ქალებისათვის. ყმაწვილი კაცი მორგში, კუბო თუ კიბო, *corpusnomine*¹⁴⁸. საინტერესოა სად არის ახლა ვირთხა. ძრომიალა.

კაკ-ქუქ-

უსმენდნენ: ლუდის კათხები და მისს კენედი, მისკენ მკერდსავსე ატლასისკენ ჯორჯ ლიდუელი ჭყიმა თვალით გრძნობამორეული რომ იჭყიტებოდა, კერნანი, საი.

თილისმის სევდის სიმღერა ისმის. ისმის მისი სევდიანი კისკისი. ის კი სამჯერ შობის აქეთ შეაწუხა სინდისმა, როცა უშნოდ შეიგინა შე შობელძალლოო. და ერთხელ ლოცვის ჟამს გულმა სათამაშოდ გაუწია. ერთხელაც ეკლესიის ეზოს ჩაუარა და დედის მომაკვდავი სულისათვის კი არ ილოცა.¹⁴⁹ ბიჭუნა. გაკრეჭილი ბიჭუნა.

ბრინჯაომ, ლუდის ჩამოსასხმელთან რომ უსმენდა, შორს გაიხედა. სულანად. არც კი იცის რომ მე. მთლი დიდი მცოდნეა იმისა, თუ როგორ უყურებს შავანი რაიმეს.

ბრინჯაო შორს იცქირებოდა ცერად. იქ სარკეა. ეს მისი სახის საუკეთესო მხარეა? ყოველთვის იციან. კაკუნი კარზე. კობწიობის უკანასკნელი დეტალი უიყლიყო.

რას ფიქრობენ როცა მუსიკა ესმით? ჩხრილა გველის დასაქერი საშუალება. ის საღამო, მაიკლ განმა¹⁵⁰ ლოყა რომ დაგვითმო. ინსტრუმენტების აწყობა. სპარსეთის შაჰს ეს ყველაზე მეტად მოეწონა. სამშობლოს აგონებს, ტკბილ სამშობლოს. ცხვირიც შეახოცა ფარდას. წესია ალბათ მის ქვეყანაში.¹⁵¹ ესეც მუსიკაა. არც ისეთი უხეირო როგორც გვესმის. ფლეიტის ჩუმი ხმები. სპილენძის საყვირები დრუნჩაპრეხილი ვირებივით ყროყინობენ. უნიათო კონტრბასები, ღრმა ნაიარევი ფერდებით. ხის სასულე საკრავები ბლავილა ძროხები. პატარა ახდილი როიალი ნიანგის ხახა. მუსიკის ჩანები. გამახსენდა ვინ... ვინ... გუდვინ.

შესანიშნავად გამოიყურებოდა. ის ზაფრანისფერი კაბა ეცვა, ღრმად ამოჭრილი, მთელი ავლადიდება გამოფენილი ჰქონდა. მიხაკის სუნი მცემდა ყოველთვის როცა შესაკითხად გადმოიხრებოდა ხოლმე თეატრში. ვუყვებოდი რას ამბობს სპინოზა საწყალი მამაჩემის იმ წიგნში.¹⁵² მისმენდა, მოჯადოებულად. ასეთი თვალებით. გადმოიხარა. ყმაწვილი ბელეტაჟიდან გაფაციცებით ჩაჰყურებდა თავისი თეატრალური ბინოკლით. მუსიკის გემო რომ გაიგო ორჯერ უნდა მოისმინო. ქალის ბუნება ნახევარხედვა. ღმერთმა შექმნა ქვეყანა, კაცმა ჰანგი.¹⁵³ მეტემფსიქოზის. ნეტა ვინ კოცნის. ფილოსოფია. სისულელეა!

ყველა წავიდა. ყველა დამარცხდა. როსის ალყაში მამამისი, გორისთან მისი ყველა ძმა დაეცა.¹⁵⁴ უექსფორდისაკენ, უექსფორდელი ბიჭები ვართ, ის უნდა. მისი გვარისა და მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენელი.

მეც, ჩემი მოდგმის უკანასკნელი. მილი ახალგაზრდა სტუდენტი. ალბათ ჩემი ბრალია. ვაჟი არა მყავს. რუდი. ახლა რაღა დროსია. და თუ არა? თუ არა? თუ ისევ?

სიძულვილი გულში არ ჩაუდვია.

სიძულვილი. სიყვარული. ეს სახელებია. რუდი. მალე დავბერდები.

ბიგ ბენი, მისი ხმა გაიშალა. დიდებული ხმაა, უთხრა რიჩი გულდინგმა, სიმკრთალე შეეფაკლა, ბლუმს, მალე ბებერი. მაგრამ როცა ახალგაზრდა ვიყავი?

ახლა ირლანდია წამოვა. ჩემი ქვეყანა მეფეზე მეტად. ის ისმენს. ვის ეშინია ათას ცხრაას ოთხის ხსენება?¹⁵⁵ ის დროა დავითესო. კმარა რასაც ვუყურე.

— დამლოცე მამაო, წამოიძახა დოლარდმა გაკრეჭილმა. დამლოცე და გამიშვი.

გამიშვი.

ბლუმმა გაიხედ-გამოიხედა, არავინ ულოცავდა გზას. მომაკვდინებლად გამოპრანჭულა: თვრამეტი შილინგით კვირაში.¹⁵⁶ ყმაწვილები ჭიბეს იფხეკენ. თვალყური დაჰყვებილი უნდა გქონდეს. გოგონები, გოგონები.¹⁵⁷ ზღვის სევდიან ტალღებთან.¹⁵⁸ გუნდის მომღერალი ქალის რომანი. ქორწინების პირობის მამხილებელი წერილების გამომზეურება. გიყმაყის საკუთარი გულსუნდასული-კოსავან. სიცილი სასამართლო დარბაზში. პენრი. მე ხელი არ მომიწერია. რა ლამაზი სახელი გქვი.

აკორდებმა დაადასტურეს. დიდად სამწუხაროა. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

გადი სანამ დამთავრდება. გმადლობთ, ღვთაებრივი იყო. სად არის ჩემი ქული. ლიდიას ჩაუარე. ფრიმენი შემიძლია დავტოვო. წერილი მე მაქვს. იქნებ ის? არა. წადი, წადი, წადი. როგორც კეშელ ბოილო კონსტანტინის-დალ მორის ტისნტდალ ფარელი. წააადი.¹⁵¹

მიწყდა მუსიკა, ჰანგიც და სიტყვებიც. მერე აჩქარდა. ცრუ მოძღვარი შარიშურით რომ იძრობს ანაფორას. იომენი კაპიტანი. სულ ზეპირად იციან. ნერვების ლიტინის ხოში აქვთ. იომენი კაპ.

კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

ყურადქცეული ლიდიათოლოგით გადმოხრილიყო რომ გაეგონა.

უმეტყველო სახე. მე ვიტყვოდი ქალწულის: ანდა მხოლოდ თითდაკარებულის. დაწერე ზედ რამე: სუფთა ფურცელი. თუ არა და რა ემართებათ? დაცემა, იმედგაცრუება. ახალგაზრდობას უნარჩუნებს. თვითონაც კი ალტაცებულნი არიან. შეხედე. დაუკარი ზედ. ტუჩდაუკარებლად. ქათქათა ქალის სხეული, ცოცხალი ფლეიტა. ნაზად ჩაბერე. ხმამაღლა. ყველა ქალს სამი ხერელი. ქალღმერთებს ვერ შევხედე. მათ უნდათ. მაინც უზრდელობაა. იმიტომ არის რომ ჩანგლავს. ჯიბეში ოქრო და სახეზე სპილენძი. თვალი თვალში: უსიტყვო სიმღერები.¹⁵⁹ მოლი და ის მეარღნე ბიჭი. იცოდა იმის თქმა სურდა მაიმუნი ავად არისო. ან იქნებ იმიტომ. რომ ასე გავდა ესპანელს. ცხოველებისაც ასე ესმით. სოლომონს ესმოდა. ბუნების ჭილდო.

მუცელმოგვობა. ჩემი ტუჩები მოკუმულია. ვფიქრობ სტომაქით. რაო?

გინდა? შენ? მე. გინდა. შენ. რომ.

იომენმა ტლანქი უზრდელო გაშმაგებით შეიგინა. აპოპოლექსური შეტევისაგან გასიებული ძაღლის გავარდნილი. კარგი ქენი, ბიჭო, რომ მოხვედი. კიდევ ერთ საათს იცოცხლებ, უკანასკნელს.

კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

ახლა თრთოლვა. სიბრაღულს გრძნობენ. ცრემლის მოწმენდა წამებულთათვის რომელთაც სწყურიათ, კვდებიან ისე სწყურიათ სიკვდილი. ყველა მათთვის ვინც კვდება, ყველა მათთვის ვინც იბადება. საწყალი ქალბატონი პიურფოი. იმედია მორჩა. თორემ მათი საშოები.

ქალის თვალის გუგაში ჩამბალი საშო წამწამების მესერიდან იცქირებოდა, მშვიდად, სმენად ქცეული. თვალის ნაღდ სილამაზეს მაშინ ხედავ, როცა ქალი სდუმს. იმ მდინარეზე. მკერდის ტალღისაგან ატლასის ყოველ ადელვებაზე (მისი მღელვარე სიფუშფუშე)¹⁶⁰ წითელი ვარდი ნელა იწევდა ზევით. წითელი ვარდი ვარდებოდა. გულისცემაა მისი სუნთქვა: სუნთქვა სიცოცხლეა. და იმ პაწია პაწია გვიმრისფოთლებს ქალწულის თმა ათრთოლებდა.

მაგრამ შეხედე. ვარსკვლავნი ჩაჰქრნენ.⁸² ოო, ვარდი, კასტილიის. დილა.

ჰა, ლიდუელს. მაშ მისთვის და არა. თავბრუ დამახვია. მომწონს? აქედან მაინც ვხედავ. ხმაურით ამოგდებული საცობები, ლუდის ქაფის შხეფები, ცარიელი ბოთლების გროვა.

ლუდის კათხის გამოშვერილ გლუვ სახელურს ოდნავ ეხებოდა ლიდიას ხელი, პუტკუნად, მეჭიროს ხელში. ყველაფერი გაკრეჭილისადმი თანაგრძნობამ მოიცვა. იქით, აქეთ: აქეთ, იქით: გაკრიალებულ ზედაპირზე (მან იცის მისი თვალები, ჩემი თვალები, საკუთარი თვალები) თანაგრძნობით დაცურავდნენ მისი თითები: გაცურდებოდნენ, შეჩერდებოდნენ და ისე ნაზად, გლუვად

დაცურდებოდნენ, ნელა, ქვევით, სადაც ცივი მაგარი თეთრი ემალის ღილაკი გამოჩრილიყო სიბ სათითო რგოლში.

მამლის ყიყლიყიყლიყოთი.

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

მე ამ სახლის ბატონ-პატრონი ვარ. ამინ. კბილებს აკრატუნებდეს ვეღვე-ბული. მოლალატეები სახრჩობელაზე.

არა, მე უნდა. მიდიხარ თუ არა? მიდუნდხო ბლმწდგა. აყვაგებულ ჭვა-ვის ყანაში. ბლუმი წამოდგა. ოპ. საპონი მიმწებებია უკან. ალბათ გავოფლი-ანდი: მუსიკა. ლოსიონი, არ დამავიწყდეს. აბა, კარგად მენახეთ. უმაღლესი ხარისხის. შიგ ბარათია. ხო.

ყრუ პეტს კარებში დაძაბულ ყურს ჩაუარა ბლუმმა.

იმ ახალგაზრდამ ჯინივას ყაზარმაში დალია სული. გვამი მისი პესიჯს დაკ-რძალეს. Dolor!¹⁶² აპ, დოლორეს! მგლოვიარე მგალობელი სამგლოვიარო ლოც-ვისაკენ მოუხმობდა.

ვარდის გვერდით, სატინის მკერდის, მოალერსე ხელის, ნარეცხის, ცარი-ელი ბოთლების, დაძრობილი საცობების გვერდით, სალამ-სალამით, თვალებსა და ქალწულ თმას ბრინჯაოსა და მიმქრალ ოქროს ლურჯზღვისსიღრმეში, ჩაუ-არა ბლუმმა, წყნარმა ბლუმმა, მე ისეთი მარტოხელა ვარ ბლუმმა..

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

შეავედრეთ სული მისი, შეევედრა დოლარდის ბანი. და თქვენ ვინაც ისმენდით მშვიდობით. აღმოგხდეთ ლოცვანი, დაღვარეთ ცრემლი, კეთილო ადამიანებო, კეთილო ხალხო. ის გაკრეჭილი ბიჭუნა იყო.

ჯაშუშისაგან შიშნაჟამ გაკრეჭილ მიყურადებულ ბლუმბიჭუნას ორმანდის ჰოლში მოესმა ბრავოს შეძახილები და გრუხუნნი, მსუქან ბეჭებზე წატყაბუ-ნება, მათი, არა ბიჭის, ბიჭები. მერე ყველანი ერთად მთელი ამ ამბის ჩასა-რეცხად მიდგნენ. კიდევ კარგი ავირიდე.

— მოდი, ბენ, წამოიძახა საიმონ დედალოსმა. ღმერთმანი, ისევ ძველე-ბური ბენი ხარ.

— უკეთესი, თქვა ტომჯინ კერნანმა. ამ ბალადის საუკეთესო შესრულება, სინდისს ვფიცავარ.

— ლაბლაში,¹⁶³ თქვა მამა კაულიმ.

ბენ დოლარდმა ბაჯბაჯით წაიკაჩუჩა¹⁶⁴ ბარისაკენ, ქებით მაგრა გაჭერებუ-ლი და სახეგაბრწყინებული, მძიმეტერფიან ფეხებზე მოქანავე, ნიკრისიანი თითებით კასტანეტებს ატკაცუნებდა.

დიდი ბენაბენ დოლარდი. ბიგ ბენბენ. ბიგ ბენბენ.

რრრ.

და ყველა გულღვიძლაჩუყებული იყო, საიმონი თანაგრძნობას გამოსცემ-და თავის სტვირცხვირიდან, ყველა იცინოდა, წინ გამოიყვანეს, ბენ დოლარდი. ეშხში შესული.

— ლოყები აგწითლებია, ჯორჯ ლიდუელმა თქვა.

მისს დუსმა თავისი ვარდი მოაწესრიგა რომ მომსახურებოდა.

— ბენ, შენ გენაცვალე, ბენ, თქვა ბატონმა დედალოსმა, თან მსუქან ბეჭზე ხელი დაჰკრა. კარგ ჯანზეა, ოლონდ ბლომად ქონი ადევს მთელ მის პერსონას.

რრრრრსსს.

— სიკვდილის ქონი, საიმონ, დაიგმინა ბენ დოლარდმა.

რიჩი გაბზარული ჩანგი¹²¹ მარტო იჭდა: გულდინგი, კოლისი, უორდი. გაურკვეველად ელოდა. პეტიც ელოდა გარჯის ვასამრჯელოს.

კაქ-კუქ კაქ-კუქ კაქ-კუქ კაქ-კუქ

მისს მაინა კენედიმ ტუჩები კათხის ტუჩთან მიიტანა.

— ბატონი დოლარდი, ჩუმად ჩაიბუტბუტეს მათ.

— დოლარდი, დაიბუტბუტა კათხამ.

კათხ სჯეროდა: მისს კენ როცა-მან: ის დოლ იყო იგი: მისს დოლ: კათხ.

მან ჩაიბუტბუტა რომ ეს გვარი იცოდა. ეს გვარი ეცნაურა, ესე იგი. მას

ესე იგი გაეგონა გვარი დოლარდი, დოლარდი, არა? დოლარდი, დიახ.

დიახ, მისმა ტუჩებმა უფრო ხმამაღლა წარმოსთქვეს, ბატონი დოლარდი.

ეს სიმღერა მშვენივრად იმღერა, წაიბუტბუტა მაინამ. ბატონი დოლარდი. და

ზაფხულის უკანასკნელი ვარდი³¹ მშვენიერი სიმღერა იყო. მაინას უყვარდა ეს სიმღერა. კათხას უყვარდა სიმღერა რომელიც მაინას.

ეს ზაფხულის უკანასკნელი ვარდი დოლარდმა გრძნობით დაუტოვა ბლუმში გრძნობდა ქარები დაუტრიალდნენ გვამში.

ეს სიდრი მეტად გაზიანი რამაა: კუქის შემკვრელიც. მოიცა. ფოსტა რუბენ ჯ-ს მახლობლად კიდევ ერთი და რვა პენი. თავი უნდა შეიკავო. დოჯი გრიკ სტრიტის კუთხეში. ნეტა შეხვედრას არ დავპირებოდი. სუფთა ჰაერზე უფრო თავისუფლად გრძნობ თავს. მუსიკა. ნერვებს გიშლის. ლუდისყლები. ხელი რომელიც აკვანს არწევს. ბენ ჰაუთი. რომელიც ქვეყანას განაგებს.¹⁶⁵

შორს. შორს. შორს. შორს.

კაქ-კუქ კაქ-კუქ კაქ-კუქ კაქ-კუქ

ლაიონელეოპოლდი,¹⁶⁶ ცუდი პენრი სანაპიროს მიჰყვებოდა მედისთან მიწერილი წერილით, ცოდვათა სიამენით სამშვენიესებით რაულისათვის მეტემფსიქოზის. ნეტა ვინ კოცნისით მიჰყვებოდა გზას პოლდი.

კაქ-კუქ ბრმა მიდიოდა კაკუნით კაქ-კუქ ტროტუარზე კაკ და კუქ.

კაული, თავს გაიყრუებს ხოლმე ამით; ესეც თავისებური გამოთრობაა. მიეც გზა მხოლოდ ნახევარგზამდე ეგრეთვე გზაცა დედაკაცისა მემრუშისა.¹⁶⁷ თუნდაც ენთუზიასტები. სმენად ქცეულნი. ოცდამეთორმეტე ნოტა არ გამოგეპაროთ. თვალდახუჭულნი. დროულად თავის დაქნევა. დარტყმულები. გაბედვ და გაიხძერი. ფიქრი სასტიკად აკრძალულია. მუდამ წმინდა პროფესიული ბასი. ლაყაფი ნოტების შესახებ.

დალაპარაკების ცდაა და სხვა არაფერი. უსიამოვნოა როცა შეწყდება რადგან არასოდეს არ იცი ზუსტ. ორდანი გარდინერის ქუჩაზე. მოხუცი გლინი ორმოცდაათი გირვანქა წელიწადში. სასაცილოა შოშის ბუდეში ასკუბული მარტოდმარტო რეგისტრებთან და კლავიატურასთან და პედლებთან. ორდანს უზის მთელი დღე.¹⁶⁸ საათობით დუდლუნებს, საკუთარ თავს ელაპარაკება ანდა იმ ყმაწვილს საბერველებს რომ უბერავს. გაბრაზებით ჩაიბურტყუნებს, მერე ერთს შეიგინება (ბამბის დაცობა უნდა ყურში ან კიდევ რამე არა არა წამოიძახა მან)¹⁶⁹, მერე სრულიად მოულოდნელად ერთი პატარა პაწია პაწაწკინტელა ქარუკანა.

ფფუუ! პაწაწკინტელა პაწაწუნა ქარუკანა. ბლუმის წინასწარი პაწა პრაწა.

— მართლა? თქვა ბატონმა დედალოსმა, უკან რომ შემობრუნდა თავისი ჩიბუხით. დღეს დილით ერთად ვიყავით საბრალო პედი დიგნამის...

— ეჰ, შეუხდე უფალო.

— სხვათა შორის კამერტონი დევს იქ იმა...

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

— ცოლს კარგი ხმა აქვს. თუ ჰქონდა. არა? იკითხა ლიდუელმა.

— ოო, ეს ალბათ ამწყობს დარჩა, უთხრა ლიდუამ საიმონლადონელს ბარ-ველად რომ ვნახე,¹⁷⁰ აქ რო იყო.

ბრმა იყო უთხრა მან ჯორჯ ლიდუელს მეორედ რომ ვნახე. ისე დახვეწი-ლად კი უკრავდა, სასიამოვნო მოსასმენი იყო. დახვეწილი კონტრალტო ბრინ-ჯაოლიდ მაინაოქრო.

— იყვირეთ! იყვირა ბენ დოლარდმა და დაასხა. იმღერე!

— დიახაც! დაიძახა მამა კაულიმ.

რრრრრ.

მგონი მინდა...

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ.

— ძალიან კარგი, თქვა ბატონმა დედალოსმა, თან დაყინებით მიაშტერდა უთავო სარდინს.

შუშის სახურავის ქვეშ პურის კატაფალკზე იწვა ერთი უკანასკნელი, ერთი მარტოხელა, ზაფხულის უკანასკნელი სარდინი. მარტობლუმი.¹⁷¹

— ძალიან კარგი, მიაშტერდა. თუნდაც უფრო დაბალ რეგისტრში.

კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. კაკ-კუკ. ბლუმმა თერძ ბერის ჩაუარა. ნეტა შემეძლოს. მოიცა. ის სასწაულმოქმე-დი რომ მომცა.¹⁷² ოცდაოთხი სასამართლოს მოხელე ამ ერთ სახლში. დათვლი-ლი მაქვს. დავა. გიყვარდეთ ერთმანეთი. პერგამენტის ზვინები. ბატონებს აღე-ბესა და მიცემას პროკურორის ძალაუფლება გააჩნიათ. გულდინგი, კოლისი, უორდი.

მაგრამ მაგალითად ყმაწვილი რომელიც დიდ დოლს ურახუნებს. მისი მოწოდება: მიკი რუნის ორკესტრი. ნეტა თავდაპირველად როგორ მოუვიდა თავში. გოჭის ბარკლისა და კომბოსტოს შემდეგ სავარძელში ჩამჯდარი ელო-ლიავება. თავის საორკესტრო პარტიას იმეორებს. ბომ ბომბომ. ცოლს უხარია. ვირის ტყავი. მთელი სიცოცხლე ურტყამენ და სიკვდილის შემდეგაც უბათქუნე-ბენ. ბათქაბუთქი. რასაც ჩადრს ეძახიან ის უნდა იყოს, ანდა მე ვიტყოდი ყისმა-თი. ბედი.

კაკ-კუკ. ბიჭი, ბრმა, საკაკუნებელი ჯონით, მოდიოდა კაკკუკკაკკუკით დეი-ლის ვიტრინასთან სადაც სირინოზი, მთლად ჩამოღვრილი თმით (მაგრამ ის ვერ ხედავდა) სირინოზის ნაფაზს არტყამდა (ბრმას არ შეეძლო), სირინოზის უგრილეს ნაფაზს.

საკრავები. ჭიჭის პირი, მისი ხელების ნიჟარა, მერე შებერვა. სავარცხლითა და პაპიროსის ქაღალდითაც კი შეგიძლია გამოსცე ჰანგი. მთლი თავის პერანგ-ში ლომბარდ სტრიტ უესტზე, თმაჩამოშლილი. მე მგონი ყოველმა საქმიანობამ თავისი საკუთარი შექმნა, გამიგეთ? მონადირე საყვირით. ჰეი. თქვენ გაქვთ აი ის? Cloche. Sonnexl la! მწყემსმა თავის სალამური. ფუუ პაწა პრაწა. პოლი-ციელმა სასტვენნი. რეგისტრები და პედლები საკვამურის მწმენდავი ოთხი საა-თია ყველაფერი რიგზეა! იძინე! ყვეალფერი დაიღუბა. დოლი: ბომბომბომ. მოიცა, ვიცი. ქალაქის მაცნე. ჭაობის ბოქაული. წოპე ჯონი. მკვდრები დააღვი-ძე. ბომ. დიგნამ. საბრალო პატარა nominedomine.¹⁷³ ბომ. მუსიკაა. ვგულისხ-მობ მთელი ეს ბომ ბომ ბომ ზუსტად ისაა რასაც ეძახიან da capo.¹⁷⁴ მაინც გესმის. როცა მივდივართ, მივაბიჯებთ, ერთი-ორი, ერთი-ორი. ბომ.

მე ნამდვილად უნდა. ჰუპ. ეს რომ წვეულებაზე მომსვლოდა. ბოლოს და ბოლოს ჩვეულების საქმეა სპარსეთის შაჰი. წარმოსთქვი ლოცვა, დაღვარე ცრემლი. და მაინც ბუნებრივად გამოიყურებოდა ალბათ ბოქალის ქუდი რომ ვერ დაინახა. შებურული. ნეტა ვინ იყო ის ყმაწვილი საფლავთან ყავისფერ მაკინტ. ოპო, სანაპიროს კახბა!

გათოშილი კახბა მეზღვაურის შავი ჩალის ქუდით ღრმის მხრის სანაპიროს გასწვრივ ბატონი ბლუმისაკენ მიდიოდა და საეჭვოდ აშტერდებოდა. როცა პირველად მომხიბლავი ნახა ქმნილება?²⁶ დიახ. მარტო ვარ, სულ მარტო. ნესტიანი საღამო ფანბელი ლეინზე. საყვირი. ვის ჰქონდა ისა? კაცზე ქალპოო. უმუშტროდ. რას წარმოადგენს? იმედია... ფსსტ! იქნებ როგორმე დაიბანო. მოლის იცნობდა. ჩამავლო. მსუქანი ლედი რომ იყო შენთან ყავისფერ კოსტუმში. უდროო დროს წამახდინა. პაემანი რომ დავთქვით, ვიცოდი კი რომ ვერასოდეს. ალბათ არასოდეს.¹⁷⁵ მეტისმეტად ძვირფასი მეტისმეტად ახლობელი სამშობლო ტკბილი სამშობლო.¹⁵¹ მხედავს, ვერა? საფრთხობელას გაეს დღისით. სახე ჭიბგირს მიუგავს. ჯანდაბას მაგის თავი. ეჰ, რას იზამ, მაგასაც უნდა ცხოვრება. იქით გაიხედე.

ლაიონელ მარკსის ანტიკვარული მალაზიის ვიტრინაში ამაყი ჰენრი ლაიონელ ლეოპოლდი ძვირფასი ჰენრი ფლაუერი დიდის სერიოზულობით ბატონი ლეოპოლდ ბლუმი ათვალეირებდა შელახულ შანდლებს მელოდიონს დამპალ ჭიანჭამ საბერველას. ფასი: ექვსი შილინგი. შეიძლება დაკვრა ისწავლო. იაფია. გაიაროს. რა თქმა უნდა ყველაფერი ძვირია თუ არ გჭირდება. კარგი გამყიდველიც ეს არი. გაყიდვინოს ის რისი გაყიდვაც უნდა. ბიჭმა შვედური სამართებელი მომყიდა რომლითაც გამბარსა. გალესვის ფულიც უნდოდა გამოერთმია. ახლა ჩამივლის. ექვსი შილინგი.

სიდრის ბრალი იქნება ან იქნებ ბურგუნდიულს.

ბრინჯაოს გვერდით ახლოდან და ოქროს გვერდით შორიდან ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს ყველამ,⁵⁴ თვალეზგაბრწყინებულებმა და ელეგანტურებმა, ჯერ ბრინჯაო ლიდის მომხიბლავი ზაფხულის უკანასკნელი ვარდი, კასტილიის ვარდი. პირველი ლიდ, დე, კაუ, კერ, დოლ, მეხუთე: ლიდუელი, საი დედალოსი, ბობ კაული, კერნანი და ბიგ ბენ დოლარდი.

კაკ-კუკ. ყრმა შევიდა ორმონდის ცარიელ პოლში.¹⁷⁶

ბლუმი ხედავდა ლამაზად დახატულ გმირს ლაიონელ მარკსის ვიტრინაში. რობერტ ემეტის უკანასკნელი სიტყვები.¹⁷⁷ შეიდი უკანასკნელი სიტყვა. თუ მაიერბერისა.

— თქვენსავეთ კაცურ ცაცებს.

— ჰეი, ჰეი, ბენ.

— ჩვენთან ერთად რომ ასწევთ ჭიქებს.

ასწიეს.

ჭახ. ჭუხ.

ბაკ. უსინათლო ბიჭი კარებში იდგა. იგი ვერ ხედავდა ბრინჯაოს. იგი ვერ ხედავდა ოქროს. ვერც ბენს ვერც ბობს ვერც ტომს ვერც საის ვერც ჯორჯს ვერც კათხებს ვერც რიჩის ვერც პეტს. ჰოდა ჰოდა. ვერა ხედვოდა.

ზღვაბლუმი, ხარბი სხვაბლუმი უკანასკნელ სიტყვებს ჭვრეტდა. დაყუჩებული. როცა ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაიკავებს.

პრუწპრუწ.

მაინც ბურგუნდი უნდა იყოს.

ფფფ. უუ. პრრუუ.

მსოფლიოს ხალხთა შორის. უკან არავინაა. გაიარა. მაშინ და მხოლოდ მაშინ. ტრამვაი ძინგ ძინგ ძინგ. კარგი შემთხ. მოდის გრუნუნგრუნუნით. დარწმუნებული ვარ ბურგუნდიულის ბრალია. კი. ერთი, ორი. დაიწეროს ჩემი. რახრახრახრახ. ეპიტაფია. მე ჩემი საქმე. პრუუპრუუპრუუ.

უკრუნუნუნი
უნიუნიუნიუნი

გავაკეთე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ბარის მსახურ ქალებს ორმონდ ოტელში, ბრინჯაოს (მისს ლილია დუსი) და ოქროს (მისს მაინა კენედი) მოესმათ მეფისნაცვლის კორტეის ცხენების თქარათქური (იხ. წინა, მეათე ეპიზოდი).
2. ჭურჭლის ამლაგებელი ბიჭი გამოჯავრებით იმეორებს მისს დუსის ნათქვამს — „თავ-ხედური კაღნიერება“.
3. საიმონ დედალოსი ბარში შედის.
4. მისს კენედი საყვედურობს მისს დუსს ბლუმის მიმართ ნახმარი უხეში გამოთქმისათვის.
5. საიმონ დედალოსი ჩიბუხს ამზადებს გასატენად.
6. აღრე ნახსენები სიმღერის სიტყვები (იხ. „ულისე“, ნაწ.1, 315.11). ბლუმი გადაწყვეტს იყიდოს ქალაქი მართასათვის წერილის მისაწერად.
7. მისს კენედის თმა.
8. ლენეჰანის რეპლიკა „მაგრამ მაინც იქნებ მოგვხედოთ... კასტილიის ვარდი“ — შეერწყა ბარის მსახური გოგოების აღწერას.
9. მისს დუსი წაიმღერებს „ფრაზას“ ოპერიდან „ფლორადორა“ (1899), მუსიკა ლეზლი სტიუარტის, ლიბრეტო ე. ბოიდ-ჯოუნზისა და პოლ რუბენზის (ოუინი პოლის წიგნის მიხედვით). ოპერის მოქმედების ადგილია სამხრეთის ზღვის კუნძული, რომელიც ცნობილ სუნამოს, „ფლორადორას“ აწარმოებდა. ლამაზი, კეკლუცი დოლორესი აბეზარი მამაკაცების შემოტევას თავს დაადევს მას შემდეგ, რაც შეუყვარდება გადაცმული ლორდი, ფრენკ ებერკორდი.
10. ლენეჰანი ცდილობს წაეარშიყოს მისს კენედის.
11. ორმონდ ოტელში ოფიციალტს პატარა ზარის დაწკარუნებით მოუხმობდნენ.
12. ფორტეპიანოს ამწყობი ბრმა ბიჭის მიერ დატოვებული კამერტონის ხმა.
- 13, 14. ლენეჰანი ემუსაიფება ბარის მსახურ გოგოებს. ალუზიები რელდის ოპერაზე „კასტილიის ვარდი“ და სიმღერაზე „მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით“ (მუსიკა ჯონ ლ. პეტონის, სიტყვები ჯეი უილიამზის).
15. ბოილანი ოტელ ორმონდს მოადგა.
16. საათი ოთხჯერ ჩამორეკავს (მოლი ბლუმთან პაემანის დრო), როცა ბოილანი ჯინის ფულს იხდის.
17. მისს დუსი ლეკვერთხს დაიტყლაშუნებს ბარძაყზე ლენეჰანისა და ბოილანის დასანახად. *Sonnex la cloche* (ფრ.) — „ზარი ჩამორეკე“, სიმღერიდან „მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით“.
18. ბოილანის „თემა“ ერწყმის ბლუმის „თემას“, როცა ბოილანი სტოვებს ორმონდ ოტელს და ბლუმის სახლისაკენ გაემართება.
19. საიმონ დედალოსი, ბენ დოლარდი და კაული ორმონდ ოტელში ფორტეპიანოსთან შეგროვდებიან. ალუზია ტენორის (ან სოპრანოს) და ბანის დუეტზე (მუსიკა ტ. კუკის).
20. კაული უმღერის კედელზე დაკიდებულ სურათს „უკანასკნელი გამოთხოვება“.
21. რიჩი გულდინგი უსტვენს ტენორის არიას ბელინის ოპერიდან „სომნამბულა“. ოპერის გმირი ქალი მთვარეული ამინა ძილში უნებლიეთ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომ მისი საქმროს, გლეხის ბიჭის ელვინოს თვალში მოღალატედ გამოჩნდება.
22. ლენეჰანის შეკითხვისა და ბოილანის მოლისთან წასვლის გააზრების თავისებური შერწყმა.
23. საიმონ დედალოსს აქეზებენ, რომ იმღეროს არია ფლოტოვის ოპერიდან „მართა“.
24. ბლუმის რეაქცია ტენორის პარტიის სიტყვებზე ოპერიდან „მართა“.
25. ბლუმი იხსენებს, თუ როგორ მღეროდა მოლი.
26. კვლავ ოპერა „მართას“ რემინისცენცია.
27. ტაშს უკრავენ საიმონ დედალოსს.

28. რიჩი გულდინდი იხსენებს, თუ როგორ შესანიშნავად იმღერა ერთხელ საიმონ დედალოსმა.
29. ბლუმი სთხოვს ოფიციალტს საწერ-კალმისა და საშრობის მოტანას და პეტე ასრულებს მის თხოვნას.
30. საიმონ დედალოსი ბაძავს იტალიურ ბარკაროლას, რომელიც მან ერთხელ /კორკ მარ-მორში მოისმინა.
31. ბლუმი პოსტ სკრიპტუმს მიაწერს მართა კლიფორდისადმი მუხრანულ ქოტანი-ლია ტომას მურის სიტყვები სიმღერიდან „ზაფხულის უკანასკნელი ვარდი“, რომელიც ფლოტოვის ოპერაშია გამოყენებული.
32. მისს დუსი ნიჟარას მიადებს ყურზე ჯორჯ ლიდუელს.
33. ნიჟარა მრავალნაირ ხმას გამოსცემს.
34. ბლუმი ფიქრობს მოლიზე და „კამერულ მუსიკაზე“.
35. მისს დუსი მკლავს გამოაცლის ლიდუელს.
36. ლიდუელის წაარშიყება ლიდია დუსთან ეხმაურება ბოილანის კაკუნს მოლი ბლუმის კარზე.
37. კაული აიღებს ქუჩის ბალადის, „გაკრეცილი ბიჭუნას“ შესავალ აკორდებს (ბალადაში მოთხრობილია 1798 წლის ჭანყების შესახებ).
38. ბენ დოლარდს აქეზებენ იმღეროს ბალადა გაკრეცილ ბიჭუნაზე.
39. ბლუმის იმპროვიზაცია „მელოტი პეტის თემაზე“.
40. ბლუმი გადაწყვეტს შეჩერდეს ოტელში, სანამ ბალადას იმღერებდნენ.
41. ბლუმს ესმის ბალადის შესავალი აკორდები. აისახება აგრეთვე სტივენის ფიქრები მეთათე ეპიზოდში (იხ. „ულისე“, ნაწ. 1, 238. 9-12) და მინიშნებულია ვაგნერის „რაინის ოქროს“ შესამე სურათი.
42. „გაკრეცილი ბიჭუნას“ და „ზაფხულის უკანასკნელი ვარდის“ რემინისცენცია.
43. ბალადა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მისს დუსზე.
44. ბალადის დრამატული პერიპეტია კულმინაციას აღწევს.
45. მისს დუსი სიმღერის მოსმენისას ლუდის კაობის სახელურს ეფერება.
46. კვლავ მისს დუსისა და მისს კენედის „ხაზების გადაკვეთა.“
47. ბლუმი ტოვებს ორმონდ ოტელს.
48. როიალის ამწყობი ბრმა ბიჭის ჯობის კაკუნი ერწყმის ბოილანის დაკაკუნებას მოლი ბლუმის კარზე.
49. ბენ დოლარდი ასრულებს ბალადის უკანასკნელ ფრაზებს.
50. სიმღერის დამთავრების შემდეგ ბენ დოლარდი ესპანური ცეკვის ილეთებით მიდის ბარისაკენ.
51. ბენ დოლარდს ტაშს უკრავენ ბიგ ბენის (ლონდონის პარლამენტის შენობების კურანტები) თავისებური აკომპანიმენტის „თანხლებით.“
52. გაერთიანებულია ორი მუსიკალური ნომრის სახელწოდება — „კასტილიის ვარდი“ და „ზაფხულის უკანასკნელი ვარდი“, ისევე როგორც „სანაპიროს ჭახპასთან“ ბლუმის შეხვედრის გახსენება უკავშირდება მის მარტოობის განცდას ორმონდ ოტელში.
53. ბლუმი ცდილობს განთავისუფლდეს ქარებისაგან.
54. ლიდუელი, კერნანი, კაული, დედალოსი და დოლარდი ტიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს. აგრეთვე აღუზია ირლანდიელი პოეტის ჯონ კელზ ინგრამის ლექსზე „დაღუპულთა გახსენება“.
55. ბლუმს კვლავ აწუხებს მუცელი.
56. ოტელის სირინოზების ხმა და მეფის ნაცვლის კორტეის ცხენების თქარათქური თანდათან მიწყდება.
57. ბლუმის მიერ ქარებისაგან განთავისუფლებას „გადაფარავს“ ტრამვაის გრუხუნნი.
58. ბლუმი ანტიკვარული მალაზიის ვიტრინაში კითხულობს აჩანყებული პატრიოტის რობერტ ემეტის უკანასკნელ სიტყვებს.
59. რობერტ ემეტის „უკანასკნელი სიტყვის“ ბოლო სიტყვა. ბლუმის გასაკვირისა და პროლოგის დასასრული. ფუგის დასაწყისი და დასასრული.
60. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ორკესტრმა“ დაამთავრა ინსტრუმენტების აწყობა, ანდა შესრულდა უვერტიურა და დირიჟორი დაწყების ნიშანს იძლევა.
61. (ფრ.) „ნილოსის წყალი“, ამ შემთხვევაში ბაცი მომწვანო-მოლურჯო ფერის მატერია
62. იგულისხმება ლირსპატივისაცემი ჯერალდი ფორდი (იხ. „ულისე“ წ 1, 339., 29).
63. პომეროსის სირინოზების მსხვერპლის ანალოგიით.

64. იგულისხმება დენიელ მულენგის, იუველირისა და უცხოური ჩიბუხებით მოვაჭრის მა-
ლაზია უელინგტონის სანაპიროზე გრეტონის ხიდთან, რომელიც ორმონდ ოტელისაქენ მიმავალმა
ბლუმმა უნდა გადაჭრას. ბლუმს მკერდთან ჯიბეში უდევს პოლისათვის შერჩეული პულგარუ-
ლი რომანი „ცოდვათა სიამენი“, რომლის გმირია რაული (იხ. „ულისე“, წ. 1, 318). ბლუმში
ჩაუვლის-მელინგის დასავლეთით მდებარე მესაათისა და იუველირის, ჯონ კეროლის მალაზიას.
65. (ფრ.) „ფრანტი“.
66. ორმონდ ოტელის პატრონესა.
67. დუბლინის საკონცერტო დარბაზი, სადაც კერძო პირთა მიერ დაფინანსებული კონცერ-
ტები იმართებოდა.
68. დუბლინელი მეჭუდე.
69. აურელიო ბასი — მოქანდაკე და სურათების ჩარჩოების ოსტატი.
70. ამ ფრაზით მინიშნებულია ღვთისმშობლის გულმოწყალება ცოდვილთა და სულდამძიმე-
ბულთა მიმართ. ამავე დროს, ღვთისმშობელი აქ თითქოს კიდევ ერთ სირინოზად გვევლინება.
ცისფერი და თეთრი ღვთისმშობლის ტანსაცმლის ტრადიციული ფერებია.
71. დუბლინიდან 55 მილის მანძილზე მთიან ადგილას მდებარე ქალაქი.
72. მიამიტი საიმონი ინგლისური საბავშვო ლექსის პერსონაჟია.
73. იურისტი ჯორჯ ლიდუელი ჯეიმზ ჯოისის მამის მეგობარი იყო, რომელიც ჯოისის ინ-
ტერესებს იცავდა „დუბლინელების“ გამომცემელთან, ჯორჯ რობერტსთან დავის დროს ტექს-
ტიდან დუბლინელებისათვის „შეურაცხყოფელი“ პასაჟების ამოღების შესახებ (ჯოისის ეს
ბიოგრაფიული მომენტი ამომწურავად აქვს შესწავლილი რიჩარდ ელმანს თვის ცნობილ მონოგრა-
ფიაში „ჯეიმზ ჯოისი“).
74. გრეტონის ხიდის აღრინდელი სახელწოდება.
75. ლენეჰანი ერთმანეთში ურევს ეზოპეს ორ არაკს — „მგელი და წერო“ და „მელა და
ყარყატი“.
76. (ფრ.) „ქალაქში“... „ზღვაზე“.
77. „ყრმა მენესტრელი“ ერთ-ერთი სიმღერაა ტომას მორის „ირლანდიური მელოდიები-
დან“. élite — (ფრ.) „რჩეული“, ერინი — იხ. „ულისე“, წ. 1, 165.
78. იხ. „ულისე“, წ. 1, 337. 23. (ფორტეპიანოს ბრმა ამწყობი ბიჭის სიტყვები).
79. ჯოისის ტრიესტის დღიურის ჩანაწერებში, რომელიც რიჩარდ ელმანმა 1968 წელს
ცალკე ნაწარმოების სახით გამოსცა სათაურით „ჯაკომო ჯოისი“, გვხვდება როიალის კუბოსთან
შედარება („გრძელი შავი როიალი. მუსიკალური კუბო“).
80. მართა კლიფორდის წერილიდან (იხ. „ულისე“, წ. 1, 102).
81. იხ. „ულისე“, წ. 1, 225. 15-16.
82. ადრე ნახსენები ლექსიდან „მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით“.
83. ირლანდიელ კომპოზიტორ მაიკლ ბელფს (1808-1870) დაწერილი აქვს ოპერა „კას-
ტილიის ვარდი“. (იხ. აგრეთვე „ულისე“, წ. 1, 175. 5-6).
84. ოლივერ გოლდსმითის (1728-1774) ერთ-ერთი პიესის გამოძახილი.
85. ტომას მორელის (1703-1784) ლექსის პირველი სტრიქონი.
86. კვლავ ადრე ნახსენები ოპერა „ფლორადორას“ რემინისცენცია.
87. (ფრ.) „დარეკე ზარი“.
88. იგულისხმება მევახშე რუბენ ჯ. დოდი.
89. ანონიმური სუფრული.
90. „დაკარგული აკორდი“ — სიმღერა. ადალეიდ პროქტერის (1825-1864) სიტყვები, არ-
თურ სალივანის (1842-1900) მუსიკა.
91. იგულისხმება ნაცვამი ტანსაცმლის შექმნა-გაყიდვა.
92. მერიონის მოედანი ფეშენებელური და ძვირი საცხოვრებელი უბანი იყო.
93. ბლუმში იხსენებს ცოლთან საუბარს (მეხუთე ეპიზოდი).
94. დონიცეტის მუსიკალური ფომედია.
95. ანონიმური ირლანდიური ბალადის რეფრენი.
96. იგულისხმება ღირსი მამა ჰიუ ლავი.
97. მინიშნებულია შუასაუკუნეობრივი წარმოდგენა, რომ იესო ქრისტე ქალწულ მარიამს
ღვთის სიტყვით ყურიდან ჩაესახა.
98. (იტ.) მუსიკალური ტერმინი: „რბილ, ნაზ, ალერსიან სტილში, მხოლოდ არა გადაჭარ-
ბებულად“.
99. შექსპირის „ანტონიუს და კლეოპატრას“ რემინისცენცია (მოქ. 2, სურ. 2): „ის ხომალ-

დი, რაშიაც იჭდა, ელავდა წყალზედ, ვით სამეფო ბრწყინვალე ტაბტი; წმინდა ოქროსი ჰქონდა ბოლო... ერთიც სახითა სირინოზი საქესთან იჭდა და მის ყვავილებრ ნაზის ხელის მიკარებაზედ გზას უჩვენებდა გემს ბაწარი აბრეშუმისა“.

100. კედელზე გაკრული ზღვის პეიზაჟი, როგორც ჩანს, ჯონ უილისის სიმღერის („უკანასკნელი გამოთხვევა“) ილუსტრაციას წარმოადგენდა. სურათის აღწერა, ამავე დროს, ისევ და ისევ „ანტონიუს და კლეოპატრადან“ მოტანილი ადგილის ასოციაციას იწვევს.

101. (იტ.) „ჭეშმარიტი სიყვარული გამომეცხადა, მან მომაჯადოვა“ — ფლენტინის ოპერა: „მართას“ არიიდან.

102. ბარტონ მაკგუკინი (1852-1913) — ირლანდიელი მომღერალი (ტენორი), რომელმაც დრამატული ტენორის მასისა (1847-1886) არ იყოს, საეკლესიო გუნდში დაიწყო თავისი კარიერა და მასისავეთ გერმანელი იმპრესარიოს, კარლ როზას საოპერო დასის სოლისტი გახდა. როზას დასი იმით იყო ცნობილი, რომ უცხოურ ოპერებს ინგლისურ ენაზე ასრულებდა.

103. მინიშნებულია დედოფალ გერტრუდის სიტყვები („ჰამლეტი“): „მწვიდობით, ტკბილო ოფელიავე, და ეს ყვავილნი სიმშვენიერეს შენსას ერგოს მშვენიერ სახლად“ (მოქ. 5, სურ. 1)

104. დუბლინის წყალსაცავი ვარტრის მდინარის კალაპოტის უზარმაზარ რეზერვუარში გადაგდებით შეიქნა (დუბლინიდან 18 მილის დაშორებით).

105. იხ. „ულისე“, წ. 1, 121, 15.

106. მინიშნებულია ტომას მურის ლექსი „ექო“ („ირლანდიური მელოდებიდან“).

107. კვლავ „სომნაბულას“ ალუზია. გავრცელებული რწმენის მიხედვით, მთვარეულის უცაბედი გაღვიძება შოკს იწვევს. ამიტომ საჭიროა ჩუმი ხმით მისი სახელის წარმოთქმა, ამბობენ აგრეთვე, რომ სველ საგანთან მიკარება მას უკან ლოგინისაკენ მიაბრუნებსო.

108. ბლუმი „სომნაბულას“ გმირის ამინას მთვარეულ ზმანებას მისი ენებათაღელვით ხსნის.

109. პოლონიუსის სიტყვები („ჰამლეტი“, მოქ. 2, სურ. 2).

110. იხ. „ულისე“, წ. 1, 117, 17.

111. იხ. „ულისე“, წ. 1, 51, 36.

112. „დამონებული გული“ — არია მაიკლ უილიამ ბელფის ოპერიდან „ბოშა გოგო“.

113. ბლუმს ჭიბეში უდევს მართასათვის განკუთვნილი საჩუქარი.

114. კვლავ ბოილანის რომანსის რემინისცენცია.

115. მართა კლიფორდის წერილიდან (მეხუთე ეპიზოდი).

116. მინიშნება მეათე ეპიზოდში ნახსენებ უცნობ პორნოგრაფიულ რომანზე.

117. საიპონ დედალოსი არიის ხალხში გავრცელებულ ვარიანტს მღერის (ირლანდიის პროვინცია კორკის დიალექტზე).

118. ცნობილი შვედი სოპრანოს, ჯენი ლინდის (1820-1887) სახელი ეწოდა წენიანს, რომელიც მისი მკაცრი დიეტის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

119. სიმღერა სოპრანოსათვის ან ტენორისათვის, სიტყვები ელენ ფლევის, მუსიკა ჰ. მილარდის (1867).

120. „ძველ მადრიდში“ — სიმღერა, სიტყვები კლიფტონ ბინგამის, მუსიკა ჰენრი ტროტერას.

121. სიტყვები ოპერიდან „კასტილიის ვარდი“.

122. ამერიკელი ფრენკ ვეგერტონის სიმღერის (1882) სათაური.

123. ელფრიდ ტენისონის ლექსის რემინისცენცია.

124. დუბლინელი სიმღერის მისწავლებელი.

125. ბლუმი აერთებს ცალკეულ სიტყვებს ლათინური გამოთქმებიდან Corpus Domini nostri — „ხორცი უფლისა ჩვენისა“ და In paradysum — „სასუფეველში“).

126. ბლუმის ფიქრების გამოძახილი („ულისე“, წ. 1, 163, 4-7).

127. (გერ.) „ყვავილის სიმღერა“. ამ სათაურის მქონე ასობით სიმღერა დაიძებნება, მაგრამ ყველაზე ცნობილია მაინც ჰაინრიხ ჰაინეს ლექსი.

128. „ფრამენ ჟორნალში“ გამოქვეყნებული გარდაცვლილთა გვარები (იხ. „ულისე“ წ. 1, 121).

129. ბლუმი იმ დღის ხარჭებში დიგნამის ოჯახისათვის გაღებულ დახმარებასაც ითვლისწინებს.

130. იხ. „ულისე“, წ. 1, 103.

131. იხ. „ულისე“, წ. 1, 91.

132. ბლუმის ზერელე განსწავლულობის კიდევ ერთი ნიმუში: ეს დრამატურგ უილიამ კონგრივის (1670-1729) ნათქვამია. შექსპირი კი „ვენეციელ ვაჭარში“ ამბობს: „კაცი, რომელ-

საც თვითონ არ აქვს მუსიკის გრძნობა და ტკბილი ჰანგი ვერ შეარხევს მის სულის სიმებს, — ჩაიდენს ღალატს, გამცემლობას, ავაზაკობას“ (თარგმ. ვ. კელიძის).

133. იგულისხმება მე-19 ს. მეტად გავრცელებული კალენდარი, რომლის ყოველი დღე რაიმე ციტატათან იყო დაკავშირებული.

134. იხ. „ულისე“, წ. 1. 272. 23.

135. ბერნარდ კირნანი და კომპანია — ჩაით და მაგარი სისმელებით მოვაჭრე ფერმა...

136. უოლტერ ბეპტი (1850-1915) — დუბლინელი მუსიკის მასწავლებელი, ყოველწლიურად მუსიკალური ფესტივალისა და კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

137. ფინეას ფლეჩერის (1582-1650) ალეგორიული ლექსის შესაძლებელი რემინისცენცია.

138. სტივენ გლოუვერის (1813-1870) დუეტის სათაური.

139. აღრე (მეხუთე ეპიზოდში) ბლუმს არ ეშლება და Stabat Mater სამართლიანად მიანი-
ნა როსინის ნაწარმოებად. ამ შემთხვევაში კი როსინის ღვთისმშობლის საგალობლის სიტყ-
ვებს „ვინ არის კაცი იგი“ შეცდომით მერკანდანტეს ორატორიას მიაწერს.

140. (იტ.) „აქ აღშფოთება...“ მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ მეორე მოქმედების
ერთ-ერთი არიის იტალიური ვარიანტი.

141. იხ. „ულისე“, წ. 1. 169.

142. „გაკრეჭილი ბიჭუნას“ პირველი პუკარი.

143. აჯანყებულთა წარმომადგენელი („გაკრეჭილი ბიჭუნა“) მოტყუებით მიიყვანეს მო-
ძღვრად გადაცმულ მტერთან.

144. გინესის ცნობილი ფირმის კაპიტალის მემკვიდრე ლორდ აივას სახელთან არის და-
კავშირებული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც დუბლინის ცენტრშია მოთავსებული
და „აივას სახლად“ არის ცნობილი.

145. „პასუხები“ პოპულარული ყოველკვირეული ჟურნალი იყო, რომელშიც გამოცანა-
სურათში მკითხველს უნდა ამოეცნო ცნობილი ლექსის სათაური. ამისათვის დაწესებული იყო
პრემია — ხუთი გირვანქა სტერლინგი.

146. „უკანასკნელი მენესტრელის სიმღერა“ უოლტერ სკოტის ცნობილი პოემაა.

147. (ლათ.) „დამნაშავე ვარ“. გრძელდება „შეკრეჭილის“ (ანუ აჯანყებული) ყმაწვილის
ღალატით შეპყრობის შესახებ შეთხზული ბალადის შესრულება.

148. ტიპიური ბლუმისეული უცხო სიტყვათა წარმოება.

149. გაკრეჭილი ბიჭუნას სევედიან თავგადასავალში კვლავ ჩაქსოვილია სტივენის (მიუ-
ხედავად იმისა, რომ ეს სტივენის შინაგანი მონოლოგი არ არის) და თვით ჯოისის მორწმუნე
დედის მიმართ შეუწყნარებლობის კომპლექსის გამოძახილი.

150. დუბლინის ცნობილი თეატრის „გეიტრი თეატერ“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი
ხელმძღვანელი 1871 წლიდან გარდაცვალებამდე (1901). მისი სიკვდილის შემდეგაც თეატრის
მენეჯერების საბჭო იწოდებოდა „მაიკლ გან ლიმიტიდ“.

151. ნასრ-ედ-დინი ორჯერ ეწვია ინგლისს 1873 და 1889 წლებში. უელსის პრინცმა (შემ-
დგომში მეფე ედუარდ მეშვიდემ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რათა შაჰი ჯე-
როვნად მიეღოთ. იგი მეტად პოპულარული გახდა იმდროინდელ ინგლისურ ქალაქურ ფოლკ-
ლორში, რაც ბლუმის შინაგან მონოლოგში აისახა. ფრაზა „სამშობლოს აგონებს, ტკბილ სამ-
შობლოს“ ბლუმს ძველი სიმღერიდან აგონდება და ზუსტად გამოხატავს შაჰის „ექსტრავაგან-
ტური“ ქცევისადმი ლონდონელთა ირონიულ დამოკიდებულებას.

152. ბლუმის წიგნის თაროზე აღმოჩნდება წიგნი „სპინოზას აზრები“.

153. უილიამ კუპერს (1731-1800) ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ღმერთმა შექმნა ქვე-
ყანა და კაცმა შექმნა ქალაქი“.

154. კვლავ ბალადის სიტყვები: მხოლოდ დოლარდი არ იცავს კუპლეტების თანმიმდევ-
რობას.

155. ირლანდიელი პოეტის ჯონ ინგრამის ლექსიდან „დაღუპულთა ხსოვნა“ (იხ. „ულისე“,
წ. 1. 325), მხოლოდ ინგრამის ლექსში ნათქვამია: „ვის ეშინია ათას რვაას ოთხმოცდათვრა-
მეტის ხსენება?“

156. იგულისხმება ბარის ოფიციალტი გოგოების ხელფასი.

157. კვლავ ბოილანის სიმღერის რემინისცენცია.

158. სერ ჯულიუს ბენედიქტის (1804-1885) ოპერიდან „ვენეციელი პატარძალი“.

159. მენდელსონის საფორტეპიანო კომპოზიციების რვა ჯგუფის საერთო სახელწოდება.

160. ანონიმური „ცოდვათა სიამენის“ სიტყვები.

161. დუბლინის ქუჩების ექსცენტრული „მკვიდრი“ (იხ. „ულისე“, წ. 1. 212. 24).

162. (ლათ.) „მწუხარება“.
163. ლუიჯი ლაბლაში (1794-1858) იტალიაში დაბადებული (მამით ფრანგი, დედით ირლანდიელი) ყველაზე ცნობილი ბანი მაშინდელ ევროპაში.
164. კაჩუჩა — ესპანური ცეკვა.
165. უილიამ როს უოლისის (1819-1881) ლექსში „რა განაგებს ქვეყანას?“ გვხვდება სიტყვები: „და ხელი, რომელიც აკვანს არწევს, ის ხელია, ქვეყანას რომ განაგებს“.
166. ბლუმი გაიგივებულია ფლოტოვის ოპერის პერსონაჟთან ლაიონელთან.
167. კიპლინგის ლექსის რემინისცენცია და აღუზია მე-19 ს. ერთ-ერთ პორნოგრაფიულ რომანზე. გამოყენებულია ბიბლიური ფრაზეოლოგია (იგავნი, 30, 18-19).
168. „დაკარგული აკორდის“ სიტყვები (იხ. შენიშ. 90).
169. ბლუმის ფიქრთა დინებაში წამდაუწუმ ამოტივტივდება პორნოგრაფიული რომანის რეპლიკები.
170. ჯიბის ცნობიერების ნაკადის ტექნიკის ტიპური ნიმუში: ლიდიას რეპლიკაში და ავტორისეულ რემარკაში ერთმანეთს ერწყმის საიმონისა და ლაიონელის სახელები, ფორტეპიანოს ამწყობი ბიჭის მიერ კამერტონის დავიწყებისა და ლაიონელის არიის შესრულების მოტივები.
171. უადრესად მნიშვნელოვანი ადგილი ბლუმის სიმბოლო-სახის გასაგებად. გარეგნულად თითქოს კვლავ ბლუმისეულ ასოციაციასთან გვაქვს საქმე („ზაფხულის უკანასკნელი ვარდი“ ტომას მურის ლექსის უშუალო ასოციაციას წარმოადგენს), მაგრამ კატაფალკაზე გაწოლილი მარტოხელა თევზი-ბლუმი სხვა არაფერია თუ არა ბლუმის კიდევ ერთი სიმბოლო-სახე — ქრისტე. ასევე, ცოტა ადრე, ბოილანის ქ-ნ ბლუმთან პაემანზე მისვლისა თუ „გაკრეჭილი ბიჭუნას“ მტერთან შეტყუების მაუწყებელი „ყიყლიყო“ პეტრეს მიერ ქრისტეს ლალატის პაროდულზე პარალელია („და მოეხსენა პეტრეს სიტყუა იგი იესოსი, რომელი ჰრქუა მას, ვიდარმედ: ვიდრე ქათმის ხმობადმდე სამ გზის უვარ-მყო მე“).
172. მეჩვიდმეტე ეპიზოდში ნახსენები იქნება სწორი ნაწლავის სამკურნალო საშუალება სახელწოდებით „სასწაულმოქმედი“.
173. (ლათ. დამახ.) „სახელითა ღვთისითა“. კვლავ „გაკრეჭილი ბიჭუნას“ რემინისცენცია.
174. (იტ.) „გამეორება“ (მუსიკალური ტერმინი).
175. როგორ უჩვეულოდ და დაუჭერებლადაც არ უნდა ეჩვენებოდეთ ჯიბის ოპონენტებს, ასეთი უბრალო გამოთქმაც კი („ვერასოდეს, ალბათ არასოდეს“) ბლუმის ცნობიერებაში გილბერტისა და სალივანის მუსიკალური კომედიის პერსონაჟის იმ დროს მოარული ფრაზის გამოძახილს წარმოადგენს. ასევე არ უნდა გვიკვირდეს საერთოდ ევროპელი და ამერიკელი ტექსტოლოგების კომპეტენტურობა მსგავსი დეტალების დაზუსტებაში (თუნდაც მათ მიერ ცალკეულ სიტყვის, გამოთქმის, ან ანდაზის ინგლისურენოვან წერილობით წყაროებში ბრველად ნახსენების დათარიღება).
176. ამ მუსიკალური თავისათვის დამახასიათებელი ასოციაცია: როიალის ამწყობი ბრმა ბიჭის ჯოხის კაკუნს მოსდევს ფრაზა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ორმოდ ოტელოში შესრულებული ბალიდის მეცხრე სტრიქონის პერიფრაზს. სიმღერის ტექსტში სიტყვასიტყვით ნათქვამია „ყრმა შევიდა ცარიელ ჰოლში“, ხოლო ავტორისეული „ყრმა შევიდა ორმოდის ცარიელ ჰოლში“ უკვე რომანის სიუჟეტურ პლანს განეკუთვნება (ე. ი. როიალის ამწყობი ბრმა, რომლის ჯოხის კაკუნი ლაიტმოტივად გასდევდა მთელ ეპიზოდს, ბოლოს შემოდის ორმოდ ოტელოში, სადაც ადრე კამერტონი დარჩა).
177. იხ. „ულისე“, წ. 1. 152. რობერტ ემეტს სასიკვდილო განაჩენი რომ გამოუტანეს, მისი სასამართლოში წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები იყო: „როცა ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაიკავებს მსოფლიოს ხალხთა შორის, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაიწეროს ჩემი ეპიტაფია. მე ჩემი საქმე გავაკეთე. ეს სიტყვები ჯიბისეული პაროდული ეფექტის მისაღწევად ეპიზოდის ფინალურ პასაჟშია მიმობნეული.



ოსურიდან

თარგმნა ბ. კავთარიანი

●

ულრანი ტყიდან
გამოტყვრა ტყვია,
მუხაკაცს გულში მოხვდა
(ეს არც გუშინ და არცა გუშინწინ —
დიდი ომის დროს მოხდა!..)

მაგრამ... ჰე, მუხა
სხვა ჯიშის ხეა, —
მაგარი ხეა იგი:
ახლა მუხების ახალი ტყეა
იმ მუხაკაცის ირგვლივ!..

ამ წყნარ ღამეში...

წყნარია ღამე —
ზაფხულის ღამე,
ვიღაცა სადღაც
გულლიად მღერის...
მთასა და მინდორს,
არეს და მარეს
ელვრება მთვარის
ნათელი ჩქერი...

ფრთებს, ვით იალქნებს,
ქარი ისე შლის,
ქარი, —
კლდეებზე გადარხეული...

ვით მთა ნისლებში —
მე ჩემ ფიქრებში,
ფაფუკ ნისლებში
ვარ გახვეული...

ცა აბრეშუმად
ჩამოფენილა,
ნამი ბალახებს
ვერცხლისფრად ცვარავს...
მთვარე მტრედით
ჩამოფრენილა
და ჩემს სარკმელთან
ლულუნებს წყნარად!..

ისე წვიმს...

ქარმა გადმოიქროლა
და ღრუბლები მოლალა...
ფანჯრებზე აკაკუნებს
„კაკ-კუკ“, — წვიმის კოდალა!..

ჩვენი თეთრი სტუმარი...
მგონი უკვე გზად არი...
ისე სუსხავს,
ისე წვიმს, —
მალე მოვა ზამთარი!..

რა ჯობია
კეთილ კაცთან
მასლაათს და საუბარს;
ყველაფერში ენდობი და
მხარს ყოველთვის აუბამი..

კეთილ კაცთან შეხვედრისას
ირგვლივ უცებ დათბება, —
გულში ყინვა დადნება და
სული გაგინათდება!...

ხდება ზოგჯერ:
გული გიწუხს,
ხასიათზე არა ხარ, —

ამ დროს სულის მალამოა
კარგი კაცის დანახვა!...

ხდება ზოგჯერ ^{უჩინებელი} ~~ჩვეულებით~~
გეტყვით გაურთულებლად:
ცუდი კაცის დანახვაზე
გიფუჭდება გუნება!..

ამდროს ბრაზობ, იღრინები —
როგორც ძალდი ნაცემი...
ღმერთო,
ღმერთო, —
მოამრავლე
ქვეყნად კარგი კაცები!..

სწორედ იმ დღეს დაიბადა...

ბრძოლის ველზე დაეცა —
უკვდავების ღირსი...
სწორედ იმ დღეს გოგონა
დაიბადა მისი!...

ცა — ხან მზეში გაცრილი,
ხან — ღრუბლების ჯგრო...
იტრიალა ჩარხმა და
იგრილა დრომ!...

დაქალდნენ და დაკაცდნენ
ჯარისკაცთა შვილები...
ხშირად — მზეთა ნათება!
ზოგჯერ — ქუფრი ჩრდილები!...

გაიმარჯვეს...
და ძეგლებად გაქვავდნენ,
დღენი ჰქუხან
და ძველებურ ჰქრიან...
შვილთა შვილებს
ჯარისკაცთა საფლავზე —
ყვავილები მიაქვთ!...

... მომავლისთვის დაღვარა
ბრძოლის ველზე სისხლი...
სწორედ იმ დღეს გოგონა
დაიბადა მისი!...

დედა

ყველა სიტყვაზე უფრო საგრძნობი,
ყველაზე ნაზად წარმოსათქმელი,
ყველა სიტყვაზე უფრო თბილი, და
ყველა სიტყვაზე უფრო ნათელი, —

ყოვლის მომცველი...
ჩვენთვის მზესავით მუდამ მაშუქი,
ჩვენთვის მაწუხი,
ჩვენთვის მლოცველი;

„დედა“, — სიცოცხლის მომნიჭებელი, ჩვენ ვიყურებით მისი თვალებით,
ყოვლის საწყისი, ჩვენა ვართ მისი ცრემლების მღერელი...

ჩვენ მისით გვიქულს და
ჩვენ მისით გვიყვარს,
და როცა ვმღერით, —
ჩვენ მისით ვმღერიან!..

ჩვენს მყობაღში და
ჩვენს მომავალში
გადამწინდველსა და გადამწინდებელს
უსასრულობას და უკვდავებას,
აი, რას ნიშნავს ეს სიტყვა: „დედა“!



ზამთრის ერთსახეობაში...

გადაშიშვლდა ხეობა და
ნისლი ჩაწვა ხეობაში...
მალე
არე
ჩაინთქმება
ზამთრის ერთსახეობაში.

ხევში ქარი მძიმედ არწევს
ფენაფენად ჩაშლილ ნისლსაც...
მართლა ცეცხლი არ გეგონოთ —
ბუჩქი ღვივის ასკილისა.

მოსაკრეფი — მოკრეფილა,
მოსაცელი — მოცელილა...

ფრინველებიც არ გალობენ —
საწყალობლად მოწყენილან!..

ფოთლებს თითქოს
ხის ტოტების
დატოვება ენანებათ,
ბუხრებიდან ცეცხლის სუნთქვა
ცას შეერთვის ნება-ნება...

უმზეო და უმთვარეო
ნისლი ჩაწვა ხეობაში, —
ყველაფერი ჩაინთქმება
ზამთრის ერთსახეობაში!...

□

ნებთ. ხოლო თუ თვით მანუსკრიპტს დაეცა მელნის წვეთი, მტრისას, ფანჯრიდან გასვრით, რადგან იგი მრისხანე კაცია“.

სტუდენტი ანსელმუსი გულწრფელად გააბარა რეგისტრატორს მისი მისიონერ შემოთავაზებულმა სამუშაომ, და ეს იმიტომ, რომ მას არა მარტო სუფთად წერა ემარჯვებოდა, არამარტო დიდებულად ხაზავდა კარგად დაწვრილ მსგავსი კალიგრაფიული სამუშაოების შესრულება მისი ჭეშმარიტი-წყალობით. ამიტომაც ანსელმუსმა მდებლად მოახსენა მადლობა თავის გულშემატკივარს და პირობა მისცა, დილით არაფრით არ დააგვიანებდა, ზუსტად დათქმულ დროზე მივიდოდა არქივარიუსთან. დამით სტუდენტი ანსელმუსს მბრწყინავი შპეციესტალერება ელანდებოდა, ყურში მათი სასიამოვნო ედრიალი ჩაესმობოდა. ნუ გავკიცხავთ ამის გამო საწყალს, რადგან ავი ბედისწერა იმედებს უსპობს და აცთუნებს, იგი თითოეულ ჰელერსაც კი უნდა გაუფრთხილდეს და უარი თქვას ზოგ-ზოგ სიამეზე, სიცოცხლის ჭაბუკური ვნება რომ ითხოვს.

სასხამ დილაზე მოაგროვა მან თავისი ფანქრები, კალმები და ჩინური ტუში. მისი ფიქრით, თვით არქივარიუსსაც კი არ დაესიზმრებოდა უკეთესი კალამ-ფანქარი. უწინარეს ყოველისა მან გადაათვალიერა და წესრიგში მოიყვანა კალიგრაფიული ნიმუშები და ჩანახატები, რათა ისინი არქივარიუსსათვის თავისი ნიჭისა და უნარის დასტურად ეჩვენებინა. თავდაპირველად ყოველივე იღბლიანად აეწყო. მის ბედს თითქოს ბედნიერი ვარსკვლავი წარმართავდა; ჰალსტუხიც მოხერხებულად გაიკეთა, არც ერთი ნაწიბური არ გარღვევია, არც ერთი თვალი არ წასვლია შავ აბრეშუმის წინდებზე, არც გაწმენდილ-გაკრიალე-ბული ქუდი ჩავარდნია მტვერში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ზუსტად თორმეტის ნახევარზე სტუდენტი ანსელმუსი თავისი მოლურჯო-მონაცრისფრო ფრაკით და შავი ატლასის შარვლით, ჯიბეში სათუთად შენახული დასტა-დასტა კალიგრაფიული ნაწერებითა და ჩანახატებით სასახლის ჭურჭელზე გაჩნდა კონრადის დუქანთან, სადაც ერთი-ორი ჭიქა საუცხოო ლიჭიაოთა გადაჰკრა, თანაც სიამით გაიფიქრა, დღეს რომ ასე ცარიელ-ტარიელი დაეციალო, მაღე ამას ბოლო მოეღება და ჩემს ჯიბეში შპეციესტალერები იჩხრიალებნო. მიუხედავად შორი გზისა სრულ თორმეტ საათზე სტუდენტი ანსელმუსი არქივარიუს ლანდჰორტის ძველთაძველი სახლის კართან აღეცა ერთ მიყრუებულ ქუჩაზე. იდგა და კარზე დაკიდულ ბრინჯაოს ვეებელაშ ზარს მისჩერებოდა. როცა ანსელმუსს ჯვრის ეკლესიის კოშკთან საათის ხმამაღალი, მორთოლვარე რეკვა შემოესმა, ზარისაკენ წაიღო ხელი და რა იხილა: ბრინჯაოს ზარმა ხახა დააღო და საზარლად გაიღრიალა. ცისფრად მოგიზგიზე თვალებმა საშინლად გაიღვეს. ო, ეს ხომ ის ვაშლებით მოვაჭრე დედაკაცი იყო, შავ ჭიშკართან რომ იხილა. დედაბრის წვეტიანი კბილები ამაზრზენად ღრჭიალებდნენ დაღებულ ხახაში. როცაპი ღმუოდა: „ლენჩა ხარ, ლენჩი, ლენჩი, დაიცა, დაიცა ერთი! სად მიეხეტები, ლენჩო!“ გაოგნებული სტუდენტი ანსელმუსი დაბარბაცდა, უნდოდა წირთხლს მოსჭიდებდა, მაგრამ ხელით ზარის თოკსდა ჩაებლაღჭა, მოქაჩა და აი, ძალუმად ახშიანდა ზარი ამაზრზენ დისონანსებად, ვაისმა ძახილი და მთელ უკაცრიელ სახლს მოედო ამ ძახილის დამცინავი ექო: „მაღე მოესწრები დამანში ჩავარდნას“, სტუდენტი ანსელმუსი შიშმა შეიპყრო. საბრალოს სასხლი გაეყინა ძარღვებში და ციებცხელებიანივით აცახცახდა. ზარის თოკი ძირს დაუვარდა, მერე ეს თოკი თეთრ, გამჭვირვალე უზარმაზარ გველად იქცა, რომელიც შემოებვია და ახრჩობდა. გველი ისე შემოგრაგნოდა, რომ მისი რბილი, მყიდე სხეული ჭახჭახით იმტვრეოდა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა გიორგი გოგოჭურაძე

აიხენდორფი გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. დაიბადა 1788 წელს, ბარონის ოჯახში. თავიდანვე წარჩინებულთა შესაფერი შინაური აღზრდა მიიღო და საერთოდ უზრუნველი სიყმაწვილე ჰქონდა. მშობლებს დიდი ზარ-ზეიმი და გართობა ჰყვარებიათ: ნადირობა, მუსიკა, ეტლებით სეირნობა... ზღაპრულ სამყაროსათვის ჩარჩა მის ხსოვნაში ციხე-დარბაზ ლუბოვიცეს შემოგარენი, მობალახე ირმები, მთვარის შუქზე მოლივლივე ტბა, ფართო ქალები და მწუხრის ზარების შორეული ხმები. მაშინდელი ფერებისა და მელოდიების სიუხვე შემდეგში მისი პოეტური პალიტრის უმრეტ წყაროდ ქცეულა.

ქაბუკობის ხანა კი სულ სხვაგვარი დაუდგა; ნაპოლეონის ომებისა და საზოგადოებრივი კატაკლიზმების შედეგად მისი ოჯახის დიდებიდან აღარაფერი დარჩა. სტუდენტობისას ბევრჯერ ხმელ პურსა და მარილზე გადაუტარებია მთელი დღე. სწავლის პერიოდშივე გაეცნო ბრენტანოს, არნიმს, ნოვალისს და ფრიდრიქ შლეგელის ლექციებსაც ისმენდა. იომა ნაპოლეონის წინააღმდეგ; ბევრი სამსახური გამოიცვალა, მაგრამ დიდი კარიერა ვერსად გაიკეთა, სამაგიეროდ პოეზიაში მას ჰაინეს გვერდით აყენებენ.

მისი ბედის და განცდის ადამიანი სწორედ რომანტიკოსი უნდა გამხდარიყო, რადგან არსებულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა რაინდული ბრწყინვალეობით მოსილი წარსულისაკენ ახედებდა. ოცნების ქვეყანა მის პოეზიაში იხატება, როგორც ბუნებისა და ადამიანის პარმონიული შერწყმის სამყარო, სადაც ბუნება სტატიური კი არაა, იგი თავისი ფერებით, ხმებით, შუქ-ჩრდილით, დილა-სალამოს ცვალებადობით ჩვენი განცდების მონაწილე და ცხოვრების შემესება. ამიტომ უწოდებენ აიხენდორფს გერმანული ლანდშაფტის მომღერალს. მისი ლექსი უნატიფეს ქსოვილს გვაგონებს: სადა, გამჭვირვალე და განსაკუთრებული პროფესიონალიზმით აღბეჭდილია.

აიხენდორფი გარდაიცვალა 1857 წელს.

მთარგმნელი

პოეზი

არა ოცნება და შიშველი ილუზიები
ანსხვავენს პოეტს ჩვეულებრივ ყველა კაცთაგან,
არამედ ცეცხლი, დანთებული გულში ხანდახან,
და მისწრაფება ამ ცხოვრების აზრის ძიების.

ის არ კითხულობს, ბრბოს ოდესმე თუ შეუქია,
საკუთარ პატივს მხოლოდ თავის მკერდში ატარებს,
რადგან სადაც კი შთაგონებით თვალს შოატარებს, —
თითქოს სამყაროს განახლების ცეცხლის შუქია.

მშვენიერ დედის, — ცის სიყვარულს არის ჩვეული,
რომლის ნებითაც სუფევს ქვეყნად გაძორჩეული,
თავსაც და მკერდსაც იგი უმკობს და ულაშაზებს.

ხოლო მარაქა, მრავალფერი, გარს რომ ირევა,
 თუ დაბნეული ბედის რჩეულს შეხვდა კიდევაც,
 ვით ზღვის სტიქია, გასაფრენად ზურგს შესთავაზებს.



მონადირეთა დამწვინობება

ვინ გაგახარა, ტყვე მშვენიერო,
 მთაზე აგყარა, გამიღლა ცამდე?
 შენს შემქმნელს მანამ უნდა ვლოცავდე,
 სანამ ჩემი ხმა კიდევ ხმიერობს,
 შენდა მშვიდობა,
 შენდა მშვიდობა, ტყვე მშვენიერო!

როგორც აღმები საბედნიერო,
 გვფარავდა შენი რტოთა ტალღები!
 ერთგულო მცველო იალღების
 და ლეგენდების სანებიერო!
 შენდა მშვიდობა,
 შენდა მშვიდობა, ტყვე მშვენიერო!

ღაბლა რას ვნახავთ სამადლიეროს,
 მალლა კი შველი ძოვს საიგავო,
 გული მიგვიწევს ჩვენც საიქაოდ, —
 ბუკის ხმა ისევ გავაძლიეროთ:
 შენდა მშვიდობა,
 შენდა მშვიდობა, ტყვე მშვენიერო!

რასაც ვუმღერდით აქ, ზეციერო,
 კვლავაც ვაცხადებთ მთასა თუ ბარად:
 დავრჩებით შენი ერთგულნი მარად,
 შენ, გერმანელთა დროშავ ძლიერო,
 იყავ მშვიდობით,
 გფარვიდეს ღმერთი, ტყვე მშვენიერო!

კალეს მახლობლად

ველს დასცქერს ციხე ძველ სიჩაუქით,
 წყლის სარკე კოშკებს ლაზათს
 ამატებს, —
 ლალი ზაალე გვერდს რომ ჩაუდის,
 გიბიჰენშტაინ ჰქვია პალატებს.

ფანჯრიდან მზირალ ლამაზ ასულებს
 ვესალმებოდით თაიგულებით.

აქ მოსვლა ადრე ბევრჯერ მენება,
 როს აყვავებულს ვუცქერდი სერებს;
 მას შემდეგ ქვეყნად მსგავსი მშვენება
 სადმე ნანახად ვერ გავიხსენე.

ახლა დაბერდნენ ის გოგონები,
 ფილისტერი ჰყავთ ავანჩავანი;
 დარჩა ორდენი, ვით მოგონება
 და ველარ იცნობს მავანს მავანი.

ველს ედებოდა სიმღერა ჩვენი,
 მოჭირითეთა ცხენთა თამაშით
 და მოხდენილი ვხარბეჭის ჩენით,
 როგორც გმირები წარსულ ხანაში —

ძველ, დაზავსებულ ციხის სანახებს
 დავცქერ, ვით სული მდგარი ეულად,
 არც მტრებს მოველი, არც ამხანაგებს,
 აქ ყველაფერი უცხოდ ქცეულა.

გვავდით რაინდებს უამგადასულებს,
 ციხე გვხვდებოდა კვლავ ერთგულებით,

ძველი სიმღერა, წვა და წადილი
 წასულა, შორით თუ გვეჩვენება;
 ო, გარდასულო დროვ სიყმაწვილის,
 გულს მაწევს დარდად შენი მშვენება.

ლაშით

როს ვმოგზაურობ მდუმარე ლაშით,
თან მახლავს მთვარე და ზოგჯერ წამით
მოიხსნის ფრთხილად ღრუბლების
რიდეს.

ხან კი ბუღბუღი მოგვითხრობს მარტო,
რაზედაც დარდობს
და კვლავ სიჩუმე და სიბნელე
დაბურავს კიდეს.

ო, მგალობელის ლაშის ლაღადი,
ვით შორეული ამო ნაკადი,
ბნელ ხეებს ჩუმად შეაჯობებს:
ამიბოყირებს ნალვლიან ფიქრებს,
როცა გზას იგნებს
სულში, სიმღერად გარდაქმნილი
გაიხშიანებს.

მეგზური

„ახლა მხარმარჯვნივ, გზას თუ გაიტან,
ოღონდ იყავი გონით,
შემდეგ პირდაპირ მიდი, ჰაიდა —
და გაგიმართლოს მგონი“.

მადლობა ბრძენო; და რაკი შესდექ
თქვი ბარემ, ეგეც მწამდეს:
ამქვეყნიური ჯახირის შემდეგ
გზა როგორ მიდის ცამდე?

მეზვრა

მთელ ლაშეს წვიმამ არ გადიკარა,
ნისლში შეცურდა დედაბუნება,
და დაისვენეს ახლა ნეტარად
ტანდალორთქილმა ხოდაბუნებმა.
როს სიომ ნისლი გაჭრა იჩქითად,
ცის სილურჯეში სხივი გაფრინდა,
დილის მზემ ისე გამოიჭყიტა,
როგორც ლამაზმა ქალმა ფანჯრიდან.

ვხედავდი, როგორ გამოიკვეთე
ნისლიდან ჩემო ძველო სახლკარო,
ვაზებს შეეტკბო შენი სიკეთე,
შენს ზღურბლზე გული ვინ აიყაროს!
შენით გაბრწყინდა შორი ტატნობი,
მდინარე, ველი დაულახავი,
შენა ხარ ჩემი დილის მნათობი
და ჩემი სიზმრის მზეთუნახავი!

ნატვრისთვალი

ყოველ საგანში სუფევს სიმღერა,
ვით დაფარული რამ განძეული;

და ამღერდება სამყარო, მჯერა,
თუ მოიხელთე სიტყვა გრძნეული.

გაზაფხულის ვედრება

რას ვაქნევ ქარში ამოსულს კენტად
საგაზაფხულო მშვენიერ ყლორტებს:
თუ ლექსის წყარო გადამეკეტა,
სულს სიხარული აღარ მიშფოთებს,
და იმედს მხოლოდ იმაში ვხედავ,
მზე რომ მოხატავს შორეულ კორდებს.

მომეც წარსული მშვიდობა ისევ
და დამიბრუნე იმედი მხსნელად,
მომეცი ჩანგი, სიმღერა მქისე,
მერე გინდ თოვე, გინდ წვიმე ველად,
მე ჩემს გაზაფხულს თვით გავალვიძებ,
თუნდაც ეს იყოს უკანასკნელად!

ქველი ხალი

ვარდებს და ტიტებს კვლავ შერჩათ
 ფერი,
 სიცოცხლის ჯადო იცავს პატარებს,
 დედ-მამას ფარავს საფლავის მტვერი,
 ობოლ ყვავილებს რაღა ახარებს?

ნაზად ჩურჩულებს შადრევნის წყალი
 გარდასულ დროჟამს ალბათ იგონებს;
 და მყუდროდ სკამზე მთვლემარე ქალი
 ჩაშლილ ნაწნავებს მკერდზე იკონებს.

ქალს ჩანგი ისევ ხელთ შერჩენია,
 ძილს მინდობია მისი ძალებიც;
 თითქოს ვამსგავსებ ვინმე [ხეშინძისა]
 ჩავუვლი ფრთხილად და მოვკრახლებით.

და როცა ღამე დღის შთანთქმას
 ცდილობს,
 საკრავის სიმებს ნაზად ეხება;
 მაშინ, უცხო რაგ მუსიკის კილო
 ძველ ბაღს ღამეულ კვნესად ეღება.

განთიადი

ღრმა მოლოდინში ჩაძირულა მთელი ბუნება,
 მხოლოდ ბუბუბულის შორეული ისმის ჩივილი,
 თუმც მისი მოთქმა არც ღზენაა და არც ტკივილი,
 მაინც საამოდ გულზე შვეებით გვესალბუნება.

ახლა ტოროლაც მოცდენილი სადმე გენახოთ!
 ჰაერს აყრუოლებს ნაადრევი მისი ელურტული,
 ზე აიჭრება გამეტებით, როგორც შურდული,
 რომ პირველ სხივებს ჰაერშივე ფრთები შეახოს.

მე კი ვიდექი ბაღში ჩუმად ფიქრით მოცული
 და შემდეგ მინდორს გავუყევი ვიწრო ბილიკით,
 სად ოქროსფერი ყანა მძიმე თავთავეს არწევს.

ო, ჩიტუნიავ, მე და შენ ვართ ადრე მოსული,
 შუქი გვწყურია, სიბნელე კი მუდამ პირიქით —
 თან გვდევს ყოველთვის და სიმღერას ლოდევით აწევს.

შუქარაღილი

მწუხრს დაუფარავს ფრთებით
 მთა-ველი,
 ტყეში შრიალი უკვალოდ მიჰქრის,
 ღრუბელი, როგორც მძიმე რამ ფიქრი —
 ცას გადაჰკვრია შესაზარელი.

ასეთ დროს მარტოს ნუ აბალახებ
 თუ ნუკრი შენი მოიმედეა;
 მონადირნი ტყეს მოსდებიან
 და აყრუებენ ბუკით სანახებს.

მანდ თუ ამფსონი შენიც იხილო,
 არ დაიჯერო იმისი ლიქნი;
 გახსოვდეს, ზოგი ჭრელია შიგნით,
 ნიღბავს ვშვიდობის იწილბიწილო.

რაც იღუპება დღეის-დღეობით,
 ხვალ აღდგენილი კვლავ მწყობრში
 დგება.

თუმც ღამით ბევრი უკვალოდ ქრება —
 შენ უნდა გასძლო შენივ მხნეობით!

პოლ კლოდელი

დრო გაპარულა სადღაც...
აი, ჩათავდა მარტიც.
ჭაბუკი უკვე არ ხარ, ასეა დროის წესი.
— მით უარესი, თქვა მან, და თან — მით უკეთესი!
აი, ჩათავდა მარტიც
და ნოემბერიც ცივი.
სად არის შენი მგლის მუხლი, შენი თვალების კვესი?
— მით უარესი, თქვა მან, და თან — მით უკეთესი!
და სიყვარულიც გაქრა!
და ყრუ მოხუცი გახდი!
დამთავრდა დღესასწაული, ყველგან იმედის მთესი!
— მით უარესი, თქვა მან, და თან — მით უკეთესი!
იქით გზებია მკაცრი
და სიკვდილია ნაღდი.
და ახლა ყველა ნაბიჯი სახიფათოა შენთვის.
— მით უარესი, თქვა მან, და თან — მით უკეთესი!
დრო გაპარულა სადღაც
და ყველაფერი მორჩა —
და დაგვრჩა რწმენა ღმერთის!
— მით უარესი, თქვა მან, და თან — მით უკეთესი!

ალფრად დე მიუსე


სევდა

ვკარგავ ძალას და სიცოცხლე მიჭირს,
ვკარგავ მეგობრებს და დროსტარებას;
უკვე დავკარგე ამპარტაუნება, —
რომ სწამდა ჩემი უბადლო ნიჭის.

როს ჭეშმარიტი მწვეიცან სიტყვა,
ერთგულ მეგობრად მივიღე იგი;
როცა ვიგრძენი და როცა მივხვდი,
მე მისგან უკვე დაღლილი ვიყავ.

და მაინც, იგი არის მარადი,
და ყველა, რაც კი მასზე გადადის —
უარგვიყვია აქ, დაბლა, ჩვენთან.

ამბობს და პასუხს მოითხოვს ღმერთი:
და რაც მე შემრჩა — ის ერთადერთი
საუბარია საკუთარ ცრემლთან.



გიიომ აპოლინერი

ვუსმენ ხმაურს ქალაქის
და სივრცეს ვუერთდები
ვარ საბრალო ზვარაკი
ჩემი ციხის კედლების

დაბინდდა და თამაშით
ლამპის შუქი გროვდება
და მარტო ვართ საკანში
მე სინათლე გონება

ახალგაზრდობის გაბუნდა წლები
როგორც დამჭენარი გირლიანდები
აი დამდგარა უკვე სეზონი
ეჭვებისა და არადჩაგდების

და ილიმება სადღაც ბნელიდან
ახალგაზრდობის ძველი პორტრეტი

მოგონებების პეიზაჟს ვუმზერ
იმ შეცდომების მტანჯავს ნაღველი
და ჩამომსხდარან ხის ძირას კუნძზე
კლოუნი კიდევ ვიღაც გამვლელი

გატეხილ შუშას აწვალებს ქარი
შეშლილი სახე ადამის ტომის
და თავისთავთან ეულად მდგარი
თავის წარსულს და მომავალს შორის

ხელმა მოხვეტა თაროს მტვერი და
რევოლვერს მისწვდა დადგა მომენტი

ახალგაზრდობის გაბუნდა წლები
როგორც დამჭენარი გირლიანდები
და ახლა ლოცვა გვმართებს უფლისა
დროა სიბრძნის და სინანულისა

პიერ დე რონსარი

გაზაფხულს ყვავილი არა აქვს იმდენი
და არც შემოდგომას იმდენი ყურძენი,
არც ზაფხულს სიცხე, მდალავი ყოვლის,
არც ზამთარს არა აქვს იმდენი თოვლი,
და არც იმდენი თევზია ზღვაში,
და არც იმდენი თმის ღერი თმაში,

არც ქვიშა იმდენი ბრეტანის მზარეში,
არც ომში იმდენი სიკვდილის თარეში,
არც ღამეს იმდენი ვარსკვლავი ცაზე,
მტვერიც კი არაა იმდენი გზაზე, —
რამდენ ტანჯვასაც ატარებს გული,
შენდამი ტრფობით გაგიჟებული.

შარლ პოლლარი

მოცეკვავე გველი



როგორ მიყვარს ჭკრეტა შენი
 მოთენთილი ტანის,
 თითქოს ამ თხელ ქსოვილს შვენი
 კრთომა შენი კანის!

და შევცურე შენს ხშირ თმებში,
 და სურნელი მდალავს,
 თითქოს ზღვაში გადავეშვი,
 მანანავებს ტალღა.

ვით იღვიძებს დილით გემი
 და რაყრაყის ნიავს,
 მეოცნებე სული ჩემი
 შორს, ზეცისკენ მიაქვს.

არ ამეღავნებს ეგ თვალეზი
 არც ხალისს, არც ნაღველს.
 ვით ოქროში ძვირი თვლები,
 ისე უმზერს მნახველს.

მოძრაობა მომხიბვლელი...
 უნდა დაგიმონოს.

გეგონება ცეკვავს გველი
 გრძელი ჯოხის ბოლოს;

ასე მიმზიდველად ზანტი
 და ბავშვური თითქოს,
 თავის ქნევით წააგავდი
 პაწაწინა სპილოს.

და სხეული, ვით ნაპირთან
 ნავი მოქანავე,
 ირწევა და ნელა ყვინთავს
 ვით სჩვევიათ ნავებს.

როგორც დამსხვრეული ტალღა
 ნაპირებთან შმაგობს,
 რომ მოგწოდება წყალი მაღლა,
 სადღაც — პირთან ახლოს.

ახლა ვფიქრობ შეესვა ღვინო,
 ესლა დარჩა ბრძნული,
 მაღლა ციდან მოვიფინო
 ვარსკვლავებით გული!

პოლ ვერლენი

შავი ძილი ღრმა —
 სპობს სიცოცხლეს, ვხედავ,
 არც იმედის ხმა,
 ველარც ნატვრას ვხედავ.

ველარ ვაგნებ კარს,
 ვერც ვიხსენებ რამეს,

ვერც ცუდს და ვერც კარგს...
 ო, მწუხარე ღამე.

აკვანი ვარ და...
 ვილაც მარწევს, კმარა!
 რა დრო გავიდა...
 წყნარად! წყნარად!
 წყნარად!

და ეს მოხდება ზაფხულის ერთ დღეს:
მცხუნვარე მზეში გეტყვი: ეს მე ვარ!
შენ აბრეშუმის კაბა გეტყევა
და შენი კანი მისცემს მას ელფერს.

სავსე ლაქვარდი, კარავი ცაზე
შეარხევს თავის მეფურ ნაკეცებს,

შენი თმა გრძნობას გამიასკეცებს,
სიხარულით და ლოდინით სავსეს,

როცა საღამო მოაფენს ჩრდილებს,
თამაშ-ალერსით ბუჩქთან თუ ხესთან,
ჩვენ გავუყვებით ხეივანს ერთად
და გავუღიმებთ ჩვენს ირგვლივ
წყვილებს.

დონ კიხობს

ო, დონ კიხობსო, ძველო რაინდო,
გახდი საცინლად მდაბალთა, ბილწთა.
ცხოვრება შენი სანთლად აინთო
და მოკვდი ისე, ვით ვსხვერპლი წმინდა.

მე შენს ნაკვალევს მოვდეგ აქედან,
დღეს უფრო მეტი ფლიდი გვხლებია.
ნეტავი ერთი წამოგახედა
რამდენი ქარის წისქვილებია.

და პოეტები მოგყვებით ყველა
შთაგონებულნი შენით, და გვჯერა, —
შენი სიმართლე სხიცა მზისა.

მიუხედავად ყველა ლალატის, —
დროშა მალალი პოეზიისა
მხოლოდ რჩეულთა ხელში გადადის.

რამოდ კენო

შავი სამელნე და შუქი მთვარის
შავი სამელნე და შუქი მთვარის
მთვარის შუქი და შავი სამელნე
მთვარის შუქი და შავი სამელნე
მგოსნის კალამი ქალაღდზე გარბის
მგოსნის კალამი ქალაღდზე გარბის

ოთახში სუსხი იგრძნობა ღამის
შავი სამელნე და შუქი მთვარის
კალამი ისევ ქალაღდზე გარბის
მიაპობს შავი ხნული თეთრ ყამირს
შავი სამელნე და თეთრი მთვარე
ელიან პირმშოს უძილო ღამის —
შავი სამელნე და თეთრი მთვარე

თარგმნა ბარანა ბრეზვანაძემ



II

იმპერატორი იულიანე

მოქმედი პირნი:

იმპერატორი იულიანე.

ნემიტა, მხედართმთავარი.

კოტაგონი, ოქრომჭედელი.

კენისარი ნაზიანზელი, სასახლის კარის ექიმი.

თიმისტოზი

გამერტინუსი რიტორები.

ურსულუსი, მიკროკლემენტუსისი.

მენაპიოსი, დალაქი.

ბარბარა, მანქანკალი.

ეპიგონიუსი. ღვთისმეტყველების მასწავლებელი.

კარისტაცები და მოხელეები.

კონსტანტინოპოლელი მოკალაქენი.

დიონისე მცლელობის მონაწილენი; მუსიკოსები, მოცეკვავეები, ოინბაზები, ქალები.

აღმოსავლელ მბრძანებელთა ელჩები.

მეფერიოსი, სახლთუხუცესი.

სასახლის კარის მსახურნი.

მსაჯულები, რიტორები, სოფისტები და ანტიოქიელი მოკალაქენი.

მოდონი, პურით მოვაჭრე.

მალკოსი, მეზაფე.

გრიგოლ ნაზიანზელი, ექიმ კენსარიოსის ძმა.

ფოკიონი, მღებავი.

კუბლია, მეფსალმუნე ქალი.

ილარიონი, მისი ვაჟი.

აბათონ კაკადოკიელი.

ეპისკოპოსი მარკოს ქალკედონელი.

აკოლონის მცლელობის მონაწილენი; მურუმები; და ქალაქის მცველნი.

აბათონის უმცროსი ძმა.

დაკატიმრებული მრისტიანები.

ჰერაკლიოსი, პოეტი.

ოკრიბასიოსი, იმპერატორის ექიმი.

ლიბასიონი, რიტორი და ანტიოქიელი უხუცესი.

აკოლინარიოსი, მეფსალმუნე.

კირილე, სჯულის მოძღვარი.

კიბელის მოხუცი მურუმი.

ანტიოქიელი მეფსალმუნე ქალები.

ფრომენტინუსი უმცროსი მხედართმთავარი.

გაბრძელობა. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1

იოვინანო, უფროსი მხედართმთავარი.
 მამსინე, მისტიკოსი.
 ნუმე, მისანი.
 ორი ეტრუსკელი მისანი
 ორმინდი, გაძევებული სპარსელი თავადი.
 ანატოლიოსი, იმპერატორის სხეულის მცველთა რაზმის უფროსი.
 პრისკუსი
 კიტრონი სოფისტები.



ამინანო, უმცროსი მხედართმთავარი.
 ბასილი კისარიელი.
 მაპრინე, მისი და.
 სპარსელი მოლაღატი.
 რომაელი და ბერძენი ჯარისკაცები.
 სპარსელი მემორები.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს კონსტანტინოპოლში, მეორე და მესამე — ანტიოქიაში; მეოთხე — იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე და ვით მახლობლად. მეხუთე — მდინარე ტიგროსის გადაღმა. მოქმედების დრო — 361 წლის დეკემბერი — 363 წლის ივნისის დამლევით.

პირველი მოქმედება

კონსტანტინოპოლის ნაგმისადგომი. წინ, ხელმარჯვნივ, საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ნავსადგურის ნაწილი ჩანს. გზებზე ხალიჩები აფენია. ცოტა მოშორებით, ამაღლებულ ნაპირზე, ტილოთი შემობურთული და მცველებით გარშემორტყმული ქვა დგას. შორს, ბოსფორში საიმპერატორო ფლოტი ჩამწყობებულია. ხომალდებზე სამგლოვიარო აღმები ფრიალებს.

ნავსადგურში უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ზოგი ნავებში ჩამსხდარა, ზოგიც ნაპირიდან გაჰყურებს სიერცეს. ზღვის პირას დგას ოქრომკედით მოსირმული პორფირით მოსილი იმპერატორი იულიანო. გარს ძარისკაცებისა და მოხელეების ამაღა ახევეია. იმპერატორთან ყველაზე ახლოს დგანან: მხედართმთავარი ნივიტა, სასახლის კარის ექიმი კისარიოსი და რიტორები თიმისტოსი და მამარტიანუსი.

იულიანო (ბოსფორს გაჰყურებს). რა შეხვედრას! ერთის მხრივ, მკვდარი, მეორეს მხრივ კი ცოცხალი იმპერატორი. რა მწარეა იმის შეგნება, რომ სამშობლოდან ასე შორს დაღლია სული! შეუსვენებელი მოვისწრაფოდი, მაგრამ მაინც ვერ მოვუსწარი; ველარ ვიგემე იმპერატორის ძმური ხვევანა-აღერხის სიტყბო! ორივეს სიმწარე გვარგუნა ბედმა!.. სადაა ხომალდი მისი ნეშტით?

ნივიტა. აგერ მოდის.

იულიანო. აი, ის გრძელი ნავი?

ნივიტა. დიახ, ჩვენი მწყალობელი და მბრძანებელი!

იულიანო. ჩემი საბრძოლო ნათესავი!.. რა სვემაღალი იყო სიცოცხლეში და ახლა კი ასე დაბალ ჭერს უნდა შეურიგდეს!.. ახლა თვით კუბოს სახურავსაც ვერ მიართყამ თავს, უწინ კი თავს ზრიდი კონსტანტინეს თაღის ქვეშ გავლისას.

მოქალაქე (ბრბოში). რა ახალგაზრდაა ჩვენი ახალი იმპერატორი!

ოქროგზადელი კოტამონი. ცოტა არ იყოს, გასუქებულია და დავაუკაცებულა კიდევ. უკანასკნელად რომ ვნახე, ისეთი გამხდარი და გაღეული იყო... მას აქეთ ცხრა-ათი წელი მაინც იქნება.

მეორე მოქალაქე. მერედა, რამდენი დიადი საქმე აღასრულა ამ წლების მანძილზე.

ქალი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რამდენი საფრთხე ემუქრებოდა ყოველი მხრიდან, თვით ბავშვობის დროიდან მოყოლებული?

მღვდელი. სასწაულებრივი ძალით დაადწია თავი ყველა განსაცდელს, იმიტომ, რომ უფლის განგება იფარავდა...

კოტამონი. რა ვიცი, ამბობენ, გაღიაში სულ სხვა ძალის მფარველობას მიანდო თავიო.

მღვდელი. მტყნარი სიცრუეა, დამერწმუნე.

იულიანო. აი, ისიც გვიანლოვდება. მზე, რომელსაც მე ღვთაებად ვსახავ, და დიადი მეთამბუროცნელი ღმერთი მემოწმებან, რომ კონსტანციუსის სიკვდილი არ მიწოდდა. ღმერთ-

მანი, აზრადაც არ მომხვლია ეს. რამდენჯერ მილოცია მისი დღეგრძელობისთვის... შითხარი, კესარიოს, — უველაზე უკეთ შენ გეცოდინება, — ხომ არაფერი პატივი დაუკლიათ იმპერატორის ცხედრისთვის გზაში?

კესარიოსი. მთელ მცირე აზიაში სამგლოვიარო პროცესია ნამდვილ ტრაგედიაში მსვლელობად იქცა. უველა ქალაქში, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, ქუჩები მორწმუნეთა ბრბოებით იყო ხავსე; ეკლესიებში მთელი ღამეების მანძილზე არ წყდებოდა ლოცვა და მღვდლების გალობა; ათასობით მოციმციმე სანთელი სხივოსან დღედ აქცევდა ღამის მღვდლებს.

იულიანე. დიახ, დიახ... უცნაური ფრუანტელი მივლის ტანში, როცა წარმოვიდგენ, რომ ესოდენ დიადი, ქველი და ხალხის სათაყვანებელი იმპერატორის ხელიდან უნდა მიმეღო სამეფო კვერთხი. ოჰ, ნეტავი ამქვეყნიური ორომტრიალისგან შორს ყოფნა, სადმე მყუდრო სავანეში განმარტობით ცხოვრება მრგებოდა წილად!

მამმარტინუსი. კი მაგრამ, ვინაა შეძლებდა ისე ღირსეულად ეტარებინა ეს მძიმე ტვირთი, როგორც შენ, ჩვენო სწორუპოვარო მბრძანებელო? მე თამამად მოვუხმობ უველას, ვინც პატივმოყვარეობით აღძრული ხარბად მიელტვის იმპერატორის ტახტს: მოდიოთ და ხელში აიღეთ მმართველობის სადავე, მაგრამ ისე ღირსეულად კი გეპყრათ, როგორც უპყრია იულიანეს! დღედაღამ იფნიზლეთ და იზრუნეთ როგორც უველას ბედნიერებაზე ერთად, ისე თვითთვის კეთილდღეობაზე ცალ-ცალკე! სადმართო საქმისათვის მებრძოლთ ჩაუდევით სათავეში და არა მონადიმეთა სუფრას! ნურაფრის მიღებას ნუ ეცდებით, არამედ უშურველად გაეცით და თქვენი წყალობა მიაგეთ უველას! მართლმსაჯულებისას თანაბრად უცხო იყოს თქვენთვის მიეგრძობაც და დაუნდობლობაც! იცხოვრეთ ისე, რომ თქვენ გამო არც ერთმა ქალწულმა არ აფრქვიოს ცრემლი ამქვეყნად! სძლიეთ გალიის ურჯულობასაც და გერმანიის ხუსხსაც... რას შეტყობდნენ ამის პასუხად! ესოდენ მკაცრი მოთხოვნებით დამფრთხალნი თავიანთ სათუთ უურებს დაიცობდნენ და წამოიძახებდნენ: „მხოლოდ იულიანეს თუ შეუძლია აღასრულოს უოველივე ეს!“

იულიანე. თუ ყოვლისმპყრობელმა ინება, ეს დიადი იმედი არ გაგიცრუვდება. მაგრამ რამდენი რამ მაკლია ჯერ კიდევ! ღმერთმანი, შიში მიპყრობს. მე ალბათ აღექსანდრე მაკედონელს, მარკუს ავრელიუსსა და სხვა დიდ ადამიანებს შემადარებენ. ვანა პლატონმა არ ბრძანა, მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია ხალხის მართვა? ოჰ, ილოცეთ ჩემთან ერთად, რათა თავი დავაღწიოთ მწვაობის მახესა და ძალაუფლების საცთურს. ათენი, ათენი! აი, რისთვის კმუნავს და საით მიილტვის ჩემი სული! მე იმ კაცს ვგავდი, მხოლოდ სხეულის გასაკაუებლად რომ ვარჯიშობს, ახლა კი მოდიან და მეუბნებიან: „არენაზე გამოდი და ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვე! შენ შემოგყურებს მთელი საბერძნეთი“. როგორ არ შედრკეს და შეძრწუნდეს ჩემი სული ჯერ კიდევ მანამ, სანამ საასპარეზოდ გამოვიდოდე?

თიმისტრიოსი. რას ბქვია შედრკე და შეძრწუნდე, მბრძანებელო? ვანა საასპარეზოდ გამოსვლამდე არ მოიხვეჭე ბერძნების სიყვარული? ვანა ძველი უფლებები არ დაუბრუნე და ამრიგად, აღადგინე უველა განდევნილი სიკვდილე? ვანა შენს არსებაში არ შეერთდა უველა დიადი ნიჭიცა და უნარიც, რომლებსაც ფლობდნენ პერაკლე, დიონისე, სოლონი და...

იულიანე. სსუ!.. დღეს მხოლოდ მიცვალებულის ქება-დიდება გვმართებს! ხომალდი უკვე ნაპირს მოადგა. ჩამომართვით ჩემი დიადემა და ოქროს ჯაჭვი; არ მინდა ამ მწუხარე უამს საიმპერატორო ნიშნები მეპყრას. (ამალის ერთ-ერთ წევრს გადასცემს რეგალიებს.)

ნაპირზე ამოდის დიდებული სამგლოვიარო პროცესია; წინ მღვდლები მოუძღვიან, რომლებსაც ანთებული სანთლები უჭირავთ ხელში. კუბოს დაბალი ბალდახნით მოასვენებენ. წინ და უკან საეკლესიო ბაირალები მოაქვთ. მომდარალი ბიშუნიები საცეცხლურის ქნევით საქმეველს აკმევენ. პროცესიას უკან მოსდევს პრისტინან მოძალაპმთა ბრბო.

იულიანე (კუბოს ხელს დაადებს და მძიმედ ამოიხრებს). ეჰ!..

ერთ-ერთი მახურბიელი (ბრბოში). პირჯვარი გადაიწერა?

მეორე მახურბიელი. არა.

პირველი მახურბიელი. აი, ხომ ხედავ?

მესამე მახურბიელი. არც წმინდა ხატების წინ მოიხარა ქელი.

პირველი (მეორეს). ხედავ? აკი გეუბნებოდი!

იულიანე. სახელით და პატივით დაუბრუნდი მშობლიურ სახლს, ჩემი ნათესავის უხულო წესტო! მე ამ მტვერს პასუხს არ ვაგებინებ იმის გამო, რითაც ჩემ წინაშე სცოდავდა შენი სული! თუმცა რას ვამბობ? ვანა შენი სული მძვინვარებდა და ისე უმოწყალოდ მუსრაავდა ჩემს გვარს, რომ მხოლოდ მეღა დავრჩი ცოცხალი? ვანა შენმა სულმა ბრძანა, თავი მოეკვეთათ ჩემი კეთილშობილი ძმისთვის? ვანა შენ დამაკისრე სრულიად გამოუცდელ ჯაბუკს ესო-

დენ მძიმე მოვალეობა პირქუშსა და რომაელების მოძულე გალიაში, ხოლო შემდეგ, რაკი ვერაფრითარმა ბედუკულმართობამ და უბედურებამ ვერ გამტება, თვითონვე დააპირე მიგესაკუთრებინა ჩემ მიერ მოპოვებული გამარჯვებების პატივი? ო, კონსტანციუს, ჩემო ძვირფასო ძმავ, შეუძლებელია შენი დიდი გული ყოფილიყო მთელი ამ უკეთურობის წყარო! რატომ იწამებდი თავს? რატომ გელანდებოდა სასიკვდილო სარეცელზე სისხლიანი აჩრდილები? გულბილწმა მრჩველებმა მოგიწამლეს მთელი სიცოცხლეცა და მისი უკანასკნელმა წუთმაც ქუჩებს მშვენივრად ვიცნობ. ესაა ხალხი, რომელიც გახრწნა შენმა მზესავით უშურტელმა სიტუაციამ და მოწყალეობამ. დიახ, ყველას მშვენივრად ვიცნობ, ისე მზაკვრულად რომ ეხვეოდნენ სასახლის მიერ მოწონებული რელიგიური მრწამსის მოხასხამში, როგორც მგლები — ცხვრის ქურკში.

წარმართი მოშალაქმები (იულიანეს თანმხლებთა შორის). გაუშარჯოს იმპერატორ იულიანეს!

კმისარიოსი. მოწყალეო ხელმწიფევ, ხალხი გიცდის...

იულიანე (მღვდლებს). დაე, თქვენი საღმრთო ვალობა ნუ დადუმდება ჩემ გამო, წინ, ჩემო მეგობრებო, წინ!

პროცესია დაიძვრება და ნელ-ნელა მიიწევს მარცხნივ. ვისაც სურს, გამოგვეყვოს, ვისაც არადა, დარჩეს, მაგრამ დაე, ყველამ იცოდეს, რომ ამერიიდან აქაა ჩემი ადგილი.

ბრბო შეჩოჩქოლდება.

ვინა ვარ მე? იმპერატორი. განა ამით ყველაფერი არაა ნათქვამი? განა იმპერატორის მოვალეობათა შორის არ არის ერთი საპატიო მოვალეობა, რომელსაც ამ ბოლო ხანს რატომღაც არ სწყალობდნენ და, როგორც ჩანს, ცდილობდნენ სამარცხვინო დავიწყებისათვის მიეცათ? ვინ იყო გვირგვინოსანი ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი? იმპერატორი? მარტოოდენ იმპერატორი? თუ ცოტა მეტი, ვიდრე მხოლოდ იმპერატორი? მითხარით, განა იმავდროულად ქურუმთუხუცესიც არ იყო?

ხმები (ბრბოში). რაო, რაო? რას ამბობს იმპერატორი?

თიმისტრიოსი. ო, მბრძანებელო, ნუთუ მართლა გგონია, რომ...

იულიანე. თვით ბიძაჩემმა, კონსტანტინე დიდმაც ვერ გაბედა უარი ეთქვა ამ წოდებაზე. და მას შერეც კი, რაც მეტისმეტად ფართო უფლებები მიანიჭა ერთ ჩვენთვის კარგად ცნობილ მოძღვრებას, კვლავინდებურად იწოდებოდა ქურუმთუხუცესად ყველა მათგანის მიერ, ვინც განუხრელად იცავდა ჩვენს მამა-პაპურ რწმენას და მრწამსს. სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის თაობაზე, თუ, ჩვენდა სავალალოდ, როგორ უგულვებელყოფდნენ ამ ბოლო ხანს შემოსხნებულ წოდებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერც ერთი ჩემი დიდი წინამორბედი, მათ შორის ვერც ის, ვისაც დღეს ცრემლების ფრქვევით უკანასკნელად ვემშვიდობებით, ვერ ბედავდა უარი ეთქვა ამ მაღალ წოდებაზე. მაშ, მე როგორღა გადავდგა ის ნაბიჯი, რასაც არც გონივრულად და არც სამართლიანად არ მიიჩნევდნენ ესოდენ ბრძენი და მართლად გამრიგე მბრძანებელნი. არა, არა, ეს აწრი სრულიად უცხოა ჩემთვის.

თიმისტრიოსი. მაინც რას გულისხმობ, მბრძანებელო?

იულიანე. მე ვგულისხმობ იმას, რომ ყველა მოქალაქეს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული. დაე, ქრისტიანთა ღმერთს მისდიოს ყველამ, ვისაც ეს სჭირდება თავისი სულიერი სიმშვიდისათვის. მე კი, ჩემდა თავად, ამერიიდან მთელ ჩემს სასოებას მივაპყრობ იმ ღმერთს, რომელიც აქამდე სრულიად უცხო იყო ჩემთვის. რამდენი უტყუარი ნიშანი მიმომწმებს იმას, რომ ყველა ჩემს წარმატებას გალიაში უნდა ვუმაღლოდე სხვა ღმერთებს, რომლებიც ოდესღაც უუსტად ასევე სწყალობდნენ და მფარველობდნენ ალექსანდრე დიდსაც. სწორედ მათი მფარველობის წყალობით დავადწიე თავი ათასწირ ბიფათსა თუ განსაცდელს და მათვე მომიუყვანეს აქაც, მომიუყვანეს ისეთი სასწაულებრივი სისწრაფით, რომ ქუჩებში ჩემს უურს არცთუ იშვიათად მოსწვდენია განცვიფრების წამომახილი, რაც იმას მოწმობს, რომ მავანნი ღვთისდარად მთვლიან... თუმცა ეს, რასაკვირველია, აშკარა გადაჭარბებაა, ჩემო მეგობრებო! ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც უეჭველია; მე ვერ გავბედავ და არც შემიძლია უმაღური ვიყო ღმერთების მიმართ, რომლებიც ამდენი ხნის მანძილზე და ასე აშკარად მწყალობდნენ მე.

ხმები (ბრბოში, ყრულ). ნეტა რა განუწრახავს?

იულიანე. ყოველივე იმის ძალით, რაც შემოთ ითქვა, მე აღვადგენ ღმერთებს, რომლებსაც თავუანს სცემდნენ ჩვენი წინაპრები, და თავიანთ ძველ უფლებებს უუბრუნებ მათ. მაგ-

რამ ამასთან ვაცხადებ, რომ არაფერს ვერჩი არც გალილეველთა და არც იუდეველთა ღმერთს. ძველი დროის ღვთისმოსავ მბრძანებელთა ნება-სურვილითა და ხუროთმოძღვართა ღიღოს-ტატური ხელოვნებით აგებული წმინდა ტაძრები აღდგენილი იქნება მთელი თავიანთი ბრწყინვალეობით, თავიანთი საკურთხევლეობითა და ქანდაკებებით, — თვითრული თავისი/საკუთარი ღვთაების ჭეშმარიტ სახლად და სავანედ, რათა მათში კვლავ აღსრულდეს ღმერთისმსახურება. ამასთანავე მე არ დავუშვებ ქრისტიანული სარწმუნოების არავითარ წინააღმდეგობა/წინააღმდეგობა შეურაცხყოფასა და შევიწროებას. დაუშვებელია აგრეთვე საფლავებზე კლუბების/ტყუარების ტყვეობის შებღვნივა, რომლებსაც, თავიანთი უფუნური ცთომილების გამო, წმიდათაწმიდად თვლიან ქრისტიანები. შემწყნარენი ვიყოთ სხვისი ცთომილების მიმართ; მე თვითონ ვცდებოდი, მაგრამ ამის ვახსენებაც არ მინდა. თავს აღარ შეგაწყენო იმაზე მსჯელობით, თუ რა დასკვნამდე მიმიყვანა განუწყვეტელმა ძიებამ და ღვთაებრივ საკითხთა კვლევამ ჩემი ცხოვრების ოცდამეერთე წლიდან მოყოლებული. ვიტყვი მხოლოდ, რომ გულითადად ვულოცავ ყველას, ვინც უკან გამოიყვება, და დავცინი ყველას, ვინც არ მოიხურვებს ჩემი გზით სიარულს. მე ვეცდები დაგარწმუნოთ, ძალას კი არავის დავატან. (ერთხანს ჩერდება, თითქოს რაღაცას მოელისო, და მას შემდეგ, რაც ბრბოს მხოლოდ კანტიკუნტად აღმობდება მოწონების შეძახილები, უფრო ვაცხარებით ვანაგრძობს.). მე მოველოდი და, ვფიქრობ, ამის უფლებაც მქონდა, — მადლიერებისა და მოწონების ერთსულოვან უთიანს, ამის ნაცვლად კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობასთან წილნაყარ განცვიფრებას ვამჩნევთ. თუმცა წინასწარვე უნდა მცოდნოდა ეს. დევნამ, გმობამ, ძალადობამ და მძლავრობამ თითქოს მთლიანად დაგვაფარა წინაპართა ადათ-წესები. არავინ გამოშიტოვებია, არც მდაბიორი და არც დიდებული, ვიდას არ ვკითხე, ვისგან აღარ გამოვიძიე, მაგრამ ან ერთს თუ ახსოვს, ან ერთმა თუ ამიხსნა დაბეჭითებით, თუ რა წესების დაცვით უნდა აღსრულდეს მსხვერპლშეწირვა აპოლონისა ან ფორტუნასადმი? მეტი რა გზაა, იმულებული ვარ აქაც, ყველა სხვა საქმისა არ იყოს, ისევ მე გიჩვენოთ მაგალითი. რამდენი ღამე მითევია თეთრად, რომ ძველ წიგნებში წინაპართა წეს-ჩვეულებების თავი და ბოლო გამოემეცია. მაგრამ არ ვჩივი, რადვანაც მწამს, რომ რაც კი რამ კარგი გავვაჩნია, ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ მხოლოდ წინაპართა ღმერთებს. არც იმას ვიუკადრისებ, რომ თვითონვე აღვასრულო ყველაფერი, რაც... საით, კესარიოს?

ბენსარნოსი. ეკლესიაში, მოწყალეო ხელმწიფევ; მინდა ჩემი განსვენებული მბრძანებლის სულისთვის ვილოცო.

იულიანო. წადი, წადი ამ შემთხვევაში ყველას უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც თვითონ ეპრიანება.

ბენსარნოსი, რამდენიმე კარისტაციისა და მონაღლის თანხლებით, ხელმარცხნივ ვადის. მაგრამ თავისუფლება, რომელსაც თვით ყველაზე უკანასკნელ მოქალაქესაც კი ვანიჭებ, ნება მიბოძეთ, თვითონაც შევინარჩუნო. ამრიგად, გაუწყებთ ყველას, ბერძნებს და რომაელებს, რომ მე მთელი არსებით ვუბრუნდები იმ მოძღვრებას და ადათ-წესებს, რომლებსაც წმიდათაწმიდად თვლიდნენ ჩვენი წინაპრები; რომ ამიერიდან ვეღარავინ გაბედავს ხელი შეუშალოს შემოხსენებული მოძღვრების გავრცელებასა და ადათ-წესების აღორძინებას, და რაკი მე დეიძლი შვილი ვარ ამ ქალაქისა, რომელიც გამორჩევით მიყვარს, ამიტომ სწორედ ჩვენი ქალაქის მფარველ ღვთაებათა სახელით ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ ყოველივე ამას.

იულიანეს ნიშანზე მსახურები ტილოს ჩამოხსნიან ქვას და შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგებათ სამსხვერპლო, რომლის კვარცხლებეცხედაც საღვინე ამფორა, ზეთის ჭურჭელი, ფინხის კონა და მსხვერპლშეწირვისათვის საჭირო სხვა საგნები აწყვია, ბრბო უსიტყვოდ და განცვიფრებით მისჩერებია იმპერატორს, რომელიც სამსხვერპლოსაკენ მიემართება და თვითონვე იჭერს მსხვერპლშეწირვის თადარიგს.

თიმისტრიოსი. ო, მე, როგორც ჭეშმარიტი ბერძენი, ცრემლებად უნდა ვიღვრებოდე, ესოდენ უჩვეულო ქედმოდრეკილობისა და უებრო ღვთისმოსაობის შემყურე!

ერთ-ერთი მოძალაძე. უყურე, თვითონვე ამტვრევს ფიჩხს!

მეორე მოძალაძე. მაინცდამაინც მარცხენა ბარძაყზე უნდა გადაიმტვრიოს?

კირველი მოძალაძე. აღბათ ასეა საქირო.

მაშინტიუსი. შენ მიერ დაგზნებული ცეცხლის წყალობით, ჩვენს ღიღო იმპერატორს, ამიერიდან ახალი ძალით გაბრწყინდება და განახლებული ძალით აღდგება მეცნიერება და ხელოვნება, მსგავსად იმ ზღაპრული ფრინველისა..

ნემიბა. ეს ცეცხლი გამოაწრთობს ბერძენთა იარაღს. მე ბევრი არა გამეგება რა გალილეველთა არაკებისა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ახალი სარწმუნოების მიმდევარნი ჯაბანნი არიან და მეომრის ღირსების შემარცხვენენ.

თამისტიოსი. ეს ცეცხლი, ჩვენო უებრო იმპერატორო, უოველგვარი გმობის მწიკვლი-საგან გასწმენდს ჭეშმარიტ სიბრძნეს. შენ მიერ სამსხვერპლოზე დაღვრილი ღვინო მსგავსია პორფირისა, რომლითაც შენ მოხავ ჭეშმარიტებას, სამეფო ტახტზე რომ აგუავს იგი, და სა-სოებით ხელგაწვდილი...

მამარტინუსი. დიახ, სასოებით ხელგაწვდილი თითქოს ოქროს გვირგვინით ამკობ მეც-ნიერების სპეტაკ შუბლს, ხოლო შენი მეფური ცრემლები...

ერყენული

თამისტიოსი (უახლოვდება). დიახ, დიახ, შენი ცრემლები ობოლი მარტოტყველებს ცურავენ შენს დაწვებზე, მარგალიტებივით, რომლებსაც ღრმად ვარ დარწმუნებული, მეფუ-რი გულუხვობით გასცემ მჭევრმეტყველების ასაყვავებლად. ო, ბერძენებმა კვლავ მოიპოვეს იმის უფლება, რომ ცის მიმართ აღაპყრონ თვალნი და კვლავინდებურად დაუკვირდნენ ვარ-სკვლავთა მარადიულ სრბოლას! რამდენ ხანს გვიკრძალავდნენ ამას?! განა დასმენის შიშით თავჩაქინდრულთ არ უნდა გვევლო? პირუტყვთა მსგავსად, — მიწის მიმართ მზირალთ? ვინ, რომელი ჩვენგანი გაბედავდა იმას, რომ მიწის ამოსვლას და ჩასვლას დაკვირვებოდა? (ბრბოს მიუბრუნდება). თვით თქვენც კი, მხვნილ-მთესვედნო, დღეს აქ რომ მოგიყრიათ თავი, თვით თქვენც კი ვერ ბედავდით აღგენიშნათ ციურ სხეულთა ურთიერთგანლაგება და მდებარეობა, თუმცაღა თქვენი შრომა და აღოსთავთა მონაცვლეობა წარმოუდგენელია ამის გარეშე...

მამარტინუსი. ხოლო თქვენ, მეზღვაურებო, ან თქვენ და ან თქვენი მამები თუ ბედავდით იმ თანავარსკვლავედთა სახელების წარმოთქმას, რომელთა მიხედვითაც უნდა წარგემართათ ხომალდები? ახლა კი ამის შიში აღარა გაქვთ, ამიერიდან აღარავის ეკრძალება...

თამისტიოსი. დიახ, ამიერიდან არც ერთი ბერძენი აღარ იქნება იძულებული ისე იც-ხოვროს, იშრომოს ან იმოგზაუროს ზღვასა თუ ხმელეთზე, რომ თვითეული თავისი ნაბიჯი არ შე-უწონოს ციურ სხეულთა წრებრუნვის მარადიულსა და უცვლელ კანონებს. დიახაც ამიერიდან ის სათამაშო აღარ იქნება შემთხვევითობის ხელში.

მამარტინუსი. ო, რა კაცია ეს იმპერატორი, რომელსაც უნდა ეუმადლოდეთ ამდენ სი-კეთეს!

იულიანე (სამსხვერპლოს წინ ხელაპყრობილი). ამრიგად, მე ყველას წინაშე ქედმოდ-რჯით წავუქციე თავი ღვინოს და წეთიც დავდვარე თქვენს სადიდებლად, კეთილმოწყალე ღვთაებანო, ამდენი ხნის მანძილზე მოკლებულნი რომ იყავით თქვენს საკადრის პატივის! მე ადვავლინე ჩემი გულმხურვალე მადლიერება შენ მიმართ, დიდო აპოლონ, ვისაც მეფე-მზედ-გსაბავენ ზოგიერთი ბრძენკაცნი უპირატესად აღმოსავლელნი, ვინაიდან უშურველად გვიგ-ზავნი სითბოსა და სინათლეს, სიცოცხლის საფუძველსა და წყაროს... შენც შემოგწირე მსხვე-რპლი, დიონისე, სიმშაგისა და აღტყინების ღმერთო, მდაბალი მიწიერი სინამდვილიდან რომ აღიტაცებ კაცის ხულს და უზენაეს ძალებთან ზიარების ღირსსა ხდი მას... არც შენ დამვი-წყნისხარ, ფორტუნა, ვისაც, მართალია, ბოლოს გახსენებ, მაგრამ არც სხვებზე ნაკლებ მახსოვ-ხარ და არც მათზე ნაკლებ თაყვანს ვცემ. განა დღეს აქ ვიდგებოდი შენი შეწვევის გარეშე? მართალია, მე ვიცი, რომ დღეს შენი ღვთაებრივი სახით აღარ ევლინები მოკვდავთ, როგ-ორც ოდესღაც ოქროს ხანის ნეტარ მოდგმას ევლინებოდი, ოქროს ხანისას, რომლის ხსოვნაც შემოგვინახა უებრო ბრმა მომღერალმა, მაგრამ მე ისიც ვიცი, რაშიაც აღბათ სიბრძნის ყვე-ლა მოყვარე და მეგობარი დამეთანხმება — რომ შენ კვლავინდებურად გადამწყვეტი ხმა გე-კუთვნის უკვდავთა თათბირში, წარმმართველ საწყისს, კეთილსა თუ ბოროტ დემონს რომ ირჩევენ ამქვეყნიურ სიცოცხლეში თვითეული ჩვენგანის თანხლებად, თანამდევად და გზის მაჩვენებლად. და მე ვერაფერს ვისაყვედურებ, ვერაფერში დაგემდურები, ო, ფორტუნა! პი-რიქით, ათასი საბაბი მაქვს საიმისოდ, რომ მთელი არსებით გაქებდე და გადიდებდე და დღეს პირნათლად მოვიხდი ჩემთვის ესოდენ საპატიო მოვალეობას. მე არ მითაკილებია არავითარი, თვით ყველაზე შავი სამუშაოც კი და ახლა დღისით-მზისით, აქ, სამსხვერპლოს წინაშე მდგარი და ჩემი ძვირფასი თანამემამულეებით გარშემორტყმული მოველი, რომ ისინი თავიანთ ხმას შეუერთებენ ჩემსას და ქება-დიდებას აღავლენენ თქვენ მიმართ, უკვდავო ღვთაებანო!

ქრისტეან მოქალაქეთა უმრავლესობა მსხვერპლმეწიერვის დროს გაიპარება. ადგილზე ერთი მუჭა ხალხიღა რჩება, და როცა იულიანე სიტყვას დაასრულებს, ბრბოში მხოლოდ კანტიკუნტად გაისმის მოწონების შეძახილები, რააც ხითხითი და შეცბუნებულ მსმენელთა ჩურჩული ახშობს.

(აქეთ-იქით იყურება) აჰ, ასე? სად წავიდნენ? ნელ-ნელა გაიპარნენ?

თამისტიოსი. დიახ, სირცხვილით სახელეწილნი ესოდენ ხანგრძლივი უმადურების გამო.

მამარტინუსი. არა, არა, სირცხვილმა კი არა, სიხარულმა აუღლეწათ სახე. წავიდნენ, რა-თა მთელ ქალაქს მოსდონ ეს სასიხარულო ამბავი.

იულიანე (სამსხვერპლოს შორდება). უფიცმა ბრბომ რა იცის, როგორ მოეკიდოს დი-
აღსა და ამაღლებულს? ვინ მოსთვლის, რამდენი დაბრკოლება მელის, მაგრამ სიძნელე არ მა-
შინებს. რადგან არაფერი ისე არ შეშფერის სიბრძნის მოყვარეს, როგორც ცთომილების აღ-
მოფხვრა და ამოძირკვა. და ამ ნათელი მიზნისკენ სწრაფვისას მე თქვენი მხარდაჭერის იმე-
დი მაქვს, ჩემო ღრმად განსწავლულ და განათლებულ მეგობრებო!.. მაგრამ დაე, ჩვენი
აზრი ჭერჭერობით მოსწყდეს ყოველივე ამას... უკან მომყევით, ახლა ქუთუხსუა მრავალეობა
მიხმობს. (სწრაფი ნაბიჯით გადის, მოქალაქეთა მისალმებას უპასუხოფი ტოვებქი სქერუხა ცები
და ამაღის დანარჩენი წევრები უკან მიადევნენ).

იმპერატორის სასახლის ვრცელი დარბაზი. შუა კედელსა და თვითველ გვერდით კედელ-
ში თითო კარია დატანებული. წინ, მარცხენა კედელთან, ამაღლებულ კვარცხლობეზე იმპერა-
ტორის ტახტი დგას. ფეხზე მდგომ იულიანეს პარისტატები და მოხელეები ახვევიან გარს.
მათ შორის არიან შეჭურჭლეთუხუცესი ურსულუსი და რიტორები თიმისტროსი და მამე-
რტინუსი.

იულიანე. აქამდე ღმერთები თავიანთ მოწყალებას არ გვაკლებდნენ. ახლა საქმე ბო-
ბოქარი მდინარის სისწრაფით მიიწევს წინ. ფარული სიკერპე და სიჭიუტე, რასაც ზოგიერთ
მათგანს ვატყობ, ვისგანაც ყველაზე ნაკლებ მოველოდი ამას, სულის სიმშვიდეს ვერ
დამირღვევს... კრემარიტი სიბრძნის არსებითი ნიშანი მოთმინებაა. ჩვენ ყველამ ვი-
ცით, რომ სათანადო საშუალებებით შეიძლება განვკურნო ხორცის სნეულება, მაგრამ
შეიძლება თუ არა ცეცხლითა და მახვილით ამოძირკვო ცთომილება და დვთაებრივ საგანთა
მცდარი გაგება? ან რა სიხარული უნდა იგრძნოს ჩემმა გულმა, თუკი თქვენი ხელით შესწი-
რავთ სხვერპლს, სულით კი დაბგმობთ იმას, რასაც თქვენი ხელით აკეთებთ? ჩვენ ვესწრაფ-
ვით მშვიდობას და სიამტკბილობას კაცთა შორის. ჩემი სასახლის კარი ღია იქნება ყველა სა-
ხელოვანი კაცისათვის, მათი პირადი მრწამსის მიუხედავად. ვუჩვენოთ მსოფლიოს უჩვეულო,
დღემდე არნახული და ამაღლებული სურათი სასახლის კარისა, რომლისთვისაც უცხოა ყო-
ველგვარი პარმონეობა, შური, ვერაგობა, განხეთქილება სასახლის კარისა, სადაც მლიქვნე-
ლობა ამიერიდან ბოროტებათა შორის ყველაზე დიდ ბოროტებად შეირაცხება. ვგმობ და ვძრა-
ხოთ ერთმანეთი, თუკი აუცილებლობა მოითხოვს ამას, მაგრამ, დაე, ეს ნუ შეასუსტებს ჩვენს
სიყვარულს ერთურთის მიმართ (ნევიტას, რომელიც შუა კარიდან შემოდის.) სახეზე ნათელი
გადაგდის, როგორც ჩანს, სასიხარულო ამბის მაცნე უნდა იყო, ჩემო ნევიტა!

ნემიტა. კრემარიტად სასიხარულო და სასიკეთო ამბისა! შორეული ინდოეთის მბრძანებ-
ლებმა მრავალრიცხოვანი ელჩების ხელით მდიდრული ძღვენი გაახლეს, რომ მეგობრობა
გთხოვონ.

იულიანე. ო, მითხარი, კიდევ ვინ, რომელმა ხალხებმა?
ნემიტა. სომხებმა და ტიგროსის გადაღმა მცხოვრებმა ხალხებმაც გამოგზავნეს საელჩო-
ები. მათ შორის, როგორც გადმომცეს, თვით კუნძულების — დიუსა და სერანდიბის ელჩებიც
კი არიან.

იულიანე. ესე იგი, ქვეყნიერების დასალიერიდან გვებაზდნენ, მეგობრებო!
თიმისტროსი. აი, სადამდე უწია შენმა დიდებამ!

მამერტინუსი. ღიახ, თვით ქვეყნიერების დასალიერამდე შენი ხმალი შიშის ზარს სცემს
მბრძანებლებს და მათ ქვეშევრდომებს!

თიმისტროსი. არც კი შევყოყმანდებოდი, ისე ვიტყოდი: თვით დედამიწის ფარგლებს
გარეთ-მდებარე კუნძულები-მეთქი...

იულიანე. დალაქს დამიძახეთ!
ერთ-მართი პარისტატნი ხელმარჯვნივ გადის.

მე მივიღებ ელჩებს, როგორც შეშფერის გარემოებას, მაგრამ ყოველგვარი ფუფუნებისა და
ფირფასი სამკაულების გარეშე. ისე, როგორც მიიღებდა მათ დიდი მარკუს ავრელიუსი, მე
მირჩევნია მის მაგალითს მივბადო, ვიდრე განსვენებული იმპერატორისას, რომელიც ახლანა
გამოვიტირეთ. შორს ჩვენგან ფუჭი პატივმოყვარეობა. დაე, შეიტყონ ბარბაროსებმა, რომ
სიბრძნე — თუნდაც მისი ყველაზე უღირსი მსახურის სახით — კვლავ დაბრძანდა იმპერატო-
რის ტახტზე!

პარისტატნი ბრუნდება დალაქ მენაპროსის თანხლებით, რომელიც უძვირფასეს ტანსაც-
მელშია გამოწყობილი.

იულიანე (განცვიფრებული მისჩერებია, შემდეგ შესაგებებლად მიემართება და მდაბლად
უკრავს თავს). რა გნებავს, ჩემო მეუფევ?

მენაპროსი. მოწყალო ხელმწიფევ... შენი ბრძანებით გებაელი...

იულიანე. სცდები, მეგობარო. სათათბიროს არც ერთი წევრი არ დამიბარებია.

მვნაპროსი. მრავალმოწყალეო ხელმწიფევ...

ურსულუსი. მომიტევე, ჩემო ხელმწიფევ, ეს კაცი იმპერატორის დალაქია.

იულიანე. რაო? მართალს ამბობ თუ ხუმრობ?.. ეს კაცი, ფარჩა-ატლასით მოსილი და ოქრომკედლით მოსირმულ წადებში გამოწყებილი, შენი აზრით... აბა უყურე ქი მაგ შენ დალაქი ხარ? (კვლავ დაბლა უკრავს თავს.) ვერასოდეს ვერ გავბედავდი ამ ფაფუკბუნებრივ ვაჭარბატონისათვის მებრძანებინა, გამპარსე-მეთქი!

მვნაპროსი. მოწყალეო ხელმწიფევ... გემუდარები... ჩვენი ჯვარცმული მაცხოვრის გულსთვის...

იულიანე. ოჰო-ჰო! გალილეველი ყოფილა! ასეც ვიცოდი. ესეც თქვენი თვითგანდგომა, რომლითაც ასე მოგაქვთ თავი გიცნობთ, გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით! რომელი ღვთაების ტაძარი გაძარცვე? ან რამდენჯერ ჩაყავი ხელი იმპერატორის ხაზინაში, რომ ასე გამოპრანჭულიყავი?.. წადი. მე შენ არა მჭირდები!

მვნაპროსი ხელმარჯვნივ გადის.

მითხარი, ურსულუს, რამდენს იღებს ეს კაცი?

ურსულუსი. მოწყალეო ხელმწიფევ, შენი დიდი წინამორბედის ბრძანებით ყოველდღიურად ოცი კაცის სამყოფი ულუფა აქვს გამოყოფილი...

იულიანე. ასე ცოტა?

ურსულუსი. არა, ჩემო ხელმწიფევ, ამ უკანასკნელ ხანს იმის უფლებაც ბქონდა, რომ იმპერატორის საჯინებოში შეენახა ცხენები; ყოველწლიურად გარკვეულ თანხას იღებდა და, გარდა ამისა, თითო ოქროს ყოველ...

იულიანე. ეს ერთი უბადრუკი დალაქი? კი მაგრამ, რაღას იღებდნენ სხვები? ამას ბოლო უნდა მოეღოს... ელჩებსა სთხოვეთ!

ნემიტა შუა კარიდან გადის.

რა გაეწყობა გაუპარსავი მივიღებ მათ. ასე სჯობია; რადგან თუმცადა ვიცი, რომ გაბურძნული თმა და დახეული მოსახსამი კემშარიტი ფილოსოფოსის განმასხვავებელი ნიშნებია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ანტისტენესა და დიოგენეს მაგალითი კკუის სასწავლი უნდა იყოს იმ კაცისათვის, რომელიც თვით იმპერატორის ტახტზეც კი სიამოვნებით ბაძავს ესოდენ დიდ მოძღვართ. (ტახტზე აღის.)

კარისკაცები ტახტის ირგვლივ იკავებენ ადგილს. ნემიტასა და სახლთუხუცეს მვწმირი-ოსს შემოჰყავთ აღმოსავლელ მღვწეობი, რომელთა თანხლებ მონებსაც ძვირფასი საჩუქრები მოაქვთ.

ნემიტა. მოწყალეო ხელმწიფევ და მბრძანებელო! იმის გამო, რომ არ იციან ჩვენი უკეთილშობილესი ენა, რომელიც სხვა ენებისათვის მიუწვდომელ სიმალლესა და სრულქმნილებას აწიარა მტევრმეტყველების ამდენი ჯადოქრისა და მათ შორის პირადად შენმა ძალისხმევამ, და იმის გამოც, რომ შიშობენ, ბარბაროსული მეტყველების არაკეთილხმიერი ბგერებით არ შეურაცხუნ შენი სმენა, აღმოსავლელ მბრძანებელთა ელჩებმა მე ამირჩიეს თავიანთ თარჯიმნად.

იულიანე. კეთილი; მზადა ვარ გისმინო.

ნემიტა. უწინარეს ყოვლისა, სომხეთის მეფე შენს ფერხთით დებს ამ საჭურველს და გთხოვს ატარო სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლაში, თუმცადა იცის, ყოვლისმძღველო, რომ თვით უკვდავი ღმერთები გმფარველობენ და მოკვდავთა საჭურველს არ მოაწყვლევენებენ შენს თავს... აი, უძვირფასესი ხალიჩები, კარვები და უნაგირები, მოძღვნილი ტიგროსს გადაღმა მობინადრე ტომების მბრძანებელთა მიერ, რითაც ისინი გვაუწყებენ, რომ თუ ღმერთებმა აურაცხელი სიმდიდრე უწყალობეს მათ მიწა-წყალს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიმდიდრე ღმერთების რჩეულმა მოიხმაროს... მეფე სარანდიბისა და დიუს მეფეც საჭურველს გიგზავნიან საჩუქრად — ხმალს, შუბს, ფარსა და მშვილდ-ისარს. ჩვენო, — გიოვლიან, — ყველაზე უფრო გონივრულად მიგვაჩნია უიარაღოდ დავრჩით იმ ძღვევამოსილი მბრძანებლის წინაშე, რომელიც, ღვთისდარად, იმდენად ძლიერია, რომ არაფრად უღირს ათასგარი დაბრკოლება და წინააღმდეგობა დასძლიოსო... სანაცვლოდ მხოლოდ ერთ რამეს გთხოვენ, — შენს მეგობრობას: თუ გაზაფხულზე, როგორც შევიტყვეთ, მართლა აპირებ სპარსთა თავგასული მეფის განადგურებას, გვედარებით, ნუ შემოგვეპრები და ქვეყანას ნუ აგვიოხრებო.

იულიანე. ამნაირი ელჩობა მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის. მოძღვნილი საჩუქრები ჩემს საგანძურში გაიტანონ, თქვენ კი, ძვირფასო ელჩებო, გადაეცით თქვენს მბრძანებლებს, რომ მე მზადა ვარ ვიმეგობრო ყველა ხალხთან, რომელიც არც იარაღითა და არც ცბიერებით

წინ არ აღუდგება ჩემს მიწნებს. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი გამარჯვებების ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმით გაბრუებული თქვენი თანამემამულენი თურმე ერთგვარ ღვთაებად მთვლიან... ამაზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიმაჩნია. მე მეტიმეტად მალლა ვაყენებ ღმერთებს, რათა იმდენად გაკადნიერდე, რომ ძალით დავიკავო მათ შორის ის ადგილი, რომელიც მე არ შეკუთვნის. თუმცაღა ვიცი, რომ დედამიწაზე არცთუ იშვიათად, უპირატესად უხვოვარ დროში ცხოვრობდნენ ძლიერამოსილი გმირები და მბრძანებლები, რომლებმაც ღმერთების ისეთი წყალობა და კეთილგანწყობილება მოიხვეჭეს, რომ მსუქნი გადსასაწყვეტია, ვის მივაკუთვნოთ ისინი, — მოკვდავთა მოდგმას თუ ნეტარი ღმერთების ხომლს, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა მკრებელობაში ჩამოგვერთმევა თვით ჩვენ, ბერძნებსაც, და, მით უმეტეს, თქვენ. მაშ, მოდიოთ მოვეშვათ ამას... ევფერიოს, გააცილდე უცხოელები, ღირსეულად უმასპინძლე და ეცადე გულნაკლულნი არ დაგჩვენ.

ევფერიოსს ელჩები და მათი მხლებლები გაკყავს. იულიანე ტახტიდან ჩამოდის: კარისკაცები და რიტორები გარს ეხვევიან და აღტაცების შეძახილებით ესალმებიან.

თემისტოკოსი. ასე ახალგაზრდა და უკვე ასე სახელგანთქმული! ყველა იმპერატორის დიდებას უსაზღვროდ აღმატებული!

მამირტინუსი. მე გეკითხებით: ეყოფა თუ არა ფილტვები დიდებას, რათა ღირსეულად გაქოს და გადიდის შენ, თუკი ღმერთები, რომელთა კეთილმოწყალების იმედიც მაქვს, მზეგრძელობას მოგანიჭებენ?!

ნემიტა. უკუაქცეული აღმანების თავზარდაცემული ყვირილი რენუსის შორეული ნაპირებიდან აღმოსავლეთისაკენ მიჰქონდა ქარს, სანამ ტავრიის მთებსა და კავკასიის ქედს არ შეანარცხა...

მამირტინუსი. და მათგან არცლიღმა ექომ გრგვინვასავით გადაუარა მთელ აწიას.

ნემიტა. ყველაზე მეტად დააფრთხო და თავზარი დასცა ინდოელებს ჩვენი ბრძენი იულიანესა და ალექსანდრე მაკედონელის მსგავსებამ.

მამირტინუსი. რომელ მსგავსებაზე შელაპარაკები? განა ალექსანდრეს უჩინარი მტრები ჰყავდა თავის საკუთარ ბანაკში? განა დიდი მაკედონელი იძულებული იყო იმპერატორის მოშურნე და ცილისმწამებელი კარისკაცების წინააღმდეგ ებრძოლა?

ნემიტა. მართალია, მართალი. ალექსანდრეს არც უნიათო მხედართმთავრები ჰყოლია, რომ ხელი შეეშალათ მის ძლიერამოსილ წინსვლაში.

იულიანე. ურსულუს, ჩემი სურვილია, რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ხალხში საელჩოების ჩამოსვლის ამბავი, რათა ქალაქშიაც და სახელმწიფოს განაპირა მხარეებშიაც დაწვრილებით იცოდნენ, სადაური არიან ეს ელჩები და რა საჩუქრები მოგვართვეს ძღვნად. მე მინდა ხალხმა იცოდეს ყველაფერი, რაც ჩემს მმართველობას ეხება. მო, მართლა, შეგიძლია გაკვირით მოიხსენიო ის გამოგნებელი მითქმა-მოთქმა, რამაც თურმე ასე ააფორიაქა ინდოელები, — ალექსანდრე მაკედონელი ხელახლა მოევლინა ამ ქვეყანასაო.

ურსულუსი (თავმოღრეკით). მომიტევე, მოწყალო ხელმწიფევ, მაგრამ...

იულიანე. რა მაგრამ?..

ურსულუსი. აკი თვითონვე ბრძანე, პირფერობა შეუწყნარებელი იქნება ჩემი სასახლის კარზეო...

იულიანე. რა თქმა უნდა, ჩემო მეგობარო!

ურსულუსი. მაშინ, ნება მიბოძე, გულახდილად მოგახსენო: ჩვენს ელჩებს იმედი ჰქონდათ, რომ აქ შენ კი არა, შენს წინამორბედს შეხვდებოდნენ.

იულიანე. მაგით ვითომ რისი თქმა გსურს?

თემისტოკოსი. რას მიეღ-მოედება?

მამირტინუსი. სიცრუე და ისიც ასეთი, გაგონილა?

ურსულუსი. სიცრუე კი არა, ჭეშმარიტება გახლავთ. რამდენი ხანია ვიცოდი, რომ ეს ხალხი ჩამოსვლას აპირებდა... გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე იმპერატორი კონსტანციუსი სამუდამოდ დახუჭავდა თვალებს. ო, ჩემო მოწყალო მბრძანებელო, შენ ჭერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ნუ მისცემ ფუჭ პატივმოყვარეობას იმის უფლებას, რომ ფესვი გაიდგას შენს გულში...

იულიანე. გეყოფა, კმარა! ესე იგი, შენ ამბობ, რომ...

ურსულუსი. თავად განსაჭე. რაგინდ ბრწყინვალე გამარჯვებებიც უნდა მოგეპოვებინა გალიაში, განა შეიძლებოდა, რომ ამ ამბავს ესოდენ მოკლე ხანში მიეღწია ყველაზე შორეულ ქვეყნებამდე? იმპერატორის ძლიერამოსილებას რომ ასხამდნენ ხოტბას, ელჩები სპარსელებთან ომს გულისხმობდნენ.

ნმვიტა. მე არ ვიცოდი, რომ მეფე ხაპორს ისეთი დღე ვაყარეთ, ჩვენი გამარჯვების ამბავს შეიძლება თავზარი დაეცა ქვეყნის დასალიერს მცხოვრები ხალხებისათვის.

ურსულუსი. მართალია, სპარსელებთან ომში ბედი არ გვწყალობდა, მაგრამ ხმებმა იმ უზარმაზარი სამხედრო ძალების თაობაზე, რომელთა თავმოყრასაც გამოწაფხულს აპირებდა განსვენებული იმპერატორი, როგორც ჩანს, შეაშფოთა სომხებიცა და სხვა აღმოსავლელი ხალხებიც. გემუდარები, ანგარიში გაუწიე დროს, თუ გნებავს სათითაოდ დათქვალე მღვდლები და მითხარი, შეიძლება თუ არა სხვანაირად გავიგოთ უოველივე ეს? მართალია, ცალკედაც განსაცვიფრებელი სისწრაფით ჩამოხველი კონსტანტინოპოლს, მაგრამ ამ ხალხის ჩამოსვლა ესოდენ შორეული ქვეყნებიდან ათასწილ უფრო საოცარი იქნებოდა, მართლაც რომ... თვითონ მათ ჰკითხე და დარწმუნდები...

იულიანე (მრისხანედ გაფითრებული). რატომ მეუბნები უოველივე ამას?

ურსულუსი. იმიტომ რომ ეს ხომართლეა! რა ვქნა, არ შემიძლია იმის ატანა, რომ შენს ქაბუჯურ დიდებას ჩრდილი მიაყენოს სხვისი დამსახურების დავიწყებამ.

იულიანე. არ შეგიძლია ამის ატანა? კეთილი! შენ რომ გგონია, იმაზე უკეთ გიცნობ შენცა და კონსტანციუსის სხვა ბებერ კარისკაცებსაც. თქვენი ნება რომ იყოს, საეჭვოს ვაბდიდით თვით უკვდავი ღმერთების დიდებასაც. რადგან განა მათ დიდებას არ მოწმობს ადამიანის მთელი მოღვაწეობა? მაგრამ თქვენ გძულთ ეს ღმერთები, რომელთა ტაძრებიც შემუსრეთ, რომელთა ქანდაკებებიც ნამსხვრევებად აქციეთ და რომელთა საუნჯეც უჩაღურად დაიტაცეთ. თქვენ ვერ იტანთ ჩვენს ზეციურ მწყალობელთა და კეთილისმყოფელთა თქვენ იმის ნებასაც არ აძლევდით ღვთისმოსავ ადამიანებს, რომ გულში მაინც ჩაებეჭდათ თავიანთი ღვთაებანი, ახლა კი აპირებთ დაანგრიოთ მადლიერების ის ტაძარიც, რომელიც მე მათ ავუგე ჩემს გულში; გინდათ ძირშივე ჩააქლათ ჩემი მადლიერება ღმერთების მიმართ, რომლებსაც უნდა ვუმაღლოდე დღემდე არნახულსა და ამდენი ხნის ნანატრ მწყალობას! რადგან რა არის დიდება, თუ არა მათი მწყალობა?

ურსულუსი. ერთარსება და ერთი ღმერთია ჩემი მოწმე, რომ...

იულიანე. ერთარსება და ერთი ღმერთი!.. ისევე ძველს ებღაუჭები! მხოლოდ ერთი, მხოლოდ თქვენი ღმერთი!.. ესაა თქვენი შემწყყნარებლობა? აბა შემოგვხედეთ! განა ჩვენ ვამტიციებთ, რომ ჩვენი ღმერთები ერთადერთნი არიან? განა პატივს არ მივაგებთ ეგვიპტელთა ღმერთებსაც და იუდეველთა იაშვესაც, რომელიც მართლაც სასწაულებს ახდენდა თავის ხალხში? თქვენ კი?.. ეს ეკადრება შენისთანა კაცს, ურსულუს! ან იქნებ რომელი არა ხარ და შენს წინაპრებად არა თვლი ბერძნებს? ერთი ღმერთიო!.. რა ბარბაროსული უტიფრობაა!

ურსულუსი. აკი აღგვითქვი, რომ არ შერისხავდი სხვა სარწმუნოების მიმდევრებს?..

იულიანე. აღთქმით კი აღგითქვით, მაგრამ ვერ მოვითმენ იმას, რომ ჩემ წინაშე თავს გაგივიდეთ. ელჩები იმისთვის კი არ ჩამოსულან, რომ... ან იქნებ გგონიათ, რომ დიადი და ქრეშმარტად ღვთაებრები დიონისე, ვისი ძალმოსილებაც, უწინარეს ყოვლისა, კაცთათვის დაფარულის გამუღავნებაში ვლინდება, ჩვენს დროში არც ისე ძლიერია, როგორც უწინ იყო? მითხარი, შემიძლია ამნაირი მკრეხელობის ატანა? არა, არა! იძულებული ვარ პასუხი გაგებინო!

ურსულუსი. მაშინ ქრისტიანები იტყვიან, რომ შენ მათ რწმენას სდევნი.

იულიანე. არავინ არ სდევნის რწმენას. მაგრამ მაქვს კია იმის უფლება, რომ თვალი დავხუჭო თქვენს დანაშაულებრივ ვოქმედებაზე და დავხუჭო მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანები ბრძანდებიან? განა თქვენი ცთომილება შეიძლება თქვენივე დამნაშავეობის ნიღაბი იყოს? მართლაცდა რაღას არ სჩადიოდით თქვენი თავბედობის მწყალობით, როგორც აქ, სახალხის კარზე. ისე სხვაგანაც? ფიანლაზს უგებდით უოველნაირ ბიწიერებას და ხელს უწყობდით უოველგვარ სიბილწეს! შენ თვითონ, ურსულუს, რამდენ უკუღმართობაზე ხუჭავდი თვალს? ავიდოთ თუნდაც ეს უტიფრად შორეთულ-მოკაზმული დალაქი, ნელსაცხებლებით აქოთებული ეს ოინბაზი, რომელმაც წედან ლამის გული ამიარია!.. მერედა ვინაა მეტურქულეთ-უხუცესი, მე თუ შენ? როგორ უწყობდი ხელს ამდენ ურცხვსა და უტიფარ გამომძალველს?

ურსულუსი. განა დანაშაულად ჩამეთვლება ის, რომ ჩემს მბრძანებელს ვემსახურებოდი?

იულიანე. მე არ მჭირდება ესოდენ უყარათო და მფლანგველი მსახურები. შორს ჩემი სასახლიდან ეს თავგასული ნაძირალები — დალაქები, მზარეულები, ოინბაზები, მოცეკვავეები! ჩვენ კვლავინდებურად დავამყარებთ აქ წესრიგს და ავფადგენთ ზომიერებას. (თემისტოისსა და მამერტინუსს.) ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თქვენ უნდა დამიპიროთ მხარი ამ საქმეში. შენ კი, ნევიტა, იმ მიზნით, რომ უფრო მეტი წონა და გავლენა გქონდეს, მთავარსარდლის წოდებას განიჭებ და გიბრძანებ გამოიკვლიო, როგორ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს სახელმწიფო მოხელენი ჩემი წინამორბედის მმართველობისას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ

ხანს. შეგიძლია მრჩევლებად მოიწვიო ყველა, ვისაც კი საჭიროდ მიიჩნევ. (მოხუც კარის-
კაცებსა და მოხელეებს.) მეტად აღარ მჭირდებათ. როდესაც ჩემმა განსვენებულმა ნათესავმა,
უკვე სასიკვდილო სარცელზე თავის მემკვიდრედ დამნიშნა, სხვათა შორის მემკვიდრეობად
დამიტოვა ის მძიმე მოვალეობაც მართლმსაჯულების აღსრულებისა, რომლის პირნათლად
მოხდაშიაც განსვენებულს ხელს უშლიდა მისი ხანგრძლივი და უსაშველოდ გაჭიანურებული
ავადმყოფობა. ახლა კი დავტოვეთ, ხოლო როდესაც თქვენი საქმეების დასრულებას ჩავვაბა-
რებთ და ყოველმხრივ იმართლებთ თავს, ნება თქვენია, სადაც მოგებრძნობათ, იქ მიბრ-
ძანდით.

ურსულუსი. უფალი ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო მბრძანებელო! (შუა კარიდან
გადის).

ურსულუსს უკან მიჰყვებიან მოხუცი კარისკაცები და მოხელეები. ნევიტა, თემისტო-
ოსი და მამერტინუსი, ახალგაზრდა კარისკაცებთან ერთად, იმპერატორს ერტყვიან გარს.

ნევიტა. უკვდავი ღმერთების მიერ აღწევებულ ჩემო მბრძანებელო, სიტყვები არ მყოფ-
ნის მადლიერების გამოსახატავად შენი ახალი წყალობის გამო...

იულნიანი. არ არის საჭირო არავითარი მადლიერება. ამ რამდენიმე დღეში მე ვიგრძენი
და სათანადოდაც შევაფასე შენი ერთგულება და გამჭრიახობა. შენავე განდობ გამოაქვეყნო
აღმოსავლელ მბრძანებელთა საელჩოების ჩამოსვლის ცნობაც. ახლავე შეადგინე უწყება, რა-
თა კეთილმოწყალე ღმერთებს არ მივცეთ იმის საბაბი, რომ რომელიმე ჩვენგანს შემოსწყურნენ.

ნევიტა. როგორც ყველა სხვა საქმეში, აქაც განუხრელად შევასრულებ იმპერატორის
ნებას. (ხელმარჯვნივ გადის.)

იულნიანი. ახლა კი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, პატივი მივაგოთ წრფელი გზის მანვე-
ნებელ უკვდავ ღმერთებს!

თემისტოოსი. უკვდავ ღმერთებს და მათ რჩეულს, რომელსაც უბრალო მოკვდავთ ვერ
გავუტოლებთ! რა სიხარული მოიცავს მთელ სახელმწიფოს, როცა ცნობილი გახდება რომ
ტახტზე ასვლისთანავე მმართველობას ჩამოაშორე ეს აღვირაბსნილი და ვერცხლისმოყვარე
გაიძვერები!

მამერტინუსი. როგორი მღელვარებით, რა მოუთმენლად დაუწყებენ ლოდინს მათი შე-
მცვლელების დანიშვნას!

თემისტოოსი. მთელი საბერძნეთი ერთხმად შეშალაღებებს: „თვითონ პლატონმა აიღო
მმართველობის სადავე ხელში!“

მამერტინუსი. არა, არა, ჩემო ღირსეულო მეგობარო, ბერძნები ერთხმად შეშალაღებენ.
„აღსრულდა პლატონის სიტყვები: მხოლოდ ღმერთს შეუძლია მართოს ხალხი!“

თემისტოოსი. ახლა მე მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობ, კერძოდ იმას, რომ ნევიტას არ
მოაკლდეს კაცთა ბედ-იღბლის გამრიგე ღმერთების წყალობა. მძიმე და საპატიო მოვალეობა
დაეკისრა. მე კარგად არ ვიცნობ მას, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ გაამართლებს შენს
ნდობას...

მამერტინუსი. მართალს ბრძანებ, თუმცა მოიძებნებოდა არა ერთი და ორი ღირსეული
კაცი, რომელიც...

თემისტოოსი. არაჲ მე იმას როდი ვამტკიცებ, რომ შენი არჩევანი, ჩვენო სწორუპოვარო
იმპერატორო...

მამერტინუსი. როგორ გეკადრება, ღმერთმა დაგვიფაროს...

თემისტოოსი. მაგრამ თუ ცოდვად ჩაითვლება გულმხურვალე სურვილი იმისა, რომ შენს
სათაყვანებელ მბრძანებელს ემსახურო...

მამერტინუსი. მაშინ შენ ერთი კი არა, ორი ცოდვილი მეგობარი გყოლია, მბრძანებელო.

თემისტოოსი. თუმცა არც ერთს და არც მეორეს არ აღირსე იმნაირი პატივი, როგორც
წილად ხვდა სვებედნიერ ნევიტას...

მამერტინუსი. თუმცა არც ერთი არ გახადე შენი მეფური წყალობის ღირსი...

იულნიანი. არც ერთ ღირსეულ კაცს არ დავტოვებ საქმისა და სათანადო პატივის გა-
რეშე. პირადად შენ, თემისტოოს, კონსტანტინოპოლის პრეფექტად გნიშნავ, შენ კი, მამერტი-
ნუს, საგაისოდ გაემზადე რომში გასამგზავრებლად, სადაც ერთ-ერთი კონსულის ადგილი გან-
თავისუფლდა და სწორედ შენ დაიკავებ მას.

თემისტოოსი. ჩემო ძვირფასო იმპერატორო! სიხარულისაგან თავბრუ მეხვევა!..

მამერტინუსი. ახლა ჩემსას აღარ იკითხავ? ნეტავ ოდესმე თუ ყოფილა ამქვეყნად მე-
რე კონსული, ესოდენ მაღალი პატივი რომ ხვდომოდეს წილად? გნებავთ თვით ლუციუს

ბრუტუსი ან პუბლიუს ვალერიუსი? განა მათი პატივი შეედრება ჩემსას? ისინი ხალხმა აირჩია, მე კი — იულიანემ!

მერთ-მერთი კარისკაცი. დიდება ჩვენს მწყალობელს და მართლად გამრიგებელ ტორს!

მეორე კარისკაცი. დიდება მას, ვისი სახელის გაგონებაც კი თავზარსა სცემს ბარბაროსებს!

თემისტოკლი. დიდება მალაღ ღმერთებს, რომლებმაც თავიანთი უმეტესად შეაჩერეს ერთადერთ კაცზე და მასზევე გადმოავლინეს მთელი თავიანთი წყალობა. ასე რომ, როდესაც ეს კაცი პირველად დაგვამწუხრებს — შორს ჩვენგან ეს დღე! — დიახ, დიახ, როდესაც პირველად დაგვამწუხრებს თავისი სამუდამო განშორებით, ბერძნები უყოყმანოდ იტყვიან, რომ მან თავისი დიდებით დაჩრდილა სოკრატეც, მარკუს ავრელიუსიცა და ალექსანდრე მაკედონელიც!

იულიანი. შიგ კაკალ გულში მოარტყი, ჩემო თემისტოკლი! სწორედ ღმერთების მიმართ უნდა აღვაპყრობდეთ ბელს და აღვაფლენდეთ ჩვენს ლოცვებსაც! ამას თქვენი დამოძღვრისა ან ქუთის სწავლების მიზნით როდი მოგახსენებთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შეგახსენოთ ის, რაც ამ სასახლის კარზე ესოდენ დიდი ხნის მანძილზე უგულვებელყოფილი იყო. ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ ვინმეს ძალა დავატანო, მაგრამ ვინ დამგმობს იმ გულმხურვალე სურვილის გამო, რომ სხვებიც ვაწიარო ისეთსავე ნეტარებას, როგორსაც თვითონ განვიცდი, როდესაც სულით ვმალდები და უკვდავთა უოფის თანაწიარი ვხდები? დიდება შენდა, დიდება, ვაწის ფოთლებით შემკულ დიონისე! რადგანაც შენა ხარ წყარო ამ სანეტარო და სასწაულებრივი შეგრძნებისა... ახლა კი უველამ თქვენ-თქვენს საქმეს მიხედეთ. პირადად მე ბრძანება გავეცი, საწვიმო მსვლელობა მოეწყოს ქალაქის ქუჩებში. ამიერიდან ნუღარავინ მოელის ნურც ღრეობებს ჩემი კარისკაცების საპატივცემლოდ და ნურც ოთხ კედელში გამოკეტილ, მხოლოდ რჩეულთათვის გამართულ დროსტარებას, ლხინსა და ნადიმს. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეუერთდნენ მსვლელობას, ანდა, თუ ნებავთ, განზე გადგნენ. მე მიწადა წმინდანნი განვასხვავო უწმინდურთაგან, ღვთისმოსავნი უკეთურთაგან... ო, ჩვენო მეუფეო, დიდი ჭელიოსი შენი სინათლე მოჰფინე, შენი სხივებით გააბრწყინე დღევანდელი დღის ნეტარება! ო, დიონისე, შენი დიდების სხივისკროვნებით, შენი სიმშაგით, შენი წმიდათაწმიდა აღტყინებით ადავსე ჩვენი სულები, რათა დაიმსხვრეს ყველა ბორკილი და მიწიერი დიდების ტყვეობისგან თავდაღწეული სიხარულის შმაგი ტალღებით შლეგური როკვისა და საწვიმო სიმღერების თავბრუდამხვევ ფერხულს შეუერთდეს ყოველი არსი სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა მშვენიერება, მშვენიერება, მშვენიერება!

კარისკაცები რაღაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს; ჯგუფ-ჯგუფად იყოფიან და თანდათანობით იშლებიან. დარბაზი ცარიელდება.

ვიწრო ქუჩა კონსტანტინოპოლში. ხალხის უზარმაზარ ბრბოს ქუჩის ერთი ნოღოსთვის მიუბჰურია თვალი. შორიდან სიცილი-ხარხარი, სიმღერა და მუსიკის ხმა ისმის.

მეზადაბი (თავისი სახლის კარში). რა ამბავია, ჩემო ძვირფასო მეზობელო?

მეფერნილმანა (თვითონაც კარში დგას, ხელმარჯვნივ). რა ვიცი, ამბობენ, სირიელი ოინბაზები ჩამოსულანო.

ხილით მოვაჭრე (ქუჩაში). სირიელი ოინბაზები კი არა, ეგვიპტელი ჯამბაზები ჩამოთრეულან, თავიანთი აქლემებითა და მაიმუნებით.

დალაჰი მენაპროსი (ღარიბულად ჩაცმული; ამაოდ ცდილობს ბრბოში გაიკვლიოს გზა). გამატარეთ, გამატარეთ-მეთქი, თქვე ვირებო! რა უშმაკი შეგიჯდათ, რამ აგახუნტრუცათ ამ დაწვევლილ დღეს?

ქალი (ვიწრო ფანჯრიდან). ეი ეი ევენაპიოს! ჩემო ძვირფასო!

მენაპროსი. სსუ! ამ ხალხში ჩემს სახელს ნუ ახსენებ, სატანის მაქანკალო!

ქალი. უკანა კარი ღიაა, ხომ არ შეწვევი?

მენაპროსი. წადი შენი.. სწორედ მაგისთვის მცხელა ახლა...

ქალი. არ წააგებ! შემოდო, ჩემო კარგო, შემოდო! ისეთი ქორფა გვრიტები მყავს.. სამი დღეა, რაც გამომიგზავნეს...

მენაპროსი. ო, ეს ცოდვილი ქვეყანა! (გასვლას აპირებს.) გზა, გზა, სატანის გულისთვის გამატარეთ!

ღვთისმეტყველების მასწავლებელი ეპიფილიუსი (სამგზავროდ ჩაცმულს თან ორი მონა ახლავს; თავისი ბარგი-ბარხანით გამოჩნდება გვერდითი ქუჩიდან). ქალაქია თუ საგიჟე-

თი? ყველა ერთხმად გაპყვირის, მაგრამ ერთი მაინც თუ ვეტყვის დალაგებით, რა ხდება აქ? აა. ევნაპიოსს ვახლავარს რასა იქმ, ჩემო ღვთისმოსავო ძმამ?

ევნაპიოსი. მოგესალმები, ღირსეულო მუჟიკო! უკვე დაბრუნდი?

ეკივოლიუსი. ეს-ესაა. ზაფხულის ცხელი თვეები განმარტობენო ვაჭარე/კრეტაზე, ჩემს მამულში. ფიქრი და ლოცვა. ლოცვა და ფიქრი, — აი, ეს იყო ჩემი საქმე. მაგრამ, ღვთის გულისხათვის, მითხარი, რა ამბავია აქ?



ქანკია იბსემი

ევნაპიოსი. ჭანდაბა და დოზანა, ახალი იმპერატორი...

ეკივოლიუსი. დიახ, დიახ, რაღაც უცნაური ხმები მომდიოდა...

ევნაპიოსი. სინამდვილე ათასწილ უფრო უარესია, მსახურები ხახახლიდან გაუარეს...

ეკივოლიუსი. რას ამბობ?

ევნაპიოსი. ეჰ! ერთ-ერთ პირველთაგანს მე მკრეს პანდურის..

ეკივოლიუსი. რა საშინელებაა! ვინ იცის, იქნებ მეც...

ევნაპიოსი. ალბათ შენც... ყველაფრის ანგარიშს გვთხოვენ, ყველა შეღავათს გვართმევენ, ყოველგვარი დარღვევისთვის პასუხს ვვაგებინებენ...

ეკივოლიუსი (ფერი მალუნის). უფალო, შეგვიწყალო!

ევნაპიოსი. მადლობა ღმერთს, სინდისი სუფთა მაქვს.

ეკივოლიუსი. მეც, მეც. მაგრამ მაინც... ეჰ... ალბათ ისიც მართალია, იმპერატორმა აპოლონს და ფორტუნას მსხვერპლი შესწირაო.

ევნაპიოსი. რა თქმა უნდა, ეგ კიდევ რაა?..

ეკივოლიუსი. როგორ თუ რაა? ნუთუ ვერ ხედავ, ჩემო თვალდავსილო მეგობარო, რომ ის ჩვენს ქრისტიანულ სარწმუნოებას ხდევნის?

ევნაპიოსი. რას მეუბნები? კი მაგრამ, ღმერთო ჩემო!

ბალეზი (ბრბოში). მოდიან! მოდიან!

ბაბი (სახლის სახურავზე). ვხედავ, ვხედავ, თვითონ მას ვხედავ!

ხმები. ვის? გვითხარი, მაინც ვის ხედავ?

ბაბი (სახურავზე). იმპერატორს! თავზე ვაზის ფოთლების გვირგვინი ადგას!

ბრბო (ქუჩაში). იმპერატორი! იმპერატორი!

ევნაპიოსი. იმპერატორი!

ეკივოლიუსი. წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო ღვთისმოსავო ძმამ!

ევნაპიოსი. გამიშვი, თუ ღმერთი გწამს, ჩემი ღვთისმოსავობა ვის გაუგია?

ეკივოლიუსი. ვის გაუგია?..

ევნაპიოსი. ერთი გაბედოს და ღვთისმოსავი მიწოდოს ვინმეში.. ჩემი დაღუპვა უნდათ, ღვთისმოსავიო! როდის ვიყავი ღვთისმოსავი? მართალია, ოდესღაც დონატისტთა ძმობის წევრი ვახლდი, მაგრამ რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შერე! ეშმაკმა დალაზვროს დონატისტების თავი და ტანი (ფანჯარაზე იბრახუნება.) მეო, ბარბარა, ბარბარა! კარი გამიღე! არ გესმის, ბებერო როგაპო! (კარს უღებენ და შიგ შეჰყავთ).

ეკივოლიუსი. ყველაფრისთვის პასუხს ვვაგებინებენო... გამოიძიება! ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! (თავის მონებთან ერთად ბრბოში გაძვრომას ცდილობს.)

ქუჩის ბოლოში გამოჩნდება დონატისტის მსვლელობა. წინ მუსიკოსები მიუძღვიან. მთავარი კაცი, რომელთაგანაც ზოგიერთი ფანჯარაზე და სატირებად გადამსული, მუსიკის ხმაზე ცეკვავენ. მსვლელობის შუაგულში ვიხს მთავარკაცებს იმპერატორი იშლიან; ვირზე ჭიქის ტყავი დაუფენიათ და იულიანესაც დონატისტავით მხრებზე ჭიქის ტყავი მოუხამს, შუბლს ვაზის ფოთლების გვირგვინი უმკობს და ხელში თირსი უჭირავს. იმპერატორს გარს შემორტყმიან ნახევრად შიშველი ძაღვები და ბაბუკები, მოცეკვავეები და ოინგაზები, ზოგიერთებს ამფორები და აზარფეშები მოაქვთ. სხვები დაფს სცემენ, შლეგური როკვით მოიწევენ წინ და უცნაურად ევრხებიან.

მოცეკვავე ბაბუკები (მღერები).

სვით სავსე თახით ნეტარება
და სიხარული,
რომ ბობოქრობდეს გულში ვნება
ნიაღვარული!
ეპეი, ბაქოსს! ამაზე კარგს რაღას მოისმენ?
გადიდებთ, ღმერთო თრობისაო, ო, დიონისე!

ძაღვები (მღერები).

ჩვენი სხეულის მწველი სახმილი
გარს შემოგეგუნოს ვნების ალუბად,
ისმინე ცხელი სისხლის ძახილი,
შორს ჩვენგან კდებო და მოკრძალებო!



ეჭვი, ბაკოს, ამაზე კარგს რაღას მოისმენ?
გადიდებთ, ღმერთო თრობისაო, ო, დიონისე!

იულიანე. გზა, გზა მოგვეცი, მოქალაქენო გზაც. პათივიც და ღიდებაც ჩვენ კი არა,
არამედ ჩვენს სათაყვანებელ ღმერთს!

ბმა (ბრბოში). იმპერატორი მეძავებსა და ოინბაზებს შორის!

იულიანე. სირცხვილი თქვენი, რომ ამათ ანაბარა მტოვებთ! სირცხვილი თქვენი.. ესენი
უნდა გჭობდნენ ღვთისმოსაობითა და გულმოდგინებით?

ბერიკაცი. იესო ქრისტემ აგიხილოს თვალი, ხელმწიფვე!

იულიანე. აა, გალილეველი ყოფილხარ!. როგორ მიბედავ? განა თქვენი დიდი მოძღვარი
ცოდვილებთან ერთად არ უჯდა ხუფრას? განა თამამად არ შედიოდა სახლებში, რომლებსაც
ყველა გაურბოდა და თავს არიდებდა? მიპასუხე!

მენაკიოსი (ქალიშვილებით გარშემორტყმული გამოდის ბარბარას საბლიდან). დიახ,
უპასუხე, თუ შეგიძლია, ბრყვო!

იულიანე. ეჭვი ეს ხომ ჩემი ნაცნობი დალაქია, რომელმაც...

მენაკიოსი. თავი დააღწია მონობის ბორკილს, მოწყალეო იმპერატორო! თქვენად მა-
გულეთ, ბაკანტებო და მენადებო! თქვენს თანამოძმედ და თანამოდასედ! (ქალიშვილების
თანხლებით უერთდებო მოცეკვავეებს).

იულიანე. აი, ეს მომწონს! ამ ღირსეულ ბერძენს მიბაძეთ, თუ წინაპართა ცეცხლის ერ-
თი ნაბერწყალი მაინც გიღვივით სულში დღეს სწორედ ეს გვეკირდება, მოქალაქენო, ვინა-
იდან არც ერთი ღმერთი არ გაუგიათ უფრო უკუღმართად, არც ერთი არ უგმიათ უფრო განუ-
სჯელად და განუკითხავად, ვიდრე აღტუინების მომნიჭებელი დიონისე, რომელმაც
ბახუსსაც უწოდებენ. თქვენ გგონიათ, დიონისე მემთვრალეთა ღმერთია? ო, უმეცა-
რნო, მებრალეებით, თუ მართლა ასე ფიქრობთ. ვის, თუ არა მას, თუ არა დიო-
ნისეს უნდა უმადლოდნენ თავიანთ შთაგონებასა და ზებუნებრივ ნიქს წინასწარმეტყვე-
ლნი და პოეტები? მე ვიცი, რომ ზოგიერთი ამ ძალას აპოლონს მიაწერს და არცთუ
სრულიად უსაფუძვლოდ. მაგრამ ეს კავშირი სულ სხვანაირად უნდა გვესმოდეს, რასაც მე
ვამტკიცებ კიდევ ზოგიერთ ძველ თხზულებაზე დაყრდნობით. თუმცა აქ, ამ შუა ქუჩაში, არც
პაექრობის დროა და არც ადგილი. იცინეთ, იცინეთ! პირჭვრის გადაწერა არ დაგაფიწყდეთ!..
ვხედავ, ყველაფერს მშვენივრად ვხედავ, რომ შეგეძლოთ, ქოქოლას დამაყრიდით და აღ-
ბათ ჩამქოლავდით კიდევ. ღმერთმანი, სირცხვილით ვიწვი ამ ტვიმნალრძობი ქალაქისა და
მისი გამოთაყვანებული მოქალაქეების შემყურე, თვით ბარბაროსებზედაც დაბლა რომ დგანან
და იმაზე უკეთესი ვერაფერი მოუგონებიათ, რომ თავყანს სცემდნენ უმეცარი იუდეველის სუ-
ლიერ ზღაპრებს... წინ, წინ!.. დაიშაღეთ... გზას ნუ გვიღობავთ.

მოცეკვავე მბავკები.

ეჭვი, ბაკოს! ამაზე კარგს რაღას მოისმენ?
გადიდებთ, ღმერთო თრობისაო, ო, დიონისე!

ქალეგი

ჩვენი სხეულის მწველი სახმილი
გარს შემოგეგუნოს ვნების ალუბად,
ისმინე ცხელი სისხლის ძახილი,
შორს ჩვენგან კდებო და მოკრძალებო!

მსვლელობა სიმღერით უხვევს და გვერდითი ქუჩით მიემართება, გაოგნებული ბრბო უსი-
ტყვოდ აყოლებს თვალს.

საიმპერატორო სასახლის წიგნთსაცავი. ხელმარცხნივ შემოსასვლელი კარია. მარჯვნივ
— შედარებით მომცრო, ფარდებჩამოფარებული კარი. მარცხნიდან ორი მსაბჭურის თანხლე-
ბით შემოდის სახლთუხუცესი მმწერიოსი. მსახურებს ხალიჩები მოაქვთ.

მმწერიოსი (მარჯვენა კარისკენ იყურება და გასძახის). აგილე, აგილე, ვარდის წყალი
შეათბე, გესმის? იმპერატორს ბანაობა სურს. (მსახურების თანხლებით ხელმარჯვნივ გადის).

მარცხენა მხრიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის იულიანე, ჯერ კიდევ ჯიქის ტყავი აქვს

მოსხმული, შუბლს ვაზის ფოთლების გვირგვინი უმკობს და ხელშიც კვლავინდებურად თირ-
სი უჭირავს. ერთი-ორჯერ გაივლ-გამოივლის დარბაზში და თირსს კუთხეში მიაგდებს.

იულიანო. ეს იყო მშვენიერება? სად გაქრნენ დარბაისელი თმაშვერცხლოვანი უხუცეს-
ნი? სად გაქრნენ შუბლგაქრული, შლდგურ ფერხულში ჩაბმული წმინდა უმანკო ქალწულ-
ნი?.. ფუჰ! როსკიბებიდა დარჩნენ. (ჩიქის ტყავს მოიგლეჯს და გვერდზე მოისვრის.) სად გა-
ქრა მშვენიერება? განა კეისარს არ შეუძლია უბრძანოს, მკედრეთით აღდგენს და უკვლევ მოგ-
ვევლინოს?!. ფუჰ! მშვენიერების ნაცვლად — ჩირქი და ბრწნილება... კრატეზებში... კრატეზ-
ირ ბიწს თავისი დადი დაუსვამს ამ დამახინჯებული ნაკვეთებისათვის. სული — წყლული, ხორ-
ცი — სნეული... ფუჰ! ფუჰ! აბაზანა გამიმზადე! გესმის. აგილე? სული მეხუთება ამ სიმყრა-
ლეში!

აბილი (მარჯვენა კარში). აბაზანა მზადაა, მოწყალეო ხელმწიფე...

იულიანო. მზადაა?... აღარ მინდა, გადავიფიქრე... რა არის სხეულის ჭუჭუი სულის ჭუჭუთან
შედარებით?... წადი!

აბილი გადის. იმპერატორი ერთხანს ჩაფიქრებული დგას.

ნაზარეველი წინასწარმხედი მეზვერეთა და მქავეებთან ერთად იღხენდა... სადღაა უფსკრუ-
ლი ჩვენ შორის?!

მარცხენა კარიდან შემოდის ეპივოლიუსი და მოწიწებით ჩერდება ზღურბლზე.

რა გინდა, მეგობარო?

ეპივოლიუსი (იჩოქებს). მბრძანებელო...

იულიანო. ამას ვის ვხედავ? ეკივოლიუს... ნუთუ მართლა შენა ხარ?

ეპივოლიუსი. მე ვარ და არცა ვარ.

იულიანო. ჩემო ძვირფასო მოძღვარო! რისთვის მოსულხარ? ადექი!

ეპივოლიუსი. არა, არა, ნება მიბოძე. აქ. მტვერში. ვეგდო! ნუ გამირისხდები იმის გამო,
ჩემი ძველი უფლებით რომ ვისარგებლე და ასე თავხედურად შემოგეჭერი.

იულიანო (ევიად). მე გეკითხები, რისთვის მოხვედი-მეთქი?

ეპივოლიუსი. შენ კვლავ ძველებურად მომმართე, ჩემო მოძღვარო!.. ნეტა შემეძლოს,
რომ დავიწყების ფარდა ჩამოვავარო იმ დროს!..

იულიანო (უწინდებურად). არ მესმის... ესე იგი, შენ გინდა, რომ...

ეპივოლიუსი. ...ო, ნეტა მიწა გამისკდეს და თან დამიტანოს, რათა მის წიაღში მაინც დავ-
მალო ჩემი სირცხვილი!.. აი, მე დაჩოქილი ვარ შენ წინაშე... უკვე დავბერდი, გავჭაღარავ-
დი... მთელი ჩემი დღე და მოსწრება ვსწავლობდი, ჭეშმარიტებას ვეძებდი და ახლალა შევიგ-
ნე, რომ თურმე თვითონაც ვცდებოდი და ჩემს უძვირფასეს შეგირდსაც ვაცდუნებდი!

იულიანო. მაგით ვითომ რისი თქმა გნებავს?

ეპივოლიუსი. ჩემო მოძღვარო, — ასე მიწოდე შენი! მე კი, შენს ფერხთით დაჩოქილი,
განცვიფრებით შემოგყურებ და ჩემს ახალ მოძღვრალა გახაზავ.

იულიანო. ადექი, ეკივოლიუს!

ეპივოლიუსი (დგება). მომისმინე, ხელმწიფეო, და შენი სიმართლით განსაჯე!.. მას შემ-
დგ, რაც აქედან წახვედი, ჩემთვის ჭეშმარიტად აუტანელი შეიქნა შენი დიდი წინამორბედის
სახახლის კარი. არ ვაცო, გითხრეს თუ არა, რომ დედოფლის მეფსალმუნედ და მოწყალების
გამცემად გამამწესეს. მაგრამ განა ეს საპატიო თანამდებობანი ამინაზლაურებდნენ დანაკარგს?
განა ისინი გამიქარვებდნენ სიმძიმის, ჩემს ძვირფას იულიანესთან განშორებით გამოწვე-
ულს? სიცოცხლე გამიმწარა ამდენი ხელმრუდის, თავიანთი მოჩვენებითი სიქველის წყალო-
ბით აღწევებული ამდენი ბოროტმოქმედისა და მექრთამის წრეში ტრიალმა. სიკვდილი მომა-
ნატრა ბედნიერებას დახარბებულ ყაჩაღთა შორის ცხოვრებამ, რომელთა კეთილგანწყობაც
ფულითა და პირფერობით თავისუფლად შეეძლო ეყიდა ყველას. ო, ჩემო მბრძანებელო, კი-
დევ კარგი, რომ არ იცი, რა ხდებოდა აქ!..

იულიანო. ვიცი, ვიცი!..

ეპივოლიუსი. მე მიზიდავდა უბრალო, განმარტოებული ცხოვრება. როგორც კი შესაძ-
ლებლობა მომეცემოდა, კრეტაზე მივემგზავრებოდი, ჩემს პატარა ტუსკულუმში... ჩემს და-
რიბულ მამულში... იქ ცოტა ხანს მაინც მეგონა, რომ სიქველეს საბოლოოდ არ მიუტოვებია
ეს ცოდვილი ქვეყანა. იქვე გავატარე წლივანდელი ზაფხულიც, ადამიანური სიბრძნის ჩხრე-
კასა თუ ზეციურ ჭეშმარიტებათა გონებაშიუწყვდომელ სიღრმეზე ფიქრში.

იულიანო. რა ბედნიერი კაცი ხარ, ეკივოლიუს!


ეპივოლიუსი. და აი, შენი დიადი გამარჯვებების ამბავმა კრეტამდეც ჩამოაღწია...

იულიანო. ა!..

ეკივოლიუსი. ჰოდა, მაშინ იყო, რომ ვკითხე ჩემსავე თავს: განა შეიძლება უბრალო მოკვდავად მიგვაჩნდეს ეს უებრო კაბუკი? ნეტავი ვინ მფარველობს მას? განა ქრისტიანთა ღმერთი ამნაირად ავლენს თავის ძალმოსილებას?

იულიანო (დაძაბულად). მერე, მერე?..

ეკივოლიუსი. ხელახლა ჩავუღრმავდი ძველისძველ წიგნებს და თანდათანობით გადამეწმინდა ჩემი დაბინდული გონება... ო, როგორ მიმძიმს ამის აღიარება!



იულიანო. მითხარი... ღვთის გულისათვის...

ეკივოლიუსი (ხელახლა იჩოქებს). შენ სიმაართლით დამსაჯე, ჩემო ხელმწიფევ, მაგრამ ზურგი აქციე კაბუკურ ცთომას, ღვთაებრივ საგანთა მცდარსა და უკუღმართ გაგებას! დიახ, ჩემო მრავალმოწყალებ მბრძანებელო, შენ სცდები და მე — როგორ გავუძლო ამ სირცხვილს?! — ხელი შეგიწვე იმაში, რომ ჭეშმარიტ გზას ასცდენოდნი..

იულიანო (ხელებს შლის). მოდი, მოგებვიო!

ეკივოლიუსი. გემუდარები, მადლი მიაგე შენს მწყალობელ უკვდავ ღმერთებს, რომლებმაც ასე აგამალღესი არადა, დამსაჯე იმის გამო, რომ შენ მაგივრად მე თვითონ შევწირავ მადლს...

იულიანო. მოდი, მოგებვიო-მეთქი, ვის ვეუბნები?! (ფეხზე წამოაყენებს ეკივოლიუსს, გულმხურვალედ გადაეხვევა და პკოცნის.) ჩემო ძვირფასო ეკივოლიუსი ეს რა მოულოდნელი სიხარული მეწვია დღეს!

ეკივოლიუსი. რას ბრძანებ, ჩემო ხელმწიფევ?..

იულიანო. როგორ, არაფერი გაგიგია?.. როდის ჩამოხვედი ქალაქში?

ეკივოლიუსი. ამ ერთი საათის წინ ჩამოვედი ხომალდიდან.

იულიანო. და პირდაპირ სასახლეში გამოეშურე?

ეკივოლიუსი. შეშისა და სინანულის ფრთებით, ჩემო მბრძანებელო!

იულიანო. არავის დალაპარაკებია?

ეკივოლიუსი. არავის... კი მაგრამ?..

იულიანო. მაშ, ვინ გეტყოდა?.. (ხელახლა გადაეხვევა.) უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო ეკივოლიუს, რომ შენსავით დავაღწიე თავი ცთომის კირთებს. მე აღვადგინე და ძველი დიდება დავუბრუნე ჩვენს მაცოცხლებელსა და მასულდგმულებელ მეუფე მზეს! ფორტუნამ ჩემი უღირსი ხელით მიიღო მსხვერპლი, და თუ ამ წუთში დადლილ-დაქანცულსა და არაქათგამოცლილს მხედავ, იმიტომ, რომ ეს-ესაა დავებრუნდი ღვთაებრივი დიონისესადმი მიძღვნილი ღღესასწაულიდან.

ეკივოლიუსი. რა ძესმის?.. უურებს არ ვუჭერი...

იულიანო. შემხედვე, შუბლს ჭერ კიდევ გვირგვინი მიმკობს. ხალხის აღტაცებულ ყიჟინში... დიახ, დიახ, ლამის დავყრუვდი...

ეკივოლიუსი. რას წარმოვიდგენდი, რომ...

იულიანო. ჩვენ გვინდა გარს შემოვიკრიბოთ სიბრძნისა და ჭეშმარიტების ყველა მოყვარე და მეგობარი, უკვდავი ღმერთების ყველა ღირსეული თაყვანისმცემელი და მოსავი... რამდენიმე უკვე მოიყარა თავი, თუმცა ჭერ არც ისე ბევრია...

მარტენა მხრიდან შემოდის სასახლის კარის ექიმი კანსარიოსი, თან რამდენიმე ნოხუცი ბარისტატი და მოხელე აბლავს.

აი, ჩვენი ძვირფასი კესარიოსიც, მრავალრიცხოვანი ამაღის თანხლებით... სახეზე ეტყობა, უბრალო საქმეზე არ უნდა იყოს მოსული.

კანსარიოსი. ჩვენო მრავალმოწყალებო იმპერატორო, თუ მომცემთ ნებას შენს მსახურს ერთი რამ გვითხო ამ ღრმად დამწუხრებული ხალხისა და პირადად ჩემი სახელით?

იულიანო. ბრძანე, კესარიოს, ჩემი ძვირფასი გრიგოლის ძმავო!.. თქვი, რა გნებავს?

კანსარიოსი. მითხარი, მოწყალებო ხელმწიფევ... (თვალს მოჰკრავს ეკივოლიუსს.) ამახ ვის ვხედავ? შენ აქა ხარ, ეკივოლიუს?

იულიანო. ამ ერთი საათის წინ ჩამოვიდა.

კანსარიოსი (წასვლას აპირებს). მაშინ ნება მიბოძე, სამერმისოდ გადავდო...

იულიანო. რატომ, რატომ, ძვირფასო კესარიოს? ამ ჩვენი მეგობრისაგან დაფარული არაფერი მაქვს.

კანსარიოსი. მეგობრისგანო, შენ ბრძანებ? მაშ, შენი სახელით არ იჭერენ და არც დიდგში ჰყრიან ხალხს, ჩემო ხელმწიფევ?

იულიანო. რას ამბობ?..

კანსარიოსი. როგორ, არ იცი?.. მხედართმთავარი.. ანუ, როგორც ახლა თავის თავს უწ-

ოდებს მთავარსარდალი ნევიტა შენი სახელით სდევნის და სასტიკად უსწორდება განსვენებული იმპერატორის ნდობით აღკურვილ პირებს.

იულიანე. ეს მხოლოდ გამოძიებაა, კესარიოს; სამწუხაროდ, აუცილებელი გამოძიება.

კესარიოსი. კი მაგრამ, მაშინ ეს სისასტიკე მაინც აღკვეთე, მბრძანებელი მოანგარიშე პენტადიონს ჭარისკაცები ეძებენ, ისევე როგორც პრეტორიანელთა ერთ-ერთ მეთაურს, ვისი სახელის ხსენებაც შენ თვითონ აკრძალე... ალბათ ხვდები, ვისაც ვგულისხმობ, ჩემო ხელმწიფევ... იმ უბედურს, რომელიც ახლა მთელი თავისი სახლეულით, ვინ იცის ხალხი იმალდება...

იულიანე. შენ არ იცნობ იმ კაცს. იცი, რა თავხედურად იქცეოდა გალიაში?..

კესარიოსი. შეიძლება, მაგრამ ახლა რაღას დაგაკლებს? და განა მართლაც მას ემუქრება სიკვდილი? მეტურქლეთუხუცესი ურსულუსიც დიღეგში ჩააგდეს...

იულიანე. აა, ურსულუსიც?.. როგორც ჩანს, მაინც აუცილებელი შეიქნა...

კესარიოსი. აუცილებელი? აუცილებელიო, შენ ბრძანებ? დაფიქრდი, ჩემო ხელმწიფევ, ურსულუსი პათოსანი კაცია, რომელიც ისე დაბერდა, რომ მის სახელს ერთი ლაქაც არ წასცხებია... კაცი, რომლის სიტყვასაც ანგარიშს უწევდა დიდიც და პატარაც...

იულიანე. მე კი გეუბნები, ესაა კაცი, რომელსაც ხალი აზრის ნატამალიც არ გააჩნია. ურსულუსი მფლანგველია, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, თვითონვე აქეზებდა კარისკაცთა სიზარბეს. ეგეც არ იყო, სახელმწიფო მოღვაწედ ღმერთს არ უქნია. პირადად დავრწმუნდი ამაში. მე, მაგალითად, ვერასოდეს ვერ მივანდობდი უცხოელი ელჩების მიღებას.

კესარიოსი. და მაინც ყველანი ერთხმად გვედრებით, ხელმწიფეო, შემწყნარებელი იყავი როგორც ურსულუსის, ისე დანარჩენთა მიმართაც.

იულიანე. ვინ არიან ეს დანარჩენნი?

კესარიოსი. ყველას რა ჩამოთვლის? დავისახელებ მხოლოდ მეტურქლეთუხუცესის თანაშემწეს ევაგრეს, დათხოვილ სახლთუხუცესს სატურნიუსს, უზენაეს მსაჯულს კირენეს და...

იულიანე. რა ენა დაგება?

კესარიოსი (ენის ბორძიკით). ხელმწიფეო... ბრალდებულთა შორისაა სახლის კარის მწიგნობარი ეკივოლიუსიც.

იულიანე. როგორ?

ეკივოლიუსი. მე? შეუძლებელია!

კესარიოსი. ეკივოლიუსს ბრალად ედება ის, რომ ქრთამს იღებდა თანამდებობის უღირსი მაძიებლებისაგან..

იულიანე. ვინ, ეკივოლიუსი?... ეკივოლიუსი?

ეკივოლიუსი. რა ბილწი ცილისწამებაა! ო, იესო... ესე იგი, უკვდავო ღმერთებო!..

კესარიოსი. აა!

იულიანე (კესარიოსს). მაგით ვითომ რისი თქმა გნებავს?

კესარიოსი. არაფრის, მოწყალეო ხელმწიფევ.

იულიანე. კესარიოს!

კესარიოსი. ვისმენ, ჩემო მბრძანებელო!

იულიანე. მბრძანებელი კი არა, უწინდებურად შენი მეგობარი მიწოდე.

კესარიოსი. რა უფლება აქვს ქრისტიანს შენს მეგობრად მოპქონდეს თავი?

იულიანე. გვედრები, გულშიაც არ გაივლო ეგ, კესარიოს. რა ჩემი ბრალია, რომ შენ მიერ ჩამოთვლილი ყველა ბრალდებული ქრისტიანია? განა ეს მხოლოდ იმას არ მოწმობს, რომ თქვენ, ქრისტიანებმა, მოახერხეთ ხელში ჩაგვადოთ ყველა შემოსავლიანი ადგილი? მაგრამ რა უფლება აქვს იმპერატორს თვალი დახუჭოს იმაზე, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი უღირსსა და უნიათო ხალხს უჭირავს? (დანარჩენებს). ხომ არ გგონიათ, რომ უკეთურთა მიმართ ჩემი რისხვა თქვენმა სარწმუნოებამ გამოიწვია? მოწმედ მოვუხმობ უკვდავ ღმერთებს, სულაც არა მსურს, რომ თქვენ, ქრისტიანებს, უკანონოდ და უსამართლოდ გექცეოდნენ, ან საერთოდ შეურაცხყოფდნენ თქვენს ღირსებას. ყველანი თუ არა, უმეტესი თქვენგანი მაინც ღვთისმოსავი ხალხი ბრძანდებით, რადგან თავადაც ხომ თაყვანს სცემთ ღმერთს, მთელი ამ მზისქვეშეთის ყოვლისშემძლე უფალს და მბრძანებელს? ო, კესარიოს, განა თქვენი ღმერთი არაა ჩემი ღმერთიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სხვა სახელი მქვია?

კესარიოსი. ნება მიბოძე, მოწყალეო ხელმწიფევ...

იულიანე. საერთოდ მე ვაპირებ შემწყნარებელი ვიყო ყველგან, სადაც შემეძლება და

როგორც შემეძლება... რაც შეეხება ეკივოლიუსს, ნუ ჰგონიათ მის ფარულ მტრებს, რომ დასმენებით ან სხვა უღირსი საშუალებებით რამეს ავნებენ.

ეკივოლიუსი, ო, ჩემო იმპერატორო, ჩემო მწყალობელო, ჩემო მფარველო!

იულიანე. არც ის მინდა, რომ უწყალოდ ართმევდნენ ლუკმაპურს სასახლის უბრალო მსახურთ. მახსენდება ის დალაქი, მე რომ გავაგდე. ვწუხვარ! დაბრუნდეს და დარჩეს როგორც ჩანს, თავისი საქმე იცის. უნდა გავუფრთხილდეთ ამნაირ ადამიანებს. ღირსი დაეუბნულდე, ჩემო კესარიოს, მაგრამ ესაა და ეს, მეტი არა შემეძლია რა, დაე, ურსულუსს მიეგოს ის, რასაც იმსახურებს. მე მინდა ისე მოვიქცე, რომ სამართლიანობის ბრმა, მაგრამ მაინც მარად უხიზელ ქალღმერთს იმის საბაბი არ მივცე, რომ მრისხანედ შექმუნოს შუბლი და შემოსწყურეს საბრალო მოკვდავს, რომელსაც მან ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა.

კესარიოსი. ყოველივე ამის შემდეგ კრინტსაც ვერ დავძრავ უბედურთა დასაცავად. მხოლოდ იმის ნებართვას გთხოვ, რომ სასახლის კარი და ქალაქი დავტოვო.

იულიანე. ასე გადაწყვიტე?

კესარიოსი. დიახ, მოწყალო ხელმწიფევ.

იულიანე. არ ვიცი, რომელი უფრო ჭიუტი ხართ, შენ თუ შენი ძმა.

კესარიოსი. ეს ახალი ვითარება მაიძულებს ბევრ რამეს დავუფიქრდე.

იულიანე. მე კი ისე დიდ იმედებს ვამყარებდი შენზე, კესარიოს! რომ იცოდე, როგორ გამახარებ, თუ ზურგს შეაქცევ შენს ცთომილებას. ნუთუ არ შეგიძლია?

კესარიოსი. ღმერთმა იცის, ერთი თვის წინ იქნებ კიდევაც შემძლებოდა, მაგრამ ახლა — არა.

იულიანე. შენ შეგიძლო ყველაზე დიდებულ საგვარეულოს დანათესავებოდი ქორწინებით... ხომ არ გადაიფიქრებ?

კესარიოსი. არა, მოწყალო ხელმწიფევ...

იულიანე. შენისთანა კაცს შეიძლო სწრაფად დაწინაურებულიყო და ყველაზე მაღალი თანამდებობისათვის მიედწია. ნუთუ არ შეგიძლია დარჩე და მხარში ამოვიდგე, კესარიოს?

კესარიოსი. არა, მოწყალო ხელმწიფევ!

იულიანე. აქ დარჩენას როდი გთხოვ, არამედ — სხვაგან. აქედან მე თვითონაც ვაპირებ წასვლას. კონსტანტინოპოლში სული მცხუთება... თქვენ, ქრისტიანებმა ყველაფერი იღონეთ ხაიმისოდ, რომ მოგეწამლათ და ჩემთვის შეგეძულეხინათ იგი. ანტიოქიაში მივდივარ, იქ უკეთეს ნიადაგს ვპოვებ. ხომ არ წამომყვები, კესარიოს?

კესარიოსი. მოწყალო ხელმწიფევ, მეც აღმოსავლეთით მიძევს გზა, მაგრამ მიჩვენია მარტო წავიდე.

იულიანე. აღმოსავლეთში რა გინდა?

კესარიოსი. მოხუცებულ მამაჩემს ვინახულებ და მხარში ამოვუდგები ჩემს ძმას გრიგოლს; მომავალი ბრძოლებისათვის გავამზნევებ.

იულიანე. წადი

კესარიოსი. კარგად ბრძანდებოდე, ჩემო იმპერატორო!

იულიანე. ბედნიერია მამა, რომელსაც ასეთი უბედური შვილები ჰყავს. (ხელით ნიშანს აძლევს.)

კესარიოსი და მისი თანმხლებნი მღაბლად უკრავენ თავს და მარცხნივ გადიან.

ეკივოლიუსი. რა თავბედური და უხამსი სიკერბეა!

იულიანე. გულზე სისხლი გადაამდის ამ სიკერპისა და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამის გამო. შენ ხომ განომყვები, ჩემო ეკივოლიუს? უბეჭვეშ მიწა მეწვის ამ წყურულსა და და გალილეველთა მიერ მოწამლულ ქალაქში წერილს მივწერ ფილოსოფოსებს კიტრონსა და პრისკუსს, რომლებმაც ამ ბოლო ხანს ასე შორს გაითქვეს სახელი. მაქსიმეს დღე-დღეზე მოველი, ისიც ჩვენთან წამოვა. გეუბნები, წინ გამარჯვების ნათელი დღეები გველის, ეკივოლიუსს ანტიოქიაში, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩვენ შევხვდებით სწორუპოვარ ლიბანიოსს! უფრო ახლოს ვიქნებით ჰელიოსთან! ო, ეს ჩემი მუდმივი ჰმუნვა მეფე-მზის გამო!..

ეკივოლიუსი დიახ, დიახ.

იულიანე (გადაეხვევა). ეკივოლიუს!.. სიბრძნე, სინათლე, მშვენიერება!..

მორა მოქმედება

ანტიოქია, საიმპერატორო სასახლის ატრიუმი. სიღრმეში ღია შესასვლელი, მარცხენა კედელში კი კარი, საიდანაც შეიძლება შიდა დარბაზში შესვლა. ხელმარტნიერ/შემადლებულ ადგილას ზის კარისკაცებით გარშემორტყმული იმპერატორი იულიანე, მსაჯულეები, რიტორები, კომიტები და სოფისტები, მათ შორის მოძღვარი ეპივოტეტიუსიც. ღია სკამებზე სხედან იმპერატორის ფერბით. შემოსასვლელთან კედელს მიყრდნობილი ანატორი-ახი პაცი, სახეზე ხელები აუფარებია, გეგონებათ, ლოცვაშია დანთქმული. ატრიუმი ანტი-ოქიელი მოქალაქეებითაა სავსე. შემოსასვლელსა და მარცხენა კარს მცველები დარაჯობენ.

იულიანე (შეკრებილთ). ესოდენ დიდი სიხარული მარგუნეს ღმერთებმა. რომელ ქალაქსაც არ უნდა მივდგომოდი აქეთობისას, უოველი მხრიდან მოეშურებოდნენ ჩემკენ გალილეველთა ბრბოები, მწარედ მოსთქვამდნენ თავიანთი ძველი ცთომილების გამო და ღვთიურ ძალთა მოწყალებას ანდობდნენ თავიანთ თავს. რა არის ამასთან შედარებით ბრწყინვა და მცინავი ქირქილი? რაღა ისინი და რაღა ძალები, დამლამობით რომ უყუფენ მთვარეს! თუმცა რა დასამალია, გული ამემდვრა, როდესაც გავიგე, რომ ზოგიერთი აქაური ვაჟბატონი თურმე აშკარად დასცინის ცხოვრების იმ წესს, რომელიც მე სავალდებულოდ დავუსახე კეთილმოწყალებ ქალღმერთის კიბელეს ქურუმებს. განა მოწინებას ამ დიადი ღვთაების მიმართ ბილწთა გმობისაგან არ უნდა დაეხსნა მისი მსახურნი? და მე მივმართავ ამ უგუნურთ: ბარბაროსები ხომ არა ხართ. რომ არ იცოდეთ, ვინ არის კიბელე? ან იქნებ მართლა უნდა შეგახსენოთ ის შორეული წარსული, როცა რომის ძლიერებას ემუქრებოდა ერთი კართაგენელი მხედართმთავარი, ვისი საფლავიც ამას წინათ ვინახულე ლიბისაში, და როცა კუმელი სიბილას რჩევით კიბელეს გამოსახულება პესინუსის ტაძრიდან რომში იქნა გადატანილი? რაც შეეხება ქურუმთა ცხოვრების წესს, ზოგიერთებს სასაცილოდ არ ჰყოფნით ის, რომ კიბელეს მსახურთ ეკრძალება ფესვებისა და მიწაზე განრთხმულ მცენარეთა ნაყოფის ჭამა, მაშინ როდესაც ნება ეძლევათ ჭამონ ყველა სხვა მცენარის ნაყოფი. ო, სამგზის უმეცარნო! მეცოდებით, ეს რომ არ გესმით. შეიძლება თუ არა, რომ ადამიანის სული საზრდოობდეს იმით, რაც ქვეწარმავალივით დახოხავს მიწაზე? განა სული არ ცოცხლობს იმით, რომ ცისკენ, მზის მიმართ ისწრაფის? მაგრამ ამაზე სასაუბროდ დღეს არა მცალია. დანარჩენს ჩემი ნაშრომიდან შეიტყობთ, რომლის თხზვაშიაც თეთრად ვათენებ დამეებს და რომელიც, იმედი მაქვს, მალე იქცევა შესწავლის საგნად ფილოსოფიურ სკოლებშიც და მოედნებზეც. (დგება.) ამით, ჩემო მეგობრებო, თუ მეტი აღარაფერი გაქვთ სათქმელი...

იერი-იერი მოქალაქე (წინ გამოდის). ო, ჩვენო მოწყალებო იმპერატორო, ისე ნუ გამიშვებ, რომ არ მომისმინოს!

იულიანე (ხელახლა ჯდება). როგორ გეკადრება, ჩემო მეგობარო! ვინა ხარ?

მოქალაქე. ხორბლეულით მოვაჭრე მედონი გახლავარ. ო, ჩემო ცათასწორო, ღვთაებრივო მბრძანებელო, შენდამი ჩემი სიყვარული რომ არა...

იულიანე. აღარ იტყვი, რა გნებავს, ადამიანო?

მედონი. ერთი მეზობელი მყავს, ალიტე ბქვია სახელად. აგერ უკვე რამდენი წელი იქნება, სულ იმის ცდაშია, რომ რაიმე მავნოს, ისიც ხორბლეულით ვაჭრობს და ძირს უთხრის ჩემს კეთილდღეობას.

იულიანე. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მედონ, კაცმა რომ შემოგხედოს, გაუჭირდება იმისი თქმა, რომ შენს კეთილდღეობას რაიმე ემუქრება.

მედონი. ამაზე როდი მოვახსენებ, მოწყალებო იმპერატორო! ვფიცავ უკვდავ ღმერთებს, რომლებსაც დღითი დღე სულ უფრო მეტ თაყვანსა ვცემ, რანაირი შეურაცხყოფაც უნდა მოეყენებინა, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ ერთ რამეს კი ნაშდვილად ველარ ავიტან...

იულიანე. რაო, ღმერთებს ხომ არა ჰგმობს?

მედონი. მეტიც... ყოველ შემთხვევაში, ეს არანაკლები თავხედობაა მისი მხრივ... ის... ო, ღმერთმანი, ისე ვარ გულამდვრეული, რომ არც კი ვიცო, შევძლებ თუ არა რაიმე გაგაგებინო. დიახ, ის... ღმერთებს კი არა, შენა გგმობს, მოწყალებო ხელმწიფევს!

იულიანე. მაინც რას ამბობს?

მედონი. არაფერსაც არ ამბობს, გაცილებით უარესად იქცევა.

იულიანე. აღარ იტყვი?..

მედონი. მეწამულ ქლამიდას ატარებს.

იულიანე. მეწამულ ქლამიდასო?... უყურეთ ამ თავხედს!...

მედონი. დიახ, დიახ! ო, დიადო პერმესი. როცა წარმოვიდგენ, რა დაუჯდებოდა ამნაირი ქლამილით გამოჩენა შენი წინამორბედის დროს!.. ახლა კი ეს მყვირალა მოსასხამი ყოველდღე თვალში მეჩხირება.

იულიანო. იმ ფულით მაინც არ იყოს ნაყიდი, რომელიც შეიძლება შენი უოფილიყო მედონი. ო, ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევ, დასაჯე ეს თავგასული; ბრძანე, ქალაქიდან განდევნონ; ჩემი სიყვარული შენდამი, ჩვენო დიდებულო, ჩვენო ცათასწორო მბრძანებულო, ნებას არ შეძლებს, ამნაირი მკრებელობის მოწმე ვიყო.



იულიანო. ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო მედონ, ამ მეწამული ქლამილის გარდა კიდევ რა აცვია ალიტეს?

მედონი. მართალი ვითხრა, ვერ ვიხსენებ, მბრძანებელო!.. თუ არა ვცდები, ჩვეულებრივი ტანსაცმელი... მე მხოლოდ ქლამიდას მივაქციე უურადღება.

იულიანო. ესე იგი, მეწამული ქლამიდა და მოუთრიმლავი ტყავის სანდლები?

მედონი. დიახ, დიახ, ხელმწიფეო, ეს ისეთივე სიბრძნეა, როგორც თავხედობა.

იულიანო. ამის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა მივიღოთ, მედონ.

მედონი (სიხარულით). აჰ, მოწყალეო ხელმწიფევ!..

იულიანო. ხვალ დილაუთენია მოხვალ სასახლეში...

მედონი (კიდევ უფრო გაჩაჩებული). მოვალ, როგორ არ მოვალ, ნების ამოსვლას დავასწრებ, მოწყალეო იმპერატორო!

იულიანო. ჩემს სახლთუბუცესთან მიხვალ...

მედონი. დიახ, დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ!..

იულიანო. და ის მოგცემს ოქრომკედით მოსირმულ მეწამულ წაღებს...

მედონი. ო, ჩემო გულუხვო მბრძანებელო!

იულიანო. რომლებსაც ალიტეს წაუღებ, ჩააცმევ და ეტყვი, რომ აუცილებლად ეს წაღები უნდა ეცვას ყოველთვის, როცა თავისი მეწამული ქლამილით დააპირებს ქალაქში გახიზნებას...

მედონი. ო!..

იულიანო. შემდეგ კი ჩემი სახელით გადასცემ, რომ ნამდვილი ბრიყვი ყოფილა, თუკი მეწამული ქლამილით მოაქვს თავი, მაგრამ ის ძალმოსილება კი არ გაჩნია, რაზედაც მეწამული ფერი მიგვანიშნებს.. ახლა კი წადი და ხვალ დილით წაღების წასაღებად მოსვლა არ დაგავიწყდეს.

დარცხენილი მედონი თავჩალუნული მიიპურწება თანამოქალაქეთა სიცილ-ხარხარში. კარისკაცები, რიტორები, პოეტები და სხვები ტაშს უკრავენ და ხმამაღლა აქებენ იმპერატორს.

მეორე მოქალაქე (ბრბოს გამოეყოფა). დიდება იმპერატორის სანართალს! ამ გაუმადლარ ვაქრუჯანას თავისი კუთვნილი მიეგოს ახლა კი მეც მომისმინე და, დაე, შენმა მოწყალეობამ...

იულიანო. შენი სახე თითქოს მეცნობა. მითხარი, შენ ხომ არ ყვიროდი ასე ხმამაღლა, როცა ეტლით შემოვდიოდით ქალაქში?..

მოქალაქე. დიახ, მათ შორის გახლდი, ვინც ყველაზე გულმხურვალედ მოგესალმებოდა, ჩვენო სწორუბოვარო იმპერატორო! მებაჟე შალკოსი გახლავარი მხოლოდ შენი შეწევნისა და მფარველობის იმედი მაქვს!.. ერთ უკეთურსა და გაუმადლარ კაცს ვუჩივო.

იულიანო. მერედა, ამისთვის მაწუხებ? განა მსაჯულები არა გვყავს?

მალკოსი. ძალზე ჩახლართული საქმეა, ჩვენო მოწყალე მბრძანებელო! ამ უკეთურ კაცს იჭარით მივეცი უანა, რომელიც ამ შვიდი წლის წინათ ვიყიდე, როცა მოციქულთა ბაზილიკის კუთვნილი მიწების ნაწილი იყიდებოდა.

იულიანო. აა, ესე იგი, საეკლესიო საკუთრება?

მალკოსი. პატიოსნად მონაგები ფულით ვიყიდე... მაგრამ ახლა ეს კაცი იჭარის მოცემას უარს მეუბნება და აღარც ჩემს მიწას მიბრუნებს იმ საბაბით, რომ ეს უანა ოდესღაც აპოლონის ტაძარს ეკუთვნოდა და, მისი მტკიცებით, უკანონოდ წაართვეს ტაძარს, ვინ იცის, რამდენი ხნის წინათ.

იულიანო. ერთი ეს მითხარი, შალკოს, გალილეელის მიმდევარი ხომ არა ხარ?

მალკოსი. მოწყალეო იმპერატორო, მთელი ჩემი საგვარეულო ოდითგანვე თავყვანს სცემდა იესო ქრისტეს.

იულიანო. მერედა, ასე თავხედურად მიცხადებ ამას?

მალკოსი. შენ ჩემი მოპასუხის თავხედობა იკითხე, ხელმწიფეო! ისე გულარხეინადაა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ქალაქიდანაც კი არ გაქცეულა, როცა ხმა გავარდა, რომ ანტიოქიას მობრძანდებოდნ.

იულიანო. არ გაქცეულა? კი მაგრამ, გასაქცევი რა ჰქონდა, თუკი უკვდავ ღმერთებს სცემს თაყვანს?

მალკოსი. მოწყალეო ხელმწიფევ შენ ალბათ გაგიგონია მონაგარიშე ფალასიოსის სახელი!

იულიანო. როგორ? სწორედ იმ ფალასიოსის, რომელმაც, ჩემი წინამორბედის/საამებლად, მაშინ როცა მე, ცილისწამების შედეგად შერისხულს, სახიკვდილო საფრთხე შემოუჭრებოდა გალიაში, — აქ, მოედანზე, საჭაროდ მოუწოდა ანტიოქიელ მოქალაქეებს, ცეცხარ ეულიანეს თავი ეთხოვათ იმპერატორისათვის?

მალკოსი. დიახ, ხელმწიფეო, და ახლა სწორედ ეს შენი დაუძინებელი მტერი მიპირებს დაჩაგვრას.

იულიანო. ჭეშმარიტად, მალკოს, მე შენზე არანაკლები საბაბი მაქვს საიშოდ, რომ ამ კაცს პასუხი მოვთხოვო.

მალკოსი. ო, ათქერ მეთი, მოწყალეო ხელმწიფევ!

იულიანო. როგორ გგონია, ხომ არ შევადერთოთ ჩვენ-ჩვენი სარჩელი და ერთად ვაგებინოთ პასუხი?

მალკოსი. ო, ეს რა წყალობა მეღირსა!.. წარმოუდგენელი, ენით უთქმელი! ჭეშმარიტად ათგზის ბედნიერი ვარ!

იულიანო. ჩემი აზრით კი ათგზის ბრიყვი ხარ! შენ ამბობ, ფალასიოსი ისე არხეინად გრძნობს თავს, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოსო! ესე იგი, ქალაქიდან არ გაიქცა ჩემი ჩამოსვლისას? ფალასიოსს შენზე უკეთ ვცნობივარ! თავიდან მომწყდი! როცა მე ჩემი მოკვითილი თავის პასუხს მოვთხოვ ფალასიოსს, შენც მაშინ მოსთხოვე შენი ყანის პასუხი.

მალკოსი (ხელებს იმტერევს). ვაი ჩემს თავს, ათგზის უბედურს! (შუა კარიდან გადის.) შეკრებილნი ხელახლა ტაშს უკრავენ იმპერატორს მოწონების ნიშნად.

იულიანო. მაშ ასე, ჩემო შეგობრებო! გიხაროდეთ, რომ მოვახერხე არცთუ ისე უღირსად დამეწყო სხივციხკროვანი აპოლონისადმი მიძღვნილი დღევანდელი დღე! რადგან სხვა რა შემუერის სიბრძნისმოყვარეს, თუ არა ის, რომ დიდსულოვნად მიუტევოს ყველას თავისი პირადი შეურაცხყოფა და, პირიქით, სასტიკად დასაჯოს უკვდავ ღმერთთა შეურაცხყოფნი? არ ვიცი, იძულებული ყოფილა თუ არა გვირგვინოსანი ფილოსოფოსი მარკუს აგრელიუსი, ამნაირი საქმე გაერჩია, მაგრამ თუ ყოფილა, იმედია, ისიც ჩემსავით მოიქცეოდა, რადგანაც უდიდეს პატივად მიმაჩნია ის, რომ კრძალვით მივსდევდე მის ნათელ კვალს.

მტკიცედ დაიხსომეთ შემდეგი: სადაც არ უნდა იყო, სასახლეში, მოედანზე თუ თეატრში, — გულს რომ არ მირევდეს ამ უხამს ადგილას ყოფნა, — თქვენის მხრივ სავსებით მართებული იქნება ტაშისკვრითა და აღტაცების შეძახილებით მომესალმოთ, რადგან ამნაირ მისალმებას კეთილმოწყალედ იღებდნენ თვით ალექსანდრე მაკედონელიცა და იულიუს კეისარიც, — ღვთისსწორი გვირგვინოსანნი, რომელთა დიდებაც ჩვეულებრივ მოკვდავთა დიდებას როდი მგავდა.

მაგრამ თუ ტაძარში შემავალს მიხილავთ, სულ სხვანაირი ქცევა გმართებთ. მე მოვითხოვ, რომ მაშინ თქვენ სდუმდეთ, ან თავჩაქინდრულსა და მიწის მიმართ მზირალ იულიანეს კი არ ესალმებოდეთ, არამედ უკვდავ ღმერთებს. იმედი მაქვს, ასე მოიქცევით, უწინარეს ყოვლისა, იმ დიადი და ყოვლისმძღვე ღვთაების წინაშე, რომელსაც მეფე-მზის სახელს ვუწოდებთ და რომლის დიდებაც კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენს თვალში, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი მეფე-მზე იგივე ღვთაებაა, რომელსაც აღმოსავლელი ხალხები მითრას სახელით ადიდებენ. ასე და ამრიგად, თუ მეთი აღარაფერი გაქვს სათქმელი...

მღვდელი (კართან, სწორდება). სახელოთა უფლისათა!

იულიანო. ვინ არის?

მღვდელი. მსახური უფლისა და კეისრისა!

იულიანო. მომიახლოვდი. რა გნებავს?

მღვდელი. მივმართო შენს გულს, შენს ხინდისს.

იულიანო (წამოიჭრება). ვისი ხმა მესმის? ამახ ვის ვხედავ? ამ წვერიხა და ანაფორის მიუხედავად... გრიგოლ!

მღვდელი. დიახ, მბრძანებელო!

იულიანო (დაბლა ჩამოდის, ხელს ჩასტიდება გრიგოლს და ერთხანს უსიტყვოდ მისჩერდება). ცოტა არ იყოს, მოტეხილხარ, დასრულებულხარ... თუმცა არა... ერთი შეხედვით მომეოყენა... ახლა კი ვხედავ, ისევ ის გრიგოლი ხარ!

ბრიგოლი. ნეტა შეშეძლოს, შენზედაც იგივე ვთქვა, ხელმწიფევ!

იულიანე. ათენი. უძილო ღამეები თაღებქვეშ. ჩემს გულს შენზე ძვირფასი არავინ მყავდა.

ბრიგოლი. შენს გულს?.. ეჰ, ხელმწიფეო, ჩემზე უკეთესი მეგობარი ამოიგდო გულიდან. იულიანე. ბასილს გულისხმობ?

ბრიგოლი. მე ვგულისხმობ იმას, ვისი ფეხთა მტვერიცა ვართ მეც და ბასილიცა იულიანე (იღუშება). აა, აი, თურმე რის სათქმელად მოსულხარ!.. თანაც...

ბრიგოლი. მე როდი ამირჩევია ეს სამოსი, ხელმწიფევი! იულიანე. მაშ, ვინ?

ბრიგოლი. იმან, ვინც კეისარზე უმაღლესია და უზენაესი. იულიანე. ო, ეს გალილეველთა სიშლეგე! თუ ჩვენი მეგობრობა გწამს, მოეშვი ამას.

ბრიგოლი. მაშ, ნება მიბოძე, მოვახსენო, თუ რატომ გავხდი ეკლესიის მსახური; ეკლესიისა, რომელსაც შენ სდევნი.

იულიანე (ცივად შეხედავს გრიგოლს). ვდევნი?.. (კვლავ იკავებს თავის ადგილს.) განაგრძე!

ბრიგოლი. კარგად მოგახსენება, როგორ ვუყურებდი და რანაირად აღვიქვამდი ღვთაებრივ საგნებს იმ კეთილსახსოვარ დროს, როცა ერთად ვსწავლობდით ათენში. მაგრამ მაშინ მე ჯერ კიდევ შორს ვიყავი იმ აზრისაგან, რომ სამუდამოდ შექცია ზურგი ამქვეყნიურ სიამოთაოვინს. თამამად შემიძლია ვთქვა, არც პატივმოყვარე ვყოფილვარ და არც სიმდიდრეს დახარბებული, მაგრამ მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩემი სული და თვალი ხარბად არ მიეღტვოდა იმ მშვენიერებას და ბრწყინვალეობას, რასაც მივლენდა ბერძნული მეცნიერებისა და ხელოვნების დიდებული სამყარო. ბრიყუული უთანხმოებანი და ყოვლად უბადრუკი საბაბით გამოწვეული განხეთქილებანი, რომლებიც არყევდნენ და ძირს უთხრიდნენ ჩვენს ეკლესიას, ღრმად ამწუხრებდნენ ჩემს გულს, მაგრამ პირადად არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობდი მათში. მე მხოლოდ საერთო ასპარეზზე ვემსახურებოდი ჩემს თანამოქალაქეებს, ეს იყო და ეს.

მაგრამ უცებ კონსტანტინოპოლიდან მოვიდა ამბავი: კონსტანციუსმა იულიანეს შიშით სული უფალს მიაბარა და თავის მემკვიდრედაც სწორედ ის დატოვაო. შენ ნამდვილ ზეჟაცად გთვლიდნენ. შენი ბრწყინვალე გამარჯვებების ამბავი წინ გისწრებდა გალიისა და ვერმანიის გმირს და ისე დაიკავე დიდი კონსტანტინეს ტახტი, რომ ხმალიც კი არ გიშიშვლებია. მთელი ქვეყანა ხასოებით შემოგყურებდა.

შერე კი ახალი ამბავი მოვიდა. მიწიერი მეუფე ზეციერს აუმხედრდა... იულიანე. როგორ მიბედავ, გრიგოლ?!

ბრიგოლი. დიახ, ხორცის მეუფე აუმხედრდა სულის მეუფეს. აი, მე შენ წინაშე ვდგავარ: ჩემი ხორცი ძრწის და ცახცახებს, მაგრამ არ შემიძლია ტყუილის თქმა. ინებებ სიმართლის მოსმენას თუ ხმა გავკმოდო?

იულიანე. განაგრძე, გრიგოლ!

ბრიგოლი. რამდენა უბედურება დაატყდა თავს ჩემს თანამორწმუნეებს ამ რამდენიმე თვის მანძილზე! რამდენი სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი, რამდენი კაცი განუკითხვად დასჯილი! სახელმწიფო მდივანი გაუდენციუსი... ეგვიპტის ყოფილი მეფისნაცვალი არტემიოსი... ორივე ტრიბუნი — რომანოზი და ვინცენციუსი...

იულიანე. შენ არ იცნობ არც ერთი მათგანის საქმეს. გეუბნები მართლმსაჯულების ქალღმერთი ცრემლებად დაიღვრებოდა. ეს გამუდვებები ცოცხალი რომ დარჩენილიყვნენ.

ბრიგოლი. დავუშვათ, რომ მართლაც ასეა, იმპერატორო. მაგრამ მე გეტყვი, რომ ან სასიკვდილო განაჩენთა შორის გამოტანილ იქნა ერთი ისეთიც, რომელსაც არასოდეს მოგიტევენ მართლმსაჯულების ქალღმერთი ურსულუსის განაჩენზე მოგახსენები ეს კაცი შენი მეგობარი იყო განსაცდლის მძიმე დღეებში; არად აგდებდა საფრთხეს და ფულით გამარაგებდა გალიაში. ურსულუსის მთელი დანაშაული ეს გახლდა — ქრისტიანული სარწმუნოება და გულწრფელობა...

იულიანე. აა!.. შენი ძმის კესარიოსის სიტყვებს იმეორებ!

ბრიგოლი. მე დამსაჯე, მბრძანებელო, მაგრამ შეიწყალე ჩემი ძმა!

იულიანე. შენ კარგად იცი, რომ არაფერი გემუქრება, გრიგოლ! ისე კი გეთანხმები, რომ ნევიტამ მეტიხმეტი სიმკაცრე და სისასტიკე გამოიჩინა...

ბრიგოლი. ო, ეს ბარბაროსი, ბერძნული ნიღბით ამაოდ რომ ცდილობს თავისი წარმოშავლობის მიჩქმალვას!..

იულიანე. ნევიტა გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობას; ეს ერთი კაცი კი უკო-

ლაფერს ხომ ვერ გავწვდები, ყველაფერს პირადად ხომ ვერ შევამოწმებ?... გულწრფელად დავსტირი ურსულუსის დაღუპვას და ვწუხვარ, რომ არც დრომ და არც გარემომებამ საშუალება არ მომცა, პირადად განმეხილა მისი საქმე უთუოდ შევიწყალებდი გრიგოლს.. მე გადავწყვიტე, მთლიანად დავუბრუნო მის მემკვიდრეებს ყველაფერი, რაც ურსულუსს დარჩა...

ბრიგოლი. ჩვენი მბრძანებელი, რა ვალდებული ხარ შენი მოქმედების ანგარიშს მამარებდე? მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ამ ხმებმა თავზარი დასწრეს, ნაზიანზსა და კაპადოკიის დანარჩენ ქალაქებსაც. როგორ გადმოგცე, რანაუტი... შენს ქმედება მოახდინა ყოველივე ამან? მთელი ჩვენი შინაგანი უთანხმოება დაცხრა, შულღმა და დავამ უკან დაიხია თავს დატეხილი საერთო განსაცდელის წინაშე. ბევრი მერყევი წვერი საერთოდ ჩამოსცილდა ჩვენს ეკლესიას, მაგრამ დღემდე თითქოს გულგრილად განწყობილ ბევრ სულშიაც არნაბული ძალითა და ელვარებით გაბრწყინდა უფლის ნათელი. წარმართებმა... დიახ, ჩემო იმპერატორო, იმათ, ვისაც მე წარმართებს ვეძახი, თავი აიშვეს. გვემუქრებიან, შეურაცხვეყოფენ, გვდევენან...

იულიანე. ნაცვლისგება... ნაცვლისგება, გრიგოლი

ბრიგოლი. მე სულაც არ ვაპირებ დავიცვა ის, რაც თავიანთი შეტყობილი გულმოდგინების შედეგად ჩაიდინეს ჩემმა თანამორწმუნეებმა. მაგრამ შენ, ესოდენ განათლებულმა კაცმა, შენ, მთელი ქვეყნის მეუფემ და მბრძანებელმა არ უნდა დაუშვა, რომ ცოცხლებს აზღვევინებდნენ მიცვალებულთა ცოდვებს. მაგრამ სწორედ ასე მოხდა კაპადოკიაში, ქრისტიანობის მცირერიცხოვანმა მტრებმა, სიმდიდრის მოხვეჭისა და ახალი ხელისუფლების წინაშე თავის გამოჩენის სურვილით ანთებულეებმა, აშალეს და აამტუტეს როგორც ქალაქები, ისე სასოფლო თემებიც.

არ მინდა თავი შეგაწყინო იმ საზარელ ძალადობათა აღწერით, რომელთა მსხვერპლნიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხდებით, და არც სამართლის დარღვევისა თუ კანონიერი ქონების ხელყოფის შემთხვევათა ჩამოთვლით, რომელითა რიცხვიც წარმოუდგენელი სისწრაფით მატულობს ამ ბოლო დროს. მეც და ჩვენი ძმობის ღირსეულ წევრთაც ყველაზე მეტად გვაწუხებებს ის საფრთხე, რაც ემუქრება სულს. ბევრი ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრებულა მტკიცედ რწმენის წიაღში; ბევრს ჯერ კიდევ არ შეხწევს იმის ძალა, რომ ზურგი აქციოს ამქვეყნიურ სიკეთეთა ხიბლს. სასტიკმა დევნამ, რასაც განიცდის უკლებლივ ყველა, ვისაც ქრისტიანის სახელი მქვია, უკვე გამოიწვია ქეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომის არა ერთი და ორი შემთხვევა. ეს აშკარა ძარცვაა, ხელმწიფეო, სულელების მოტაცება დვთის საუფლოდან!

იულიანე. ო, ჩემო ბრძენო გრიგოლ, შენგან არ მიკვირს? განა როგორც ქეშმარიტ გალილეველს, ზირიქით, არ უნდა ვიხაროდეს ის, რომ თქვენი ძმობა თავიდან იშორებს ამნაირ ზალხს?

ბრიგოლი. მე სხვა აზრისა ვარ, მოწყალეო იმპერატორო, მე თვითონ გამომიცდია ეს თვითონვე ვიყავი გულგრილად განწყობილი სარწმუნოების მიმართ და თვითეულ მათგანს ისე ვუუუბრებ, როგორც ავადმყოფს, რომელიც ჯერ კიდევ შეიძლება განიკურნოს, სანამ ეკლესიის წიაღში რჩება. ასევე ფიქრობს ჩვენი პატარა სამწყსოც ნაზიანზში. დამწუხრებული დები და ძმები ერთად შეიკრიბნენ, რათა მოეთათბირებინათ, რითი უშველათ ამ უბედურებისათვის. ჩვენ შემოგვიერთდნენ კენსარიისა და სხვა ქალაქების ეკლესიათაგან წარმოგზავნილნიც. მამაჩემი მოხუცია და — როგორც თვითონვე აღიარებს დიდი მწუხარებით, — არ გაჩნია სულის ის ურყევი სიმტკიცე, რასაც ამ ძნელბედობის უამს ვითარება მოითხოვს იმისგან, ვისაც უჭირავს ეპისკოპოსის ადგილი. სწორედ მაშინ დაადგინა სათათბირომ ახალგაზრდა მორწმუნე აერჩიათ მის თანაშემწედ, რომელიც უკეთ მიხედავდა უფლის სამწყსოს. არჩევანი ჩემზე შეჩერდა.

იულიანე. ა...


ბრიგოლი. თვითონ მე იმხანად ქალაქში არ ვიყავი, საქმეზე გახლდით წასული. და ამ მამაჩემმა დაუხწრებლად, ისე, რომ ჩემი თანხმობაც არ უკითხავს, მღვდლად მაკურთხა და სამღვდლო შესამოსელიც გამომიგზავნა...

ნაზიანზიდან გამოგზავნილმა მაცნეებმა ტიბერენეში — ჩემს მამულში ჩამომისწრეს, სადაც მდენიმე დღე გავატარე ჩემს ძმასთან კენსარიოსთან და ჩემი სიყრმის მეგობართან — ბასილ კენსარიელთან ერთად.

ღმერთო ჩემო, სასიკვდილო განაჩენიც კი ვერ გამოგნებდა და შემამრწუნებდა ამ ამბავზე უფრო მეტად.

მღვდლად გაკურთხესო? კიდევ მინდოდა და არც მინდოდა ეს. ვალად შედო და ვერ გამებედა. მე ვებრძოდი უფალს, როგორც ებრძოდა მას პატრიარქი ძველი აღთქმისა. არ ვი-

ცი, რა დამემართა პირველ ღამეს: მხოლოდ ის მახსოვს, რომ მამლის ყვილამდე პირის-პირ ვესაუბრებოდი ჰვარცმულს. და მე დავემორჩილე მის ნებას.

იულიანე. სიშლეგე, სიშლეგე! ვიცო, რა უასიცა აქვს ამ თქვენს 'მანებებს!' 

ბრიგოლი. უკან დაბრუნებისას კესარეაში გამოვიარე. ო, რა გაუბედურებული დამიხვდა იგი ქალაქი სავსე იყო ახლომახლო სოფლებიდან გამოქცეულთა ბრბოებით, ქრტილებსაც თავიანთი სახლ-კარი მიეტოვებინათ, ვინაიდან ამ ზაფხულს არნახულმა გვადღეს! ქრტილებსაც გადაბუგა პურის უანები, გაახმო ვენახები და ზეთისხილის ქალები. და აი, დამშეულმა სოფლელებმა, შიშლილით სიკვდილისაგან რომ გადაერჩინათ თავი, შემწეობის სათხოვნად მოაშურეს მათზე არანაკლებ დამშეულ მოქალაქეებს. ქალები, კაცები, ბავშვები შიშველ მიწაზე ეუარნენ სახლების ძირას, კედლებისა და გალავნების გასწვრივ. ციებ-ცხელება უხუთავდათ სხეულს, მუცლის გვრემით იკრუნჩხებოდნენ მშიერ-მწყურვალნი. რა შემწეობა უნდა აღმოეჩინა მათთვის კესარეას, თავადაც გაუბედურებულსა და გალატაკებულ ქალაქს, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაზვიინულიყო ორი წლის წინათ განადგურებული, მიწისძვრის შედეგად დაქცეულ ნაგებობათა ნანგრევები? და თითქოს მთელი ეს უბედურება — სულასშემხუთველი სიცხე, გვალვა, გამუდმებული მიწისძვრები საკმარისი არ იყო, დღედაღამ უნდა გვეცქირა, როგორ სწირავდნენ ურწმუნონი სისხლიან მსხვერპლს თავიანთი ღმერთებს. მდინარეებად დიოდა სამსხვერპლო ზვარაკის სისხლი, ხოლო ოინბაზები და მეძავები შლეგური როკვით დაქროდნენ და თავიანთი ღრიანცელით აყრუებდნენ ქალაქის ქუჩებს.

ხელმწიფეო... რა გასაკვირია, რომ სასტიკ განსაცდელში ჩაცვენილი და თავსდატეხილი უბედურებით შეძრწუნებული ჩემი ერთმორწმუნე ძმების თვალში ეს იყო ნამდვილი ღვთის რისხვა, ჩვენს დასასჯელად მოვლენილი იმის გამო, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვითმენდით ჩვენ შორის საშინელ ცრურწმენას მთელი მისი ამაზრუნეი გამოვლინებით...

იულიანე. მაინც რა გამოვლინებას გულისხმობ?

ბრიგოლი. ცას უწევდა შეძრწუნებულ სულთა ყვირილი, ციებ-ცხელების მძვინვარებით სასიკვდილოდ განწირულთა გმინვა, წუველა-კრულვა, მოთქმა-გოდება. უბედურნი ერთხმად მოითხოვდნენ, რომ ქალაქის უხუცესთ აშკარად დაემოწმებინათ ქრისტესათვის თავიანთი რწმენა და გულმოდგინება. მიწასთან გაესწორებინათ ის, რაც კესარეაში ჰერ კიდევ მოწმობდა წარმართობის ოდინდელ ძალმოსილებას.

იულიანე. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ...

ბრიგოლი. უხუცესებმა თათბირი მოიწვიეს, რომელსაც მეც ვესწრებოდი. როგორც მოგახსენება, მოწყალეო იმპერატორო, ყველა ტაძარი ქალაქის საკუთრებაა. მაშასადამე, მოქალაქეებს უფლება აქვთ, როგორც თვითონ მოებრიანებათ, ისე მოექცნენ მას.

იულიანე. ასეც რომ იყოს, მერე რა?..

ბრიგოლი. ამ ორი წლის წინათ გამანადგურებელმა მიწისძვრამ ყველა ტაძარი დააქცია კესარეაში, გარდა ერთისა...

იულიანე. დიახ, დიახ, ფორტუნას ტაძარი გადარჩა.

ბრიგოლი. თათბირზე, რომელზედაც მე მოგახსენებ, სამწყსომ გადაწყვიტა ბოლომდე მიეყვანა უფლის მსახვრალი მარჯვენის საქმე იმის დასტურად, რომ თავის თავს მთლიანად ანდობს მხოლოდ უფლის გულმოსწყალებას და ამიერიდან აღარ შეიწყნარებს არავითარ საცთურს თავის წიაღში.

იულიანე (პრისხინებისაგან ჩაბრინწული ხმით). გრიგოლე... ჩემო ყოფილო მეგობარო... თავი ხომ არ მოგძულდება?..

ბრიგოლი. სამწყსომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც პირადად მე არ ვეთანხმები, მაგრამ რომელსაც ხმა მისცა თითქმის ყველამ. მაგრამ რაკილა ვშიშობდით, რომ ამ ამბავს შეიძლება დამახინჯებული სახით მოედწია შენს უურამდე და იქნებ შენი რისხვაც გამოეწვია ქალაქის მიმართ, ამიტომ დავადგინეთ, კაცი გვეახლებინა შენთვის და მისი პირით გვეცნობებინა, რანაირი გადაწყვეტილება მივიღეთ და რის ქმნას ვაპირებთ ახლა, ჩვენო ცათასწორო მბრძანებელო... ვერავინ ვერ გაბედა ამ დავალების შესრულება, ამიტომ იძულებული გავხდით ისევ მე მეკისრა. აი, რატომ ვდგავარ აქ, შენ წინაშე ქედმოდრეკილი, და გაუწყებ, ჩემო ხელმწიფევ, რომ ჩვენ, კესარიელმა ქრისტიანებმა, გადავწყვიტეთ დავანგრიოთ და მიწასთან გავანწოროთ ტაძარი, რომელშიაც წარმართები მსხვერპლს სწირავდნენ და თავყანს სცემდნენ ცრუ ღვთაებას, ფორტუნად სახელდებულს.

იულიანე (წამოიჭრება). და მე... მე უნდა ვისმენდე ამას? აი, ხომ ხედავთ, გამოჩნდა კაცი, რომელიც ისე გაკადრნიერდა, რომ სახეში მომახალა მთელი ეს სიბილწე და უკეთურება!

პანრიკ იბსენი, რიტორიკი და კომედიანი, ო, ჩვენს დღისმოსავლელ იმპერატორს, ნუ მოითმენ ამ მკრებელობას, დასაჭე ეს თავხედის!

იპიპოლიტისი. თავის ჭკუაზე აღარაა, ჩემო ხელმწიფევ. გაუშვი, თავისი გზით წავიდეს; ხომ ხედავ, გიჟივით აბრიალებს თავლებს.

იულიანო. მართლაცდა გიჟის მეტი ვინ გაბედავდა ამას? თუმცა ეს მეტიც, ვინემ სიგიჟე-დიდი ქალღმერთის სახელზე აგებული ტაძარი დავანგრიოთოქ... [განა სწორედ ამ ქალღმერთის მოწყალებას არ ვუმაღლი ყველა ჩემს გამარჯვებას...] განცვიფრებით ლაპარაკობენ თვით ჭვენიერების დასალიერს მცხოვრები ხალხები? ამნაირი მკრებელობის ნება რომ მივცე ხალხს, გამარჯვებისა თუ წარმატების რაღა იმედი უნდა მქონდეს? გრიგოლ, გიბრძანებ კესარეას დაბრუნდეს და მოქალაქეებს აუწყოს, რომ მე სასტიკად ვუკრძალავ მათ ამ უკეთურ საქმეს.

ბრიგოლი. ეს შეუძლებელია, ჩემო ხელმწიფევ! საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენ ორ ცეცხლშია ვიწვით; ერთი მხრივ, შიში აღამიანისა, მეორე მხრივ კი — ღმრთის წინაშე. ასე რომ, ორში ერთი უნდა ვირჩიოთ, და ჩვენი არჩევანი ურყევი გახლავს, ხელმწიფევ.

იულიანო. მაშინ თქვენ საკუთარ თავზე იწვნევთ, სანამდის უწევს კეისრის ძალმოსილება!

ბრიგოლი. კეისრის ძალმოსილება უსაზღვროა მიწიერ საქმეთა გადაწყვეტისას, და მე, ისევე როგორც სხვები, მთელი არსებით ვძრწი მის წინაშე!

იულიანო. მაშინ საქმით მიჩვენე ეგ!.. თქვენ, გალილეველებს, ჩემი დიდსულოვნების იმედი გაქვთ! ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ფუჰია და ამო ეგ თქვენი იმედი...

შემოსასვლელიდან ხმაური ისმის; დალაქი ევნაპიოსი რამდენიმე მოქალაქის თანხლებით შემოგარდება ატრიუმში.

რა მოხდა? ეგ რა დაგმართნია, ევნაპიოს?

ევნაპიოსი. ნეტა თვალი დამვსებოდა და ეს არ მენახა!

იულიანო მაინც რა?

ევნაპიოსი. შემომხედე, ჩემო მოწყალებო იმპერატორო, მე მოვდივარ შენთან ნაცემ-ნავეში, თავ-პირ დასისხლიანებული და მაინც ბედნიერი იმის შეგნებით, რომ პირველი მოვუხმობ შენს მეფურ რისხვას...

იულიანო, მითხარი, ვინ გცემა?

ევნაპიოსი. ნება მიბოძე, ხელმწიფეო, ჩემი საჩივარი მოგახსენო, ღღეს დილაუთენია ქალაქგარეთ გავედი იმ მიწნით, რომ აფროდიტეს პატარა ტაძარს ვწვეოდი, რომელიც ამას წინათ აღადგენინე. ტაძარს რომ მივუახლოვდი, სიმღერისა და ხაკრავების ხმა შემომესმა. ტაძრის წინ მომხიბლავ ქალიშვილებს ფერხული ჩაებათ, ხოლო თვით ტაძარი საზეიმოდ მორთულ-მოკაშმული ბრბოთი იყო სავსე; ყველანი მისჩერებოდნენ ქურუმებს, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ შენი ბრძანებით.

იულიანო. დიახ, დიახ, მერე?

ევნაპიოსი. აზრის მოკრეფაც ვერ მოვასწარი, რათა ამ მომხიბლავი და ჩემთვის ყველაზე მეტად სათაყვანებელი ქალღმერთის მიმართ მომექცია იგი, რომ ტაძარში გააფრთხილები ქაბუკების ბრბო შემოიქრა.

იულიანო. გალილეველები ხომ არ იყვნენ?..

ევნაპიოსი. დიახ, ხელმწიფეო, გალილეველები.

იულიანო. ა!..

ევნაპიოსი. მტრისას, ჩვენ რომ დღე დაგვაწიეს! ლანძღვა-გინებითა და ჯობების ცემით დაფეოებული ქალიშვილები წივილ-კივილით შემოცვივდნენ ტაძარში და — გვიშველითო, შემოგვტირეს. მაშინ გალილეველები ჩვენც დაგვერივნენ, ჭერ უშვერი სიტყვებით გვაგინეს და მერე იმდენი გვირტყეს, რომ სიგრძე სიგანედ გვიქციეს.

იულიანო (დაბლა ჩამოდის). დამაცათ! დამაცათ!

ევნაპიოსი. ჩვენი თავი კიდევ ჭანდაბას, მარტო ჩვენს ცემას რომ დასჯერებოდნენ ეს არამზადები! დიახ, მოწყალებო ხელმწიფევ... მოკლედ რომ ვთქვა, სამსხვერპლო გადააყირავეს, ქალღმერთის ქანდაკება ნამსხვერვებად აქციეს, ხოლო სამსხვერპლო ზვარაკის შიგანი ძაღლებს მიუგდეს სათქვლევად.

იულიანო (გაცოფებული ბოლთასა სცემს). დამაცათ, მე თქვენ გაჩვენებთ!..

ბრიგოლი. ჩემო ხელმწიფევ, მარტო ამ ერთი კაცის სიტყვას ნუ დაუჭერებ...

იულიანო, ჩუმადი (ევნაპიოსს.) ერთი ავაზაკი მაინც ვერ იცანი?

ევნაპიოსი. ვერა, მწყალობელო, მაგრამ აი, ამ მოქალაქეებმა ზოგიერთი მათგანი იცნეს.

იულიანო. წაიყვანეთ ქარისკაცები, შეიპყროთ ყველა არამზადა, რამდენსაც მოიხუ-

თებთ, და დილეგში ჩაყარეთ. დაქერილები დანარჩენებს გასთქვამენ, ხოლო როცა ყველას ხელში ჩავიგდებ...

ბრიგოლი. მაშინ რა, ჩემო ხელმწიფევე?...
იშლიანი. ეგ ქალათს მკითხე. შენცა და კესარიელი მოქალაქეებიც გაიგებთ მაშინ, რა

დღე გელით, თუკი თქვენს ქრისტიანულ სიკერებს არ მოიშლით და განწრახულზე ხელს არ აიღებთ. (გაალმასებულად გადის ხელმარცხნივ.)

მენაპროსი და მისი თანამხლებნი ჯარისკაცებთან ერთად გადიან. დანარჩენები იშლებიან.

ანტიოქიის ერთ-ერთი მოედანი. სიღრმეში, ხელმარცხნივ, მოედანს ქუჩა უერთდება, ხელმარცხნივ ვიწრო და ირიბი ჩიხი მოჩანს.

მოედანზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი, მეწვრილმანები ხმამაღლა იწვევენ მუშტრებს. ხალხი აქა-იქ ჩგუფ-ჩგუფად შექუჩებულა და გაცხარებით მსჯელობენ რაღაცაზე.

ერთ-ერთი მოძალაძე. მამაზეციერო, შენ შეგვეწიე! როდის მოხდა ეს უბედურება? მითრე მოძალაძე. დღეს დილით-მეთქი, განთიადისას.

მღვდანი ფოკიონი (მარჯვენა ქუჩით ჩამოდის). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, განა ამას უბედურება ეთქმის? ეს ხომ აშკარა დანაშაულია, ყოვლად თავხედური დანაშაული.

მით-ერთი მოძალაძე. დიახ, დიახ, მართალს ბრძანებ, თავხედობაა, აბა რა?

ფოკიონი. წარმოგიდგენიათ?.. ესე იგი, აფროდიტეს ტაძარს დაესხნენ თავს?.. დაუკვირდით, სწორედ იმ დროს, როცა თვით იმპერატორი ქალაქში იმყოფება!.. თანაც მაინცდამაინც დღევანდელ დღეს...

მესამე მოძალაძე (მოსაუბრეებს უახლოვდება) ერთი ეს მითხარით, კეთილშობილო უცხოელებო, რა ხდება აქ?..

ფოკიონი. ჰო, იმას გეუბნებოდით, რაღა მაინცდამაინც დღეს-მეთქი, როცა თვით ჩვენი ძლიერმოხილი მბრძანებელი აპირებს ქურუმს შეენაცვლოს და მსხვერპლი შესწიროს აპოლონს...

მესამე მოძალაძე. დიახ, დიახ, ეგ ვიცი, მაგრამ ქრისტიანებს რატომღა ჰყრიან დილეგში?

ფოკიონი. რაო, დილეგში ჰყრიანო? მართლა? უკვე დაიჭირეს?

მესამე მოძალაძე. უეცრად საშინელი კივილი შესძრავს იქაურობას.

სსუ... რა ამბავია?.. აა, ღმერთმანი, ქრისტიანები მოჰყავთ!

მამაგაწეწილი, სიმწრით შეშლილი დედამბერი სირბილით გადმოსტრის მოედანს და ბრბოში გზის გაკაფვას ცდილობს, უკან ქალები მოსდევენ და ამოდ ცდილობენ შეაჩერონ.

დედამბერი. გამიშვით! მის მერტი ვინა მყავს? სიბერეში მაჩუქა ღმერთმა! გამიშვით, გამიშვით, ღმერთი არა გწამთ? მითხარით, ხალხო, სად შეიძლება იმპერატორის ნახვა?

ფოკიონი. რა საქმე გაქვს, დედი, იმპერატორთან?

დედამბერი. იქნება შეილი დამიბრუნოს! მიშველეთ! შვილო!.. ილარიონს წამართვეს, მკვრიდან მომგლიჯეს! სახლში შემომივარდნენ და წაიყვანეს!

ერთ-ერთი მოძალაძე (ფოკიონს). ვინა ეს ქალი?

ფოკიონი. პირველად ხედავ თუ რა?.. ქვრივ პუბლიას ვინ არ იცნობს, მეფსალმუნეს?

მოძალაძე. აა, ჰო, მართლა!

პუბლია. შვილო ილარიონ! რას გიპირებენ, რას?! ო, ფოკიონს ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, ძლივს ერთი ქრისტიანი არა ვნახე?..

ფოკიონი. სსუ... ჩუმადი! რა გაყვირებს? იმპერატორი მობრძანდება!

პუბლია. წყუელიმც იყოს ეს ჩვენი უღმერთო იმპერატორი! ღმერთი გვსჯის, ღმერთი, ჩვენი ცოდვებისათვის: შიმშილი მუსრს ავლებს ხალხს, ფეხქვეშ მიწა გვეცლება ცოდვილთ! ქუჩიდან ხელმარცხნივ შემოდის ჯარისკაცთა რაზმი.

რაზმის მეთაური. ბეი, გზა, გზა! ჩამოგვეცალეთ!

პუბლია. წამომყე, ჩემო ძვირფასო ფოკიონს! დვთის გულისათვის, მიშველე, დამეხმარე!

ფოკიონი. ხომ არ გაგიჟდი, ქალო? ვინა ხარ? რა შენი ნაცნობი მნახე?

პუბლია. რაო, რა შენი ნაცნობი მნახეო? კი მაგრამ, ფოკიონი არა ხარ?

ფოკიონი. ფოკიონი არა!.. შენს ტყუაზე ხარ? რას გადამეკიდე, ქალო? აკი გითხარი, არ იცნობ-მეთქი? პირველად გხედავ... (თავს შერგავს ბრბოში.)

ანისტაძი (ჯარისკაცებთან ერთად, ხელმარცხნივ). გზა, გზა დაგვიცალეთ!

ჯარისკაცები სახლებსკენ მიერეკებიან ხალხს. პუბლიას გული მიხდის, გარშემომყოფი ქალები ხელში აიტაცებენ. ყველა დაძაბული მოლოდინით მისჩერებია ქუჩას.

ფოკიონი (ბრბოში, ხელმარჯვნივ მდგარი ჭარისკაცების უკან). ვფიცავ მზის ღმერთს, აი, ისიც, ჩვენი ძღვევამოსილი მბრძანებელი!

ერთ-ერთი ჯარისკაცი. ნელა, რას გვაწვებით?

ფოკიონი. ხედავთ აგერ იმ კაცს, შუბლზე თეთრი სახვევი რომ აქვს გაკრული? სწორედ ის გახლავთ იმპერატორი!

ერთ-ერთი მოძალაძე. აი, ეს თეთრსამოსიანი?

ფოკიონი. დიახ, დიახ, სწორედ ის.

მოძალაძე. ასე თხემით ტერფამდე თეთრი ტანსაცმელი რატომ აცვია?

ფოკიონი. ალბათ სიცხის გამო... თუმცა არა, მოიცა... ჰო, მართლა, დღეს ქურუმის მაგივრობა უნდა გასწიოს.

მეორე მოძალაძე. ნუთუ თვითონ შესწირავს მსხვერპლს?

ფოკიონი. იმპერატორი იულიანე უველაფერს თვითონ აკეთებს.

მესამე მოძალაძე. ვარეგნულად განსვენებული იმპერატორი უფრო წარმოსადეგი იყო.

ფოკიონი. კი მაგრამ, მაინც... იულიანე არც ისე მაღალია, როგორც მისი წინამორბედი, სამაგიეროდ, ხელები აქვს უფრო გრძელი. ახლა გამოხედვას ადარ იკითხავთ? — ო, მეგობრებო! მაგრამ ამჯერად რას დაინახავთ? ისე მოწინებით მოაბიჯებს თავდახრილი და ქედმოძრეკილი, სიქველით და სათნოებით ხომ... დამერწმუნეთა ქალებს ზედაც არ უყურებს! თამამად შეშიძლია დავიფიცო, რომ თავისი მეუღლის სიკვდილის შემდეგ არც ისე ხშირად... ერთს კი გეტყვით: ღამეებს თეთრად ათენებს, — სულ წერს. ამიტომაცაა, რომ თითები ერთთავად მელანში აქვს ამოვლებული კაი მღვდლისთვის. რაღა ეგ და რაღა მე: მღვდელი გახლავართ. დამერწმუნეთ, ბევრზე უკეთ ვიცნობ იმპერატორს, წარმოსობით აქაური ვარ, მაგრამ თხუთმეტი წელი კონსტანტინოპოლში გავატარე და მხოლოდ ახლახან...

ერთ-ერთი მოძალაძე. მართალია, რომ ამბობენ, იმპერატორი ჩვენს ქალაქში აპირებს დარჩენასო?

ფოკიონი. იმპერატორის დალაქი ჩემი ძმაცაა, მან მითხრა, მართალიაო, ამ არამზადების თავხედობაშ თუ არ გააცოფა...

მოძალაძე. ღმერთმა ნუ ქნას!

მეორე-მოძალაძე. აქ თუ დარჩა, ჩვენთვისაც ხეირია.

ფოკიონი. მეც მაგისი იმედი მაქვს, ამიტომაც ავიკარი გუდა-ნაბადი და აქ გადმოვბარგდი. ახლა კი, ჩემო მეგობრებო, ვისაც როგორ შეგვიძლია, ცდას ნუ დავაკლებთ, რომ თავი გამოვიჩინოთ, როცა იმპერატორი გვერდით ჩავვივლის, რაც შეიძლება ხმამაღლა მივესალმოთ და ხოტბა შევასხათ მასაც და აპოლონსაც.

ერთ-ერთი მოძალაძე (მეორეს). თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინაა ეს აპოლონი, რომელზედაც ამ ბოლო ხანს ამდენს ლაპარაკობენ?

მეორე მოძალაძე. ვინაა და ის კორინთელი მღვდელი, რომელიც რწყავდა იმას, რაც დარგო წმიდა პავლემ.

პირველი მოძალაძე. უყურე შენ! ჰო, თითქოს რაღაც ამგვარი მახსენდება...

ფოკიონი. როგორ გკადრებათ? ეგ აპოლონი კი არ არის, არამედ სულ სხვა, — მეფე-მზე, ღვთაებრივი მელირე, ღიადი აპოლონი!

მეორე მოძალაძე, აბ, აი, თურმე რომელი აპოლონი უოფილა! კეთილი, ეს არა სჯობია?

ფოკიონი. ჩემი აზრით... შეხედეთ, მოდის, ო, ჩვენო ღვთივეურაზნულო მბრძანებელო!

ხელმარჯვნივ გამოჩნდება მსვლელობა, რომელსაც წინ ავლენტისტები და ბრფინატიები მოუძღვიან, მათ მოსდევს ქურუმთუხუცესის სამოსით მოსილი და მურუმბიტი და ტაძრის მსახურებით გარშემორტყმული იმპერატორი იულიანე. სულ ბოლოს მოდიან კარისბატები და სწავლულები, რომელთა შორისაა მანიკოლიუსიც. მსვლელობას უკან მოსდევს ხალხის ბრბო. ჯარისკაცები და კალაძის მცველნი გრძელი გონების ტრიალით გზას უთავისუფლებენ მომავალთ.

მოედანში თავშეპრილი ბრბო. დიდება იმპერატორს! დიდება იულიანეს! ჩვენს მწყალობელს, სწორუპოვარ გმირს!

ფოკიონი. დიდება იულიანეს და მეფე-მზეს! დიდება! აპოლონს!

იულიანე ხელით ანიშნებს და მსვლელობა ჩერდება.

იულიანე. ანტიოქიელი მოქალაქეო! ასე სახელდახელოდ გამიჭრიდება იმის თქმა, თუ როგორ ახარებს ჩემს გულს ეს თქვენი აღტაცებული ყიფინი, მოწონების შეძახილები და მოსალმება. ვინაიდან ჩემს გულს ჭეშმარიტად სწყუროდა ეს.

დაუმუცნებელი ჩავუდები სათავეში ამ მსვლელობას, რომელიც სიბარულისა და სულის



წეობის მსვლელობა უნდა ყოფილიყო. დიან, არ დაგიშლიათ, რომ ამ დილას ლამის დავკარგე სულის ის წონასწორობა, რომელსაც ბედისწერის გამუდმებულ ტრილსა და ცვალებადობაში უცვლელად უნდა ინარჩუნებდეს ფილოსოფოსის სული.

მაგრამ ვინ გახედავს და დამგმობს ამის გამო? თავად განსაჯეთ, რამდენ სასწარმელ რასმე იზრანავენ ზოგ-ზოგიერთნი და დღეს სცადეს ბორცვი კი შეესხათ თავიანთი განზრახვებით კუბლია. მბრძანებელი..

ფოკიონი, ო, ჩვენო ღვთისმოსავო და მართლად გამრიგე იმპერატორო, გასულნი

კუბლია. მბრძანებელი, დამიბრუნე ჩემი ილარიონი!

ფოკიონი. ყველა ღირსეული მოქალაქე შეპატივდება შენს მოწყალებას!

იულიანო. მოწყალება ღმერთებსა სთხოვეთ, მაშინ მოხვევით ჩემს წყალობასაც! და განასწორედ ანტიოქიას არ მართებს ამ მხრივ მაგალითი უჩვენოს ყველას? განა მეფე-მწემ გამოჩენული სიყვარულით არ შეიყვარა ეს ქალაქი? ჰკითხეთ იმ ხალხს, მთელი ქვეყანა რომ შემოუვლია, და დარწმუნდებით, რა შავადაა საქმე ზოგ ადგილას, რამდენი ძველთუძველესი ტაძრის დანგრევა მოასწრეს თავიანთი ცთომილებით ცნობამიხდელმა ქრისტიანებმა! მხოლოდ აქა-იქა შემორჩა ოდინდელი დიდების ორიოდ უბადრუკი ნაშთი; ყველაზე დიდებული ტაძრები კი მიწის პირთან იქნა გასწორებული.

მაგრამ აქ, ანტიოქიელო მოქალაქენო?.. ღმერთმანი, თვალზე სიბარულის ცრემლი მომადგა, როცა პირველად ვიხილე ეს სწორუპოვარი ტაძარი, აპოლონის ღვთაებრივი სავანე და სახლი, რომლის შემყურესაც ის უფრო ხელთუქმნელი ეგონება, ვიდრე ადამიანის ხელით შექმნილი. განა შიგ კვლავინდებურად არა დგას სხივცისკროვანის უბადლო ქანდაკება მთელი თავისი ოდინდელი სიდიადით და ბრწყინვალეობით? ფრჩხილის ჩამოტეხვაც, საკურთხევლის გადაყრავებაც კი ვერ გაუბედნიათ ბოროტმოქმედთ, არც ერთი ბზარი არ ატყვია ნატიფსა და ქათქათა სვეტებს.

როცა ამაზე ვფიქრობ... როცა ამ საკრავსა ვგრძნობ ჩემს შუბლზე... როცა დავხედავ ამ ხამოსს, რომელიც ჩემთვის თვით პორფირზეც უფრო ძვირფასია, — უჩვეულო ერუანტელი მივლის ტანში და მთელი არსებით ვგრძნობ ღვთაების სიახლოვეს.

შეხედეთ, შეხედეთ, ნათლის ჩქერალი გვეღვრება თავს, უფლის დიდებით და ძალმოსილებით!

დასტებით, — მადრი სავსეა უნაზეს გვირგვინთა სურნელით! ჩვენო ღვთიერებულთხეულო მიწავ; სიცოცხლისა და სინათლის, სიბარულისა და ბედნიერების, სილამაზისა და მშვენიერების დიდო სავანევ, რაც იყავი, კვლავ იგივე ხარ! მეფე-მწემს ხვეწნა-აღერხით მოთენთილი და დაბანგული მითრ! მითრ!

წინ, მეგობრებო, წინ!

მსვლელობა გზას განაგრძობს ბრბო, აღტაცებულ ყიფინში, მაგრამ ეიდრე ჩიხში შეუხვევდება. მოულოდნელი დაბრკოლების გამო ჩერდება, ვინაიდან მის საპირისპიროდ მოემართება მეორე მსვლელობა.

იულიანო, რატომ შევჩერდით?

ეპიფოლიუსი. მოწყალო ხელმწიფევ, ქუჩაში რაღაც უცნაური ანბავი ხდება!

ბუნდი (მორიდან).

დასტრგუნეთ, ძმანო, სიკვდილის შიში, სულის გულისთვის ბორცის მძლეველნი მიწისთვის მოკვდით, ზეცისთვის იშვით, რომ დაიმკვიდროთ სასუფეველი!

ფოკიონი ვალიშეველები, ხელმწიფეო! დაუქერიათ!..

კუბლია. ილარიონ!

ფოკიონი. დაუქერიათ! ბორცილების ჩხარუნი მესმის!..

იულიანო. გვერდი ავუქციოთ!..

მენაპიონი (აქრმინებული მოკვლევს გზას ბრბოში). რა ბედი გვეწვია, ხელმწიფეო, რა ბედი!

იულიანო. ვინ არიან ეს უტიფარნი?..

მენაპიონი. ზოგიერთი აქაურია, მაგრამ უმეტესწილად, როგორც ამბობენ, კაპადოკიელები უნდა იყვნენ.

იულიანო. თვალთ არ დამანახოთ! წინ-მეთქი, მე ვბრძანე!

ბუნდი (უფრო აბლოს).

მიწისთვის მოკვდი, ზეცისთვის იშვით,
რომ დაიმკვიდროთ სასუფეველი!

იულიანო. უგუნურები!.. ახლოს არ მომეკაროთ!.. რას უყურებენ მცველები?
არეულ-დარეულობაში ორივე პროცესია ერთმანეთს შეეჯახება და აპოლონი მსვლელობა
იძულებულია შეჩერდეს, მაშინ როდესაც ბორკილდადებული და მცველებით / გარშემორტყ-
მული ქრისტიანები კვლავ მიიწევენ წინ, უზარმაზარი ბრბოს თანხლები

პუბლია. შეილო! ილარიონ!
ილარიონი (ბორკილდადებულ ქრისტიანებს შორის). გიხაროდეს, დედა, გიხაროდეს!
იულიანო. რამ გაგაგიჟათ, თქვე უბედურებო? როდესაც მესმის, რომ თვით სიგიჟე და-
დადებს თქვენი პირით, ღმერთმანი, ეჭვი შეპარება, მაქვს თუ არა იმის უფლება, რომ დაგსა-
გოთ!

ერთ-ერთი ქრისტიანი. განვიდ, ნუ წაგვართმევ ცულის გვირგვინს!
იულიანო. ვინაა ეს პადესის კერძი?
მცველთა რაზმის მეთაური. აი, ეს, ხელმწიფეო! ამან დიდახა! (ბორკილდადებული
ქრისტიანების ბრბოდან გამოათრევს ერთ ყმაწვილკაცს, რომელსაც პატარა ბიჭისთვის ჩაუჭი-
და ხელი.)

იულიანო (შეპყვირებს). აგათონს!
აგათონი უსიტყვოდ უცქერის.
აგათონს აგათონს ხმა ამოიდევ: აგათონი არა ხარ?

აბათონი. დიახ.
იულიანო. შენც ამათთანა ხარ? ამათთან?.. თქვი!
აბათონი. მე შენ არ გიცნობ.
იულიანო. არ მიცნობ? არც ის იცი, ვინა ვარ?
აბათონი. მე ვიცი, რომ შენა ხარ მიწიერი მეუფე და ამიტომაც არა მსურს შენი ცნობა.
იულიანო. ეს ბიჭი?... შენი უმცროსი ძმია? (მცველთა რაზმის უფროსს.) ეს კაცი უდა-
ნაშაულო უნდა იყოს.

მგნაკიონი. ჩემო ხელმწიფეო, სწორედ ეს კაცია ამათი მეთაური. აღიარა და, შენ წარ-
მოიდგინე. კიდევაც ამაუობდა თავისი ბოროტმოქმედებით.

იულიანო. აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს კაცი შიმშილმა, სნეულებამ, უბედურებამ!
(ქრისტიანებს.) მხოლოდ ერთ სიტყვას გთხოვთ: თქვით, რომ ნანობთ, და ნურაფრის შიში
ნუღარ გეჭნებათ.

პუბლია (უყვირის). არ გაბედო, ილარიონ!
აბათონი. მტკიცედ დეგ, ძმაო!
პუბლია. წადი, წადი, მის წიადს მიჰმართე, ვინც მიგელის, ჩემო სიცოცხლეო, ჩემო ერ-
თადერთო!

იულიანო. დანარჩენები მაინც დაფიქრდით!
აბათონი (ქრისტიანებს). ამოიჩიეთ: იესო თუ კეისარი?!
ქრისტიანები. დიდება უფალს მალაღთა შინა!

იულიანო. რა საშინელია გალილიველის ეს დამრთგუნველი ძალმოსილება! აუცილებლად
უნდა იძლიოს! შორს ჩემგან ეს უკეთურნი ისინი წამლავენ სიხარულს, აბნელებენ ღღის ნათ-
ელს თავიანთი ნუდმივი ჭმუნვითა და სიკვდილის დაუოკებელი წყურვილით... მუსიკოსებო,
მომღერლებო, კალებო, კაცებო, ჩაახშეთ მათი ხმა! იმღერეთ, ადიდეთ სიცოცხლე, სინათლე,
სიხარული!

აპოლონის მსვლელობა (მღერის).

ო, რა ტკბილია ნაზი სურნელი
ვარდის გვირგვინთა, ჩვენს შუბლს რომ ჰკოცნის!

ქრისტიანების გუნდი.
ტკბილია ტანჯვა განუკურნელი
და ნეტარება — სიკვდილი ხორცის!

აპოლონის მსვლელობა.
ო, რა ტკბილია მზის მცხუნვარება,
ცით სიხარულის სხივთა მთოველი!

ქრისტიანების გუნდი.
ტკბილია, ძმებო, ტანჯვა-წამებით
დაღვრილი სისხლის წვეთი ყოველი!

აკოლონის მსვლელობა.

ო, ნეტარებავ, ღამე ილევა,
ჩვენ კი კვლავ სატრფოს ბაგეს ვაკვლებით!

არისტინანების გუნდი.

საკუთარ სისხლში განბანილები
თოვლზედაც მეტად გავსპეტაკდებით!



ორივე პროცესია გვერდიგვერდ ჩაუვლის ერთმანეთს. მოედანზე გაოგნებულს აყოლებს თვალს ერთსაც და მეორესაც.

აკოლონის წმინდა ქალაქი. ხელმარცხნივ ხეებს შორის სვეტებიანი ტაძრის ბჭე მოჩანს. წესასვლელს ფართო კიბეები მიუყვება. ქალაქში დაფეთებული გარბი-გამორბიან და საწყალობლად ყვირიან ტაცები და ძაღვები. შორიდან საზეიმო მუსიკის ხმა ისმის; მსვლელობა ახლოვდება.

ძაღვი. გვიშველეთ! გვიშველეთ! მიწა ისევ იძრა!

ტაცი (თავზარდაცემული გარბის). ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! ჭეჭა-ჭუხილია თუ მიწა გუგუნებს ფეხქვეშ?

მეორე ტაცი. ვითომ?... შენ გგონია, მიწა იძრა?

ძაღვი. ვერ გაიგე? აგერ, ის ხე ისე შეირყა, გეგონებოდა, საცაა წაიქცევიაო.

ხმები. ჩუმაღ! ჩუმაღ!

დანარჩენები. მიწისძვრა და ჭეჭა-ჭუხილი კი არა, ეტლი მოგრიალეებს ქვებზე.

სტები. დაფდაფებს სცემენ! მუსიკის ხმა არ გესმით? იმპერატორი მობრძანდება!

მარჯვნიდან შემოდის აკოლონის პროცესია და მუსიკის ხმაზე ნახევარ წრედ ეწყობა ტაძრის წინ.

იულიანე (ტაძრისკენ ხელებგაწვდილი). ეს სასიკეთო ნიშანია... არასოდეს ასე უშუალოდ არ მიგრძვნიან ღმერთების სიახლოვე. თვით შორსმოისარი აკოლონია ჩვენ შორის. მიწა ირყევა მის ფეხქვეშ, როგორც ოდესღაც ფეხს სცემდა და აზანზარებდა ილიონის ნაპირს.

მაგრამ ახლა ჩვენზე როდის გრისხანებს შუბლშეჭმუხვნელი, არამედ — იმ უკეთურთა მიმართ, რომელთაც სძულთ ისიცა და მისი მზიური საუფლოც.

ღიახ, როგორც ურყევი ჭეშმარიტებაა ის, რომ არნახული ბედნიერებაცა და უბედურებაც მოკვდავთა მიმართ უკვდავ ღმერთთა კეთილგანწყობის უტყუარი საზომია, — ასევე აშკარაა განსხვავებაც ჩვენსა და გალილეელთა შორის.

სად არიან ახლა გალილეელები? ზოგი ქალათის ხელთაა, ზოგაც ვიწრო ქუჩებში მიმოიფანტა, შიშით თავზარდაცემული, გულგახეთქილი, ელდანაკრავი, შეპრწუნებული, ფერმიხდილი, სიკვდილივით გაფითრებული...

სადღა ვართ ჩვენ? აქ — დაფნეს ამ მომხიბლავ ქალაქში, სადაც დრიადების საამო ხუნთქვა გვიგრძობს შუბლს და ღირის ღვთაებრივი ბგერები გვიტკობს სმენას... ღიადი ღმერთის ხელთუქმნელი ტაძრის წინაშე... სინათლისა და სიხარულის საფანეში, ყოველგვარ საფრთხეს და განსაცდელს განრინებულნი. თვით უკვდავი ღვთაების გვერდით.

სადაა გალილეელთა ღმერთი? სადაა ხუროს ძე, სადაა ჭვარცმულა იუდეველი? თუ ღმერთია, გამოგვეცხადოს!.. არა, ვერ გაბედავს!

ამიტომაც ჩვენი ვალია შევიდეთ ამ წმიდა ტაძარში, ჩემი ხელით აღვასრულებ მოვალეობას, რომელსაც არამცთუ უღირსად და უბადრუკად ვსახავ, არამედ უვალა სხვა მოვალეობაზე უმალღესად და უპირატესად ვთვლი. (პროცესიის სათავეში ჩამდგარი ბრბოში მიიკვლევს გზას და ტაძრისკენ მიემართება).

ხმა (ბრბოდან). შეჩერდი, შე უღმერთო!

იულიანე. ჩვენ შორის ვიღაც გალილეელია!

იხივე ხმა. ფეხი არ გადადგა, ღვთისაგან განდგომილი!

იულიანე. ვინ არის?

ხმა (ბრბოდან). გალილეელი მღვდელია! უსინათლო ბერიკაცი!.. აი, ისიც!

ბრბოდან ხელის კვრით აგდებენ მღვდლისანაფორიან უსინათლო ბერიკაცს, რომელსაც მრჩეული ამოსდგომია მხარში; ჭაბუკებსაც ანაფორები აცვიათ.

იულიანე. ამას რას ვხედავ?... მითხარი, მითხარი, ბერიკაცო, მარიოხი ხომ არა ხარ, ქალკედონელი ეპისკოპოსი?

ბერიკაცი. ღიახ, ღიახ, უღირსი მსახური ჩვენი ეკლესიისა.

იულიანე. უღირსო, შენ ამბობ და მეც გეთანხმები. თუ შეხსიერება არ მალატობს,

ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვინც ყველაზე გულმოდგინედ თესავდა განხეთქილების თესვს თვით გალილეველთა შორის.

მარკოსი. მე ჩავდივარ იხ, რაც კიდევ უფრო მთრგუნავს და სინანულს სინდისის ქენჭნასთან ერთად დღედაღამ მიღრღნის სულს როდესაც ხელში აიღე ძალაუფლება და მე შევიტყვე, რასაც აპირებდი, ენითუთქმელმა შიშმა შემიპყრო შენ წინაშე. მიხრწნილი, სიკვდილად მიწურვილი და უსინათლო ბერიკაცი ფიქრშიაც ვერ აღვუდგებოდი, წინ ესოდენ ძლიეროსილ მბრძანებელს... და მე... ღმერთო, შემინდრე ცოდვილს! — უბატონოდ მივატოვე სამწყხოს, რომლის მწყემსადაც დამადგინა ჩემმა მეუფემ, უკანასკნელი სულმოკლესავით გავეჭეცი იმას, რაც დაღუპვას უქადდა; თვით უფლის სამწყხოს, და აქ, სირიაში, ჩემს მამულს შევაფარე თავი.

იულიანე. დიახ, დიახ, ღრიალ უცნაურია! შენ, ესოდენ სულმოკლე კაცი, რომელიც უწინ თვალისჩინივით უფრთხილდებოდი იმპერატორის წყალობას, ახლა ისე გაკადნიერდი, რომ ჩემ წინააღმდეგ გამოდიხარ და უგვან სიტყვასა მკადრებ.

მარკოსი. ახლა მე უკვე აღარ მეშინია შენი, და ჩემს გულში ერთპიროვნულად სუფევს გზოლოდ იესო ქრისტე. მორწმუნეთა დევნის დღეებში თითქოს ნათელი მოეფინა ჩემს სულს და მე ვიხილე ღიადება და სიდიადე ეკლესიისა. შენი ხელით დაღვრილი სისხლი, შენ მიერ ჩადენილი ბოროტება და ძალმომრეობა ზეცას შეღალადებს და ცის თაღით არეკლილი მძლავრ ექოსავით გუგუნებს ამ ჩემს სამიწე ყურებში და თვალდაშრეტილს ცხადად მიჩვენებს გზას, რომელსაც უნდა მივხდეთ.

იულიანე. შინ წადი, ბერიკაციო, შინ!

მარკოსი. არსადაც არ წავალ, სანამ არ აღმითქვამ, რომ უარს იტყვი შენს ეშმაკეულ განზრახვაზე! მაინც რას აპირებ? განა მტერს ხელეწიფება წინ აღუდგეს სულს? განა მიწიერ მეუფეს შესწევს იმისი ძალა, რომ შემუხროს ცათა მეუფე? ნუთუ ვერ ხედავ, რომ დღე ღვთის რისხვისა მოიწია ჩვენზე შენი ცოდვების გამო? წყაროები შრება, როგორც სვედავსილის თვალები, საიდანაც უკვე გამოიწურა უკანასკნელი ცრემლი. ღრუბლები, ნაცვლად იმისა, რომ მოსავლის მანანას გვაწვიმებდნენ ციდან, ისე გადაგვივლიან თავს, რომ წვიმის წვეთსაც არ იმეტებენ ჩვენთვის. მიწა, დაწყევლილი შესაქმის გარიჟრაჟისას, ძრწის და ცახცახებს კენისის ცოდვათა სიმძიმის ქვეშ!

იულიანე. რა წყალობას მოელი შენი ღმერთისგან ამ გულმოდგინების სანაცვლოდ, შე გამოჩერჩეტებულ ბერიკაციო? იქნებ გგონია, რომ შენი გალილეველი მოძღვარი, როგორც დღეთა მათ შინა, ამჟამადაც სასწაულს მოახდენს და მწერას დაგიბრუნებს?

მარკოსი. მე შემრჩა ის სულიერი თვალი, რაც საჭიროა ჩემთვის, და ვმადლობ უფალს, რომ დაშრიტა ჩემი ხორციელი თვალი და ამრიგად დამიხსნა იმ კაცის ხილვისგან, რომელიც კიდევ უფრო განუჭვრეტელ უკუნეთში დაბორიალობს, ვიდრე მე.

იულიანე. გზა, გზა მომეციო!

მარკოსი. საით?

იულიანე. მეფე-მზის სავანეში!

მარკოსი. ფეხს ვერ შეადგამი გიკრძალავ ერთი ღმერთის სახელით!

იულიანე. უ, შე ტვინნადრძობო!.. მომაშორეთი!..

მარკოსი. მოდიო, ბორკილები დამადეთ! მაგრამ ვინც ამას გაბედავს, ხელები გაუხმება, იცოდეთ! უფალი რისხვისა მოვა მთელი თავისი ძალმოსილებით...

იულიანე. შენი ღმერთი უძლურია! მე ვიჩვენებ, რომ კეისარი უფრო ძლიერია მასზე...

მარკოსი. სულწარწყმედილო!.. მე კი შეგაჩვენებ, ძეო განდგომილო ეკლესიისგან..

იკვილოლიუსი (ფერმიხდილი). ხელმწიფეო... იმპერატორო... ნუ ნისცემ ამის ნებას!

მარკოსი (ხმამალლა). წყეულიმც იყავ, იულიანე განდგომილო წყეულიმც იყავ, კეისარო იულიანე! უფალმა ღმერთმა გადმოგაფურთხა ბაგეთაგან თვისთა წყეულიმც იყოს თვალი შენი და ხელი შენი! წყევლა თავსა შენსა და ყოველთა საქმეთა შენთა ზედა! ანათემა განდგომილს ანათემა ანათემა!..

ისმის ყრუ გუგუნე. ტაძრის სახურავი და სვეტები ირყევა და საზარელი გრილით ჩამოიშლება; მთელი ნაგებობა მტერის ღრუბელში უჩინარდება. თავზარაცემული ბრბო ყვირილით იხევს უკან, ზოგი გარბის, ზოგი მიწაზე ეცემა. შემდეგ ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. მტერი თანდათანობით იღანტება და ხალხს თვალწინ წარმოუდგება ტაძრის ნანგრევები.

მარკოსი (რომლის ორივე თანხმლები უკანმოუხედავად გაიქცა, ხმადაბლა ამბობს). უფაღმა ღმერთმა მოგვაწვდინა თავისი ხმა.

იულიანე (გაფითრებული, ყრუდ). არა, აპოლონმა მოგვაწვდინა ხმა, მისი ტაძარი შები-
ღწული იყო და მანაც დაანგრია იგი.

მარკოსი. მე კი გეუბნები, ესაა უფალი, ვისი ნებითაც დაანგრეულა იქნა იერუსალემის
ტაძარი.

იულიანე. თუ ასეა, მაშინ მე ბრძანებას გავცემ დაიხუროს გალილეელთა ყველა ეკლე-
სია, მღვდლები კი მათრახებით შორეკონ ამ ტაძრის აღსადგენად.

მარკოსი. ერთი გაბედვ და სცადე, მღილოქ ვინ შეძლო აღედგინა იერუსალემის ტაძარი,
როცა გოლგოთის მთავარმა აღკვეთა მისი აღდგენა?

იულიანე. მე შევძლები მე — კეისარის და თქვენ დარწმუნდებით, რომ ცრუ ყოფილა
ეს თქვენი ღმერთი ქვას ქვაზე დავადებ და ისე აღვადგენ იერუსალემის ტაძარს, მთელი თა-
ვისი ხილიაღით და ბრწყინვალეებით. როგორც ხოლომონის დროს იყო.

მარკოსი. ვერ შეძლებ ქვის ქვაზე დადებას, რამეთუ დაწყევლილია უფლის მიერ ტაძარი
იგი!

იულიანე. მოითმინე, მოითმინე და დაინახავ, თუმცა დანახვის თავი სადა გაქვს ყველას
მიერ მიგდებულს და მიტოვებულს, უპატრონოსა და უმწეოს, ხელის ფათურით რომ მიიქვ-
ლევ გზას წყვილიადში და არც კი იცი, საით გადადგა ნაბიჯი.

მარკოსი. მე გზას მინათებს ელვა ცისა, რომელიც ოდესმე დაგლახვრავს შენცა და შენს
თანამდგომთაც. (ხელის ფათურით მიდის.)

იულიანე ფერმიხდილ და შიშისაგან აცახცახებულ თანამდგომთა პატარა ჯგუფთან ერ-
თად რჩება.

მესამე მოქმედება

ანტიოქია. ღია კარიბჭე, სვეტებითა და ქანდაკებებით; კარიბჭის წინ შედრევანია; ხელ-
მარცხნივ, სვეტებს შორის — საიმპერატორო სასახლის ფართო კიბე.

კარიბჭის ქვეშ, შედრევანთან, თავი მოუყრიათ აბრისპაპაძებს, სოფისტებს, კომიკებსა და
რიტორებს, მათ შორისაა იმპერატორის ექიმი ორიბასნიოსი და პოეტი ჰერატალიოსი. ფილო-
სოფოსების უმრავლესობას მოკლე, დახეული მოსასხამები მოუხსნამს, ომა-წვერი ყველას გა-
ბურძნული აქვს.

ჰერატალიოსი. არა, ნამდვილად ვეღარ გავუძლებ ამნაირ ცხოვრებას; მზის ამოსვლას და-
სწარი, ცივი შხაპი გადაივლი, შერე კი ქანცაწვეტამდე ირბინე და ივარჯიშე...

ორიბასნიოსი ისე, კაცმა რომ თქვას, ყოველთავე ეს ჯანმრთელობის საწინდარია.

ჰერატალიოსი. ყოველდღე წყალმცენარეებისა და უმი თევზის ქამაც ჯანმრთელობის სა-
წინდარია, არა?

ერთ-ერთი აბრისპაპაძი. უმ, რა სჯობია ახალი ხორცის კაი მსუყე ნაჭერს, ჩალადაჯს რომ
აათლის უახაბი და ჭერ კიდევ სისხლის ოხშივარი ასდის!

ჰერატალიოსი. ხორცი ამ კვირაში თვალითაც არ მინახავს, სამსხვერპლოზე მოშიშხინე
ნაჭრების გარდა. ღმერთმანი, მალე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ანტიოქიაში მხოლოდ
ღმერთები მიირთმევენ ხორცს.

ორიბასნიოსი. შენსას არ იშლი, ბერაკლიოს?

ჰერატალიოსი. რას ამბობ, ჩემო ძვირფასო! ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ იმპერა-
ტორის ბრძნული განკარგულება მასხრად ავიგდო. ზეცა იყოს მისი მფარველი განა უკვდავ
ღმერთებს არ მისდევს კვალში? რადგან, მითხარი, ღვთიური ძალნიც რომ უჩვეულო ხელმო-
შვირნეობას იჩენენ თავიანთი მეურნეობის გაძღოლაში?

ერთ-ერთი აბრისპაპაძი. ჰა-ჰა-ჰა! კისერს მოვიჭრი, თუ ტყუილი იყოს.

ჰერატალიოსი. ავიღოთ თუნდაც კიბეღე, უწინ ესოდენ ხელგაშლილი და მფლანგველი
ქალღმერთი, ვისი ქანდაკებაც იმპერატორმა ამას წინათ ამოათრია ნანგრევებიდან...

მეორე აბრისპაპაძი. ნანგრევებიდან კი არა, სანებხვედან...

ჰერატალიოსი. ადვილი შესაძლებელია... კიბეღე ხომ უპირატესად ნაყოფიერების ქალ-
ღმერთია. მაგრამ ახლა — მე გეუბნებრთ — აიღეთ ეს ჩვენი ღვთაება: ასი ძუძუ აქვს, მაგ-
რამ არც ერთიდან არ მოწვეთავს არც რძე და არც თაფლი!

მის ირვლივ შემოჭარული და ქილიკით გართული მსმენელები ვერ ამჩნევენ, რომ სასახ-
ლის კიბის საფეხურებზე ჩამოდის იმპერატორი იულიანე. მასაც დახეული მოსასხამი აქვს
მოსხმული, წელზე თოკი შემოუჭერია; ომა-წვერი გაბურძნული აქვს, თითები — მელნით
მოსვრილი. ორივე იდლიაში პერგამენტების გრავნილები და ქაღალდები ამოუჩრია იმპერა-

ტორი შორიახლო ჩერდება და ყურს უგდებს პერაკლიოსის ყბელობას; სახეზე ეტყობა, რომ საშინლად ნაწყენია.

(განაგრძობს). დიახ, როგორც ჩანს, სამყაროს ამ მარჩენალს რძე გაუსრა... ძალაუნებურად იფიქრებ, რომ საერთოდ გადასცდა იმ ასაკს, როდესაც ქალი...

მერთ-მერთი ტარისტაცი (თვალს მოპკრავს იულიანეს). ფუჰ! გრცხვენოდეს, პერაკლიოსი იულიანე ხელით ანიშნებს კარისკაცს, ჩუმად იყავიო.

პერაკლიოსი. კარგი, მოვეშვათ კიბელეს. მაგრამ განა იგივე არ იქნება დემეტრეზედაც? განა ისიც ფრიად სამწუნარო, მე ვიტყვოდი, იმპერატორისათვის ნიშნულ სიძულწუნს არ იჩენს? დიახ, დამერწმუნეთ, ჩვენ რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს მაღალ ოლიმპთან, არა ერთსა თუ ორ ამნაირ რამეს გავიგონებდით. შემიძლია დავიფიცო, ნექტარი და ამბროსია ისე ცოტა რიგდება იქ, რომ — მტრისას! — მეტი აღარ იქნება. ო, დიდო ზევებს, ვინ იცის, აღბათ როგორ დამკლევდი? ო, შე გიჟმაჟო და დამთხვეულო დიონისე, რაღა დარჩა შენი სქელი ბარძაყებისგან? ო, შე ავბორცო და უტიფარო აფროდიტე... ო, ქმრებისთვის რქების დამდგმელო მძლეთანამძლე არესი..

იულიანე (განრისხებული). ო, ურცხვო პერაკლიოს! ო, ბილწო ბაგეებო! ო, მოწამლულო, ნაღველში ამონაწებო ენავ!

პერაკლიოსი. ომ, ჩემო მოწყალეო იმპერატორო!

იულიანე. ო, ყოველივე ღიაღისა და წმიდათაწმიდის უტიფარო მგმობელო და მაგინებელო! ამას რას მოვესწარი? დაღლილ-დაქანცული გამოვდივარ ჩემი წიგნთსაცავიდან, ცოტა სუფთა ჰაერი ჩავუღაპო-მეთქი და ბედი არ გინდა? პირველი, რაც ყურში ჩამესმის, ესაა შენი ბილწო ყიყინი (უახლოვდება).

თუ იცი, რა მაქვს მარცხენა ილღის ქვეშ?.. თუმცა რა გეცოდინება? ესაა ჩემი თხზულება, შენ წინააღმდეგ მომართული, ღვთისმგმობო ტაკიმასხარა პერაკლიოსი..

პერაკლიოსი. როგორ, მოწყალეო იმპერატორო?.. ჩემ წინააღმდეგ?

იულიანე. დიახ, დიახ, შენ წინააღმდეგ... წუხელ დავწერე, შენზე განრისხებულმა. ან კი როგორ არ უნდა განვრისხებულიყავი: რა იყო, რამ გადაგრია გუშინ? რამდენი სისულელე წამოროშე კათედრიდან, ჩემი და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი დარბაისელი კაცის თანდასწრებით? მთელი სამი საათის განმავლობაში იძულებული ვიყავით შენი ბრიყველი არაყები გვესმინა, რომლებითაც ასე უხვად გაგვიმასპინძლდი. როგორ გაბედე ამდენი მონაჭორის გადმოლაგება? განა ყოველივე ეს, თავიდან ბოლომდე, მტკნარი სიცრუე არ არის?

პერაკლიოსი. აჰ, ჩემო ძვირფასო იმპერატორო, თუ შენ ამას სიცრუეს უწოდებ, მაშინ, როგორც ჩანს, ოვიდიუსი და ლუკიანეც ცრუობდნენ.

იულიანე. აბა რა? ენა ვერ იტყვის, რა აღშფოთებამ შემიპყრო, როდესაც მივხვდი, რას უმიზნებდა შენი უხამსი სიტყვა. „სურათური გაგაკვირვებს, ადამიანო!“ მინდოდა წამომეძაბა კომედიების მთხვეულის ეს სიტყვები, როცა შენ დასასრულ, ნაცვლად იმისა, რომ მაღლი მოგებსხენებინა ღმერთებისათვის, ავი ძალღვივით ასტებე ყეფა და ერთმანეთზე დაახვავე შენი უმწეო და უნდილი ლათაიები. თანაც ფორმას აღარ იკითხავ? — მტრისას!.. დიახ, შენი ლექსი ღმერთს არ უქნია, პერაკლიოს.. სწორედ ამას ვამტკიცებ ჩემს თხზულებაში.

ერთი სული მქონდა ავმდგარიყავი და გარეთ გავსულიყავი, როცა კომიკოსი მხახიობით თითქოს თეატრის სცენაზე სათამაშოდ გამოიყვანე თვით დიონისე და ის სწორუპოვარი უკვდავი გმირი, ვისი სახელიც გქვია შენ — უღირსს, მაგრამ თუ თავს მოვერიე და დავრჩი, გარწმუნებ, არა იმდენად პოეტის, რამდენადაც მსმენელების გულისთვის, თუ შეიძლება ეს სახელი ეწოდოს მათ. უპირატესად კი თვით ჩემივე გულისთვის გავწირე თავი. წამოვსულიყავი და მე შენ გეტყვი, მასხრად არ ამიგდებდნენ: აუქშიეს და დამფრთხალი მტრედივით გაფრინდაო. ამიტომაც აღშფოთება არ შევიმჩნიე და ჩემთვის ჩუმად ვიმეორებდი პომეროსის ლექსს:

დასცხერი, გულო! უარესიც მოვითმენია,
მაშ, მოითმინე ისიც, რომ დღეს გაცოფებული
ქოფაკი უყეფს უკვდავ ღმერთთა ნეტარ სავანეს.

დიახ, როგორც ჩანს, ესეც და ამაზე მეტიც უნდა ნოვითმინო. რას იზამ, დროა ასეთი აბა მიჩვენე ის ბედნიერი, ვინც შეძლო ამ ჩვენს რკინის საუკუნეში შეუბილწავად შეენახა თავისი თვალი და ყური.

ორიბასიოსი. გვედრები, ჩემო მბრძანებელო, ნუ ღელავ ასე. იქნებ იმან მაინც განუგეშოს, რომ ჩვენ ყველანი აღშფოთებით ვისმენდით ამ კაცის უგვან სიტყვებს.

იულიანე. სტყუი! კარგად შევნიშნე, ბევრ მსმენელს ისეთი გამომეტყველება მქონდა

სახეზე, რომელიც ოდნავადაც არ გამოხატავდა აღშფოთებას, როცა ეს უტიფარი ტაკიმახარა წარმოუდგენელ უხამსობას წამოაყრანტალებდა და ისე თავმოწონედ გადახედავდა თავის მსმენელებს, თითქოს დიდად საქები რამ ჩადინოს.

ვერაკლიოსი. აჰ, რა უბედური ვარ, ჩემო მბრძანებელო...

იულიანე. ალბათ, რადგან ეს სულაც არაა საზომარო საქმე. ანა ძველისძველი თქმულებები ღმერთების შესახებ რაღაც დიადისა და ამადლებულის წედომას ~~ქრისტიანულ~~ მიზნად? ანა იმისთვის არ იყვნენ შექმნილნი, რომ ძალდაუტანებლად, თითქოს — ~~ქრისტიანულ~~ შიშით შეეყვანათ ადამიანის სული იმ იდუმალ სავანეში, სადაც მბრძანებლობს უზენაესი მეუფე, და, ამრიგად, მასთან შესარწყმელად შემეშადებიანთ იგი? არადა, რა აზრი ჰქონდა უოველივე ამას? ანა სწორედ ეს მიზანი არ ამოძრავებდა პოეტებს ამნაირ თქმულებათა თხზვისას, და ანა პლატონიცა და, მის კვალდაკვალ, სხვებიც ამავე მიზნით არ იმეორებდნენ ან, უფრო სწორად, ავსებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ მათ? თუკი ამ მიზანს გამოვრიცხავთ, ზემოხსენებული თქმულებები მხოლოდ ბავშვებისა და ბარბაროსების გასართობად თუ გამოდგება, და ისიც საკითხავია, მართლა გამოდგება თუ არა მაგრამ გუშინ შენ წინაშე ანა ბავშვები და ბარბაროსები იყვნენ? როგორ გაბედე და ისე მელაპარაკე, თითქოს ბავშვი ვყოფილიყავი? ან იქნებ გგონია, ბრძენი ჯახდი და უფლება მოიპოვე ბრძენივით თამამად და თავისუფლად ილაპარაკო, მხოლოდ იმატომ, რომ დახეული მოსასხამი მოგიგდია მხრებზე და ხელში გლახაკის ჯონი გიჭირავს?

ერე-ერეი კარისტატი. ო, რა დიდებულად ბრძანე, ჩემო იმპერატორო! დიახ, დიახ, ესეც არ კმარა, რაღაც ახალია საქირო...

იულიანე. მართლა? მაინც რა? იქნებ თმა მოვუშვათ და ფრჩხილების წმენდას თავი ვანებოთ? ო, პირმოთნე კლენონი გიცნობთ, გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით! მოხარულულებს გიცნობთ!.. აი, აჰ, ამ ჩემს თხზულებაში თქვენი ნამდვილი სახელით მყავხართ გამოყვანილი... თუმცა მოდით, თვითონვე მოისმინეთ... (ქალაღებში იქექება).

ამ დროს მარჯვენა მხრიდან შემოდის რიტიორი ლიბანოსი. ძვირფასი ტანსაცმელი აცვია და ქედმაღლურად უჭირავს თავი.

ორიბასოსი (ჩუმად, ლიბანოსს). რა ბედნიერებაა, რომ მოხვედრი, სწორედ სულზე მოგვისწარი, ღრმად პატივცემულ ლიბანოსს!

იულიანე (კვლავ ქალაღებში იქექება). ხად ჯანდაბაში წავიდე?

ლიბანოსი (ორიბასოსს). ბედნიერება, მეგობარო?..

ორიბასოსი. იმპერატორი გაცოფებულია, იქნებ შენმა მოხვლამ გული მოუღობოს.

იულიანე. ჰო, აი, ვნახე! (ბუზღუნით). რა უნდა ამ კაცს?

ორიბასოსი. ხელმწიფეო, ეს...

იულიანე. კარგი, კარგი აი, მოისმინეთ და დარწმუნდებით, გიცნობთ თუ არა. სვედავსილ გალილევებებს შორის ბევრი შლეგია, რომლებიც მონანულებს უწოდებენ თავიანთ თავს. ისინი ხელაღებით უარყოფენ ყველა მიწიერ სიკეთეს, გულგრილნი არიან ამქვეყნიურ სიამეთა მიმართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უდიდეს პატივს მოითხოვენ ყველა ბრწყინვან, რომლებიც წმინდანებად თვლიან და თითქმის აღმერთებენ მათ. თქვენც ამ მონანულთ ჰგავხართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ~~მე არაფერსაც არ ვაძლევეთ~~, რადგან არც ისე სულელი ვარ, როგორც მათი მ აღმერთებელნი. დიახ, ამ მხრივ შეუვალი სიკერპე რომ არ გამოემჩინა, თქვენი თავხედობით სულ მალე აატალახიანებდით სასახლის ყველა კარს. თუმცა ისედაც ატალახიანებთ, რომც ავმდგარიყავი და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გამეყარეთ, ანა ბევრი თქვენგანი ისევ უკან არ მობრუნდებოდა? ო, ჩემო მეგობარებო, რა მოსდევს შედეგად ამას? ანა თქვენ ფილოსოფოსები ხართ? ანა შეიძლება დიოგენეს მიმდევრებად იწოდებოდეთ, თუმცა სასოსით და ზნე-ჩვეულებებით კი ჰბაძავთ მას? ქეშმარიტად, გაცილებით უფრო იშვიათად გხედავენ მსმენელთა წინაშე, ვიდრე ჩემი ხაზინადარის კართან. ანა თქვენი წყალობით თვათ ღვთაებრივი სიბრძნე უბადრუკ და ხასაცილო საგნად არ იქცა? ო, თქვე პირმოთნენო, უვიცო უბედნო და მოღაუბნო! ო, თქვე... რა უნდა ამ ქოსმენს?

ორიბასოსი. მეუფეო, ეს ქალაქის უხუცესი გახლავს...

იულიანე. დაიცადოს! ის, რაზედაც აქ ვმსჯელობთ, ყველა დანარჩენ საქმეზე რაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ან იქნებ თქვენ სხვა აზრისა ხართ? მაგრამ ეს კაცი ისე წრილობს... რამე სერიოზული საქმე გაქვს?

ლიბანოსი. ისეთი არაფერი, ხელმწიფეო, მე შემიძლია სხვა დროსაც მოვიდე. (წასვლას აპირებს.)

ლიბანოსი. ხელმწიფო, ნუთუ ვერა სცნობ ამ კეთილშობილ კაცს? ეს ხომ მკვერმეტყველების მასწავლებელი ლიბანოსია?

იულიანი. როგორ? ლიბანოსი? შეუძლებელია. ლიბანოსს, სწორუპოვარ ლიბანოსს რა უნდა აქ? ვერა, ვერ დავიჭერებ.

ლიბანოსი მე მეგონა იმპერატორმა იცოდა, რომ ანტიოქიელებმა თავიანთი ქალაქის უზუცესთა საბჭოს შესვეურად დამნიშნეს.

იულიანი. რასაკვირველია, ვიცოდი. მაგრამ როცა ანტიოქიაში ჩაწივდნენ ქალაქის უზუცესნი მისახალმებელი სიტყვებით შემეგებნენ, მე ამოდ დავვიდნენი შათ შორის ლიბანოს, ლიბანოსი არსად ჩანდა.

ლიბანოსი. იმპერატორს სურვილი არ გამოუთქვამს, ამ შეხვედრისას რიტორ ლიბანოსისთვისაც მოესმინა.

იულიანი. რიტორ ლიბანოსს უნდა სცოდნოდა, რა შეიძლებოდა ესურვა იმპერატორს ამ შემთხვევაში.

ლიბანოსი. ლიბანოსმა არ იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად ესოდენ ხანგრძლივ განშორებას. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ უფრო მართებული იქნებოდა ბრბოში ნამდგარიყო, ხადაც მას არცთუ უჩინო ადგილი ექირა, მაგრამ იმპერატორმა არ ინება თავისი მზერა შეეჩერებინა მასზე.

იულიანი. მაგრამ, მე მეგონია, მეორე დღეს მაინც უნდა მიგეღო ჩემი წერილი.

ლიბანოსი. დიახ, პრისკუსმა, შენმა ახალმა მეგობარმა გადმოცა.

იულიანი. და მიუხედავად ამისა... ან იქნებ სწორედ ამის გამო... არ იკადრე ჩემთან მობრძანება?

ლიბანოსი. თავის ტკივილმა და გადაუდებელმა საქმეებმა...

იულიანი. ებ, ლიბანოს, იყო დრო, როცა ასე არ უფრთხილდებოდი თავს.

ლიბანოსი. მე მივდივარ იმასთან, ვინც მიწვევს; ძალით არავის მოვახვევ თავს. ეგუც არ იყოს, რა უფლება მაქვს გზაზე გადაველობო იმპერატორისათვის ესოდენ ძვირფას მაქსიმეს?

იულიანი. მაქსიმეს ფეხი არ დაუდგამს სასახლეში.

ლიბანოსი. გასაგებია. მაქსიმეს თავისა სასახლე აქვს, რომელიც იმპერატორმა აჩუქა.

იულიანი. ო, ჩემო ლიბანოს, კი მაგრამ, შენ ხომ ჩემი გული გაჩუქე? მაქსიმეს სასახლისა რა უნდა გშურდეს?

ლიბანოსი. მე არავისი არა მშურს, მათ შორის არც ჩემი თანამოძმეების — თემისტოხის და მამერტინუსისა, რომლებიც წყალობით აავსეს. არც ეკვილიუსის მიმართ განვიცდი მშურს, ვისი სიმდიდრეც შენი ძვირფასი საჩუქრებით გააატყვე- პირიქით, მიხარია კიდევ, რომ ერთადერთი კაცი ვარ, ვისთვისაც შენ არაფერი გიჩუქებია. რადგანაც მშვენივრად შესმის ამის მიზეზი. იმპერატორს სურს, რომ მისი იმპერიის ქალაქები არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდნენ, მით უმეტეს, — მკვერმეტყველებისას, რადგანაც კარგად აქვს შეგნებული, რომ უპირატესად სწორედ ამით განვსხვავდებით ბარბაროსებისაგან. და, აი, მას შეეშინდა, ვაითუ ზოგ-ზოგის მსგავსად ჩემს ხელობაზე ამეღო ხელი, თუკი მათსავით არ მომაკლებდა თავის წყალობას. იმპერატორმა ამგობინა, მისი უოფილი მასწავლებელი უწინდებურად ღარიბ-ღატაკი დარჩენილიყო, რათა მით უფრო ერთგულად მიჰყოლოდა თავის ხელობას. აი, რითი ვხსნი შენს საქციელს ჩემ მიმართ, რაც ასე აკვირვებს ჩვენს ზოგიერთ ნაცნობს, რომელთა სახელებიც მირჩვენია აქ არ ვახსენო. ცხადია, თუ არაფერს იმეტებ ჩემთვის, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სახიკეთოდ და საკეთილდღეოდ. შენ გინდა, რაც შეიძლება ნაკლები ფული მქონდეს, რათა მათ უფრო მდიდარი ვიყო სიტყვის ნიჭით.

იულიანი. ე, ჩემო ლიბანოს, მეც მივხვდი იმის მიზეზს, თუ რატომ მაყურყუტა აქ, ანტიოქიაში, ჩემმა ძველმა მასწავლებელმა რამდენიმე თვე ისე, რომ ერთხელაც არ გამიხსენა. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, რომ სამსახური, რომელიც მისმა უოფილმა მოწაფემ გაუწია ღმერთებს, სახელმწიფოსა თუ მეცნიერებას, ჯერ კიდევ არ კმარა საიმისოდ, რომ იმ კაცის ქება დაიმსახუროს, ვინც მკვერმეტყველების მოძღვართა მეფედ აღიარეს თანამედროვეებმა. ლიბანოსმა ალბათ იფიქრა, რომ ესოდენ უმნიშვნელო ღვაწლის ქებას გაცილებით უფრო მდარე რიტორიც გაართმევს თავს. მე მეგონია, არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ლიბანოსმა თავი აარიდა ამას: ის ჩემს სულიერ წონასწორობას უფრთხილდებოდა. დიახ, შენ ალბათ გეშინოდა, შერცხვენილი არ გეხილა შენი იმპერატორი, სიამაყით თავბრუდასხმული და ვაგლახად მობარბაცე იმ კაცის მსგავსად, რომელიც ხარბად ეწაფება მწვანე ულორტებით გარშემოწნულ ღვინის ფიალას, — რაც უოველ მიზეზს გარეშე ასეც იქნებოდა, თუკი სულ

მცირე ნაწილს მაინც მიძღვნილი შენი ღვთაებრივი ხელოვნებისა, რომლითაც ასე აღფრთოვანებულია მთელი საბერძნეთი და, ამრიგად, უკვდავ ღმერთებამდე ამამაღლებლი შენი ფასდაუღებელი მსხვერპლის წყალობით.

ლიბანიოსი. ო, ჩემო იმპერატორო, რა მაფიქრებინებდა, რომ ჩემს ხიტყვას ასეთი ძალა აქვს?

იულიანე. ვითომ არასოდეს ვიფიქრო, ჩემო უებრო მეგობარო? წაფიქრებდი თუ არა და შენახო, ძალიან გულმოსული ვარ შენზე, ლიბანიოსს მაგრამ ეს მეგობრებს გულმოსულია მეგობრის მიმართ.

ლიბანიოსი. მართლა? ო, ჩემო გვირგვინოსანო ძმაო ნება მიბოძე, გულახდილად მოგახსენო: მას შემდეგ, რაც აქ ჩამოხვედი, ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ თავბედი არ შეწყველოს ამ ჩემი დამლუპველი სიკერპის გამო, რომელიც იმის ნებას არ მრთავდა, რომ პირველი ნაბიჯი სწორედ შე გადმომედგა შენკენ. ჩემმა მეგობრებმა არცთუ სრულიად უსაფუძვლად მაგრძნობინეს, რომ შენ იმ მიზნით დაადექი ამსიგრძე გზას, რათა დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ გეხილე და ჩემთვის მოგესმინა. მაგრამ თვით იულიანემ რომ არაფერი შემატყობინა?.. რა მექნა? პირფერობა დამეწყო იმპერატორის წინაშე, ვისი სახითაც შე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი მიყვარდა?

იულიანე (ეხვევა და ჰკოცნის). ჩემო ლიბანიოს!

ლიბანიოსი (იულიანეს ჰკოცნის). ო, ჩემო ძმაო და მეგობარო!

იულიანე. ვერ იტყვი, რომელი რომელს სჯობინხართ!

პარისკაცები (ტაშს უკრავენ). რა დიდებული და ამადელვებელი სანახაობაა!

იულიანე. ო, ლიბანიოს, ჩემო ბოროტო მეგობარო... რა გულმა მოგცა, რომ ამდენ ხანს არ მაღირსე ეს სანეტარო წამი? მთელი დღეებისა და თვეების მანძილზე ამოდ გელოდი და ჩემი შუბლი ამ დროს სკვითურად წყუდიადით იყო მოცული.

ლიბანიოსი. შენ კიდევ რა გიჭირდა, მე ვიქავი ცოდვა; რაც უნდა იყო, ხალხი მაინც გეხვია გარს, ვისთანაც შეგეძლო შენს საბრალო მეგობარზე გელაპარაკა.

იულიანე. ნუ იტყვი შავას. მე მხოლოდ ისლა მანუგეშებდა, რომ ჭმუნვით აღვსილი ვიმეორებდი შენს სახელს და ჩუმად გიხმობდი; ო, ლიბანიოს, ლიბანიოს!

ლიბანიოსი. ხოლო იმ დროს, როცა შენ ამოდ უხმობდი ცარიელ სივრცეს, მე ოთხ კედელშუა ჩაკეტილი ველაპარაკებოდი საკუთარ თავს. დღის უმეტეს ნაწილს საწოლში ვატარებდი და შენზე ვფიქრობდი, ნეტა ახლა რას აკეთებს-მეთქი... ხან რას წარმოვიდგენდი და ხან რას. უწინ კი ასე არ იყო, ვფიქრობდი მე, უწინ იულიანე მისმენდა-მეთქი.

იულიანე. და მაინც ამდენ ხანს არ მაღირსე შენი ხილვა? აბა შემომხედე, როგორ დაგებრდი.

ლიბანიოსი. კი მაგრამ, განა მე შენზე ნაკლებად შევიცვალე? აქი ერთბაშად ველარც მიცანი.

იულიანე. ეს შეხვედრა ნამდვილი აბაჯანა იყო ჩვენთვის, საიდანაც ორივენი განკურნებულნი ამოვდივართ.

ხელახლა გადაუხვევიან ერთმანეთს.

ახლა კი ჩემო ძვირფასო, მითხარი, რამ მოგიყვანა აქ, რადგან ეჭვიც არ შეპარება, რომ რაღაც გადაუღებელი საქმე უნდა გქონდეს.

ლიბანიოსი. თუ არ ჩავთვლით შენს მონატრებას, — მართალს ურძანებ! ო, ნეტა სხვა ვინმე გხლებოდა ამნაირი დავალებით. მაგრამ ის მაღალი თანამდებობა, რომელზედაც მოქალაქეთა ერთსულოვანმა ნება-სურვილმა გამამწესა, მავალდებულებს უყოყმანოდ ვიტვირთო ყველაფერი, რასაც ისინი მომანდობენ გადასაწყვეტად.

იულიანე. მითხარი, ჩემო ლიბანიოს, რით შემიძლია გემსახურო?

ლიბანიოსი. მაშინ, ნება მიბოძე, დავიწყო იმით, რომ ანტიოქიელი მოქალაქენი, რომლებსაც აშკარად აღარა სწყალობ, ღრმა მწუხარებამ მოიცვა.

იულიანე, მძი..

ლიბანიოსი. ამ მწუხარებას ზედ დაერთო შიში და ძრწოლა, მას აქეთ, რაც თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა ალექსანდრე, ქალაქის ახალი პრეფექტი.

იულიანე. აა, აი, თურმე რა ყოფილა!

ლიბანიოსი. არ დაგიმაღავ, ყველასათვის მოულოდნელი იყო ამნაირი კაცის ასეთი აღწევება. აქამდე ალექსანდრეს მხოლოდ უმნიშვნელო თანამდებობები ეკავა, მაგრამ ისე როდი ასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ მოქალაქეთა სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა.

იულიანი. ვიცი, ვიცი, ლიბანიოს!

ლიბანიოსი. ალექსანდრე თავხედი და უტიფარი კაცია და არავითარ ანგარიშს არ უწევს მართლმსაჯულებას.

იულიანი. ვიცი, ყველაფერი ვიცი. ალექსანდრე უზრდელი კაცია, ტლანქი, უკმები, გაუთლელი, მჭევრმეტყველებათ ხომ ლაპარაკიც შედგებოდა.. არაფრით არ დაუმსახურებია ამნაირი აღწევება. მაგრამ გადაეცი ანტიოქიელებს, რომ მათ დაიმსახურეს ალექსანდრე. ღმერთმანი, უფრო უარესსაც იმსახურებენ ეგ უკეთურნი!

ლიბანიოსი. მაშ, მართალი უოფილა ის, რისი შიშიცა გვქონდა? ეს სასჯელია!

იულიანი. მომისმინე. ლიბანიოსი აქ ჩამოსვლისას სულითა და გულით ვენდობოდი ანტიოქიელ მოქალაქეებს, ანტიოქია, რომელიც გამორჩევით შეიყვარა მეფე-მშემ და თავის სავანედ აქცია, უნდა დამხმარებოდა იმაში, რომ გამომეხსნორებინა მთელი ის უსამართლობა და უმადურობა, რასაც ამდენ ხანს ითმენდნენ უკვდავი ღმერთები. მერე, თქვენ როგორღა შემხვდით? ზოგი უჩვეულო სიკერპით, ზოგიც გულგრილად. რამდენჯერ შეურაცხმყვეს, რამდენჯერ გული მატკინეს, რამდენი უბედურება დამატებეს თავს! განა კვლავინდებურად არ დაძრწის ქალაქში კაპადოკიიდან ჩამოთრეული გრიგოლ ნაზიანზელი და თავისი ღირფი სიტყვებით აშფოთებს უმეტარ გალილეველებს? განა მათ შორის არ გამოტყვრა ერთი ვიღაც პოეტი... ამოლინარიოსი, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს გალილეველთა ცთომილებას და თავისი შლეგური ფსალმუნებით კკუაზე შლის ხალხს?!

ახლა იმას აღარ იკითხავ, რა ამბები მომდის სხვა ქალაქებიდან? აღასრულეს თუ არა თავიანთი მუქარა კესარიელებმა? დაანგრის თუ არა ფორტუნას დიდებული ტაძარი? ვაი სიარცხვილო და თავის მოჭრავს! სად იყვნენ ამ დროს ქალღმერთის თაყვანისმცემელი? წინ აღუდგნენ თუ რა მკრებელთა თავგასულობას? არა, ლიბანიოს, თითიც არ გაუნძრევიათ, ისე დაანგრევინეს მთელი ტაძარი, თუმცა კი მართებდათ თავი დაედოთ ღვთაების გულისთვის.

მაგრამ დამაცადონ! კესარიელ გალილეველებს სისხლით ვაწლვევინებ თავიანთ უკეთურობას; როგორც კი მოვიცდო, ცეცხლს მივცემ ქალაქს.

ლიბანიოსი. მბრძანებელო და მეგობარო... თუ ნებას მომცემ...

იულიანი. ჭერ მე მიბოძე ნება. დიახ, შენგან მოველი პასუხს, შემოძლია ამის ატანა? მითხარი, შეუძლია თუ არა ჩემსავით ღვთისმოსავ კაცს უღრტვინველად დაითმინოს ღვთიურ ძალთა შეურაცხყოფა, რომელნიც მფარველობას არ მაკლებდნენ და გხარში მდგნენ ყოველ საქმეში? მაგრამ რა ვიღონო, რა გზას დავადგე? განა თეთრად არ ვათენებდი ღამეებს და ვწერდი, რათა გამექარწყლებინა ეს საბედისწერო ცთომილება? დიახ, მე ვწერდი, ლიბანიოს, ვწერდი იმდენ ხანს, რომ თვალები მისისხლიანდებოდა უძილობისგან და მელნით შავად შეღებილი თითები მიხევდებოდა. კი მაგრამ, როგორ გგონია, რა გამოვიდა აქედან? ერთადერთი ჯილდო, რაც მე მხვდა წილად, ესაა მწარე დაცინვა, არა მარტო გალილეველთა, არამედ იმათ მხრიდანაც, რომელნიც, მათივე მტკიცებით, ჩემს შეხედულებებს იზიარებენ. და ყოველივე ამას აგვირგვინებს ის, რომ დღეს აქ, ჩემ წინაშე გხედავ, იმ მოქალაქეთა თავმდებად წარმოგზავნილს, რომელნიც ალექსანდრეს უჩივიან, თუმცა ამ უკანასკნელზე ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ ძალ-ღონეს არ ზოგავს გალილეველთა ასალაგმავად.

ლიბანიოსი. ო, ჩემო ცის თალამდე ამალლებულო მეგობარო, სწორედ ეგ გვაძლევს ჩივილის საბაბს.

იულიანი. შენ უნდა მეუბნებოდე ამას, შენ?

ლიბანიოსი. ჩემი ნებით როდი მოვსულვარ მოქალაქეთა დავალების შესასრულებლად. თათბირზე თავდაუზოგავად ვარწმუნებდი ხალხს. სხვა ვინმე ამოერჩიათ ქალაქის ყველაზე ღირსეულ მოქალაქეთაგან, რითაც აშკარად ვაგრძნობინებდი მათ, რომ თავს ვარიდებდი არჩევას. მაგრამ, მთელი ჩემი მცდელობის მიუხედავად, არჩევანი მაინც ჩემზე შეჩერდა, მაშინ როდესაც...

იულიანი. კარგი, კარგი. მაგრამ რაღა მაინცდამაინც შენგან უნდა ვისმენდე ყოველივე ამას, ლიბანიოს?

ლიბანიოსი. ვევედრები ჩემს გვირგვინოსან ძმას, ანგარიში გაუწიოს იმას, რომ მე ამ ქალაქის სახელით ვლაპარაკობ. რაც შეეხება პირადად მე, თუ ერთი კაცი მაინც თაყვანსა სცემს უკვდავ ღმერთებს, მეორე მე ვარ. რა იქნებოდა მჭევრმეტყველების ხელოვნება ღმერთებისადმი მიძღვნილ თქმულებების გარეშე, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვეს ძველმა პოეტებმა? განა ამ თქმულებებს იმ კეთილშობილ ლითონს არ უნდა ვადარებდეთ, საიდანაც თავის ხელოვნებაში გაწაფულ რიტორს შეუძლია თავისთვის საჭურველიც გამოსკედოს და სამკაულიც, თუკი, რა თქმა უნდა, დაიმორჩილებს და სათანადოდ გამოიყენებს მასალას?

ან რაოდენ მდარე და მტკნარი მოგვეჩვენებოდა ჩვენი სიბრძნისმეტყველების წესები, მთლიანად მოკლებულნი რომ იყვნენ ზებუნებრივი სინამდვილიდან ნახესხებ ხატოვან მეტაფორებს და შედარებებს.

მაგრამ მითხარი, ჩემო მეგობარო, ნუთუ იმედი გაქვს, რომ ამნაირ შეხედულებას შეიძლება იწიარებდეს ბრბოც, მით უმეტეს, იმ დაწყვედილ საუკუნეში, როგორც ეს ჩვენი საუკუნეა? ყველა-ყველა და, გარწმუნებ, ანტიოქიაში ამის იმედი არ უნდა გქონდეს. აქაური მოქალაქეები — გალილეელებიცა და უფრო განათლებულნიც — აქამდე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ და რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ სარწმუნოებათა სხვაობას. ძნელად თუ მოიძებნება მთელ ქალაქში თუნდაც ერთი ისეთი ოჯახი, სადაც სხვადასხვა თვალსაზრისით არ უყურებდნენ სარწმუნოებრივ საკითხებს. მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებამდე შემოაღწიწულ გარემოებას ხელი არ შეუშლია მოქალაქეთა კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის.

ახლა კი ერთ სარწმუნოებას აშკარად უპირისპირებენ მეორეს. თვით სისხლით მათესავეებს შორისაც კი განხეთქილებამ იჩინა თავი. ამას წინათ ერთმა მოქალაქემ, ვისი სახელიც მირჩენია აქ არ ვახსენო, თავის შვილს მემკვიდრეობა წაართვა იმის გამო, რომ უნაწილო კაც გალილეელთა ძმობიდან გამოვიდა. საზოგადოებრივი და საქმიანი ცხოვრება დიდ წიანს განიცდის ამის შედეგად, რაც განსაკუთრებით საგრძნობია ამჟამად, როცა ყველაფერი ასე გაძვირდა და შიმშილობა კარზეა მომდგარი.

იულიანო. კმარა, კმარა... საკმარისზე მეტიცაა, ლიბანიოს! დამდგარხართ და სიძვირეს უჩივით! მაგრამ ერთი ეს მითხარი, ასეთი ფუფუნება თუ გინახავს ოდესმე? განა ცირკი ხალხით არ ივსება ყოველთვის, როგორც კი ხმა გავარდება, აფრიქიდან ახალი ღოში ჩამოშვავთო? ხოლო როცა წინა კვირას სურხათის საოცარი სიძვირის გამო უსაქმურებისა და მაწანწალების ქალაქიდან გაძევებაზე მიდგა საქმე, განა ხალხმა ერთი დღე არ დააწია, ათლეტები და მოცეკვავეები გამოირაცხეთო? უიშათოდ, თურმე ნუ იტყვი, შეუძლებელია გაძლება!

ეჰ, ჩვენი სიშლევისა და დამთხვეულობის შემსურე დმერთებმა დროა სულაც აგვადონ ხელის! ამ ქალაქში უამრავი სოფისტია, მაგრამ სადაა სიბრძნე? რატომ არ მოხდევინ ჩემს კვალს? რატომ ჩერდებიან სოკრატეზე? რატომ არ მიდიან ცოტა უფრო წინ და არ მისდევინ დიოგენეს, ანდა, თუ მკრებდლობაში არ ჩამომერთმევა ამისი თქმა, რატომ არ მომდევინ მე, რაკილა ბედნიერებისაკენ მიგიძღვით? განა სწორედ ბედნიერება არ არის ყოველგვარი სიბრძნის მიზანი? ხოლო რა არის ბედნიერება, თუ არა ის, რომ შენს მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შეუწონო შენივე სურვილები? განა არწივი ოქროს ფრთებს ითხოვს? ან ვერცხლის კლანჭებს? განა ბროწეულის ხე იმაზე ოცნებობს, ნეტა პათიოსან თვლებს ვისხამდეთ? მე გეუხნებით, არც ერთ კაცს არა აქვს ვანცბრომისა და ტკბობის უფლება, სანამ არ დაამტკიცებს, რომ საკმაოდ გამობრძმედილია საიბისოდ, რათა უარი თქვას მათზე. დიას, კაცი ვერ უნდა ბედავდეს მწყურვალე ბაგეებით დაეწაფოს ტკბობის ფიალას, სანამ არ იგრძნობს, რომ შეუძლია ყოველ წამს ძირს დააგდოს, ფეხი დაჰკრას და დაამსხვრიოს იგი!

ტემშარიტად: ჩერ კიდევ ძალზე შორხაა ეს დრო! მაგრამ მე ძალ-ღონეს არ დავზოგავ, რათა ცოტათი მაინც მოვახლოვო იგი. ამ მიზნის მიხალწევად ზურგს შევაჭკვიე ყველა სხვა მიზანს, თუმცა არც ისინი არიან უმნიშვნელონი. ჩემი შეტევით შეშინებული სპარსეთის მეფე ზავს მთავაზობს. ვფიქრობ დავთანხმდე, რათა ხელები გახსნილი მქონდეს თქვენს გასანათლებლად და წნეობრივ სრულქმნილებაში საწვრთნელად, უკეთურნიო! რაც შეეხება დანარჩენს, იცოდეთ, არაფერი არ შეიცვლება. ალექსანდრე თავის ადგილზე დარჩება. ეცადეთ შეეწყოს და შეეგუოთ.

მაგრამ, ჩემო ძვირფასო ლიბანიოს, არ მინდა ხალხს ვათქმევინო. თითქოს გულნაკლული გაგიშვი...

ლიბანიოსი. ო, ჩემო იმპერატორო...

იულიანო. შენ, ცოტა არ იყოს, ყვედრებით შემახსენე, რომ წყალობით ავავეს თემისტიოსი და მამერტინუსი. მაგრამ განა ბევრი რამეც არ დავაკარგვინე ამით? თუნდაც ის, რომ საშუალება აღარა აქვთ ყოველდღე მხედავდნენ მის! შენ კი გაცილებით უფრო გულუხვად დაგასაჩუქრებ.

ლიბანიოსი. რას ამბობ, ჩემო ცათახწორო ძმავ?

იულიანო. მე არ ვაპირებ ოქრო-ვერცხლით აგავსო. ასე უგუნურად მხოლოდ პირველ ხანებში ვიქცეოდი, სანამ არ დავინახე, რომ ხალხი ისე მებვევა გარს, როგორც წყურვილით გახელებული მომკელები — ცივსა და აშკარა წყაროს, ხელის კვრით რომ იცილებენ ერთმანეთს გზიდან და ხარბად იწვდიან ცარიელ პეშვებს, თანაც თვითრული მათგანი ცდილობს პირველმა

აივოს და გაილიცლოცოს ისინი; მას აქეთ ჭკუას მოვეგე. თამამად შემძლია განვაცხადო, რომ სიბრძნის ქალღმერთის შემწეობა არ დამკლებია იმ საქმეში, რომელიც ჩვენი ქალაქის კეთილდღეობას ისახავდა და ისახავს მიწნად.

ლიბანიოსი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

იულიანე. ამიტომაც მე შენ ვანდობ, ო, ჩემო ძვირფასო ლიბანიოს, ჩემი საქები და სადიდებელი სიტყვის შეთხვევას.

ლიბანიოსი. ო, რა ბედნიერი ვარ!..

იულიანე. სიტყვის თხვევისას საგანგებო ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ქველშოკმედებას, რასაც მე უნდა მიმადლოდნენ ანტიოქიელი მოქალაქენი. იმედია, ცდას არ დააკლებ, რათა ის თავისი საგნისა და თავისი ავტორის ღირსი იყოს. აი ეს საპატიო ამოცანა მიითვალე, ჩემო ლიბანიოს, შენდამი მოძღვნილ ფასდაუდებელ საჩუქრად. ვფიქრობ, ვფიქრობ და უკეთესი ვერაფერი მომიფიქრებია, რითაც შემეძლო დამესაჩუქრებინა ისეთი კაცი, როგორც შენა ბრძანდები!

ლიბანიოსი. ო, ჩემო გვირგვინოსანო მეგობარო, ჭეშმარიტად მეფურს საჩუქარია.

იულიანე. ახლა კი გიმნასიონს მივაშუროთ, ჩემო მეგობრებო, ხოლო შემდეგ ქალაქის ქუჩებში გავისვირნოთ, რათა სადა ჩაცმულობისა და ზნეობრივი თავშეაბლობის ფრიად სასარგებლო გაკვეთილი გადავცეთ ამ გაბღენძილ მოქალაქეებს.

ორიბასიოსი. ქუჩებში, ხელმწიფეო? ამ პაპანაქება სიცხეში...

ერთ-ერთი კარისკაცი. მომიტევე, ჩემო ხელმწიფეო, მაგრამ ძალიან ცუდადა ვარ..

ჰერაკლიოსი. მეც, მოწყალეო მბრძანებელო! დილას აქეთ გული მერევა...

იულიანე. მაშინ კუჭის გასაწმენდი წამალი მიიღე და იმავდროულად ეცადე უმეცრები სგანაც გაიწმინდოს.. ო, დიოგენე, რა მიმდევრები მყავს?! შენი მოხასხამით ქუჩაში გასვლა ერცხვინებათ. (განრისხებული გადის.)

მიყრუებული ქუჩა ქალაქის განაპირას. ხელმარცხნივ, სახლებს შორის, პატარა ეკლესია დგას. თვალტრემლიან ქრისტიანთა ბრბო. მათ შორისაა მეფსალმუნე აკოლინარიოსი და მოძღვარი პირილე.

ძალებს ხელში აუტაცებიათ ბავშვები და ხმამაღლა მოთქვამენ. ქუჩაში გამონდება ბრიგოლ ნაწიანზელი.

ძალები (მისცეფდებიან და კალთაზე მოეჭიდებიან). ო, გრიგოლ, გრიგოლი გვითხარი რამეი გვიშველე, გვანუგეშე!

ბრიგოლი. მხოლოდ ქვარცმული გიშველით და განუგეშებით მას მიმმართეთ! მტკიცედ იდუქით, დახო და ძმანო, დე, იყოს ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო!

ძალი. იცით თუ არა, ღვთის კაცო, რომ იმპერატორმა ბრძანა ჩვენი საღმრთო წიგნების დაწვა?

ბრიგოლი. მითხრეს, მაგრამ არ მინდა ვირწმუნო ეს სიშლეგე.

აკოლინარიოსი. მართალი უიქვამთ; ალექსანდრემ, ახალმა პრეფექტმა, კარისკაცები გაგზავნა და ჩვენი ძმების სახლები დააჩხრეკინა. ქალებსაც და ბავშვებსაც ისე უღვთოდ სცემენ, რომ სისხლს ადენენ, თუკი ეჭვი მიიტანეს, რომ საღმრთო წერილსა მალავენ.

პირილე. იმპერატორის ბრძანება მარტო ანტიოქიას ან სირიას როდი ეხება, ის ვრცელდება მთელ სახელმწიფოზე. მთელ მსოფლიოზე, ქრისტეს სახსენებელი წაშლილ უნდა იქნას პირსაგან მიწისა და მორწმუნეთა მეხსიერებიდანაც.

აკოლინარიოსი. მოე დედანო, სტიროდეთ თავსა თქვენსა და შვილთა თქვენთა! მოვა დრო, როცა დავას დაუწყებთ იმათ, ვინც ახლა ხელში გიჭირავთ, დიან, დავას დაუწყებთ იმის თაობაზე, თუ კერძოდ რას იმარხავდა დაკარგული სიტყვა უფლისა. მოვა დრო, როცა სიცილს დაგაყრიან თქვენი შვილიშვილები, რომლებსაც არ ეცოდინებათ, ვინ იყო და რა იყო ქრისტე!

მოვა დრო, როცა წარიხოცება კაცთა გულებში იმისი ხსოვნა, რომ მაცხოვარი ქვეყნისა ჩვენთვის ევნო და მოკვდა!

უკანასკნელი მორწმუნე თვალდავსილი ჩავა საფლავში, და მიერიოგან წარიხოცება გოლგოთა პირისაგან მიწისა, როგორც წარიხოცა ადგილი იგი, სადაც ოდესღაც ედემის ბაღი იყო. ვაი შენდა, ვაი შენდა, ახალო პილატე, რომელიც არ სჭერხარ იმას, რომ მოაკვდინო მაცხოვრის ხორცი, არამედ პლავ სიტყვას მისას და სწავლას მისას!

ძალები (თმას იგლეჯენ და ტანსაცმელს იხევენ ტანზე). ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

ბრიგოლი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ, ნუ გეშინიათ! არ მოკვდება უფალი ჩვენი იულია-

ნებაგან როდი გვეშუქრება საფრთხე. უბედურება მის მოვლინებამდე გაცილებით უფრო ადრე გველოდა: ის მიმალული იყო ჩვენს სისუსტესა და გათიშულობაში.

პირილი. კი მაგრამ, გრიგოლ, რასა გვთხოვ, როგორ შევინარჩუნოთ სიმტკიცე ამ გაშინელებასა და საზარელ განსაცდელში? დანო და ძმანო, თუ იცით, რა მოხდა არეთუსაში? უღმერთოებმა ძალა იხმარეს ქაღარა ეპისკოპოსის მარკოზის მიმართ, თმით ათრისეს ქუჩებში და თავი ფეხისადგილში ჩააყოფინეს, მერე შებიღწული და დასისხლიანეულნი შემოხტნენ თავი ფული წასცხეს და ხეზე მოაქრეს ბზიკებისა და კრაზანების საკბენ-საწერტებში.

ბრიგოლი. კი მაგრამ, ვანა სასწაულებრივი ძალით არ გაცხადდა ძლევა მოსილება უფლისა სწორედ მარკოზის მიერ? ვინ იყო დღემდე მარკოზი?.. საეკვო რწმენის კაცი. როცა არეთუსაში დევნილობა დაიწყო, მარკოზი ქალაქიდანაც კი გაიქცა. მაგრამ როგორც კი თავის თავშესაფარში გაიგო, რომ გამძვინვარებულ წარმართთა შურისძიება ეპისკოპოსის გაქცევის გამო უდანაშაულო ქრისტიან ძმებს დაატყდა თავს, თავისი ნებით დაბრუნდა ქალაქში. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა უდრტვიწველად იტანდა საზარელ ტანჯვა-წამებას, რომელიც თვით მის ქალათებსაც კი აძრწუნებდა, ასე რომ ისინი — ოღონდ თავი დავიძვრინოთ ამ სამარცხვინო საქმიდანო — თვითონვე სთავაზობდნენ გაპარებას ყოველად უბადრუკი გამოსასხყიდის ფასად. მაგრამ ის მტკიცედ იდგა თავისაზე და წარბშეუხრებლად იმეორებდა: „არა, არა და არა!“ უფალმა ღმერთმაც არ დაუტევა იგი. არც მოკვდა და არც ქედი მოიხარა. მისი სახე არც შიშს გამოხატავდა და არც სასოწარკვეთას. ხეზე გაცრული ბედნიერად რაცხდა თავს, რომ ცას მიუახლოვდა, მაშინ როდესაც სხვები ჭიანჭველებივით დაცოცავდნენ მიწაზე.

პირილი. ეგვს გარეშეა, რომ ამ უდრტვიწველად იტანდა სასწაულის წყალობით შეინარჩუნა სულის სიმტკიცე. მაგრამ აბა, ჩემსავით მოგესმინა, რა საზარელი უვირილი გამოდიოდა დიდგვიდან ზაფხულის იმ დღეს, როცა ილარიონი და მისი მეგობრები აწამეს. არა, ეს არ ჰგავდა ადამიანის ხმას; ეს იყო რაღაც დაუნაწევრებელი ღმუილი, შერეული გავარვარებული რკინის შიშინთან, რომლის ქვეშაც საზარელი შიშინით იწვის ადამიანის ტყავგამძვრალი ხორცი.

აკოლინაროსი. კი მაგრამ, კირილე, შენ გავიწყდება სიმღერა, რომელიც მოჰყვა უვირილს. ვანა ილარიონი არ მღეროდა სიკვდილის წინ? ანდა ის მამაცი კაპადოკიელი ბიჭუნა, სანამ თავისი მტარვალების ხელში არ დალია სული? ვანა არ მღეროდა აგათონი, სანამ გონება არ დაკარგა, ხოლო როდესაც ცნობას მოეგო, თვით ქალათებიც კი შეძრწუნდნენ, რადგანაც საზარელი წამების შედეგად კუთაზე შეშლილიყო? გეშმარიტად გეტყვით თქვენ: ვიდრე მდის ჩვენთან ტანჯვათა ზედა მძლავრობს და ზემოხს სიმღერა, ვერ გვძლევს სატანა!

ბრიგოლი. ნუ გეშინით: გიყვარდეთ ერთმანეთი და ევენეთ ერთმანეთის გულისთვის, როგორც ამას წინათ დორისტორეში თავისი ძმებისათვის ევნო სერაპიონი, მათრახების ცემით სიკვდილის პირას რომ მიიყვანეს, ხოლო შემდეგ ცოცხლად შეაგდეს გავარვარებულ ღუმელში. ვანა მსახვრალი მარჯვენა უფლისა უკვე არ შეიმართა უღმერთოთა შესამუსრავად? ან იქნებ არ იცით, რა მოხდა პელიოპოლისში, ლიბიის მთის ძირას?

აკოლინაროსი. ვიცი, აფროდიტეს დღესასწაულზე შლეგური ორგით გახედებული წარმართები უჩაღებივით შეიჭრნენ ღვთისმოსავ დედათა სავანეში, ჭერ ნაშუსი ახადეს მათ, ხოლო შემდეგ გაუგონარი წამებით ამოხადეს სული...

ძალები. ვაი, ვაი!

აკოლინაროსი. ამ ნაძირალებს შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც შუაზე გააქეს ერთ-ერთი მოწამის გვამი, შიგანი ამოაცალეს და უმაღ შეკამეს ღვიძლი!

ძალები. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას, ვაი!

ბრიგოლი. რისხვა უფლისა შეიქნა ამ ველური ტრაპეზის საკაზმი!.. მხამად შეერგოთ მიბრძანდით პელიოპოლისში და ნახავთ, რომ ეს უკეთურნი ცოცხლადვე იხრწნებიან, აღარც კბილები შერჩათ და აღარც თვალები, აღარც ენა და აღარც გონება! შიშმა და ძრწოლამ მოიცვა მთელი ქალაქი. ბევრი წარმართი იმ ღამის მერე ქრისტიანობაზე მოიქცა.

ამიტომაც არ შეშინია ამ სისხლისმსმელი მხეცისა, რომელიც აღიძვრის ეკლესიის წინააღმდეგ, არ შეშინია სატანის ამ გვირგვინოსანი მსახურისა, რომელიც მიზნად იხაზავს დაასრულოს კაცთა მოდგმის დასაბამიერი მტრის საქმე. დაე, თავს დაგვატყდეს ცეცხლითა და მახვილით, დაე, მტაცებელ მხეცებს დააფლეთინოს ჩვენი თავი ცირკის არენაზე! თავისი სიშლეგით ცნობამიხდილმა ამაზე უარესიც რომ დაგვამართოს, რას მიაღწევს? ყოველივე ამის წინააღმდეგ არსებობს სამკურნალო საშუალება, არსებობს ძლევის გზა!

- ძალები. ქრისტე! ქრისტე!
- სხვები. აი, ისიც! აი, ისიც!
- ფოტინიანე. ვან?

სხვები იმპერატორის მკვლელის მტერი უფლისა!

ბრიგოლი. ჩუმადი კრინტი არ დასძრათ, ისე გაატარეთ!

ქუჩაში გამოჩნდება საიმპერატორო გვარდიის რაზმი, რომელსაც თვით იმპერატორი იუღლიანნი მოუძღვის წინ. იმპერატორს თან ახლავს ძარისძაცებისა და ფილოსოფოსების ამაღა, ყველანი მცველებით არიან გარშემორტყმულნი. სულ ბოლოს მოდის სხეულის მცველთა რაზმი ფრომინტინუსის მეთაურობით.

უჩინებელი
გინებულობა

ქალები (ჩუმადი). შეხედეთ, რა ჩამოძონძილა მწიროვით!

მეორე ქალი. ალბათ შეიშალა.

მესამე ქალი. უფაღმა უკვე დასაჯა იგი!

მეოთხე ქალი. დამაღეთ, ხავშეები დამაღეთ, რომ მათმა თვალებმა არ ნახონ ეს საშინელება!

იულიანო. აა, ესეც ჩვენი ძვირფასი გალილეველები! რას აკეთებთ აქ, მზის გულზე, ღია ცის ქვეშ, ბნელეთის მოციქულნი?

ბრიგოლი. შენ დაგვიხურე ეკლესიები, ამიტომაც ვდგავართ ცის ქვეშ და ვადიდებთ უფალ ღმერთს ჩვენსას.

იულიანო. აა, ეს შენა ხარ, გრიგოლ? ისეც აქ დაძრწიხარ და დაეხეტები გაფრთხილებ, მოთმინებიდან ნუ გამომიყვანი!

ბრიგოლი. მე არ ვებწრაფი მოწამეობრივ სიკვდილს; მართალი გითხრა, არც მინდა მოკვდე, მაგრამ თუ საქმე მოითხოვს, ბედნიერებად მივიჩნევ იმას, რომ ქრისტეს გულისთვის დავსთხოო სისხლი.

იულიანო. მომბეზრდა ეს თქვენი ფუჭი ყბედობა! გახწით, თვალთ არ დამენახოს! რატომ თქვენს მურალ სოროებში არ ხხედხართ? წადით, ხახლებში წადით-მეთქი, ვის ვეუბნები?! ქალები. ო, მბრძანებელო, სადღა გვაქვს სახლი?

სხვა ქალები. მართალია, სადღა გვაქვს სახლი? წარმართებმა დაგვარბიეს, დაგვაწიოკეს და კინწისკვრით გამოგვყარეს კარში.

ხმა (ბრბოში). შენმა ქარისკაცებმა თითზე გადასახვევიც აღარაფერი შეგვარჩინეს!

სხვები. ო, მბრძანებელო, მბრძანებელო, რატომ წაგვართვი ჩვენი სარჩო-საბადებელი?

იულიანო. კიდევაც მეკითხებით?.. მოგახსენებთ, უმეცარნო! თუ რამ წაგართვით, მხოლოდ და მხოლოდ თქვენსავ სასიკეთოდ. თქვენივე სულის სახსნელად და საცხოვნებლად! რა თქვა გალილეველმა? — ნუ იხვევთ და იუნჩებთ ნურც ოქროს და ნურც ვერცხლსაო! განა თქვენმა მოძღვარმა არ გასწავლათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ცათა სასუფიველში შესვლა? აქ, იქ მომახსენებთ მაღლს იმის სანაცვლოდ, რომ შეძლებისდაგვარად შეგიმხუბუჭეთ ძნელი და საჭირველად სავალი გზა!

ფილოსოფოსები. ო, რა უებროდ მოაქცია სიტყვა?!

აკოლინარიოსი. ხელმწიფეო, შენ წაგვართვი ის, რაც ოქრო-ვერცხლზე უფრო ძვირად გვიღირს. შენ წაგვართვი სიტყვა უფლისა; შენ წაგვართვი ხალხრთა წერილი.

იულიანო. გიციობ, გიციობ, შე სვედაგსილო მეფხაღმუნევი! აკოლინარიოსი არა ხარ? მე მგონია, მთელი თქვენი ბრყვული წიგნებიც რომ წაგართვათ, შენ სახელდახელოდ შეთხზავ რაიმე არანაკლებ ბრყვულს. მაგრამ მე გეუბნები შენ, უბადრუკო მქლახნელო და ღექსთა მჩმახველოსარც ერთი კეშმარტი ბერძენი არ შეიბღალავს ბაგეს და ყურს შენი ღექსებით. იცოდე, შენი ნაცოდვილარი, რომელიც ამას წინათ გამომიგზავნე თავხედური სათაურით — „კეშმარტება“, უკვე წავიკითხე, გავიგე და განაჩენიც გამოვუტანე.

აკოლინარიოსი. შეიძლება მართლაც წაიკითხე, მაგრამ გაგებოთ კი ვერ გაგიგია, თორემ განაჩენს ხომ აღარ გამოუტანდი.

იულიანო. ჰა-ჰა-ჰა! პასუხი, რომელზედაც ახლა ვმუშაობ, დაგიმტკიცებს, გავიგე თუ ვერა... რაც შეეხება წიგნებს, რომელთა გამოც ახლა ასე ვაგლახად ბღავით, მოგახსენებთ, რომ ხუთ მაღე ჩაღის ფასიც აღარ შერჩებათ თქვენს თვალში, რადგანაც ცხადი გახდება, რომ იესო ნაწარვეელი ცრუპენტელა და ყალთახანდი იყო.

ქალები. ვაი ჩვენს თავს უბედურს! ვაი და უი!

კირილი (ბრბოს გამოეყოფა). რა ბრძანე, იმპერატორო?

იულიანო. განა თქვენმა ქვარცმულმა იუდეველმა ხმამაღლა არ განაცხადა, იერუსალემის ტაძარი უკუნისამდე დანგრეული დარჩებაო?

კირილი. ამინ!

იულიანო. ო, უგუნურნო! სწორედ ამ წუთას მხედართმთავარი იოვიანე ორი ათას მუშათან ერთად იერუსალემში იმყოფება, რათა ნანგრევებიდან აღადგინოს ტაძარი, მთელი თა-

ვისი ხიდიადით და ბრწყინვალეებით! მოითმინეთ, ცოტაც მოითმინეთ, ურწმუნონო, და თქვენი თვალით დაინახეთ, ვინ უფრო ძლიერია: კეისარი თუ გალილეველი?

კირილე. დიახ, მბრძანებელო, შენდა სავალალოდ, თვითონვე დაინახავ ამას. შენ ვსდუმდი, სანამ მაცნოვარი არა შეგვიგინე და ცრუ უწოდე მას, ახლა კი გეტყვი, რომ მთელი შენი ძალმოსილება არაფერია ჭვარცმულის ძალასთან შედარებით!

იულიანე (თავის შეკავებას ედილობს). ვინა ხარ? სახელი მითხარი!

კირილე (უხალგვდება). მოგახსენებ. უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანული გარდაცვალებული. მაგობ კიდევ ამ საპატოო სახელით, რომელიც არახოდეს აღიგვება მიწის პირისგან. გარდა ამისა კირილე მქვია და ამ სახელით მიცნობენ ჩემი დები და ძმები. და თუ შეუბღალავად დავიცავ ჩემს პირველ სახელს, ჭიღდოდ მოვიმკი საუკუნო სიცოცხლეს...

იულიანე. სცდები, კირილე! ხომ იცი, ასე თუ ისე ვზიარებთ ნაგ თქვენი მოძღვრების ყველა საიდუმლოს. დამერწმუნე, ის, ვისზედაც ამყარებ მთელ სასოებას, სულაც არაა იმნარი-ძალის მფლობელი, შენ რომ გგონია. აკი თვითონვე მოკვდა, დიახ, ქრესტიანულად მოკვდა რომის იუდეველი პროკურატორის პონტიუს პილატეს დროს.

კირილე. არა, მე კი არა, თვითონ შენ სცდები, იმპერატორო. შენ მაშინ უარყავ იესო ქრისტე, როცა ქვეყნის მეუფედ დაგხვა.

ამიტომაც წინასწარ გაუწყებ მისი სახელით, რომ მალე წაგარომეფს მეუფებას და სიცოცხლესაც. მაშინდა შეიცნობ — მაგრამ უკვე გვიან იქნება — მის ძალას, ვისაც ახლა შენი სიბრძნის გამო წიწლით უყურებ.

დიახ როგორც შენ დაივიწყე მისი სიკეთე, ისიც ასევე დაივიწყებს თავის უწინდელ სიყვარულს შენ მიმართ, როცა აღხდება, რათა დაგხაჯოს.

შენ დაამხე მისი საკურთხეველი, — ის ტახტიდან ჩამოგაგდებს და დაგამხოვს. შენ თავს იტყვევდი, როცა ფეხქვეშ თელავდი მის სჯულს, სწორედ იმ სჯულს, ოდესღაც თვითონვე რომ უქადაგებდი მოწრმუნეთ. ამიტომ უფალიც გაგთელავს თავისი ქუსლით. შენს სხეულს, მტვრად და ნაცრად ქცეულს, ქარს გაატანენ, სულს კი ჩააგდებენ გეენის ცეცხლში, სადაც უარესი ტანჯვა ელის, ვიდრე ის საწარელი წამება, რომელიც შენ შეგიძლია მოიგონო ჩემთვის და ჩემი ძმებისათვის.

ქალები მოთქმა-გოდებით შემოეხვევიან კირილეს.

იულიანე. ჩემი ნება რომ იყოს, ნამდვილად მოგიტყვებდი, კირილე. უკვდავი ღმერთები მემოწმებთან, რომ არა მძულხარ შენი რწმენის გამო. მაგრამ შენ მგმობ და შეურაცხყოფ იმპერატორის ძალაუფლებას და სწორედ ამიტომ იძულებული ვარ, დაგხაჯო. ფრომენტინუს, წაიყვანე ეს კაცი, დიღებში ჩააგდე და უთხარი ქალათ ტიფონს, იმდენი ურტყას, სანამ არ აღიარებს, რომ ამქვეყნად გალილეველი კი არა, კეისარია ყოვლისშემძლე.

ბრიგოლ ნაზინაზელი. მტკიცედ დეგ, ძმაო ჩემო კირილე!

კირილე (ცის მიმართ ალაპრობს ხელს). დანო და ძმანო, ნეტარად შემირაცხავს ჩემი თავი, რამეთუ უფალმა ჩემმა ამირჩია თავისდა სადიდებლად!

ქარისკაცები ხელს სტაცებენ და მიათრევენ.

ქალები (საწყალობლად მოსთქვამენ). ვაი ჩვენს თავს! წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავ, განდგომილო!

იულიანე. გარეგეთ, გარეგეთ ეს პირუტყვები! ქალაქიდან განდევნეთ, როგორც მემხოხენის მეტს ვეღარ მოვითმენ ამ საკერპეს, სიბილწეს და მკრებელობას!

მცველები დაერევიან და დაიფრენენ ქრისტიანებს, რომლებიც ხმამაღლა ტირიან. როდესაც ბრბო გაიფანტება, იმპერატორს და მის ამალას თვალწინ წარმოუდგებათ ასეთი სურათი: ეკლესიის წინ აგდია კაცი, რომელსაც ტანსაცმელი შემოხვეია და თავზე ფერფლი აქვს წაყრილი.

მრთ-მრთი ჯარისკაცი (მუშის ტარს წაჰკრავს). აეთრიე და მოუსვი აქედან!

ბბცი (თავს აიღებს). გამქედეთ, ფეხით გამქედეთ გამტკნარებული შარილი, უფლის მიერ უარყოფილი!

იულიანე. ო, უკვდავო ღმერთებო... ეკივოლიუს!

ეკივოლიუსი. არა, ეკივოლიუსი აღარა მქვია. ამიერიდან უსახელო ვარ, რადგანაც ვულა-ლატე ნათლისდებას, რომელმაც სახელი დამარქვა.

იულიანე. ადექი, მეგობარო, შენ ავადა ხარ.

ეკივოლიუსი. იუდას ძმა კეთროვანია. განვიდ ჩემგან!

იულიანე. ო, ღერწამივით მერყევო კაცი!

ეკივოლიუსი. განვიდ ჩემგან, განვიდ, მაცთურო! მიმიფურთხებია შენი ოცდაათი ვერ-

ცხლისთვის განა წერილი არ ბრძანებს: დაუტევე ცოლი შენი და შეიღწე შენი, და შეუდეგ უფალსა შენსა? მე კი?.. ცოლშვილის გულისთვის გავყიდე უფალი ღმერთი ჩემი ვაიმე. ვაიმე, რაღა შეშველება წარწყმედილს? (ხელახლა ემხოდა პირქვე).

იულიანო. აჲ რა სიშლეგეს ავრცელებს ქვეყნად საღმრთო წერილი. მაშ, არ დაეწვა? არ ამოვძირკვო?

მოითმინეთ, ერთი წელიც არ გაივლის, რომ იუდეველთა ტაძარი ხელახლა აღმოშობება სიონის მთაზე, და მისი ოქროცურვილი გუმბათის ბრწყინვა კიდევ უფრო განათლებს მთელი დედამიწის პირს, რათა ყველა ხალხს ამცნოს: ცრუ, ცრუ, ცრუ! (სწრაფი ნაბიჯით მიემართება, ამაღლა უკან მოსდევს).

გზატყეცილო ქალაქგარეთ. ხელმარცხნივ გზის პირას, მიწიდან ამოჩრილ ჭირკვებს შორის კიბულეს ქანდაკება დგას. შორიახლოს წყარო მორაკრავებს, რომელიც ქვებით ამოყვანილ წყალსაცავს ერთვის. საღამო ხანია.

ქალღმერთის ქანდაკების კვარცხლბეკთან, კიბის საფეხურზე ზის მოხუცი ძურშმი; მუხლებზე თავგადაკრული კალათი უდევს. წყალსაცავს ძაღლები და ძაძვები შემოხვევიან და წყალს იღებენ. გზაზე გამელელები ჩანან, ზოგი ქალაქიდან მოდის, ზოგიც ქალაქს მიეშურება. ხელმარცხნივ გამოჩნდება მღვდელი ფოკიონი. ღარიბულად აცვია; თავზე მოზრდილი ფუთა უდევს. მის საპირისპიროდ, ქალაქიდან მოდის დალაქი მვნაპიოსი.

ფოკიონი. ეგვი, ძმაო ევნაპიოს, ნამდვილი კარისკაცივით გამოპრანჭულხარ!

მვნაპიოსი. ფუჰ, შეგარვენოს ღმერთმა! რას დასცინი საწყალ კაცს?

ფოკიონი. დასცინიო? მე კი შეგონა, კარისკაცობა უმაღლესი პატივი იყო და არა დაცინვა.

მვნაპიოსი. დიახ, პატივი! მეტი აღარ იქნება! ახლა პატივად იმასა თვლიან, რომ ძონძე-ბი გეცვას, შით უმეტეს, თუ წყალსადენ არხში კაი დიდხანსაა ნაყარი.

ფოკიონი. როგორ გგონია, რითი დამთავრდება უოველივე ეს?

მვნაპიოსი. რითიც უნდა, იმით დამთავრდეს, მაგაზე დამიდგა დარდი. მე ვიცი, რითი დამთავრდა ეს ჩემთვის, დანარჩენი წყალსაც წაუღია.

ფოკიონი. ნუთუ იმპერატორს აღარ ემსახურები?

მვნაპიოსი. რაში სჭირდება იმპერატორს დალაქი? მე შენ გეტყვი, თმა-წვერს იპარსავს; ის კი არა და, სავარცხელსაც აღარ იყარებს. შენ რაღასა იქმ? თუმცა ვატყობ, არც შენ უნდა გიღხინდეს.

ფოკიონი. ეჰ. ევნაპიოს, წავიდა ის დრო, წითელი საღებავები რომ სჭირდებოდა ხალხს.

მვნაპიოსი. მართალია, ახლა წითლად მხოლოდ ქრისტიანების ზურგებს ღებავენ. ეგ რა მიგაქვს?

ფოკიონი. ტირიფის ქერქის კონა. სხვა რა დამჩენია, ტაკიმასხრების ტალავარი უნდა შევუღებო ფილოსოფოსებს.

მარცხენა მხრიდან გამოჩნდება ჯარისკაცების რაზმი და კიბულეს ქანდაკების წინ ჩერდება.

(შეკრებილთა შორის ერთ-ერთ მოქალაქეს მიმართავს). რას ნიშნავს ეს?

მოქალაქე. ისევ ქვის ქანდაკებას უნდა ამოუყორონ მუცელი.

ფოკიონი. განა იმპერატორი ამ საღამოს მსხვერპლს სწირავს აქ?

მეორე მოქალაქე. მეტი რა საქმე აქვს? ხან ერთგან სწირავს მსხვერპლს, ხან მეორეგან.

ქალი. ღარიბებისთვის ნამდვილი უზედურებაა, რომ ახალ იმპერატორს ასე ძალიან უვარს ღმერთები.

მეორე ქალი. რას ამბობ, დიონა? განა ყველას არ უნდა გვიყვარდეს ღმერთები?

პირველი ქალი. შეიძლება, მაგრამ ეს მაინც უზედურებაა.

ერთ-ერთი ბავი. შეხედეთ, მოდის!

გზაზე გამოჩნდება ქერუმის სანოსით მოსილი იმპერატორი იულიანო, ხელში სამსხვერპლო დანა უჭირავს; იმპერატორს გარს ახვევიან სოფისტიები, ძურშმები, ტაძრის მსახურნი და მცველები, რომლებსაც უკან მოსდევს ცნობისმოყვარე მოქალაქეთა ბრბო, ზოგი უკმაყოფილებას გამოთქვამს, ზოგი იცინის.

ერთ-ერთი მოქალაქე. ესეც ქალღმერთი! ახლა დაიწყება ხეირი.

ხნიერი ბავი. შენი აზრით, ეს ხეირია? რამდენი მშვიერის დაპურება შეიძლებოდა იმით, რაც აქ ტყუილად გადაიურება.

იულიანე (ქანდაკებას უახლოვდება). ო, ეს სანახაობა ჩემი გული აღტაცებითაა სავსე, თვალები კი — მწუხარების ცრემლით!

ან კი როგორ არ უნდა ვტიროდე, როცა გამახსენდება, რომ მკრეხელთა ბილწი ხელები დამხობილი ჩვენი სათაყვანებელი ქალღმერთის ეს ქანდაკება ამდენ ხანს თითქმის მივიწყებული ეგდო საღათის ძილში დანთქმული. თანაც იმნაირ ადგილას, რომ თქმაც კი გულს ურევს კაცს.

ცნობისმოყვარეთა ბრბოში ჩუმი ხითხითი ისმის. (შეაცრად გადახედავს შეკრებილთ.) მაგრამ გული არანაკლები სიხარულით შეგხვდება, რომ სწორედ შე მხვდა წილად იმის პატივი, რომ ესოდენ უღირსი მდგომარეობიდან დამეხსნა დედა-ქალღმერთი.

ან კი როგორ არ უნდა ვხარობდე ამის გაფიქრებისას? ჩემზე ამბობენ, რომ რამდენიმე გამარჯვება მოვიპოვე ბარბაროსებზე, რის გამოც ხოტბას მასხამენ და ლამის ცაში ამიყვანონ ქება-დიდებათ. მაგრამ პირადად მე გაცილებით უფრო მეტად ვაფასებ იმას, რასაც უკვდავი ღმერთების ხადიდებლად ვასრულებ, რადგან სწორედ მათ უნდა ვუძღვნიდეთ მთელ ჩვენს უნარს, ზრახვას, გულისთქმას (წყალსაცავთან შეკრებილ ბრბოს მიმართავს).

თუშეცა იმის დანახვაც მსიამოვნებს, რომ ამ ჩამყაყუბულ ქალაქში მაინც აღმოჩნდა ერთი მუტა ხალხი, რომელმაც ყურად იღო ჩემი მოწოდება და აქ მობრძანდა, როგორც გვიწოდებდნენ ღვთისმოსავის ვალი. ეგვიც არ შეპარება, რომ ღმერთებს მათი საკადრისი ძღვენი მოაქვით. (მოხუც ქურუმთან მიდის.) ამას რას ვხედავ? მხოლოდ ერთი, ერთადერთი ბერიკაცი! სად არიან შენი მოძმენი?

ქურუმი. ხელმწიფეო, ცოცხალი მარტო მე დავრჩი. იულიანე. ამოწყვეტილან... გზატკეცილი მეტისმეტად ახლოსაა ქანდაკებასთან... წმინდა ქალა გაუჩნებიათ... მსხვერპლი სადღაა, მოხუცო?

ქურუმი (კალათზე ანიშნებს). აი აქ, ხელმწიფეო! იულიანე. კარგი, კარგი, დანარჩენი?

ქურუმი. სულ ესაა. (კალათას თავს ახდის.) იულიანე. ბატო! და შენ ამბობ, რომ სულ ესაა მთელი მსხვერპლი?

ქურუმი. დიახ, ჩემო ხელმწიფეო! იულიანე. კი მაგრამ, ვინაა ის ღვთისმოსავი კაცი, ქალღმერთისათვის ესოდენ უშურველი მსხვერპლი რომ მოუერთმევია?

ქურუმი. მე თვითონ მოვართვე ნუ. შემრისხავ, ხელმწიფეო, მეტი არაფერი შებადა. ბრბო ყაყანებს და იციან.

ბაუბიდავი ხმამი. ეგეც საკმარისია. ერთი ბატოც თავს ახდის. იულიანე. ო, ანტიოქია! რა სასტიკად სცდი ჩემს მოთმინებას!

ვილაციის ხმა (წყალსაცავთან შეკრებილ ბრბოში). ჯერ ღუკმაპური და შემდეგ მსხვერპლი!

ფოკიონი (აქეზებს). აი, ეს შესისი! მემრო. შენ ხალხი დააპურე, ღმერთები თვითონ მოუვლიან თავიანთ თავს!

მესამე. „ქი“-სა და „კაპა“-ს დროს უკეთ ვცხოვრობდით!

იულიანე. ებ, თქვე ავყია ყბედებო, ღმერთებმა დაგლახვრონ თქვენი „ქი“-თა და „კაპა“-თი. თქვენ გგონიათ, არ ვიცი, ვისაც გულისხმობ? შა-შა-შა, ვიცი, მშვენივრად ვიცი ვისა და ქრისტეს და კონსტანციუსს. მაგრამ მათი შეუფება წარსულს ჩაბარდა. დამერწმუნეთ, არ გამიჭირდება გამოგნაბო სათანადო საშუალება, რათა დავთრგუნო თქვენი სიკერპე და უმადურება, რასაც არა მარტო უკვდავი ღმერთების, არამედ ჩემ მიმართაც იჩენთ. თქვენ მგმობთ იმის გამო, რომ ღმერთებს მათ საკადრის პატივს მივაგებ. თქვენ დამცინით იმის გამო, რომ პორფირს ღარიბული სამოსი ვარჩიე და წვერი მოვუშვი. დიახ, ეს ჩემი წვერი თვალში ეკალივით გესობათ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე უდიერად იხსენიებთ და თხის წვერს უწოდებთ მას. მაგრამ მე გეუბნებით, ბრძულებო, რომ ეს ბრძენკაცის წვერია. დიახ, მე არ მრცხვენია ვალიარო, რომ ამ წვერს პარაზიტები აფარებენ თავს, როგორც გარეული ფრინველი — ბუჩქნარს. მაგრამ მე უფრო ღირსეულად ვატარებ ამ შეგინებულ წვერს, ვიდრე თქვენ — სუფთად გაპარსულ ნიკაბს.

ივნაკიონი (ჩუმად). სიბრწყვია, ნამდვილი სიბრწყვია!

იულიანე. ხომ არ გგონიათ, რომ უპასუხოდ დავტოვებ ამ თქვენს დაცინვას? არამც და არამც! მოითმინეთ, უფრო მალე მიიღებთ პასუხს, ვიდრე მოელოდით. ახლა მე ვწერ თხზულებას, რომლის სათაურია „წვერთმოდული“ და იცით, ვის წინააღმდეგაა მიმართული იგი? თქვენ წინააღმდეგ! დიახ, თქვენ წინააღმდეგ, ანტიოქიელი მოქალაქეო, რომელთაც ჩემს

თხულებში „უმეტარ ქოყაებს“ გიწოდებთ. იქ იპოვით ყოველივე იმის პასუხს, რაც ახლა ასე უცნაური გეჩვენებათ ჩემს კვივაში.

ფრომენტინუსი (მარჯვნიდან შემოდის). ხასხარულად ამბავი მომაქვს, მბრძანებლო, კირილემ უკვე ქედი მოიხარა....

იულიანი. აბა, ასეც ვფიქრობდი.

ფრომენტინუსი. ტიფონმა იცის თავისი საქმე. ტყვე გააშიშვლეს, მაჭებში თოკი ჩააბნეს და ხახურავზე დაჰკიდეს, ისე, რომ მიწამდე ძლივს უწვდებოდა ფეხის თითებს. შერე ტიფონი ხარის ძარღვებისაგან დაწნული მათრახით მოსდგა; ისე ურტყამდა, რომ მათრახი გველივით ეხვეოდა ტანზე.

იულიანი. ო, ეს უკეთურნი, რომლებიც გვაძულდებენ ამნაირ სასჯელს მივმართოთ!

ფრომენტინუსი. შეგვეშინდა, სული არ ამოხდესო, და ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გავხდით ჩამოგვხსნა გაკერპებული. ერთხანს ხმა არ ამოუღია, ფიქრში წასულივით დუმდა და უცებ მოითხოვა, იმპერატორთან მიმიყვანეთო.

იულიანი. კეთილი და პატიოსანი. შერედა, მოიყვანე?

ფრომენტინუსი. დიახ, მბრძანებლო, აგერ მოჰყავთ.

ჯარისტაცებს შემოჰყავთ პირილი.

იულიანი. აბა, ჩემო კარგო კირილე, როგორც ვატყობ, ქედმაღლობის ნასახიც აღარ შეგარჩინეს.

პირილი. რაო, ფრინველის ან ცხოველის შიგანზე შერთხობით ხომ არ შეგიტყვია, რის თქმას ვაპირებ?

იულიანი. ოო, მკითხაობისა და მისნობის გარეშეც აღვიღად მიხვდებო კაცი, რომ შენ, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგო, აღარ ვწამს გალილეელის ძალმოსილება და კეისარსა და ჩვენს ღმერთებს მასზე ძლიერად აღიარებ.

პირილი. მაგ ხიმართლით იარე. შენი ღმერთები უძლურნი არიან, და თუ კვლავ ამ ბრმა და ურუ კერპებს გააღმერთებ, მალე თვითონაც მათსავით უძლური გახდები.

იულიანი. კირილე... ესე იგი, ამის თქმა გინდოდა ჩემთვის?

პირილი. არა, შინდოდა მადლობა გადაგიხადა. უწინ შიშით ვძრწოდი როგორც შენი სისასტიკის, ისე შენი ქალათების წინაშეც. მაგრამ წამებამ მომანიჭა ძლიერა, — უბრწუნელმა სულმა სძლია ბრწუნად სხეულს. დიახ, იმპერატორო, როდესაც შენს მსახურებს ეგონათ, რომ შეტკივილებსაგან ვიკრუნჩხებოდი, სინამდვილეში პატარა ბაღლივით ვნებივრობდი მაცხოვრის ხვეწნა-აღერსში, ხოლო როდესაც შენს ქალათებს ეჩვენებოდათ, რომ ნაკუწ-ნაკუწ მგლეჭდნენ ხორცს სხეულიდან, უფალი ღმერთი თავის მოწყალე მარჯვენას მიხვამდა და კურნავდა ჩემს წულულებს. მან ამნადა ეკლის გვირგვინი და ხანაცვლოდ ხაუკუნო ხიცოცხლის გვირგვინი დამხურა თავზე.

ამიტომაც გიხდი მადლობას — კაციშვილს არ უქნია ჩემთვის ესოდენ დიდი სიკეთე, როგორიც მიყავი შენ.

ხოლო რომ არ გეგონოს, რომ დღეის იქითაც კვლავ მეშინია შენი, — აბა, შეხედვი (სამოსელს შემოიძარცვავს, წყლულებს გაიპობს და იმპერატორს ფხებვეშ მიუყრის ხორცის ნაფლავებს).

აბა, გასძებ ჩემი სისხლით, რომელიც ახე გწყურია! კირილეზე კი იცოდეთ, რომ მისი წყურვილის მომკვლელიც, მისი ხასოებაცა და მისი სავანეც არის მხოლოდ იესო ქრისტე.

თავზარდაცემულ ბრბოს საზარელი ყვირილი აღმოხდება.

ხმები. ეს ხუხველას უბედურებას დაგვატებს თავზე!

იულიანი (წაბარბაცდება). დაიქით ეს შლეგი, რომ ხელი არ ადმართოს ჩვენზე!

ჯარისკაცები გარს შემოერტყმიან კირილეს და კინწისკვრით მიჰყავთ წყალსაცავისკენ, იმავე წუთს მარჯვენა მხრიდან სიმღერა მოისმის, ქალების გუნდი გალობს.

შეხედო, ფრომენტინუს, ეს რა უცნაური მსვლელობაა?

ფრომენტინუსი. შეფსალმუნებია არიან, მოწყალეო იმპერატორო.

იულიანი. აა, ეს დამთხვეული დედაკაცები?..

ფრომენტინუსი. პრეფექტმა აღექხანდრემ წიგნები წაართვათ, რომლებსაც ისინი წმინდა წიგნებად თვლიან, პოდა, აი, ქალაქიდან გამოჰყვანა, რათა ქრისტიანების საფლავებზე ტირილით მოიხონ გული.

იულიანი (მუშტებს მოკუმავს). ასე ერთიანად რამ გააკერპა ქალიც და კაციც?

მარაგზაზე გამოჩნდება და თანდათანობით ახლოვდება მიფსალმუნო კუბლია ქალების თანხლებით.

პუბლია (მღერის).



თქვენ ოქრო-ვერცხლს აღშერთებთ, ღვთაების ნაცვლად,
მაგრამ უველაფერი იქცევა ნაცრად!



ქმისარი და გალილიველი

ბალების ბუნდი. სისხლი, სისხლი
პუბლია. მუსრს გვაველებთ მახვილით, შოროლით, ისრით,
ზეცას შეშლალადებს მართალთა სისხლი!

ბალების ბუნდი. სისხლი, სისხლი.
პუბლია (თელს მოპკრავს იმპერატორს). აი, ისიც ვაი შენ, უღმერთოვ, რომელმაც და-
სწვი სიტყვა უფლისა.. შენ გგონია, მართლა შეიძლება დასწვა უფლის სიტყვა? შე გიჩვენებ,
სად იწვის, სად ანთია იგი (დანას გამოსტაცებს ერთ-ერთ ქურუმს, მკერდში დაიციებს და ხე-
ლებით გადაიხსნის ქრილობას).

აი, სად ანთია სიტყვა დასწვი, დასწვი ჩვენი წიგნების სიტყვა მაინც იცოცხლებს ხალ-
ხის გულში უკანასკნელ დღემდე! (დანას გადააგდებს).

ბალები (უფრო აღტყინებით მღერიან).

ციცხლს აძლევს ჩვენს წიგნებს, ცას სწვდება ალია, —
სიტყვა ცოცხალია,
მაინც ცოცხალია!

(გარს შემოერთყმინ პუბლიას და მიჰყავთ.)

ხმები (წყალსაცავთან შეკრებილ ბრბოში). ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებასი გალილივე-
ლთა ღმერთი უოვლისმძღვა!

სხმები. სად უველა ჩვენი ღმერთი ერთად და სად გალილიველთა მხოლოდ ერთი ღმე-
რთი!

დანარჩენები. ნუ ვწირავთ მსხვერპლსი ნულარ ვლოცულობთი ეს განარისხებს გალი-
ლიველთა საშინელ ღმერთს!

იულიანე. ო, უგუნურნო! თქვენ გეშინიათ განარისხოთ ის, ვინც დიდი ხნის წინათ მო-
კვდა, გეშინიათ განარისხოთ ცრუ წინასწარმეტყველი?.. ცოტაც მოითმინეთ და დაინახავთ!
ცრუა-მეთქი, ცრუ, თქვენ გეუბნებითი დღე-დღეზე ჩემი სიტყვის დასტურს მოველი იერუ-
საღემიდან...

მარჯვენა მბრიდან, რამდენიმე მიმმრის თანხლებით, სწრაფად შემოდის სამგზავროდ გა-
მოწყობილი და მტვერში ამოგანგლული მხედართმთავარი იოვინანე.
(სიხარულით შეჰყვირებს.) იოვინანე! ჩემი მახარობელი!..

იოვინანე. ეს-ესაა ჩამოველი იუდეიდან. სასახლეში გავიგე, რომ აქ უოფილბარ...

იულიანე. ო, უკვდავო ღმერთებო, სიცრუისათვის ნუ აუურებიანებთ მზეს! როგორაა საქ-
მე? მითხარი, ჩემო იოვინანე.

იოვინანე (ბრბოს გადახედავს). ხელმწიფეო... ამათ წინაშე მოგახსენო?

იულიანე. დიახ, უველაფერი — თავიდან ბოლომდე!

იოვინანე. იერუსაღემში მშენებლების, ჭარისკაცებისა და ორი ათასი მუშის თანხლებით
ჩავედი. დაუყოვნებლივ შევუდგით სამშენებლო ადგილის გაწმენდას და გასუფთავებას, სა-
დაც მთებზეთ აღმართულიყო ძველი კედლების ნანგრევები. ისე ადვილად დავშალეთ ჩვენი
წერაქვებითა და ძალაყინებით, თითქოს უხილავი ძალა გვედგა მხარში...

იულიანე. აი, ხომ ხედავთ?

იოვინანე. იმავდროულად მოვწიდეთ და უზარმაზარ გროვებად დავახვავეთ კირი და ქვა-
ღორღი ახალი ტაძრის ასაგებად. მაგრამ ანაზღად ამოვარდა გრიგალი და მთელი კირი მიმ-
ფანტ-მოჰფანტა, ასე რომ იქაურობა ათასობით სტალიონის მანძილზე თეთრი მტვრის ნისლია
დაჭფარა..

იულიანე. მერე, მერე?

იოვინანე. იმავდ ღამეს რამდენჯერმე იძრა მიწა.

ხმები (ბრბოში). გესმით? გესმით? მიწა იძრაო!

იულიანე. მერე-მეთქი, ვის ვეუბნები?

იოვინანე. ამ საშინელების მიუხედავად, ხულით მაინც არ დავცემულვართ. მაგრამ რო-
დესაც საძირკველი გავთხარეთ, სიღრმეში მიწისქვეშა თაღები გამოჩნდა და ქვისმთლელები
ანთებული ჩირაღდნებით შევიდნენ შიგ...

იულიანე. იოვინანე... მერე რა მოხდა?

იოვინანე. მტრისას, რაც მაშინ მოხდა, მბრძანებელო: თაღებიდან გამოვარდა საშინელი
ალი და თავზარდამცემმა გრიალმა შეაწანწარა მთელი ქალაქი. თაღები ჩამოიქცა და რამდე-

ნიმე ასეული მუშა ქვეშ მოიყოლა. ორიოდე კაციდა გადარჩა, ისიც დამწვარი და დასახინ-
რებული.

ხმა (ჩურჩულით). გალილეველთა დმერთი
იულიანე. როგორ დავიჭერო? შენ თვითონ თუ იყავი იქ?

იოვანე. რა თქმა უნდა... როგორც იქნა, ხელახლა შევუდექით საქმეს და აი, თავზარდა-
ცემული, მუხლმოყრილი, ლოცვებში დანთქმული და წეცის მიმართ სასურველად შეღებობი-
ლი ათასობით კაცის წინაშე ორჯერ წედიწედ განმეორდა იგივე სასწაული.

იულიანე (ფერმიხდილი, ცახცახებს). მერე რა? ერთი სიტყვით, რისი ქმნა შეძლო კე-
ისარმა იერუსალემში?

იოვანე. კეისარმა გაამართლა გალილეველის წინასწარმეტყველება.

იულიანე. გაამართლა?

იოვანე. შენი წყალობით გამართლდა მისი სიტყვები: ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო..

ბალეზი და ბაციბი. გალილეველმა სძლია კეისარი! გალილეველი უფრო ძლიერია, ვიდ-
რე იმპერატორი იულიანე!

იულიანე (ციბელეს ქურუმს). წადი, შინ წადი, ბერიკაცო! და ეგ შენი ბატიც თან წაი-
ყვანე... დღეს აღარ შევწირავთ მსხვერპლს. (ბრბოს მიუბრუნდება.)

მე გავიგონე, ზოგიერთმა თქვენგანმა თქვა, რომ გალილეველმა სძლია. ერთი შეხედვით
მართლაც ასე ჩანს, მაგრამ მე გეუბნებით, ეს შეცდომაა... დამიჯერეთ, უვიცნო, უგუნურნო.
საცოდავებო, — მაღლე ყველაფერი შეიცვლება.. მე... მე... დიახ, მაცალეთ! უკვე ვამზადებ
თბზულებას გალილეველის წინააღმდეგ. სულ შვიდი თავი იქნება და როცა გალილეველის მიმ-
დევრები წაიკითხავენ... მასაც და ჩემს მეორე თბზულებასაც „წვერმოძულეს“...

ხელი მომეცა, ფრომენტიუსს! ამ სიკვრებმ გუნება გაშიფუჭა! (წყალსაცავს რომ ჩაუე-
ლის, წარსკაცებს მიმართავს.) გაუშვით კირილე!

ბრბო (წყალსაცავთან ხმამაღლა ხარხარებს და უკან მისძახის), აგერ მიეთრევა უასაბო-
უხუცესი.. ბანჯვლიანი დათვი გრძელმკლავა მაიმუნის!

აპოლონის ტაძრის ნანგრევები. მთვარიანი ღამეა. წაქცეულ სვეტებს შორის მოდიან იმ-
პერატორი იულიანე და მისტიკოსი მამსნიმი. ორივეს გრძელი მოსასხამი აქვს მოსხმული.

მამსნიმი. საით გაგიწევია, ძმავო ჩემო?

იულიანე. განმარტოება მომიწდა.

მამსნიმი. კი მაგრამ, აქ?.. ამ უდაბურებასა და ხანაგვედ ქცეულ ნანგრევებში?..

იულიანე. განა მთელი სამყარო ნავის ერთიანი გროვა არ არის?

მამსნიმი. მაგრამ შენ ხომ დაამტკიცე, რომ ის, რაც დაინგრა, შეიძლება აღდგენილ იქნეს.

იულიანე. ნუ დამცინი. ათენში მე ვნახე ერთი უბადრუკი მეჭადაგი, რომელსაც პატარა
სახელოსნო მოეწყო თესვისის ტაძარში. რომში გავიგე, რომ იულიუსის ბაზილიკა ბოსლად
უქცევიათ და შიგ კამერებს ამწყვდევინ თურმე. ამასაც აღდგენა ჰქვია?

მამსნიმი. რატომაც არა? განა ყველაფერი თანდათანობით არა ხდება? და განა ნაწილე-
ბისაგან არ ითბზვის ყოველი ნივთი? რა არის მთელი, თუ არა ნაწილთა ქაში?

იულიანე. უბადრუკი სიბრძნეა! (აპოლონის დამხობილ ქანდაკებაზე ანიშნებს.) შეხედე
ამ უცხვირო თავს, ამ დამსხვრეულ იდაყვს. განა ეს მახინჯი ნაწილები, ერთად აღებული, ძვე-
ლი, ღვთაებრივად მშვენიერი მთელია?

მამსნიმი. რა იცი, რომ ის ძველი მშვენიერება თავისთავად იყო მშვენიერი და არა მხო-
ლოდ მის მჭვრეტელთა აქტმაში?

იულიანე. ეჰ, მამსნიმე, მამსნიმე, საქმეც ეგ არისი რა არსებობს თავისთვის და თავისთა-
ვად? დღეის იქით მე აღარ ვცნობ არაფერს ამგვარს. (ფებს წაპკრავს აპოლონის თავს.) ოდრ-
ხლაც მაინც თუ იყავი უფრო ძლიერი თავისთავად, ვიდრე ამჟამად? უცნაურია, რა ძალა შეი-
ძლება მკონდეს ცთომილებას, მამსნიმე. ავიღოთ თუნდაც გალილეველი. ანდა ამიღე მე, რო-
გორც ვიყავი უწინ, როცა შესაძლებლად ვთვლიდი მშვენიერების დამხობილი სამყაროს აღ-
დგენას.

მამსნიმი, ჩემო ძმავო და მეგობარო... თუ შენთვის აუცილებელია ცთომილება, დაუბრუნ-
დი გალილეველებს... მათ სიხარულს საზღვარი აღარ ექნება.

იულიანე. შენ კარგად იცი, რომ ეს შეუძლებელია. კეისარი და გალილეველი როგორ
შევირიგოთ შეურიგებელნი?

დიახ, ეს იესო ქრისტე უდიდესი მებაობეა, ვისაც ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად. ვინ არ-
იან ბრუტუსი ან კასიუსი მასთან შედარებით? მათ მოჰკლეს მხოლოდ იულიუს კეისარი, ის
კი კლავს ყველა კეისარს და ავგუსტუსს საერთოდ. განა შესაძლებელია ზავის ჩამოგდება



კეისარსა და გალილეელს შორის? ორივეს ეყოფა ადგილი დედამიწაზე? რადგან ის დედამიწაზე ცხოვრობს, მაქსიმე მე გეუბნები, გალილეელი ცოცხალია, თუმცა იუდეელებსა და რომაელებს კი ეგონათ, — და არცთუ სრულიად უსაფუძვლოდ, — რომ სიკვდილით დასაჯეს იგი. დიახ, ის ცოცხლობს ადამიანის მეთაბობზე სულში, მის უტებ ნიკერპესა და ბრმა სიძულვილში ყოველგვარი ამქვეყნიური ძალაუფლების მიმართ.

„შიაგე კეისარს კეისარისა, ხოლო ღმერთს — ღმერთისა“. არასოდეს კაცს რაღაცეა უნდა ცდენია უფრო მზაკვრული რამ. რა იმალება ამ სიტყვებს მიღმა? მაინც რაქნენ ამ სიტყვებს და მიეგოს კეისარს? ეს სიტყვები ჩუგლუგსა მგვანან, ერთი დაკვრით რომ ამსხვრევს კეისარის გვირგვინს.

მაქსიმე. მაგრამ კონსტანტინე დიდმა ხომ შეძლო შეწყობოდა და შეთვისებოდა გალილეელებს... ისევ, როგორც შენმა წინამორბედმა...

იულიანე. დიახ, ვინც მათსავითო შცირედს სჯერდება.. მაგრამ განი ეს სამყაროს მბრძანებლობასა ნიშნავს? კონსტანტინემ განავრცო თავისი საბრძანებლის ააზღვრები, მაგრამ განი იმავდროულად არ შეზღუდა და შეავიწროვა თავისა სულისა და ნების საზღვრები? თქვენ მეტისმეტად აამაღლებთ ეს კაცია იმით, რომ დიდი უწოდებთ მას. ჩემს წინამორბედზე აღარაფერს ვიტყვი, ის უმაღლ მოწა იყო, ვიდრე იმპერატორი, ჩემთვის კი მარტოოდენ სახელი არ კმარა.

არა, არა, დაწავებაზე ფიქრიც კი ზედმეტია! მით უმეტეს, დანებებაზე.. ო, მაქსიმე, ამნაირი მარცხის შემდეგ მე მრცხვენია იმისა, რომ იმპერატორი მერქვას, მაგრამ არც ძალაუფლებაზე ხელის აღება ძალშიცხ.

მაქსიმე. შენ შეგიძლია განმარტო ნიშნები და სასწაულები, რომელთა იდუშალი აწრიც სხვებისათვის დაფარულია. შენ კითხულობ მარადიულ ვარსკვლავთა წიგნის ასოებს — თუ შეგიძლია მიწინასწარმეტყველო ამ ბრძოლის შედეგი?

მაქსიმე. დიახ, ძმავ ჩემო, შე შეგიძლია წინასწარ გაუწყო შედეგი.

იულიანე. შეგიძლია? მაშინ მითხარი, ვინ გაიმარჯვებს, კეისარი თუ გალილეელი?

მაქსიმე. ორივენი გაქრებიან, კეისარიც და გალილეელიც.

იულიანე. გაქრებიან?..

მაქსიმე. დიახ, ორივენი.. არ ვიცი, ახლავ თუ ასი წლის შემდეგ, მაგრამ ჩემი სიტყვა ახდება, როცა ქვეყანას მოვევლინება ჭმშმარნი.

იულიანე. ვინაა ჭმშმარნი?

მაქსიმე. ვინც შთანთქავს კეისარსაც და გალილეელსაც.

იულიანე. გამოცანას კიდევ უფრო ბნელი და ბუნდოვანი გამოცანით ხსნი.

მაქსიმე. ყური მივდებ, ჭმშმარნიტების მდგომარო და ძმავ ჩემო! მე ვამბობ, ორივენი გაქრებიან-მეტქი, მაგრამ გაქრობა დაღუბვას როდო ნიშნავს. განა ბავშვი ჭაბუკში არ ქრება, ხოლო ჭაბუკი თავის მხრივ, — მოწიფულ კაცში? მაგრამ არც ბავშვი იღუბება და არც ჭაბუკი... ხოლო შენ, ჩემო ძვირფასო შეგირდო, დაივიწყე ჩვენი საუბრები ეფესში, საუბრები სამსამეფოზე?

იულიანე. ეჭ, მაქსიმე, მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა! თქვი, რას გულისხმობ?

მაქსიმე. როგორც მოგეხსენება, მე არასოდეს არ ვუჭერდა მხარს იმას, რასაც შენ სწადიოდი ტახტზე ასვლის შემდეგ. შენ გინდოდა კვლავ ბავშვად გექცია ჭაბუკი. ხორციის სამეფო უკვე შთანთქა სულის სამეფომ, მაგრამ სულის სამეფო საბოლოო მდგომარეობა როდია, ისევ როგორც ხიჭაბუკე. შენ გინდოდა გასაქანი არ მიგცა ჭაბუკის წადისათვის, ხელი შეგეშალა იმაში, რომ მოწიფულ კაცად ქცეულიყო... უგუნურო, მომავლის წინააღმდეგ, მესამე სამეფოს წინააღმდეგ აღმარადე ხმალთ, სამეფოისა, რომელშიაც მბრძანებლად მოგვევლინება ირადი!

იულიანე ვის გულისხმობ?

მაქსიმე. ვისაც იუდეელები მესიად უხმობენ და მოელოიან.

იულიანე (ნელა დაფიქრებით). მესიად?.. ესე იგი, არც კეისარი და არც გალილეელი?

მაქსიმე. ორივე ერთში და ერთი ორივეში.

იულიანე. მეუფე-ღმერთი, ღმერთი-მეუფე. მეუფე სულის სამეფოში, ღმერთი — ხორცისაში.

მაქსიმე. აი, ის, მესამე სამეფო, იულიანე!

იულიანე. დიახ, მაქსიმე, აი, ის — მესამე სამეფო!

მაქსიმე. ამ სამეფოში წინამორბედის მეთაბობური ეფენი ჭმშმარნიტებად იქცევა.

იულიანე „შიაგე კეისარს კეისარისა, ხოლო ღმერთს — ღმერთისა“. დიახ, დიახ, როცა

კეისარი ღმერთში იქნება, ხოლო ღმერთი — კეისარში... ო, ზმანებები, ზმანებები ვინ გაბ-
ტენს გალილეელის ძალას?

მაქსიმე. რაშია გალილეელის ძალა?

იულიანე. ამაოდ მიუიქრია ამაზე.

მაქსიმე. სადღაც თქმულა: „ნუ გეყოლება სხვა ღმერთები, ჩემ გარდა“

იულიანე. დიახ... დიახ.. დიახ!

მაქსიმე. ნაწარველი წინასწარმეტყველი არ ქადაგებდა ამა თუ იმ ღმერთს; ის ამბობდა:
ღმერთი ჩემშია, ხოლო მე — ღმერთში.

იულიანე. დიახ, უოველივე ეს ჩვენ გარეშეა.. აი, რატომაა კეისარი უძლური. მესამე
სამეფო? მესია? არა იუდეველთა მესია, არამედ ხულიერი და მიწიერი სამეფოსა?

მაქსიმე. ღმერთი-მეუფე.

იულიანე. მეუფე-ღმერთი.

მაქსიმე. ლოგოსი — პანში, პანი — ლოგოსში.

იულიანე. როგორ მოგვევლინება, მაქსიმე?

მაქსიმე. ის მოგვევლინება თვითმსურველის ხაზით.

იულიანე. ჩემო ძვირფასო მოძღვარო... უნდა დაგტოვო.

მაქსიმე. ხაით?..

იულიანე. ქალაქში. სპარსეთის მეუფემ ზავი შემომთავაზა, რომელიც მე წინდაუხე-
დავად მივიღე. ჩემი ელჩები უკვე გზას ადგანან, უნდა დავაბრუნო.

მაქსიმე. საპორთან ომის განახლებას აპირებ?

იულიანე. მე უნდა მივადწიო იმას, რაზედაც ოცნებობდა კიროსი და რის მიღწევასაც
ცდილობდა ალექსანდრე მაკედონელი.

მაქსიმე. იულიანე!

იულიანე. მე უნდა დავიმორჩილო მთელი მსოფლიო.. ღამე მშვიდობისა, ჩემო მაქსიმე!
(ხელს უქნევს გამოთხოვების ნიშნად და სწრაფი ნაბიჯით მიდის).

მაქსიმე ჩაფიქრებით აყოლებს თვალს.

მეფსალმშენითა გუნდნი (შორს, მოწამეთა საფლავებზე მოსტვენას თუ მღერის).

თქვენ ოქრო-ვერცხლს აღმერთებთ, ღვთაების ნაცვლად,

მაგრამ ყველაფერი იქცევა ნაცრად!

ნაცრად!

ნაცრად!

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქველბერძნულიდან

თარგმნა რომან ვიშინოვილმა

მოსხოსი

ეროტი

გვერდზე გადასდო ჩირალდანი და მშვილდ-ისარი.
ხელთ ჰქონდა სახრე, მხარზე — აბგა მშვენიერ ეროტს.
მძიმე უღელი მორჩილ ხარებს დაადო ქედზე
და ქალღმერთ დეას ხოდაბუნის თესვა დაიწყო.
ზეცას შეხედა, ზევსს მიმართა: „მორწყე ეს ყანა,
თუ არ გსურს — უღელს შევაჩვიო ევროპეს ხარი!“

აფროდიტე

ასე ღაღადყო აფროდიტემ ეროტის გამო:
„გაქცეულ ეროტს, შარაგზაზე მოხეტიალეს,
ვინც მომიძებნის, ის რა კაციც არ უნდა იყოს,
ჩემგან მიიღებს ჯილდოდ კოცნას, ხოლო ვინც მომგვრის,
არათუ კოცნას, რაღაც სხვასაც დაიმსახურებს...
ყმაწვილს ადვილად ოც ყმაწვილში გაარჩევს კაცი,
არ არის თეთრი, უფრო ცეცხლს ჰგავს, სასტიკ თვალებში
ალი უელავს, ბოროტმზრახველს ტკბილი აქვს სიტყვა:
სულ სხვასა ფიქრობს და სხვას ამბობს, თაფლივით ხმა აქვს,
სამსალასავით მწარე ზრახვებს ინახავს გულში
მაცდური ბავშვი და სასტიკი ხუმრობა იცის.
უხვი კულუღი, უშიშარი შუბლი ამშვენებს,
ფუმფულა ხელით ისე ტყორცნის პატარა ბიჭი,
რომ ისრით სწვდება აქერონტს და ჰადესის მღვიმეს.
სულ შიშველია, ფიქრის გარდა არაფერს მაღავს.
ფრთები ასხია ფრინველივით. კაცსა თუ დიაცს
რომ დააცხრება, გულისგულში ბუდეს გაიჩენს.
პაწია მშვილდი და ფრთიანი ისარი დააქვს,
სულ ერთი ბეწო, მაგრამ მსჭვალავს ზეცას და ეთერს.
ბეჭზე კაპარჭი, მოჭედილი ოქროს ჩუქურთმით,
ბასრი ისრებით გაუვსია. ბევრჯერ მეც დამჭრა...
საშინელია ეს ყოველი, უფრო მწველია

მისი პატარა კვარი, მზეს რომ ააბრიალებს.
 ნახავ? შებოჭე, აქ მომგვარე, არ შეიბრალო!
 იტირებს? ფრთხილად! ცბიერებით არ გაგაცუროს!
 იცინებს? მაინც მოათრიე! კოცნას ისურვებს?
 რა, არ გაბედო, მისი კოცნა საწამლაეია!
 ხოლო თუ გეტყვის, აჰა, ჩემი საჭურველიო, **გერმანული ეპიგრაფიკა**
 ნუ დახარბდები! ღვთიურ ცეცხლში არის ნაწრობი!“

პოლისტრატოსი

კორინთოს დამხობა

აკორკორინთო დიდებული, ელადის შუქი,
 ისთმოსის ორივე სანაპირო ძირისძირამდე
 გააცამტვერა ლუკიოსმა. შუბით დამსხვრეულ
 ძვლებს ახლა ფარავს ზედახორა ქვისა და ღორღის.
 ასე იძიეს შური მამაც აქველებზე
 პრიამეს გამო ენეასის შვილთაშვილებმა,
 აღარ აღირსეს არც დაკრძალვა, არც დატირება.

ფილოდეოსი

გოგონას

შენი ზაფხული კვირტში ფეთქავს, არ ჩაშაქრულა
 ქალწულურ ეშხის ჯერ მტევანი, მაგრამ დაიწყეს
 ისრის წამახვა ეროტებმა. იღვიძებს უკვე,
 რა, ლისიდიკა, დამალული ცეცხლის ღადარი...
 დროა გავიქცეთ, სანამ მშვილდი არ მოზიდულა:
 მერწმუნეთ, მალე აქ ხანძარი აგიზგიზდება!

ვარდი გაშლილა, არჯაკელი აყვავებულა,
 სოსილოს, უკვე მოწეულა მწვანე კომბოსტო.
 ბზინავს თევზის ფხა, ჭყინტი ყველიც — მარილმომყრილი.
 აფეთქებულა ღორისქადა ხშირფოთლოვანი.
 რატომ არ ვჩქარობთ, მივაშუროთ ზღვისპირა კბოდეც,
 როგორც გვჩვეოდა, გადავხედოთ შორეთს, სოსილოს!
 გუშინ ილზენდნენ ბაკქიოსი და ანტიგენი,
 დღეს კი გამოგვყავს ზღვიდან, მიწას რომ მივაბაროთ...

პარკნული და პარაკლე

გიადვილდებათ, ო, მწყემსებო, პერმესის მოვლა:
 რძეც უხარია, ტყის თაფლითაც კმაყოფილია.
 ბევრად ჭირს საქმე პერაკლესთან: მას ცხვარი უნდა,
 უყვარს ჭედილა, მსხვერპლს მოითხოვს ყოველ საქმეზე.
 სამაგიეროდ მგლისგან გიცავთ, მაგრამ რას გარგებთ,
 ბატკანს მგლის ნაცვლად თუ პერაკლე შეახრამუნებს?



პარკნული

ზევსს

ოქროდ ეპკურე, ოლიმპელო, ქალწულ დანაეს,
 ძღვენით მოხიბლულს შენი რომ არ შეშინებოდა.



ზევსი დანაეს დაეუფლა ოქროს წვეთებით.
 მეც ხომ ზევსზე მეტს სხვას ვერაფერს შემოგთავაზებ!

ანტიფილოს ბიზანტიელი

ტიმოთაქეს „მედეა“

მედეას გულში კმარზე ეჭვი შეიღის სიყვარულს
 ერთვოდა, ასე წარმოსახა ტიმოთაქემაც.
 აჩვენა კიდევ ორი გრძნობა საპირისპირო,
 ქალში ხან რისხვას რომ იწვევდა, ხან თანაგრძნობას.
 ერთიცა ჩანდა და მეორეც. შეხედე სურათს:
 რისხვაში ცრემლი, სიბრაღულში ელვარებს ბოღმა.
 „ეს ბრძოლაც კმარა, — თქვა, — მედეას მარჯვენას მართებს
 და არა ჩემსას, რომ ბავშვების სისხლი დაღვაროს“.

ფილიპე თესალონიკელი



უადრეს ცის თაღს ჩაუჭრება მნათობთა სხივი
 და ჰელიოსი გაანათებს ღამის უკუნეთს,

უადრეს ტალღა დაგვარწყულებს ოკეანისა
და მკვდრებს ჰადესი გზას გაუხსნის სიცოცხლისაკენ,
უადრეს, ვიდრე, მეონილო, იონიის მზევ,
შენს ძველ სიმღერებს დავიწყების წიაღი მთანთქავს.

ბერძნული
ეპიგრამები

ავტობიოგრაფია

●
გუშინ თხის ბარკლით ვისადილე და სატაცურით —
ყვითელი იყო, ჩანს, დიდი ხნის წინათ მოწყვითეს.
ვშიშობ გამხელას მასპინძლისა, ვაითუ შემდეგ
მან ხელმეორედ დამპატიეოს ასე სადილზე!

ლუკილიოსი

მოკრივეები

●
ვით ყველას, ჰქონდა ილიმპიკოსს, მბრძანებელო,
ყურები, წვერი, წამწამები, წარბებიც, ცხვირიც.
მაგრამ კრივში რომ გაიწაფა, ეს ყველაფერი
დაკარგა, ზედვე მიაყოლა მამის ქონებაც:
მოსამართლეებს ძმამ აჩვენა მისი სურათი
და მათ ჩათვალეს, რომ ეს სულ სხვა პიროვნებაა.

●
სადმე თუ იყო ელადაში კრივის აგონი,
მივიჩქაროდი ანდროლევის საასპარეზოდ.
პისას უყუროდ, პლატეაში უთვალოდ დავრჩი,
დელფოსიდან კი ცოცხალ-მკვდარი გამომიტანეს.
დამოტელოსი — მამაჩემი, ჩვენი ქალაქი
იმასლა ცდილობს, მკვდარი მაინც ჩამიგდონ ხელში...

მომღერალი

●
ღამე მღეროდა კითარაზე, ყველა მეზობელს
ბოლო მოუღო სიმილოსმა, მხოლოდ ორიგენს
ვერა-რა დააკლო: დააყრუა თურმე გამჩენმა,
სამაგიეროდ სიცოცხლის დღე გაუხანგრძლივა.

კრატეროსს, ვგონებ, ხელ-ფეხი არ შეჰქანებია,
 ასე რომ წერდა. ჰკუა კი აქვს შექანებული.



ზარმაცნი

ესიზმრა ერთხელ ზარმაც მარკოსს, სადღაც გარბოდა.
 აღარ იძინებს, რომ სიზმარში კვლავ არ ირბინოს.

რძიანი ბრამატიკოსი

მენელაოსზე, ზნეობაზე, პარისზე მსჯელობ,
 შინ კი ელენემ პარისებით გაფიცვსო სახლი.

დემოსთენიდა

მრუდე სარკეში იყურება დემოსთენიდა,
 სწორ სარკეში ხომ ხელმეორედ არ ჩაიხედავს.

ქურდები

შორს მწყემსე ჯოგი, რომ შენც, მწყემსო, იმ ჯოგთან ერთად
 ხელმრუდე ქურდმა პერიკლესმა არ მოგიპაროს.

ანტიოქემ რომ ლისიმაქეს ფუთა იხილა,
 მას შემდეგ ფუთა ლისიმაქეს აღარ უნახავს.

ქუნვი

კრიტონი პიტნით არ მკურნალობს, ვერცხლისმოყვარე,
 როცა მუცელი უწრიოლებს, გროშებსა ყნოსავს.

ექიმები

შეეხო ზევსის ქანდაკებას ექიმი მარკოს.
 იყო ქვაც, ზევსიც... ახლა გააქვთ მხოლოდ ნავავი.

როს ასტროლოგმა დიოფანტემ ექიმ გერმოგენს
 ცხრა თვის სიცოცხლე უმკითხავა, მას გაეცინა:
 „ცხრა თვის სიცოცხლე? რა ვადაა? აი მე შენთან
 სულ მოკლე ხანში გავასწორებ ყველა ანგარიშს!“

ხელით შეეხო დიოფანტეს და მეყსეულად
უბედურების მაცნემ თვითონ გააცხო სული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმარში ექიმ გერმოგენეს თვალი რომ მოჰკრ
ვერც გაიღვიძა დიოფანტემ, თუმცა თილისმას
სულ ატარებდა...

რუფინოსი

მელიტას

სადღა ვიპოვო პრაქსიტელი ან პილიკლეტი,
სიცოცხლის სულს რომ შთაბერავდნენ ქვასა და სპილენძს?
ვინ გამოძერწავს სურნელოვანს მელიტას დაღალს,
ცეცხლოვან თვალებს, ელვარებას შიშველი მკერდის?
სად ხართ, ოსტატნო, ხომ ტაძარი უნდა აშენდეს
უკვდავსაყოფად ღვთაებრივი მშვენიერების!

დასჯილი მალი

ვინ გაგწკეპლა და გამოგაგდო ასე შიშველი?
სად აქვს თვალები, ქვის გული ხომ არ უღევს მკერდში?
იქნებ წაგასწრო საყვარელთან ადრე მოსულმა?
არ ხარ პირველი, შვილო, სხვაც ხომ ასე იქცევა!
ოლონდ შემდეგში, საყვარელთან როცა დარჩები,
ქმარს გაიგულებ, გადაკეტე კარი ურდულით.



ამჩატებული არას მარგებს, არც სხვას ვენდობი —
ანგარიშიანს. ერთი მუდამ ყოყმანობს ხოლმე,
ხოლო მეორეს ყველაფერი ახლავე უნდა.

ნიკარძოსი

მოხლერალი

ყვავი მოკვდავებს რომ დაჩხავის, სიკვდილს უჭიდის.
დემოფილოსის სიმღერა კი თვითონ ყვავსა ჰკლავს.



სასამართლოში ყრუმ უჩივლა ყრუს. უარესად ყრუ გამოადგათ მოსამართლე, მსჯავრის დამდები. ხუთი თვის ბინის ქირას თურმე ითხოვდა ერთი, ხოლო მეორე ამტკიცებდა — ხორბალს ვფქვავდიო. „რა გაჩხუბებთო, — თქვა მსაჯულმა მიუდგომელმა, — თქვენი დედაა და ორივემ უნდა არჩინოთ“.

ტრანაე იმპერატორი

თუ ცხვირს მიუშვერ პირდაპირ მზეს და პირს დააბჩენ, ყველა გამვლელი დროს ადვილად იანგარიშებს.

დიონისიოს სოფისტი

ვარდების გამყიდველი გოგო

ვარდებიანო გოგოე, თვითონ ვარდო! რას ჰყიდი, ვარდს თუ საკუთარ თავს? თუ ერთსაც და მეორესაც?

სატრფოს

მსურს ვიყო სიო, ზღვის ნაპირზე რომ ისეირნებ, მაგ შიშველ მკერდზე გაგრძნობინო ჩუმი ალერსი. მსურს ვიყო ვარდი, რომ მომწყვიტო და შენი ხელით მოწყეულის ფერს ბინა მომცე ქათქათა მკერდზე.

მთვრალი, წვიმაში დაცემული

შენი წაქცევა როდი მიკვირს: ზევსსა და ბახუსს რას გაუძლებდი, ორ უყვდავ ღმერთს ერთი მოკვდავი?

ლუკიანე

ენას დაადე კლიტე, სიტყვა არ თქვა ზედმეტი: ზინათზე მეტად გაფრთხილება სჭირდება სიტყვას.

მკურნალი



ერთხელ სკოლაში გრამატიკის დასაუფლებლად
 ერთმა მკურნალმა მომბარა ბიჭი. ვასწავლე
 „რისხვა მიმღერე“ და „ათასი ჭირი არგუნა“
 როცა დაიწყო მან მესამე ტაეპის ზუთხვა:
 „გმირთა სულები გადაბვეწა ჰადესის მხარეს“, —
 მას შემდეგ ბავშვი ჩემს სკოლაში აღარ მოსულა.
 მამას რომ შევხვდი, მითხრა: „გმადლობ შეილის გაწვრთნისთვის,
 მაგრამ ეგ სიბრძნე შეუძლია სახლშიც ისწავლოს:
 მეც ხომ მრავალთა სულებს ვშთანთქავ ჰადესის მხარეს
 და ამისათვის გრამატიკა სულ არ მჭირდება!“



ნიკონოს ღვინის სუნს კაუჭა ცხვირით მყის იკრავს,
 მაგრამ მაშინვე ვერ გაიგებს, რა გემოსია.
 სამი საათი მოუწდება დაჭაშნიკებას,
 რადგანაც ცხვირი ორასი წყრთით წინ უსწრებს ხოლმე.
 უღიადესი ცხვირი! წყალს თუ გადააბობტა,
 როგორც ანკესით, ცხვირით იჭერს თევზის ლიფსიტებს.



წვეროსანსა და ხელჯონიან კინიკოსს სიბრძნე
 რაცა აქვს, ვნახეთ თვალსაჩინოდ, სადილობისას.
 სუფრას მიუჯდა, მოერიდა ცერცვსა და ბოლოვს,
 თქვა, სიმამაცეს არ არგებსო მუცლის მონობა.
 მაგრამ ცერიანი ფურის სუკი რომ დაინახა,
 მყისვე დაებნა კინიკური ჭკუა-გონება.
 მოულოდნელად მოითხოვა, კარგად მიაძღა
 და ასე ბრძანა — სიმამაცეს არ ვნებსო ფური.

ბრიგოლ ნაზიანზელი

მოკვდავნო, გლოვა შეენის სიკვდილს, მაგრამ თუ მოკვდა
 ვინმე ლოცვის დროს ნონასავით, არ დავიტირებ.



საამო სიყრმე, თვით ელადა და ყოველივე,
 რაც კი შებადა, რა იოლად დავუთმე ქრისტეს!

რატომ ვინანო, თუკი გავზდი ღვთის ჰიერევსი
მშობელი მამის აღთქმითა და ლოცვა-კურთხევით?
მიმიღე, ქრისტევ, შენს ყრებულში და მომანიჭე
გრიგოლს გრიგოლის ძეს სახელი პატიოსანი.



კალადი

●

შეშირცხვენია უნამუსოდ გაზრდილი ღიპი!
მსურდა სტომაქი მოთმინების ომში დამეცხრო.
თუ თავი კუჭზე და მუცელზე მალლა მაბია,
ვერ მოერევა, დავიჯერო, რაც ქვემოთ არის?

კალეზი

ამბობდა ბრძენი ჰომეროსი: ყველა დიაცი,
გინდა უმწიკვლო, გინდა ბოზი, დამლუპველია!
განა ელენეს ორგულობას არ მოჰყვა ომი,
ან პენელოპეს ერთგულებას — სასტიკი ჟლეტა?
ქალის გამოა „ილიადა“ გამოგონილი
და „ოდისეაც“ პენელოპეს ედება ბრალად.

●

ღამე შიდის და ვიბადებით ყოველდღიურად:
გასული დღე ხომ არაფერში აღარ გვარგია.
კვალიც არ დარჩა, ისე გაქრა დღე გუშინდელი,
დღევანდელი დღით ახლებურად ვიწყებთ ცხოვრებას.
მრავალწლოვანად თავს ნუ ჩათვლი, მოხუცებულო:
დღეს აღარ არის, რამაც გუშინ გადაიარა.

ბერძნებს

ხომ არ მოვმკვდარვართ მართლა ბერძნები
და მოჩვენებით ხომ არა ვცხოვრობთ?
ან სინამდვილედ ხომ არ ვთვლით სიზმარს?
თუ ვცოცხლობთ, როცა მოკვდა სიცოცხლე?

ბირობემათა შორის დიდი ბოროტებაა
შუბი — ღვთის რჩეულ ბედნიერთა სიკეთის მტრება.
შურიით ისე ვართ დაბრიყვებულ-დაბრმავებულნი, როგორც
ფიქარობთ როგორმე სისულელის მონები გავხდებომა
ჩვენ, ელინები, დამზობილნი ვწევართ მიწაზე
და მკვდრები ყველა იმედს მხოლოდ მკვდრებზე ვამყარებთ,
დღეს ყველაფერი სწორედ ასე გაუკუღმართდა.





თარგმანი რუსულიდან ქეზულაძემ

(ჩემი შეხვედრა ანდრეი ხელისთან)

Легкий огонь, над кудрями пляшущий,
Дуновение — вдохновения!

უფალო, შეიწყალე დედა, მამა, გაღია, ასია, ანდრიუშა, მამა და ანდრეი ბელი...

— ანდრეი ბელი ხომ შეავედრე, საშა ჩორნიც შეავედრე ახლა!

სასაცილო მართლა ის იყო, რომ გაღიამ საშა ჩორნის არსებობა არც კი იცოდა. (თუმცა არსებობდა კი მაშინ საშა ჩორნი, როგორც ბავშვთა პოეტი? ეს იყო 1916 წელი.) მხოლოდ ბელი და ჩორნი (თეთრი და შავი) შეაპირისპირა და სოფლელი ქალის კეთილი გულით სახელიც მოუქცია.

რად ავედრებდა უფალს პატარა ალია ანდრეი ბელის? ბელი ჩვენსა არ დადიოდა. მაგრამ მის წიგნს — „ვერცხლის მტრედს“ კი ჩვენთან ხშირად იხსენიებდნენ. ანდრეი ბელის ვერცხლის მტრედი.² არის ვიღაც ანდრეი ვერცხლის მტრედით. თვითონ ანდრეიც თეთრია (белый). ვის შეიძლება, თუ არ ანგელოზს, ვერცხლის მტრედი ჰყავდეს, და ვის შეიძლება, თუ არ ანგელოზს, თეთრი ჰქვიოდეს? სხვები ივანოვიჩები, ალექსანდროვიჩები, პეტროვიჩები არიან ხოლმე. მხოლოდ ისაა — თეთრი. თეთრი ანგელოზი ვერცხლისფერ მტრედით ხელში. სწორედ ამ კაცზე ლოცულობდა სამი წლის გოგო და ვით ყველაზე უსანუკვარესს — ლოცვის ბოლოს მოიხსენებდა. (ანგელოზებიც ხომ უნდა ლოცო, მით უმეტეს დედამიწაზე: თუნდაც უელსის საწყალი ანგელოზი,³ ყოვლად უმართებულო რომ აღმოჩნდა მიწიერ გარემოცვაში!).

მაგრამ ბელის სახელი ჩვენს ოჯახში, ალიას ლოცვამდე და ალიას დაბადებამდეც კი წარმოითქვა, ოღონდაც არა ამ სახლში და არა სამი წლის ანგელოზისგან. წარმოთქვა იგი ჩემი ისტორიკოსი ბიძის, დიმიტრი ცვეტაევის ცოლმა და მისი სიტყვები ლოცვას სულაც არ მიაგავდა.

— წარღვნა მოვიდა და ესაა. — ბრაზით უტევდა იგი მამაჩემს, რომელიც მისი ამ თუხთუხისა და გაანჩხლების შემხედვარე ნელინელ უკან იხევდა. — ა, ბატონო, აგერ ვიღაც ანდრეი ბელი გამოტყვრა კიდევ და ხვალ ლექციას კითხულობს თურმე. მაქსიმ გორკი აღარ იკმარეს, ანდრეი ბელიც დასჭირდათ ახლა! იქ კიდევ ვიღაც ალექსანდრ ბლოკი (ნეტა ეს რაღა გვარია? ურია იქნება ალბათ!), ამბობენ, ლექსები დაწერაო „მშვენიერ ქალზე“. ჯერ რად ღირს მართოსათაური. ნამუსი დაკარგეს რაღა! წინათაც წერდნენ ლამაზ ქალებზე, მაგ-

¹ თმის კულულებზე მოთამაშე მსუბუქი ალი და სიო მონაბერი — შთაგონებისა (მ. ცვეტაევის ლექსიდან „შავ ცაზე — ასე წერია...“).

² ანდრეი ბელის რომანი „ვერცხლის მტრედი“.

³ პ. უელსის რომანის „საოცარი განკურნება“ გმირი.

რამ არკი ბექდავდნენ, უჯრაში კეტავდნენ ხოლმე — დიდი-დიდი, მეგობრებისთვის წაეკითხათ. პატიოსანი ოჯახის შვილი მაინც არ იყო, პროფესორ ნაკოლაი ბუგაევის ვაჟი ბრძანდება. რატომ, ვთქვათ, არა ბორის ბუგაევი და მაინცადამაინც ანდრეი ბელი? ვითომ მამამისს უკადრისობს? განა ისეთი რა დაწერა, გვარის მოწერის რომ რცხვენია? ან ეს ბელი რაღაა ვითომ? ანგელოზია თუ საცვლების ამარა ქუჩაში გამოვარდნილი გიჟი? — კაპასობდა ძალუაჩემი და ყველაფერი უცახცახებდა — ბრილიანტები, კაუჭა ცხვირი და თვალები, წამისწამ მოხამხამე და ყვითელი (ნერვიული ტიკი სჭირდა).

— ახალგაზრდობის ბრალია, ელიზავეტა ევგრაფოვნა, ახალგაზრდობის, — მორჩილად ეუბნებოდა მამაჩემი: — ლექციას ნეტა რაზე კითხულობს?

— რაზე და, სიმბოლიზმზე, ჩემო ბატონო. იმიტომაც გამოიგონეს ეს რაღაც სიმბოლიზმი, რწმენის სიმბოლო რომ დაჰკარგეს.

— ამაში ცუდს მაინცდამაინც ვერაფერს ვხედავ... — შეაპარებდა მამაჩემი (ასე ფრთხილად შეუპარებენ თითო გალიაში კაპას თუთიყუშს), რადგან მამას მუდამ ეკრძალებოდა ადამიანთა გაბრაზება, მეტადრე თუ ქალები იყვნენ. თანაც ნათესავეები და თანაც ნერვიული ტიკი რომ სჭირდათ (ძალუაჩემი ყოველთვის ისე ცახცახებდა, თითქოს უშნოდ დადგმული, სანთლებითა და სათამაშოებით აჩონჩხილი და გაჩახჩახებული ნაძვის ხე იყო, რომელსაც გვერდი თუ გაჰკარ, შეიძლება მყის წამოემხოს, აბრიალდეს და გადაგბუგოს). — კრებებზე სიარულს მაინც ესა სჯობს...

— სტუდენტს დამიხედეთ! — გაჰკიოდა უკვე კაკადუ (კაუჭა ცხვირისა და ჩიტვიით ყვითელი თვალების გამო ასე მონათლა სანათესავომ), — მაგან უნდა ისწავლოს და არა მამის თავმოსაჭრელად ლექციები იკითხოს ხოლმე!

— კარგი, დაწყნარდი, გენაცვალე, — ჩაერეოდა დროზე შემოსწრებული დინჯზე დინჯი ბიძაჩემი, დამსახურებული პროფესორი, ამქვეყნად ყველაზე მოსაწყენ მეფე ვასილ შუისკიზე დაწერილი უზარმაზარი შრომის ავტორი, ოსტოჟენკაზე კომერციული სასწავლებლის დირექტორი, ჯმუხი ტანის, უზარმაზარი შავი წვერის, სიფიცხისა და შავრაზმელობის გამო მოსწავლეებმა ჩერნომორი (შავწვერა ჯუჯა) რომ შეარქვეს. — ნეტა ასე რამ აგაღელვა? ყმაწვილობაში ვინ ლამაზ ქალებს ეარშიყება, ვინ სიმბოლიზმზე კითხულობს ხოლმე მოხსენებას, ჰა-ჰა-ჰა! მამა დარბაისელი კაცი ჰყავს და ვინძლო ვაჟისგანაც სასიკეთო რამ გამოვიდეს — მარინა, შენ რას იტყვი? რა გირჩევნია: წვეულებებზე ტანციმანცები თუ სიმბოლიზმზე მოხსენებათა კითხვის მოსმენა? თუმცა შენთვის ჯერ ადრეა... — აღარ ვიცი, ეს „ადრე“ წვეულებებს თუ სიმბოლიზმს შეეხებოდა...

მაგრამ მარტო ჩვენს ოჯახში არ იყო ასე. იშვიათი გამონაკლისით ასე ხვდებოდა ახალგაზრდა სიმბოლიზმს მოსკოველთა ძველი თაობა.

ოსტოჟენკაზე მდებარე კომერციული სასწავლებლის ვარდისფერი კედლებიდან ასეთნაირად გამოვიყოლე ჩვენი სახლის შოკოლადისფერ კედლებში — მაშინ ტრიოხპრუდინზე გვქონდა ბინა — მე სახელი ანდრეი ბელის, თავის დროყამამდე მილურსული, მიყუჩული და მიძინებული იქ თავისთვის.

ორიოდე წლის შემდეგ გამოადვიდა იგი ელისმა (ანუ ლევ ლვოვიჩ კობილინსკიმ, პედაგოგ პოლივანოვის ვაჟმა, ბოდლერის გადმომთარგმნელმა, ერთმა ყველაზე მგზნობარე სიმბოლისტმა, დაფანტულმა პოეტმა და გენიალურმა ადამიანმა).

— გუშინ ბორის ნიკოლაევიჩმა... თქვენგან ახლა ბორის ნიკოლაევიჩთან...
ოი, როგორ მოეწონებოდა ბორის ნიკოლაევიჩს...

რაა გასაკვირი, რომ ბელის ხილვის ეგზომ მონატრულ მე და ასიამ არასოდეს გვითხოვია ელისისთვის მისი გაცნობა — და რაა გასაკვირი ან იქნებ არცაა გასაკვირი? — რომ მთელი ჩვენი სახლის, მთელი ჩვენი ოჯახის წევრები როსი — ალვისხეებიანი ეზოს, მეზონინის, ჩემი ჯერ კაციშვილთან წაუჭიჭიჭის ლექსების, ორი ბავშვის სულზე სრული ბატონობის ასე მოყვარულ ელისს არც არასოდეს შემოუთავაზებია ჩვენთვის მისი გაცნობა. ანდრეი ბელი — ეს ტაბუა. მისი ნახვა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მასზე მოსმენა. რატომ? იმ-იტომ რომ სახელგანთქმული პოეტია, ჩვენ კი — გიმნაზიის საშუალო კლასის მოწაფეები.

რუსთა — ბაღების — თუ პოეტების — ფატალიზმი.

ელისი სმოლენსკის ბაზრის ახლოს, დუქნის ლურჯაბრიან გასაქირავებელ სახლში, „დონში“ ცხოვრობდა. ერთხელ გიმნაზიაში წასვლის ნაცვლად მე და ასიამ მას შევუარეთ. მის ბნელ, დილიდანვე ჩაბნელებულ, ფარდებჩამოშვებულ შუა ოთახში — ელისი დღის სინათლეს ვერ იტანდა! — წყვილი სანთელი მხოლოდ დანტეს ბიუსტის წინ პარპალებდა! — ვილაც უკვე წასასვლელად ფრთაშესხმული, თითქოს გასაფრენად გამზადებული შევისწარით და, ვინემ გონს მოვიდოდით, ელისმა:

— ბორის ნიკოლაევიჩ ბუგაევი, ესენი კი — მარინა და ასია ცვეტაევი.

შემობრუნება, თითქმის პირუეტი, სანთლებისგან იქვე, კედელზე გამეორებული გადიდებული მისივე ჩრდილი, ეკალივით მსუსხავი მზერა, ჩვენი შემოსვლით გაწყვეტილი წინადადება, — წასასვლელად გამზადებულს ვერა ძალი ვეღარ შეიკავებდა, თავის დაკვრა, ბალერინასავით უკან-უკან დახევა და:

— კარგად მენახეთ.

— ბედნიერად.

შინ, ძილის წინ:

— მაინც ხომ ვნახეთ ანდრეი ბელი. ასე მითხრა: ბედნიერადო.

— არაფერიც, ეგ მე მითხრა — ბედნიერადო, შენ კი — კარგად მენახეთ მხოლოდ.

— არა, შენ სწორედ კარგად მენახეთ გითხრა, მე კი...

— მაშ, მაშ, შენ ბედნიერადო! (მაგრამ გულში: შენ თვითონ იცი — ეს მე რომ მითხრა!)

„კარგად მენახეთ“ და „ბედნიერადო“ მისი წყალობით არ ამხდარა, შეხვედრა აღარ განმეორდა. საკვირველია, მისი უახლოესი ნაცნობების ანუ ელისის, მის მეგობარ ნილენდერის, კ. პ. ქრისტოფოროვის, დები ტურგენევიჩის, სერიოჟა სოლოვიოვის, და-ძმა ვინოგრადოვიჩის წრეში ვტრიალებდი — მაგრამ გათხოვებამდე მე იგი აღარ შემხვედრია. თუმცა შეხვედრა არც მიცდია. თუ ბედმა ერთხელ გაგიღიმა — მეორედ ნუღარ შეაწუხებ. იმ ერთხედაც მადლობა უთხარ. ხომ შეიძლება არც გაეღიმა.

თუმცა ორი წლის შემდეგ ხშირად ვხედავდი მუსაგეტში,¹ მხოლოდ ვხე-

¹ მუსაგეტი — 1910 წელს სიმბოლისტების მიერ მოსკოვში დაარსებული გამომცემლობა (აპოლონ დმერთის ერთ-ერთი სახელი).

დავდი — უფრო ხშირად ზურგიდან ხოლმე, შავ დაფასთან ცარცის თეთრი ნატეხით მროკავს, იმზომ სისწრაფით რომ აჭრელდება მძიმეებითა და გიმნაზიის გეომეტრიული ფიგურების მსგავსი რითმული სქემების მოკლე ხაზებით და ზიგზაგებით, — თითქოსდა სახელოდან უცვიოდა! — თავდაცვის ბუნებრივის გრძნობის კარნახით (ვაიმე, უცებ არ მობრუნდეს და დაფასთან არ გამიძახოს!), ბელის მოცეკვავე ზურგის მაგიერ საიდუმლო მრჩეველ კოეთეს და დოქტორ შტაინერის უმოძრაო სახეებს მივჩერებოდი, დიდრონი თვალებით კედლიდან რომ გვიცქერდნენ თუ არ გვიცქერდნენ.

ასეც ჩამრჩა ხსოვნაში პირველი ბელი: ვითარც დავითი სჭულის კიდობნის წინ, ისიც კოეთესა და შტაინერის წინ მროკავი. სიმბოლისტის ცხოვრებაში ყველაფერი სიმბოლო გახლავთ. არასიმბოლო არ არსებობს.

... შემომრჩა კიდევ ერთი მოგონება, უფრო ადრეული, თუმცა მნიშვნელოვანს მას ვერ დავარქმევ. ეს იყო სულაც გაცნობამდე, მაგრამ მაინც ძირს გახსენებად თუნდაც ტურგენევისეულ ადგილთა გამო, რომელთაც ბელი, ვით მწერალი და ვით წამებული, ორივე მხრივ უკავშირდება.

ტულის გუბერნია, „ტოლსტოეს“ გადასახვევი, იქვე ახლოს ქალაქი ჩერმი, სადაც ივანი ეშმაკს ელაპარაკა,¹ იქვე ბუჟინ ლუგიც და იქ, არ მახსოვს, ვის დღეობაზე, თითქოს სიზმრად ნანახი თეთრი სახლი და შავი ბალი —

— რა ვარდივით პირისკანი და რა ჯანმრთელი იერი გაქვთ, გონიერიც იქნებით ალბათ, — მექაქანება სიცხითა და საკუთარი სიმსუქნით შეწუხებული დიასახლისი, — მე კი თხებივით კნაჭები მყვანან. გიყები და დამთბვეულები, განსაკუთრებით კი ბიშეტკა. ასე მონათლა ბებიამისმა თხის თვალებისა და კუნტრუშის გამო. ერთხელ, გენაცვა, მოსკოვში ვარ, სასადილოში და ანაზდად მესმის, — ბიშეტკა ტალანიდან ტელეფონში ვილაცას როგორ ეუბნება: „თუ შეიძლება, ანდრეი ბელის სთხოვეთ“. უმაღ ყურები ვცქვიტე, მოდი და ნუ დააცქვეტ — მესმის, ანდრეი იკითხოს ან ანდრეი პეტროვიჩი, ეს „ანდრეი ბელი“ რაღა არის, კატორღელია თუ მეეზოვე?

დგას და უცდის, დიდხანს უცდის, ეტყობა, აღარ მოდის. უცებ, გეთაყვა ყურებს არ ვუჭერი: „ანდრეი ბელი ბრძანდებით? თუ შეიძლება მითხარით, თვალები რა ფერისა გაქვთ? დებთან ჩამოველ სანაძლეოს“... დერეფანში სიჩუმეა, ვიფიქრე, ალბათ ჭკუას არიგებს-მეთქი, რა იცი, რა იფიქრა, ვინ ეგონა! — ის იყო მინდა მივიღე და ავუხსნა იმ კაცს — ჯერ ბავშვია, უმამოდ გაზრდილი გოგო, ცუდი აზრით არ უთქვამს-მეთქი... ერთი სიტყვით, ტუტრუცანაა, — რომ... — უცებ ისევ ატიტინდა: „მაშასადამე, ნაცრისფერი? მართლა ნაცრისფერი? არა, არა, ყველას კი არა და არც მოსკოვში და არც სადმე სხვაგან სხვას რომ არა აქვს, სწორედ ისეთი! ლექციაზე ვიყავი და თვითონ ვნახე, ოღონდ ვერ გავარჩიე, ნაცრისფერი იყო თუ მწვანე... ვაშა! ვაშა, სანაძლეო მომიგია... დიდი მადლობა, ანდრეი ბელი, ნაცრისფერი თვალებისათვის!“

მერე ჩემთანაც შემოვარდა: „დეედა! გესმის, ნაცრისფერი ჰქონია თურმე!“ „მესმის, მესმის, რომ ნაცრისფერი, ისე კი ჯობდა ანა სემიონოვნას რჩევა ყურად მელო და ეკატერინეს ინსტიტუტში შემეყვანე...“ — „რა დროს ეკატერი-

¹ ფ. დოსტოევსკის რომანიდან „ძმები კარამაზოვები“.

ნეს ინსტიტუტია? თუ იცი, ტელეფონით ეს წუთია ვის ვესაუბრე? (მეუბნება და თვითონ კი ხტის, ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით, თავი ლამის ჭერს აარტყას, ხომ იცი, რა მაღალია, მოსკოვში კი რა დაბალი ჭერი აქვს ჩვენს სახლს. გული გამისკდა, აქ ჭალი თავით არ ჩამოამტვრიოს-მეთქი) — ვისა და ანდრე ბელის, რუსეთის ყველაზე განთქმულ მწერალს! იცი კი, რა მიპასუხა? ვერცდი, იცი, ახლავე ვნახავო. წავიდა და სარკეში ჩაიხედა, ამდენი ამიტომ მაღალია, რა თქმა უნდა, ნაცრისფერი თვალები ჰქონია. არა, თუ გესმის, დედა, ვინ მიპასუხა? ანდრე ბელიმ, ლექცია რომ წაიკითხა და ისეთი ალიაქოთი გამოიწვია, იქაურობა სტვენით დაინგრა... ახლა ბლოკიც უნდა გავიცნო...“

ჩემი დიასახლისი სულს ითქვამს და ნირწამხდარი ისევ განაგრძობს:

— არ ვიცი, არის თუ არა დიდი მწერალი. ჩვენ ტურგენევს ვკითხულობდით, მით უმეტეს, ჩვენი კუთხიდან იყო... თუმცა დიდი მწერალია თუ პატარა, მაინც რიგიანი კაცი ყოფილა, არ გამოლანძღა, ცუდი არ იფიქრა, მაშინვე მიხვდა, ბრიყვიაო... წავიდა და თვითონაც... ბრიყვულად სარკეში ჩაიხედა... მერე ვკითხე: „შენ თუ გკითხა, რა ფერის თვალები გაქვსო?“ — „რას ამბობ, დედა, ძალიან არ აინტერესებს ჩემი თვალები? რა სახელოვანი ვინმე მე მნახე?“

ჩემო კარგო ბორის ნიკოლაევიჩ, როცა თოთხმეტის წლის შემდეგ ეს ამბავი ბერლინის „Pragerdiele“-ში გაიმბეთ, პირველი ეს შემეკითხეთ:

— მართლა რა ფერის თვალები ჰქონდა? ბიშეტი? Bichette? ბეკეკო? ალბათ ნაცრისფერი? აი, ასეთი? (ჰაერი ირიბად გაჰკვეთა ხელით) — მართლაც თხას ჰგავდა? მაშინ რამდენი წლისა იყო? ჩვიდმეტისა? მაღალი, ამ სიმაღლე? ღია ჭერა თმა? არ იძროდა, ისე ხტოდა (ლამის მაგიდა წამოაქცია) — აი, ასე, ასე, ასე?

(„ბორის ნიკოლაევიჩი ევრითმიას უჩვენებს მარინა ივანოვნას“, — ჩურჩულებენ გვერდით მაგიდაზე).

— წერილი რატომ არ მომწერა? ჩემო კარგო, საყვარელო, არ შეიძლება სადმე ვნახო? არსად — არა? რა თქმა უნდა, მოკვდა ალბათ. ყველა კვდება ან ყველა მიდის (მზერა გამომწვევად მიმოატარა). — თქვენ რა იცით! აბრამ გრიგორიევიჩ, აბა ერთი თქვენც მოგვისმინეთ! იყო გოგო ბიშეტი — თხასავით თვალები ჰქონდა — ჩემს კითხვას დაესწრო თურმე...

გამომცემელი ზანტად: — რომელ კითხვას? აქა?

ის მიშტერებით:

— ცხადია, აქა, რამეთუ მე ახლა აქ ვარ, რამეთუ იქ ახლა არის აქ, რამეთუ არავითარი აქ არ არის, არის მხოლოდ იქ! არავითარი ახლა, მხოლოდ მაშინ, მუდამ, ნიადაგ, მუდამუამ მაშინ!.. აი ეს არის ფეტისეული ახლა.

(გვიახლოვდება მისი მეორე გამომცემელიც). ბელი ვედრებით:

— სოლომონ გიტმანოვიჩ, თქვენც ყური მიგდეთ, იყო ერთი გოგონა თოთხმეტი წლის წინ, Bichette-ი ერქვა, თხასავით თვალები ჰქონდა, ჩემი თვალების ფერი რომ ვუთხარი, ტელეფონში სიხარულით სულ ასე ხტოდა. ახლა ის ვალკირიაა... უკეთ — ვალკირია იქნებოდა... მე ვიცი, მოკვდა...

¹ კაფე ბერლინის ერთ-ერთ პანსიონატში, სადაც რუსი ლიტერატორები ცხოვრობდნენ.

² ბეკეკო (ფრანგ.).

(მოწიწებით, თანაგრძნობით და გაკვირვებით სავსე ღუმილი, ცოტა კომპა-
კურიც. ასე დადუმდებიან იმ ადამიანის სიკვდილის ამბის შეტყობისას, ვისი
არსებობაც ეს წუთია გაიგეს და ვის სიკვდილსაც ერთ-ერთი დამსწრე დიდად
განიცდის). უეცრივ ბელი მთელი სხეულით ჩემკენ მობრუნდა, თუმცა თქმა
იმის, მთელი სხეულითო, უცნაურად ქლერს, იმდენად კეთილად ეს მთე-
ლი და იმდენად არაა ეს სხეული:

— ეს Bichette — მართლა იყო? არ... მოიგონეთ? (ექვიანად და აგრესიუ-
ლად.) ვინაიდან მე არ მახსოვს არც თვალები და არც ტელეფონი. კი, კი, მჭერა.
ოღონდაც (ირგვლივმყოფთ) ამას ჩემთვის დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს.
ვინაიდან თუ ის იყო — ეს იყო ჩემი ბედი. და უბედობა. იმიტომაც ბედი არ
მქონდა. ახლავ ვიცი, რამ დამღუპა და როგორ დამღუპა!

სათქმელი არავის არაფერი აქვს, იგრძნეს ისიც, გოგოს ამბავი ამოიწურა
და ახლა მხოლოდ ბელისეული სიშმაგე უნდა დაიწყოს; ამიტომაც გამომცემ-
ლები და მწერლები ცოლებიანად ყველა შეუმჩნეველად და თვალის დახამხა-
მებაში... არა, კი არ გაქრნენ: უბრალოდ, იყვნენ და — არა იყვნენ რა. ბელი
სუფრის ქარგას ისე ჩაშტერებია, თითქოს ძველი ამბებისა და წარწერების
კვალს ეძიებს. უეცრივ თავს მალლა სწევს და მისი თვალების შუქი — ყველა
ფერის, ოღონდ არა ნაცრისფერის — ლამის მამრმავებს, თუმცა არა მგონია,
მე მხედავდეს:

— Bichette... Bichette... მახსოვს, კი, კი, რაღაც მახსოვს. ოღონდ... არ ემთ-
ხვევა! მაშინ სულ პატარა ვიყავ, თითქმის არ ვიყავ, უბრალოდ, სულ არ ვი-
ყავ...

არ ვიცი, რა ვთქვა ამ სრულ არყოფაზე, და ვიცდი. ვიცი, წამიც და ისევ
იქნება.

— მე არ ვიყავი, იყო: მე, ვილაც, საშუალო სქესი. გესმით ჩემი? (ნიადაგი
კითხვა იმათი, ვისაც იმდენად წარკვეთია სხვათა მიერ გაგების სასო, პასუხსაც
აღარ მოელის). ერთი წამით... ჩუ! ახლავე გამახსენდება (ჯადოქრის მბრძანებ-
ლური ხელის აქნევა). ახლავე გამოჩნდება: თუმცა რატომ Bichette, როცა Bi-
quette! დიახ, დიახ — ეშაფოტზე რომ ამიყვანონ, მაინც ვიტყვი Biquette-მე-
თქი თუმცა რატომ Biquette — როცა Bichette?

— ახლა კი თქვენ სუ, ბორის ნიკოლაევიჩ!

(სიმღერით) Ah, tu sortiras, Biquette, Biquette,

Ah, tu sortiras de ce chou là!

ვინაიდან პატარაობაში, როცა ჯერ არ იყავით, ამას გიმღერდათ თქვენი
ფრანგი — არა, თქვენი შვეიცარიელი m-lle.

ღუმილი. მისი თვალების ალტაცებული მზერა ისე მეფრქვევა, ვით სხივ-
თა კონა, ვით წვიმის მხეფნი, კეფიდან ვიდრე ჩემს ჯერ ისევ ახალ, ჯერ ისევ
ლურჯ, ჯერ ისევ ერთადერთ ბერლინურ კაბის ქობამდე. მერე ხელს მართმევს,
ტუჩებთან მიაქვს და — ვინემ მიიტანდეს:

— იცოდეთ, მაგ Biquette-ის გამო — მე Biquette-ს, კომბოსტოს ბეკეკოს
ვგულისხმობ ახლა, მთელი ათი წელი მზად ვარ დილიდან საღამომდე თქვენი
გულისთვის რიყის ქვეები ვათრიო ზურგით.

— ღმერთო ჩემო!

მე — შეძრწუნებით.

¹ კი, კი გამოხვალ, ბიკეტ, კი, კი, გამოხვალ მაგ კომბოსტოდან! (ფრანგ.).

ის — იმპერატივულად:

— ჰო, რიყის ქვეები (დუმბილი). არც იმას დაგიმაღავთ, როგორც ამ წუთს თქვენდამი, ისე პატივი არავისადმი ჯერ არ მიგრძენია.



ქვირფასო Bichette, იქნებ მაინც ცოცხალი დარჩით და ამას ვიდრე ვაპყრობით? ან იქნებ ახლა, ჩემს მხარს უკნიდან, ვიდრემდე ვწერ, არა, ვიდრე დავწერდე — უკვე კითხულობთ? ვინ იცის, ეგებ კართან პირველი თქვენ შეეგებეთ, ხელი ჩაჰკიდეთ და ნაცრისფერთვალამ ნაცრისფერთვალა, მარად ყმაწვილმა მარად ყმაწვილი ნეტარ ჭალებში, მის ჭეშმარიტ სამშობლოში, თქვენ შეიყვანეთ...

... ეს იყო 1922 წლის ბერლინი, ახლა — 1910 წლის მოსკოვია.

საოცარია და, მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ვიდრე ანდრეი ბელის ვნახავდი. მისი სახელი ორჯერ მესმა სამ დასთან დაკავშირებით. პირველად იყო ის სამი და, რომელთაგან უფროსს Bichette ერქვა, მეორედ — დები ტურგენე-ვები.

დები ტურგენევეებზე ცალკე ლეგენდა დადიოდა. ტურგენევის ბიძაშვილის-შვილები არიანო, ერთს — ვლადიმირის ძმისწული სერიოჟა სოლოვიოვი ეტრფის, მეორეს — ანდრეი ბელი, მესამეს ჯერ არავინ — რადგან თორმეტი წლისაა მხოლოდ, მაგრამ გავა დრო და ყველას ტრფიალი გახდებაო. პირველს ნატაშა ჰქვია, მეორეს — ასია, მესამეს — ტანიაო. ლეგენდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ გაცნობისას ნატაშა უკვე გათხოვილი ქალი აღმოჩნდა, ტანია ერთი ჩვეულებრივი ვიმნაზიელი გოგო, ასია კი — ორივესი, ანდრეი ბელის და სერიოჟა სოლოვიოვის ტრფობის საგანი.

ასია ტურგენევა პირველად ვნახე მუსაგეტში, სადაც მე მაქსმა (ვოლო-შინმა) მიმიყვანა. ტანი კენარი, თავი ამაყად უკან გადაგდებული, რაიც მოსდგამდა დაბადებითვე, გრუზად დაყრილი «anglaises»¹, თლილ თითებში გაჩრილი პაპიროსი, ირგვლივ ბოლქვ-ბოლქვად დახვეული საკუთარი თუ მუსაგეტის ცისფერი კვამლი, რაც უფრო მეტად გამოკვეთავდა მის ჩამოქნილ ტანს. მსგავსი სილამაზის ხელები მე არც მინახავს. კულულებით, ყელით, ხელებით თუ მთლიანად — ინგლისური გრავიურა იყო, თავადაც გრავიორი გახლდათ და ელისის ლექსების წიგნის „Stigmata“-ს ყდაზე რაღაც ტაძრის ავტორი. ქალი ინგლისურ გრავიურადან და ბრიუსელის სკოლის გრავიორი, თავიდათავი კი — ასია ტურგენევა — ასია ტურგენევისა, იმ სერგეი სოლოვიოვის ტრფობის საგანი, ვისაც ვლადიმირის თვალეები ჰქონდა. მისი ზღაპრების „ობოლი მარგალიტი“, ანდრეი ბელის საცოლე და მისივე კატია „ვერცხლის მტრედინიდან“, სადაც დარიალსკი სერიოჟა სოლოვიოვია. (ეს ამბები სულშეგუბებულმა მიაგებო ვლადიმირ ნილენდერმა, მიაგებო ისე, თითქოს დიდად ამაყობდა ამ ამბების მოქმედი გმირების ნაცვლად და მცირედ — საკუთარი თავითაც, რადგან თავადაც, მგონი, ასიას უიმედო მიჯნური იყო, თუმცა არც შეიძლება არ ყოფილიყო).

... მუსაგეტში მე ასიას ხმა არ გამიგია, შიგადაშიგ თუ დასცდებოდა „ჰო“, თუმც „ჰო“ კი არა, უფრო „არა“ და ეს „არა“ ისე ბეჭითად ეღერდა, რო-

¹ კულულები (ფრანგ.).

გორც ავდრის წინ წვიმის პირველი შხეფი. იგი გიცქერდა და აბოლებდა, მერე უეცრივ წამოდგებოდა და ისეთნაირად გაგეცლებოდა, კულულებსა და პაპიროსის კვამლს თუ დალანდავდი. მახსოვს, თამბაქოს კვამლის დოზებელში როგორ ვეძებდი ასიას კვამლის სვეტს და თვალს ვაყოლებდი ასიას, მაგრა კვამლს — ჭერამდე ასულს კვამლის ზღვაში. მუსაგეტის ლექციებზე ვიყავი გითბრათ, მე არ ვუსმენდი, რადგან არაფერი გამეგებოდა, თუმცა იქნებ რომ არ ვუსმენდი, მიტომაც არ გამეგებოდა. ჩემი გულისყური თვალშეუსწრებლივ შემოსრიალებულ ასიას, ქარაშოტივით შემოჭრილ ბელის, კედლიდან უმოძრაოდ მზირალ შტაინერის შავ თვალსა და ბოდლერივით მწუხარედ დაღრეჭილ ბაგეთ მიეპყრო. მესმოდა მხოლოდ „გნოსეოლოგია“, „გნოსტიკოსები“, თუმცა რას ნიშნავდა ეს სიტყვები, არ ვიცოდი და, ცხვირისმიერი ბგერებით გულარეულს, არც არასოდეს არ მიკითხავს. გიმნაზიაში — გეომეტრია, მუსაგეტში — გნოსეოლოგია. აი ის კი, ვინც ახლა ასე მზაკვრულად ქვემოთ დახრილა, მაგრამ წამიც და ოდნავ შეტრიალდება (კალეიდოსკოპის დარად), წამიც და უკვე კლდესავით გადმოეყუდა გერშენზონს და ისე პასუხობს — ანდრეი ბელია, ანუ — მარადისობა! უკვე გამოხდა ორი ზამთარი, რაც მე და ასიას გვითბრა, მე (ახლაც ამას ვამტკიცებ, თუმცა ვაი, რომ აგრე არ ახდა!) — „ბედნიერადო“. ასიას — „კარგად მენახეთ!“ ჩემთან მას არასდროს უსაუბრია, მაგრამ როცა შემთხვევით გვერდით სკამზე ჩამოჯდებოდა, ენით უთქმელი განცვიფრებითა და სიხარულით იტყოდა ხოლმე: „ოჰო! ეს თქვენ ხართ?“ და მეტი არაფერი, ვინაიდან მან თუ არა, მე ხომ ვიცოდი, ვინც იყო იგი.

ასია ტურგენევისავით მუსაგეტში მეც მუდამ ვდუმდი. ის იმიტომ — თავი ყველაზე მალლა ეჭირა, მე — ყველაზე მდაბლად. ის — გალაღებულ, მე ნიადგ შელახული სიამაყისგან. ცხადია, არც ასიასთან ვლაპარაკობდი, ვინც პირველივე ნახვის წამიდან „აქაურობის დედოფლად“ ვცანი.

რა სასწაულმა დაგვაახლოვა? ვისი წყალობით და მეშვეობით? ვფიქრობ: არავის. მხოლოდ იმ უბრალო ფაქტის წყალობით, რასაც ჰქვია უცილობელი, სასწრაფო საქმე, რაც სხვის ნებასა თუ საკუთარ გულისწადილზე უფრო მეტად ჭრის და საჭიროების შემთხვევაში მთასაც კი დაძრავს ადგილიდან! — ეს საქმე კი ამ შემთხვევაში ჩემი მეორე წიგნის გამოცემას შეეხებოდა, რომელიც მუსაგეტში იბეჭდებოდა და რომლის ყდაც ასიას უნდა დაეხატა.

მახსოვს, პირველი მე მივედი ასიასთან. ეს იყო სადღაც, თოვლით სავსე მისახვევ-მოსახვევებში, მგონი — არბატზე.

საიდანღაც, ბინის ბნელი სიღრმიდან ლამპის მიმქრალ, ქვეშ-ქვეშა შუქზე ასია გამოდის, ზურგზე ვეფხვის ტყავი მოუსხამს, თამბაქოს კვამლის და კულულების ბოლქვებიდან ქვეშ-ქვეშ მიყურებს, მესალმება და ვაჟკაცურად ხელს მაგრად მართმევს.

სწორედ ეს იყო მისი ჯადო და მისი ხიბლი: ეს შეზავება ვაჟკაცური, ჭაბუკური მიხრა-მოხრისა — ვიტყოდი კიდევ — ვაჟკაცური, საქმიანი იერისა მეტისმეტად ლირიულ, ქალურ, თითქმის ბალღურ ბუნებასა და ნაკვთებთან. როცა ვეება დედაკაცი ხელს ვაჟკაცივით ჩამოგართმევს — გასაკვირი არაფერია, მაგრამ ასეთი ხელი! გრავიურასავით ასე ნატიფი, და ასე გართმევს!..

დივანზე უფროსი და ნატაშა იჯდა, ტანია გიმნაზიელმა კი, რომელიც მართლა ძალისძალად მივათვალე ჩემს საკერპოს დასამრგვალეზლად, უეცრივ შემოირბინა. ჩემი ასია მასთან სწავლობდა გიმნაზიაში და მისგან ვიცოდი, ერთი ჩვეულებრივი გოგოა, არც ლიტერატურა და არც წიგნების კითხვა არ

უყვარსო. ჩემი ხვეწნის მიუხედავად ასია მასთან მეგობრობაზე ვერა და ვერ დავითანხმე. „თუ კარგია, შენ ემეგობრე. რად შინდა მისი ტურგენევიცობა, როცა ღვეზლებისა და ძუძუმწოვარა ბავშვების გარდა სხვა არაფერზე ლაპარაკობს, თითქოსდა ჯიბრზე!“ (თუმც იქნება მართლა — ჯიბრზე? რაკი იცოდა, მისგან „პოეზიას“ გამოელოდნენ? უფრო სწორად კი — ერთი ჩვეულებრივი გოგონა იყო. თოთხმეტი წლისა, მემამულის ოჯახიდან და ლალი ბუნებრივი).

დივანზე გალურსული ნატაშა, ტანიას ურიდალი ბრახაბრუხი, ვეფხვის პლედში განაბული ჩემ წინ უძრავად მდგარი ასია, ფხიზლად მდუმარე.

— რა საუცხოო ფისოა!

— არა, ვეფხვია.

— ვეფხვსა აქვს ყურებზე ფოჩი?

— არა, ფოცხვერს!

(მოდით და გააბი მუსაიფი!) ვეფხვის კალთას ჩემკენ ვითრევ და ვეფერები. მიხარია, ასეთი კარგი გასართობი რომ გამოვნახე და ლაპარაკი აღარ მჭირდება და უეცრივ ჰეშმარიტი აღმოჩენის აღტაცებით:

— ვეფხვი — ეს თქვენ ხართ, ასია! საკუთარი ტყავი გაიძრეთ და ის წამოიხსით!

საოცარი სიცილი და საოცარი თვალთა შემონათება, — ჯადო სცენა „პატარა იდას ყვავილებიდან“¹ — მერე ცალი ხელით ლამპას თალფაქს აძრობს, მეორეს — მე მიჭერს ხელზე:

— თავად რა ფერის თვალები გაქვთ? ცხადია, მწვანე. ასეც ვიცოდით!

სიმბოლისტური ეპოქის შვილისათვის თვალების ფერზე უფრო დიდი მნიშვნელობა განა რას ჰქონდა? ან ბალმონტის მიერ აღმოჩენილ და მის მიმდევართაგან დაკანონებულ მწვანე ფერზე მეტად მაშინ რა ფასობდა?

— რა საოცარი სახელი გქვიათ. (გამომცდელად:) მართლა მარინა ხართ, არა მარია? თუ ეწევით? (პორტსიგარს უსიტყვოდ ვაწვდი). ეწევა, თვალები მწვანე ფერისა აქვს, მარინაც ჰქვია, — დებს მოანგარიშესავით ჩამოუთვალა.

ყველანი უკვე დივანზე ვსხედვართ, უკვე ლექსებს ვკითხულობთ ტანიას ცმუტვასა და ბრახაბრუხში — რა გაჩხიკული გოგოა და როგორ ხმაურობს, ფინჯნებს, ლამბაქებს, ვაზებს მაგიდაზე ხათქახუთქით დგამს.

არ მახსოვს, ყდაზე თუ რა ვთქვით და ვილაპარაკეთ. (ჩემი საქმიანი შეხვედრები მუდამ ასე მთავრდება!) სამაგიეროდ, სუყველაფერი მახსოვს ვეფხვზე, პატარა ვეფხვზე, ამ ალქაჯზე, საკუთარი ტყავი რომ წამოუსხამს და მობუზულა შემცივნულივით... არც ანდრეი ბელი გვიხსენებია, (სიტყვა „საქმრო“ ყურს მაშინ უხეშად სჭრიდა, „ქმარი“ კი (როგორც სიტყვით, ისე არსით) წარმოუდგენელ რასმედ მიგვაჩნდა).

საკვირველია და (თუმცა აქ საკვირველი ყველაფერი ან არაფერია), უკვე რაღაც იჭვის გრძნობით გული მიკვნესის, უკვე მიელავს Zahnschmerzen im Herzen,² იმაზე — რომ წავა, რომ — გადამიყვარებს. მიტანს უფრო ღრმა და უფრო კეთილშობილური გრძნობაც: მთელი რასის წუხილი, ამორძალთა მოთქმა და ხარი იმ ნაპირზე, გაღმა ნაპირზე, იმათ ნაპირზე გადასულ დაზე.

— დიდებული ვეფხვია. მართლა, მუსაგეტში ამ ვეფხვით მოდიოთ. გულს მაინც გადავაყოლებთ.

¹ პ. ქ. ანდერსენის ზღაპარი.

² კბილის ტკივილი გულში (გერმ.).

(გულში: „ასია! ასია! არ გათხოვდეთ, არ გაჰყვეთ ცოლად თუნდაც ანდრეი ბელის!“)

ხმამალლა:

— მე არ მესმის, რა არის გნოსეოლოგია და ყველა ამაზე რად ლაპარაკობს. ან სულ სხვადასხვას რად ამბობენ, როცა იგი — *ეროფიკონუსული*

(გულში: შენ Mignon-ი ხარ, ასია, განა ოპერის — *მეტეფორის Mignon-ი* კი არ შეიძლება ვისმე მისთხოვდეს — თუნდაც გოეთეს...).

ხმამალლა:

— მე არ მიყვარს ვიაჩესლავ ივანოვი, რადგან ჩემს ლექსებზე თქვა, გამოწურული ლიმონიაო, იმ მიზნით, აბა რას იტყვისო. მე კი ვუთხარი: მართალი ბრძანდებით-მეთქი. თი, როგორ გამიბრაზდა და როგორ გაცოფდა მაშინ გერშენზონი.

(გულში: „O Lasst mich scheinen, bis ich werde! Zicht mir das weisse Kleid nicht aus!² ასია! ეს ხომ მისივე ანუ თქვენივე ანდრეი ბელის ღალატია! თქვენ ქალი ხართ და მეტი ჰკუა და ძალა გმართებთ... მის მაგივრადაც თქვენ უნდა ჩახვდეთ“!).

იგი — ხმამალლა:

— მშვენივრად იცით, თქვენი ლექსები გამოწურული ლიმონი რომ არაა! რატომ დასცინით ვიაჩესლავ ივანოვს ან ჩვენ ყველას?

(გულში: „მე მოუქნელი თითები მაქვს, არ ჰგავს მხატვრისას, ისიც ვიცი, არც თქვენს ნეკად და არც ბელის ფრჩხილად არა ვღირვარ, მაგრამ ლექსებს მაინც ვწერ, ასია, და თვით არ ვიცი, რა გამოვალ — მაგრამ რაღაც რომ გამოვალ, ეს კი ვიცი! ჰოდა, არ გაჰყვეთ, ასია, ანდრეი ბელის, გაუშვით მარტო სიცილიასა და ეგვიპტეში, თქვენ კი დარჩით, დარჩით მარტო, დარჩით ვეფხვთან, დარჩით ვეფხვად!“)

— მარინა, რაზე ფიქრობთ?

ვატყობ, სულ დამავიწყდა გერშენზონზე მელაპარაკა. (რა საშინელი გრძობა ყოფილა, ანაზღად რომ გამოერკვევი და ამჩნევ, ღუმხარ და არც კი იცი, რამდენ ხანს ღუმხარ).

— მარინა, ჩემი გეშინოდეთ, სხვისი ფიქრების კითხვა ვიცი.

მერე დებისკენ ატრიალებს თავს:

— რა წითელი ტუჩები აქვთ ამ ცვეტაევეებს, ნეტა საიდან? ვამპირები ხომ არ არიან? იქნებ მართლაც უნდა მეშინოდეს თქვენი, მარინა? ღამე ხომ არ მომეპარებით და სისხლს არ გამომწოვთ?

— მერე ეგ ვეფხვი რისთვისა გყავთ? თქვენს ლოგინთან ხომ სძინავს ღამით, თანაც შეხეთ, რა ეშვები აქვს!

მეორე ზმანება-მოლანდება თითქოს შემცივნულ, უვეფხვოდ მოსულ, მაგრამ მაინც უჩინრად მასში გახვეულ ასია ტურგენევისი ტრიოხპრუდნიზია, ჩვენი ესოდენ მაღალჭერიან დარბაზისა და სასტუმროს ზღვარზე, რომ თამბაქოს კვამლს შეუძლია სადამდეც უნდა და საითაც უნდა, იქ გაიფანტოს.

ჩვენ შორის უკვე სიყვარულის უბრალოება და სისადავე გამეფებულა, და

¹ მინიონი (ფრანგ.).

² „როგორიც ეჩანვარ, იმად ვიქცევი, ჩემს თეთრ სამოსელს არ გაეკაროთ!“ (გერმ.).

აღარ მახრჩობს ხიბლის თოჯი. მეც ვიცი და მანაც იცის, რომ ორივენი ერთი ჯიშის ვართ. ვხიბლავს უცხო, შენი კი — გიყვარს. ასიას გამგზავრებაზე არაფერს ვამბობთ, არც იმის სახელს ვახსენებთ და არც არასდროს მოგვხსენიებთ. ჯერხნობით ისევ — ქალიშვილობის თავისუფლების ხანაში ვართ, იმ მდინარის გამოღმა მხარეს.

ასია უნდა წაეიდეს, მაგრამ არ მიდის, წასვლა არ უნდა, ვეფხვისა და ვერძისა და ვეფხვისას. მე არ ვაკავებ, მე ვიცი ამ ცხოვრებაში ჩემი ადგილი, და თუ ბოლო არაა იგი, მხოლოდ იმიტომ, რიგში არ ვდგები... (ჩემთან კი, ჩემი უბრალო სიყვარულით, (არის კი უბრალო სიყვარული?) ჩემი მზიარული, ქალიშვილური მეგობრობით ტრიონპრუდნის შესახვევის შოკოლადისფერ, დარაბებიან ნომერ რვა სახლში მაინც უფრო ბედნიერი იყავ, ვინემ აქ, მასთან სიცილიაში, ვისაც დაჰქარგავ უთუოდ და გარდაუვალად...)

— ასია, მალე მიემგზავრებით?

— მალე. ახლა კი წავალ.

საბოლოოდ ვეთხოვები ჩვენს ღვინისფერ — ლეიბივით თეთრი ზოლებით აჭრელებულ სადარბაზოში, სხვა უკანასკნელ გამოთხოვებათა კვალობაზე კვლავ ვეხვევი გიმნაზიის დროინდელ ლურჯ ვერძის ქურქში (მე — ვერძი, შენ — ვეფხვი, ღმერთს ასედაც დაუდგენია, თუმც ვე(რძი) და ვე(ფხვი) ერთმანეთს მაინც ემოყვრებიან) და მივაცვილებ თოვლიან შესახვევში თუ შესახვევებში რომელიღაც თეთრ სახლამდე (იქნებ — ასიასი, იქნებ — მისი, იქნებ — არვისი). რომელსაც ჰქვია „აქ“ და აქ — ვეთხოვები.

— იცით, ხვალ ასია და ბორის ნიკოლაევიჩი სიცილიაში რომ მიდიან.

ეს ვლადიმირ ნილენდერია, ისეთივე ბობოქარი და ყოველგვარ მიწიერს მოწყვეტილი, *âme en peine - d'éternité*¹, და მალლა ისე სწევს ხელებს, თითქოს დარბაზში დაკიდებულ აფროდიტეს ემუდარება, ეს უბედურება ამაცილეო (ახლად ვამჩნევ, რომ ნილენდერსა და ელისს ბელის ფესტები აქვთ. გავლენაა? თუ სულიერი ნათესაობა?).

— ჩემს ლექსს გადასცემთ ასიას?

— განა სადგურზე არ გამოხვალთ?

— არა. პირდაპირ ხელში მიეცით, როცა მესამე ზარი ჩამოჰკრავს. ოღონდაც ისე...

— ვიცი, ვიცი.

— არა, არ იცით. მესამე ზარის შემდეგ კი არა, როცა ყველა კიბეს ეხვევა, რომ საბოლოოდ დაემშვიდობონ, არამედ მაშინ, როცა უკანასკნელ გამცილებელს ხელს ჩამოართმევს და უკანასკნელად ხელს დაუქნევს...

ერთი დღის შემდეგ თახვის ჭაღარა და დათოვლილი საყელო რომ გადაიწია (ვეფხვი, ვერძი, თახვი... ამ თახვით აჭრობდა იგი შემდეგ თავის ფილოლოგიურ ხანძარს. თახვი დაიწვა, სამაგიეროდ გადარჩა ფილოლოგის ყველა წიგნი), ეს შემომძახა:

— მარინა! გაემგზავრენ! გული მოგიკვდებოდა. საწყალი ასია ვაეკაცუ-

¹ მარადისობით შეძრული სული (ფრანგ.).

რად იმაგრებდა თავს, არ ტიროდა, ოღონდაც მისივე დასრესილი ცხვირსაბო-
ცივით მოიბუზა და მოიჭმუჭნა. ცრემლი კი მაინც არ გადმოაგლო!

(ნერჩინსკში ხომ არ მიდიოდა! მონრეალში მიჰყვებოდა საგვარელო კაცს,
ანდრეი ბელის. მაგრამ მაშინ ასეთი სულის ხალხი იყო და ასეთი გრძნობები
ჰქონდათ!).

— ბელი როგორ იყო?

— იცით (უდიდესი განცვიფრებით) — მგონი, ბედნიერი ნათელი ადგა!

— მას მუდამ ნათელი ადგას.

— ჰო, მაგრამ გუშინ განსაკუთრებით, თითქოს კი არ მიემგზავრება — მი-
ფრინავს კაცი! გეგონებოდა, მატარებელს ორთქლი კი არა, მისი...

— აღმაფრენა მიაქროლებსო.

— ბედნიერი, საწყალი ასია.

მეც იმავე გრძნობით:

Никому, с участием или гневно,
Не позволъ в былое заглянуть,
Добрый путь погибшая царевна,
Добрый путь!

— მარინა, რა სიგიჟეა და ბოროტება ქორწინება!

ამას მე — პირში მეუბნება! — ის, ვინც... განა ასიას და ბელის ბედი
ჩვენი ბედი არ იქნებოდა, ერთ-ერთ ჩვენთაგანს რომ ცოტათი მეტი სიგიჟე
და ცოდვილობა გამოეჩინა! სამაგიეროდ — განა რა შეედრება ამ ნათელ გრძნო-
ბას — სამაგიეროდ ის ხომ ვიცი, გინდაც ათი და გინდაც ოცი წლის შემდეგ
მის — ფილოლოგის სამყოფელში, ორფეისის მღვიმესა თუ სიბილას გამოქ-
ვაბულში რომ შევიდე, მარჯვენა ხელით თავის ყმაწვილ ცოლს განზე მიაგდებს,
მარცხენათი გადმოანგრევს და თავზე დამამხობს ჭერამდე ასულ ძველი წიგ-
ნების გროვას და ხელეზგაშლილი შემეგებება — ეს ხელები კი ფრთები იქნება.

აი, ჩვენი და ჩვენს მსგავსთა ჯილდო ჩვენგანვე უარყოფილ მონრეა-
ლისთვის.

ერთი წლის შემდეგ, აღარ მახსოვს საიდან, ასიას წერილი მომივიდა. გო-
ნივრული და საქმიანი, სადაც ზუსტად ეწერა მისამართები და ფასები, პასუხად
ჩემი წერილისა, სიცილიაში სად სჯობს-მეთქი გამგზავრება. ჩემი საქორწინო
მოგზაურობაც ერთი წლის შემდეგ მხოლოდ მისი — ასიას, კატიას, ფსიქეას
— კვალდაკვალ მგზავრობა იყო, ის ყრუ-მუნჯი სირაკუზელი გოგოც დაფნის
შავად და ტყესავით გაბარდნილ ბაღში ისეთ ლურჯ თაკარა შუადღეს, — იმ
დღის სილურჯე აქამდე თვალწინ მიდგას, — სირბილით რომ მიმიძლოდა უფსკ-
რულის პირას და უცებ შედგა ხელაწეული: „აი, ესო!“ რაიც იყო პოეტთა შო-
რის უსპეტაკეს ავგუსტ პლატენის ქანდაკება — August von Platen - seine

¹ გინდ რისხვითა და გინდ თანაგრძნობით
წარსულში არვინ არ ჩაახედო
გზა მშვიდობისა, დაღუპულო მეფის ასულო,
გზა მშვიდობისა!

Freunde,¹ სირაკუზელი გოგოც, ტევრიდან უეცრივ გამოსული, რა თქმა უნდა, ასიას სული ან თუნდაც მისი სულის პატარა, ჩემეული ნაწილი იყო — იმ შავ ბაღში ჩემს მფარველ ანგელოზად მოვლენილი.

ასია მეტად აღარ მინახავს.

გოგო... ბეკეკო... Bichette... აჰ, ეს შენ ხარ, Bichette?



ქართული
ბიბლიოთეკა

1920 წელი. ნილენდერის ფილოლოგიური სამყოფელი, იქ კი მღვდელი ვის ზარისდამცემ თვალებს, თვალებს — ცის ლურჯი უფსკრულის დართ — კარგად ვიცნობდი. ოლონდაც ამ თვალებს პრიმუსის ზემოდან კი არა, კედლიდან უნდა ეცქირათ ჩემთვის.

— ველარ მიცანიტ? ასე ძალიან შევიცვალე? სოლოვიოვი ვარ, სერიოჟა სოლოვიოვი. (დიახ, დიახ, სწორედ სერიოჟა უნდა ეთქვა, რომ არ მეფიქრა — დღისით, მზისით, ვლადიმირი მესტუმრა-მეთქი! ოლონდ სად გაქრა გასაოცარი, ვარდისფერი მარმარილოს მომრგვალო სახე? კი, მღვდელი, მაგრამ — ლექსები სადღა!)

„ტანია როგორაა?“ — „სოფელშია. უკვე სამი გოგო ჰყავს“. — „მასაც სამი?“ — „მასაც — სამი“. „ტურგენელების ჯიშზე წავიდა?“ — „ტურგენელების, ერთ-ერთი ასიას მოჰგავს ძალიან“, — „მადლობელი ვარ“.

განსამარტებლად უნდა დავძინო, ჩემი ასიას მაგალითით მოხიბლული ტანია ტურგენევა გიმნაზიის მეექვსე კლასიდან სერიოჟა სოლოვიოვს გაჰყვა ცოლად, ისე რომ საუბარი სოლოვიოვ-ტურგენელების შვილებზე იყო.

ამ მშვენიერ, ამ ზარდამცემთვალებიან მღვდლის წასვლის შემდეგ ნილენდერი მომიბრუნდა:

— ოცნებადა აქვს ეკლესიების შეერთება, მართლმადიდებლობის შემდეგ კათოლიკობა ირწმუნა, ახლა კი უნიატია, თავდაპირველად კი პოეტი იყო!

Знают, стройно и напевно
В полночь вставшие снега,
Что свершает путь царевна,
Взяв оленя за рога...²

— ო, ეს დიდი ხნის წინათ იყო... და ეს სხვა კაცი იყო... და ეს ასიას დროს იყო... — მითხრა იმ კაცის განსაკუთრებული სინაზის გრძნობით, ვინც შეყვარებული არასოდეს არ ყოფილა — ვერ გაებედა შეყვარება! — მაგრამ შეყვარებულის, შეყვარებულთა გვერდით იმყოფებოდა და მათი სინაზით საზრდოობდა...

უ-ნი-ატი... გიმნაზიაში ყოფნის წლების გულგამწურავი შიში: რიყრაჟია... ჩამოიარა წყლის მზიდავმა... უნდა ავდგე... პოლონურ უნიატზე... გამოკითხვა მაქვს...

¹ ავგუსტ ფონ პლატენს — მისი მეგობრებისგან (გერმ.).

² და იცის თოვლმა, შუალამისას

წამოშლილმა ნარნარად და სიმღერ-სიმღერით,

მობრძანდებოა მეფის ასული

და უკან მოჰყავს რქებით ირემი... (არაზუსტი ციტატა ს. სოლოვიოვის ლექსიდან „გზი მეფის ასულის“).

არა, დები ტურგენევი მეორედ აღარ განმეორდნენ. 1922 წელს ვოზდე-
ენკაზე ახალგაზრდა ქალი შემეხმინა, სახეჩაფერფლილი, იმ ზრუნვისა და
წუხილის ნაცარმიყრილი, სქესს და ასაკს რომ ათანაბრებს დაქვანულგარდობას
ნიჩაბივით გადაასწორებს.

— ტანია გახლავართ, ტანია ტურგენევა. თუმცა თქვენც ძალზე გამოცვ-
ლილხართ. მე (უეცრივ ისევ ის თვალეზი, ცრემლით აღვსილი) — ვოგო მომი-
კვდა. მეორე ვოგო. აი სურათი, მაშინ ჯერ ისევ სამი მყავდა.

ჩემი და ტანიას სახესავით ჩანაცრისფერებულ იაფფასიან სურათიდან სამი
პატარა ტურგენევა, სამი ლედი ჯეინი შემომცქერის. შავფრჩხილიანი, მაგრამ
ჯერ ისევ თლილი თითით ტანია ერთ-ერთის თავზე მითითებს:

— აი, ეს მოკვდა.

რა თქმა უნდა, „ასია“ ის იყო.

ასია მეტად აღარ მინახავს. არის ისეთი შეხვედრები და განცდები, როს
ადამიანს ყველაფერი ერთად გეძლევა და გაგრძელებას არ საჭიროებს. გაგრ-
ძელება ხომ იგივე შემოწმებაა.

ისინი არც ნაღველს ტოვებენ სულში. ნაღველი (უსაზომო) ხომ მაშინაა
— რომ შენ თუ იმან — ყველაფერი ვერ გაიღე და უწილადე. სიცარიელე —
როცა უღირსს უწილადებ (ღირსეულს ვერას უწილადებ!) ასია პირველი წუ-
თიდანვე მე შევიგრძენ — ვით მიმავალი, ჟამთა ვითარებაში — დაკარგული.
ასეთნაირად უყვართ მხოლოდ მომაკვდავი: უყვართ ყველაფერი, ყველა უკა-
ნასკნელად თქმული თუ ართქმული სიტყვა. პირველსავე შეხვედრიდან მე უსი-
ტყვოდ მივენდე და ვალიარე ჩემზე მისი უპირატესობა. გულში უმაღვე და-
ვუთმე ყველა ადგილი, სადაც კი ოდესმე შეხლა მოგვიხდებოდა: ისევე ბუნებ-
რივად, ვით ზმანებას, გინდა თუ არა, სულში მაინც რომ შემოგეჭრება.

თექვსმეტი წლისამ უკვე ვიცოდი, რომ ლექსების შთაგონება უფრო დიდს
ნიშნავს, უფრო დიდი „ღვთის მადლია“ და ღვთისრჩეულობა, ვიდრე თვით
ლექსების წერა. რომ თუ ამქვეყნად „ასიები“ არ ყოფილიყვნენ — არც პოე-
მები იქნებოდა.

უბრალოდ რომ ვთქვა, მეც ისევე მოვიქეცი, როგორც ჩემს ირგვლივმყო-
ფი მეგობარი მამაკაცები: მე მოვიხიბლე, მე სულით და გულით მივენდე პოე-
ტის მთელი ერთგულებით და უანგარობით.

თუ არ გინდა ეჭვმა, წყენამ გატანჯოს, თუ არ გინდა ბრძოლა გატოლე-
ბისთვის, არ გინდა დაზარალდე, — აღარც ეცადო, თავს ძალა არ დაატანო —
მიენდე და მიეც ყოველი, რისი მიცემაც შეგიძლია, დაშთენილით კი შექქმენ
ზმანება, მარად უკვდავი. ამას ვუტოვებ ანდერძად ქალად მოვლენილ ჩემს
შთამომავალ, ჩემს მემკვიდრე პოეტს.

დორნახიდან დაბრუნებული ბელი უბრალოდ აღარ მახსოვს.

მახსოვს მხოლოდ, ტეოსა¹ თუ განსახკომში რომ მივდიოდი, — იქ კი იშ-

¹ თეატრალური საზოგადოება.

ვიათად დავდიოდი, ვინაიდან ყველა დაწესებულებას გვერდს ვუვლიდი, — არ შეიძლება ყველა კიბეზე ქარივით არ დამძვრებოდა. წყვილი ფრთა, გრუზა თმა და შუბლზე ნათელი.

— თქვენ ხართ? თქვენ? თქვენ? რა საამოა მუდამ თქვენი ნახვა! მუდამ რარიგ გიცინით სახე!

შემოგივლიდა ასე ცირკის ცხენივით, მოგბერავდა დიდი ჩიტოვების ფრთებით გაკვეთილ ჰაერს, დაგიტოვებდა თვალეში — ნათელს, ყურებში — შხუილს, და გაქანდებოდა სადღაც, საბეჭდი მანქანების კაკაკუკით გაყრუებულ დერეფნებში, გარს შემოხვეული მსმენელი კაცებისა თუ ქალების ჯგროთი. მაშინ მე იგი მაგონებდა ხალხით გაჭედულ საბჭოთა ტრამვაის, სადაც ასვლა არც ისე უხიფათოა.

ან კიდევ ხელოვნების სასახლის მწვანე შინდორი (პოვარსკაიაზე როსტოვთა სახლი). ნეტა რა ხდება? ნაფოტა თევზი ხომ არ რიგდება? თუმცა არც თევზის კუდები ჩანს და არც რიგისა. რაღაც უფრო საზეიმო, არეული, ნაფოტა თევზზე უფრო მეტი შთაგონების მომგვრელი განწყობა სუფევს, რამეთუ ჟღერა ზანტი პოეტი რუკავიშნიკოვიც კი მოსულა და, ჯიბეებში ხელეჩაწყობილი, არყის ხეს მიყრდნობია.

მე — ვიღაც ქალიშვილს:

— რა ხდება აქა?

— ბორის ნიკოლაევიჩი გახლავთ აქა.

— მისი ლექციაა?

— არა, არაფრიების ლაპარაკს ისმენს.

— არა — რისი?

(ის საქმიანად):

— ეს ჯგუფია ახალი მიმართულების, ამტკიცებენ, არაფერი არ არსებობსო.

ახლოს მივდივარ. კი მაგრამ, როგორღა ისმენს, როცა თვითონ ლაპარაკობს? ლაპარაკობს, პირს არ აჩერებს. ის ყმაწვილები — ანუ არაფრიები კი დგანან და პირი დაუღიათ. ეტყობა, დიდი ხანია ლაპარაკობს, აგერ ნათელ შუბლზე ოფლს იწმენდავს.

— არაფერი: რა ფერი: ანუ არა-ფერი, შავი ფერი. ა-რა-ფე-რი, სიცარიელე ანუ — Zero! — სიცარიელის შავი წრედი... შავი, შა-ვი — შავი ღამე, შავი ეშმა, შავი ჯადო. არაფრიები ანუ არა-ფერი-ები... ე ბ ი ანუ ჯარი არაფერთა, ხურდამურდით სავსე შავი სორო: შავი, შავი, წვრილი, წვრილი ხურდამურდით... არაფრიები ანუ — მომრავლებული რწყილები იმ სახლში, ვისი პატრონებიც საზაფხულოდ (თითს მალლა სწევს, მერე ნელა ქვემოთკენ ხრის, თვითონაც თვალს აყოლებს და სხვებსაც აიძულებს გააყოლონ) წავიდნენ! ცარიელი აგარაკი: შიგ სიცარიელე და კიდევ ე ბ ი, არაფერი, ბლომ-ბლომად მომრავლებული... ე ბ ი... აგარაკი! არა ხის სახლი სოკოლნიკებში, არამედ აგარაკი ანუ საჩუქარი, ვილაცის საჩუქარი, რუსული ლიტერატურაც ხომ ვილაცის საჩუქარი და მადლი იყო, მაგრამ (ტუჩებთან თითი იდუმალად): პ ა ტ რ ო ნ ე ბ ი წ ა ვ ი დ ნ ე ნ და დარჩა მხოლოდ არაფერი, იქ დაბინავდა არაფერი. მაგრამ ამას კიდევ რა უშავს, როცა მ ა რ ტ ო არაფერია. ეს კიდევ არაფერია, ვაი ისაა — როცა ე ბ ი ა... ე ბ ი ანუ იგივე — ჰეფცხიი... ხი-ხი. მოდის და

1 ნოლი (ფრანგ.).

წვრილ ფეხებზე მოცეკვავს ხი-ხი... და დარჩა მხოლოდ ჰეფცხი — ხი-ხი. დარჩა მხოლოდ არა არაფერი, არამედ ჰეფცხი — ხი-ხი... ანუ შავ წვრილ ფეხებზე — რწყილთა ლაშქარი... მერე როგორ იკბინებიან! იგესლებიან! თან ვერც ვერაფერს ვერ დააკლებ — როგორც ამ თქვენს არაფრი-ობას! ჩაქცეული შავი სოროს კიდე-კიდეზე, სადაც მარხია რუსული ლიტერატურა (სინამდვილად)... და კიდევ რაღაც... დადიხართ წვრილფეხება — არაფრიეზი და სეკსორაობათ შვილები — არაფრიშვილები.

ბლოკმა ვერ გაძლო, იმიტომ რომ ბლოკი — ფერია, შავი ფერია, მისი შავი თუ შავია, სულ შავია, როგორც არსობა, სინამდვილე. თუ ოთახიდან სანთელს გაიტან — სიბნელეა, მაგრამ გახვალ და გარეთ ნამდვილი შავი ღამეა, ურწყვი შავი ღამე.

...Не потому что от нее светло
А потому что с ней—не надо света...¹

ღამეს — შუქი არ უნდა.

ბლოკი რომ ღამე-ბნელში ღამპით არ გამოვიდა, ისეთივე ბრძენკაცია, ვით დიოგენე დღისით-მზისით ფარანით ხელში. ამან შუქს შუქი მიუმატა, იმან ბნელს — ბნელი. ბლოკმა რომ ღამე იწამა და მას ეზაარა — ცამდე მართალია. შავს — შავი მიუმატა, ჩააქუფრა, გააღრმავა, გააძლიერა, ღამე უფრო შავი გახდა — სტიქია გაამდიდრა... თქვენ კი ხი-ხი! დახტით შავი ორმოს კიდეზე, შიგ არ ცვივდებით და ხი-ხი... მუქთად გწადიათ ყველაფერი და — ხი-ხი... ლექსი? ხი... ხი?

... მაგრამ თუ მეტყვით, რომ... — მე გეტყვით, რომ... ხოლო თუ მიპასუხებთ, რომ... — წინდაწინვე გიცხადებთ, რომ... ისიც ახლავე, ამ წუთს, როცა ჯერ კიდევ არა გითქვამთ რა..

„არა გითქვამთ“... ვაჟკაცი ხარ და — აბა თქვი რამე! კი, იტყვი აქა...

ეს არ იყო მხოლოდ სიტყვიერი ზეშთაგონება, ეს იყო — როკვა. იმ ქალიშვილს რომ მაშინ ეთქვა: „რა არის და ბელი არაფრიებს *übertanzt*²-ო...“ შემცდარი არ იქნებოდა. ყვითელი ყვავილებით მოჩითული მწვანე მინდორი მის ფერხთა ქვეშ ხალიჩად იქცა — და როცა ვუცქერ, როგორ დგება იგი ცერებზე, აი, წრეს უვლის, ძირს იხრება, განდაგან მიდის, აი, ღამის მიწას მოწყდეს, აი, ღამის ცაში აფრინდეს — მე მეღანდება საუკუნეთა ორგამბათიანი ზმანება, მის ძირას ნოხი, ზედ ყმაწვილი გოგონა და მისი ბეკეკო...

— ესმერალდა! ჯალი!

კიბეზე, კათედრაზე თუ ხელისგულივით გაშლილ მწვანე მინდორზე მუდამ ხალხით შემოხვეული, და მაინც მუდამ თავისუფალი, გზის დათმობა არ გჭირდებოდა, *ich überflieg euch!*³ მუდამ მოფრიალე სერთუკის კალთებით (თუ პიჯაკისა? სულ ერთია, მაინც სერთუკი გეგონებოდა!), ძველებურად მოხდენილი, დახვეწილი, ფრთაშესხმული — თან მაგისტრი და თან მეფოკუსე, რომლის ყველაფერს: სიტყვას, აზრს, მერცხლის კუდივით გაშლილ კალთების ფრიალს, გინდ ფეხებისა, არა, ფეხების არა! — მთელი სხეულის, თვისი მეორე სულის,

¹ განა იმიტომ, რომ სინათლეს აშუქებს იგი, არამედ იმიტომ, სინათლე მასთან არ დაგჭირდება (ი. ანენსკის ლექსიდან „სამყაროთ შორის“)

² როკვაში ჯაზნის (გერმ.).

³ მე თავზე გადაგიფრენთ (გერმ.).

კიდევ თვისი სხეულის სულის, ცალკე მეტყველ დირიჟორისეულ ზურგის თამაშს — რომლის უკან ორ ფრთად, ორ აღმავალ კიბედ მუდამ უხილავ ანგელოზთა ორკესტრი იდგა — რომლის ყველაფერს-მეთქი ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი მნიშვნელობა აქვს...

— ასეთს გხედავდნენ შენ ყველანი, დაწყებული შვეიცარიელი გლეხიდან ნიდან გათავებული ცოსენელი დიასახლისით, ასეთი დარჩები მუდამ — ყველას სსოვნაში, სულთ ნარნარო, მეგობარო მარტოსულო!

ხიბლი — აი, სიტყვა შენტვის ზედ გამოჭრილი, მხიბვლელი და, როგორც ყველა იძახის, თუმცა ნაზზე ნაზი ღიმილით — თან ორგული! ო, რა თქმა უნდა ზენა გაგებით, როგორც აქ — ყველაფერი, რაც გამოუსავალში შეგიტყუებს, ღრუბლებს ზემოთ აგაფრენს, იქ კი უეცრივ გიგანებს, მყის მშობლივრ უფსკრულში ჩაგაქანებს, მარტოს მივაგდებს და, ფიქრებში წასულს, რალაციის გატაცებით მკვრეტს, დაავიწყდები, ვისაც ეს წუთია ვედრებითა და სასოებით („ხომ არასოდეს დავცილდებით? ხომ არასოდეს დავცილდებით?“) თავის საუკეთესო მეგობარს გიწოდებდა.

Не верь, не верь поэту, дева,
Его своим ты не зови...¹

ოო, არა მარტო „ასულმა“ — ასული რაა! საუკეთესო მეგობარმაც კი, ვინაიდან პოეტს საუკეთესო მეგობარზე კიდევ უფრო საუკეთესო, კიდევ უფრო ახლობელი მეგობარი ჰყავს, ვისაც არასდროს უორგულებს, ვისი გულისთვის ყველას უორგულებს, ვისიც ნამდვილი მონა და ყმაა — არა ერთგულების გადატანითი, არამედ მონობის პირველადი, საშინელი ვნებითი აზრით: მონა — გაყიდული და ნასყიდი, მონა — დაბორკილი და მიჯაჭვული.

— დაუყარე ღორებს მარგალიტი... — ჩურჩულებს სათნო პოეტი ქალი ადა ჩუმჩენკო, იქაური თანამშრომელი, — მეც კი ცუდად ვხდები, როცა ჩემთან დაიწყებს ხოლმე... მრცხვენია... ასე მგონია, მუჭა-მუჭად აბნევს, მე კი ვკენკავ...

— ესენი ცუდად არ ხდებიან.

— არ ესმით, ვინ არის, და იმიტომაც.

— ან თვითონ ვინ არიან.

მაგრამ ადა ჩუმჩენკოსი, კიდევ ჩემსა და ჩემებრ იშვიათი და მორცხვი სტუმრის, ბორის პასტერნაკის გარდა — მე ახლოს მისვლისაც მეშინოდა — ბელი არავის ებრალებოდა, გული არავის შესტკიოდა, ყველა იხმარდა და იყენებდა ისე ზღაზვნითა და ისე ზანტად, ვით გამძლარი კატა არაყანს ლოკავს. ზოგი მხართეძოზე ნებივრად მწოლიც, ბელის მარგალიტებს ასე მწოლიარე იჯიბავდა.

„რა ამბავია?“ — „რადა, ბელი ისევ გიეობს, ისევ გამოდის არსებიდან“.

გამოდის, მაგრამ თქვენში არ შედის. რამეთუ ჩვენი როცა სხვაში შედის. სხვამდე მიდის, ამას გაფლანგვა აღარ ჰქვია, სიცარიელე აღარ ჰქვია. ესაა დაცლა და შევსება, გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთზიარება, ჰარმონია...

ისე კი...

საბრალო, საბრალო, საბრალო ბელი. „ხელოვნების სასახლეთაგან“ სხვებთან

¹ ნუ დაუჭერებ პოეტს, ასულო,
და ჩემიარ, ნუ იტყვი მასზე... (ფ. ტიუტჩევის ლექსიდან)

ერთად წამოსული თავის ბინძურ სოროში, სადაც მარჯვნივ ოთახში ნაჯახს უხატქუნებენ, მარცხნივ — ხერხს ყურისწამლებად აჭრიალებენ, ზემოთ ჩექმებს აბრაგუნებენ, ძირს, იატაკზე ტალახი და სიბინძურეა, წამოხული და მარტობაში დაშთენილი, თანაცხოვრების იმ საშინელ მარტობაში, რაც ეგზომ პირუკუა კურთხეული განმარტოების.

ქართული
გონიერება

1921 წელს, ბლოკის გარდაცვალებიდან სულ მალე, მის უკანასკნელ მეგობრებს, ცოლ-ქმარ კოგანებს დავუახლოვდი. კოგანი არც ისე დიდი ხანია გარდაიცვალა, და თუ აქამდე მე არ მითქვამს, რაც ამ კაცზე ვიცოდი და რასაც მისადმი ვგრძნობდი, მხოლოდ იმიტომ, შემთხვევა არა მქონია.

პ. ს. კოგანს არც პოეტებისა და არც ლექსების არაფერი გაეგებოდა. მაგრამ ძალიან აფასებდა და რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა ამათთა და იმათთვისაც, ხოლო იმ ორიდან, რომელთაგან ერთს შენი ესმის, მაგრამ შენთვის თითოს არ გაანძრევს, მეორეს კი არ ესმის და მაინც ხელებით და ფეხებითაც კი გეხმარება (ღიახ, ფეხებითაც კი, ვინაიდან იმ წლებში ადამიანს რომ დახმარებოდი და მოგეწყო სადმე, სიარული იყო საჭირო!), ყველა პოეტი და მთელი პოეზია, თქმა რად უნდა, ვისაც არ ესმის, იმას აირჩევს.

აღმერთო პოეტი და მისი ლექსები — ხელი კი არ გაუწოდო, სვა წყალი და არხეინად უყურო იმას, ნაგვით როგორ ივსება წყარო, მიწიერი შლამი არ მოაშორო, გულხელდაკრეფილმა უჭვრიტო და დატკბე კიდევ მისი „პოეტურ“ ხავსით. უსმინო ბელის და არ გაჰყვე, ცეცხლი არ დაუნთო, ნაგავი არ გამოუხვეტო, მადლიერი არ იყო იმით, რომ — არ ს ე ბ ო ბ ს. მე თუ უკან არ გაეყვები, მხოლოდ იმიტომ, რის გამოც ახლოს მისვლა ვერ გამებედა: თოთხმეტი წლის მანძილზე განმტკიცებული რიდი მიშლიდა. შველა ხომ ზოგჯერ — გაბედვაც არის. კიდევ იმიტომ, რომ რატომღაც დაბადებითვე გადავწყვიტე (და იქნებ ამით ჩემი ცხოვრებაც წინასწარ გადავწყვიტე), რომ ბედუკულმართი დიდების ყველა ადგილი, ბერტრანისეულ¹ ერთგულების ყველა საგუშაგო და კავებული არის-მეთქი. წმიდათაწმიდა რიდი და კრძალვა — დაბრკოლებათა დასაბამია.

— მწერალი, დიდი მწერალი მაინც არ იყოს, ვაი სირცხვილო! — დუნედ, აღუშფოთებლად, მაგრამ მწარედ ჰყვება კოგანი და თმა-ულვაშს იჩეჩს (თმა ზევით ებურძგლება, ულვაში — ქვემოთ).

— რა იყო, ვისზე ამბობთ?

— ვისზე? ბელიზე. ატეხა ერთი ალიაქოთი, ვიფიქრეთ, ბლოკზე გააკეთებს მოხსენებას, ლიტერატურული მოგონებით გამოვა და შეაფასებს-თქო. უცბად კი მოჰყვა: შიმშილმა! შიმშილმა! შიმშილმა მოჰკლა! შიმშილის ნიკრისის ქარმა, როგორც სხვები — სიმაძღრისამ. ს უ ლ ი ს ასთმამ!

— დამზრალ კართოფილს განა თქვენ არ უგზავნიდით ბლოკს მოსკოვიდან პეტერბურგში?

— მაგრამ ამაზე ხომ არ ვყვირი. რა დროს ესაა. თუმცა ეს კიდევ არაფერი, ბლოკის შემდეგ უცებ — საკუთარ თავზე დაიწყო: „ოთახი არ მაქვს! მე

¹ ანრი გრასიენ ბერტრანი (1772-1844) — ნაპოლეონის ერთგული გენერალი, წმინდა ელენეს კუნძულზეც რომ თან გაჰყვა.

— რუსული მიწის მწერალს (სწორედ ასე თქვა!) ქვა არა მაქვს თავმისადები, არა, ქვა კი მაქვს, სწორედაც ქვა, მაგრამ უკაცრავად და — ქვის გაღივებაში ხომ არ ვცხოვრობთ, ჩვენ რევოლუციურ მოსკოვში ვართ, სადაც მწერალს დახმარება უნდა აღმოეჩინოს. მე დავწერე „პეტერბურგი“! მეფის რუსეთის დამხობა მე წინასწარ ვიწინასწარმეტყველე, მე სიზმრად ვნახე მეფის დასასრული ჯერ კიდევ 1905-ში. ვნახე — მარცხნივ ხერხი, მარჯვნივ — ნაჯახი...

— სიზმრად? — ვკითხე.

კოგანი დაღრეჯილად:

— არა! სიზმრად არა, მეზობლად ჰყავს: აქეთ მხერხავი, იქით მჩებავი. — „მე წერა არ შემძლია! ეს სირცხვილი და თავისმოჭრაა! ნაფოტა თევზის რიგში უნდა ვიდგე, როცა წერა მსურს! მაგრამ ჭამაც მსურს! სულიწმინდა მე არა ვარ! თქვენთვის — არა ვარ! მინდა სუფთა თეფშიდან ვჭამო, ჭაშაყი ცალკე პატარა თეფშზე მედოს, ის თეფში მე არ გავრეცხო. ეს მე დავიმსახურე! პატარაობიდან სულ ვმუშაობდი! ამ დარბაზში კი ვხედავ ზარმაცებს და მუქთაბორებს (ასე თქვა სწორედ!), ორ-ორი, სამ-სამი ოთახი რომ აქვთ — სხვადასხვა საბაბის გამო, ღიახ, თითო საბაბით — თითო ოთახი <...> სპეკულიანტები, პარაზიტები! მე კი პროლეტარი ვარ: Lumpenproletariat! ვინაიდან ძონძებში დავიარები! <...> ჰოდა, მანამ ვიბღავლებ, ვინემ ჩემსას არ გაიგონებენ! ააააა!“ — ოფლი ღვარად ჩამოსდის, ხან ყვითლდება, ხან წითლდება, ისე საშინლად იყურება, როგორც არასდროს, ეტყობა, თვალისჩინი სიბრაზემ დააკარგვინა. ინტელიგენტი, კულტურული კაცი მაინც არ იყოს, დიდი მწერალი. აი, რა პატივი სცა ხსოვნის საღამოს...

— გგონიათ, მართალი არ თქვა?

— რასაკვირველია, მართალი თქვა. ოთახი კი უნდა ჰქონდეს. ერთი, რომ ოთახი ყველას სჭირდება, მეორეც — მწერალია და ჩვენდამი არაა მტრულად განწყობილი. ჩვენ ისედაც ხომ ყოველნაირად... მაგრამ ასეც არ შეიძლება. ამდენ ხალხში ასე იყვირო. თითქოს ეშაფოტზე აპყავდე ვისმე. და თუ ბლოკი მართლა შიმშილით მოკვდა, მხოლოდ იმიტომ — ჩემზე ახლოს მას ვინ იცნობდა! — მართლაც დიდბუნებოვანი კაცი იყო, თავმდაბალი, თავის თავზე არ გაპყვიროდა, როცა კარჭაპის გადმოსატვირთად ძალით წაიყვანეს, უხმოვად წავიდა, არავის უთხრა, თუ ვინ იყო. ჭეშმარიტი დიდბუნებოვნება აი ესაა.

— მაგრამ მაშინ ხომ მწერალი აღარ დაგრჩებათ...

— ეგეც სწორია. მწერლები საჭიროა. და არა მარტო საზოგადოანი. არ გაგიკვირდეთ ძველი მარქსისტისაგან, მაგრამ მე, მაგალითად, ძალიან მიყვარს დივანზე წამოგორება და ბალმონტის კითხვა — მშვენიერების მოთხოვნილება განა ჩვენ არ გვაქვს. ეკონომიური მდგომარეობის ზრდასთან ერთად თანდათან უფრო გაიზრდება მოთხოვნილებაც და სილამაზეც... მწერლები საჭირონი და მზად ვართ კიდევაც მათ ყველაფერი გავუკეთოთ. ხომ მოგეცით თქვენი ულუფა და „მეფე-ასული“ გამოგართვით გამოსაცემად — მაგრამ — არ ვიცა, როგორ გითხრათ და, იმ პირობით, მოთმინება გამოიჩინოთ, ოთახი აბა ამისთანა ამბის შემდეგ როგორღა მივცეთ? ხომ გამოვა, თითქოსდა... მისი შეგვეშინდა?

— მისცემთ კი მართლა?

— აბა არ მივცემთ! ჩემსას მივცემდი, ოღონდაც ეს ამბავი არ მომხდარიყო. მისთვისვე არის ცუდი. თავკერძობაში ჩამოართმევენ. მაგრამ ხომ ვიცი, თავკერძი რომ არაა, რომ ბლოკის გამო თხოულობს ოთახს, ბლოკის სახელით,

ბლოკისტების — ოთახს, ბლოკის სიყვარულით — ჩვენი სიყვარულით (მას ხომ რატომღაც და რალაცის გამო მაინც ვუყვარვართ, ისე, როგორც თქვენ) — რათა ისეთი რამ არ მოხდეს, რაზეც პასუხი მერე ჩვენვე უნდა ვაგროთ. მაგრამ, უკაცრავად და, შეიძლება კი მწერლებს უფლება მივცეთ... ასე გვიყვებოდნენ? ეს ხომ (ბეცი თვალები სათნო გაოცებით მომჩერებიან)... მართლმწიფობა?

ბელის ხელდახელ მოუგვარა მან ბინის საქმე, არა ხალხის მიწით, პრამედ ღვთისა და ადამიანის სიყვარულით, კიდევ იმიტომ, ერთბაშად ჩახვდა, მწერალს რომ ბინა სჭირდებოდა. მართლა კეთილი კაცი იყო, ყველაფერი რომ ესმოდა, — პოეტის ყველა სიგიჟე და დამთხვეულობა და პოემის ყველა ბნელი ადგილი — თუკი კარგად განუმარტავდი. მაგრამ ხუმრობისა არაფერი გაეგებოდა. როცა ერთ საღამოზე — მისი უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის გამო რომ მოეწყო — ერთმა მწერლის ცოლმა მხარზე თუ მუცელში ღონივრად გაჰკრა ხელი და (ვისაც მოხვდებოდა, სადაც მოხვდებოდა, ყველას უთუოდ გაჰკრავდა ხოლმე — არავის გამოტოვებდა!) ასე უთხრა: „ჯანდაბას მაგათი თავი, პ. ს. რახან ეძინებათ, დაე წაბრძანდნენ. ჩვენ კი აქ დავრჩეთ, ჰა? რა დროს გავატარებთ ორნი მარტო — ჰა?“ კოგანი ხუმრობას ვერ მიუხვდა: „სიამოვნებით, ოღონდაც მართალი გითხრათ, ამ საღამოს სამუშაო მაქვს, სტატია უნდა დავამთავრო...“ რაზეც ქალმა პასუხად:

„დაფრთხი განა, იოსებ მშვენიერო, თუმცა პიოტრი კი ხარ, მე სემიონისა, ისე კი მაინც კარგი კაცია, არა, მარინუშკა, ჩვენი პიოტრ სემიონიჩი? დახატული ვაჟკაცი იქნებოდა, სათვალე რომ არა, ჰა? შენც მოგწონს? თუმცა ყველანი კარგებია, ცუდი არ შემხვედრია...“

ამ ჰუმანურ დასკვნას კოგანი მოწიწებითა და სიხარულით დაეთანხმა, მით უმეტეს, რომ მიხვდა, გადავრჩიო.

ახლა, როცა თორმეტმა წელმა განვლო, არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო მწერლების ეს სათვალეიანი და უღვაშიანი მფარველი ანგელოზი. მათი მიწიერ საქმეთა მოციქული, როცა იქნება ბლოკზე დავწერ ჩემს მოგონებებს და მაშინ კიდევ ერთხელ გავიხსენებ მას.

ასეთი იყო ჩემთვის უკანასკნელად ბელი მოსკოვში, ბელი ზეპირთქმულენის და გადმოცემისა, თუნდაც გაუბრალოებულ — და მაინც საცნობი. ბელი იმ ლეგენდისა — 1908-დან 1922 წლამდე — მთელი თოთხმეტი წელი რომ გრძელდებოდა.

ახლა ჩვენი შეხვედრა.

II

შეხვედრა

(Gelster auf dem Gange)
Drinnen gefangen ist Einer!¹

ბერლინი. «Pragerdeile»-ი Pragerplatz-ზე. ერენბურგის მაგიდა. ნაცნობე-უცნობეებით თანდათან რომ ივსება. გამოცოცხლებული გამომცემლები და იმე-

¹ (სულნი წინკარში).

ჩვენგან ერთ-ერთი მახეშია (გერ.). გოეთეს „ფაუსტიდან“.

დით ფრთაშესხმული მწერლები. პონორარებისა და ხელნაწერების გაცვლა-გამოცვლა (ვაითუ ერთიც და მეორეც გაუფასურდეს). ვზივარ, როგორც ამ წრის ერთი ნაწილი.

და უცბად ყველასა და ყველაფრის ზემოთ ხელები, ჩემკენ გამოწვდილი, კულულები, შუბლზე ნათელი:

— თქვენა ხართ? თქვენა? (ჩემი სახელი აქამდე ვერ დაიმახსოვრეს) თქვენა აქა ხართ? რა მიხარია! დიდი ხანია ჩამოხვედით? სამუდამოდ? გზაში არავინ გითვალთვალებდათ? ასეთი... (თვალებს ბრიცავს) არ გინახავთ? სადგურთა სტალაქტიტებში, ვაგონთა ხეობებში ფეხდაფეხ არ დაგყვებოდით... ტროსტის კაკუნით? კუბეში არ შემოგხედათ: უკაცრავად, შემეშალაო. ერთი საათის შემდეგ კი კვლავ „უკაცრავად“, ხოლო მესამედ უკვე თქვენ ეუბნებით: „უკაცრავად ხართ: შეგეშალათ!“ არა? არ იყო? კარგად კი გახსოვთ, რომ — არ იყო?

— მე მეტიმეტი ბეცი გახლავართ.

— მას კი სათვალე უკეთია. ღიახ, ბატონო. საქმეც ისაა, ვერ ხედავთ და უსათვალოდ ხართ, ის ხედავს — და სათვალითაა. მიხვდით ახლა?

— მაშასადამე, ისიც ვერაფერს ხედავს.

— ხედავს. რადგან სათვალე სახის შესაცვლელად უკეთია, და არა მხედველობისთვის. უბრალო შუშებიანი. ან იქნებ სულაც — ცარიელი. გესმია: მთელი საშინელება: სათვალე ცარიელი, უშუშებო, უნებლიეთ ატაკებ თითს და თბილ თვალში ხვდები, როგორც მაგრად მოხარშულ და ახლად გაფცქვნილ თანთალა კვერცხში. ასეთი მაგრად მოხარშული კვერცხებით კი ბედავს და ასეთ ნათელ, ღია, ცოცხალგუგება თვალებს ჩასცქერის. თვალებს საოცრად კამკამა ფერის, სად მიხახავს მსგავსი თვალები? ანდა როდის?

... ასე ცოტაჯერ, თან მხოლოდ წამით რატომ ვხვდებოდით ხოლმე მოსკოვში? მთელი ბავშვობა თქვენზე მესმოდა, რა თქმა უნდა, თქვენს ბავშვობაზე — მაგრამ თავად უხილავი იყავით მუდამ. თქვენზე მესმოდა მთელი თქვენი ბავშვობის ხანი. მეგობარიც გვყავდა საერთო, ელისი, მუდამ თქვენი და თქვენი დაიას, მარინასა და ასიას ამბებს რომ მიყვებოდა. მაგრამ როცა კი თქვენსა წამოსვლას დავაპირებდით, სულ ბოლო წამს უარს ამბობდა „არ მოდიოდა.“

— მე და ასიას კი თქვენი ნახვა ოცნებად გვქონდა. რა ბედნიერი ვიყავით მაშინ, როცა „დონში“ შემთხვევით...

— თქვენ? თქვენ? ეს — თქვენ იყავით! ნუთუ ის — თქვენ ხართ? ოღონდ სად გაქრა ის სილაქლაქე. თვალი ველარ მოგწყვიტეთ მაშინ! ისე რიგად აღმაფრთოვანა! ყველაზე დინჯი და ლაქლაქა გოგო ამ ქვეყანაზე. მაშინ სუყველას ვუყვებოდი: „დღეს ვნახე-მეთქი ყველაზე დინჯი და ლაქლაქა გოგო ამ ქვეყანაზე!“

— აბა არა! ყინვა, სისხლი ვლადიმირული და ამასთან — თქვენ!

— თქვენც... ვლადიმირელი ბრძანდებით მართლა? (ისეთი ხმით, რიჟრიკების ჩამომავალს რომ ეტყვიან.) იმ უსიერი ტყეებიდან?

— განა მართო იმ ტყეებიდან! ტარუსადანაც, კალუგის გუბერნიის ქალაქიდან, სადაც ყველა საფლავზე ვერცხლის მტრედი დგას. ხლისტელთა ბუდე ტარუსა გახლავთ.

— ტარუსა? ჩემი მშობლიური? („ტარუსა“ ისე გამოუვიდა, ვით „მარუსია“, ხოლო „მშობლიური“ მე და ტარუსამ გავინაწილეთ). ვერცხლის მტრედის ტარუსადან მაქვს წამოღებული, სერიოზუა სოლოვიოვის მონათხრობიდან — იმ საფლავებზე...

(ჩვენი მაგიდა რა ხანია დაცარიელდა, შეხვედრის ცხადმა ლირიულობამ დაფანტა ხალხი: მოსაწყენმა სიწმინდემ მისმა. ორჯერ ნახსენებ ს/ა/ტ/ლ/ა/ვ/თ/ა გამო უქანასკნელი თანამესუფრეც გაგვეცალა).

— მაშასადამე, ჩემი მშობლიური კუთხიდან ხართ? ეს ამბავი მედამ ვიცი. თქვენ — პროფესორ ცვეტაევის ქალიშვილი ხართ, პროფესორ ბუგაევის ვაჟიშვილი, თქვენც — პროფესორის ქალიშვილი, პროფესორის ვაჟიშვილი. თქვენ — ქალიშვილი, მე — ვაჟიშვილი.

ამ უცილობელი დასაბუთებით ფარხმალაყრილი ხმას ველარ ვიღებ.

— ჩვენ — პროფესორის შვილები ვართ. გესმით, რას ნიშნავს: პროფესორის შვილობა? ეს ხომ მთელი წრედია და მთელი Credo. (ღრმაზე ღრმა დუმილი). თავად არ იცით, რარიგ და როგორ გამახარეთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მთელი სიცოცხლე პროფესორის შვილი მე მარტო ვიყავ და ეს დალივით მესვა — არა, პროფესორებზე განა ცუდს ვამბობ, ზოგჯერ მგონია, მე თვითონაც პროფესორი ვარ, დასტურ ნამდვილი პროფესორი — მაგრამ მაინც... თავს თითქოს რაღაც ეულად გრძნობ, განა არა? schicksalschwer. თუკი უთუოდ ვილაცი ვაჟი უნდა ვიყო, მე ვარჩევდი ანდერსენივით მეკუბოვის ან ასოთამშყობის ვაჟი ვყოფილიყავ... სინდისს გეფიცებით. ხელოსნობის სიწმინდე და სიმყუდროვე. ამას დაღად არ შეიგრძნობთ? ცხადია, არა, თქვენ ხომ — ქალიშვილი ხართ. მემკვიდრედ ყოფნის სიმძიმე არ გაწუხებთ. თქვენ გათხოვდით, სხვას გაჰყევით; ვაჟს კი ცოლი აქეთ მოჰყავს, რაც სულ სხვაა, და მისი ცოლი — პროფესორ ბუგაევის ვაჟის ცოლი იქნება. (ჩურჩულით:) „ბუგაი (კურო) ეს ხარია“, — მომხიბლავი ღიმილით და უკვე ხმამაღლა: — ჯიშის განმგრძობი.

თუმც პროფესორის შვილობას თავი ვანებოთ, ვიყოთ მარტო შვილები. მე და თქვენ თურმე შვილები ვართ (გამომწვევად), მნიშვნელობა არა აქვს, ვისი ჩვენი მამები გარდაიცვალნენ. მე და თქვენ უკვე ობლები ვართ — ლექსებს ხომ თქვენც წერთ? — მაშასადამე, თან ობლები და თან პოეტები. დიახ! ჩვენი ბედი, ერთ მაგიდას რომ ვუსხედვართ. აბლა შეგვიძლია ყავა მოვითხოვოთ და ორივეს — ერთნაირ ყავას, ერთი ყავადნიდან, ერთნაირი ორი ფინჯნით მოგვართმევენ! ადამიანებს ხომ ესეც ანათესავენთ? კავშირი ხომ ესეც არის? (ნუ გაიკვირვებთ: მე მარტო ვარ და საშინელზე საშინელი ბედი მომელის. მე — განწირული ვარ). ხომ შეიძლება თავი — ციმბირში ამოგეყოთ? მე კი — სერბიაში ვარ. უბრალო ბედნიერება თურმე კიდევ არსებობს.

მეორე დღეს გამომცემელმა, ვინც იმავე პანსიონატში ცხოვრობდა და ვისთანაც ბელი, თუ ქალაქგარეთ წასვლას ვერ მოასწრებდა, ღამეს ათევდა, ქვიშისფერი კონვერტი მომცა, დიდი კონვერტი, იმპერატივული ლათინურ B(B)-თი, ესოდენ დიდი ასოებით წაწერილი, დახატული გეგონებოდა.

— ბელი წავიდა. ღამით წასაკითხად „განშორება“ მივეცი თქვენი. მთელი ღამე იკითხა და ძალზე აღელდა. მთხოვა, ეს თქვენთვის გადმომეცა: ვკითხულობ:

„Zossen, 16 მაისი, 22 წ.“

დიდად პატივცემულო მარინა ივანოვნა.

ნება მომეცით უღრმესი აღტაცება მოგახსენოთ წინაშე! თქვენი „განშორების“ ფრთაშესხმულ მელოდიაზე.

¹ ეს სიტყვა თვით მარინა ცვეტაევას მიერაა ჩამატებული.

მთელი საღამო ვკითხულობდი — თითქმის ხმამაღლა — თითქმის სიმღერით. დიდი ხანია ესოდენ დიდი ესთეტიური ნეტარება არ განმიცდია.

ლექსის მელოდიკას რაც შეეხება, ესრეთ საჭიროს მოსკოველი უნი-ათობისა და აკმეისტების უსიცოცხლობის შემდეგ, თქვენი პირველი განლაგით (ეს — უცილობლად).

ვწერ — და თან ჩემს თავს ვეკითხები, ხომ მეტისმეტად ^{უჩინებულად} ~~წარმოვიდგინე~~ შთაბეჭდილებას? ხომ არ მესიზმრა მელოდია?

არა და არა; ყველა ახალი ლექსების წიგნის გადაშლისას მყის უდიდესი მოწყენა მიბყრობს. იგივე გრძნობით გადავშალე „განშორებაც“: და მთელი საღამო მისი ხიბლით ვარ. მაპატიეთ ჩემი ალტაცების ეს უტყუარი, ეს უშუალო გამოხატვა და გწამდეთ, ვარ მარად თქვენი პატივისმცემელი და ერთგული.

ბორის ბუგაევი“.

ეს წერილი იმოდენა ასოებით იყო დაწერილი, ბელის სიკვდილის შემდეგ ვისაც კი ვუჩვენე, თუმცა ცოტას ვუჩვენე, ყველამ ეს მითხრა: „ასე არ წერენ, ეს შეშლილის დაწერილია“. მაგრამ არა, შეშლილის არა, არამედ კაცის, ვისაც არ უნდა ზღვარს გადასცდეს, ვისაც ასოების სიდიდით უნდა დაიკავოს ის ადგილი, უსაზომო და უსაგნო რომ დარჩებოდა, და კიდევ თავისი სულიერი სიდიდე გარეგნული სიდიდითაც გამოავლინოს. ასეა ბავშვიც, როცა, მაგალითად, ჩვეულებრივ წერილს წერს, უცბად კი მელანში სახსრამდე თითს ჩააწობს, მხარსაც მიაშველებს, დაჭიმულ მხარს, და ისე დაწერს: „დედა, მე ძალიან გავიზარდე!“ ან, „დედა, მე ძალზე, ძალზე მიყვარხარ!“ დიახ, ყველაზე გონივრულს, პირველადსა და კანონიერს, ბატონებო, ჩვენ პოეტის შეშლილობას მივაწერთ ხოლმე.

პასუხი მელოდიაზე უმაღლ მივწერე. მახსოვს მდინარის იერსახე, თავისი ქედით, ძლიერი და მოქნილი ქედით ყველაფერს რომ მოაქანებს, ყველა თევზსა და ყველა ალქაჯს, ვით მოცურავე რომ მოარღვევს მხრებით ნაპირებს, მხრებით იკაფავს კალაპოტს და მოძრაობით იქმნის დინებას. მელოდია — იერსახე იყო მდინარის. მან მიპასუხა — ეს წერილი აქ არა მაქვს — მიპასუხა მე — წერილით, საკუთარ თავს კი — ჩემი „განშორების“ თაობაზე გამოქვეყნებული სტატიით (მგონი, „დღეებში“). მახსოვს, სტატიის სამი მეოთხედი ვერ გავიგე, კერძოდ, მთელი რითმიული გამოკვლევანი, მთელი მისი დასაბუთება. საღამოს ისევე შევხვდი.

— წაიკითხეთ? ძალზე უწიგნურია?

— ისე წიგნიერია, ვერც კი გავიგე.

— მაშასადამე, ცუდად დაწერილია.

— მაშასადამე — მე ვყოფილვარ უწიგნური. ღმერთმანი, როცა იმის ახსნას მიწყებენ, რასაც ვაკეთებ, ვერასოდეს ვერაფერს ვიგებ, უბრალოდ, გაგების უნარს მაშინვე ვკარგავ, როგორც გეომეტრიის შესწავლისას, „ხომ გაიგეთ?“ „დიახ, გავიგე“, — და შიში მიტანს, არ შემამოწმონ. წერისთვის რომ გაგება იყოს საჭირო, ველარაფერს ველარ დავწერდი ამ შიშის გამო.

— მაშასადამე, საოცრება ხართ? დასტურ პოეტი — საოცრება? და ეს — მე მეძლევა? ნეტავი რისთვის? იცით თუ არა, თქვენი წიგნი საოცარია, მისგან ფიზიკური გულისძგერა მჭირს, იცით თუ არა, რომ სიმღერაა და არა წიგნი: მისთანა სუფთა და წმინდა ხმა თავის დღეში არა მსმენია, ხმა თვით ნალველის: *sehnsucht*. (უნდა დავწერო მის თაობაზე გამოკვლევა!) არავითარი

ხელოვნება, რითმებიც, კაცმა რომ თქვას, ღარიბულია. აშორება და განშორება ნეტა ვის არ გაუჩინებია? აკი ყოველი... ნაბიჭვარი უკეთ გარიბმავს... მაგრამ თავიდათავი განა ესაა? აქამდე როგორ არ გიცნობდით ვინაიდან უნდა გამოვტყდე, რომ აქამდე, იმ ღამემდე, თქვენი სტრიქონიც არ წამიკითხავს. კითხვა — ისეთი მოსაწყენია, ლექსების აღარ მჭერა. ლექსებში გაცრუებულად. ლექსები ან იქნებ პოეტებიც? როცა ლექსების წერა დაიწყეს, იყო თუ არა ეს საჭირო, ლექსებმა უარი განაცხადეს. როცა ლექსების წერა და შედგენა იწყეს, ლექსებმა გვერდი უგანეს.

მე ლექსებს აღარ ვკითხულობ. და აღარც ვწერ. სამ წელიწადში ერთხელ რომ დაწერ, მაშასადამე, პოეტი არ ხარ. ლექსი გამოხატვის ერთადერთი საშუალება და გამუდმებული საარსებო მოთხოვნილება უნდა იყოს, წერა შენთვის იგივე უნდა იყოს — რაიც მგლისთვის ყმული. პოეტი მაშინ გქვია. თქვენ კი — ჩიტი ხართ! მგალობელი! მიგალობთ თქვენი ყოველი სტროფით, თქვენს გალობას ჩემში ვაგრძელებ, თქვენ ჩემში მღერას განაგრძობთ, ჩემს გულში და ვეღარ ვადუმებ, მას აქეთ უკვე ორი დღეა... მეგონა, წერილით, სტატიით ვალს მოვიხდიდი — მაგრამ არა! კიდევაც მეშინია (თუმცაღა თქვენ ნუ შეგეშინდებათ), რომ თავად მალე...

სტატიასა და ზეპირ ქებას არ დასჯერდა. გაწამებულმა, თავის თავისთვის ვერაფრის მომხერხებელმა, არც მითხოვნია, ისე მოაწყო ჩემი ორი ხელნაწერის: „მეფე ასულის“ „ეპოქაში“ და „ვერსტების“ „ოგანკი“-ში დაბეჭდვის საქმე, ჩემს უფლებათა და მოგების წვრილად გათვალისწინებით. რასაც თავისთვის ვერ ახერხებდა — სხვისთვის შეიძლო გახერხება. დარცხვენილი, მაგრამ კმაყოფილი ღიმილით მითხრა (და მაინც ასეთი ცბიერი მზერა ჯერ არავისზე არ მინახავს):

— მაბატით, ეს არაფერს არ გავალებთ, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ასე უფრო იოლად გამოვიდეს, იქნებ სხვისთვის, გარეშესთვის — უფრო ადვილი იყოს. პირად ცხოვრებაში ჩარევად არ ჩამომართვათ...

ასეთი გარეშე კაცი, ვისთვისაც — უფრო იოლი იქნებოდა, ასეთი გარეშე კაცი, ვისაც ეს უფრო იოლად გამოუვიდოდა — ბელის არავინ აღმოჩენია.

კვლავაც კარგა დაღამებამდე ვისხედით ასე. კვლავაც გაუშვა თავისი ბოლო მატარებელი, კვლავაც დააგვიანა. ხოლო ამჯერად უკვე დილისვე კარის ღრიჭოში (როგორც ნადირი, მუდამ ჯერ მხოლოდ თავს შემოჰყოფდა, თანაც განა შენ, ხან კედელს, ხან იატაკს აცქერდებოდა, ასე გეგონა, რაღაცას ეძებს ან რაღაცისა ეშინიაო), მაშასადამე, კარის ღრიჭოში გაბრწყინებული და მფრთხალი სახე დავინახე გადავერცხლილი თმის შარავანდში. (და უცებ თავში გამიელვა: ვერცხლის მტრედი, ხლისტელთა მრისხანე და მაინც მფრთხალი ვერცხლის მტრედი აკი თვით არის, მე კი იმიტომ მომეჩვია, არ ვაშინებდი — და თავადაც არ მეშინოდა).

— ადექით უკვე? ყავა დალიეთ? არ შეიძლება ხელახლა ერთად დავლიოთ? ხომ კი? — და თვალი მოავლო და ერთი მზერით დაიჭირა რა: აივნის ლურჯი სივრცე, იატაკზე მზის სხივთა ტბორი, მაგიდაზე თავისივე თაიგული, ჩემი ნაცარა, ღვედებიანი ჩემოდანი, მე — ლურჯ კაბაში:

— ხომ კი? (და მეტი არაფერი).

ერთ-ერთ ასეთ, უკვე წინასწარ გადაწყვეტილ ღამის სათევად დარჩენისას (ნეტა ღირს კი გამგზავრება, როცა დილით ისევა ხარ ჩამოსასვლელი? და არც შიში ღირს ბოლო მატარებელზე დაგვიანების, რომელსაც მაინც არ გეშინია!) საწყალ ბელის ჩემმა რვა წლის გოგომ და გამომცემლის ხუთწლის მამამ უსინდისო ოინი უყვეს. ეს საძაგელი ბავშვები მიხვდნენ, რომ ბელისთან ის გაუვათ, რაც არავისთან, ვინაიდან თვითონ მათთან ისე იქცევა, როგორც არავინ არ იქცევა. ჰოდა, არავისთვის არ უთქვამთ ისე, წყლით გავსებული თავისი რეზინის მხეცუნები ლოგინში ჩუმად ჩაულაგეს. დილას სუფრასთან ბელი გიორგი ძღვევამოსილის იერით გამოგვეცხადა. ბავშვებს სახე ჩამოუგრძელდათ. ბელი აღტაცებით:

— აღმოვაჩინე! დაწოლის დროს აღმოვაჩინე და ისევე სავსენი გადავყარე. ზედ არც კი დავწოლილვარ, რადგან ხელი რაღაც სქელსა და ცივს... შევახე... რაღაცის მუცელს. (ჩურჩული) ღორის მუცელს.

გამომცემლის ბიჭი:

— ჩემი ღორის მუცელს.

— თქვენი? მერედა... გიყვართ ღორი? იმით თამაშობთ? ხელში... იღებთ? (უკვე გამკიცხავად:) — ხელში იღებთ იმ მომჩერულს, ცივს და თანთალას, ან კიდევ უფრო უარესს: საზარელსა და მუცელგაბერილს? და ამას თამაში... ჰქვია? კი მაგრამ, მაინც როგორ თამაშობთ?

ამ „თ“-ანებით გაოგნებული, თვალებდაქცეტილი — მერე რა ლამაზი თავლისფერი თვალეები იყო — ბიჭი ჩქარა-ჩქარა ყლაპავს ლუკმებს. ბელი დაცარიელებულ მზერას აშორებს (სავსეს დინგთა ლანდებით), ვით გველეშაპს თეთრი გიორგი — იატაკს ისე დასცქერის და შიშით და თანაც მუქარით ამბობს:

— ღორი... არ მიყვარს... ღორი... მაშინებს!...

ამ რ-ს, ვით თითს ანდა ვით შუბს, ღორის მრგვალ დინგს ატაკებს თითქოს.

შესვენება, რომელსაც ყველაზე უკეთ ალბათ გრაფიკული ტირე თუ გამოხატავს; არ ვიცი, წასული იყო, წერდა თუ დარღმა დარია ხელი, ეს კია, მთელი ერთი კვირით თუ ათი დღით გადაიკარგა. და უცებ დღისით, მზისით „Prager-diele“-ს კაფეში გამომეცხადა. ერთ მწერალსა და ორ გამომცემელთან ერთად ვიყავი. პაწაწინა მაგიდა ჭურჭლით, იდაყვებით და ხელნაწერებით იყო სავსე და კიდევ წამდაუწუმ ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელებითაც. და უცებ თავებს, ფინჯნებსა და იდაყვებს ზემოთ — ორი გამოწვდილი ხელი ხელებზე მეტანება.

— თქვენ! რარიგ მომენატრეთ! სულ ისეთი გრძნობა მქონდა, რაღაც მაკლია, მთავარი რაღაც მაკლია, ოღონდ ვერ მივხვდი თამბაქოს იმ მწვევლივით, რომელსაც დაავიწყდა, რომ გაბოლება შეუძლია და რაღაცას ეძებს: ნივთებს აადგილებს, საკიდრისა და ბიუროს ქვეშ იჭვრიტება...

ვილატამ სკამი დაუდგა, სუფრა მოუსუფთავა.

— არა, არა, მის გვერდით მინდა. ჩემო კარგო, საყვარელო, ჩემი საქმე დაღუპულია! ცხადია, იცით? სუყველამ — იცის! იციან ისიც, რად და რისთვის, იე კი — არ ვიცი! მაგრამ ამაზე აღარ გვინდა, არ შემეკითხოთ, მომეცით

ნება ბედნიერება ვიგრძნო კაცმა. ვინაიდან ახლა — ბედნიერი ვარ, ვინაიდან კაცს მისგან მუდამ — ნათელი ეფინება. ბატონებო, ხომ ხედავთ, ნათელს როგორ აფრქვევს?

მწერალმა ჩიბუხი გამოფერთხა, ერთმა გამომცემელმა თავი ოდნავ დამიკრა, მეორემ, ვისაც ბელი მამაშვილური გრძნობით უყვარდა, დანაშაულნაირად მფარველობდა, მკაფიოდ თქვა:

— ცხადია, ყველანი ვხედავთ.

— ნათელსა და თან სიმშვიდეს, მასთან უმაღლეს სიმშვიდე გეუფლება, აგერ ერთბაშად ძილი მომინდა, ახლავე კიდევ დავიძინებდი. ხოლო ადამიანთან ძილი მოგინდეს, ბატონებო, ეს დიდზე დიდი ნდობაა კაცის! რადგან მძინარე — ორმაგად შიშველია, მტრობისა და განსჯისთვის გადაღელილი, რამეთუ მძინარის მოკვლა ისე ადვილია! და თანაც — მაცთუნებელი! (შენში, შენში მოკლა, შენში მოსპო, შარავანდი მოაცილო, დანაშაულზე წაასწრო, დაღალო და გააციმბირო!)

ვიღაც:

— ბორის ნიკოლაევიჩი, ყავას არ ინებებთ?

— დიახ, დიახ. ვინაიდან მძინარის შუბლზე ფიქრები — იღუმალ ღრუბელთა ჩრდილივით რონინებენ, ვინაიდან როცა მძინარეს უცქერ, მის საიდუმლოს კითხულობ კიდევ. იმიტომაც საშინელია სხვასთან ძილი.

მე სხვასთან ძილი არ შემიძლია. ზოგჯერ რუსეთში (თავს რუსეთის მხარეს აბრუნებს) ამით საშინლად ვიტანჯებოდი, შუალამისას გარეთ უნდა გავსულიყავი. შენ გძინავს — მან კი შეიძლება გაიღვიძოს, დაგხედოს, დაგაკვირდეს და — ხელად გაგთვალოს. განა ამიტომ, ცუდი უნდა, უბრალოდ — ასეთი თვალები აქვს. რუსეთიდან რომ მოვდიოდი, ყველაზე მეტად მეშინოდა გაღვიძებისას ვიღაცის თვალებს არ წავწყდომოდი. შიშით აღარ მეძინა. სულ დერეფანში ვიდექი და ვარსკვლავთ ვუცქერდი... (ერთ-ერთ გამომცემელს): ძილში არ ლაპარაკობთ? მე — ვყვირი ხოლმე.

... აი, ამასთან კი შემიძლია... მე ეგ ძილსა მგვრის. სულ ვიძინებდი და ვიძინებდი, ხელი მომეცით, კო, მომეცით და არ წამართვათ, ყველანი რომ აქ არიან, ჩემთვის სულერთი გახლავთ...

შემრცხვა, მაგრამ ხელს მაინც ვაძლევ, უკან არ მიმაქვს, არ ვიღიმი და არც ხუმრობად ვართმევ, ირგვლივმოფების ღიმილის ანკესს — არ ვეგები. მაგრამ ჩემს დაძაბულ ხელზე ალბათ უეცრივ ყველაფერს ხვდება:

— ო, მაპატიეთ! იქნებ ისე ვერ მოვიქეცი, კარგად ვიცი, არ შეიძლება დღისით, მზისით კაცმა ასეთი რამ თქვა კაფეში. მაგრამ მე მუდამ კაფეში ვარ! მე კაფე — მოსჯილი მაქვს! უპატრონო ძალღივით უცხო-უცხო ადგილებში დავეხეტები. მე სახლი არ მაქვს, არც ჩემი კუთხე. (ჩიხური კი მაქვს, მაგრამ განა მართლა ძალღივი ვარ!) გამუდმებით ყავა უნდა ვსვა... ანდა ლუდი... ეს სისაძაგლე!.. მთელი დღე ცოტ-ცოტა რაღაც უნდა ვცლაპო, მერე ჭიქასა ან ფინჯანზე კოვზი ვაწკარუხო და ფული ამოვიღო... არ შეიძლება ადამიანმა მთელი დღე სულ სვას! აგერ ისევ ყავა დამიდგეს... და მეც უნდა დავლიო. თუმცა არ მინდა. მართლა და მართლა ბეჭემოტი ხომ არა ვარ, დილიდან საღამომდე და ღამითაც კი რაღაცა ვცლუპო, რაკი ბერლინში ღამე არ იცის. ჩემო კარგო! საყვარელო! მოდი წავიდეთ, ამათმა კი სვან და სვან, თუკი უნდათ...

გადაიხადა ყავის ფული, არ დაავიწყდა (ასეთი რამ არასოდეს ავიწყდე-

ბოდა) და ლამის სირბილით გამოიყვანა, თუმცა არავის და არაფერს დატაკებია.

— ახლა საით? გნებავთ — თქვენთან? მაგრამ თქვენ ხომ ახული გყავთ, მოვალეობა გაკისრიათ... მართლა ხომ არ შეიძლება პატარა გოგომ ახლა გაიგოს, როგორ მოიქცეს ოცი წლის შემდეგ, როცა ვიღაცა თავის წიკოცხლეს ჩააბარებს, ხოლო ის კი ამ სიციოცხლეს ფებს დააბიჯებს... კიდევ უარესი გადააბიჯებს — როგორც წუმპეს.

... რა სუფთაა, არა, ბერლინი! არასოდეს არ ვიძლები ამ სისუფთავეთ... გნებავთ ერთად ვიაროთ და ვიაროთ ასე? თუმცა ეს ნიშნავს (ცბიერულად) სადმე შევიდეთ: ისევ დავლიოთ, რასაც მე ასე გავუბრბივარ...

— შეიძლება სკამზე დავსხდეთ.

— რა, იცით განა ასეთი სკამი? სადაც ვერავინ ვერ გვითვალთვალეს? ვინაიდან თუ შუცმანიც — რა დამცინავად მოუნათლიათ: დაცვის კაციო! — ვინაიდან თუ დაცვის კაციც, ვინც ადამიანს ასე ნაკლებ ჰგავს, ხოლო ბოძს კი ასე ძალიან — უეცრივ მოგვაჩერდება, არა, მოგვაშტერდება თავმოუბრუნებლივ — მხოლოდ თვალებით, ტყვიის თვალებით — გახსოვთ, ბავშვობაში ნეგლინაიას კაფეს ვიტრინებში უმოძრაო ბუშტი და ზედ თვალები, აქეთ-იქით რომ ტრიალებდნენ, ბუშტი—თვალებგაჭრილ ჰოლანდიურ ყველის მსგავსი... პატარას ისე შეშინოდა მისი. დედიკოს კი ეგონა, გამაცინებდა. მეც დელიკატურად თავს ვაჩვენებდი — რა მოძველებული სიტყვაა, არა, „დელიკატობა“ — თავს ვაჩვენებდი, ვითომ ძალიან მეცინებოდა, არადა, შიშით სულ ვკანკალებდი. სახე არ მოძრაობს, თვალები კი მხოლოდ ასე, მხოლოდ ასე, ისე — არასდროს. ღმერთო, როგორ ვიბეწებოდი მაშინ გულში: „რა იქნება, რომ გატყდეს-მეთქი“.

მაშასადამე, იცით ასეთი სკამი? როგორც ნიკიტსკის ბულვარზეა, მოვა ძალლი, მოეფერები, ისევ წავა... ყვითელი ძალლი, ყვითელთვალება... ასეთ ძალლს აქ ვერ ნახავ, უკვე ვეძებე, აქ ყველა — ვილაციისაა, ყველაფერი — ვილაციისაა, მხოლოდ ხალხია — არავისი, ან იქნებ მარტო მე ვარ არავისი? ვინაიდან მთავარია — ვილაციის იყო. ო, ვისიც არ უნდა იყო! ჩემთვის სავსებით სულერთია — თქვენთვისაც ხომ? ვინც გინდა იყოს, ოღონდ ვიცოდე, რომ მისი ვარ, ოღონდაც კი არ „დამივიწყოს“, როგორც ჯოხი მავიწყდება ხოლმე კაფეში. მაშინ კაფესაც შევიყვარებდი. აგერ იმ იქსს, იმ იგრეკს, ყველას, ყველას, აქ რომ სხედან, ჩვენ გარდა რაღაც გააჩნია — თუ რა, მნიშვნელობა არა აქვს ამას (არც იმასა აქვს მნიშვნელობა, მათ რომ გააჩნიათ), მაგრამ ყოველი მათგანი კი ვილაციისაა, მათ შეუძლიათ კაფეში წასვლა, ვინაიდან იქიდან ისევ კაფეში აღარ წავლენ. კაფეში — ალბათ უკვე გითხრეს, ახლა მეც გეტყვით, სამი დღის წინათ ჩემს ცხოვრებას ჯვარი დაესვა.

— მაგრამ სადღაც ხომ მაინც...

— გიჩვენებთ და თავად ნახავთ ამ „სადღაცა“-ს და ამ „მაინც“-ს. სწორედ — მაინც-ს. ეს მაინც გენიალურად გამოგივიდათ. ო, ახლავე წაგიყვანდით, მაგრამ... მაგრამ ძალზე შორია. ჯერ ტრამვაით, მერე მატარებლით, მერე ფეხით, იქით და კიდევ იქით... თითქმის მიუსაველეთში. მისამართიც რომ არა აქვს... მიკვირს კიდევ, წერილები როგორ მოდის, თქვენი წერილები, თორემ სხვების ბუნებრივია, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ბუნებრივი. თუმცა იქ მხოლოდ ანგარიშები უნდა მოდიოდეს — „უაკის“ ინგლისურ მაღაზიაში ოცი წლის

წინათ ნაყიდი ქუდის, ან კიდევ ჩემი მომავალი სამარისა ვაგანკოვოს სასაფლაოზე...

იცით რა? წამოვიყვანოთ თქვენი ას ულიც, მასთან ერთად ჩამოვალთ ჩემთან, სამნი ვიქნებით, ბავშვი ხომ — წამისადმი იმანენტური კრის მუდამ, ყველა აჩრდილის გამფანტაფი...

— ახლა კი წავალ, არა, არა, არ გამაცილოთ, ისედაც ძალზე დაგტანჯეთ, თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ... ხედავთ? ეს ჩვენი ტრამვაია!

როგორც ვაჟი დედას ეტლში, ჩვეული მოძრაობით მეც ხელს მაშველებს და კვალდაკვალ თვითაც ამოხტა. ვდგავართ ბაქანზე, რომელიც მიქრის, ვდგავართ მხარდამხარ. ჩემი ხელი ხელში აიღო:

— ყველაზე მეტად მინდა ამქვეყნად მხარზე ახლა თავი დაგადოთ... და ზეზეულად დავიძინო. ცხენებსაც ხომ ზეზეულად სძინავთ ხოლმე.

სადგურის წინ, როგორც იყო, ხელი გამიშვა (მანამდე გულთან ეჭირა, გულში იკრავდა).

— არა. დღეს — არა. მე ხომ ვიცი, რაოდენ ძალას ვაცლი ხოლმე ადამიანებს. იმ დროისათვის შემოინახეთ, როცა სულთქმა მთლად შემეკვრება. ახლა — ბედნიერი ვარ, სავსებით მშვიდი. შინ მივალ და თქვენდამი წერილს ჩავუჯდები.

— დღეს ბელი როგორ მოგაფრინდათ! აკი — თვალნათლივ აინთო კაცი! კეშმარიტად, თითქოს coup de fourde! — მითხრა ვახშამზე გამომცემელმა.

— კაცი, ვისაც მეხი დაეცა, სხვას თავის მხრივაც შეიძლება მეხად დაეცეს, — იყო ჩემი პასუხი.

Coup de fourde? არა. ეს ამბები ასე არ ხდება. ეს იყო მხოლოდ ზიარება ჩემს სიმშვიდესთან. ჯანმრთელობასთან, მთელ ჩემს სიცოცხლის სავსებასთან. სხვა — არაფერი. მაგრამ ეს მცირედიც კი ასეთ წუთებში — უკვე ბევრია. ყველაფერია.

წუთი კი მძიმე იყო. კაცის მთლიანად წელში გამტეხი.

ხელში მიჭირავს გულისამაჩუყებლად გამოწვლილვითი ნახატი გზისა — იმ თაობის მამაკაცებს მუდამ მოსდგამდათ მამობრივი გრძნობა და ძველთაძველი შიში იმისა, გზა არ აგვებნეს, არ შეგვეშინდეს, სადმე მოსახვევში ატირებული არ ჩამოვსხდეთ — ნახატზე არა მარტო ისრები და ჯვრები მოჩანს, არამედ ტრამვაებიც, სადგურიც და პატარა სახლიც, როგორც ბავშვების ნახატზეა. აი, სახლი, საკვამური, აი, იქიდან ამოდის კვამლი, აქ კი მე ვდგავარ.

— უდიდესი სიხარულით თავად ჩამოვიდოდი და წაგიყვანდით, მაგრამ — არ კი გეწყინოთ, ვიცი, ეს უსინდისო თავკერძობაა, პოტენტოტის თავკერძობა — მაგრამ ისე მინდა თეთრ გზატკეცილზე ლურჯ წერტილად შორით დაგლანდოთ — რა კარგია, ლურჯი კაბა რომ გაცვიათ, როგორი მადლი! — ჯერ ლურჯ

¹ მეხი დაეცა (ფრანგ.).

² აქ: პირველი ნახვით შეყვარება.

ყველაფერი? ხეები თუ შეამჩნიეთ? (ვერაფერიც ვერ შევამჩნიე, ვინაიდან ხეებად მართლა ხომ არ მიიჩნევ სქელი ხარიხით შემოღობილ გამზარ წიწვებს). ჩრდილი არაა! ჩრდილის გარეშე კაცი იყო ერთ-ერთ გერმანულ ქუჩულაში, მაგრამ ის — კაცი იყო, ხე უჩრდილოდ ვის გაუგია! არც ჩიტები ჭიკჭიკებენ — ამ ხეებში ვინ იჭიკჭიკებს! მოსკოვში, ჩემთან, დიღაბის ქუჩის ჭიკჭიკებდნენ, ოც წელშიაც კი ჭიკჭიკებდნენ, საავადმყოფოშიც — ჭიკჭიკებდნენ; ტიფის დროსაც — მიჭიკჭიკებდნენ... მოსახლეობაც საძაგელია. საეჭვოდ ჩუმი, ისე დააბიჯებენ, თითქოს ლანჩები ქეჩისა ჰქონდეთ. არ შეამჩნიეთ? ან იქნებ ასეთი მოდა მხოლოდ აქაა, ბერლინის ამ შემოგარენში! ყველას შავი აცვია, ყავისფერში ან ნაცრისფერში ვერავის ნახავ, ქალებსაც კი შავი აცვიათ.

(მე, ფიქრში: „ჰოი, ძვირფასო, აი თურმე რად მოგწონს ასე ჩემი სილუჩა!“).

— ავეჯიც — თეთრი, ნედლი ყავრის სუნი რომ ასდის. ავს რასმე (შეაკანკალა)... ხომ არ მოასწავებს! იქნებ ეს რაღაც საგანგებო დასახლებაა!

მყის ვუბათილებ:

— არა, არა, ომის შემდეგ ყველგან — ასეა.

— აჰ! მაშასადამე — ქვრივი ქალები და კაცებია? მაშასადამე, ქვრივთა ცალკე დასახლებაა... რა ჭეშმარიტად გერმანული და პრუსიული ხასიათია... რა წმინდაწყლის გერმანული ხასიათი, რომ ერთმანეთთან შეერთება ვერ მოისაზრეს, რათა სხვა ფერის რამე ჩაეცვათ... ახლა კი მესმის, ამდენი თაიგული და გვირგვინი რატომაცაა — მაშინ როცა ყვავილები არსად ჭიჭიანებს — ვინაიდან, თუ შეამჩნიეთ, ყვავილები აქ არსადაა, ვინაიდან — არც ბაღებია, ცარიული ეზოებია. ალბათ სასაფლაოა! უზარმაზარი სასაფლაო! ისინი თურმე სასაფლაოზე დასახლებულან. ახლა მესმის, ერთნაირი შენობები რატომაცაა... მაგრამ ის კი საოცარია: ქვრივებია და მაინც — ლაჟღაჟა გაუდის ყველას, ასეთი ლაჟღაჟა სახეები არც შემხვედრია... თუმცა გასაგებია... გაუთავებლივ ქელეხობენ... სასაფლაოდან წამოსულები მაშინვე სულის მოსახსენებლად — ლუდს და სოსისებს ჩაუსხდებიან, იქელეხებენ და — ისევ სასაფლაოს მიაშურებენ! მაგრამ ასე ხომ გასუქდა კაცი! გულის სიმსუქნე დაემართა — მოწყენისაგან!

ახლა ცილინდრების ამბავიც მესმის. ცოლის საფლავზე როცა მიდის, ცილინდრს იხურავს, რომ საფლავის წინ მოიხადოს — წესი დაიცვას, მაგრამ ის კი საკვირველია, რომ საფლავებზე წყება-წყება ფორნებით მიდიან ხოლმე... არ შეგხვედრიათ შაოსანი ხალხით სავსე ეს ფორნები? ერთად ტირილი და ერთ ხარჯში გასვლა — როგორც გერმანულ კორპორაციულ სულსა სჩვევია... ქვრივთა ადგილი, საძაგელი, ბილწი ადგილი...

არც სიტყვა მომწონს: Zossen-იო. წვეტიანი და გაბრტყელებული სიტყვაა თითქოს.

მაპატიეთ აქ მოწვევისთვის!

მაგრამ მიჯაჭვულები ხომ არა ვართ? (გადმოიხარა ჩემი ყურისკენ:) ხომ შეგვიძლია გამგზავრება? ცოტა ხანს ვისხდეთ და ძერე — წავიდეთ? დღე დიდებულად გავატაროთ?

მე თვითონაც ეს წუთია ჩამოვედი. იცით, გუშინ იქ — ანუ აქ! არ წამოვედი, თქვენდა კვალდაკვალ შემდგომ ტრამვაის გამოვყევი — „Pragerdiele“-ში, მაგრამ შემრცხვა და... მთელი საღამო სულ კაფე-კაფე დავდიოდი.

ერთ-ერთში შემხვდა (მისთვის საძულველი გვარი¹ დაასახელა). როგორ გგონიათ? იმ ქალს ამ კაცის სიყვარული შეუძლია?

მე, მტკიცედ:

— არა.

— ხომ მართლა არა? მაშინ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? სკენა² გაითამაშა³ შა? იმიტომ რომ გული მატკინოს? თუმცა ჩემს გულისტკენას რატომ ცდილობს, როცა არ ვუყვარვარ? ეს ხომ ნიშნავს — თავის თავსვე ატკინოს გული? იცნობთ ამ კაცს?

მოვუყუევი მისი ამბავი.

— მაშასადამე, ცუდი კაცი არ ყოფილა... მისი ლექსების წაკითხვა ვცადე... მაგრამ ვერაფერი ვერ შევიგრძენი. სიტყვები და სიტყვებია. ან იქნებ მე ვარ — მოძველებული? ძალზე გულმოდგინედ კი წავიკითხე, ყოველნაირად შევეცადე რაღაც მაინც ამომეკითხა, მეგრძნო, შემეძინა. გულზე ცოტა მაინც მომეშვებოდა.

... შესაძლოა და სავსებით ბუნებრივიც კი მწერლის მერე უმარტივესი, ველური კაცი შეიყვარო... მაგრამ ველურმა თეორიული ლექსები არ უნდა წეროს! (აღშფოთებით): ო, თქვენ არ იცით, რა ავი ქალია იგი! გგონიათ — ველური უნდა, ველური იმას, რომლის გვარიც (თავი უკან გადაიგდო)... ათასი წლის წინ... არა, მას უნდა (ჩურჩულით) გულში დამკოდოს, მას უნდა წარსული მოკლას, თავისი მაშინდელი თავი — მოკლას, მაშინდელი მოსპოს, გააქროს, ვითომც არ იყო. ეს მისი შურისგებაა, რასაც მართო მე მივხვდი, ვინაიდან სხვებისთვის მხოლოდ გატაცებაა, ვინაიდან ეს უფრო — ბუნებრივია, ორმოცი წლის მელოტშეპარულ უხიაკის შემდეგ — ოცი წლის შავთმიანი, ხანჯლიანი ყმაწვილი და სხვა და სხვა. ქალსაც შეუყვარდა და ყველაფერი გადაივიწყა: მთელი ცხოვრება დაამსხვრია. ო, ნეტამც ასე იყოს! თუმცა ხომ იცით, როგორც დანა, ისე ცივია. ეს ყველაფერი — ცარიელი ანგარიშია. იმ კაცისადმი გრძნობის ნატამალი არ გააჩნია. ვიცი და მწამს, რომ სძულს კიდევაც... ო, თქვენ არ იცით, რა ღუმილი შეუძლია, დაჯდება — ღუმს, ადგება — ღუმს, გიყურებს — ღუმს.

— შურისგება? განა რის გამო?

— სიცილიისთვის, „ოფეირასთვის“...² ამიერიდან თქვენი ცოლი აღარ ვარო. მაგრამ აიღეთ და — წაიკითხეთ ჩემი წიგნი! იქ სად — ვამბობ, ჩემი ცოლია-მეთქი? ჩემთვის იგი — მოციალე ზმანება იყო... ბეკეკო, კლდეზე შემხტარი... ანუ ნელი.³ ნეტა ისეთი რა ვთქვი მაგაზე? წიგნიც უკვე მთლიანად იყო ჩამობეჭდილი... სად დაინახა „ინტიმურობა“, „მესაკუთრობა“, ქმრის (გაოცებით) დალი და კვალი! დემონიური სიამაყე, მაგრამ ქცევა-საქციელი უწლოვანისა. იმზომ არა ვარ შენი ცოლი, რომ აგერ... უკვე სხვისი ცოლი ვარ. თითქოს უამისოდაც არა ვგრძნობდი. თითქოს მუდამაც არ ვიცოდი. და აი, ურთულესი სულიერი წყაროებიდან უტლანქესი ფაქტი გამოედინა, რამაც ჩემ გარდა ყველა შეურაცხყო.

¹ პოეტი-ემიგრანტი ა. ბ. კუსიკოვი (ნამდვილი გვარი კუსიკიანი), ვისთანაც ერთად იმყოფებოდა ასია ტურგენევა ბერლინში.

² ა. ბელის პოემა.

³ ა. ბელის პოემის „უხიაკის ჩანაწერები“ გმირი ქალი.

... ეგ ქალი ისე მეცოდება.

... ნახეთ კი იგი? რა ტურფა და მშვენიერია, განშორების მთელ ამ წლებში როგორ გაზრდილა, დაქალებულა. იყო ფსიქეა — ახლა ვალჯირია. ახ რა ძალი იგრძნობა მასში! ძალი, რაიც მას მარტობამ მიანიჭა. ^{ოკეაღმკენეუროდ რომ...} არა ჯგუფთან, არა დასსთან ერთად, გავლით, კაფეში ნახუვარა მსხინძის შემობრუნით, არამედ მეგობრულად, ადამიანურად, გულის ღრმა გრძნობით და ამალლებულად — მაშინ პირველი გავიხარებდი, პირველი მივულოცავდი, თუნდაც გულზე ცეცხლი მეკრდოს...

თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა, როგორ ველოდი! ველოდი — სიკვდილის, საშინელების, შავბნელი წლების მანძილზე. ვით მინათებდა იგი ყველაფერს....

კაციც მეცოდება. თუკი გული აქვს, სასტიკად დაისჯება ალბათ ამისთვის. ეგ ქალი ზიზღში ჩაახრჩობს... „მავრმა ქნა თავის საქნელი, მავრს შეუძლია ახლა წავიდეს“.¹ მას კი ალბათ შეშლილობამდე უყვარს ეგ ქალი!

(„რა ამალლებულს ხდი ყველაფერს, ვამბობ უხმოდ, ვამბობ პირშიგნით, აგერ ახლა მავრიც გახადე... მამაკაცის თვალსაზრისით კი რა მარტივია ყველაფერი — იმ სიმარტივით, რისი გაგების ნიჭი ღმერთს შენთვის არ მოუცია. „შეშლილობამდე შეყვარებული“ კი — „Pragerdiele“-ში ზის ბუსავით მოღუშული და ცდილობს არ დაამთქნაროს: „ამ ქალთან მოწყენა მოგკლავს! ღუმს, ხმას არ იღებს, არასოდეს არ გაიღიმებს. ბუა ნამდვილი...“ მაგრამ შენ ამას ვერასოდეს გაიგებ“).

— მაპატიეთ, რომ გაგაწამეთ! ასეთი მზიანი დღეა, მე კი დაგტანჯეთ! ეს წუთია ჩამოხვედით და უკვე დაგტანჯეთ. იმ ქალზე ნულარ ვილაპარაკებთ. ხომ ყველაფერს ჯვარი დაესვა. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მე ხომ ლექსებს ვწერ; თქვენი „განშორების“ წაკითხვის შემდეგ დავიწყე წერა. არა, ჩემი აზრით — პოეტი არ ვარ. მთელი წლები შემიძლია ლექსი — არ ვწერო. თქვენი „განშორების“ შემდეგ კი ღვარავით მოსკდა. ველარ და ველარ ვაჩერებ. მე თქვენ — გაგრძელებთ. ეს მთელი წიგნი იქნება, „განშორების შემდეგ“ ერქმევა — მასთან და თქვენი „განშორებისა“. ფიქრში თქვენ გიძღვნით და თუ მიძღვნას არ წავაწერ, მხოლოდ იმიტომ, ის თქვენია, თქვენგან მომდინარე, თქვენსას კი ვერ მოგიძღვნით. ეს — თავხედობა იქნებოდა. შეიძლება კი წავიკითხოთ? თუ დაილლებით, შემაჩერეთ, თორემ თავად ვერასოდეს ვერ შევჩერდები...

და პა ცოსენის უცმურ ბუნების ფონზე:

Ты, вставая, сказала, что — нет!
И какие-то призраки мы.
Не осиливает — свет.
Не осиливает — тьмы.

Ты ушла. Между нами года —
Проливаемая — куда

¹ უ. შექსპირის ტრაგედიიდან „ოტელო“ (არაზუსტად მოყვანილი ციტატა).

Проливаемая — вода?
Не увижу тебя никогда¹.

ვით კლავიშებს, ისე ურბენს თვალებით ფურცლებს.

Да, ты выпрenneй ложью обводишь
Злой круг вокруг себя.
И ты с искренней дрожью уходишь



Навек, злой друг, от меня
Без ответа.
И я никогда не увижу тебя
И — себя — ненавижу за это!²

— და კიდევ ეს! — ფურცლები ხელში გასაფრენად გამზადებულ თეთრ ფრთებად უჩანს.

— Ты — тень теней, тебя не назову,
Твое лицо холодное и влное...
Плыву туда, за дымку дней, вову
За дымку дней, — нет, не тебя: бывое,

Которое я рву (в который раз!)
Которое в который раз восходит,
Которое в который раз, алмаз,
Алмаз звезды, звезды любви, низводит...³

და სიჩუმე, ანაზღად გამეფებული, თითქოსდა თვითვე აოცებს:

— თურმე რა წყნარი ასული გყავთ: არ ლაპარაკობს. (თვალებს წკურავს:)
რა საამოა! მე ხომ ბავშვების (და უკვე თვალებს უსაზღვროდ და უსაშველოდ

¹ შენ წამოდექი და თქვი, არაო!
ვართ აჩრდილები ჩვენ სუხველანი.

ვერ ვძლევთ სინათლეს
და ვერც — სიბნელეს.

შენ წახველ და წლები ჩვენ შორის გაწეა —
გაედინა — სად

გაედინა — წყლად?

და ვერ გიხილავ აწ ვერასოდეს. (ა. ბელის ლექსიდან „არა“).

² სიცრუით ამადლებულით

შეიქმნ ბოროტ წრეს შენ ირგვლივ.

და მტოვებ გულწრფელი თრთოლვით

სიტყვის უთქმელად და სამუდამოდ.

ბოროტ მეგობარს ველარ გიხილავ აწ ვ ე ღ ა რ ა ს დ რ ო ს

და მძულს ამისთვის მე — ჩემი თავი (ა. ბელის ლექსიდან „სიცრუით ამადლებულით“...)

³ ჩრდილთა ჩრდილი ხარ, არ ვიტყვი სახელს,

სახეც ცივი და ბოროტი გიჩანს...

მივცურავ დღეთა ბურუსის მიღმა

და ვეხმობ წარსულს,

ოღონდ შენ — არა,

წარსულს, რომელსაც (უკვე რამდენჯერ) ჭვარი დავუსვი,

რომელიც უკვე მერამდენჯერ კვლავ აღმოვლინდა,

რომელმაც უკვე მერამდენჯერ აღმასი,

აღმას-გარსკვლავის სხივი,

სხივი სიყვარულ-გარსკვლავისა დაამდაბლა, არ ად აქცია... (ა. ბელის ლექსიდან „ჩრდილთა ჩრდილი ხარ...“)

აფართოებს:) საოცრად მეშინია. ბავშვობიდანვე! პრეჩისტენსკის ბულვარიდან-ვე. ნაძვის ხისა და დაბადების ყველა დღიდანვე. (ისეთნაირი ჩურჩულით, როგორც უძველეს მტერზე ჩივიან:) მუდამ ყველაფერს მიმტვრევდნენ ხოლმე, მათი მოსვლა დალაშქვრას ჰგავდა... (აღშფოთებით) ანგელოზები? ყურში ახლაც ჩამესმის ფურცლის ფხრიწინი: ფურცლავს ასეთი ანგელოზები? საყვარელ წიგნს და უეცრივ ჭრილობასავით ცერად ჩაგიხვეს... აქედან დაიწყო, შემთხვევით ჰქნაო, შემთხვევით იშვიათია, მუდამ განზრახ და ყველაფერს განზრახ, ჯიბრზე, ქვეშ-ქვეშად, ალმაცერად — აბა რას ეტყვი. ნადირებივით უცხოები სძულთ და სუსტს მაშინვე იყნოსენ ხოლმე. მთავარია — წარბი არ შეიხარო, შიში არ დაიმჩნიო... სნეული მგელი მიწაზე სნეულ თათს ადგამს... რამეთუ იცის, ლუკმა-ლუკმა გაგლეჯენ მყისვე, ო, მათი როგორ მეშინია! თქვენ არ გეშინიათ?

— ჩემების — არა.

— მე კი ჩემები — არა მყვანან. და ალბათ არც მეყოლება. იქნებ — უნდა ვინანო? იქნებ ჯობდა, რომ მყოლოდა? ხანდახან ვნანობ. ამქვეყნად იქნებ... თავი უფრო წელმაგრად მეგრძნო?..

— ალია რა ხანია მოლუშული და მრავლისმეტყველი თვალით მიცქერის:

— ღე-და!

ნაძალადევი უბრალოებით ვეუბნები:

— ბორის ნიკოლაევიჩ, აქ ჰად შეიძლება, ჩემს გოგოს უნდა...

— ცხადია, გოგონას უნდა, გოგონას უნდა...

რომ დავრწმუნდი, სხვა პასუხს ვერ ვეღირსები, დაეინებით:

— ერთ ადგილას უნდა წასვლა.

— აჰ! ეს ადგილი კი არა გვაქვს. ადგილი — რამდენიც გინდა, იმდენია. ფანჯრიდან რასაც ხედავთ, ყველა ადგილია. ბუნების წიაღ, ყველგან, ყოველგან! (გველის სისინით:) დასავლეთი, ცივილიზაცია — ბატონო ჩემო.

— კი მაგრამ, აქ ვინ — დაგასახლათ? (ვთქვი და მყის მივხვდი, იგი აქ რომ გამოასახლეს).

— მეგობრებმა. რა ვიცი აბა. ბარგი ჩამიწყვეს, წამომიყვანეს. ეტყობა — ასე იყო თურმე საჭირო. ეტყობა — ვილაციისთვის იყო საჭირო. — და უკვე დაკანონებულ მინამღერით: — გოგონას უნდა, გოგონას უნდა, გოგონას უნდა..

— ალია, როგორ არ გრცხვენია! ზედ ფანჯრის წინ!

— ჯერ ერთი, იმდენი ხანი ილაპარაკეთ. მეორეც, სულ ერთია, მაინც ვერ ხედავს.

— როგორ ვერ ხედავს? ბრმა ხომ არაა?

— ბრმა არა, მაგრამ შეშლილია. ძალზე წყნარი, თავაზიანი, მაგრამ შეშლილი, ვერ დაინახეთ, სულ თავის უხილავ მტერს რომ შესცქერის?

ბარემ რომ მოვრჩე „გოგონაზე, რომელსაც უნდა“ და ბეღიზე. რამდენიმე დღის შემდეგ პრაღიდან ალიას მამა ჩამოვიდა და კაცი შეძრწუნდა იმის ნახვაზე, ალია როგორ წრუტავდა ლუდს.

— უძირო კასრია თუ რვა წლის გოგო! არა, ამას ბოლო უნდა მოედოს. ღღეს იმდენ ლუდს შევასმევ, რამდენიც უნდა — რომ სამუდამოდ გადაეჩვიოს. არ ვიცი, მერამდენე ტოლჩა იყო, რომ ალიამ უცებ:

— ახლა კი წავალ და დავიძინებ, თორემ უკვე ვგრძნობ, ანდრეი ბელივიტის სისულელეების როშვას დავიწყებ.



ქართული

— ცხადია, პუშკინს „გოდუნოვი“ აბანოში აქვს დაწვრილი, — მასობს ბელი და თავის ცოსენის მიდამოებს ჩემთან ერთად ფანჯრიდან გასცქერს. — მაგრამ აბანო ამასთან რა მოსატანია? ო, აბანოსთვის არაფერს არ დავიშურებდი (ჩურჩულით, მორცხვი ღიმილით:) მე აქ სულ ვერ ვბანაობ. არც წყალია, არც ტაშტია — განა ამას ტაშტი ჰქვია? მარტო ცხვირი თუ ჩაგეტევა! ბერლინში თუ არ ჩამოვედი, ვერ ვბანაობ, იმიტომაც ასე ხშირად ვარ ბერლინში: იმიტომაც ველარაფერს ველარა ვწერ (უკვე რისხვით:) პირის დასაბანადაც ბერლინში უნდა ჩამოვიდე!

ახლა კი... (დაუკაცუნებლად, მაგრამ ტკაცანით იღება კარი. ჯერ ლანგარი, მერე ქალის კუბოკრული მუცელი ჩნდება) — ღვთის ბოძებულს უნდა დავჯერდეთ! ნუ შემომწყრებით! ჩემი დიასახლისის კულინარული ფანტაზიის წერა გახლავართ.

წვნიანით უხმოდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მათლაფები ივსება ჩვენი. დიასახლისის გასვლის შემდეგ ბელი ჩაწყვეტილი ხმით:

— Haferbrühe...¹ ასეც ვიცოდი.

ვაუკაცურად ვხვრებთ არ ვიცი — წვნიანს, არ ვიცი — ფაფას, წვნიანისთვის — სქელს, ფაფისთვის კი — თხელს...

— Haferbrühe, Haferbrühe, Haferbrühe, — ბურტყუნებს ბელი. -- Brühe... brüten... თითქოსდა ზის და ამ შვრიას ჩეკავს, საკუთარი მხურვალეებით ათბობს და ალბობს... Milchsuppe — Haferbrühe — Milchsuppe...²

და ბოლო კოვზიც რომ მოხვრიპა, პირსახე ისე გაუნათდა, თითქოს მტკივანი კბილი ამოიღო:

— ახლა კი სადილად გავემგზავროთ!

ბერლინი. რესტორანი «zum Bären» — „დათვი“.

— წვნიანი ხომ აღარ გვინდა? წვნიანი აკი მივირთვიო! ახლა ხორცი უნდა მივირთვათ, ხორცი და ხორცი! ხორცის ორი კერძი! თუ სამი? (ცნობისწადილით და ცნობისმოყვარედ:) ასული შეძლებს ხორცის სამი კერძი მიირთვას?

— ლუდი მინდა, — იყო პასუხი ფლეგმატიური.

— რა კარგად ლაპარაკობს — ლაკონიურად. ცხადია, ლუდი. ჩვენ კი — ღვინო. თქვენი ასული ღვინოს არ სვამს?

ხორცის სამი კერძიდან პირველს მივირთმევთ. (ალიამ მერე თქვა: „პირდაპირ მგელივით ჭამდა. ღიმილითა და თვალების ბრეციით... ხორცს თითქოს ეძგერებოდა...“)

მეორე კერძის დამთავრებისა და მესამის მოლოდინში ბელიმ:

¹ შვრიის შექამალი (გერმ.).

² Brühe — შექამალი; Brüten — გამოჩეკვა (ბარტყების).

Milchsuppe — რძის წვნიანი (გერმ.).

— მგელი არ გეგონოთ! სპმი დღეა შვრიაზე ვარ. მარტოს — ვერ გამო-
ბედავს: ულამაზოა და თან ღალატი დიასახლისის. ისიც ხომ იმასვე ჭამს და
ბერლინში ვერ ჩამოდის... მაგრამ დღეს კი თავს ნება მივეც, ვინაიდან ჩემს დია-
სახლისთან თქვენ ხომ საერთო გაჭირვება არ გაკავშირებთ. რად უნდა დამე-
ტანჯეთ? მეტადრე ასულთან ერთად. მე კი თქვენ — შემოგვტყუებდით.

და ალბათ მგელმა გაახსენა:

— ახლა კი Zoo-ში გავეშუროთ.

შენი მომხმარებელი

Zoo-ში, უზარმაზარ ლომთა ლომის გალიის წინ — ალიამ:

— დედა, შეხეთ, პირწავარდნილი ტოლსტოია! ისეთივე ფართო ცხვირი,
წარბები და წვრილი, ჭროლა, ავი თვალები — თითქოს ყველანი ვატყუებდეთ.

— არ თქვათ! — თავაზიანად და აგრესიულად ორმოცი წლის კაცმა —
რვა წლის გოგოს: — ერთადერთი ლევ ტოლსტოია, ვინც შუშის ხუფი გადაი-
ხურა და თავის თავს ვივისეჭვია გაუკეთა.

თანამგზავრით გატაცებულს მთელ Zoo-ში ლომის გარდა მხოლოდ ბეჭე-
მოტი დამამახსოვრდა, ისიც ბელის შენიშვნის გამო:

— წინა მოსვლაზე ბეჭემოტების ქორწილზე მოვხვდი. მოყვარულები ამაში
თურმე ფულს იხდიან! მე კი ზედამხედველის ნათქვამი ვერ გავიგონე და, რომ
წავიდა, უკან მივყევი. ოი, რა საშინელი სურათი ვნახე! კინალამ გული არ წა-
მივიდა...

მახსოვს კიდევ, ვეფხვს ვეფხვურად რომ მიესალმა, რაღაცნაირი „იაუ“ უთ-
ხრა, რაღაც საშუალო ყეფასა და კრუტუნს შორის, თან მთელი ტანით მოტრი-
აღდა და მოსასხამიც ჩანჩქერივით ჩაუსრიალდა. (ეს მოსასხამი, მღაბიო ხალხი
რაზმანაიკას რომ ეძახის, მასზე კრილატკად² ჩანდა, ალბათ მიტომაც მკვეთრად
მახსოვს მისი ხელები, თავისუფალნი, და მაინც საბრალისნი, თითქოს შიშველნი
ზედა სახელოების უქონლობის გამოისობით, ამ ვერაგულ თარგით ვითომდა
გამოხსნილნი, სინამდვილეში კი დაბორკილნი, მიტომაც ბორგავდა ასე, ხოლო
მოსასხამი მის კვალდაკვალ იმეორებდა, აორმაგებდა ხელების ყოველ მოძრა-
ობას, გადიდებულ და აბობოქრებულ ჩრდილის მსგავსად. ეს მოსასხამი მისი
ცოცხალი ფონი იყო, მისი ბერძნული ქორო, არ ვიცი — Kaufhaus des We-
sten-ის იყო თუ ჯერ კიდევ მოსკოვიდან ჩამოყოლილი. თანაც რუხი).

ასე გალია-გალია მოიარა მთელი ბაღი:

— მხეცები ძალიან მიყვარს. მაგრამ არა გგონიათ, აქ მეტისმეტად
ბევრნი არიან? ან მე რატომ უნდა ვუყურო — თვითონ კი არ შემომხედონ?
მაშინვე ზურგი მაქციონ?

ვსხედვართ მორზე, გერმანიის იმპერიაში რომ ვერაფრით ვერ წარმოიდ-
გენ, — თავი პრესნიაზე გეგონება! — ვსხედვართ გვერდიგვერდ, მხეცთა გა-
რეშე, და უცებ გადმომსკდარ საგუბარივით — ამბავი ყმაწვილ ბლოკზე, მის
ყმაწვილ ცოლზე და თავად მასზე, მაშინ ყმაწვილზე. გრძნობის ამბავი, რომლის
აღდგენა აღარ ძალმიძს და რომელიც ჩამრჩა ყურში, ჩამრჩა ძარღვებში მხო-
ლოდ ქინაქინ-ციებიან ჟღერადობად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სურათებით თითქოს

1. ზოოპარკი (გერმ.).

2. მოსასხამი.

ქერის თავთავებისა, თითქოს ნაწნავეების — ვილაცის აბრეშუმის სარტყლის — ყმაწვილი ბლოკი მის ნაამბობში ნეკრასოვის „კორობუშკა“-ს ვაეკაცად წარმოსდგებოდა, წმინდანსახიან მეეტლედ ლუკუტებისეულ ფერად სათუთუფედან — სადაც თეთრი არსად ერია, და — უცბად სულ სხვა სცენა — პეტერბურგი, ქარბუქი, ლურჯი მოსასხამი... ყრმა დემონი, გენიოსი ასპარეზზე გამტარსუნუკვი სამთა კავშირი, მერე შეცბუნებულ ორთა კავშირი, განუხორციელებლად წმინდანნილი — წასვლა — ჩამოსვლა — თუმცა წასვლა ამ შეხვედრებში ჩამოსვლაზე უფრო მეტია, იქნებ იმიტომ, რომ ჩამოსვლა მცირე ხნითაა, წასვლა — დიდი ხნით, ჩამოსვლიდანვე რომ იწყება და იჭიმება უეცარი გაქცევის დრომდე... კვანძი იკვრება, ყველას ყულფში აქვს თავი გაყოფილი, ვერც გახსნი და ვერც გაგლიჯავ. და ბოლო სიტყვა, მეხსიერებაში ესოდენ მკაფიოდ ჩარჩენილი:

— ძალზე ცუდად შევხვდი უკანასკნელად. ძველის კვალიც არ შერჩენია. სულ არაფერი. სიცარიელე.

მაშინ პირველად მოვისმინე ლუბოვ დიმიტრიევნას ბიჭის ამბავი, მისი საკუთარის, არა ბლოკის, არა ბელის შვილის — შიტკა რომ ერქვა, ვისზედაც ასე ზრუნავდა ბლოკი: „შიტკა როგორ უნდა აღვზარდოთ?“ — და ვისაც ასე მისტიროდა თავის ლექსში, რომლის დასასრულს ღმერთს მიმართავდა:

Нет, над младенцем, над блаженным
Стоять я буду без тебя!¹

ამ სტროფებს ისე ვერ ვკითხულობ, მყის ყურში არ ამიქლერდეს პუშკინის ეპიტაფიის ეს სტროფები მარია რაევსკაიას პირმშოსადმი:

С улыбкой он глядит в изгнание земное,
Благословляет мать и молит за отца².

მახსოვს კიდევ ის, რომ სიტყვა „სიყვარული“ ამ ურთულეს სასიყვარულო ამბის თხრობისას ერთხელაც არ ხსენებულა — ნაგულისხმევი იყო მხოლოდ, უკანასკნელ წამს გვერდავლილი, უკანასკნელ წამს მიახლოებულ, მაგრამ კარგა დაშორებულ სიტყვით შეცვლილი, ისე რომ, ამბის მოსმენისას რამდენჯერმე ჩემი თავი ფიქრზე წავისწარ: „მაშ რაღა იყო?“ — მხოლოდ ფიქრზე, ვინაიდან გრძნობა მამცნობდა: ის იყო. მჭერა, ასევე გვერდავლილი და შეცვლილი იყო ცხოვრებაში გმირთა მიერაც. ხანა იყო მაშინ ასეთი, ასეთი სულის ხალხი იყო. ყველაზე დიდი სულის ხალხი. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მიმდინარეობა სიმბოლიზმს ყველაზე ნაკლებ ეთქმოდა.

და კიდევ ერთი, თუ ახლანდელნი „მიყვარხარო“, არ ამბობენ, არ ამბობენ მხოლოდ შიშით, ჯერ ერთი — თავი არ დაიბორკონ, მეორეც — თავი არ დაიმცირონ. მხოლოდ თავმოყვარეობის გამოისობით. ისინი — ანუ ჩვენ „მიყვარხარო“ არ ვამბობდით მისტიკურ შიშით, რათა სიტყვას სიყვარული არ მოეშოთ და კიდევ იმ ღრმა რწმენით, რომ სიყვარულზე უფრო დიდი რაღაც არსებობს და ეს დიდი — არ დაგვემცრო „მიყვარხარ“-ის თქმით — რამე არ დაგვეკლო.

იმიტომაც ასე ცოტა ვუყვარდით ალბათ.

¹ არა, ამ ჩვილ, ამ წმინდა ცხედართან

მე უშენოდ დავდგები ახლა! (არაზუსტი ციტატა ა. ბლოკის ლექსიდან „ჩვილის სიყვდილზე“).

² ღიმილით დაცქერს გაძველებას მიწიერს იგი,

აკურთხებს დედას და მამისთვის ლოცვას აღავლენს (ა. პუშკინის ლექსიდან „ეპიტაფია“).

მაშინ, Zoo-ში გავიგე მხოლოდ, რომ მთელი რუსეთისთვის / ვსოდენ საყვარელი ლურჯი მოსასხამი...

Я звал тебя, но ты не оглянулась,
Я слезы лил, но ты не снизошла,
Ты в синий плащ печально завернулась,
В сырую ночь ты из дому ушла...¹—

ლუბოვ დიმიტრიევნას ლურჯი მოსასხამი იყო თურმე. „ო, მთელი სიცოცხლე ამ ქალზე ზრუნავდა იგი, მუდამ შეეძლო ქალს დაბრუნება... სულის მოსათქმელად, დასასვენებლად... სხვა დანარჩენი გაქრა, დაინგრა, მათი ცხოვრება სხვადასხვა გზებით წავიდა და არასოდეს შეერთებულა“.

Zoo დასრულდა ალიას მორიგი ლუდის შესმით გრძელ, ფარღალალა ძელურ შენობაში, გალიას რომ უფრო მოგავდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გარუჯა ბელი მზემ იმ დღეს სამოვრის ჩაის ფერად, რის წყალობითაც თვალები, დასტურ აზიური, კიდევ უფრო ლურჯი უჩანდა — იმ მდელის ფონზე, გალიის ძელაკებიდან მზეს და სიმწვანეს რომ აფრქვევდა. სპილენძისფერ შუბლიდან თმის ვერცხლი გადაიყარა და:

— კარგია, არა? რარიგ მიყვარს ეს ყველაფერი. ბალახი, იქ სადღაც მხეცები და თქვენ, ესდენ უბრალო... ასულიც წყნარი, გონიერი, არ ლაპარაკობს... (და უკვე მინამღერად:) საამურია!

იქნებ იმიტომ, ზაფხული იყო, იქნებ იმიტომ, სულ მუდამ მდელვარე იყო, ან მასში უკვე სისხლძარღვების მომაკვდინებელ სენს დაებუდა, იგი ფერმკრთალი არასოდეს არ მინახავს — სულ ვარდისფერი, მოყვითალო-მოვარდისფერი, სპილენძისფერი გადასდიოდა. ხოლო ეს ვარდისფერი ლურჯ თვალებს უფრო ულურჯებდა, უფრო ვერცხლისფერს უჩენდა თმის ვერცხლს. თმის ვერცხლის გამო რუხი კოსტიუმიც ვერცხლივით ბზიანებდა, ვერცხლი, სპილენძი და ლაევარდი — ამ ფერებით ჩამრჩა ბელი მე ხსოვნაში. ზაფხულის ბელი, ბელი მისთვის თარს ათას ცხრაას ოცდაორი წლის ზაფხულში.

მე და ის რომელიღაც კოშკზე ვდგავართ, სად, არ მახსოვს, ოღონდაც მალლა, ძალზე მალლა. ანაზღად ჩემკენ გამოეჭანა და ხელი ისე დამიჭირა, თითქოს მაზურკა უნდა გვეცეკვა:

— უფსკრული არ გიზიდავთ? აი ასე (ჩვილის ღიმილით)... რომ გადაეშვათ და ჩაყვინთოთ?

¹ მე გიხმე, შენ კი არ მოიხედე,
მე ცრემლი ვღვარე, ხოლო შენ ყური არც კი მათხოვე,
ლურჯ ლაბადაში ნაღვლიანად გაეხვიე
და წვიმიან ღამეს სახლი დატოვე... — (ა. ბელის ლექსიდან „სიკვდილზე, გმირობაზე და დიდებაზე...“).

არ ვუმაღავ, მიზიდავს კი არადა, გაფიქრებაზეც გულს მაზიდებს.

— საკვირველია! მე კი სიცარიელეს ვერა ვწყდები! აი ასე (სწორი კუთხით იხრება და ხელებს ფრთებად შლის)... ან უფრო სწორედ (უკან ახრება, თმაც, მიქცევის დარად, უკან მიილტვის) — აი ასე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Zoo-სა და Zossen-იდან რადენიმე დღის მერმე პრაიდიდან ჩემი მეუღლე ჩამოვიდა — მრავალი და მრავალი წლის ბრძოლების შემდეგ უკვე სტუდენტოლოგი იმ ქალაქშივე.

მახსოვს, რა საოცარი ყურადღებით იყო ბელი მისადმი, მისი ყოველი სიტყვისადმი, მახსოვს ის გასაოცარი სიხარბე პოეტისა ქმედით სამყაროს მიმართ, ცოტაოდენი შური რომ ახლავს... (ნუ დაივიწყებთ, რომ მეომარი ხალხი ყველა პოეტს მუდამ უყვარდა).

— თურმე რა კარგი ქმარი გყოლიათ, — მითხრა მერე, — თავშეკავებული, დინჯი, უზადო. მეომარი სწორედ ასეთი უნდა. ო, როგორ მინდა ვიყო მეც ოფიცერი! (და უმაღლ დაბლა ჩამოდის:) თუნდ ჯარისკაცი! მტერი, შენები, შავი თუ თეთრი — კაცი მშვიდად ხარ. მე ხომ დოქტორთან ამას ვეძებდი, ეს ვერ ვიპოვე.

მეომრის თავშეკავებას გამოცდამ მალე უწია. და აი, როგორ: ბელიმ დაკარგა ხელნაწერი, თავისი „ოქრო ლაჟვარდში“, რის გამოც მისმა გამომცემელმა, შეძრწუნებულმა, ასე მითხრა:

— მარინა ივანოვნა, ჩემო კარგო, იმოქმედეთ, დაარწმუნეთ ბორის ნიკოლაევიჩი, ადრევეც — კარგი იყო-თქო. თავდაპირველ ტექსტში ხომ ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ლაპარაკი აკი ხელმეორე გამოცემაზე იყო. ეს კი ახალი წიგნი გამოდის, კაცი ვერც იცნობს! წინააღმდეგი არც ახლისა ვარ, მაგრამ მაშინ ძველი რატომღა ააწყობინა? მისი ყოველი კორექტურა მთელი ახალი წიგნია ხოლმე, გაუთავებლივ და განუწყვეტლივ რომ ახლდება. ასოთამწყობებმა რა ქნან, აღარ იციან...

და აი, სწორედ ეს ახალი, მთელი გროვა ამ ახლისა — ვეებერთელა საქალაქად, სადაც უკვე აღარაფერი ეტეოდა — ბელის უეცრად დაეკარგა;

— მე ხელნაწერი დამეკარგა! — ყვირილით შემოიჭრა ის ჩემს ოთახში. — ოქრო დამეკარგა! ოქრო ლაჟვარდში. გამივარდა, სადღაც დავტოვე, მივაკარგე! რომელიღაც წყეულ კაფეში, მოსჯილი რომ მაქვს, სამგზის წყეული ყოფილან აგრემც. თქვენთან რომ მოვდიოდი გზაში ვიფიქრე, თუმც დაღუპული, მაგრამ ზრდილი კაცი მაინც ვარ — ახლა ჩემთვის სადა სცალიათ, ამ შეხვედრის სიხარული რად ჩავამწარო — ჩემთან შედარებით ხომ ბავშვები ხართ! თქვენ ჯერ კიდევ სამოთხეში ხართ! მე კი უკვე ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვები! ეს გოგირდიანი ჯოჯოხეთი კი, სადაც დოქტორი¹ დირიჟორობს, არ მინდოდა თქვენს სამოთხეში შემომეტანა, გადავწყვიტე: აღარ შევივლი, ჯოჯოხეთში მარტოკა ჩავალ — და კაფეში შევუხვიე: ერთში, მეორეში თუ მესამეში (გესლიანი ღიმილთ): ჯერ ერთში ვიყავ, მერე მეორეში და მესამეშიც, აღარ მახსოვს, რომელში იყო? — ლამის მუხლები მომეკვეთა: ხელნაწერი თან აღარა მაქვს. ნაბიჯი ძალუმ შემიმსუბუქდა, მარცხენა ხელმა თავისი ცხოვრება იწყო, მეტის-

¹ იგულისხმება რ. შტაინერი.

მეტადაც — თითქოს თავიდათავი ისაა, ცხოვრება იწყოს! — მარჯვენაში ტროსტი მიჭირავს, მარცხენაში კი — არაფერი. არადა, ეს „არაფერი“ ჩემი ხელნაწერია, სამი თვის — თუმცა რომელ სამი თვის! მაშინდელის და ახლანდელის — შენადული, ჩემი ცხოვრების ოცი წელი სამიკიტნოში დავტოვე კაცმა... იმ შვიდიდან ნეტა რომელში?

ზღურბლზე — გაოცებული სერგეი იაკოვლევიჩი დგახმბ...
 — ბორის ნიკოლაევიჩს ხელნაწერი დაეკარგა, — მყის ვუხსნი ყვირილის მიზეზს.

— უკაცრავად ვარ! — ბელი მისკენ წავიდა, — ხანდახან თავადაც მესმის, რა საშინლად ვყვირი ხოლმე. მაგრამ თქვენ წინ — დალუპული კაცია ახლა.

— დამშვიდდით, ბორის ნიკოლაევიჩ, ჩემო ძვირფასო, მოვნახავთ, სადმე აღმოვაჩენთ, ყველა ადგილს შემოვივლით, სადაც იყავით — სადმე ხომ ალბათ შეიარეთ? იქ დაგრჩებოდით. ხომ არ შეგეძლოთ მართლა ქუჩაში დაგეკარგათ.

ბელი, ხმაჩაწყვეტით:

— ვშიშობ, შემეძლო.

— არ შეგეძლოთ, ეს ხომ ნივთია, რომელსაც წონა გააჩნია, სადმე ეძებეთ?

— არა, პირდაპირ აქეთ გამოვექანე.

— მაშინ წავიდეთ.

და წავედით. და — დაიწყოს! ჯერ ერთი, ზუსტად ვერაფრით ვერ თქვა, რომელ კაფეში შეიარა, რომელში — არა. ხან თითქოს ყველაში იყო, ხან თითქოს არც ერთში არა. მივალთ, ისაა, შევალთ, ის — არა, არაფერს იკითხავდა, მხოლოდ თვალს მოავლებდა და სიტყვის დაუძვრელად გამოდიოდა. „Die Herrschaften wünschen? (ბატონები რას ინებებენ?)“ ბელი აგრესიულად: „Nichts! Nichts!“ (არა, არაფერს!)“ კელნერები მხრებს ოდნავ იჩეჩავდნენ — ჩვენ კი ისევ გარეთ ვიყავით. მაგრამ გამოსვლისას: „იქნებ — ისაა? იქ მეორე დარბაზიცაა, მე კი არ შემიხედავს“; სეროიუა, სულგრძელი გრძნობით: „ისევ შევიდეთ?“ მაგრამ ვერც მეორე დარბაზსა სცნობდა.

სხვა კაფეში — პირიქით იყო: ირწმუნებოდა. აქ ვიყავით, — მაგიდაც იგივეა, ფანჯარაც, მოლარე ქალსაც იგივე გულის ქინძისთავი აბნევიანო, ყველაფერი ემთხვევაო, ოღონდ ხელნაწერი არ ჩანდა არსად. „Aber der Herr war ja gar nicht bei uns (მაგრამ ბატონი დღეს ჩვენთან არ შემოსულა), — თავშეკავებულ გაბრაზებით ამბობს ობერი. — ნახევარი საათის წინ? ამ მაგიდასთან? დავიბსომებდი“. (რაშიც ეჭვი არ გვეპარება, ვინაიდან ბელის წითელი სახე, ქუდი, თმა, ტროსტი — ზეატრილი და აფრენილი — მართლა არ შეიძლება დავიწყებოდა). „Ich habe hier meine Handschrift vergessen! Manuscript, verstehen Sie? Hier, auf diesem Stuhle! Eine schwarze Pappe: Mappe!“ (მე აქ ხელნაწერი დამრჩა ჩემი! მანუსკრიპტი, გესმით? აი, ამ სკამზე შავი საქალაღე!) — ყვირის უფრო და უფრო გაჭარხლებული და ჯოხს იატაკზე აბრაზუნებს. — Ich bin schriftsteller, russischer schriftsteller! Meine Handschrift ist alles für mich! (მე მწერალი ვარ რუსი მწერალი, ჩემთვის ჩემი ხელნაწერი ყველაფერია)“.

— ბორის ნიკოლაევიჩ, მეზობელ კაფეშიც ვნახოთ, — მშვიდად ურჩევს სეროიუა და თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ გამოჰყავს გარეთ. — აქ ხომ გვერდით მეორეც არის. სულ ადვილად შეიძლება რომ აგრეოდათ.

¹ საქალაღე გერმანულად — Mappe, Pappe — უაზრობა. (მ. ცვეტაევას შენიშვნა).

— აქ? მე აქ დავჯდებოდი? (იქედნურად:) არა, მე აქ არ ვყოფილვარ! ეს — აშკარად არ მიგიზიდავს, ასეთში არ შევიდოდი. (ჯოხს ასფალტს აბჯენს). არც ახლა შევალ.

სერიოზა, შვებით:

— მაშ მე — შევალ. თქვენ და მარინამ აქ დამიცადეთ. ვდგავართ. გამოდის ხელცარიელი. ბელი ზეიმით:

— მე რა გითხარით? მე აბა აქ შევიდოდი? ასეთ კაფეში ხელნაწერს კი არადა, ხელ-ფეხს დაკარგავ. განა ვერ ხედავთ, აქ — კოკაინია?

შემდგომ კაფესაც — ჩავუარეთ.

ჩვენი რჩევის და დარწმუნების მიუხედავად, თავს იქით არც ატრიალებს, ნაბიჯს ცხადლივ უჩქარებს.

— მაინც რატომ არ გინდათ შეიხედოთ?

— ვერ შეამჩნიეთ, იქ რომ ბრიუნეტი კაცი იჯდა? არა, იმის თქმა კი არ მინდა, სწორედ ის კაცი იჯდა-მეთქი, მაგრამ ასე თუ ისე — იმათგანია. იმ თმა-შეღებულ კაცთაგანი. ვინაიდან მსგავსი შავი თმა არ არსებობს. ასეთი მხოლოდ შავი საღებავია. ყველა ეგენი — თმაშეღებულნი ბრძანდებიან. ეს ხომ დამლა ასეთი ხალხის.

მერე გაჩერდა შუა ფილაქანზე და შემზარავი ღიმილით ამბობს:

— იქნებ სულაც — დოქტორის ოინებია? ნეტა იქიდან ხომ არ უბრძანა ჩემს ხელნაწერს, სკამიდან ჩასრიალდი ან იატაკმა ჩაგიტანოს და დაიკარგეო? რათა არასდროს ლექსები არ დავწერო, ვინაიდან ახლა — მორჩა, ერთ სტროფსაც აღარ დავწერ. იმ კაცს არ იცნობთ. ის — სატანაა.

ჯოხი ასწია და სიტყვების ტაქტზე — რასაც კი მოხვდა: ტორზებს, ხარბებს, ბერლინის სწორად ამართულ ხეებს დაუშინა — და უცებ — მთელი გააფთრებით — ჯოხი ვეება ყვითელ დოვს დასცხო, რომლის უკან მთელი თავისი თვითკმაყოფილების სიმალლეზე გაჯგიმული ლეიტენანტი ამოიმართა.

„Verzeihen Sie, Herr Leutnant, ich habe meine Handschrift verloren (მაპატიეთ, ბატონო ლეიტენანტო, მე ხელნაწერი დამეკარგა).“ — „Ja was? (რაა?)“ — „Der Herr ist Dichter, ein grosser russischer Dichter. (ეს ბატონი პოეტია, დიდი რუსი პოეტი)“, — სწრაფად, ვედრებით ვეუბნები. „Ja was? Dichter? (რაა, პოეტი?)“ — და იუკადრისა რა წყენის დამჩნევა, აფრქვია რა იმ თავისი პრუსიული სიმალლიდან ლეიტენანტური ზიზღი ამ ჩვეულებრივ მოქალაქეს — თანაც რუსსა და თანაც Dichter-ს, ძალლი წაათრია და—გავგვიცოლდა.

— სატანა! სატანა! — გაყვირის ბელი, ჯოხს აბზრიალებს და თვითაც ბზრიალებს.

— ღვთის გულისათვის, ბორის ნიკოლაევიჩ, ლეიტენანტს არ ეგონოს, რომ მასზე — ამბობთ!

— მასზე? გულმშვიდად იყოს. სატანა მხოლოდ ერთია და იგი — დოქტორი შტაინერია.

და საბოლოოდ განიმუხტა რა, უკვე სრულიად მშვიდად:

— ძებნა საჭირო აღარაა. დაიკარგა. დაიკარგა. და იქნებ კიდევაც სჯობს, რომ დაიკარგა. სინამდვილეში არც ვარ პოეტი, წლობით ლექსებს არა ვწერ

¹ ა. ბელის იმ ხანებში აკვიატებული ჰქონდა, რომ მას უკან სდევნიან.

ხოლმე, ხოლო ვისაც შეუძლია წლობით არ წეროს — წერის უფლება აღარცა აქვს.



უნდა შევნიშნო, ჩემს თბრობაში არა *crescendo* არ არსებობს — ენაიდან არც ცხოვრებაში ყოფილა იგი. ჩვენს ერთმანეთთან ურთიერთობას განვითარება არ ჰქონია. თავიდანვე ყველაზე კარგით დაიწყო იგი და ასეც გაგრძელდა — მთელი იმ ჩვენი ხანმოკლე ვადის განმავლობაში.

პირადად მე ვერ შემიცნო და ვერასოდეს ვერ გამარჩია, მაგრამ იქნებ უფრო უკეთ და უფრო მეტად შეიგრძნო ჩემი ცოცხალი ძალა, შემიგრძნო მე მთლიანად, ვინემ ყველაზე დაკვირვებულმა შემფასებელმა და განმმარტებელმა. და იქნებ ცხოვრებაში ჩემმა სიყვარულმა იმზომ სიკეთე არავის არ მოუტანა, რამდენიც მას — ჩემმა მეგობრობამ და მასთან ყოფნამ, მასთან თანხლებამ, ოთახში იყო ეს თუ გარეთ. მის გვერდით ყოფნამ.

მასთან ყოველთვის თავს დაცულად ვგრძნობდი სრული ანონიმატის მეშვეობით.

იგი გართული იყო არა თავისი თავით, არამედ თავისი უბედურებით, რაც არა მარტო ბედმა არგუნა, არამედ დაბადებამაც: ამქვეყნად თავისი მოვლინების უბედურებით.

არა ეგოისტი, არამედ ეგოცენტრიკოსი ტკივილისა, რაიც განუკურნებელი სენის — ცხოვრებისაგან მოდიოდა და რისგანაც მხოლოდ 1934 წლის რვა იანვარს განიკურნა.

რომ არ დამავიწყდეს... სახელითა და მამის სახელით უკიდურეს შემთხვევაში თუ მომმართავდა, მესამე პირის ან პირების თანდასწრებით და მუდამ მესამე პირში, ჩემზე როცა რამეს ამბობდა, პირადად მე კი — თქვენ, უბრალოდ — თქვენ, მარტოოდენ — თქვენ. ჩემი სახელი მისთვის რაღაც გარეშე იყო, გარეშეთათვის, ჩემთან კავშირი რომ არ ჰქონდა, იმ ჩემს მე-სთან, ვისაც მაშინვე დაუკავშირდა, ჩემი სახელი პირობითი სახელი იყო, მაშინვე რომ ივიწყებდა ჩემთან მარტო ყოფნისას. მე იგი თქვენ-ს მეძახდა. (როგორც კასპარ ჰაუზერი „Der Du“-ს დარაჯს ეძახდა).

ჩვენს შემთხვევაში მართალი იყო. სახელი ხომ ამა და ამ კაცსა ნიშნავს, მხოლოდ ამ კაცს. თქვენ — შეიცავს ყველასა და ყოველივეს. და კიდევ: სახელი მიჯნავს, საზღვარს ავლებს, სახელი აშკარად — არა-მეა. თქვენ (როგორც შენ) იგივე მეა. („თქვენ არ ფიქრობთ, რომ...“ უნდა წაიკითხო: „მე ვფიქრობ, რომ...“) თქვენ — ყოველს შემცველი და კრებითია, სახელი და მამის სახელი — გამმიჯნავი და გამომრიცხავი.

და კიდევ: რა იყო მისთვის „მარინა ივანოვნა“ ან თუნდაც „მარინა“, როცა არც ბორისად და არც ანდრეიდ თავს არ გრძნობდა, თავი არც ერთთან არ გაიიგივა და არც ერთად თავი არ შეიცნო, ნათლობის სახელ ბორისსა და ანდრეის შორის, თვით რომ დაირქვა, მთელი ცხოვრება ქანაობდა, ეხმიანებოდა მხოლოდ მე-ს და მარტოოდენ მე-ს.

1 შენ (გერმ.).

ასედაც დაერჩი მე მისთვის — „თქვენ“-ად, იმ „თქვენ“-ად, ვინაც ბერლინში იყო, თქვენ-ად — ანუ ყოველთვის მეორე პირად, თქვენ-ად — ანუ იქ მყოფად, პირისპირ მყოფად. ასე სწრაფადაც მიტომ გადამივიწყა, რადგან, ჩემზე რომ მოეთხორო, უთუოდ „მარინა ივანოვნა“ უნდა ეთქვა, მარინა ივანოვნასთან კი საქმე არასდროს არ ჰქონია.

მხოლოდღა ერთხელ მიხმო მან სახელი, ეს იყო *Pragerdele* ჩვენი პირველი შეხვედრისას, როცა ჩემ კვალად „ტარუსა“ გაიმეორა. მიხმო და — თან მომიხმო.

მისი გაორება არა მარტო ბორის ნიკოლაევიჩითა და ანდრეი ბელით გამოიხატა, ეს მათითვე იყო გამოწვეული. — ვის მიმართავთ, მე, ბორის ნიკოლაევიჩსა თუ მე, ანდრეი ბელის? ცხადია, ყველას, ვინც კი წერს და მეც მათ შორის, შემძლია ვთქვა: ვის მიმართავთ, მე, „მარინა ცვეტაევის“ თუ მე—მე-ს (მე, მარინა ცვეტაევა, ჩემთვის ისევე არ ვარსებობ, როგორც ანდრეი ბელისათვის), მაგრამ მარინაც მე ვარ და ცვეტაევაც მე — მაშასადამე, „მარინა ივანოვნა“ — მე გახლავართ. ბელი კი უნდა გაგლეჯილიყო ნათლობის სახელ ბორისსა და საკუთრივ შერქმეულ ანდრეის შორის და სამუდამოდ — გაიგლიჯა.

ყველა ლიტერატურული ფსევდონიმი უწინარესად მამის სახელზე უარის თქმაა, რამეთუ მამას კი არ ჩართავს, გამორიცხავს. მაქსიმ გორკი, ანდრეი ბელი — ვინაა მათი მამა?

ყველა ფსევდონიმი ქვეშეცნეულად — მემკვიდრეობის, ჩამომავლობის, ვაჟიშვილობის უარყოფაა. მაგრამ მარტო მამის კი არა, იმ წმინდანისაც, ვის მფარველ კალთას შენ მიგანდეს, იმ სჯულისა, რომელზედაც მოინათლე, შენი საკუთარი სიყრმის და კიდევ დედის, ბორისა რომ გეძახდა და „ანდრეის“ არ იცნობდა, უარყოფაა ყველა ძირის და ფესვის, ეკლესიური იქნება ეს თუ სისხლისეული. **Avant moi le déluge!** მე — თვით და თავად!

შემზარავი და სრული თავისუფლება მასკის: არა — შენი სახის. სრული უპასუხისმგებლობა და სრული უმწეობაც.

ამას ხომ არ ეძებდა იგი დოქტორ შტაინერთან, ანუ მამას, შეაერთა და შეათავსა რა მასში მიწიერი მფარველი და ზეციური ქომავი თვისი, ვისაც თავისი წუთისოფლის განთიადზე ესდენ შთაგონებულად და კადნიერად იგი განუდგა?

უმამობა და უნიადაგობა, რამეთუ, როგორც ნიადაგი, რუსეთი მეტისმეტად ყველაფრის შემცველია, გამონაკლისი მას არა აქვს, რომ თავისითა და მხოლოდ თავისი ზურგით შეაჩეროს და შეაქავოს ადამიანი.


რუსეთში დაიბადო, ეს თითქმის იგივეა — რომ დაიბადო ყველგან და — არსად.

მსგავსი მარტოობა, მუდამ მსმენელთა და მაყურებელთა წრეში მყოფის, მე არ მინახავს. მას უყურებდნენ, უფრო სწორად, იგი იყო, ვით წარმოდგენა, ფარდის დაშვების უმაღ ვეებერთელა საიმპერატორო თეატრის დარად მაშინვე რომ თავგების ანაბარად რჩება ხოლმე.

საყურებელი კი მართლა იყო: მის ფერხთა ქვეშ მიწა ყველგან მყის ტენი-

¹ ჩემამდე — წარღვნა! (ფრ.).

სის მოედნად, ჩოგნად, ხელისგულად იქცეოდა. მიწა მას თითქოს ისევ უკან ისროდა, საიდანაც გამოისროლეს და საიდანაც — კვლავ უკან აბრუნებდნენ. უბრალოდ რომ ვთქვა, ცა და მიწა მას აბურთავებდა, მისით ბურთაობდა. ჩვენ — ვუყურებდით.



მისი მიმნდობლობა მხოლოდ მისსავე უნდობლობას უტოლდებოდა. ის ენდობოდა — ერწმუნებოდა პირველ შემხვედრს! მაგრამ რაღაც მის არსებაში არ ენდობოდა — საუკეთესო მეგობარსაც კი. ამიტომაც არც ჰყოლია მას ისინი.

